

1934

მნათობი

160359
საბჭოთაო

1-2

პოეზია და პრტბა

- ბ. ქუჩიშვილი
- ნ. ბაზანიშვილი
- შ. ნაკრუშვილი
- თოფა შარია შიკილია
- ალ. გუშკინი

ლიტერატურა

და სკულტურა

- ბი. ბაზიძე
- შალ. შამალაძე
- შალ. კაღიანი

მეცნიერება

- ბ. შარია

აქტუალური

პრობლემები

- ლაშკინი ბიკია
- ბ. ბიკია

მეცნიერება

- ალექს. ჯაბაძე

კულტურის

მაცნე

- ალ. სულავე

მნათობი



სრულიად საქართველოს სამხრეთ-
აღმოსავლეთის კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-
სამხედრო ცენტრის ქვეყნული

1-2

წლიწვიანი მეთერთმეტე

59813

1551



საბოლოო

1934



სარედაქციო კოლეგია:

გ. ურულაშვილი, ს. თული, გრ. მუშიშვილი, შ. კადიანი,
დ. სულიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი,
პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ახათიანი (პ./შგ.
მდივანი).

პ./შგ. რედაქტორი: გიორგი ურულაშვილი.


პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა

შტკ. № 282. ტირ. 6000.
მთავლიტ. № 36ა.

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: მწერალთა სასახლე. ტფილ. № 1-65.

კანტორის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7, საბელგამის პერიოდსექტორი.



ს. ა. ლეონიძე



ი. მცალაძე



ქართული
ლიტერატურა

გ. ქუჩიზვილი

ფიცი ლენინზე

რა მეზი იყო...
ვინ არ შეტოკდა,
ვის გულს
არ მოხვდა,
ელდის დეპეშა:
„გუშინ, 21-ს,
ლენინი მოკვდა...
შემოკრებით მკვიდროდ
მის დრონის ქვეშა!“

ისეთი მძიმე
და უეცარი
იყო ეს ცნობა
იმ წუთს,
იმ დღესა,
რომ ცისქვეშეთმა
გლოვის ზეწარი
შემოიბურა

და დაიკენესა:
საკაცობრიო
შუქურ-ვარსკვლავი
მოსწყდა
მეოცე საუკუნესა!

მოსკოვის ახლო,
იქ, თეთრ გორკაში,
ესვენა კუბო
ლენინის ცხედრით;
მისკენ ვილოდნენ
ქარავენად ქარში
დამწუხრებულნი
უმძიმეს ზვიდრით.

სუსტნი,
მერყევენი
შეიპყრო შიშმა,

ჩაცვიდნენ
უძლურ საგონებელში;
მტერთა ბანაკშიც
ხმები გაისმა:
აეროვათო
გზაკვალი ბნელში.

მწარედ მოსტყუვდნენ:
ვერ შეაფასეს
აღმაველ ძალთა
სიღრმე,
სიბასრე;
სტალინის „ფიცი“
რაზმავდა მასებს,
მასებიც გაჰყვნენ
მის გზას,
მის აზრებს.

ლენინი!
შენ იყავ,
ვინც ბნელ ყოფიდან
გამოიყვანე
ნათელ გზით ხალხი;
გამოიყვანე
ქალაქ-სოფლიდან
და მტერთა მიმართ
აწვდიდი მახვილს!

თუმცა გაგვშორდი
დაწყებულ გზიდან,
თუმც ველარ ვისმენთ
შენს მედგარ ძაბილს,—
მაგრამ ვინც შენი
დროშა აზიდა,
ალარასოდეს
ძირს ალარ დაჰზრის!

და თუ წითელი
ბრძოლის დროშები,
ნიშნად გლოვისა,
შევმოსეთ თალხით,—
მისთვის,
რომ ძაძით
მზეც იმოსება,
რომ ზეკაცს ჰქარგავს
მზე—შენი სახით.

ჩვენ შენი ნეშით
დაეკრძალეთ მხოლოდ
და სახელი კი,
სახელი:
ლენინი!

წინ გვიძღვის,
როგორც რწმენის სიმბოლო,
გადამლახველი
ყოველ სიძნელის!

ლენინი!
სტალინის
ურყევი ფიცი,
ფიცი—
საბჭოთა
ძმად ნაფიც ხალხთა,—
განხორციელდა
ბრძოლის სიმტკიცით,
თუმცა მრავალი
მსხვერპლიც გადაგვხდა!

და, აჰა:
დღესაც,
ათი წლის თავზე,
ხსენება შენი
ყველას რომ გვარხვეს,—
მუხლს ვიდრეკეთ
კრძალვით
და შენს საფლავზე
ხელაბლად ვფიცავთ
შენს უკვდავ სახელს,
რომ უფრო მედგარად
ვიბრძოლოთ მისთვის,
უმაღლეს მიზნად
რაც დაგვისახე!

ლენინი!
ლენინურ ნებისყოფისთვის
სტალინთან ერთად
ფიცსა ვდებთ ურყევს,
რომ კომპარტიის
მთლიანობისთვის
ვიბრძოლებთ!—
დავცხებთ,
ვინც გადაუხვევს!

დავცხებთ,
დავარტყამთ
შიგნით
თუ გარეთ,
რომ არ გვბორკავდენ
ცხოყრების გზაზე;
რომ ოქტომბერმა,
ციცხლმოელვარემ,
გადიჩახჩახოს
მსოფლიოს ცაზე!

3. გაფრინდაშვილი

ათი წლის წინად



მრავალი გზები გამოვიარეთ,
ეს ათი წელი უკვე გავიდა,
და მაინც გვახსოვს დღე მგლოვიარე,
თითქოს იწყება იგი თავიდან.

ცის ნატერფალი ჩვენს გულს ყინავდა,
თოვლში ვიყავით გამოხვეული.
და ოცნებაში ის დაბინავდა,
ვინც გმირთა შორის იყო რჩეული.

ჩვენ უხმო ცრემლებს ვაფრქვევდით ბელადს,
კვლავ გატაცებულს სასტიკი ძალით.
ვეთხოვებოდით უკანასკნელად
ქარიშხალს — დახრილს დაბლა სიკვდილით.

თითქოს ერთ ნიშანს ელოდენ ზღვები,
რომ მოსულიყვნენ იმის ცხედართან,
თითქოს გვესმოდა ტალღების ხმები,
მხოლოდ ეს წუთი არ განეტარდა.

რომელ ბეთხოვენს და რომელ ვაგნერს
შეეძლო ჩვენი სევდის მხილება?
ღრუბლებმა სული შავად დაგრაგნეს
და შექმნეს სულ სხვა განწყობილება.

ჩუმად უსმენდა ბელადი ქუჩებს,
სად მღელვარება აღარ შეჩერდა, —
ელოდებოდა საყვარელ მუშებს,
აი კიდევაც მოზავადენ ერთად.

და გარდაუვალ მაღალ ჯებირად
დადგნენ მუშები ბელადის ახლო.
მისი სახელი გაიზეპირა
ქარმა და კენესით წაიღო მაღლა.

ბელადს მიწისთვის ვერ ვიმეტებდით
და გაცოცხლება გვინდოდა მისი,
მაგრამ ობოლ ფიქრს ვაიმედებდით
გმირის კუბოსთან დადებულ ფიციით.

ფრიდონ ნაროუშვილი

რ ი ღ ნ ი

ზესტაფონის ს. ს. სადგ. პოლიტგანყოფილების უფროსის აშშ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს.

მიმდინარეობს მარადი მგზავრი,—
ზღვის ნაშიერი და ზღვის თაობა,
პოეტებს მუდამ უყვარდათ მძლავრი
რიონის ხმა და გამბედაობა;
ამწვანებული მისი ნაპირი
ყოფილა ველურ ტალღების ლუკმა,
რიონი გიეი და პირდაპირი
განადგურებულ ტოებდა უკან;
ყაჩაღებით მისი ტალღები
შემოსევია ყანებს და მერე
დაუკრეფია სოფლის ბაღლები
და თვითონ გიეი და მოსიძღვრე,
მხეცი, ამაყი გაუგონარი—
რა ერთხელ კიდევ ადიდებულა:
მღვრიე, მსუქანი და ნაოძარი
ზღვისკენ დენილა და დიდებულად
გადაუსილავს კოლხეთის ველი,—
მაგრამ ქედ მაღალ მთების მნახველი
ზღვაში შესულა და დაღუპულა
მჭუხარე ხმა და მისი სახელი.

ბატონო რიონ! დასრულდეს შენი
კიბეებიდან ველური რბენა!
შენ ტურბინებში ტყვეობა გშვენის
და ელექტრონის წიგნი და ენა.

ნაპირზე, ეტლით შორბის, მოტირის
რიონს მელექსე და მეარღანე:
არ დაივიწყო ძველი მოტივი
და იმერეთის ანკარა ლამე!



არ დაივიწყო ყანა და ვაზი
და გიტარაზე სიმღერა დისი,
დედის სუფთა და ცრემლები ნაზი
და იმერეთის ცა ნარადისი!

არ დაივიწყო ძველი მარანი
და კიდევ ბევრი, და კიდევ ბევრი,
მოხუცი მამა და ჭირვარამი
და იმერეთის ღვინო და ქვევრი!

არ დაივიწყო მღვრიე რიონი,
მინდორი, ეზო და ბნელი ჭოხი,
ძველი ქორწილი და მაყრიონი
და იმერეთის მთვარე და ნოხი!

არ დაივიწყო... წაიღე თანა
და როგორც წიგნი გახსენ და ნახე...
სადაც არ იყო ახსენე ნანა
და იმერეთის ჭალარა სახე!

არ დაივიწყო ნათესავიცა,
ურიას, თათარს შენი გერჩიოს,
არ დაივიწყო კარგიცა, ავიცა,
და იმერეთს არ გადაეჩვიო!

არ დაივიწყო შენი მარანი
და კიდევ ბევრი, და კიდევ ბევრი...
ბრძენის თქმულება და ჭირვარამი
და იმერეთის ღვინო და ქვევრი!

იჩქარის ეტლი და მწვანე — მწვანე
ნაპირებს ფარავს რიონის მუქი...
პრეისტორიულ გზას მისდევს მთვარე
და ყანებს მისი ეფრქვევა შუქი.

იჩქარის ეტლი და შარა თეთრი
ფართოა, სუფთა და მოკენჭილი,
და მნათობების კიაფი მკვეთრი
მგზავრის სუნთქვაში არის შექრილი.

იჩქარის ეტლი და ეზოკარი
ქრება, და ჩნდება აღმართის კეფა,
და გაქროლებულ ცხენების ჭარი,
და შესაკუთრე ძაღლების ყეფა...



მიაპობს ლაევარდს მუშია ზეცის
მარად ყინული... და სდუმან მთანი,
ვრცელ სიმწვანეში ვით ფენა ვერცხლის
მიმდინარეობს რიონის ტანი.

შავ ზღვის პირამდი, როგორც მდინარე
მიიმოკლებენ გზას წეროები,
რიონს მისდევენ და მიფრინავენ
თვითონ ისინი და ჩეროები.

იჩქარის ეტლი... გზაზე ჩრდილებად
წვანან შტოიან ხეების წყება,
ისმის რიონის მძლავრი დინება
და მესაკუთრე ძაღლების ყეფა.

მანდ ახმაურდა უცებ მძანარე
ეზო, გაალო ქალმა კიშკარი,
და შემოუშვა შინ, მოლიმარემ
შემოჭროლებულ ცხენების ქარი.

მასპინძელს ფხიზლად უპირავს ყურა
რომ არ დაურჩეს ცუდი სახელი...
მთვარიან ცის ქვეშ მამაპაპური
მანდ ძველისძველი წევს საწნახელი.

მთვარე მისცურავს და გვიან ჩადის,
სუნთქავს ქვეყანა ანკარა ლამეს,
შემოაქვთ ყველი და თორნის მქადი,
ვაზის მტევანი და „ცოტა რამე“.

ლაშე ტეზო და ვერ დაიძინო...
ხარ მტერ მოყვარის მოკირვარამე;
მოაქვთ მაჭარი და ძველი ღვინო,
მოაქვთ საცივი და „ცოტა რამე“.

გოგონა თეთრი და ტანმსუბუქი
როგორც პირსავსე მთვარე და ლამე,
მოდის შემოაქვს სუფრაზე შუქი,
შემწვარი გოჭი და „ცოტა რამე“.

მოდის იმერულ სუფრის მხატვარი,
შემატა სტუმრებს მან სითამამე,
შემოიტანა კიდევ ნამწვარი,
დინჯი ღიმილი და „ცოტა რამე“.

ამბობდენ: მტერს არ გავეთელებით,
ჩვენ ვიცით შრომა და მერე ლხინი,
იქ კოლმეურნე არ გვეთელები
დროს ატარებდენ „ძველის ძველ“ ღვინით...



ეზოში იდგა მაღალი ზენი
ნოყიერება მათი შრომისი,
ოდაში ქუხდა და ქუხდა ენით
ლხინი მეოთხე შემოდგომისი.

„რა მუქი იყო ჩენი დაისი,
ჩვენ ერთხელ მშვიდად ვერ დავიძინეთ,
ამბობდა ბრძენი სიღარბაისლით,
სიბერის ხანში შესული მძიმედ.

„ვარ წინაპართა ქვევრის რაინდი
და საუკუნე მე განწირული,
არავინ ზის აქ ჩემი ყაიდის—
არავის ესმის ჩემი ჩინური...“

„ჩენი მშობლები თევზები იყო,
ჩვენ წყვდიად ზღვაში ვართ გაჩენილი,
ჩენი სამშობლო ზღვის ფსკერი იყო...
ებლა რიყზე ვართ დარჩენილი.

და როგორც თევზი უძღური იყო
და არა ჩვენებრ სნეული დარდით,
რა ბედნიერი მშობელი იყო,
რა კალმახივით ყოფილა მარდი.

არც მიწის მუშა და ძუნწი იყო
არც არამი და მტარვალი ძმისი,
რა წყვდიადი და უძირო იყო
მარილიანი სამშობლო მისი.

წყლის ნაშიერი წყალშივე იყო,
წყალს ეფრქვეოდა სხივები მზისი,
თევზებთან მარად უძღური იყო:
ცეცხლი, ქარი და გრივალი ზღვისი.

ზღვების გაჩენის ეამიდან იყო,
დენილა შემდეგ დრო მილიონი...
ჩვენ გვინდა მარად მიწაზე ვიყოთ
ვით ოკეანე, ზღვა ან რიონი.



რა უსუსური სულდგმული იყო,
მაინც უძირო ზღვების არ მშიში...
ჩვენი მშობლები თევზები იყო—
ვიხრჩობით ზღვაში თევზების ჯიში...

პირველად წყალი იყო, რაც იყო,
არსად ნაპირი და გოჯი მიწა,
პირველად თევზი იყო, რაც იყო,
თევზი, რომელიც ზღვის ფსკერში იწვა.

შემდეგ, ვინ იცის... ამოწრობილა
ზღვა უძირპირო, თუ გადასახლდა...
ამწვანებული მიწა შობილა
და მერე... თევზი მეთევზე გახდა.

ვინც პირველ გაჩნდა და თევზი იყო
და ნაშიერი ფსკერწყვედიად ზღვისი,
ვისი სამშობლო ბნელი ზღვა იყო—
ესვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი...

ჩვენ ეხლა წყალში ყურყუმი გვიჭირს
რადგან ვართ მწვანე ტყით დაბურული,
მაგრამ ხმელეთელ ცხოველებს ნიჭი
ჯერ კიდევ შერჩათ მენღვაურული.

ზღვის ცხოველივით მიაპობს ნიში
ბნელ ზღვის ზედაპირს ტალღებ ჭაფიან ,
ხმელეთელები ყოველგვარ ჯიშის
ცურვით ზღვებისკენ მიისწრაფიან.

ჩვენ არ გვენახა მზე, მწვანე ფერო,
კლდოვან ხმელეთის მუქი ნაპირი...
ერთხელ დავტოვეთ ჩვენ ბნელი ფსკერი:
ვიხილეთ ცა და ზღვის ზედაპირი.

დავტოვეთ ზღვები აქაფებული
და მივაშურეთ ნაპირებს შიშით,
ჩვენი ხმელეთი მზით ანთებული
ყოფილა მდღლარ ზღვებს მონათიში...

ეხლა რიონის, ზღვების მონები
წარღვნის ფარდაგად ვართ დაგებული;
მარად უძღლური ხერხით, გონებით
ზევიად გრიგალებს დატაკებული.



ვიხილეთ ცა და ვიაზრეთ, ზენა
 ზის უხილავი ყოვლის მშობელი,
 ჩვენ ერთი გვქონდა რწმენა და ენა,
 როგორც რიონი დაუშრობელი

მრავალ მილიონ ცხოვრების ფენა
 ზღვაში ხმელეთზე მარად დენილა,
 ვინ იცის ქვეყნებს მზემ გაუთენა
 რამდენი ღამის ნქრობელი დილა...

ვერ გაარღვიონ ლაქვარდის სისქე
 ადამიანის უსუსურ ხელით,
 როგორც წმინდანი ილტოდა ცისკენ
 მიწას დაკრული ვარსკვლავთ მრიცხველი.

ვერ გაარღვიონ ლაქვარდის სისქე
 მდულარე მზისგან შანთივით ცხელი...
 მაინც ილტოდენ, ილტოდენ ცისკენ
 რომ შეხებოდენ მნათობებს ხელით.

მშენებლობაში ხალხი ჩაება,
 დულაბად იქცა ღონე მონისი,
 რომ მიწვედომოდა ბებერ ღვთაებას
 ცამდი გოდორი ბაბილონისი.

და იზრდებოდა შენობა მათი
 რომ ტოლებოდა ზეციურ ღონეს,
 რომ ზეციური ემონა მნათი
 კიანქველების ძალღონის მქონეს.

მათი ბელადი და მშენებელი
 რა ბრძენი ვინმე თურმე ყოფილა...
 მაგრამ „ღვთისაგან“ უშველებელი
 გეგმა ბელადის უარყოფილა...

მაინც უძირო ლაქვარდის სისქეს
 კალატოზების ხელები კრიდა,
 მაინც ილტოდენ, ილტოდენ ცისკენ—
 გადმოყურება უნდოდათ ციდან...

ქვეშ იყო მთები, ზღვა და მდინარე
 რბოდა მსუქანი და ამღვრეული
 და წრიალებდა ხალხი „მძინარე“
 წყალდიდობისგან ბუდენგრეული.



იწვედენ მაღლა ხალხების ღონით
 ზეცის მპყრობელთა ზმები, საქმენი...
 მშენებლობაში ვიდოდენ დრონი
 ვით უდაბნოში მდორე აქლემი.

იქ ერთად ერთი რწმენა და ენა
 დაღუპულა და... უნდა ეძებონ...
 ცაზე გამოჩნდა ბებერი ზენა—
 დაიღრიალა: ზღვების კერძებო!

საით მოდიხართ? დაბრუნდით უკან!
 გაგირღვევიათ ლაევარდის სისქე,
 მაგრამ გახდებით ქვესკნელის ლუკმა
 თუ დაიძრება გოდორი ცისკენ.

მიწაა თქვენი დღე და ხალისი,
 ბინა არაა ცა ცოცხალისი
 ცაში სეირნობს სული მკვდარისი...
 ჯოჯოხეთისკენ გზა შემცდარისი!

თრთოდა ლაევარდი, ბებერი ზენა
 ღრუბლებზე იყო ჩამოკადული,
 ცისკენ ვიდოდა მონების დენა
 საამშენებლო ქვით დატვირთული.

ზეცასკენ ლტოლვა სამასწლოვანი,
 ვინ შეაჩეროს გულნაღონებო.
 მათი ბელადი ბრძენი მცხოვანი
 ყვიროდა: „გასწით, ცისკენ მონებო!..“

მრავალ ომებში ვართ გამოცდილი,
 უძლეველია მონების ღონე...
 ყვიროდა: ცაზე გაკრულა ჩრდილი
 ადამიანურ პირსახის მქონე.

გამოჩნდა როგორც მაცდური რამე
 გოდორის თაღზე მაშინ ცდომილი,
 ვრცელ სამყაროზე გაფრცელდა ღამე...
 ხალხი ღვთაებას გადადგომილი

მუხლთ მოიყარა დღიურ ვაებით,
 და კიბეებზე დაღლილი მიწვა—
 შეშინებული მოხუც ღვთაებით
 და მოწყვეტილი ზღვებსა და მიწას...



ღვთაებამ იხმო ჯალათი მაშინ --
 ეშმას უჩვენა გზა პირდაპირი:
 „წადი და თესე მძინარე ხალხში
 ჯოჯოხეთური შხამი და ქირი!

მერმინდელ დროთა იმ ლამეს ხალხნი
 ეაი რა კრულვით მოიგონებენ...
 ეშმამ მოსილმა ყოვანის თალხით
 ჩამოუქროლა ბაბილონელებს...

შთაბერა სული და კალატოზებს
 ჯოჯოხეთური დღე გაუთენა...
 წყვილიადის ფსკერში შთაინთქა დროზე
 რა აურია მშენებლებს ენა.

და იყო იგი დღე უბედური --
 რა მამას შვილი, ძმას ძმა ვერ მიყვა
 შეიქნა გმინვა ჯოჯოხეთური --
 ვით ზღვაში ქვიშა გამრავლდა სიტყვა...

კოლს ვერ გაეგო სიტყვა ქმარისი
 დას თქმანი ბოდვად ერგენა ძმისი,
 და იყო უფრო შესაბრალისი
 რომ არ ესმოდა შვილს დედამისი.

ასე დავღუბეთ გულსალონისი
 ჩვენ ერთადერთი რწმენა და ენა,
 ასე გოდორმა ბაბილონისიმ
 გადაგვამტერა ბებერი ზენა.

ჩვენ საჭმე გვმართებს ჩვენი დონისი
 ცას ვერ იმონებს ლონე მონისი...
 გრივალმა დასცა წყვეულ დრონისი
 ამშენებლობა ბაბილონისი.

ცისკენ ვილტოდით ჩვენ დაქინებით
 და... უბოლოო ტანჯვას ვუნდებით,
 ჩვენ იმ დროიდან ვართ დასჯილები
 მრავალ ენიან ბორკილ ხუნდებით:

ჩვენ არ ვიყავით წინეთ ქართველი,
 იგი არ იყო წინეთ თათარი...
 ჩვენი სად გაქრა ძველი ნათელი
 და ენა ძველი ჩვენი სად არი?





ვინ გადმოლახა მთა თოვლიანი
და წყალდიდობამ მოუსწრო გზაში,
მოსპო ქვეყანა მწვანე ტყიანი
და თაზები ჩასილა ზღვაში..

გაუძლო მამა-კაცების ღრიალს,
მილიონ ქალთა გლოვას მდულარეს
ზღვამ,—სადაც ცრემლებს მარადის ღვრიან—
აყრუებს მოთქმას ზღვის სიმქუხარე.

მანდ წინაპართა ქვევრის რაინდი
ამბობდა როგორც დრო განწირული...
„არავენ ზის აქ ჩემი ყაიდის—
არავის ესმის ჩემი ჩინური...“

ესვამ,—სადღეგრძელო დე იყოს მისი,
ვინც ამწვანა ნაპირი ზღვისი,
ვინც გააჩინა მზე მარადისი
და მნათობები მოისხა ცისი,

თვალეზი მოგვცა ჩვენ სანატრისი—
ვიხილოთ ყოველ ღამის, და დღისით
ყინულოვანი მწვერვალი მთისი
და სიდიადე მ.ხლობელ ტყისი.

ვინც მიწას პირველ დაადგა ფეხი
და სიკედილამდი იმოგზაურა,
ვინც გაიგონა პირველად მეხი—
უძირო ზღვები აახმაურა.

ვინც იმ თავითვე იყო და წინათ
აშენა ყინულ-თოვლიან მთანი,
ვინც დაუშინა სეტყვა და წვიმა
და დაისველა პირველად ტანი.

ვინც ჯადო სიტყვა პირველად თქვა და
აიღო, მომეს ესროლა ქვა და
ვისაც პირველი ნასროლი მოხვდა
და უპატრონოდ პირველი მოკვდა;

ვინც ქვა გათალა უხსოვარ ხნისი
და მოიპარა იარაღი სხვისი,
ვინც ნახა პირველ ამოსვლა მზისი—
ესვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც სიყვარული პირველ დალოცა,
პირველად ტრფობის მოედო ალი,
იყო დევნილი და საბრალოცა—
დაეცა, როგორც ღვინისგან მთვრალი.

დაეცა, ყოვლად შესაბრალისი
ენტო, ეწაბა მრავალი გზობა,
ბოლოს მოიგო გული ქალისი—
სხეულისადმი სხეულის ნდობა...

ვინც დაიმონა უძირო ტრფობა
მკერდ განიერის და გიშერ თმისი,
ვინც ვაფი ქვეყნად პირველად შობა—
ვსვამ, —სადღეგრძელო დე იყოს მისი.

ვინც თქვა პირველი იგავარაკი
და უბოლოო ზღაპარი ტკბილი,
ვინც მარბვის შემდეგ დაკლა ზვარაკი
და შემწვარს პირველ დაადგა კბილი.

ვინც ვაზი დარგო და მოსალხინო
შათვალა მტევანს შეახო ხელი
ვინც გამოწურა პირველი ღვინო,
ვისაც ქვევრები და საწნახელი
წყვდიად ღამისფერ ღვინით მქუხარე
ქონდა და ედგა მამაბაპური
მარანი ბნელი, თვით არ მქუხარე
იყო და პირველ გატეხა პური...

ვინც შუბლ გახსნილი იყო და თურმე
სხეულს ეფარა ნაბადის თეკა,
ვინც მოყვებოდა შინისკენ ურმებს
და ვინც პირველი ურმული პეკა...

ვინც კიდევ ბევრი არ დაივიწყა
წინაპართა და ღვაწლი მამისი.
ვინც არ დაუთმო მეზობელს მიწა,
ვსვამ, —სადღეგრძელო დე იყოს მისი.

ვინც პირველ მიხვდა ცეცხლის გაჩენას,
აქცია ნაცრად ფიჩხნი ხისანი,
ვინც სასწაული მოძმეს აჩვენა
და ვინც პირველად იყო მისანი.



როდესაც ხეებს მოედო ალი—
 ზეციდან შავი მკვარტლი ცვიოდა;
 იგი მირბოდა შიშით ფერმკრთალი—
 ცეცხლით ტყეები ააწიოკა.

ვინც სადმე რკინა პირველად ნახა,
 ლითონი პირველ ვინც აადულა
 და პირველ ქედვა ვინც განიზრახა—
 შეიქნა ქვეყნად მკედელი ჯმუხა—
 სად პირველ ნაჯახს ტყემ შემოსძახა,
 როცა წაიქცა პირველი მუხა,
 ვინც გაოცებულ გაალო ხახა,
 როცა ხმამ ხევით ამოიქუხა—
 ვინც შეძლო პირველ წაქცევა ხისი—
 ვსვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი.

ვინც საწისქვილე გათხარა არხი—
 სად პირველ ქვების ტრიალი მოხდა,
 ვინც პირველ ზურო იყო და სახლი
 ააგო მუხის ხისაგან კოხტა,
 ვინც გაარჩია „ჩემი“ და „სხვისი“—
 ვსვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი.

ვინც პირველ იყო გულგანახარი
 შრომაში დაღლილ და მოხენდილი,
 ვინც პირველ უღელს შეაბა ხარი—
 შეება მინდორს ალიონ დილით—
 დაეცა პირველ სხივები მზისი—
 ვსვამ,—სადღეგრძელო დე იყოს მისი.

ვინც ატრიალა წისქვილი ქარით...
 ქარისეული შეისხა ფრთები—
 რა ველურ ცხენზე ყოფილა მჯდარი
 გადინადირა პირველად მთები—
 იგემა ხორცი მან ნადირისი—
 ვსვამ,—სადღეგრძელო დე იყოს მისი.

ვინც რიონს პირველ ესროლა ბადე—
 პირველ ჩემებურ ხელობას მიყო—
 ვინც გაჩენილა მართალი ცამდე—
 პირველყოფილი მეთევზე იყო—
 პირველ დაიწყო გათელვა გზისი—
 ვსვამ,—სადღეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც პირველ ქსოვა და პირველ კერა
ოჯახის ბურჯი შემოსა მუშა,
ვისაც რიონის პირ ქონდა კერა
დღემდღი და მოდგმა არ ამოუშრა...

ადიდებული რიონი ზეერა,
ზღვამდი ამაყი მისი დინება,
მღვრიე ტალღების ლელვა და მღერა—
სოფელ წალეკილ ხალხის გინება.

მაგრამ რიონი ვინ გააჩერა—
რა კიბეებით ბარს ჩამოვარდა,
მისი დალუპვა არავის ჯერა
შეუბრალებელ შავი ზღვის გარდა.

ვერ შეეჯახონ ვერა და ვერა,
მარადისეულს ვით მომაკვდავი,
შეიძლონ მხოლოდ თევზების ქერა,
შეიძლონ მხოლოდ დაიხრჩონ თავი.

ჩვენებურ იღბალს თუ ბედისწერას
ალარ ემონვის მისი ბუნება,
რა გინდ გრიგალმა უბეროს—ვერა,
შეძლოს რიონის მან დაბრუნება...

ასე მარადი რიონის თქერა
უძირო ზღვების ველარ წვეს ღონეს,
ვერ დაიმონონ, ვერა და ვერა
მდინარეების და ზღვების ღონე.

ვინ იცის წარღვნის დრომ დაუბერა,
გადმოიღვაროს წყალით მთანიო,
და იმერეთი მილიონ ფერა
ზღვების ჯურღმულში ჩაიტანიოს...

ტალღები ვით ფრთა გაშლილი ძერა
დაეცა კოლხეთს ქეიშა მოფინა...
სათაფე—სუსტი,—ზღვას დაეჭკერა
და... მშობელს ვერვინ შეატყობინა...

მარად რიონი ვინ გააჩერა
გზაში, რა მთიდან ბარს ჩამოვარდა,
მისი დალუპვა არავის ჯერა
შეუბრალებელ შავი ზღვის გარდა...



წინაპრულია ხმა რიონისი—
ვსვამ,—სადღეგრძელო დე იყოს მისი.

დგას ბრძენი როგორც მუქი დაისი
თითქო ბუნდოვან ნისლში იძინებს,
საუკუნოვან სიდარბაისლით
დგას, სიბერეში შესული მძიმედ.

მანდ წინაპართა ქვევრის რაინდი
ამბობდა როგორც დრო განწირული...

„არავინ ზის აქ ჩემი ყადის—
არავის ესმის ჩემი ჩინური...“

ბრძენს სიკაბუკეს ვინ დაუბრუნებს...
წელთა სიმღერა თუ მაყრიონი —
მისი ამაყი დრო—საუკუნე
დენილა მღვრიე როგორც რიონი.

მისი შერმისი ხანდალუპული...
რიონის პირებს ამწვანებს უხვად
ნორჩი ტყე, იგი გულწათუთქული
ფულუროვანი დგას როგორც მუხა...

„თათარს ურია გაუხდა სიძეთ“ —
აემღვრათ ხმები და სიმღერები;
საუკუნოვან მოხუცის სიბრძნეს
ამასხარებენ პიონერები...

მანდ შეილის შეილის შეილმა ბრძენს კითხა:

„არ დამეცემა თუ შენი კეტი,
„მინდა პიონერს მართალი მითხრა...
„ხარ ჩემზე ხანით ხომ ათჯერ მეტი...“

„შენ საუკუნე განვლე და ღრუა
შენი დრო“... (მაგრამ მოხუცი ყრუა)
„ადამიანებს, მართალი თუა“,
რომ სიბერეში აკლდებათ კეუა...

პიონერებმა იცოდენ მითი
ბრძენის და სიცილს ტეხდენ მჭუხარედ,
ერთხელ გლობუსზე უჩვენეს თითით
ორ ზღუა შორის მდებარე მზარე...

თავისუფალ დროს ღამით თუ დღითი
გაუმართიათ კამათი ცხარე...
უმტკიცეს, ერთხელ გაკაფულ გზითი
მოძრაობს ცაში მიწა ვით მთვარე...



მოხუცმა ველარ წარმოიდგინა
 მიწა ბურთივით, და სამწუხაროთ
 პიონერვამა ბრაზით ივინა:
 რა უგუნური ბრძენი რამ ხარო...

მცირე წლოვანი მოპირდაპირე
 ფიქრობდა... ასე მომელის ნუ თუ...
 ბრძენი რიონის მწვანე ნაპირებს
 უმზერდა, წყედა ჩიბუხით თუთუნს...

საუკუნენი აქ ჩაიღუპენ—
 რიონის მღვრიე ხმას მიყოლილი...
 ბრძენი ცხვირიდან უშვებდა ღრუბელს
 წაქცეულ მუხის ხეს მიწოლილი.

სანაპიროებს ღრნის მდინარეება,
 ვეება ჭადრის ხე ძველთა ძველი
 მდინარის ნისლში ხან იფარება,
 ხან ცის ქვეშ მწვანე შრიალებს ხმელი...

იდგა ველზე და ვით საუკუნე
 მოშორებულნი რიონს ჭადარი
 უძლებდა გრიგალს და ჟამთა უნეს—
 შემოიღეწა ბევრი ავდარი,
 მაგრამ რიონი მინდორს შეება—
 მწვანე ნაპირებს ჩაუმქუხარა—
 მიუახლოვდა ჭადარს ვეებას—
 ტალღებით ფესვი გამოუთხარა...
 ზეზეურ გამხმარს ეხურა ჩადარი...
 მრავალშტოება — ოდეს დიადი
 წაადგა რიონს თავზე და... ჭადრის
 ღრუში შევიდა ღამის წყვდიადი.

იქნებ ოდესმე აღიდებულნი
 ჩამოიღვაროს მთების ავდარი,
 რიონს განთქმული და დიდებულნი
 წამოეღეწოს თავზე ჭადარი...

მდინარის ძალამ კლდე ჩამოთიშა
 ჩამოიტანა დოვლათი ბარად,
 უზარმაზარი ლოდები ქვიშად
 აქცია და შავ-ზღვას ჩააბარა...



მდინარე (ყოველ მდინარის მკვიდრი),
რბის თითქო ღენა თვითონ ინება,
ცხოვრებაც თვითონ იდინებს ვიდრე
რიონი სულ არ გაიყინება.

ვიდრე სიკვდილს არ დაემონება
მიწა ყინულის გარს გადაკრული,
აწორილებულ კაცის გონებას
სურს დაინახოს ჯერ არ ნახული —
სადაც ზღვები ყავს ყინვეთს მონე'ად
სურს გააჩინოს იქ გაზაფხული.

ვიდრე ყინვეთში არ მოეთავსა
მიწა, რიონის მწვანე ნაპირი
ცხოველთა ხმებით იქნება სავსე
და იგრილებს ზღვის ზედაპირი...

რიონის ძალამ კლდე ჩამოთიშა,
ჩამოიტანა დოვლათი ბარად,
უზარმაზარი ლოდები ქვიშად
აქცია და შავ-ზღვას ჩააბარა.

წვეთს უერთდება ნაეონი წვეთი —
მათ მარად ზღვების იზიდავს დონე,
იზრდება გზაზე და კლდეთა მკვეთი
ჩნდება ვეება მდინარის ღონე.

ჩანჩქერი-ჩანჩქერს და ღელეს-ღელე,
ნაკადი-ნაკადს და წყაროები
აღგენენ რიონს გზაზე და მერე
რბიან ვით ერთი ნაწარმოები...

მათი ღელვა და გმინვა გაისმის —
რა მძლავრ მდინარეს შეიერთებენ,
რბიან ლომების სიღარბაისლით
პრეისტორიის ბნელი ღმერთები...

გზაზე ლოცვებით და სიმღერებით
ხედებიან, ხმები ხალხს ჩაუვარდა,
დაიმორჩილეს ძველი ერები
მდინარეებმა, ბნელ ზღვების გარდა.

ტალღები მძაფრი, კვლავ მისიმღერე
გლეჯენ და გლეჯენ ხმელთა წიბოებს...
მდინარეები მირბიან... მერე
ტოებენ უკან სახელმწიფოებს...



როგორც ძლიერი აღმართს ხარები
მდინარე დაღმართს ხნავდა. ნაპირი
იყო დარბეულ-გაუხარები,
რიონმა მრუდე თუ პირდაპირი
ზღვამდი გააპო ხმელეთი მწვანე,
ქვიშიანი და ტალღები ჩქარი
მოაელო ტყეებს, სოფლებს და ყანებს —
დაქანდა ზღვისკენ ვით ზენა ქარი...
ზღვის ნაშიერი ზღვისკენ რბოდესო,
ზღვაში შერღვევა მიუხაროდეს,
„ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდვოდესო“ —
არ უმღერია რიონს აროდეს.

ასე სრულდება რიონო შენი
კიბეებიდან ლოდებზე რბენა,
შენ ტურბინებში ტყვეოზა გშენის
და ელექტრონის წიგნი და ენა.

მიქრის აღმართით შენი დინება,
რადგან რიონი მტკვარს ერთვის, მერე
ბოლშევიკების ტვინმა ინება
შემოგიერთოს შენ მოსიძლერე
აქაფებული თერგის დინება,
რომ არ ემონო კვლავ ზღვების დონეს,
რადგან ლენინმა ერაბელ ინება
შებოჭოს შენი და ზღვების ლონე...

პრეისტორიულ ლმერთებს შეები,
დნეპრის წყალს ერთვის მზე-რიონ-დენი,
შეერთებული მდინარეები
ლაპარაკობენ ლენინის ენით.

შენ შეარყეე ტყის მიძინება,
ველურ მოდგმათა დაიწყე თელვა,
მიქრის აღმართით შენი დინება,
ელექტრონული სიჩქარის ელვა.

თერგს—რიონი, ვოლგას—მტკვარი,
კავკასიის წყაროები...
რესპუბლიკის წყალთა ღვარი —
ძალა ჩვენი წარმოების.

შენ დნეპრის მალალ მზეს საჭიროებ —
იყო კაობებ ამოშრობილი,
თეთრი ზღვის არხის სანაპიროებს
მიწვდეს რიონის წყალში შობილი.



ხალხთა გააღხო მან მძინარება...
 იყო ლენინი ზღვების ბელადი...
 ვიდროცენტრალი დგას, — მძინარება
 წყლების შესცვალა ძველთა — ძველადი.

შექმნიან ზღვების კავშირს მხარენი
 რომ განაგებდეს ტენი ერთისა,
 აღმოსავლეთით მიმდინარენი
 შეუერთდება დასავლეთისას.

შეუერთდება რენს ამერი
 ეოლგას დუნაი და მხარეები,
 ექნება მძლე და ხმა საამერი
 ინტერნაციონალს მძინარეების.

ასე სრულდება რიონო შენი
 კიბეებიდან ლოდებზე რბენა,
 შენ ტურბინებში ტყვეობა გშვენის
 და ელექტრონის წიგნი და ენა.

შენ გიმღეროდა კაცი „ქართული“
 შენ მიღმუოდი ნაპირებს წინა,
 ეროვნულ შხამით სისხლ მონათლული —
 მძინარემ მაინც ვერ მოაჩინა,
 თურმე რიონში ქართული წყალი
 და ელექტრონი აღმოაჩინა...
 მას ფოილომდი ეჭირა თვალი
 და ნანგრევთ შორის ეპოვა ბინა.

სამყარო მრავალ ფერადოვანი
 მოიარა, შინ მოვიდა მოთა.
 შუბლ მაღალი და თმა ბუნდოვანი
 შინ იჯდა ბრძენი, მიღეულ დროთა.

მან საუკუნე განვლო და მისი
 ოდის პირ მღვრიე რიონი რბოდა,
 შერჩა უნარი ძველღვინის სმისი
 მერე უკბილო ლოყები თრთოდა.

ვიწრო და ხმელი ძვლების სახსარი
 ბებერს ქარებით ქონდა სნეული,
 ქალამანივით იყო დამკნარი
 საუკუნოვან ბრძენის სხეული.

აკრემლებული სიმზიარულით
 მოხუცი მაინც მან შეაშფოთა,
 ტანისამოსით, ხმით, სიარულით
 მშობელ წინაპარს არ გაედა მოთა.



ბრძენი ოდესმე ღონე — კლდოვანი
იყო, მიიღო ფერი მთვარისი,
გადაეხვია თმა ბუნდოვანი
მოთას იგი ვით უცხო გვარისი.

როგორ დაშორდენ წინაპრებს ძენი,
არ გააჩნიათ გზა საკმარისი,
არ გაეგებათ თქმულება ბრძენის
და შორეული ხმა სამარისი.

იჯდა და მოთას უმზერდა მკვათ
მაღალ, თოვლიან — ჩაფიჭრებული,
როგორც ბიბლიურ ლეთაეების სახე
ბუნდოვანი და გაფითრებული.

იჯდა და... ბრძენის აზრის მიხედვით
ვეშაპის ზურგზე სამყარო იწვა...
განსაზღვრულია მთაგრეხილებით
და მარადიულ წყვდიადით მიწა...

მან საუკუნე დატოვა უკან,
გულის სისუსტეს გრძნობს ყოველ დღითი,
მაღე გახდება სამარის ლუკმა
ბრძენი და ბრძენის შესახებ მითი.

რიონის პირზე გაჩნდა და იღბალს
მიენდო, გარდა არ იცის რამე:
სურამისა და შავი ზღვის მიღმა
ქვეყანაა თუ წყვდიადი ღამე...

ერთხელ შუადღე შეიქნა მთაში
ბნელი და ზეცამ ღრუბელი დვარა.
ჩამოიტანა რიონმა მაშინ
თურმე ხეები ჯოგი და ფარა.

ამბობდა ბრძენი: წყლებ მყაროინი
ამგვარი ჯერ არ მქონდა ნახული,
რომ სამი დღე და ღამე რიონი
იზარდა როგორც მხეცი ზღაპრული.

დაღამდა, დაღმართს წყალი შეება,
აკანკალებდა ბნელ სივრცეს ელვა,
იმერეთს აწვა მხეცი ვეება —
არ შეწყვეტილა ღრუბელთა დღეება.



რიონში ჰადრის ხე ჩაილეწა
და წისქვილები წალეკა წყალმა,
ბებერ მეთევზე ბრძენს გული ეწვა
და სინანული აფრქვია თვალმა,

წყალვარდნილები მთების გამთიში
გვრგვინავდა, სიყრცეს ეფარა ფარდა,
ყოველ ოჯახში შევიდა შიში
და თრთოდა ყველა, რიონის გარდა.

გლეჯავდა ხეებს ფესვებიანად
მღვრიე ტალღების ბნელი ტოტები,
მანდ სამი დღე და ღამე რიონი
ეომა ბეტონს გაბოროტებით.

ჯებირზე როგორც ბრინჯაოს კაცი
მაზარა ჩაცმულ იდგა სტალინი,
სახეზე სცემდა წვიმა და მკაცრი
ზეცა ძირს იყო ჩამოტანილი...

ბრძენმა თქვა: ხმალი და სითამამე
უხმოა, — მძლეა რიონის წყალი,
გარედ ლელავდა სიყრცე და ღამე
არ დახუჭულა მოხუცის თვალი...

გამოჩნდა დილით მზე მთაზე მაშინ —
უთხრა იმერეთს მან სამძიმარი...
ტან გაზმორებულ რიონის ხმაში
ისმოდა სამი დღის ნაწვიმარი.

წამოდგა ჯობით ღამის მთეველი
ნახა გარემო: რეცხილან მთანი, —
იდგა ჯებირი შეურყვევლი
და კლებულობდა რიონის ტანი.

ნაევდრიანი და მარად მგზავრი —
მიისწრაფოდა ზღვების თაობა,
მიიმღეროდა... უყვარდათ მძლავრი
მგოსნებ რიონის გამბედაობა...

დამონებულო! გათავდა შენი
ბატონობა და ველური რბენა,
ბნელ ტურბინებში შედი და გშვენის
ელექტრონული წიგნი და ენა.

1984 წ. იანვარი.



არისტო ზუმაბაძე

უნასთა ბუდე

მღვიმესავით მოლუშულს უშველებელ ბუხარში ნედლი ჯირკი შიშინებს, ბოლავს და არ ეკიდება.

მოხუცი პაპა საბიჯგი ჯოხით უჩიკინებს, ბუზლუნებს, იგინება. ცხრა თუ ათი წლის გოგონას კალთაში პატარა ძმა უზის. ცეცხლის პირას სიმინდის ნაქურჩი დაუხევევბია, ხუხულას უშენებს, ცდილობს გაართოს და სიმშილი დაავიწყებინოს.

— ფუჩია!

იძახის პატარა და ცეცხლისკენ ხელს იშვერს.

გოგონა ნაქურჩებს გადააბრუნებს, ზედ შერჩენილ სიმინდის მარცვალს მოსწყვეტს, გადმოზავებულ ღველფში ჩაჰფლავს და ნაქურჩით ურევს, სანამ მარცვალი არ იფეთქებს და არ დაიფუჭება.

პატარას სწორედ ეს პროცესი აინტერესებს და არა თვით ფუჩია. თვალფართო და წინდაწინვე აფანქვალეული ელოდება სანატრელ აფეთქებას, როცა სიმინდის მარცვალი ღველფის პაწია შადრევანს ააყენებს და ნაცრიდან მარგალიტივით გადმოგორდება.

ფუჩია, ფუჩია,

გეიკეთე ტუჩია!

იძახის პატარა და იმ ადგილს თვალს არ აშორებს, სადაც მისი ვარაუდით აფეთქება უნდა მოხდეს. ხანდახან ანგარიში გაუტრუფდება: ფუჩია სწორედ იქიდან ამოხტება, საიდანაც პატარა სრულიად არ ელოდება. ზოგჯერ კი სულაც არ დაიფუჭება.

ბუზრის ერთ ყურეში თემური მოთავსებულა: გაწვდილ ფეხებზე სკამი გადაუდგამს, ზედ წიგნი გაუშლია და გაკვეთილს იხეპირებს. (პაპა მას „კურსოვნის“ ეძახის იმიტომ, რომ თემურმა ოთხწლედ იქვე დაასრულა). ებრძვის თემური ლექსის ძნელსათქმელ სტრიქონებს და აკვანივით იქით-აქით ირწყევა.

— შეელო, ნაკვრები მაინც მიაყარე ამ დასაწვავს. გაგინათებს და გაგიადვილდება.

ურჩევს პაპა, რაკი შვილიშვილის გასაჭირს ჰხედავს.

— ადგი, გოგო, ნაკვრები შეიტანე!

თავის შბრით უბრძანებს იგი მარიკას, რომელსაც უკვე ჩასთვლემია, ლოყით პატარა ძმის კეფას დაჰყრდნობია.

უფროსი და-ძმა კატა-ძალღივითაა ერთმანეთს გადაკიდებულნი. ზემურს თავისი „კურსოვნეობით“ თავი მოაქვს, მცირე რამ დასაქმებულნი უნდა იყოს. საამისოდ მარიკა ჰყავს დაჯანბნებული, მაგრამ ესეც [ტოლს] არ უნდება: ისეთი უკმეხია, რომ მისი წვეტიანი ენა ზოგიერთ დედამთილსაც კი შეშურდება.

— ჭვიჭვირა, შენ გეუნები!

ლეკის სტრიქონებს შორის მექანიკურად ჩაურთავს თემური მარჩიასადმი მიმართულ ბრძანებას, მაგრამ გოგონას მისი აღარ ესმის: უკვე ძილის საამო კარი შეუღია და მშვიდად ფშვინავს.

მაშინ თემური წინა თითს დაისველებს, ნაცარში სტუცავს და მარიკას დაფრინულ პირსკენ გააპარებს ისე, რომ სულიკომ არ შენიშნოს, რადგან იგი დის ერთგული დამცველია ყოველთვის, ბრალისა თუ უბრალობის დროს.

მაგრამ პატარას თვალს აბა რა გამოეპარება? მან უკვე შეამჩნია უფროსი ძმის ოინი და გაღიზიანებულ ლეკვივით წამოიქოჩა:

— ჰა!

მიიძახა ძმას და მიძინარე დას კისერზე მოეხვია. თემურმა განზრახვის განხორციელება ვეღარ გაბედა, რადგან კარგად იცოდა, რაც მოელოდა: მარჯვენა მაჯაზე ახლაც დაღად აზის სულიკოს ბასრი კბილების ნაკვალევი, რაც ერთ-ერთი ამგვარი სიანცის შედეგია. ვეღარ გაბედა იმიტომ, რომ მთელს ოჯახში პატარა გაუტეხელი შეუვალობის უფლებითაა აღჭურვილი.

ოჯახში, მართალია, თემურიც ყველას უყვარს, როგორც უფროსი ვაჟი და თანაც საჭებური ბიჭი. ბევრიც ეპატიება ხოლმე, განსაკუთრებით პაპას წყალობით, მაგრამ ამასთანავე, რაკი უფროსია და „სწავლული“, პასუხისმგებლობაც მეტი აქვს დაკისრებული.

როცა ორ ძმას შორის რაიმე კონფლიქტი ჩამოვარდება, ხოლო ასეთი მოვლენა კი არც თუ ისე ძვირია, მტყუანი და ჩაგრული ყოველთვის უფროსი ძმა გამოდის. ამ დროს უკვე თემურის მფარველი პაპაც კი ნირს იცვლის და მის წინააღმდეგ მიეკრძობებულ მსაჯულად გამოდის.

ამ ორ აქტემს შორის მარიკა უთუოდ გაიკუციტებოდა, რომ სულიკოს სუსტი, მაგრამ მაინც ძლიერი მარჯვენა არ მფარველობდეს. უმადური არც მარიკა: პატარა ძმას დედის მაგიერობას უწევს, რადგან დედა აგერ მეორე თვეა ლოგინად არის ჩავარდნილი და არც მკვდარია, და არც ცოცხალი.

— ეგ რო წეიქცა, ჩვენი ოჯახიც მაშინ დეიქცა.

ასე ამბობს თავის რძალზე მოხუცი პაპა და ებრალება ეს თითქმის ობლად შთენილი ბალები, ებრალება თვით სნეულიც, მაგრამ რა ჰქნას? თვალს აღარ უჭრის, მუხლსა და მკლავსაც ღონე გამოლევია, თორემ ცოტას მაინც შეეფარებოდა გაჭირვებულ ოჯახს. ებრალება... აბა მეტი რა შეუძლია!

გარედ თებერვალი ჰბერავს. სუსხიან ჭვენას ნოტიო თოვლი მოაქვს და ფიცრული სახლის ჩალით შემოკეთებულ თარალებს აფაჩუნებს.

კაპიან საბიჯგზე ილლით შემგდარი, ცეცხლს ჩაჰყურებს გარჯილი ბერიკაცი და ჰფიქრობს ძნელი და მძიმე ცხოვრების რთულ ამოცანას.

ჰფიქრობს და ვერ ამოუცნია: რა უნახავს და რას მოესწრო.



ნახვით ერთობ ბევრი რამ უნახავს; უფრო მეტიც პირადად განუცდია თუ გამოუცდია. უსახო მრიცხველმა, ვისაც ვამს ეძახიან, წყნუქუქუქუქუქ 17, აგერ სამოცდა მეთვრამეტეჯერ დაუკაუნა მისი სიცოცხლის კვანძს ქვიჩის, იქნებ ეს უკანასკნელი, გამაფრთხილებელი კაჟუნიც იყოს, მაგრამ მოხუც მისთვის ყური როდი უთხოვებია.

მას დღესაც ისევე შეუღლებელად უყვარს სიცოცხლე, როგორც, ალბად, ყრმობის ცხუნარე შუადღისას უყვარდა. უყვარს იმიტომ, რომ ცხოვრებას გვიან, ძალიან გვიან გაუტნო გემო და მისი ტკბილ-მწარე ჯერაც არ მოკიკებია.

საზოგადოდ, თიბაძიანთ გვარს თურმე ასე სჩვევია: ყოველი საქმე და ნახრახი უთუოდ უნდა დაუგვიანდეს, თითქოს ამ ქვეყნად დრო და მოცალეობა არა ჰყოფნისო.

აი ესეც, თვით კიკოლა თიბაძე, კარგა მოწიფული იყო, რომ შრომისა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა: მამას ჰყავდა გააზატებული. უყვარდა მშვილდისარი და მალალ სერებზე სიარული. სადმე, ტიალ მინდორს გავიდოდა, ზურგზე დაწებოდა, ორივე ფეხს მშვილდს მიაჭერდა, ლარს მოზიდავდა და ისარს ზუზუნით გააფრენდა. მერე, ასე ფეხაშვრილი, კარგა ხანს ისრის ჩამოფრენას ელოდებოდა და თან უდარდელად ლილინებდა:

მალლა ისარი ავაგდე,
ჩამოვიდა ლახლახითა,
ჩენი ბატონის მუცელი
აივსო გველ-ბაყაყითა.

უკეთუ დაბრუნებული ისარი იმ ადგილიდან, საიდანაც აავდო, ორი წყრთის მანძილს მაინც გაცდებოდა, ნასროლი ცუდი იყო და ამიტომ ხელ-ახლა უნდა აეგდო.

ასე ივარჯიშებდა, სანამ თავისას არ გაიტანდა. ეს რომ მოსწყინდებოდა, გაღმა სერებზე მწყემსებს გასძახებდა და საშაიროდ გაახელებდა. იმ უბანში მისი შაირი განთქმული იყო და ამიტომ მასთან შებმას აგრერივად ვერავინ ბედავდა. სასოფლო წყაროს ტვიტკირის კედელ თაღები და ეკლესიის გალავანი სულ მისი შაირებით იყო მოჩითული.

ვისაც მოკითხვის ან სააშვიკო კაი ბარათის დაწერა სურდა, უთუოდ „ტარუკა კიკოსთვის“ უნდა მიემართნა. იმისთანა წიგნს „გამოიყვანდა“, რომ სოფლის ათქვირებულ გოგოებს ცხადში სულ სიზმარს გაუბშირებდა.

ასეთი ცოდნა იმ დროს ერთგვარ კაპიტალს წარმოადგენდა - და კიკოსაც ბლომად მოსდიოდა თვისი იოლი ხელობის გასამრჯელო: კრელყელა წინდები, ხატულა ხელთათმანები, ნავიგირისტევი ახალუხები, ნაირნაირი ხილი და სუქანი ხაჰპატურები. ამის გამო იმთავითვე მუქთად ძლომასა და რბილად წოლას მიეწვია.

საკუთარი ოჯახისა და ბატონის სამსახური ფეხებზე ეკიდა. მისი ტოლეები რომ შრომით გარჯილნი შინ ბრუნდებოდნენ ხოლმე, იგი, პირიქით, მთვარიან ღამის სათევად მიეშურებოდა, ხოლო დილით თვალს მაშინაც ძლივს ამოიფშენებდა, როცა მისის მზე შუბის ტარს იყო აღმართული.



უქნარა ხარ, პაპაო,
არ გერგება ბაბაო.

ე. ი. მჭადიო, აღერსით ეტყოდა ხოლმე მასავით მოწამრქე მამაწმინაზედაც
ღირსეული შვილიშვილი ასე უპასუხებდა:

ქადის ქამით რათ გავიგლეს კბილებსა,
ვეგრ სოფლის გოგოები მიმზადებენ ტკბილებსა.

პაი, პაი, არ შეგრჩებო, თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე ნაცადი პაპა,
და კიკოს მართლაც მალე აუხდა უფროსის ნათქვამი.

შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს, ბატონის კარზე, კამურის საკრეფად ხეზე
ასულს მამა მისს ფეხ ქვეშ ტოტი მოუტყდა და გიდლიანა ძირს წამოსული ლო-
ბის მარგილს ფერდით დაეცვა.

მას შემდეგ უჯიათმა ცხოვრებამ გააზატებულ კიკოლას იდაყვით სულ მა-
რილი ანაყინა. ოჯახს პატრონობა უნდოდა, ბატონს კი — სამსახური. ნებიერი
კიკო ვერცერთს ვერ შეეგუა. ყველაფერი მრუდე და ურიგო გამოუდიოდა. შინ
ძმებმა არ უძმეს, გარედ დავალებულმა მეზობლებმა ამაგი აღარ დაუფასეს. სო-
ფლის გოგოებმა ხომ სულ აიბუეს, როცა კრუხივით ფრთებამოყრილი ნახეს.

მამის ოჯახს ბატონისა, სხვათა შორის, ესეც ემართა: საშობოდ შვიდი
მტკაველი გაატკენილი ქოსმანი უნდა მიერთმია. კიკომაც წესი არ დაარღვია:
კორკოტობის საღამოს, ყბამოტყეულსა და ელამ ბატონს ნასუქი ტახი საკუთა-
რის ზურგით აუტანა. რიგისამებრ მიესალმა, მომავალი დღესასწაული მიულო-
ცა და კიდევ მრავალის დასწრება უსურვა.

ბატონმა ბურვაკი საკუთარის ხელით გააზომინა. საუბედუროდ, შვიდ
მტკაველს ერთი ხელიდადებდა დააკლდა. ბატონი გაჯავრდა, მირთმეული არ იჩი-
ნია, ფეხი უკრა და ხონიანა ძირს დაუშო. თანათ კაი-კაი შეუკურთხა:

— არაქელა რო იყავი, ვიცოდი, მაგრამ ამას თუ გამიბედავდი, არ მე-
გონაო. დაიკარგე აქედან მაგ ბლინკიანა, სანამ შენი კაი მამის სული ავად არ
მიხსენებიაო.

ამბოხებულ სულს კიკომ მოთმინების სარკველი დაიფარა. აქავებულ ენას
კბილი დააჭირა და დაწუნებული ძღვენი კვლავ ზურგზე აიკიდა.

გამგუნებული ბატონი ამაოდ ელოდებოდა სამაგიეროს მირთმევას: შემრი-
გედ მოსულ ხაბაზს კიკომ სულ კუდით ქვა ასროლინა:

— ეს თუ არ გნებაგს, წადი და ჩემი ღორის მაგიერ შენს ბატონს თვითონ
შენ დაეკვლევიანო.

იმ ღამეს ის ღორი ლაზათიანად აქნა, ნაწილი მარილ-წყალში მოხარშა,
ნაწილიც სამწვადედ ააგო. დილით ადრე აღგა, ხელ-პირი საპნით დაიბანა. მერე
საკურთხის კალათი გააწყო და მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად ეკლე-
სიაზე წაიღო.

გალავანში, მარცხად, ბატონს შეეყარა: კუშტი და მწყრალი იყო, რო-
გორც ნამწვეი ნაგაზი. კიკომ გვერდის აქცევა სცადა, არ მოუხერხდა. ბატონმა
ცხენს დეზი ჰკრა, ურჩი ყმა გალავნის ყურეში მიიგდო და ორიოდ აფხაზური
მათრახი უთავაზა, თანაც ისე იბოდიშა:

— წირვა რომ მოსასმენი არ მქონოდა, მაგას როდი დავაჯერებდიო!

ხალხმა რომ ასეთი შერცხვენა ნახა, საღარო ყიყინა დააყარა. რეტდას-
ხმული კიკო გალავანს მოეგლო და, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, წუწია ბა-
ტონს იქიდან გამოუდგა და შაირით სულ მკვდარი და ცოცხეფუქითუთხერა.

მერე საკუთობის კალათა თავზე დაახალა, გალავნიდან მსკჳჳსა! მსკჳჳსა! გადის
საშველად საქორიას უღრან ტყეებს მიაშურა.

ის დღე იყო და ის ეამი.

აქედან გაქცეული ჯგილათში მაჭავარიანს მიუვიდა. ბევრი ეძიეს, ვერ
იპოვნეს. როცა კვალი მიუგნეს, დაჰკრა ფეხი და თავი იტრიაში ამოჰყო. ერთ-
ხანს იქაურ აზნაურს, ვინმე აბაზაძეს შეეკედლა. მფარველი ალემბიცემის კაცი
იყო: საკუთარი საჩალვადრო ჰქონდა გამართული. ჯორ-ცხენით იწერეთიდან
ღვინო ამოჰქონდა და სურამ-ხაშურში ასაღებდა. იქიდან კი, სამაგიეროდ, პუ-
რი და მარილი ჩაჰქონდა.

კიკოლამ თმა და წვერი მოუშვა, ხელში ჩალვადრის შოლტი აიღო და
შორაპან-ხაშურს შუა ქარავანს დასდევდა. გასამრჯელო წელიწადში ექვსი წყვი-
ლი ქალამანი ეძლეოდა, ერთი წყვილი საგარეო, ხოლო ერთიც საშინაო ჩოხა-
ახალუხი და-თორმეტი მანეთი ვერცხლის ფული. სმა-ჭამა ზოგი ბატონისა იყო,
ზოგიც მოწყალე ქვეყნის. სადაც დაულამდებოდა, ჰერი და სუფრა იქვე მზა ჰქონ-
და. ათი-თორმეტი ჯორ-ცხენის კიდებულს ერთი ხელადა ღვინო ან ერთი მუქა
მარილი აბა რას დააკლდებოდა!

ამიტომ თვითონაც კმაყოფილი იყო და ქვეყანაც მადლიერი ჰყავდა.

ამისობაში ბატონ-ყმობაც გადაეარდა. გლეხობამ თავი აიშვა და საძყარო
ცას თვალი გაუსწორა. კიკოლას სხვის კარზე გული უკვე აღარ ერჩოდა, თავისი
ინებებისკენ ეზიდებოდა. ერთი გარემოებაც იყო: როცა ფოთი-ტფილისის
რკინის გზა გავიდა, ჩალვადრობას მახანდა დაეკარგა. ამიტომ, ერთ მშვენიერ
დღეს, კიკოლამ მფარველ აბაზაძეს თავი დაუკრა, გუდა-ხაბადი აიკრიბა და
პირი დასაველეთისაკენ ჰქნა. იქიდან რომ ფეხითა და ცალიერ-ტარაელი მოვი-
და, აქედან, სამაგიეროდ, გვარიანად დაზურგული, „მაშინით“ ჩახრაფუნდა.

სოფელში საკუთარი ბუდის ნაობარი-ლა დახვდა. ყმის უდიერობით გან-
რისხებულ ბატონს ისედაც ღარიბ ოჯახისათვის ფეხი დაეჭირებინა და მთლად
გაესრისა: აღარც ნაშვრალი, აღარც რაიმე სულადი. უმცროსი და ძმა ჩალით-
ხურულ კარავში ნახა, მშვიერი, შიშველი.

გადახეწილმა პარტახს სიცოცხლის იმედიც მიუტანა და ცხოვრების საღ-
სარიც. გრძელა და ბნელი წლებს განმავლობაში უჯიათი შრომით ნამომკირ-
ნევი სწორედ ახლა გამოადგა: ვერცხლის ქისას პირი უჩინა, ნაყმევი თავი დაი-
ხსნა, ახალი კერა დაფლა და ხელახალი ცხოვრება გააჩალა. ჩალვადრობაში
უნებურად ნაღბანდობაც ესწავლა. ამინდში რომ ვარედ მუშაობდა, ავდარში
შინ ხელოსნობდა.

გარჯილობამ დოვლათი შესძინა, დოვლათმა — სიხარული. ოდესმე ყბად-
აღებული „ტარუკა“ კიკოლა, ახლა ჩინებული გლეხი შეიქნა. მის ოჯახში რომ
მეზობელი კი არა, გადამთიელი რაიმე საციქველზე მისულიყო, არაოდეს ხელ-

ცარიელი არ გაბრუნდებოდა. მთელ სოფელში ყოველი საქმის თავი და გამძლოლი იყო: საკუთარსაც აუდიოდა, საზოგადოსაც.

დიდის გაწაფაწიით ნაშენები ოჯახი აგერ აჭამდე მოიყვანა, ვხლო გარჯილი და მოხუცებული, მოსვენებულ ცხოვრებას ჰფიქრობდა. უძღურსა და თითქმის საპყარს საკუთარი ნაამაგარიტ ტკბობა სწყუროდა, მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ამ ახალმა დროებამ სულ აუბნია დავთარი: რას ნატრობდა და როგორ აუხდა!

რა თქმა უნდა, ღმერთი აქ არაფერ შუაში იყო, მაგრამ მას კი ასე ეჯერა: ყველაფერი იქ, უსახდერო და უხილავ ცაში სწყდებოდა. ამ ქვეყნის ყოველივე გაუკებარი თუ მიუწოდომელა მისთვის ციური ეტლის ნაკარნახევი იყო: სადაც საკუთარი ჭკუა და ღონე ვეღარ გაუჭრიდა, იქ უთუოდ განგების სურვილი უნდა ეგულისხმა.

დილა-სალამოს, გაშლილს ლოგინზე მუსულმანივით მოიფრთხილდა, უსინათლო თვალბზე ხელს მიიფარებდა და უკბილო პირით დიდ ხანს, დიდ ხანს ჩიფრფებდა ექსპრომტად შეთხზულ ლოცვებს..

2.

კარგა მობინდდა. გარედ ქარ-ბუქი ზუზუნებს, კედლებს ეხლება და კარის თაღზე ურდულს აბრაახუნებს.

შინ თემური დუღუნებს, კვლავ გაუგებარ სიტყვებს ებრძვის და ვერ დაუძლევი. მარკა ზურგით პაპას მუხლს მიყრდნობია; შიშველი ტალახიანი ფეხები ნაცარში ჩაურგავს, თავი მზეზუქვრიტასავეით დაუკიდია. მის კალთაში პატარა სულიკო მოკვერულა, სძინავს და სიზმარში განაწყენებულ ლეკვივით უეცრად წაიწყმუტუნებს.

უსინათლო პაპა ყავარჯნით მიფუტულ ბუხარს უჩხიკინებს და თავის მძიმე საფიქრბელს ჰფიქრობს. კუთხეში, უსაპირო საბანსა და ჭუჭყიან ძონძებში გახვეული სნეული კენისის:

— რა წუნკალი ამიღია ეს დასაქცივი! ნეტა ი კაცი რას იგვიანებს?

— არ ვიცი, არა. გული რაცბა კაის არ მეუნება!

სულ სხვა ფიქრებში წასული უპასუხებს მოხუცი პაპა.

— რავე, ბატონო, ხო არაფერი გაგიგია?

— კი არაფერი გამიგია, მარა...

მოხუცმა ფართოდ დაამთქნარა და მერე ნამთქნარვე პირს ჯვარი დასახა.

— აპა რა იყო?

— რას ჩამაცივდი, ადამიანო? რა უნდა ყოფილიყო? ე სამიწე გული ვერ დამოიკვებია — მეთქი.

ავადმყოფმა უხმოდ მიახალა: შენს გულს ნაკვერცხალიო, მაგრამ ეს წყევლა როდი ყოფილა, არც მოხუცს ემართლებოდა რასმე, არამედ ისე გაივლო გულში, სიტყვის მასალად. მამამთილს კი ასე უსაყვედურა:

— რატო, შე მადლიანო, ამ უბედურობაში კიდე რალა ფათერაკი გვესაქიროება?

— რაცხას ი თაბუკას ბიჭი ბოდავდა, — თითქოს თავს იმარჯულებსო, გაუბედავად დაიწყუ მოხუცმა: — აღმასკომს შილეთის ხალხი ახვევია, ჩუწთვინ ვინ მეიკლისო. ვისაც წაართვეს — წაართვეს; კოლექტია ახლა აღარაფერს დოუბრუნებსო.

— რაეა, იმათაც წაართვეს რამე?

წამოიკნავლა სნეულმა.

— წაართვეს რომელია? ღელე გაღმა რო ნაფუძვარი ქონდათ, სუ ერთიანა კოლექტიამ წვილო და შარშანდელი ნამყენიც ზედ მიაყოლა.

— მერე?

— მერე და მერე. წაართვეს. ბევრი იფაფხურა, მარა კი არაფერი გამოუვიდა.

სნეულმა კვნესას უმატა.

— ი ჩვენი ბიჭიც ტყუილა ცდება, შვილო. თავსაც უბრალოთ იწუხებს, — განაგრძო მოხუცმა ცოტა დუმილის შემდეგ: — აღექსა ხეფიტარიძეს რო ხელში ჩოუფარდება რამე, მერე იმას კბილითაც ველარაფერს გამოგლეჯ.

— კი, მარა პირიდან რო ლუკმა გაგვაგდებთეს, კალონს რაღას ეუნებიან?

— კალონიც იმისია და სამართალიც.

— აბა რა უნდა ვქნათ, ადამიანო, რა?

— წადი და თავი ქვას ახალეო, ასე უთბრა თურმე ი შენ ქმარს აღექსა ვაებატონმა.

— ოოი, მაჰა-ზეციერმა რისხვა ნუ მოუშალოს მასა და მის ნაშიერს. მიდღემში აგრე წუნკალი არ იყო!

— დრონი მეფობენ, არა მეფენიო, ნათქვამია. ნეფიტარიძე მარტვა რას გახდებოდა. აბა მისი ნაკეთები საქმე ვის უნახავს? მიდღემში საკასპოს ძალი-ვით იყო გაწუწუებული. ვაი დედასა, მაგისტანა საქმეს ის უნდა თაობდეს?

— მერე თავრობას მაგისტანა უხამსი რაში გამუადგება?

— ეჰ, შენც აბირდები ერთი! — გაჯავრდა ბერიკაცი: — აბა თავრობას შენთვის ცალია სწორეთ! სულ იმის ფიქრშია თურმე: აღექსა ნეფიტარიძემ კიკოლა თიბაძეს რა აწყენია ან რა აამაო.

— მეც მაგას არ გირჩინებდიყე? ჩადით და თავრობის ყურამდი მიიტანეთ ჩვენი გაჭირვების ამბავი — მეთქი. რაეა დევიჯერო, კალონმა მისი აკაკობა იცოდეს და ასე ოღუვას!

— აღდომა და... ხვალეო. სადაც არი, შენი ქმარიც მოვა და გევიფე. რა გამოუდნა.

უგულოდ მიუგო მოხუცმა და ისევ მიმჭრალ ბუხარს დაუწყო ჩხრეკა. სნეულმაც გვერდი იბრუნა და ახლა, კვნესის მაგიერ, გახშორებულ ოხვრას მოჰყვა. გარედ კვლავ ქარიშხალი ზუზუნებს, შინ კი ძილმორეული თემური...

3.

თოვლით გაბიძგულს ლაფიან ორლობებში უსახროდ მოაბიჯებს ელიზბარ თიბაძე, პირდაპირ შუა გზას დასდგომია: არც ორმოს არჩევს, არც მერდევენს. თავში ფიქრი აღარ ეტყევა, გულში კი — ნალველი. დამარჯაფებული

ცხენი სადავით მოჰყავს, თვითონ კი ჰყაპში კოკამდე იშვალუბება. ისიც კი ვე-
ლარ მოუსაზრებია, რომ ცხენს შესჯდეს და, ისედაც დაგვიანებული, თავის მი-
ზანს დროულად ეწიოს.

მოდის და მალი-მალ უეცრად შედგება, დააყურებს, თითქოს ვისმე ელო-
დება, ან მაშველს ეძებსო. მაშინ ოქრუა-ცხენიც წამოიყუვა, სოველ დრუნჩს ზედ-
ყურთან მიუტანს და თბილ-ნესტიანად ჩააოროტლებს. გაღენჩებულ პატრონს,
აღბად, ეს თუ გამოაფხიზლებს ხოლმე, რადგან იგი უკმეხად ჩაპკრავს ლაგამს უდა-
ნაშაულო პირუტყვსა და ისევ უმწეო ლასლასით განაგრძობს მიყურებულ გზას.

უბრალოდ განაწყენებული ოქრუა ლაგამს უხრამუნებს, თითქოს პატრონს
ეუბნება, სათვალავში არ დაგავიწყდე, ჰემა ხომ მეც მინდო.

რასაკვირველია, ჰემა ყველას უნდა: პატარა სულიკოსა და გამრჯელ მარი-
კას, დედის მაგიერ რომ დიასახლისობას ეწევა; „კურსოვნიკ“ თემურსა და უსი-
ნათლო პაპას, სნეულ ვასასის, ვისაც რძისა და ფაფის მეტი არაფერი ეჭმევა,
და... თვით მას, ელიზბარ თიბაძეს... ოქრუასაც, ჰო, ოქრუასაც! — კინალამ მარ-
თლა დაავიწყდა — ოქრუაც ხომ საამო ფრთქვენით მიირთმევედა ხოლმე ნაახო-
ვარში მოყვანილს ნაფოტა ყვითელ სიმინდს! რა თქმა უნდა, სათვალავში ყველა
ჩასავდებია, მაგრამ...

— ოოჰ, ალექსა, ალექსა!

უმწეოდ ამოიგმინა და გაჩერდა. ცხენი დაასადავა. ის იყო, უზანგში ფეხი
შესდგა, რომ უეცრად ნიავემა შორეული სიმღერის ხმა მოიტანა, დააყურა.
სიმღერა უეცრადვე შესწყდა, აღბად, ჰარმა ახლა სხვა მზრისკენ წაიღო.

თიბაძე შესჯდა და კვლავ ფიქრს მიეცა: განა კიკოლა ნალბანდის ოჯახს
მკვადი სანატრელი ჰქონდა? არა, თავზე საყრელი არაოდეს ჰქონია, მა-
გრამ არც მშვიერი ყოფილა. აისიდან დაისამდე, მამა-შვილი სამოყიან თოხს
შავ მიწას ურტყამდა და ეკალ-ჯაგნარით მოცულ საახოვს მწარე ლუქმას
ართმევდა. ვასტებეს, ვასწმინდეს, დაბარეს და დომეს, იქ, სადაც წინად ძა-
ლი დაუგლეჯელ კუდს ვერ გაიტანდა, ზღვასავით ლურჯი ყანა დატრიალდა,
მშრომელს გული გაუხარა, უქნარას კი — შური და ღვარძლი ანთხვეინა.

ჰო და, ალექსა ნეფიტარიძის გულიც გესლით აივსო: თიბაძიანთ ყანას
რომ თვალი მოჰკრა, სასოფლო საბუკოში ასეთი საკითხი აღძრა:

„ვინაიდან ჩვენს კოლექტივს ვარგისი საყანე მიწა არ ჰყოფნის, ხოლო
კიკოლა თიბაძეს კი ჰარბად აქვს, ამიტომ იმ კულაკს ჩამოერთვას ნაახოვარი
ორი ქცევა, რომელიც კოლექტივის ფართობშია შეჭრილიო“.

თუმცა თიბაძეები კულაკები არაოდეს ყოფილან და არც მათი ნაახოვარი
ყოფილა კოლმეურნეობის ფარდში შეჭრილი, სასოფლო საბუკომ მაინც შეიწყ-
ნარა მისი შუამდგომლობა და კიკოლა თიბაძის ოჯახს „სასოფლო სამეურნეო
არტელის „სამაგალითო“-ს ფართობის დარღველების მიზნით“ (ოქმში ასე
ეწერა), დათესილ ნაახოვარზე ხელი ააღებინა.

მას შემდეგ, ელიზბარ თიბაძე რიგის ცხენივით იყო გაბმული სოფლის
საბუკოსა და ჯალმასკომს შუა. სოფლის საბუკო რაიონზე უთითებდა, რაიონი კი,
თავის მხრით, ისევ სოფლის საბუკოში ჰგზავნიდა, ხოლო საქმეს მაინც არაფერი
ეშველა. არ იქნა, გადაჭრილ პასუხს — აესა თუ კაის — ვერსად ეღიროსა.

დღეს-ხვალობაში, აგერ წელიწადი კიდევ გავიდა, ხოლო როცა დღეს, დაპირებისამებრ, თიბაძე რაიალმასკომის მიწვანში გამოცხადდა, პასუხად ასე უთბრეს:

„შენი განცხადება ჩვენთან მიღებული არ არისო“.

— შეე კაი კაცო, — ეუბნება გამოცხადებული თიბაძე: — თუ აგრე იყო, ამდენ ხანს რაღას მალორებდით?

— რავე, შენს გარდა, სხვა საქმე არაფერი გვაქ თუ? შენისთანა დღეში ათასი მოდის აქა.

— არ მიგვალიაო! მეტი მიღება რაღა იქნება: აქ სიარულით ფეხიგულს ტყავი ვადამძვრა და ჩემი ვაჭირვების ამბავი ველარ გეიგეთ?

— რა ვქნათ, ამხანაგო, — იმართლებს თავს ადგილობრივი პატარა ბიუროკრატი: — ხომ არ დამესიზმრებოდა, რას თხოულობდი?

— კი, მარა ჩემი საკუთარი ხელით არ ჩავაბარეყე? ნომერი მამეცი შეთქი და, მითბრეს, არ გინდაო.

— რო ჩავვაბარე, ხომ არ შევკამდით? ალბად, სოფლის საბჭოს გადაუგზავნეთ ახსნა-განმარტების წარმოსადგეხად.

— არ ვიცეი, ღმერთმანი! ვერაფერი გამიგია: მე სოფლის საბჭოს უჩივი უკალონობას და თქვენ ისევე იმას უგზანით? აბა ჩემ საქმეს რა ხეირი დეყრებოდა!

— ასეა, ამხანაგო, და რას იზამ!

— მეც იმას მოგახსენებ, რო ჩემ საქმეს არაფერი ეშველებოდა-მეთქი. იმით რო სამართალი გეჩინათ ჩემთვინ, თქვენ კი ალარ შეგაწუხებდიყე!

— ამხანაგო, ყური გაბია თუ არა? რომ გეუბნები, უნდა გეიგო: სოფელს თუ არ შევეკითხეთ, აბა ისე რა ვიცეი? გულთმისანი ხომ არა ვართ, რომ ერთ ფოშტაზე რა ხდება, ყოველიფერი ვიცოდეთ?

— მართალია, შენი ქირიმე, მარა რო ქე ვაცოდინეყე! ცოლ-შვილი ნუ გამიწყდება, იმ ქალაღში ყოლიფერი სიმართლე იყო. სულ იმტერესით ვარ დაღუპული...

— შესაძლებელია მარა...

— შესაძლებელი კი არა, პატიოსნებას გეფიცები, ნამდვილი სიმართლეა. ასე თავი დამექცეს, თუ ტყუილს გეუბნებოდი!

და თიბაძემ ქუდის ნარჩენი მოიგლიჯა და ბიუროკრატის გაქუცულ მაგიდას დასთბლიშა. გაბეზრებულმა თანამშრომელმა თვალები აახამხამა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყყო, წელში გასწორდა, სკამი აქრაქუნა და „გაუგებარ“ მთხოვნელს ასე მიმართა:

— მოქალაქე, ვიცეი, მჯერა... მაგრამ ერთი მითხარი: შენ რო მოსამართლედ დაგაჯინონ, მარტვა ერთ მხარეს მოუსმინდი და ისე გადაწყვეტილი საქმეს?

თიბაძეს უღვაწებში მწარედ ჩაელიმა.

— მაგას არც მე ვთხოულობ.

— აბა რაღას მაწუხებ აქანა?

— გაპირვება მაღვია, შენი ქირიმე, და იმიტომ ვაწუხებ.



— მერე მე რა უნდა გიყო, ამხანაგო, რა?

— რაი და სამართალი უნდა გამოიჩინო! რო მამკლამ, გეჩვენებო, რო გა-
მაგდებინო თავი, შენს გარდა გზა მაინც არსა მაქ...

სთქვა და კისერზე აყაფრული ხელი დაიდო.

— მოდი ახლა და ამას ელაპარაკე!

სასოწარკვეთილებით წამოიძახა მიწვანის გამგემ და აკანკალებულის ხე-
ლით ქალაღდებს ჩიჩქნა დაუწყეო.

გავიდა ხანი: ათი წუთი, თხუთმეტი. თიბაძე მოშორებით სდგა. ჯორი-
ვით ფეხიდან ფეხზე იწონება. გამგე ისევე ქალაღდებში იჩიჩქნება, ვითომ სან-
ქარო საქმეები აქვს და თიბაძისთვის არა სცალია. ნამდვილად კი ვადამკიდე—
მთხოვნელის წასვლას ელოდება, როდის მობეზრდეს და თავიდან მოშორდესო.

მთხოვნელს კი იმედი არ ეკარგება: გამგე რომ ქალაღდებს ატრიალებს,
თიბაძეს ჰგონია, ჩემ საქმეს ეძებს და აი აგერ გამოიჩინესო.

ბოლოს, რაკი მოლოდინი არცერთს არ გაუმართლდა, ისევე მთხოვნელმა
დაარღვია დაქვიშული მღვამარეობა. ერთი გაუბედვეი ნაბიჯი წინ წასდგა, ისე-
დაც მოთელილი ნაქუდარი კიდევ უფრო აწამა და ღრეჯით შეეკითხა:

— ამა რა გზაზე დამაყენებ, ამხანაგო?

გამგემ ბრაზით ქალაღდები დამუშტა, ხან ერთ მხარეს მიაგდო, ხან მე-
ორეს. მერე აკენცა, ააფორიაქა და ძლივს იპოვნა, რასაც ეძებდა: ზარი. იპო-
ვნა და საცოდავად დაახრიალა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, გვერდის ოთახის კარი აღრიალდა, ღრეკოში
გაჩეჩილი თავი გამოჩნდა ყელამდე, წინ აბოლებული პაპიროსი უძლოდა.

— ინსტრუქტორს დამიძახე!

თავი იმწამსვე გაქრა და ახლა სხვა გამოჩნდა, მელოტი და ხრიკასავით-
წოწოლა.

— არ გახლავთ, ბატონო!

— ბოგვერადე?

— ეს არი, ახლა გვეიდა!

— სად ეშმაკებში დგეთრევიან?— განრისხდა ბიუროკრატი: — აღი, მდივანს
სთხოვე!

— თათბირზეა, ბატონო!

გამგემ, უმწუბობის გამო, ენა ველარ დაიმორჩილა, მაგრამ თვალი კი ისეთი
მისას დარცხვენილ თანამშრომელს, რომ, გვეგონებოდათ, ყველაფრის მიზეზი ეს
არის: ამ გლეხის გაქირებვისაც და იმ გარემოებისაც, რომ საჭირო პირები
თავიანთ ადგილს არ სხედანო.

— რაშია საქმე, ამხანაგო? იქნებ მე გამოვარკვიო რამე...

მიმართა მან გაღენჩებულ თიბაძეს.

— რაშია, ბატონო, და შარშან ქაბალდი მქონდა შამოტანილი...

— შარშანაო?

— დიახ. ჩემი სიმართლე ყოლიფერი იმაში ეწერა,

— ჰო, მერე რას თხოულობდი?

— კი არ ვთხოულობდი, ვჩიოდი, შენი კირიმე.



- ეგ სულერთია, რას ჩიოდი?
- რასა და კოლექტივამ ადგილი წამართვა...
- კოლექტივმა?
- დიახ, ბატონო, ალექსა ნეფიტარიძემ.
- ჰოო! შეიცა, შეიცა. რა გვარი ზარ?
- თიბაძე.
- ზურეთელი არა?
- დიახ, შენი ჭირიმე! მე ქე გიცნოფ, მარა...
- ნალბანდის შვილი ხარ, ხომ?
- კიკოლასი...

— ამათი საქმე, ამხანაგო გამგე,— მიუბრუნდა, იგი მიწვანს:— შარშან ხინთიბიძეს ქონდა სარკვევათ.

— ა? რაო?

თავისთვის წაიდუღუნა გამგემ.

— შარშანდელი საქმეა.

— მერე?

— მერე და... ხინთიბიძე ქე მოხსნეს.

— ჯანდაბას იმიის თავი! რო მოხსნეს საქმე რა იქნა?

— ყოლიფერი ჩემი სიმართლე იმ ქახალდში იყო გამოყვანილი...

საწყლად ჩაურთო თიბაძემ.

— მაგისი კი არაფერი ვიცი სწორედ.

სთქვა და უიმედოდ ხელები გადაშალა.

— არ იცი და... მოავგარეთ ახლა რავარც გინდათ!

მიახალა გამგემ და პორტფელს ხელი დასტაცა. დასტაცა და საჩქაროდ კარი გაიარა.

როცა ეს ორი პირისპირ დარჩა, თიბაძე ახლა იმას ჩამოეკიდა:

— ახლა რა უნდა ვქნა, შენი ჭირიმე?

— არაფერი: ჩამოგართვეს და კანონიერთაც შეიქცენ.

— იმე, ამისთანა უსაშველო დაადგა შენ მტერს!

— შე მამაცხონებულო, რო აგილია თავი და დაყანტალობ, საქმე არაფერი გაქ?

— ღმერთო, მამკალი აქავე! ამაზე მეტი საქმე რაღა იქნება? სარჩო-საბადებელი წამართვეს უკალონოთ და...

— რა არი უკანონო? კოლექტივის გამტკიცება უკანონოა? აბა წეიკითხე უკანასკნელი დეკრეტი და გაიგებ თუ უკანონოა!

ამ შეძახილზე თიბაძე ოდნავ შეკრთა, მაგრამ როდი აიბნა.

— კოლექტიაზე კი არ მოგახსენებ, შენი ჭირიმე. მე ნეფიტარიძესთან მაქ საქმე, იმან ჩამავლო ამ ცუცხლში.

— ნეფიტარიძე ხო თავმჯდომარეა?

— ჰო და, სწორეთ იმიტომაც დამიბრიყვა კერძო იმტერესით.

— ვიცი, ვიცი. თქვენ ყველას კერძო ინტერესი გაკერით პირზე.

— თავი ნუ დამეტყევა, სიმართლეს გეუბნები.

— კაი, კაი ერთი! რაც უნდა მითხრა, მაგ საქმეს მაინც არაფერი/ემშვე-
ლება.

— რატო, ბატონო, რატო?

ეს რომ სთქვა, თვალს ცრემლი მოეძალა.

— იპიტომ, რომ შენი გულისთვინ კოლექტივს არავეინ დაშლის.

— მერე, კოლექტივს ვინ ერჩის?!

— თუ არ ერჩი, ამა მაგ თავს რალაზე იტეხავ?

— იმაზე, ამხანაგო, რომ იმტერესით ვარ ჩავარდნილი.

თანამშრომელმა გაჭირვების გამო მელოტი თავი წაიფხანა.

— სოფლის საბჭოში არ გარჩეულა?

— ისე გვიჩანს, შენი კირიმე, რომ თელი საბჭო ნეფიტარიძემ გედვიბირა.

— ჰოოო, მაშ, საბჭომ უარი გითხრა?

— ნეფიტარიძემ მაშიწყო: იმდენი იჩიკინა, იმდენი იმამაძალა, რომ ყველა დააჯერა.

— ამა მე რალა უნდა გიყო? საბჭოს დაუდგენია და ეგ არი!

ეს უთხრა და კარი შეიხურა.

დარჩა თიბაძე გარიყულ თევზივით. გამშრალი სხსა ძლივს დაისველა. ჯერ იმ კარს შიშტერდა, სადაც ეს ახირებული მოსამართლე დაიშალა. მერე ნალელიანის თვალით კედლებზე გამწყრივებული პორტრეტები ჩამოათვალდგრა; ბოლოს საკუთარ გაცრეცილ ქუდს დააქცერდა, უაზროდ გადააბრუნ-გადმოაბრუნა, თითქოს თავისად ვეღარ უცნიაო, და ზოზინით გარედ გავიდა, მაგრამ ფეხები უკანვე რჩებოდა.

კიბის თავზე ოდნავ შესდგა, თითქოს რალაც გაახსენდაო, უცბად შეტრიალდა. კარი კრმალვით შეღო და ისევ იმ თანამშრომლის წინ აიტუზა.

მან რომ თიბაძე კვლავ დაბრუნებული ნახა, კინაღამ ელდა ეცა. მტრულად შეუბღვირა, პირი დააღო (ალბად საყვირლად), მაკრამ რაკი მთხოვნელის სახეზე ნაცემი ძალის სინანული ნახა, თვალის ძალად გააღიმა და ირონიულად ჰკითხა!

— ხომ არაფერი დაგრჩენია?

თიბაძე ახლოს მივიდა, მორიდებით, ფეხაკრეფით.

— ამხანაგო იაშა! მიშველე რამე და...

— ხომ გითხარი, მოქალაქე?

— მამებმარე და თუ ვიცოცხლე...

— რანიირათ უნდა მოკვებმარო, ერთი მითხარი?

— ცოლ-შვილს გაფიცებ, შენ კაი ცოლ-შვილს...

იაშა ოდნავ მოლბა. თვალეში ჩააქცერდა.

— აბა რა უნდა გიშველო?

თითქოს თავისთვის წაილაპარაკაო.

— შენ ყოლიფერი შეგიძლია. მიშველე. მამიხერხე და... მე იმისთანა კაცი როდი ვარ, რომ პატივისცემა დევიმიწყო...

იაშამ ცალი წარბი ზემოდ აზიდა, დამუწული ტუჩის კუთხე რალაცნაირად დაქმუტუნა და ცალი ხელი გაშალა, მერე ზედ დააქცერდა და კითხვითვე უპასუხა.

— რა გიყო? რა მოგიხერხო?

— იქნება კამისია დამინიშნო, — უქარნახა თიბაძემ: — მობძანდით, ბატონო, ნახეთ ჩემი სისაწყლუ და, თუ დასარჯელი ვერ, ენაყაღარ დევნი-
ვლებ.

— კამისია?

— ჰო, შენი კირიმე!

— კარკი, ვნახოთ.

— ოღონ ამ გაკირვებიდან გამამიყვანე და კაცი არ ვიყო თუ...

— ვნახოთ. ნამდვილათ ვერ დაგპირდები, მარა... ვნახოთ.

თიბაძემ ოდნავ სუბუქად ამოისუნთქა. გულშიც იმედის ნასახი გაუკრთა. თავი დაბლა დაუკრა და, ის იყო, წასვლა დააპირა, მაგრამ მყისვე შემოტრიალდა, მობაასეს მადლიერი თვალი მიაპყრო და გაუბედავად ჰკითხა, წყნარად, თითქმის ჩურჩულით:

— უკაცრავათ, ისევ ტაბუხაძისას ბინადრობთ ხომ?

იაშა მიხვდა; ოდნავ წამოწითლდა.

— რატო მეკითხები?

— ისე... იქით ხშირად დევიარები ხოლმე და...

ალარ დაასრულა. კვლავ თავი დაუკრა. კარი მორიდებით გააღო და უქან-უქან სიარულით, ზურგშეუქცევლად გავიდა...

4.

ასე იყო დღეს. ასევე იყო ვუსინ, გუსინწინ, იმ კვირაში, ერთი თავისა და ერთი წლის წინადაც. მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა.

— ოჰ-მეე, ალექსა!

უმწეო ბრაზით ამოიგმინა და მათრაბი მოწყვეტ დაიქნია. დაქნეული, ალექსას მაგიერ, საბრალო ოქრუას მოხვდა და ლაგამი აახრამუნებინა. პირუტყვმა მუხლი მოიმარჯვა, აღმართი ხენეშით აირბინა. დაღმართს რომ დაეკიდენ, წელანდელი შორეული სიმღერა თიბაძეს ახლა შიგ პირში ეცა:

ექიმმა მითხრა, გული გტკენია.

ვაააი, ვაააი...

ბუსავით გაჰკიოდა ორი მთერალი ხმა. არ იაშა თიბაძეს ასეთი შეხვედრა: კუდი რამ იგუმანა. გადახვევა დააპირა, არ მოუხერხდა: შეხვედურნი უკვე გაუსწორდენ.

— სტოი!

მოაძახა ერთმა და წინ გადაუდგა. მეორე კი, ცოტა ჩამორჩენილი, ისევ გაჰკიოდა უაზროდ, ინერციით.

— რრრაშია საქმე, ბბოშო?

იკითხა ჩამორჩენილმა, როცა ცხენოსანი დაინახა.

თიბაძეს გული აუბაგუნდა, ყურის ძირებში ცხელი სისხლი აუწიშინდა. იცნო: ერთი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო, მეორე კი მოსისხარი ნეფიტარიძე.

— გამარჯობა თქვენი!



- პირაქეთ დაასწრო სალამი თიბაძემ.
- გაა-გიმარჯოს თუ კაი რძალი გყავს.
- მიუგო პირველმა და ბარბაცით ახლოს მივიდა.
- ვინა ხარ, კაცო? ვინ ეშმა...
- და ნეფიტარიძემ მყრალად შეიგინა.
- მეე... არა ვარ შორებელი.
- რაო? ვისი დედაო?
- ახლობელი ვარ-მეთქი.
- ისემც კაი დაგე-დაგე... მართოს;— ძლივს წაიბლუყუნა თავმჯდომარემ და სქლად დაამოყინა:— ამხანაგო, არ... არ შეიძლება, რო მაგ ცხენი... ეგ ცხენი დაგვი-დაგვითთმომო? ესე იგი... ცკოტა მეტტი მოგვი-ვიდა. მარა ნიჩჩეგო...
- ვინ არი, ბოშო, გამა-გაგებეი...
- იძახის ნეფიტარიძე.
- მაგაზე უარს რაფა გკადრებდით, რო...
- თუ არ მკად-რებ და ქე ჩა-ჩამობძანდი აპა!
- შინ რო ავამტყოფი არ მიმელოდეს.
- იმიზეზა თიბაძემ.
- ა? ავანტყო-ფეფიო? ნიჩჩეგო... არ მოკედება!
- უკანასკნელ დღეშია, სინდისს გეფიცევი, თვარა...
- ააატ, უარი ნიკაიხ!
- წამალი მიმაქ, ძმობას გფიცავარ!
- ბბოშო, ამდენს რას ებო-ებოდიშები? ერთი ააზრასტე და გათთავდა! მოაძახა ნეფიტარიძემ და ფლატოზე ბორძიკით ჩამოვიდა.
- მეიცა, ერთთი მაგისი ფა-ფათრეთი მიჩვენე, გვეიგგო, ვინ არი. ჰოოო, ელიზბარ— ბბატონი ბრ-ბრძანდები? ისემც... აპა, ინნებე ჩამობძანება!
- ალექსი! რატო კადრულობ?
- რაიო? კაარტოფფილიო? მალე, მალე! გვეჩქარება.
- კაცო, წამალი მიმაქ, ხო იცი შინ ავანტყოფი მყავს!
- მალე-მეთქი, გეუბნები. მე ვვეიცი შენი წამალი!
- სთქვა და სადავეს ხელი უტაცა.
- ალექსი, ნუ მიშვები ამ საქმეს!
- ვიცი, რა სატკივარიც გაქ: აღმასკომში ბბბძანდებოდი, ხომ?
- აღმასკომში კი არა...
- გვიჩიულე რალა!
- წამალზე ვიყავი, ადამიანო!
- ვიცი, ვიცი, სადაც იყავი! აპა ჩა-ამობრძანდი!
- ალექსი...
- ჰო, ალექსი მქვია და გეუბნები: ჩამოდი. ე პატროსანი კაცი უნდა შე-ვაჯინო, ამის მეტი აღარ გესმის, რო... პირიქით, შენ უნდა გვეხვერწებოდე. რაკი მეტი ვა აღარ იყო, თიბაძემ „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“. ჩამო-ხდა, გულში ერთი მაგრა შეიგინა და სადავე ნეფიტარიძეს მიუგდო, მერე განზე გადაგა დოინჯშემოყრილი.



— ვოტ, მესმის: ხელისუფლებას პატივისცემა უნდა! მოუწონა ნეფიტარიძემ.

— ა ხა შტოფე მი ბაროლის?

კვერი დაუკრა თავჯდომარემ.

ნეფიტარიძემ ცხენი დაასადავა და ამხანაგს მიმართა: შეეგეჟიო. თავმჯომარემ იუარა, არა შენ შეეგეჟიო. შეეგეჟათ ერთი პატივი: ვინ წინ შეჯდეს, ვინ უკანო. ბოლოს, პირველობა თავჯდომარეს ერგო. უნაგოზე ძლიეს შებობლდა. ცალი უზანგი ნეფიტარიძეს გაუთავისუფლა. ეს უკანასკნელი ქამარში ჩაეჭიდა, იხტუნა და უკან შეუჯდა.

ოქრუამ კრუსუნნი მორთო და პატრონისკენ პირი იბრუნა, მაგრამ თიბაძე მახე უფრო უმწეო აღმოჩნდა. იდგა და ენა ველარ დაესველებინა.

— ალექსი, პირუტყვი მაინც გებრალეზოდეს: ცხენს მოუარე!

კარგა ხანს შემდგომ მიაძახა მან წასულებს.

მოძალადეები, გასცდნენ თუ არა, კვლავ სიმლეოის გუნებაზე მოვიდნენ. ცხენს გაუტიეს და მთვრალი ყიყინით გადაიარეს მიყუჩებული სერები.

ოქრუამ, თითქოს პატრონის გასაჯავრებლადო, ფრთები გამოისხა: არც აღმართი გააჩნია, აღარც დაღმართი. ამ ორ კოლოტს ისე იოლად მიაქანებს, ვითომ ნაკადს სუბუქი ბურბუშელა მიაქვსო.

თავმჯდომარეს გული საგულეს აღარ ეტყვა: მოზიბლულია ოქრუას ტარებით. ცხენი ბევრი ჰყოლია: საკუთარი და სხვისი, ლაფშა თუ თოხარიკი, მაგრამ ამისთანა ცხენზე კი კარგა ხანია, არ მჯდარა, შემთხვევას ლოცავს, ნეფიტარიძეს უმადლის, რომ ასეთ ბედს შეჰყარა.

— არა, მართლა მოგწონს?

ეკითხება ეშმაკი ალექსა.

— ფა-ფა-ფააა, ნიაფია, ნიაფი!

— მართლაც კაი საქონელია ე დალოცვილი! ორი ვჯივართ, მარა ვითამ- ავტომობილიაო. აფსუსი ქეა მაგ გლაზის ხელში...

— ხო არ შეეღევა თუ იცი?

— რაიო? შეეღევაო? შეილს გეიმეტებს, მაგას კი— არა.

აღიზიანებს ნეფიტარიძე, რაკი მისი სატკივარი იცის.

— ჩემსაში რო გოუცვალო?

— აჰ, რაფა გეკადრება!

— სათავიც რომ დაეადეა?

— იმისთანა წუწკია, რო ფეტვის მარცვალი არ გავარდება ხელში.

— მოდი, შენ მოგანდობ მაგ საქმის მოკვარაქინებას.

— აჰ, შენ არ მამიკვდე! თუ ძმა ხარ, თავი დამანებე: ჩემზე ისედაც ვადაკიდებულობა—იფიქრებს, იმან მამიწყოვო.

— არა, კაცო, დალალობა მინდა შენი.

— არც დალალობა შემიძლია, არც ალალობა!—განგებ უარობს კოლექტივის თავმჯდომარე:—ვიცი, ხვერწნით არაუფერი გამოვია.

— კაცო, ტყვილა ხო არ მინდა?

— არ იზამს, არა!

— ჩემ ცხენს მიეცემ და სათავეს: უნდა—ფულად, უნდა—სხვა რამით.

— გუეზნები, ფეტვის მარცვალი არ გაეარდება მეთქი.

— არ გაეარდება და... გაეგდებინებ!

მუქარით წამოიძახა საბჭოს თავჯდომარემ და მაგარი ქუსლი პატრონის მაგიერ ცხენს უთავაზა.

ალექსას, უღვაშებში შემპარავი ღიმილი გაეხლართა. საჭოს თავჯდომარეს რომ ეს ღიმილი დაენახა, აშკარად წაიკითხა ედა ამხანაგის უთქმელ განზრახვას: ხომ იქ მიგიყვანე, საიდანაც უნდა დაგეწყო.

— ჰო, ეგ სხვა არი... ისე კი...

— აი, გიდი, აბასთუმანი!— დაიწყო ისევ თავჯდომარემ:— არ მამცემს და... მისი სული აგერ მიჭირავს, აი,— და დამუშტული ხელი ამხანაგს გაუშვია:— ისე დაებეგრო, რომ სულ ღღინი გაეგდებო!

— არა... დალალობას კი არ დაგამადლებდი, მარა...

ვითომ უკან დაიხია ეშმაკმა ნეფიტარიძემ.

— შენ ოლონდ სიტყვა მიმიტანე, მეტი არაფერი. დანარჩენი მე ვიცი.

— ბაშუსტა, ბატონი ბძანდები!

— ისე გოუხდი საქმეს, რო მაშველი ენატრებოდეს!

თავდაჯერებით წარმოსთქვა გალაღებულმა უნასმა და მერე უღარდგლად შემოსძახა:

„ვარ მთავრობის მსახურია,
 ღვინო მიყვარს კახურია;
 ხელში პორტფელი მიჭირავს,
 ქუდი ვანზე მახურია!“.

ნეფიტარიძემ მეორე შეაგრიბა და მათმა ჩხავეილმა, ტალახში ცხენის თქა-ფუნთან ერთად, ორღობებში სოფლის ძაღლები ააყვია.

5.

ცხენზე ხანხალით თავჯდომარეს გვირგვინად მოემბა. დღეს თანადა იყო და ამიტომ ჭანას თავისებურად ვერ დაეძალა: ღვინის სმაში ჭანას ერიდებოდა გულში ხინჯად დარჩა კურტუმა—დედლები და ფუმფულა ხაჭაპურები. ახლა ნერწყვივორეული სულ იმის ფიქრში იყო, სადილის დანაკლისი სად ან როგორ აენახლაურებია.

— ლექსო!— გაეხმაურა თავის ამფსონს:— ქეიფზე რავე ხარ?

— ცერათ ვარ, ცერათ, კირილე ჩემო!

— კაი შიშხინა ღორის წვადებზე რას იტყოდი, ა?

— ისემც კაი დაგემართოს!

— ზედაც ლუტუნა კიტრის წნილი და მარახოში მალღარი!

— იმე, მირაეოი, ლახტაეოი!

და ნეფიტარიძემ მუშტისოდენა ნერწყვი ჩაყლაპა.

— ამ რიადაგზე ნაგისთანა არავინ გეგულება?

— მეგულება რომელია, ამხანაგო?



- არა, მართლა გეუბნები.
 - სამართებელმა ყელი გამომკრას, თუ გემასხრებოდე!
 - მაინც?
 - ნათლიდედა გინდა, თუ ძახალი?
 - რომელიც უფრო სუქანი იქნება.
 - აჰა, შენ ერთი ცხენი გამიხურო, დანარჩენი ჩემ კისერზე იყოს.
- მაგისი დედაც ვატირე, მეტი რაღა შეგვრჩება?!
- იასნო! ზა შტოვე კროვ პრალივალი?

თუმცა, რა თქმა უნდა, არცერთ მათგანს წვეთი სისხლიც კი არ დაუღვრია იმ ვაგებით, როგორითაც კირილე ტრაბახობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივე მაინც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ხალხი და ხელისუფლება მხოლოდ იმათთვისაა ამ ქვეყნად გაჩენილი.

ამიტომ საბრალო ოქრუას კაი-კაი მიიყოლეს და მასპინძლის საძებრად გასწიეს.

ნეფიტარიძემ აღუთქვა და კიდევ აუსრულა: გეზი შირდაპირ თავის ნათლიდედისკენ ააღებინა. ნათლიობასა და ნათლობას იგი თუმცა დღესაც არ ერიდებოდა, მაგრამ ის, ვისკენაც ამჟინად პირი ექნა, კაი ხნის შირონი იყო.

ძველს დროში ჩვენს ალექსის ისეთი ხელობა ჰქონდა, რომ ნათლულობას და ნათლიდედობას სათვალავი აღარ გააჩნდათ: იგი „პოვარი“ იყო. საკმარ იყო „ალექსა-პოვარი“ გეხსენებინათ და თუნდა ოფიშკვეთელი კაცი მიხვდებოდა, ვიხედაც იყო ლაპარაკი. მისი ხელობის სახელი ერთობ შორს იყო გავარდნილი. არა თუ ზურგეთის სამამასახლისოში, არამედ მაზრაშიც კი, თუ სადმე ქორწილი, ნათლობა ან ჭირისპური იყო გასამართავი, მზარეულად უთუოდ ალექსა ნეფიტარიძე უნდა მიეწვიათ.

ის რომ ყაურმას შეჰკაზმავდა, იმისთანას, მგონი, საგუბერნიო მარშლის პატენტციანი კულინარიც კი ვერ გააკეთებდა. საშოვარიც კაი ჰქონდა: გარდა ფულადი საჩუქრისა, თუ კი რამ ჩამოსაქერქავი დაიკვლებოდა, ტყავი, ჩვეულების ძალით, უთუოდ მისი უნდა ყოფილიყო. დიდი სამკალი განსაკუთრებით ალემის კვირაში ჰქონდა ხოლმე. ეს დრო სოფლად ნიშნობა—ქორწილის სეზონი იყო და ალექსაც მაშინ ყელამდე ქერის ორმოში იფლობოდა. იმდროინდელი მისი გამოჩენა კაი სუქანი სოფლის მღვდელსაც კი შეეხარებოდა.

საქმე ის იყო, რომ ხელობაზე სხვადასხვა გარემოებაში ნიხრიც სხვადასხვანაირი ჰქონდა დადებული: უკეთეს პურისკაბა „განათლებული“ საზოგადოებისათვის იყო განზრახული, მაშინ ხელფასიც აღმატებული იყო.

ასეთ სუფრას, რა თქმა უნდა, კაი გამართვა უნდოდა და ალექსაც სწორედ აქ გამოიჩინდა ხოლმე თავისი ოსტატობის ტალანტს. ამ შემთხვევაში, მასპინძლისას უთუოდ წინა დღით უნდა მისულიყო, რადგან წინასწარ ბევრი რამ ჰქონდა გამოსარკვევი: სანოვავის-ოდენობა, თვისება, ხარისხი; განსაკუთრებით კი ნაირ-ნაირი საკაზმავი თუ სანელებელი. მუშტრის გასაბიებრუებლად ზოგჯერ ისეთ მასალას მოითხოვდა, რომ კაი გამოცდილ დიასახლისსაც კი განცვიფრებით პირს დააღებინებდა.

— არ გვაქვსო? უამისობა ამა რაჲა იქნება? თქვე დილოცოდუხო, თუ არაფერი გაგაჩდათ, მაშინ გიორგელა-ბრუტიანს დოუძახებდით და მეც საქვეყნოდ თავი აღარ მამეკრებოდა!

დატუქსული მასპინძელი ბოდისს მოიხდიდა, მუხლის ჭირს მოსკამდა, რის შემდგომაც, რასაკვირველია, ალექსა მოლბებოდა და დამადლებით ეტყოდა:

— იქნება ვიშონო სადმე. ერთ ოჯახში მეგულება, თუ გვიმეტეს.

ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, თვისი პრესტიჟის ასამაღლებლად შერებოდა. იცოდა, სადაც ფენთხი გავად გავიდოდა.

ამ მთავარსა და პირდაპირ პროფესიასთან სხვა, ასე ვთქვათ, დამატებითი ხელობაც ჰქონდა. რაკი მრავალს ოჯახში ნაველი იყო, ყოველი მათი ავან-ჩავენი ზედმიწევნით იცოდა: სად ვინ ქალსათხოვი იყო, ვინ—გასათხოვარი. დადებსა და მეჯვრეებში შესაფერის წყვილებს აირჩევდა, თაკის გუნებაში დაანიშნებდა, ზოგჯერ კიდევ დააქორწინებდა, ხოლო შემდეგ მაქანკლურ ქსელს გააბამდა და ათ შემთხვევაში ცხრას მაინც გაინაღლებდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, „ალექსა—პოვარი“ საქირო კაცი იყო და სასარგებლოც. ეს გარემოება თვითონაც კარგად იცოდა. ამიტომ, რაკი მადა ბარაქიანი ჰქონდა, პოხიერ დუმას გულუხვად სთლიდა, მაგრამ მის ხელში ნაწრომის დოვლათი ქაფურივით დნებოდა. ერთი თვის მისი ნაშოვარი სხვა ვისმე მომჭირნე მეოჯახეს ერთ წელს სრულ სარჩოდ ეყოფოდა, ალექსას ოჯახი კი მუდამ კერამიფუტული იყო.

ან კი რა ოჯახი ჰქონდა? ერთი ოჩოფება ნალია ედგა. ნალიას ქვეშ, ოთხ ბომზე, ლამაჲა ჰქონდა აკრული, რასაც სახლს ეძახდა. ოჯახის მცველად უსინათლო და კუტი მამიდა ჰყავდა. დიახ, სახლის მცველად, რადგან დედაბერს, არა თუ რისამე გაკეთება, საკუთარი თავის მოვლაც კი უჭირდა.

ნათქვამი რომ არის: „სხვისი მაზიარებელი, დარჩა უზიარებელიო“, სწორედ ალექსაზე იყო გამოკრილი. მის ოჯახში,—ხსნილი იყო, თუ მარხვა—კვაწია რა არის? ისიც კი არაოდეს ადუღებულა.

მიწა და მისი დამუშავება ალექსასთვის უცხო ხილი იყო. ისიც კი არ იცოდა, თობს ტარი საით გაეყრებოდა. მისი ბარი და ნინაბი მხოლოდ კოვზი და ქაფქირი იყო. არც ხნავდა, არცა სთესავდა,—თავისუფალი იყო, ვით სირი ლურჯი ცისა.

ერთი ზნეც სჭირდა: არლანი უყვარდა უსაშველოდ. მის ქრიალზე სადოლო ცხენივის აბორგდებოდა. შავ-ორშაბათი თუ აღდგომა მისთვის სულ-ერთი იყო: ოღონდ კი არლნით ექვიფა. ერთხელ საკუთარიც კი შეიძინა. არლანსა და მის ქეიფს, მოგვხსენებათ, ამფსონი უნდა; ამფსონს—აყოლა, ხოლო აყოლას—ხარჯი და მოცალეობა.

ამნაირად აგორებული ქვა, რა თქმა უნდა, ხავსს ვერ მოიკიდებდა და ჩვენი ალექსაც ამიტომ მუდამ ცარიელ-ტარიელი იყო. ასე გაატარა თავისი სიცოცხის ორმოციოდე აღება...

ხოლო ახლა, როცა ჭირის პურსა და სამიკიტნოს ყაურმას სეზონი გაუფიდა, ალექსამ წინანდელს, იოლ ცხოვრებას თავისებური დასკვნა გაუქეთა და სხვა, შესაფერის ხელობას კოლექტივში შესვლა ამჯობინა. რომ გეკითხათ, რა-

ტომ ან როგორ გამოიტანე ასეთი დასკვნაო, გარკვეულს ვერას ვეტყობდათ, პასუხის მაგიერ, სიტყვას საერთოსა და საზოგადოზე ჩამოაგდებდა; იქნებ ხალხს კიდევ გამოვადგეო.

რამდენად სწორი იყო მისი დასკვნა ან როგორ გამოაგდებდა იგი ხალხს ამას ბოლოს გავიგებთ...

კარგა ხნის ხეტიალსა და ტალახიან ორლობებში თქაფუნის შემდგომ, ჩვენი გმირები ერთს ფაღანგიან ჭიშკარს მიადგენ. ვახშობა უკვე გადასული იქნებოდა. ეზო და სახლი მიბუსუნებული იყო. ისმოდა მხოლოდ ლეკვის დრო-გამოშვებითი წკმუტუნი: ალბად, გარედ გააგდეს და კარი მიუხეტეს.

მისვლისთანავე ნეფიტარიძემ ყვირილი ასტება:

— ჰეი, მასპინძელო!

არსაიდან ბაიბური: კირილეს ეკვი შეეპარა.

— ვაი შენი ქურქის ბრალი, თუ ტყუილა მათრიე!

მიუბრუნდა იგი ალექსის.

— არა, კაცო, მაცალე ერთიცახე!

ბოლოს, როგორც იყო, განის კარი აღრიალდა, ვიღაცამ თავი გამოჰყო, ჩაახველა, შერე ოდნავ დააყურა და ხრინწიანად გასძახა:

— ვინ ხარ?

— ვირთხა კი არა, მოყვარე ვარ! გარედ გამოდი, კაცო.

შინ ანაზღეული ჩურჩული შეიქნა:

— აქ იძახის ვინმე?

ჰკითხა ცოლმა, რომელიც, ის იყო, ვახშმის სუფრას შლიდა.

— დასწყველოს ეშმაკმა მაგისი თრიალი!

— ვინ არი, ადამიანო, აღარ იტყვი?

— ეშმაკი და კუდიანი! ნეფიტარიძე უნდა იყოს: ხმაზე ვიცანი.

სიდონიას ლობიანი ჯამი ხელიდან გაეარდა.

— გზა-კვალი ოურიოს ჩემმა გამჩენმა. ალბათ თვრალია, გამსკდარი?

— აჰა ფბიჯელი ვის უნახავს!

სიდონია თოფნაკრავივით შეტრიალდა.

— შეილო, მედკიო, შედი ზალაში ლამპას ოუკიდე!

ნათლიას სტუმრობა არც ნათლულს იამა,

კარგა ხნის ლოდინს შემდეგ, ცხენოსნებმა ჩამოხდომა ამჯობინეს. ცხენი აივნის ბოძს მიიბეს, თვითონ აივანზე ავიდნენ, განგებ ამრახუნდნენ, ყელები ჩაიწმინდეს. ამასობაში მასპინძლებმა შინაურობა მიილაგ-მოალაგეს, სტუმრებს გამოეგებენ.

— უიმე, ლმერთო, ნათლია ბრძანდები?

წამოიძახა მედიკომ.

— მობძანდით, მობძანდით, შენი კირიმე!

მიიპატიჟა ნათლიცხვამ, გულში კი ასე გაივლო: „ღრინწიც გაგწყვეტია, უღროო თრიალი რო იციო“.

— რაცხა კაი ამბავი უნდა იყოს?

ვითომ სიხარულით სთქვა მან, მაგრამ როცა კირილე შენიშნა, უნებურად უკან დაიხია და მედიკოსსაც ხელუკუღმავალი ჯიქი ჰკრა.

— ნათლიდენა, არ შეგეშინდეს. გზათ გამეფიარეთ: ძიჭონს შეტყობა ანაფერა ბიჭოვნიცაა.

— უიმე, რატო ბძანე, ბატონო, საშიში რა გვაქ?

— ამისი ბრალია, ბატონო: გადამეკიდა და ხათრი ველარ გოუტეხე. იბოდიშა კირილემ.

— ხათრი, შენმა სიცოცხლემ, თვარა... სულ კალთები არ დაგაგლიჯე?— ძმა ბიჭურად იხუმრა ალექსამ და ფეხის ბარტყუნით შევიდა— მოდი, მოდი, თვარა გამეჭკევი, ქე ვიცი!

ოთახში პატარა სანთური ჭიატობდა. ბუხარში ცეცხლი ენთო, რომლის შუქიც სანთურისას სჭარბობდა. ბუხარს ვილაც უჯდა ზურგშეჭკევით, უძრავად. ნეფიტარიძე შესვლისთანავე შესდგა. ბუხართან მჯდომს დააკვირდა.

— რაფა ნაცარქეჩიასავით შემძვრალხარ, კაცო, მაგ ბუხარში? აგრე უნდა მასპინძელი?

თავისებურად გაეთამამა ნეფიტარიძე.

— უკაცრავად, ამხ. ალექსი: სოველი ვარ და ვიშრობდი. მობრძანდი ამხ. კირილე, ჩვენც, ესაა ახლა დავბრუნდით.

— საიდან, კაცო?

განგებ იკითხა ალექსამ, თუმცა კარგად იცოდა, სად იყო წასული.

— გადავყვეთ, კაცო, მაგ სკოლას... აღარაფერი ეშველა!

— ჰოოო. ეს ვინლა არი?

იქვე, ულოგინო ტახტზე ვილაც ხვრინავდა ნაბადწახურული.

— ბიჭიკოა, ჩვენ ხომ ერთად ვიყავით წარსული?

— ჰოოო.

ნეფიტარიძეს არ იამა ასეთი შეხედრა. არც მოელოდა, რომ მასპინძლის ვაჟი შინ იქნებოდა, თორემ აქეთ არაფრის გულისათვის პირს არ იზამდა: იგი კარგა ხნით წასული ეგულებოდა. ახლა კიდევ ეს ბიჭიკოც! ინანა მოსვლა, მაგრამ გვიანლა იყო.

— დაეწყდით რაღა, ამ დასაქცევ ამინდში.— დაიწყო კალისტამ:— ოცდაცხრა ვერსი გზა იქით-აქეთ ქვეითად ვზილეთ.

— ჰოოო. თუ გაარიგეთ რაიმე მაინც კიდე კაი?

— ამა რაფა გინდა, ამხანაგო? დამკვრელი ხარ!

დაუმატა კირილემ.

— სახლი, როგორც იქნა, დავარღვიეთ. ამალამ ურმებს დაუდებენ და ხვალ აღრიანად წამოვლენ.

— ყოჩაღ!

— მერე სხვილამეს ცოცხალი რაფა ვადოფრჩით.

ვითომ ხუმრულად იკითხა ნეფიტარიძემ.

— უჰ, ბევრი იხტუნა, მარა რას ვაბდებოდა? ხან თხოვნა, ხან მუქარა: ორიოდღე დღე კიდე მაცალეთ, ცაკში მაქვს გასაჩივრებულიო. როცა ცაკის მოწერილობა ვაჩვენეთ, კინალამ ბნედა მოუვიდა.

არც ეს ამბავი იამა კოლექტივის თავმჯდომარეს: ყანსარ სხვილაძე, იმ კუთხეში ცნობილი კულაკი და მევახშე, ნეფიტარიძის ძველი კეთილისმყოფელი იყო. მისგან კაი პურ-მარილიც ბევრი ახსოვდა და „ხელის მტკიცე“...

სამაგიეროდ, არც ალექსის დღეიწყნია მისი ამავი: ამ ბრძოლაში მის ფრთებ ქვეშ იყო დაბუღებული და უბატონოდ ხმასაც ვერავინ გასცემდა. არც ინდივიდუალური დაბეგვრა, არც რაიმე მტკიცე დავალება! პირიქით: ორი თუ სამი წლის წინედ სასოფლო საბჭოს წევრადაც კი იყო არჩეული.

როცა ამ შვიდიოდე თვის წინედ ბიჭიკო რიკაძე ზურეთის სასოფლო საბჭოს მიამავრეს, მან, სხვათა შორის, ამ სხვილაძის კულაკობაც გამოამელაგნა და სწორედ ამ ნიადაგზე მოუხდა ნეფიტარიძესთან პირველი შეტაკება, რამაც მათი მომავალი ურთიერთობა იმთავითვე განსაზღვრა.

სოფლის საბჭოში მოკალათებული უნანები, კირილესა და ნეფიტარიძის წინამძღოლობით, მაშინვე დაფაცურდნენ.

— არიქა, ბიჭო, — ამბობდა კირილე: — თუ ეგ მუტრუკი ახლავე არ დაეფოლეთ, მერე ბუცაობას აღარ მოგვიშლის.

— მართალია! ქაჩაჩებში ეტყობა: ტლინკიანი უნდა იყოს.

კვერი დატკრა ნეფიტარიძემ და ძმა-ბიჭები დაუყონებლივ შეუდგნენ რიკაძის „მოშინაურების“ საქმეს.

ჯერ ნაცად ხერხს მიმართეს: ტპილი ენა და გემრიელი სუფრა გაუშალეს პურ-მარილი მეგობრული კუჭუნით შეაზავეს: აქაო და, ზურეთი იმისთანა დაწყველილი და კლათუნური კუთხეა, თუ ერთი პირი არ გვექნა ახალმოსულ კაცს სულუბრალა რაიმეზე წაახდენენო მაგრამ რა კი ახალმოსული ყარაჩოლელთა მოდგმას არ ეკუთნოდა და პურ-მარილმაც ტყუილად ჩაიარა, მერე ვითომ პრინციპიული ბრძოლა გაუშართეს, პარტიის გენერალური ხაზი უქმად მოიშველეს და რიკაძეს „მემარცხენეობის“ ბრალი დასდეს: ძველი ტროცკისტია, ყოყონობათა და აღმინისტრაციულილობით საქმეს გვირგვსო.

საამისოდ ადგილობრივი კომკავშირის უჯრედი წააქეზეს, სადაც მდივნად თავიანთი კაცი ჰყავდათ: ნეფიტარიძის უფროსი ვაჟი. მაგრამ ანგარიში ოდნავ აერიათ, რადგან ამ ბრძოლაში რიკაძე მარტო როდილა იყო: მის გვერდით იდგა კლასობრივი შეგნებით გაერთიანებული ლარიბთა ჯგუფი და უპარტიოთა აქტივი შვიდწლედის მასწავლებლის კალისტა რაფაძის მეთაურობით.

მაშინ „თბილმა კაშპანიამ“ ტაქტიკა იცვალა, პირდაპირი ბრძოლა მიატოვა და „წინასწარ განზიდებულ პოზიციებზე“ დაიხია, რომელთა მთავარ სიმავრებებს ჰორი, ინტრიგა, ენატანიობა და „გოცირიძული კვანტი“ წარმოადგენს...

— აჰა კაი პურისკამას გეივლიდით, ა?

განაახლა კირილემ გაწყვეტილი საუბარი.

— ე ბიჭიკო ქე დოუთვოიათ რჯულზე და...

— შელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო!

ნაბდის ქვემოდან ნამძინარევედ წაიბუბუნა რიკაძემ, მერე ერთბაშად წამობტა და ნაბადმოხურული ბუხარს მიუჯდა.

— პურისჭამა კი არა, საკუთარი ნერწყვიც არ გადაგვიყლაპავს.
მიუგო კალისტამ და ნეფიტარიძეს მიუბრუნდა:

— ყველას ხომ თქვენისთანა ბედი არ აქვს?

— თქვენ, კაცო, დამკვრელები ხართ, წითელი დაფანტვებისა
გადაპკრა კირილემ.

— ჩვენ, ჩემო კალისტა, მაგდენი როდილა მოგვეთხოვება. ახლა საქმე თქვენ-
ზეა, ჩვენი შემცველელი ბძანდებით, ახალი კადრები, არა ნათლიდგდა?
თვალის ჩაკვრით ჰკითხა ნეფიტარიძემ დიასახლისსა და ფამილარულად
მხარზე ხელი დაუცაცუნა.

— რა ვიცი, ჩემო ბატონო! უთენიაზე რა გავა სხლიდან, დაწოლის ხანს
თუ დევინახავ ერთ მინუტს.

— სამაგიეროთ წითელ დაფაზეა გაწერილი.

— უი, შენ გენაცვალე, მე კი არაფერს მეფარება მაგისი დაფა!

— დედი, მოდი ერთი პოლიტიკას თავი დანებე და დროზე გვალირსე თუ
რამე გაგაჩნია, თვარა წილები დეიბურდა მუცელში.

— კი, შვილო, კი! ამ უცხო სტუმრებთან ვარ უკაცრავათ, თვარა შენი
არჩივი ქე მამეძეგება.

„ზალაში“, სადაც სტუმრები ისხდნენ, ისე ციოდა, როგორც გარედ. ქერი
გაუმერჩავი, კედლები დაუგმანავი, ფანჯრები მინაჩამტყრეული და ქალაღდაჯ-
რული. სახლი ერთი თვალი, ოდურად ნაგები. დასაყლეთის მხრით ეგრედწოდე-
ბული „სამზადი“ ჰქონდა მიდგმული, ესე იგი, სამზარეულო. სამზადს ტყუილა
ეძახდნენ, თორემ ნამდვილად იგი სამზარეულოც იყო, სასადილოცა და საწოლი
ოთახიც. მისი დიდი სიკეთე ის იყო, რომ ნახეთქი ქვით ნაშენი იყო და, მაშა-
სადამე, თბილიც.

ხოლო, რაკი იატაკი არა ჰქონდა, სოხანე „ზალის“ დონეზე ნახევარი მეტ-
რით დაბლა იდგა. ქართველური დაუდევრობის წყალობით კიბეც არ ჰქონდა,
რის გამო უნებური კისრისტეხაც ხშირი მოვლენა იყო.

მასპინძელმა ბუხარში ცეცხლი გააჩაღა. სტუმრები გარშემოუსხდნენ. სოვე-
ლი ფეხები მიუფიცხეს.

სანამ მასპინძელი ცეცხლს უჩიკინებდა, კირილემ ოთახი ჩამოათვალეირა.

ერთს კუთხეში ბამბუკის საწოლი იდგა, სუფთად გაწყობილი. შუა ლოგინ-
ზე ხორად იდგა აფუმფული ქათქათა ბალიშები. ცოტა მოშორებით, კედელზე
კარგა მოზრდილი სარკე ეკიდა, მის ქვეშ პატარა მაგიდა იდგა, ტილოს ნაქარ-
გი სუფრით დაფენილი, მაგიდაზე ნარდის კოლოფი იდო, კოლოფზე შუშის ლარ-
ნაკი, ხოლო ლარნაკში წითელ კურკანტელასი და ფითრის კენწილები ერქო.

სარკის ერთ მხარეს ფოსტლის მოდელი ეკიდა, შავი ხავერდით ნაკერი,
და თეთრი, წვრილი მძივებით მოოქვილი. ფოსტალში გრძელქვეწვიანი და კარ-
გა ხნის დადუმებული „ჩუგუნის“ საათი იდო.

მეორე მხარეს, კედელზევე შინდის ოდრიკალი იყო მიკედილი. ოდრიკალ-
ზე ტილოს ვატკეცილი პირსახოცი ეკიდა, რომელზედაც ერთს ბოლოზე წითე-
ლი ძაფით უზარმაზარი გომბეშო იყო მოქარგული, მეორეზე კი—გაფურჩქნული
ყაჭაჩო. გომბეშოს ქვეშ ეწერა: „დილა მშვიდობისა! ყაჭოს კი: „ძილი გაამოს!“

სარკის გარშემო, რადიუსებად, კედელი მოჩითული იყო ხედასხვა სურათებით, ფოტოგრაფიები დასურათებულ ღია ბარათებსა და ფურნალებიდან ამოკრილ ილიუსტრაციებში იყო არეული. ცხენზე მჯდომარე ვორონოვილრენის გვერდით (აღბად კონტრასტის ძალით) იაპონიის სამხედრო შინისრის არაკის დაღრეჯილი პორტრეტი ეწება. თმადაოშილ ლლოიდ ჰაროლდის მეზობლად კი—თმაბურძენული მაკდონალდი.

იმავე კედლის გასწვრივ ხის ტახტი იდგა ფარდაგაფარული. ტახტზე, მხატვრული უთავბოლოობის პრეტენზიით, ნაქარგი მუთაქები და პატარა ბალიშები ეყარა. იქვე, კედელს ტარით მიყრდნობოდა წითელი დიდი ბაფთით მოკაზმული გიტარა.

მთელს ამ კუთხეს გაუთხოვარი ქალის ხელი ემჩნეოდა. და მართლაც, იგი თვრამეტი წლის შედეას ნახელავი იყო.

ეს იყო ოთახის მთელი მორთულობა, თუ სათვალავში არ ჩაეავდებოთ ხის უბრალო მაგიდას, რომელზედაც კამდენიმე გაჩეჩილი წიგნი და დაგლუჯილი ძველი გაზეთები ეყარა.

— ვადა...

უახროდ წაიხმულია კირილემ და სამთქნარეე პირს ხელი დაეფარა. ახლა ოთახის სხვა კუთხეები ჩამოათვალიერა, რათა ამით მაინც გული გადაეყოლებინა, რადგან გზაში გახელებული მადა ცალიერ კუქს ძალზე უფხაჭუნება, საამისო კი ჯერ-ჯერობით არაფერი სჩანდა. თანაც, ცეცხლზე შემთბარს ძილი მოეკიდა, მთქნარებას უმატა.

აღგა, გაიარ-გამოიარა. ბუხრის თავზე მწკრივად განლაგებულ ყვითელ კომშებს მიამტერდა. ერთ-ერთი ჩამოიღო, დასუნა, ხელში ააბურთავა. მერე ჯიბეში ჯაყვა მოიძებნა. რაკი ვერ იპოვნა, კომშს პირდაპირ კბილით დაერკო, მოხლიჩა და მადიანად აახაპუნა.

ნეფიტარიძესაც ნერწყვი მოეძალა. კედელს მიქედებულ ლურსმნებზე აკიდოთ ჩამომტქნარი, უკვე დაჩამიჩებული ყურძენი შენიშნა. კლინკებზე შესდგა. აეწვადინა, მაგრამ რაკი ვერ მისწვდა, გუნება შეეცვალა.

— ეს ოჯახქორები, მგონი, მართლა არაფერს გვიპირობენ.

გაივლო გულში და ნათლულს გაეხმაურა:

— ნათლულო, ახლა რო მოკვასვენებდე, სწორეთ დროა!

— უიმე, ღმერთო მამკალი, ავრე უხემსოთ რავა იქნება?—სამზადიდან გამოსძახა სიღონიამ:—ამ მიწუტში ყოლაფერი მზა იქნება, რასაც ღმერთი გვიბოძებს. ცოტა ხანს კიდე ნუ შივიწყენთ!

რაკი იმედი მიეცა, ნეფიტარიძემ ახლა, პირიქით, მთვით დაიწყო პატიკობა:

— ნათლიდედა, თუ ღმერთი გწამს, ტყელია ნუ ირჯები: ძილის მეტი არაფერი გვინდა, შვილები ნუ დამეზოცება!

— თქვენთვის კი არა, ჩვენთვის ვაკეთებ, ბატონო!—სიცილით გამოსძახა სიღონიამ:—ვახშამი არც ჩვენი გვიჭამია!

— კი, მარა ასე რატო წუხდები?

— მეტი შტერმა არ შეგაწუხოს! ძველებურათ კი ვერ გაგინანობინებდები-
ყე, მარა იმედია არ დაგეძრებათ.

— რაღბ გეკადრებათ? რას ბძანებთ!

შეშფოთდა ვითომ კირილევ.

— ძრახიო? განა აგრე მიყურებ, ნათლიდედა? დვეილუპე კაკალი კაცი!

— იმაზე მოგახსენებყე, რო... თქვენც ქე იცით, ქესატი დროება შეგვექნა...

— ვიცი, ვიცი სადაც უჭკუნებ! აი შე კუდიანო, „კოლექტიამ დაგვამ-
შია“, არა?

ხარხარით უთბრა კოლექტივის თავმჯდომარემ და კირილეს თვალი
ჩაუქრა.

— შარშან ამ დროს, ჩემო ნათლია, ორმოცი ფრთა ქათამი კიდე მყავდა,
მარა წრეულს... ქათამისფეინ კი არა, მარცვალი ჩვენთვისაც სანატრელი შეიქნა.

— ფიქრი არ არი, ნათლიდედა, მეიცა ერთი ეს ხუთწლედი დაგამ-
თავროთ!

— ღმერთმა ნუგეში ნუ მოგაკლოსყე, ჩემო ბატონო. ჩემი ბიჭიც აგრე
მპირდება, მარა...

ამ დროს თვით მასპინძელმა შემოალაჯა და მუცლიანი სოველი ხარა-
ძლივს შემოიტანა.

— ა, ჩემო მირონო, ჩემო ილექსი, ეს არის და ეს: გინდა იყოფინე, გინ-
და ნუ! ყურით რო ჩამამკიდო, მეტს ვერ გიშონი.

— ბარაქა ნუ დაგელიოს, ჩემო ყარამან, ჩვენ მაგის დამლევი არა ვართ.

თავი დაიკნინა ნეფიტარიძემ, გულში კი ასე გაივლო: ვიცი შენი კრიტან-
გობის ამბავი, მაგრამ მაგისთანა ხარა მეორეც ვერ გიშველისო.

მედიკომ სუფრა გაშალა იჭეე, ბუხართან. დიასახლისმა სტუმრები მიიპა-
ტიეა და მკირე მასპინძლობისთვის დიდი ბოდისი იხადა. სტუმრებმაც ვალი გა-
დაუხადეს და, თავის მხრით, პატიება ითხოვეს, რომ პატივეკმული ოჯახი ასე
უდროოდ შეაწუხეს.

კირილეს, რა თქმა უნდა, ნატერა და მოლოდინი არ გაუმართლდა: ხაჭა-
პურებსა და ცოვადმოხარულ დედალზე უკაცრავად დარჩა, მაგრამ, სამაგიე-
როდ, ცხელი მჭადები და ქყინტი ყველი ურიგო არ იყო. არც ღორის სუქან
შაშას უშავდა რამე, მით უმეტეს, რომ ცხარე მდოგვი და პილპილით გაბორო-
ტებული ტყეშალი მადის ვახელებას ემუქრებოდა.

მსურველთათვის კიდევ, ვინიცობაა, შინაური შეჭამანდიც არ აუღდათ
ძმრით შეკახული ჩირი გოგარისა და სირსვალმ გურულა.

ნეფიტარიძე მშვიერ ულაყივით ახვიბეიდა:

— იფ, იფ, ნეფური სუფრაა, თუ მირონი მწამს! ბოდისს რაღაზე იხდი-
დი, შე დალოცვილო?

ეუბნებოდა ნათლიდედას, რომელიც დარცხვენით ტუჩზე ხელს იფარებდა.

— თქვენ ნახელავთან კი არ მოგეწონებათ, მარა...

— ეჰ, ქე რაღა შემძღია, ნათლიდედა, — ამოოხვრით მიუგო „ნაპოვრალ-
მა“: — ამისთანა გავაყეთო კი არა, სხვისი ნამზადის ჭამის შნოც აღარ მაქ!

რამაც ყველას უნებური ღიმი მოჰგვარა.

ყარამანმა ბოთლის ფერი რალაც სასმისი აიღო, ჭიქის შავიერობას რომ ასრულებდა. დაილოცა, წრუპუნით დასცალა და ბრახუნით დადგა. მკორედ რომ აიღო, დიქტატორულის წესით თავი თამადად გამოაცხადა. ნოლუ ქუფურის წესის ამ ერთგვარი უზურპაციის გასამართლებლად ასეთი საბჭოთი იხმარა: შენს ოჯახში თამადად შენვე იყო, ვინაიდან მასპინძელმა თუ არ დალია, სტუმარი სულაც აღარ დაღვესო.

ნამდვილად კი, ამ თვითნებურ აქტს სულ სხვაგვარი მოსაზრება ედო სარჩულად: ცოლ-ქმარმა ამ საკითხზე წინასწარ მოითათბირა და, რათა „ლზინი“ არ გაქიანურებულიყო, მასპინძლის თამადობა საუშჯობესოდ იქნა ცნობილი.

თამადამ მსმელებსა და უსმელებს ერთგვარი პირობა დაუდო: ვისაც როგორ ენებოს, ისე მიირთვას, ოღონდ ეს წესი კი ასრულდეს: აქ დამსწრეთა სადღეგრძელო უთუოდ უნდა დაიცალოს, რაც შეეხება სხვებს, ეს თითოეულის სურვილზე იყოსო.

ბიჭიკომ და კალისტამ იმთავითვე სრული თარხნობა ითხოვეს, მაგრამ, რაკი თამადა შეუფალი გამოდგა, მერე დასთანხდენ და განაცხადეს: მხოლოდ ბოლოს აღარავინ გვიჭინჭყლოსო.

მოგვხსენებათ, ქართველი კაცი დისციპლინის თაყვანისმცემელი მაინცა და მაინც არ არის: არ უყვარს და ვერ ეგუება. მაგრამ, როცა საქმე ღვინის სმაზე მიდგება, აქ კი იგი პირდაპირ უღმობელია: სუფრის დისციპლინა ყოველ მიზნს გარეშე უნდა ასრულდეს. „თამადა ბრძანებს!“ — მორჩა და გათავდა. არ დაღვე, ჭამას დაგამწარებენ; დაღვე და კიდევ უარესი.

რა კი ჩვენი თამადის განზრახვა ისეთი იყო, რომ ეს „ლზინი“, რაც კი შეიძლებოდა, ხანმოკლე ყოფილიყო, ამიტომ იმთავითვე საჩაე ჭიქები დაარტყა. და იმ დალოცვილმა კრახუნამაც თავისი ძალა ერთბაშად გამოიჩინა: უკვე მეოთხე ჭიქის შემდგომ ენას ქაეილი აუტყდა, ტვინს კი — ღიტინი, რის გამოც ხმას ტონის სიმკვეთრე მიემატა, ყურს კი, პირაქით, მიმლეობის სიჩლუნგე.

ერთი წყვილი ჭიქაც კიდევ და — თამადის მიერ დადებული საზღვარი თავის-თავად გადაილახა: გაჩნდა თავისუფალი სადღეგრძელოები და სიტყვების ბრახუნი. თამადამ ახლა სადავე მოაღუნა, სუფრის ეტლი ინერციით სვლას მიანდო.

სმისა და ჭამის ბარაქა ნეფიტარიძისთვის არავის არაოდეს უძრახავს და ახლა აბა რა ღმერთი გაუწყრებოდა!

— ამხანავო თამადა, ნება მიბოძე ერთი, მარტვა ერთი კაკალი სიტყვა მოგახსენო და ეს ორი ჭიქა დაგაღვეიო!

— ჰო, შენი პირიზე, ჰო! აგრე მიშველე, მამეხმარე. სანამდი გვაქ, ქე ვსვათ, ჩემო ალექსი. გამოგველევა და შენთან მოვალთ კოლექტიაში.

გაეხუმრა მასპინძელი.

— მობძანდი, გენაცვალე სულში! მეც მაგისი მონატრული ვარ.

— მიბძანდი თვარა, ასიანი ჭურვი არ მოგიხადოს აი!

გადაჰკრა კირილემ.

— რა ვიცი, რაც ჩვენში კაი-კაი მამულები იყო, სულ მაგის ხელშია და...

— რაეა არა, ჩაქირულები სულ წითელ-ყვითლით აქვს გატიტინებული!

მასპინძელმა ქვეშ-ქვეშ ჩაიციხა.

— არა, მართლა, ზუმრობა იქით იყოს, ხო კაი მოსაველი გქონდათ? შეეკითხა იგი ნეფიტარიძეს, რომელიც თავდაბრილი და დარცხვენილი პაპიროსს ჰგოვდა.

— არა უშავს, გვარიანი!

კირილეს გულიანი ხარხარი აუტყდა.

— ჰა, ჰა, ჰაა! ისევე მაგის გეარს მოსვლია! რა ბრძანებაა, ბატონო, გული რო შეგიწუხდეს, მაგისას ცხვირზე მოსასნელ ლეინოს ვერ იშონი. კოლექტივის თავმჯდომარეს დარცხვენა წყენად შეეცვალა.

— შენ რო შაზიანითა და გოგირდით ამასე, აპა რა იქნებოდა!

— იმე, შე კაი კაცო, წამალი რო მკედარს გააცოცხლებდეს, მაშინ...

— კაია, თუ ძმა ხარ, საქმე ნუ გაატ...

უკვე გულმოსულად წასძახა ალექსამ და შთაბეჭდილების გასაქარებლად მასპინძელს მიმართა:

— მაგას რო ყური ათხოვო, თვალებს კვინიზში გამოვასხამს.

მაგრამ კირილეს აკვიატების საღერღელა ჰქონდა აშლილი.

— რა საწყენია, ჩემო ლექსო! მართალია, საკუთარი არ გისვამს, მარადღეს მაინც ლაზათიანათ იყავი.

— ხელი არც შენ დაგიკლია.

— არა, სიმართლე უნდა გითხრა: ნათლიდედებზე ბედი გქონია, ჩემო ძამია.

— რავე, წვეული იყავით სადმე?

იკითხა ყარამანმა.

— არა, კაცო, რა დროს წვეულობაა? სარკვევ საქმეზე ვიყავით: ძლოურში ერთი მოყვარე კაცი მყავს და...

— ძლოურში?

— ჰო, ზინობია რო არი... შენც ქე იცნობ: კირკიტაზე.

— იმე, რავე არა! ნამამასახლისარი... ერთ დროს კაი ოჯახიშვილი იყო, მარა...

— ერთ დროს მე და შენც ქე ვიყავით რაცხა, ჩემო ყარამან.

— ახლა რავე არი? ჩამოფერთხილი იქნება, რასაკურელია.

— ისე იქნა შენი მტერი! ტყავი გავაჭრეთ კუდამდი: მის ბარობაზე აღარაფერი დარჩა.

— აი, ბეჩა! — ამოოხვრით სთქვა მასპინძელმა: — ის რო ჯაქვს ჩამეკიდებდა და ყარაბახულზე შეჯდებოდა, თავადიშვილებში ვერ გამეირჩევდი.

— მერე რა გამოარკვეით, ამხანაგო ალექსი?

უცრად ჰკითხა რიკაძემ. ალექსამ უნდოდ შეხედა, წარბებს ქვემოდან.

— რა გამევირკვეით და... რასაც უწინაც ვამბობდი.

— მაინც?

— კულაკურათ დასაბეგრი იმას აღარაფერი გააჩნია.

ბიჭიკომ კალისტას ვადაჰხედა და ბეგრის მთქმელი თვალი ჩაუკრა.



ქართველთა მწიგნობართა კავშირი

- პატის ქე გცემდაყე, რასაკურელია. თავისთვის ჩაილაპარაკა მასპინძელმა.
- ისე რაღა, ყელი დევისოვლეთ.
- დევისოვლეთ კი არა, ი თიბაძე რო არ შეგვხვდებოდნენ და გუჯრუნიც კი ბოდა /შენი საქმე, ჩემო ალექსი!
- ააშენა ღმერთმა, მართლა ძალიან ბედზე წიფემტყვრით.
- კი, მარა ხვალ რაღას უპირობ?
- უპირობ, თეარა ხახვი არ ჩამაჭრას ყურებში. ბიჭიკომ ამხანავს კვლავ თვალი ჩაუქრა.
- საქმე ისაა, რომ მთვრალ მოძალადეებს განშორებული თიბაძე შემთხვევით ბიჭიკოსა და კალისტას შეეყარა და მთელი თავგადასავალი დაწვრილებითა უამბო.
- ვერაფერი კი საქმე გიქნია, ამბ. ალექსი. თავისებურის, დინჯი და დამაჯერებელი კილოთი უთხრა რიკაძემ. ნეფიტარიძე ბზიენაკბენივით შეხტა. არც ეს კილო იაშა, არც ბაასში მისი ასეთი ჩარევა.
- რა მიქნია, ამბ. ბიჭიკო?
- რასაც თვითონვე ამბობ.
- მერე შენ ვინ დაგაყენა იმის ვეჭილათ?
- რიკაძემ თვალი გაუსწორა და მერე კვლავ ჩვეულის სიდინჯით მიუგო:
- უსამართლობამ. ავადმყოფთან წამალი მიჭონდა თურმე.
- ნეფიტარიძემ იქედნურად ჩაიხითხითა.
- ავადმყოფი კი არა, კიკოლა თიბაძის ოჯახი ამოსავლებია ძირიანათ!
- ვითომ რათათ?
- იმიტომ, რო... რო... — სიმთვრალითა და სიბრაზით ენა შეებორჯლა: საქმე მოითხოვს.
- უსამართლობას რომელი საქმე მოითხოვს?
- რომელიც გინდა: პარტიული, სახელმწიფო. თიბაძე ჩვენ მშენებლობას ხელს უშლის, ხალხს აბუნტებს, კოლექტივის დაშლა უნდა. თუ ეს უსამართლობაა...
- თუ ამისთანა მანე კაცია, ამდენ ხანს რატო არ გამოაძეღენე?
- მაგისოვინაც მევიცილი, ვერსად გამეჭკევა.
- კირილემ შეატყო, საითაც იხრებოდა ეს ლაპარაკი, და გადაქართულება სკადა:
- კაი, კაცო, კამათი ხვალისთენ გადავდვათ!
- არა, ამბ. ალექსი, — ჩერია კალისტა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა ნეფიტარიძის მუცლის ტკივილის მიზეზი: — ტყუილია. თიბაძეს გამოსამძეღენებელი არაფერი აქვს. მთელმა სოფელმა იცის, რო...
- რა იცის სოფელმა? სოფელში კულაკიც ბევრია, სოფელი ჭრელია. ეს მასწავლებელმაც უნდა იცოდეს!
- სიტყვა „მასწავლებელი“ ისეთის კილოთი იყო ნათქვამი, რომელშიც დაინებაც იყო და უსწავლელის შურნარევი ზიზღიც ნასწავლისადმი.

— მე სოფლის მშრომელ ნაწილზე მოგახსენებ... რომელიც საბარბოლოა და აღშფოთებული.

— რა-ზეა, ბა-ტო-ნო, აშფოთებული, რაზე?

გატრიზავებით გააწყვეტინა ნეფიტარიძემ და გამართული წინა თითი ტარიფით დაატრიალა.

— ზოგიერთების უპასუხისმგებლო მოქმედებაზე.

მტკიცედ მიუგო მასწავლებელმა.

— მაინც, მაინც? მე ზოგიერთები როდი ვიცი!

— თითებზე ჩამოთვლა რა საჭიროა?

— მე ის ვიცი, რო კულაკსა და კოლექტივის მტერს იმ რიდაგეზე არ გავაქაქანებ.

მედიდურად სთქვა და პირი იბრუნა.

— შენ პირს შაქარი, მარა...

— მარა რაი? ასეა თუ არა?

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო...

ნეფიტარიძე ტარიფით შებზრილდა, თვალეზში ავი ნაპერწკალი გაუქრთა.

— იცი, რა ვითხრა? ქარაგმებს თავი დანებებ, თუ შმა ხარ! — მოწყვეტ მიხალა, მუქარით თავი ჩაიქნია და მერე, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო, წყნარად დაუმატა: — გირჩევნია!

— რავე, გვეშუქრები?

კოტა მოტუხილად ჰკითხა მასწავლებელმა, მაგრამ ახლა მის მაგიერ რიკაძე აფეთქდა:

— გამოდის, რომ თიბაძე კულაკია და კოლექტივის მტერი, ი შენი კირ-კიტაძე კი — მამა ამრამის ბატკანი. ფრთხილად, ამხ. ალექსი, მაგისტანა ნომრები აღარ გაგივა!

— რა ნომრები, კაცო, შარზე ხო არ ხარ?

— არ გვეშინია, არა!

გული მოიცა კალისტამ.

— ჰა, ჰ, ჰააა! — უტიფრად განგებ გადაიხარხარა: — თქვენ შეშინებულს კი რა უთხარი.

— რაშია საქმე, ამხანაგებო? — ველარ მოითმინა კირილემ, რომელიც აქამდე ვითომ ნეიტრალიობას იცაუდა იმ მიზნით, რომ სუფრის აშლა არ სურდა: — ალექსი, გვადროვე, თუ შმობა გწამს!

— ამ ბოცრებს კითხე, ჩემთან რა გინდა?

უქმებად მიუვდო ნეფიტარიძემ და გამომწვევად უღწაში გადაიგრიბა.

— ფრთხილად, ამხ. ნეფიტარიძე, აგრე ძალიან ნუ დეიხარჯები!

არა ნაკლებ უქმებად მიხალა რიკაძემაც და წამოდგა.

— კაია, კაცო! ეს გემრიელი სუფრა არ წამიხდინოთ, თვარა...

ვითომ განელემა სცადა კირილემ.

ალექსამ ბრაზითა და ალკოჰოლით დასისხლიანებული ძვალი რიკაძეს დაარქო და კარგა ხანს ასე უცქერდა, თითქოს ვარაუდობს, ვთქვა თუ არაო. მერე ერთბაშად დაიხრიალა:



- რო მაშინებ, რას მაშინებ?
- კოლექტივში იკითხე, იქ გეტყვიან.
- მშვიდად მიუგო რიკაძემ.
- კოლექტივის საქმეც მაშინ გაკეთდა, თქვენისთანებმა რომ ქვეის სწავლება დაგვიწყეს.

ეს უკვე მეტის-მეტე იყო. რიკაძე ნაგაზივით წამოიჭოჩია, კალისტა წამოხტა და სკამს ფეხი გაჰკრა. დიასახლისს ჭურჭლის ბედის ფიქრმა გაუღელვა და შედიკოს წაუჯიკავა: ჭიჭებსა და თეფშებზე თვალი გვექროსო.

— ალექსი, თუ ჩემი ხათრი გაქ! აზ. ბიჭიკო, ვთხოვ... შენ მაინც რა დაგეშართა, კაცი?

მიუბრუნდა იგი კალისტას, რომელიც ყელაზე უფრო ნერვულობდა. ნეფიტარიძეს ის უფრო აბრაზებდა, რომ კირილემ არა თუ მხარი არ დაუჭირა, არამედ, პირიქით, მას ამშვიდებდა, თითქოს ყველაფრის ამტეხი ის ყოფილიყოსო.

ბოლოს თვით მასპინძელიც იძულებული გახდა მახავებლად ჩაეარდნილიყო. სუფრა წახდა და საბოლოოდ აიშალა...

6.

— ბიძია, მამამ ცხენი გამამიგზანო.

აგერ შეათედ მაინც ეუბნება პატარა თემური სოფლის საბჭოს მდივანს, რომელსაც ისეთი ცხელი დღე ადგია, რომ ხუთგრადუსიან ყინვასაც ვერა ჰგრძნობს.

საბჭოში დამზადებთა კამპანიის გაწამაწია. ხის დაფარცახებული შენობა, უთბობი და უხერხული, ხალხითაა გაქედლი. კაცი და ქალი, მრუდე თუ მართალი, ყველა საჩივლელად მოსულა: ამას ზედმეტი შეაწერეს, იმას სულაც არ უნდა შეწეროდა; ეს ღარიბია, ის უღარიბესი. ჩივილი, ბუზღუნი, წუწუნი, ტირილი...

ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, კულაკები და შეძლებულები სჩივიან, თავს ისაწყლებენ, იკუნტებიან, კანონსა და სამართალს იმოწმებენ, რომ უბრალოდ არიან დასჯილნი. მაგრამ საინტერესო უფრო ის არის, რომ კანონისა და სამართლის მოწინააღმდეგენი კანონიერების დამცველად გამოდიან, თითქოს მათ თავიანთი კლასობრივი ინტერესები კი არ ალაპარაკებს, არამედ ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლების კარგი კანონი უვარგის ამსრულებელთა მიერ უხეშად მახინჯდება და ირღვევაო.

რიგი შედის, რიგი გამოდის. წასულებს მოსულები ენაცვლებიან. საერთო ხრიალსა და გუგუნში ყურთა სმენა აღარ არის.

მდივანს კუთხეში უდგას გაქლექილი უბრალო მაგიდა. სამი განით ეს მოზუზუნე ხალხი ზედ მისევია, ლამის ჯედელს მიაჯყლიტონ. ყველა წინ მიიწევს ჯიკავით, ჯიჭინით, იდაყვით.

მდივანს ცოვი ოფლი ასქდება. ათასი ენა ესაჭიროება, ორი ათასი ყური: უსმენს და არაფერი ესმის, უპასუხებს და არავის არაფერი გაეგება, არ უნდა გაიგოს.

თემური დროს იხელთებს, თავს დაღუნავს და ჩაღიზულ ფეხებში მკობსავეთ გასრიალდება.

- ბიძია, ცხენი გამამიგზავნეო! -
- ბიჭო, რა გინდა? რას ჩამაცივდი?
- ცხენიო, მამამ შამოგიტვალა.
- რა ცხენი? ვისი ცხენი?
- დამზადებაში ხო არ ჩამოგართვეს, ბიძია?

ოხუნჯობს ვილაც. ხალხი იცინის.

- ჩვენი ცხენი.
- მერე შენ ვილასი ხარ?
- ელიზბარ თიბაძის.
- ცხენი ვის ათხოვეთ?
- წუხელი თავმჯდომარეს წოჭურთმევეია.
- მერე ჩემთან რა გინდა?
- რა მინდა და ცხენი!
- ბიჭო, შენი ცხენი ჰაკია თუ ულაყი?
- ულაყი.

მიამიტად უპასუხებს თემური.

- უჰ, კულაკი ყოფილა!

სიცილით დააყარეს აქეთ-იქიდან.

- აჰა ქე გამეფთხოვე, ჩემო ბიძია!

— არა, ხუმრობა იქით იყოს, მარა კირილე არც ჰაკს დეიწუნებს.

სხვების გასაგონად ჩაილაპარაკა ვილაცამ.

- იმე, იმან თუ ცხენი შეიგდო ბაყეებში, მერე წადი და უყარე კაკალი!

და მართლაც. კირილეს ერთი რამ ტრფილი აწვალებდა ყველაზე უფრო: ცხენი უყვარდა თავგადაკლულად. თავის არც თუ ისე დიდი ხნის სიცოცხლეში ცხენი ბევრი გამოეცვალა, მაგრამ არაოდეს არცერთში ბედი არ ჰქონია. რალაცნაირად ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ სხვისი კაი მის ხელში უთუოდ უნდა დაგლახებულიყო.

რა თქმა უნდა, კაი ცხენს კაი მოვლაც უნდა, რისთვისაც ჩვენი კირილე მაინცა და მაინც ავრე რიგად თავს არ იტყვიებდა, მაგრამ მისი უბედობის მთავარი მიზეზი ამ შემთხვევაში მოუფლელობა როდი იყო ხოლმე, არამედ სულ სხვა რამ: ის, რაც მას ჯიშინი და ლამაზი ეგონა, ნამდვილად უჯიშო და მახინჯი იყო ხოლმე. მისი გემოვნება ამ ორ ცნებას რალაც თავისებურად, უცნაურად განმარტავდა.

მისი უბედულებით, ცხენი, მაგალითად, განსაკუთრებით კი თოხარიკი, უთუოდ კოკდაბალი და გრძელი ტანისა უნდა ყოფილიყო. რატომ?

ამას იგი ასე ხსნიდა:

— თოხარიკი ცხენი თუ გძელი არ არი, ტარებაში ჯირკვიით აყუნტალდება და მუცელში გულდასავეთ გამოგრეცხავს. გძელი კი ფართოდ მოტორავს და წელში არ გაგამძრევს.

ისიც უნდა ითქვას, რომ თვით კირილე საამისოდ შესაფერისი ტანადი იყო: დაბალი და ჩაბასკვერა, წვეისხვილი, ბეჭვანიერი. სუქანი არ იყო, მაგრამ, რაკი საქამრე არ უწნდა, შესახედობა სხვილისა ჰქონდა. ამისთანავე უყვარდა ვალიფე — შარვლისა და გეტრების ცარება, რაც სხვილის შთაბეჭდილებას უფრო ამძაფრებდა.

ხოლო ყველაზე მეტად გასაოცარი მის აგებულებაში თავის ქალა იყო: დაქანებულ ბეჭებიდან ზვინივით წაძღვანილი სქელი კისერი ზედ კეფასთან თავდებოდა და, რაკი კვინიხი სრულიად ჩამოთლილი ჰქონდა, თავისა და კისრის საზღვარი სავსებით იკარგებოდა. უკანიდან რომ შეგეხედნათ, მთელი ტანი წამახვულ სხვილ სარს უგაედა, გლეხები რომ „უნჯს“ ეძახიან და ლობის ყურეში ბურჯად ასობენ ხოლმე.

ჩემთვის რომ საღებავით მისი დახატვა დაგვეილებინათ, საპალნიან ქვევრს დაგაყირავებდი და მისი პორტრეტიც ეს იქნებოდა. დაუმატეთ ამას ის თვისებაც, რომ ხმა მეტად ბოხი ჰქონდა, თითქოს მართლაც ქურიდან ამოიძახისო.

მიუხედავად ამისა, მე მგონია, რომ წინიდან მისი მნახველი მაინც ზურგის სანახაობას ამჯობინებდა.

ჰო და, ახლა წარმოიდგინეთ ჩემი კირილე გრძელს თოხარიცხე მჯდომარე! ბევრი, ძალიან ბევრი გამასხარავება, ან, როგორც მისი ძმა-ბიჭები იტყვიან, „გაღადოება“ უგემნია ამ აკვიატებულ ვნების — თოხარიც ცხენისადმი სიყვარულის გამო, მაგრამ, მოგეხსენებათ, გაქორდვა ვნებას როდი აცხრობს, პირიქით, უფროც აღიზიანებს, და კირილეს, რამდენი ხანი გადიოდა, იმდენი მეტის თავდავიწყებით ეძლეოდა მას.

როცა სათავისო ცხენს სადმე თვალს მოჰკრავდა, მერე გათავებული საქმე იყო: არც ჭამა უნდოდა, არც სმა, არც ძილი და აღარც მოსვენება. ხშირად ლუქმას გაიწყვეტდა, ოღონდ გულსამოჰრბლი სურვილი როგორმე დაეკმაყოფილებინა.

ერთხელ (დიდი ხანია მას აქეთ), ამ დაუცხრომელი ლტოლვის გადაძვიდემ კინაღამ ბოროტება მოიქმედა, ან, კრიმინალურის ენით რომ ვთქვათ, სხვისი საკუთრების მითვისება განიზრახა. ხოლო ასეთი საძრახისი საქციელი მხოლოდ იმეტომ აღარ ჩაიღინა, რომ ქურდობის ობიექტი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ისეთი სუბიექტის კუთვნილება აღმოჩნდა, რომელიც თურმე მისი კაი მეგობარი და ახლო ნათესავიც კი იყო.

რითი ან როგორ უნდა აიხსნას მისი ამგვარი, ასე ვთქვათ, პათოლოგიური მიდრეკილება ცხენის კულტისადმი?

ჩვენი გმირის გენეალოგიის მცოდნენი ამას შემკვიდრეობით გადმოცემულ თვისებად სთვლიდენ და სერიოზულად ამტკიცებდენ, რომ ეკალზე ვარდი არ ამოვავო.

თუმცა, მოგეხსენებათ, თვით ვარდიც, საზოგადოდ, ეკლიანია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ასეთი თეორიის მიმდევარნი მართალნი უნდა ყოფილიყვნენ.

საქმე ისაა, რომ ამ კურთხეულ ქვეყანად კირილე ბოთერაძის მოლოინება, ცოტა არ იყოს, ბურუსითაა მოცული. მაგრამ უკეთუ, ვიმეორებ, მის გენეალოგიატებს მცირე რამ მაინც დაეჯერებათ, მაშინ ზემოაღძრულად, სჯეფთხუ მათგან ასეთ პასუხს მივიღებთ:

შინგალოინთუჯა

სოფელ კლდეკარაში ერთი გუდამშიერთი აზნაური იყო, გვარად ქვივანაშვილი. იმ სოფელში, ოვგორც ყველგან საქართველოში, აზნაური ბევრი იყო, მაგრამ სიკო ქვივანაშვილივით განთქმული იმ კუთხეში აზნაური კი რა, მგონი, თავადიც არაფერ იქნებოდა.

ეს სახელი არც დიდი გვარიწვილობით ჰქონდა მოხვეჭილი, არც ჰარბი ჰქონებოდა და არც პირადი რამ განსაკუთრებული ღირსებით.

რამდენადაც ვიცით, ქვივანაშვილების გვარი ჩვენი ქვეყნის მატრიანეში, ფარნავაზ I-დან მოკიდებული გიორგი მე-XIII-მდე, არსად, არცერთს ძველში მოხსენებული არ არის: არც „ქართლის ცხოვრებაში“, არც სეხნია ჩხეიძის, გინდ გორგიჯანიძის ქრონიკებში და არც იმ აუარებელ სიგელ — გუჯარში, რითაც ჩვენი სიძველეთსაცავეები ამჟამადაც პირამდე სავსეა.

ქონებისა კი, აბა რა უნდა გითხრათ?.

ერთი ბვალი ნალიასავით მალალ ბომებზე შეყენებული და თარალებიანი ფიცრული ოდა, რომელიც ხან აღმოსავლეთისაკენ იყო პირმიტყეული, ხან კი — სასავლეთისკენ, იმის მიხედვით, ზენა ქარი ჰქროდა თუ ქვენა.

ერთი სალორე ან, უკეთ რომ ვთქვათ, საძალღე, რადგან ეს ნაღვამი, მართალია, სალორეების არქიტექტურის მიხედვით იყო ნაგები, მაგრამ ნამდვილად კი სანადირო ძაღლებისთვის იყო განკუთვნილი,

და ერთიც წწული სასიზინდე, გახრწნილ თევზივით სახურავ-ჩამოფხავებული, რომელსაც სიზინდის ტარო ან სხვა რაიმე მარცვლეული კაი მოსავლიან ოქტომბერშიც კი არ ენახა.

ახლა მამული:

ორი წვადივით ნაკვეთი, ეგრეწოდებული ეწერი, მწირი და ფერდობი. რომლის ნიადაგი წლითი-წლობით ნიაღვრებისაგან იყო დარეცხილი. ოციოდე ძირი მალარაი, უსხვლელი და მოუფლელი, რომლის მოსავალსაც ნახევარს ჩიტი სჰამდა, ნახევარს კ — გამვლელ-გამომვლელი.

ეს იყო და ეს. განა ამისი პატრონი ჰქონებას დაიკვენნიდა?

არა! ქვივანაშვილის სახელი სხვარიგად იყო განთქმული: იგი მონადირე იყო და ჩინებული მონადირეც. ზამთარში ბეწვიანი თუ უბეწვო მონადირი, ზაფხულში — მწყერი და ზოხობი.

აი რითი იყო სახელქმებული!

დათვზე, მაგალითად, უთოფო დაიარებოდა: მკლავის სისხო ხის ტუკი და ძველებური ფხიანი ხანჯალი. ეს იყო მთლად მისი იარაღი.

დათვის ბუნავს რომ მიიკვლევდა, შორი-ახლოს დაუჯდებოდა და მიძინებულ ნადირს მანამდე ებოდიშებოდა, სანამ თბილ საწოლს არ დაატოვებინებდა:

— გამარჯობა, დავით — ბატონო, რასა იქმ და როგორ ბძანდები? ჩემ ამბავს თუ იკითხავე, აი შენი ნახვისა და ტუჩზე კოცნის ნატვრამ აღარ მამისვენა, გამობძანდი, ნულა მერიდებო!

როცა განაწყენებული მეგობარი მოქნარებითა და ბურდღღუნით ბრისაომებო-
და, ჭყვიანაშვილი ტუჯზე დახვეულ ყაბალახს პირში მისცემდა და, სანამ მხეცი-
ვითომ მონადირის მკლავის გემოს აქაშნიკებდა, ბასრი ხანჯარს მკვლავს ტარა-
მდე ჩაესობოდა.

როგორც ნამდვილ მონადირეს, ნადირობის გამორჩენა კი არ აინტერესე-
ბდა, არამედ თვით პროცესი, როგორც სპირტი. მისი ნანადირევის მეტი წილი
ძღუნად მისდიოდა უთვალავ ნაცნობსა და მეგობარს. თვითონ კი მკიცრედითაც
იოლს მიდიოდა. ცოლი არ უტიროდა და შვილი: ტარუჯა იყო შიშველ თი-
თივით.

ერთი მოახლე ჰყავდა, ჯუჯა და უსახური, მასავით ოხერი და უთვისტო-
მო. ის იყო მისი მეოჯახე, მომვლელი და შემნახველი. უმისოდ ცეცხლს ვერ
დაანთებდა, ნზასაც ვერაფერს ზოიზმარდა. ამიტომ უყვარდა, თუ — როგორ
ვთქვა? — აფასებდა. ყოველ შობა-აღდგომას ახალ-ახალით უნდა შეემოსა. მოახ-
ლეც ამაგს არ უჯიწყებდა: ყურმოკრილ ნაგაზივით ერთგულობდა.

როცა ნადირობის გუნება არა ჰქონდა, თავის ლურჯა ბაჩას შესჯდებო-
და, ერთ-ერთ ჯიშთან ეზერს აიდევნებდა და ნაცნობ-მეგობრებს ჩამოუფელიდა.
მის წინაშე კარი ყველგან ღია იყო: ასაკოვანთათვის ტკბილმოუბარი, მომლხე-
ნი; ბავშვთათვის ნანატრი მოზლაპრე იყო.

ხშირად მთელი თვეები ისე გაივლიდა, რომ მოახლე — თინია მისი ასავალ-
დასავალიც კი არ იცოდა.

ასე უტკივარი და უწყინარი იყო მისი ცხოვრება, მაგრამ, ხომ იცით,
წუთისოფელი გაუტანელია!

ვინ მოსთელის რამდენ ხიფათსა და საშიშროებას გადაარჩენია სიკო ჭყი-
ვანაშვილი ნადირობისა და ტყე-ღრეებში ხეტიალის დროს?

ვინ დასთვალოს ურიცხვი დათვი, მგელი, ტურა და ფოცხვერი, რომელ-
თაც იგი ხშირად პირისპირ შებშია და ბრძოლიდან კი მაინც უფენებელი გა-
მოსულა?

ვინ იცის, იქნებ კვლავაც ბევრს შეჰყოფდა, რომ... ზღვას გადაარჩენილი
ცვარს არ დაეღრაო.

ავვისტოს ერთ ცხუნარე დილას, როცა ახალგაზმართულ კამოეტით თავ-
დავიწყებული მწყერაობდა, ერთ-ერთმა მისმავე საყვარელმა მეძებარმა დაჰკ-
ბინა. ნაკბენი ცოფიანი გამოდგა და საბრალო მონადირემ, ძალღივით ჯაჭვით
დაბმულმა, საშინელ ტანჯვაში დალია სული.

ერთად-ერთი მისი ჰირისუფალი, რა თქმა უნდა, მოახლე-თინია იყო ნამ-
დვილ თავისიანივით უპატრონა და ღირსეულად გაასვენა.

უმეგვიდრო კონებიდან ერთი ნაკვეთი ეწერი ჰირისპურსა და დამარხვის
წვრილმანებს მოუხნა, მეორე კი — მღვდლის გასამრჯელოსა და, საზოგადოდ,
სულის ცხოვნებას.

უთვისტომო და მწუხარე მოახლე, როგორც ასეთ შემთხვევაში იქაურები
იტყვიან ხოლმე, „გაგალიაზე“, ესე იგი, ცალიერზე დარჩა. დაფარცახებულ
სახლსა და ცალიერ ნალია-საღორეს მემკვიდრეებად ათასი შორეული ნათესავი

გაუჩნდა და შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი, დავა და დაუსრულებელი საჩივარი. მოახლის დარდი ვისლა ჰქონდა?

ხოლო განსვენებული სულგრძელი და შორსმკვრეტელი კაცი აღმოჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა კამელარიიდან მოსული მოხელე ქუყიანაშვილისეულ ქონების რაოდენობას არკვევდა, იმ ყუთში, სადაც მონადირე ჩვეულებრივად ტყვია-წაშალს ინახავდა, ასეთი შინაარსის ქალაღი იპოვნეს:

„1894 წელსა, კვირიკობის თვის 17 დღესა, მე, ტაბტის აზნაური სიკო ქუყიანაშვილი, შეწვენითა ღვთისათა სრულიად საღ გონებაზე მყოფი... მთელ ჩემ ქონებას, როგორც უძრავს, ისე მოძრავს, რაც დღეს მამადია, ან მომავალში გამიჩნდება... (აქ დაწერილებით იყო ჩამოთვლილი ყოველივე, სახლკარიდან დაწყებული მწვევარ-მძებრებამდე, და ამ უკანასკნელთა რიცხვში იმ ძალის სახელიც კი იყო ნახსენევი, რომელმაც ნეტარხსენებული ასე საბედისწეროდ წუთისსოფელს გამოასალმა) ვუანდერძებ თანათინ ზარასპის ასულს ჩიბურდანიძეს და მის ნაშიერს... შეერგოს და ალალი იყოს... სული არავინ წეიწყმინდოს და არ წაართვასო“-ო.

რასაკვირველია, ასეთი უტყუარი საბუთის წინაშე მოდავეებს ქედის მოხრის მეტი რალა უნდა დარჩენოდათ, მაგრამ, რაკი ანდერძის დაფოლება ველარ შესძლეს, განსვენებულის გასაბიბრუებლად ათასნაირ კორებსა და ტყუილებს მიმართეს, რაც მაშინდელი ზნეობის მიხედვით, ცხადია, თინათინ ჩიბურდანიძის ქალწულობას ერთგვარ ჩრდილს მიაცუნებდა.

ჩვეულებრივად უკმები და ენამწარე თინია ამ შემთხვევაში რალაც უცნაურად სდუმდა და თავის დაცვასაც კი არ ცდილობდა, რაც მოწინააღმდეგეებს კორაობის მეტ საბუთს აძლევდა.

ხოლო პირში ჩალაგამოვლებულ მემკვიდრეების ზეიმი მაშინ უნდა გენახათ, როცა კორი ფაქტად იქცა და მითქმა-მოთქმა კი გარდუვალ სინამდვილედ: პატრონის გარდაცვალებიდან სწორედ ხუთი თვის შემდგომ ქალწული თინათინ ტრთბაშად დაწვა და ანდერძით მიღებულ სამკვიდროს — ვაჟი შესძინა... ეს ვაჟი ჩვენი ნაცნობი კირილე... ბოთერაძე იყო.

მკითხველს, ალბად, ცოტა მაინც გაუკვირდება: ეს გვარი სადაურია, როცა იგი არც მამისას ეგუება და არც დედისასო.

საქმე ისაა, რომ კირილეს ნამდვილი გვარი, რა თქმა უნდა, ქუყიანაშვილი იყო, ბოთერაძე კი — შერქმეული, მაგრამ ეს უკანასკნელი, ჯერ ერთი, რომ მის თვისებებსა და საქციელს ერთობ შეეფერება, მეორეც ისა, რომ თვით კირილეს მოსწონდა და მოსწონს.

ბო და, რაკი ისეა, ჩვენ აბა რა უფლება გვაქვს არ ვიჩინოთ?

ბევრი, ძალიან ბევრი გაკირვება და სომწარე ნახა თინიამ, სანამ თავის პირმშოს „წამოზიტავდა და გზაზე დააყენებდა“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. სიღარიბესა და ხელმოკლეობას რომ თავი დაეანებოთ, თვით კირილე რალაც ისეთი უხიავი და უემური ბავში იყო, რომ დედის ყოველი სიკეთე ავად მიიჩნდა.

ჯერ იყო და, დედამ სოფლის დალაქს მიიბარა, იქნებ ხელობა ისწავლოსო. მაგრამ მომავალ პარიკმახერს სამართებელის ხმარება, აღამიანთა პარსვის

მაგიერ, ხე-ხილისა და ვაზის სასხლავად უფრო ემარჯვებოდნენ. გაბეზრებულმა ოსტატმა არამკითხველ მებღალეს, რასაკვირველია, პანდური ჰკრა და უწყობილოდ შინ გაისტუმრა.

მერე მახლობელ დაბაში, ერთს გაქუცულ ბაყალს მისცა უკმაყოფილოდ, რა არის, შეძენა-მოგების ყაიდა მაინც შეითვისოსო. ხოლო, როცა ბაყალმა სეზონის გასულს დახლი და საქონელი შეამოწმა, ერთსაც საგრძობლად დააკლდა და მეორესაც, დახლს იმიტომ, რომ შიგნაკლები საქონლის საფასური შევიდა, საქონელს კი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბევრი ლოყაწითელი ვაშლი თუ დამკრახელი თითა კირილეს მსუნაგ მუცელში ჩავიდა.

ცდა ბედის მონახევრეაო, ეს ქეშმარიტება გაჭირვებულმა თინიამ კარგად იცოდა. ამიტომ ბაყალს ხარაზი მოჰყვა, ხარაზს—მიკიტანი, ამას კიდევ ბევრი სხვა გამოურკვეველი სპეციალობის ოსტატი, მაგრამ ამორგებულმა კირილემ ვერსად ფეხი საფუძვლიანად ვერ მოიკიდა.

ბოლოს, ასე აყიალებულს იმპერიალისტურმა ომმა უსწრო და, რაკი ჯარში გაწვევა, როგორც დედის ერთას, არ ეხებოდა, ცოტა არ იყოს, ფასი დაედო.

ერთმა სამხედრო მოიჯარემ აკენტად გაიხადა. ეს ხელობა მისთვის სწორედ ზეგამოჭრილი იყო: ჯამაგირიც კაი ჰქონდა და გამორჩენაც, ხოლო ხეტიალი და თაღლითობა ზომ იზათავითვე მისი ნამდვილი ბუნება იყო.

ორი წლის „მუშაობის“ შემდეგ სოვდაგარს დაემზავსა; შინ, სოფელში, მობრეკილი ცალთვალა სახლი დაანგრია და სამხარეულოდ გადააკეთა; მის ადგილს, პალატზე, წაბლისა და თელის სამთვლიანი ოდა წამოსჭიმა; გაკრიკინებული დობილო ასჩება, პარწმინდად გადააბრუნა და შიგნულ ციციკისა და დონდლაბის ნამყენი ჩაჰყარა.

განცვიფრებული სოფელი, წინად რომ ძალდადაც არ აგდებდა, ახლა ქების ტაშს უკრავდა და, რადგან ჯიბეში ფარა ბლომად ეგულვებოდა, ამიტომ თავს ოდნავი მეცანატობის უფლებაც მისცა და სოფელს თალიანი ქვიტიკრის წყარო გაუკეთა.

ბედნიერებით ცასდაწეული თინია თავისი პირშმოს მზესა და მთვარეს ჰფიცულობდა. მაგრამ, ნაოქვამია, ყველიერს დიდმარხვა მოსდევსო.

ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ იმპერიალისტური ომი მეფის რუსეთისთვის როგორ და რითი გათავდა. თავის პატრონ-მოიჯარესთან ერთად სარაყამიშიდან გამოქცეული კირილე ერთ ხანს ყარსში შეფერხდა, მაგრამ, რაკი „კავკასიის სახელოვან არმიას“ იქაც აღარ ეღვკომებოდა, კირილემ გუდა-ნაბადი აიკრიფა და ტფილისის მოაშურა, სადაც იმ დროს ნამდვილი ბაბილონის გოდოლი შენდებოდა.

აქ ერთხანს თითქო საქე და იალქანი დაეკარგა, რადგან პოლიტიკურ საკითხებში გარკვეული არ იყო. რაც რომ ფრონტზე ნაწაპნი ჰქონდა, სულ იმ კაფე-რესტორანებში გააქრო, მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე რომ ყოველ ღამე სოკოებივით ჩნდებოდა. გუდაცალიერი აქეთ ეცა, იქით ეცა და ისევ ძველი პატრონის შეწევნით, გვარდიის საინტენდანტოში შეტვრა.

აქედან ერთი ნაბიჯიც წასდგა და, უხვი პურ-მარილის მარცხით, სოც-დემოკრატიული პარტიულით გაიქრა.

ახლა უკვე სახუმრო ვინმე კი აღარ იყო!

ქართული

პარტიულ ინდაურთა შორის ქლესვით პოლიტიკური მარცხის წესი დაიდო, ცხ ვირი ბიჭიტა, შუბლი შეიკრა და მარჯვენა ხელის წინი თითი აამოძრა: მკითხველი ისედაც მიხვდება რისთვის.

ორი წლის განმავლობაში აღმა ხმა და ჩაღმა ფარცხა. მოგეხსენებათ, ძველ მარაგს მაშინ ქაფი კიდევ ბლომად ადგა და კირილემ საქაფავი კი არა, ს ალაფავიკ აღარ დაინდო. ისე გასივდა, ისე გაიბღინდა, რომ თავდაბალ სალამს ღვთის რისხვად ლებულობდა.

ხოლო მის პატრონებს რომ ცოტა კიდევ დასცლოდათ, ვინ იცის, ეგებ მთელი გვარდიის მთავარი ინტედანტიც კი გამხდარიყო: საამისოდ ხომ უციცობა და სიბრყველე ქარბად მოეპოვებოდა!

როგორც ვიცით, ეს ფონიც მალე დაშრა და, ტფილისიდან თავის პრინციპალებთან ერთად კისრისტეხით გაქცეული, გონს გორში ძლივს მოვიდა. აქ უკვე, დასაყოფნებელი და უკან მისახედავი პირადად მის ალარაფერი ჰქონდა. ამიტომ პურის თეთრი ფქვილისა და გაროხი შაქრის ტომრებს წარუძღვა, გზა და გზა ზოგი დააფასა, ზოგიც გააფასა და, ზესტაფონს რომ მიადწია, გერმანიან ბატივით წუმპედან მშრალი ამოვიდა.

ამოვიდა და... გუშინდელ თავის კეთილისმყოფლებს საჯაროდ სულ შეკდარი და ცოცხალი გადმოუტრიალა. ხოლო, რაკი იმხანებში ბოლშევიკებზე მეტად „მომხიბლველი“ ლეგენდები იყო გავრცელებული და რადგან საკუთარი დინგი ისედაც მოსვრილი ჰქონდა, ამიტომ საუშჯობესოდ სცნო, დროებით სოფელს შეჰხიზნებოდა.

როცა წყალნი წავიდ-წამოვიდენ და ნალექიც დაირეცხა, თავი ისევ წამოპყო, ჯოგში გაერია, ვითომ მეც ნახირ-ნახირო.

1922 წ. რომ ზესტაფონში სეფეია ბაზლაძემ იქაურ ვაჭრებსა და ჩაქვირითებულ სპეკულიანტებს კუდით სულ ქვა ასროლინა, იმ საქმეში ჩვენი კირილეს ერია, როგორც საბაზრო კომისიის აგენტი. სწორედ აქედან დაიწყო მისი ახალი კარიერა.

მაგრამ ეს კარიერა წინანდულივით უზრუნველი და უტკივარი როდი იყო: ძველი რეციდივივისთვის ერთხელ სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, მეორედ — უკანასკნელი გაფრთხილება, ხოლო, რაკი თავისებური მაინც არ მოიშალა, ბოლოს, პასუხსაგებ თანამდებობიდან მოხსნესა და იმ დაბალ სამუშაოზე გაგზავნეს, სადაც ამჟამად იმყოფება.

7.

— ჰე, ბიჭებო, ჰე ბიჭებო! პა-პაპა-პაპა! აი გამარჯობა და ბნარაქა თქვენ მარჯვენას! დასცხეთ! დაფინეთ! დააგეთ!

აქეზებს თავის ბრიგადას ხელმძღვანელი ზიბზიბაძე, რომელიც კოდალა-სავით მისკუბებია ვეება რცხილასა და ჰბელავს.

— აგრე, აგრე, თქვენ გენაცვალოს ბებია-ჩემი ზვარამზე!

ზიბზიბადის გამოსაჯავრებლად დაურთავს ბრიგადელი ჩიტო ხაბუკაძე, რომელსაც მეტსახელად „გეიკრიკეს“ ეძახიან.

ისმის ნაჯახების გამალებული თქაფუნის, სასტაფების სანახარის დაწვადების ჩახუნის.

ბრიგადა კოლმეურნეობის ვენახებისთვის ჰიკოს ანზადებს საკუთარ ტყეში. თორმეტი კოლმეურნე, თორმეტივე დამკვრელი, ზუსტად აწყობილ საათივით მუშაბს. აქ არ არის შენ-ჩემიობა, ერთმანეთზე საქმის მიგდება, წელის ათრევა, კრელობა და მტრელობა: ყველა ნაღლია, პირდაპირი, დაუზარებელი.

თვით ხელმძღვანელიც ერთი ორსა სჯობს: ნაცადია და ნაწრთობი, საკოლმეურნეო კურსები გაუვლია, ბევრჯერ დაჯილდოებულა. კოლმეურნეობის ნამდვილი ხელმძღვანელი ესაა და არა აღიქსა ნეფიტარიძე. ამას ყველა ჰგონობს, მაგრამ არ აზრობს. ან კი რა საქროა? ვანა თვით აღიქსამ კი ყველაზე უკეთ არ იცის? იცის და მით უარესი მისთვის. ანტრფო ზიბზიბაძე ისეთი კაცი როდია, ვისმე თვალში ჩაუვარდეს, ან ფეხიგულში ეკლად შეესოს. არა! ოლონდ საქმე გაკეთდეს.

— ასე ჰო, ჩემო ძამია, თეთრი და შავი აბაქონი გამოჩდება.

ასე ეტყვის ხოლმე იგი ამ ნიადაგზე კოლექტივში შულღის ჩამოგდების მოსურნეს.

სასოფლო-სამეურნეო არტელი „სამაგალითო“ იმ რაიონში ერთ-ერთი ასაკოვანი არტელია. თავისი განვითარების სივალზე ბევრი ოღრო-ჩოღრო გაიარა, მრავალი ხლართი და ეკალ-ბარდი სწავიტა. „წარმატებისგან თავბრუდახვევასაც“ გაუძლო და, ბოლოს, მაინც სწორ გზაზე გავიდა. თუმცა 1931 წლის დასაწყისში წევრთა რიცხვის ნახევარზე მეტი დამკარგა, მაგრამ ეს დანაკარგი მისთვის ნამდვილი შეძენა იყო: წყალნი წავიდ-წამოვიდენ, ქვიშანი დარჩენ.

ახლა კოლექტივი 78 ოჯახს აერთიანებს. აქვს თავისი ნალიები, ზვირები (სასილოსოც), მარანი, წისქვილები, სამკვდლო, სადურგლო და აგურსაწყვივი.

„სამაგალითო“ მართლაც სამაგალითო არტელი იქნებოდა, რომ... თავმჯდომარე ასე უდიერად თავს არ დასჯდომოდა...

განუწყვეტელ თოვლ-ჰუაბის შებნეგ მარტმა თავქუდი მოიგლიჯა: ისე აცხუნებს, თითქოს ივლისიიო. დამკვრელებს ზედასცმელები დაუხდიათ, შუბლზე ოფლს წინა თითით იწმენდენ.

— მიდი! მიდი! დაჰკა, დასცხე, არ დაზოგო!

არ სცხობება დამკვრელი-მეთაური და მერე ზვირებით გადმოსძახებს:

— კაცო, რა ლიამპარი დააყენა ამ დალოცვილმა!

— მარტი-მურტია რეული!

ვაეხმაურება ტატო ჰემოკლიძე.

— რეულია, რეული ჩვენ თავმჯდომარესავით!

გასძახებს „გეიკრიკე“.

ტყეს საერთო ხარხარი მოედება, ლიწნარსა და ჯაგებში დაიხლართება, და, როცა ბრიგადელები უკვე დაწყნარდენ, გაღმიდან, თითქოს ვინმე აჯავრებსო, კვლავ ხარხარად დაბრუნდება.

— რეულია თუ რწეული, ამ დროებას ქე თელავს, ჩემო ძამია, და მეტირა გინდა.

თავის ახლო მომუშავეს წაულაპარაკებს ხანში შესულს კომპოზიტორს, რომელსაც ნეფიტარიძის არც წარსული დავიწყნია და არც აწმყო: ~~აწმყო~~ ~~აწმყო~~ ~~აწმყო~~

— ნეტა სად დარატრატობს, ბიჭებო, თუ იცით? მესამე დღეა მისი ლანდი არაეის დოუნახავს!

კითხულობს ნასხეპის ბურღოზე შემდგარი ქემოკლიძე.

— ფოთს წასულა, ტატოჯან, ზუთხის მოსატანად: ხვალ ხომ ხარება არი? „გეიკრიქეს“ ნათქვამს კვლავ გულიანი საერთო სიცილი დაფარავს.

— ჰო, შენ ოლონდ ქინძი და ძმარი დოუმზადე!

— შენმა ხახამ იკითხოს, თვარა იმას არც ზუთხი აკლია და არც ზურგიელი.

— არ აკლია, მარა... დააკდება. კოკა წყალზე გატყუდებო, ხო ვაგიგონია?

— რალა დროს, ჩემო ბიძია? მუცელი ქე ჩეიჭვირითა სხვისი ნაოფლარით და... გაუბედავად წაიდუღუნებს ისეც ის ქალარა კოლმეურნე.

— თქვენ, ეი ენამყარლებო, ტყულა ქირდვას თავი დაანებეთ, კაცი საერთო საქმეზეა წასული.

ვითომ სერიოზულად გადმოსძახებს „გეიკრიქე“.

— ჰო, შენ არ მიავლინე!

— არა, მართლა, სად არი, კაცო, ამდენ ხანს?

— სად არი და... დელეკანტათ გოუგზანიათ: ჩინეთი და იაპონია უნდა შეარიგოს თურმე!

უპასუხებს „გეიკრიქე“.

— არა, შენმა შვიმ, შენსავით ეკლით დეილღეტს აქანა ხელებს!

წასაქმებულად ეტყვის ბერიკაძე, რომელიც აქამდე მდუმარედ აწყობდა ამოსხებილ კიგოს.

— რატომაც არა?

— ვითამ რაიო?

— ვისი წითელი კოკია?

მიესიენ აქეთ-იქიდან ბერიკაძეს, რაკი მისი გუნება იცოდენ: პირდაპირი კაცი იყო და სიტყვას ვაგლახად არ დახარჯავდა.

— რატომ და იმითომ! აქანა რო წაგიგლიათ ენა და ყვერულეზივით ჯაგებში იმალებით, რატო კრებაზე არაფერს იტყვით, თუ კაი ბიჭები ხართ?

— რაეა?

— არ გვითქვამს თუ?

— გვითქვამს და კიდევაც ვიტყვით.

— ვადი, ვადი! შენი ნათქვამი არსად წახეება: აქანა ყულა მარჯვე ხარ. შეუტრია ბერიკაძემ ჩია წალამიძეს, ყველაზე მეტად რომ იბაქებოდა.

— რატო, კაცო, რატო?—თავისთვის გულს იკეთებდა მართლაც დაშინებული წალამიძე:—შეშინია თუ? ჯორს ნალები არ ამიყაროს აი!

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ! ბარე ორჯელ ამოგისვაცე და აწ-კილო მეტს მეელოდეთ.

— შენი კარკა ყოფნით, რასაკურელია!

— ჩემთან რა გინდა, შე უხვირო? ყველას ხო კრუხივით თავზე ვერ დაგფარებენ?— წყნით მიუგო ბერიკაძემ:— ამას წინათ რა ყველამ პირზე წყალი დებიუგეთ და მე კი სულ ღდინი გამაგდებია, ის რაღა იყო?

— რაფა, კაცო, ჩვენ და შენ რას ქვია? ყველა ერთი არ ვართ?

— მეც მაგას მოგახსენებ, ერთი რო ვართ, პირიც ერთი უნდა გვქონდეს, თუ არა? ლასა ფსიტიძე მარტვა ჩემსას ხო არ ჰვამს?

ეს ლასა ფსიტიძე ალექსას სიმაშირია. ყოფილი შავსიელი, ახლა კი კოლმეურნეობის სადურგლოს გამგე. ნაცადი, თოფნაკრავი ბებური მელაა, გულხარბი, მოუსვენარი, ინტრიგანი და გაიძვერა.

მას მხარს უმხვენიებს მკედელი აცაშვილი. ესეც არა ნაკლებ უბამსი, უქნარა, ლოთი და ოინბაზი. ერთი ახმაზი რამ არის: ადლიანი მხარ-ბეჭი, ორ-ორი ადლი ხელ-ფეხი, ცალთვალა, ყვავილით დაკენკილი. საშინელი ღონის პატრონია: ცხენის ნალს ისე გასტეხს, თითქოს თბილი შოთიაო. შარიანია და გადაშვიდე: უჩხუბარი დღე დღედ არ მიაჩნია.

ამათ თუ ვანკა „ნიხვერშტეინსაც“ მიუმატებთ, მაშინ ჩეფიტარიძის, ასე ვთქვათ, სამეული უკვე ნაცნობი იქნება. ნიხვერშტეინი შერქმეული სახელია, თუმცა მისი ნამდვილი გვარი, მგონი, თვითონაც არ იცის.

მეზობელ სოფელში ოდესღაც ერთი ახირებული მემამულე იყო: უშვილო და უძირო, გადამდგარი პოლკოვნიკი. პატარობიდან რუსეთში იყო გაზრდილი, თავისი მამული არც კი ახსოვდა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ორიოდეჯერ თუ უნახავთ დედულში მოსული.

მსოფლიო ომის წინა ხანებში, მთელი თავისი ბარგი-ბარხანით მოულოდნელად დედულს ეწვია და „ნადენშიკარი“ ვანკაც თან მოიყვანა. სოფელს მისი მოსვლა იმდენად არ გააკვირვებია, რამდენადაც ის გარემოება, რომ ნაპოლკოვნიკარმა თავისი ნადენშიკარის მოურაობით ერთბაშად მეურნეობას მოჰკიდა ხელი. „მკედარი მკედარს აეკიდაო“— დასცინოდენ გლეხები. და მართლაც: ვერც მემამულემ და ვერც მისმა მოურავმა მეურნეობიდან წყალბისა და ხარჯის მეტი ვერაფერი ხეირი ნახა.

ომი რომ ასტყდა, ძველი მეომარი მთვარეულივით ამორიალდა, როგორც მოულოდნელად მოზარგდა, სწორედ ისევე აიზარგა და ფრონტზე წავიდა. თავისი ვანკაც, რა თქმა უნდა, თან წაიყვანა.

გავიდა ხანი. 1918 წლის მაისში ვანკა ისევ უეცრად გამოცხადდა, მაგრამ ახლა უკვე უბატონოდ. რომ ჰკითხეს: საიდან სადაო ან პატრონი რა იქნაო, გულაჩუყებულმა რუსმა კურცხალა ცრემლები ჰყარა და შემდეგი უამბო:

ჩემი ბატონი 1915 წელს წყუთლმა ნემცებმა საიქიოს გაგზავნეს, მე კი ტყვედ წამიყვანეს. სამი წელიწადი მაწვალეს: არც მომკლეს, არც მაცოცხლეს. სიმშლით კბილები დამცვივდა. ცოტაც კიდევ და მეც ბატონის გზას უნდა გაედგაოდი, რომ ბოლშევიკებს ფრონტი არ დაეშალათ. ტყვეობიდან გაეთავისუფლდი, მაგრამ რაღა ტყვეობა და რაღა თავისუფლება! საზღვარზე მოგედი და ვფიქრობ: არც მამული, არც დედული; არც სახლი, არც კარი— იგორე საითაც გინდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და უეცრად თქვენი კაი მეზობლობა და პურ-მარილი გამახსენდა... ახლა თქვენ იცით: გინდა მიძმეთ, გინდა მიყმეთო.

სოფელმა უთვისტომო ვანკა შეივრდომა: გენერლისეულ მამულადან, საფონდოდ რომ იყო ჩაირცხული, ნორმა მიუზომა, დაასახლა, მოაწყო. მერე ქალიც შერთო და, ამრიგად, ვანკა ნეპომნიანი ნამდიელ იმერეთის კლასიკოს იკვარაქი პირველს ხანებში ქართული ნაკლებად ესმოდა, გულს ბრწყინლო სოფლებების გასაკვირვებლად სულ „ნიხტ ფერშტეე“-ს გაიძახოდა, რის გამოც „ნიხვერშტეინი“ შეერქვა.

ამჟამად ნიხვერშტეინი კოლმეურნეობის წევრია და ნეფიტარიძის მარჯვენა ხელი. იგი ბუხპალტერიას განაგებს და ისე განაგებს, რომ ბებერი ემიკაცი კი მის მიერ დაბურდულს ანგარიშებში უთუოდ კისერს მოიტეხს.

ერთი რამ კი ცხადია: რასაც ფსიტიძე გამოაკვარაპინებს—ასაწაპნია თუ ასაქაფავი—იმას ნიხვერშტეინი ბუხპალტერულ საფუძველს უქმნის, მჭედელი აცაწვილი, უკეთეს საჭირო შეიქნა, ფიზიკურის ზეგავლენით ამტკიცებს, თავმჯდომარე ნეფიტრადე კი ჩვეული ბრახაბრუსხით ზორალურად ამართლებს.

ასე, მაგალითად: ამ რამდენიმე ხნის წინად, ფსიტიძემ კოლმეურნეობის მასალით ნაკეთები ურმის ორი წყვილი გოგორა სადღაც კერძოდ „გაიამასქნა“, როგორც პამფლეტისტები იტყვიან ხოლმე.

ეს ამბავი ბერიკაძემ თავის დროზე შეიტყო და, რა თქმა უნდა, კიდევ გამოამეღავენა, მაგრამ „კონკრეტული საბუთების წარმოუდგენლობის გამო“ (ასე იყო ნათქვამი იმ კომისიის ოქმში, რომელმაც ეს ბოროტმოქმედება იკვლია), უშედეგოდ დამთავრდა, ღოღო „ცილნაწამებმა“ თავმჯდომარემ ბერიკაძეს სულ ნაბდის ძველი უფერთხა და კოლექტივიდან მისი გარიცხვის საკითხიც კი აღძრა.

სწორედ ამ გარემოებას შეეხებოდა ბერიკაძის წელანდელი საყვედური ამხანაგებისადმი, რატომ შხარი არ დამიჭირეთო.

— რატომ მაშინ არ დეიგებლე ვგენა, — არ სცხრებოდა გაავებული ბერიკაძე: — როცა საუკეთესო წევრებს კოლექტივიდან აბურავანი კრა და სამი კვამლი კაცი გაგალიაზე დააჯინა?

— რას მეუნები, კაცო? თავი კი არ მამტლებნია! რაც იყო, იყო — იმას ველარ მიეწვი. უტკივარი თავი რაღაზე უნდა ვიტკინო?

— არც აგრე იქნება, ჩემო ბესია, საერთო საქმისთვის უნდა იტკინო, თვარა, ერთხელაც იქნება, ის აქლემი შენ წინაც დეიჩოქებს.

— შენ აღხეინათ იყავი, — წალამიძის მაგიერ უპასუხებს კიუტა ქემოკლიძე: — მაგას თუ ნიხვერშტეინი ცოცხალი გყოლა, უბატონოთ ხმასაც ვერავენ გაცემს.

— ამხანაგებო, ნუ დაგამიწყდებავე, რო თვითკრიტიკა როდი გადავარდნილა!

გამოსძახა „გეიკრიკემ“ და ვასაკასავით ჩაიკვისკვისა.

— დიახ, მაგ ჭკუაზე ვარ სწორეთ! — სულდაუთქმელად მიადხა წალამიძემ: მაგ თვითკრიტიკამ ნიკაპაძეებსაც კაი კოკორი ჩოუსვა. არა, ძმაო, ვინც გაგებრიყვების, ასევე ის წააქებე.

— იმე, შე კაი კაცო, თვითკრიტიკა ის კი არ არი, რაც ენაზე მოგადგეს. ყოლიფერი იტლიკინეო. თვითკრიტიკას საბუთი უნდა... ხო, საბუთი და საქმის

სიყვარული, თვარა ისე შენ-ჩემობა გამოვა. ნიკაქაძეები, მართალია, კი მუ-
შები იყვნენ, მარა ცოტა ქე ურიკინებდაყე.

— შენ თუ მყრალი არ თქვი, ხო არ იქნება, — უსაყვედურხან ჰჭრისკადემ,
რომელსაც ნიკაქაძეების მომხრეობისათვის თავის დროზე კოლექტივის გამ-
გეობის მიერ (იგულისხმე ნეფიტარიძე) საყვედური ჰქონდა გამოცხადებული: — სი-
მართლეს რო ამბობდენ, იმიტომ ურიკინებდაყე?

— აბა რა არი? რაცხას დედაკაცები მობოდავენ, იმას ვაშაკი რაეა
აყეება? აქაო და, ნიხვერშტეინის ცოლს კლემდინინები აცვია და საიდან აცვიაო.
გამოუწმინდა ნაშუსი წალამიძემ.

— აგრე, აგრე, ბესოჯან, მიდი, ნუ გეშინია, ქვისლი არ დააჩავერიო!
გააქეხა „გეიკრიქემ“.

— ტუილს ვამბობ თუ ნიხვერშტეინს იქნება სხვა რამეც ბევრი აქვს, მარა
ნიკაქაძეების წყალობა ხო არ არი?

— არა, შენ ერთი ის გვითხარი, გარმონი რაეა შეიძინა, გარმონი?

— ჰო, მართლა!

— აბა ეგ არი და!

მიაძახეს აქეთ-იქიდან.

ამ გარმონის ისტორია მართლაც ოდნავ საინტერესოა: არტელში დაარ-
სებიდანვე, სხვათა შორის, სამი ძმა ნიკაქაძეც იყო, სამივე მტკიცე კოლექ-
ტივისტი და ჩინებული მუსიკ. მათი აქტიობითა და სამაგალითო საქციელის
შინდელით არტელს ბარემ ათიოდ) ახალი წვერი შეეძინა. უმცროსი ნიკაქაძე
არტელში დაცოლიანდა, ხოლო, რაკი მისი საცოლევ კოლექტივის წვერი იყო,
გამგეობამ, რა თქმა უნდა, მხურვალე მონაწილეობა მიიღო თავისი საუკეთესო
წვერის „გაბედნიერების“ საქმეში:

მაყრიონი ვანკა ნიხვერშტეინმა შეარჩია, საქორწილო სუფრის თამაღობა
ალექსა ნეფიტარიძემ იკისრა. პატარძალს „თავადასაგდებად“ ესე იგი, საჩუქ-
რად, ნიხვერშტეინის წინადადებით, საერთო თანხით შექმნილი, რუდაკოვის
მარკის სამსართულიანი გარმონი მიართვეს (პატარძალი გარმონის განთქმული
დამკვრელი იყო არა თუ მხოლოდ კოლექტივში, არამედ მთელ სოფელშიც,
მაგრამ მისი ხელოვნების წარმატებას შესაფერისი ინსტრუმენტის უქონლობა
უშლიდა ხელს).

ეს ამბავი იმ ხანებში მოხდა, როცა, მაშინდელ თავმჯდომარესა და
ალექსა ნეფიტარიძეს შორის გამწვავებული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ეს
ბრძოლა, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის გამარჯვებით გათავდა, დამარცხებუ-
ლის მომხრეთა შორის ის სამი ძმა ნიკაქაძეც ერია და, რასაკვირველია, მათაც,
აღრე თუ გვიან, დამარცხებულის ბედი უნდა გაეზიარებინათ.

ალექსამ ნიკაქაძეებს დრო უბელთა და კოლექტივიდან გარიცხა. ნიხვერ-
შტეინმა ამ გარემოებით ხელი მოითბო: არც ჩვეულებას დასდო პატივი, არც
ქორწილის პურ-მარილსა და ნიკაქაძეებს ნაჩუქარი გარმონის დაბრუნება მოს-
თხოვა, კოლექტივის თანხით შექმნილიაო. ნიკაქაძეებმა გარმონი დააბრუნეს
და, რაკი გარმონის დამკვრელი კოლექტივში ნიხვერშტეინს გარდა სხვა არავინ
იყო, საკრავი ფაქტიურად ვანკას დარჩა და შემდგომ არც არავინ შესდავებია.



— ჩუ, ძალი ხსენებაზეო!
 შეცრად წამოიძახა „გეიკრიკემ“, რომელიც მალაქა მან უხმად ცეცხლად
 წვეროში და ასაფრენ ძერასავით ყუნტალობდა.

ყველამ ერთბაშად დააყურა.

სადაც სერს გადაღმა, მოგუდულად ისმოდა გარმონის კრიახი.

— უსათუოთ ნიხვერშტენია!

— რასაკურელია, ის არი!

— აღბათ ჩაობრებულოა; გესმის რაეა კაკანობს?

— არა, წყურალი იქნება აი!

— რა ენაღვლება!

— მე გეტყვი, შრომა-დღეები არ დეეთვლება!

კოტაც კიდევ და გარმონის ხმა ახლა გარკვევით მოისმა. სერზე გადმომ-
 დგარი ნიხვერშტენი ოცობოდივით მოაბიჯებდა, გარმონს მთელი მყერდის-
 სიგანეზე შლიდა და ხმამალა დამღეროდა:

„ვანკამ ჭამა ხიზალალა“

კოლექტივმა იზარალა... „

ბიჭებს გულიანი სიცილი აუტყდათ. მხოლოდ ერთი ბერიკაძე იყო წარ-
 ბმეკრული და შემპარავ ძალღვივით იღრინებოდა.

— მაგას ფეხებზე კიდეა შენი შაბიამანი!

ნიხვერშტენიმა ბრიგადის მუშაობის ხმაურს ყური მოჰკრა და მისკენ გა-
 დმოუხეია.

— გამარჯობა ამხანიკემო, მოიო ვამ კოლხოზნოე! ვმუშაოტ რაგა... ა ია-
 ვოტ... ტიოშა ულოსტილა, ტუდი ეიო.

და ძალუმად დააბოყინა.

— კოლოურს ყოფილა საციქველზე.

— სიდედრს გამოუსისტიქინებია.

— აპა რას დეიკლებდა!

ნიხვერშტენის აღარაფერი ესპის. ხან ერთს მიაპყრობს გალენჩებულ თვალს-
 ხან მეორეს. სდგას და ბარბაცებს. წარაწარა გარშემო იხედება, თითქოს დასა-
 ჯდომ ადგილს ეძებსო. კოზირიანი ქუდი განზე მოქცევია. ორივე მუხლისთავი-
 ტალახით მოსვრია, აღბად დაცემულა.

— ა ვი შტო, სუკინი შჩენკი? ტყვენ გეუნები... ფერშტენ ზი ნიბტ?

ტიოშა უსლუილა, შტობ ეიო... ნუ ვიპილ. იასნო? რაზ უგოშჩაიუტ-
 პეი! ევხ მიაა!..

და გარმონს ხელი, შეავლო მაგრამ დაკვრის შნო უკვე აღარ ჰქონდა.

— შენ ის გვითხარი, გაარიგე რაშე თუ არა?

— ა? შტო?..

ენის წლაკუნით წაიბლუენა.

— შაბიამან გდე, შაბიამან, ტავარიშჩ ვანკა?

შეეკითხა „გეიკრიკა“.

— შაბბბი?—და კვლავ დააბოყინა:—ნეტუ ტი! არ მოგცეს, მატ იხ ჩეს-
 ტნუიუ! ინე დადუტ...



— რატომ, ვანკა, რატომ?

— რატომ? ა პატამუ, ვოტ... გაზეტში, გაზეტში გაგცერეს... რასტრატჩიკი მოლ, ვორი, ბეზდელნიკი... პოდ სუდ, მოლ, ვსებ... ტავედომარტი, ი შენია, ი ტებია... მდააა, შტუკა, ბრატ!

ეს რომ სთქვა, ერთიუ მაგრად შეივინა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ძებნა დაუწყყო, თანაც გაურკვეველად რაღაცას ბუტბუტებდა. ჯიბეებში ჩიჩქინისას წონასწორობა დაჰკარგა, ფეხები გადაეხლართა და, სადაც იდგა, იქვე მოწვეტ ჩაეტიტება. დაცემისას გარმონი საბრალოდ აუფლრიალდა.

ბოლოს, როგორც იყო, შიდა უბიდან „ნიანგის“ დაკმუქნული ნომერი ამოიღო და პირველსავე კოლმეურნეს გაუწოდა: აი, ჩიტაი! სულ დედა გიტირა ვსებ პოდ სუდ, ვსებ... ერკაი, გეპეუ... შენც, მეც. კველა, კველა...

ბიკები ეურნალს მისცვიდენ. ჰფურცლავენ, ათვალეერებენ. ეძებენ—ვერ უპოვნიათ.

— კაცო, გდე სლუში, გდე?

— ვოტ, ტუდი, ეგერ.

და ეურნალის ფურცელს თითი ისე ატაკა, რომ მეორე მხარეს გაახედვინა.

— მაშეცით, ბიკებო, მე წაგიკითხავყე!

იძახის გაუგებრად წამოწითლებული „გეიკრიკე“ და ჯგუფის შუაგულს შეიკრება. გამოართმევს, იქვე ნახებზე მიჯდება და გადაშლის:

კოლმეტივ „სამაგალიტოს“ მიღწევათა მაგალიტები.

იმერული ოდა, გრძელი და განიერი აივანი, მალალი კიბე. კიბის სწორა, სახურავს ქვემოდ უზარმაზარი წარწერა:

„სამაგალიტოს“ დამკვრელები!!.

აივანზე გაშლილი სუფრა. სუფრის გარშემო კოლმეურნეობის მთელი გამგეობა. სათამადო ადგილს—ნეფიტარიძე, მარცხნით—ლენით სავეს ქვეერი ზედწარწერით: „კოლექტივის მარანი“. ნეფიტარიძეს ხელში ვეება ყანწი უჭირავს, „რეჩს“ ამბობს:

„ამზანაგებო, ეს იცით, რა იყოს? ლარიბთა გული შუა გაიყოს, მისი ნაშრომი ჩვენმა გამგეობამ წაიღოს და მერე ძმურად ერთმანეთ შორის გაიყოს!“. მთელი ამფსონი ტაშს უკრავს, ნიხვერშტინი — ტუშს.

მარცხენა პლანზე:

კოლექტივის სასიმიინდე. კარზე უშველებელი ბოქლონი აეცეს. სასიმიინდის წინ კოლმეურნეები და მათი ცოლ-შვილი ატუბულან ცალიერი ტომრებით, ბათ-მნებით. გობებით.

სასიმიინდეს უკან ლარი აქვს მიდგმული, ლარში დაფშენილი სიმიინდი სდის უწვეტ ნაკადად და ხრამში ეშვება, სადაც მას სხვადასხვა ცხოველებისა თუ მხეცების სახით დახატული მღვდელი, კულაკი, სვეკულიანტი და ჩარჩი სანსლავს.

მარჯვენა პლანზე:

კოლექტივის სადურგლო, სამკედლო, აგურხანა, საიდანაც ურმის გოგრები, ზედადგრები, ბარები, ნიჩბები, თოხები, ცულები, აგურები და სხვა-სხვა გამოფრენენ და ოთხივე კუთხით სადლაც იცარებიან...

მთელს ამ პანორამას ქვეშ ასეთი წარწერა აქვს:

„ასე ხდება რა ხანია...

ერთი გვითხარ, მუშ-გლეხინო,

აღეჭსამ და კამპანიამ

როდემდი უნდა იღზინოს?“

კოლმეურნეები გულიახად იცინიან, ოხუნჯობენ, თაფიანთ აზრს გამოსთქვამენ.

— აცა, აცა! მოსცხეს თუ არა?

— იხაროს მისმა მარჯვენამ, ვინცხამ ეგ დახატა!

— იქნება ღმერთმა ინებოს და ახლა მაინც გვეშველოს რამე!

— აჰა შეუყენეს აღეჭმის წყალი, ა?

— შენ ალხეინათ იყავი: აღეჭსა იმისთანა ბატი როდია, რო წყალი აგრე იოლათ შეეკიდოს.

— არა, ძაან ქე გამოუყვანია ი მამაცხონებულს!

— ოჰ, ააშენოს ღმერთმა მისი ოჯახი!

— ნეტა, ვისი ნაქნარია?

— ყოლიფური სტორი ქე გამოუყვანია, ძმაო, და რას ერჩი!

— ბიჭო, შენ ხო არ გაგიწყრა ჩემი გამჩენი?

განგებ სერიოზულის კილოთი მიმართავს „გეიკრიქე“ ბესია წალამიძეს, რომელიც პირდაღებული დასცქერის ეურნალსა და თან ცხვირს იჩიქნის.

„გეიკრიქეს“ ნათქვამს საერთო ხარხარი ჰვარავს.

— გაჩუმდი, კაცო, ხათაბალას არ გაღვილო: ვინცხას მართალი ეგონება!

— ა ია, ბრატცი, — ბლუფუნებს ზურგით ჯირკსმიყრდნობილი და ძილით თვალმოხუჭული ნიხვერშტეინი: — ს გორია ვიბილ. დხოზობას გვიბცები, ს გორია... არ გინდა, მაინც დალიე! ძალიან გაგცერა იმ მამახაგლი... ა ია ზნაიუ, ვინ გააკეტა! ოხ, ზნაიუ: ნიხვერშტეინ ფერშტეეტ ალლეს!.. ტუდი ეგო მატ!..

და ერთბაშად ხვრინი ამოუშვა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მობრუნება

(ბ თ მ ა ნ ი*)

IV. ლუკაიას გაცხენება.

„ლუკაია ბიჭო, აბხაზები ჩამოსულან, ჭიშკარი გაუღე“, ყვიროდა ნიგვზის-
ქვეშ მჯდარი ბაბუა ტარიელ. სამზადის სახლიდან უქუდო, თმა გაბურძევილი,
ფეხშიშველი მოხუცი გამოვრბოდა.

როგორ არ შეენოდა ეს „ბიჭო“ ლუკაიას თეთრ წვერებს!

თუმცა, თეთრი კი არა, ყვითელი, დამქვარტლული მატყლის ფერი წვე-
რები ჰქონდა მას. ტანად გოჯა იყო ლუკაია, ძვალმსხვილა, გრძელწელა, კი-
სერმოკლე, ლაწვემალალი, გრძელხელა და მოკლეფეხება. მარჯვენა ფეხზე ექვსი
თითი ჰქონდა, მარცხენა მხარი ამოვარდნილი—(ბალლი ყოფილა, როცა ავზნეს
მოუვლია პირველად, მაშინ ამოვარდნოდა მხარი).

მირბოდა ლუკაია, აცაბაცა მიჰქონდა ჯიხვის რქებმავეით მოდრეკილი ფე-
ხები, მორბენალი უფრო სასაცხლო იყო ლუკაია, ხის თოჯინასა ჰგავდა ბალ-
ლების სათამაშოდ გაკეთებულს.

გარბოდა უქუდოდ ლუკაია, მანძილს ძლივს ერეოდა, სტუმრებს თვალით
ველარ ჰხედავდა, რადგან ცხენოსნები მუხის ჭიშკარს გადაღმა იცდიდნენ, ასე
ეგონა მთელი აბხაზეთი მის სანახავად ჩამოსულაო, უხაროდა, გარბოდა, მაგ-
რამ ზეფი არა ჰქონდა მისმიერ გარბენილ მანძილს. მაჯაგანით მიაღწია ლუკაიამ
ჭიშკრამდის, ორმაგი რაზა გახსნა, ურდული გამოიღო ძველებური, ყავრით
გადაბურული ჭიშკარის თელებიდან, ცალი ხელით მკერდზე მიიხუტა და ასე
იდგა როგორც გრძელშუბოსანი ბერძნული სატირი.

ღრაკინით გაიღო ჭიშკარი და როცა კაც ზეამბაია და მისი ვაჟი შენიშ-
ნა, უეცარი სიხარულისაგან აპრიალდნენ მისი ისრიშის ფერი, მომცრო თვა-
ლები.

„ღია“! წამოსცდა ლუკაიას.

დაქვეითდა მარდად კაც ზეამბაია, არზაყანს მიუგდო ცხენი და „ქრისტე
აღსდგა“ მიესალმნენ და გადაეხვიენენ ურთიერთს, კაც ზეამბაია და ლუკაია
ლაბახუა.

მარჯვენა მკერდზე აყოცა ლუკაიამ კაცს და შემდეგ არზაყანისაკენ გაი-
წია, მაგრამ არზაყანმა ცივად შორს დაიჭირა მისი განზრახვა, რაკი ლუკაიას

*) იხ. „მნათობი“ № 12—1963 წ.

თვალის უბებში მოზღვაებული წირბლი და ყურებიდან გადმოღვარებული თელ-
გამი შენიშნა.

კაც ზვამბაიასაც ძალიან გამოცვლილი ეჩვენა ლუკაიას ლუკაიას დატყვევებუ-
ლიყო, დაღუული იყო მისი ისედაც მორჩილი ტანი. გაბურძგენილი თხაწვერი
მომეტებულ სისხოს აძლევდა თავპირს, ერთი შეხედვით თავკოპალას დამსგავ-
სებოდა იგი. უხამსი ქერტლი და თებო ჩალგეოდა მხარებსა და კისერში.

ბაბუა ტარიელის დანახვაზე კაც ზვამბაია დაწინაურდა, მიეჭრა ნამორზე
მჯდარს, ქუდი მოიხადა და უმწიფარი თუთუნის ტალეზიან ხელზე ეთხოვია.
იღგა შორიახლო ქედმოდრეკილი, სახეგაბრწყინებული.

არზაყანმა ცხენები შეაჩერა, მოკლე, მხედრული სალამი მისცა მოხუცე-
ბულს და ბაბუა ტარიელის მოწითანო წამწამებიდან მტრული შემოხედვა გა-
მოკრთა. ეს შეამჩნია არზაყანმა, უხერხულობა იგრანო და უმიზეზოდ სადავე
შეუტოკა მის უკან მომავალ ულაცს.

„ჰე, ვარა“, დაუძახა არზაყანს ბაბუა ტარიელმა აბხაზურად „ლუკაიას
გაჰყევი და ცხენები დააბინავე“. ითაკილა ვაჟმა ასეთი აგდებული შეძახება,
მაგრამ დუმით მიჰყვა ლუკაიას.

„რამხელა გაზრდილა ი ბიჭი, ამბობდა ბაბუა ტარიელ, დაბაში დადის
თურმე, რამდენჯერმე ქიშკრამდის მოუცილებია თამარი და გაპარულა. ჩემი
ეშინია, ჰე, ჰე, ან რა პირით უნდა მეჩვენოს ჰე, ჰე.

„როდისაა დაბადებული?“

„ენგური რომ გადავიდა იმ წელიწადს“.

კაც ზვამბაია შესჩივოდა ნახუცარს თუ როგორ „დაელუბა“ ვაჟი, როგორ
გაუკომუნისტდა. მეშინიაო, ამბობდა კაც ზვამბაია, უმცროსებსაც არ გადაე-
დოსო და ამ გადადების ამბავს ისეთი ტრაგიული ტონით ამბობდა, თითქოს
შვიციამის გადადებას გულისხმობსო. „განა მარტო მე, მთელი ქვეყანა დალუპეს
მამო“.

ახლა კოლექტივიზაციაზე ჩამოავდო ლაპარაკი კაც ზვამბაიამ, მალე ყვე-
ლას კოლექტივიზი შერეკავენ თურმე, აღარ იქნება შენი და ჩემი, თვით ცო-
ლებსაც კოლექტივიზი შეგვაყვანინებენო. ვილაც ალანაია აქართიდან ჩამოსუ-
ლაო, იქ მთლად გაუგონარი ამბები ხდებოა. თითო ბავშებს ხარშავენო, საპ-
ნად აღულებენო, ბოლშევიკებს ამერიკის ვალეები მართებითო, ანაკლიას გემი
უნდა მოვიდესო, ბავშებით საგვს გემი ამერიკას უნდა გაუგზავნონო.

ბაბუა ტარიელმა ანუგეშა კაც ზვამბაია.

„გაიგონე“, ეუბნებოდა იგი კაც ზვამბაიას და ჩოხის მასრებზე ჰკიდებდა
ხელს. „საქრისტიანოს ღმერთი არ განწირავს, რომის პაპს ჯვაროსნული ოძი გა-
მოუცხადებია თურმე და ამ „ეშმაკების“ აღსასრული მოახლოვებულიაო“, პირ-
ველ ქრისტიანების მხნეობას იმოწმებდა, ისრაელთა ეგვიპტელთაგან განთავი-
სუფლებას იგონებდა. ბოლშევიკებს თემურ ლენგს ადარებდა, ქვაბთა ზევის მო-
ნასტრის ბერებს რომ ეყენები შეაბა, დასასრულ თურმე ისეთი სიზმრები
ჰქონია ბაბუა ტარიელს წინა ღამეს, რომ მეორე აღდგომას იგი უთუოდ თავის
მამულსა და მრევლს დაიბრუნებდა.

სწორედ ამ სიზმრს მოყოლას აპირებდა ბაბუა ტარიელ, ნაგრამ კარო-
ლინა აივანზე გადმომდგარიყო: წამლის დაღვევის დრო მოვიდოდა. არც ერთი მწუბრი, არც ცისკარი და არც წირვა, ისეთის სიზუსტით
არ შეუსრულებია ყოფილ დეკანოზს, როგორც წამლის დაღვევას ეწეოდა იგი.
ბაბუა ტარიელმა განწესებული წამალი დალია, კაც ზეამბაიას ნათბრო-
ბით აღელვებულმა კაბანეტის კარი ჩაიკეტა, საეგებიოდ გადაიშალა თავისი
დავითნი და გულდასმით გადაიკითხა:

„აღსდექ უფალო რისხვითა შენითა, ამაღლდი მოსრულებლად მტერთა
შენთა და განიღვიძე უფალო ჩემო ბრძანებითა მით“...

მერმე თვალი გადაავლო რამოდენიმე ტაებს და ისევ აუწია ხმას: „არა
თუ მოიქცეთ მახვილი მისი ლესულ არს, მშვილდსა მისსა გარდაუცვამს და გა-
ნუშხადებიყს იგი და მისთანა განუშხადებიან ქურნი სიკვდილისანი“.

არზაყანი დაკვირვებულად ათვალიერებდა შარვაშიძეების ახალ ოჯახს,
ქვიტკირის სასახლეს და ძველებურ ხილის ბაღს და მახლობელ შრამელებს. სა-
სახლის უკან აივანის მახლობლად ორი ქრელკაბიანი ქალი იჯდა ჰამაკში, პა-
ტარა თათიას ათამაშებდნენ, შორიდანვე შეატყო: არც ერთი მათგანი თამარი
არ უნდა ყოფილიყო, მესამეც კიბეზე ჩამოდიოდა ყავისფერ კაპოტიანი, კარო-
ლინა შეიქნო, უნდოდა ლუკაიასთვის ეკითხა თამარი სადააო, ან ავად ხომ არ
არისო, მაგრამ რატომღაც მოერიდა თამარის სახელის ხსენებას.

ვაჟ, თუ ტფილისს წავიდა, ინსტიტუტში შესვლას რომ აპირებდა და ეს
აზრი აუტანელი ეჩვენა.

ალეებს შორის მავთულზე სარეცხი იყო გადაფენილი, იგი დაწერილებით
იცნობდა თამარის კაბებს, არც ერთი მათგანი მისი არ უნდა ყოფილიყო, არა-
ვინ და არაფერი თამარის აქ ყოფნას არ ადასტურებდა. გუშინ კი იგი გამგე-
ლებული მოაქროლებდა ცხენს დაბისაკენ. მთელი თვე სცდილობდა რაიკომის
დავლებებისაგან თავი აეშვა, დაბაში ჩამოსულიყო და ერთბაშად თუ იგი
ტფილისს წავიდა? განა ამისათვის ებრძოლა წუხელ ენგურის ტალღებს, გამო-
ჩერებულნი მღვდელი და შლუ ლუკაია რომ ენახა მხოლოდ?

ლუკაია თავის ხულაში შეუძღვა სტუმრებს და აქ კაც ზეამბაიამ და ლუ-
კაიამ ისევ ძველი ამბები დაიწყეს. ხულაში რაღაც საოცარი და გაურკვეველი
სუნი იდგა. ვერ გაეგო არზაყანს: თავის სუნი იყო ეს, ქონდარის, თუ დამწვა-
რი ჯღანის?

კედლებზე ნახმოები ქონდარი, ტყლაპები, პიმპილის კონები, ძველი გიდე-
ლები და კალათები ეკიდა. აბზაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ მთლად გადარეუ-
ლა ლუკაია. თავის „მენდლების“, თუნუქების და ათასი ჯურის ბრჭყვილა
საგნების კოლექციისათვის ახლა ხატები და ნახუცარების ოლარები მოემატე-
ბინა. ძველი გენერლების, პოლკოვნიკების ეპოლტები, მედალები, ჯვრები, თა-
ვადის ხეციას მიმინოების ეფენები, მისივე ცხენების სამკერდეს, საძუეს და უნა-
გირის სამკაულები.

დაქანცული არზაყან კერის პირად იჯდა და გულ-არეული შესცქეროდა
თუ როგორ აჩვენებდა ლუკაია კაცს თავის ახალსა და ახალ მონაპოვარებს.

ეს ოლარი ჰყონდიდელისეულიაო, თეკლათის მონასტრის ილუმინაციასათვის უჩუქნიაო თურმე ოდესღაც, ეს ანაფორა გრიგოლ დადიანისეული ყუფილა, ეს პატარა ძელის ხატი სამეგრელოს მთავრის მეუღლეს ჰქუნიანო ~~წაწოლ~~ წაწოლ ოთახში დაკიდებული, დაწოლის წინ ამ ხატზე ლოცულობდაო თურმე. კვლავ ახალი და ახალი ნივთები გადმოალაგა ლუკაიამ, რომელიღაც მონასტრიდან წმინდანების ძელები გამოუყრიათ ბოლშევიკებს. ისეთის სასიოებით ატრიალებდა ლუკაია ხელშა უშეელებელ ბარძაყს ძელებს, თითებს, თავის ქალებს საუკუნოების მტერისაგან გაზინთულსა და გაყვითლებულს, არზაყანს ზიზლსა ჰგვირდა ამ გონჯა მიწის კაცის სისიება. კაც ზეამბაია სულგანაბული ყურს უგდებდა და ყოველი წმინდანის ხსენებაზე დასძენდა: „ვენაცვალე მის მაღლს“.

რალაც ჭუჭყიანი ფუთები გახსნა ლუკაიამ და ახლა ბინძურ მჩვრებში სასიოებით შეფუთვნილი გაშავებული კბილები, ფრჩხილები და თმები ამოალაგა. ამით მოაყოლა: შანები თუნუქისა და თითბერის ჯვრები, ძველი საცეცხლურები, ფრაგის ემბაზები და უგემურად ნაკეთები ფიალები, საკმეველის, ოფლისა და ობის სუნი დააყენეს ამ ძელებმა ნივთებმა ისედაც გამსჭვარტლულ, ობობის ქსელებით დაბლანდულ ხელაში.

გული აერია არზაყანს ამ ნივთების შეხედვისას, სადმე წამოწოლა და დასვენება უნდოდა, მაგრამ წელან კარგად გაიგონა: მღვდელმა მამამ მისი გაათრთხილა სადილად დარჩიო, მისთვის სიტყვაც არ უთქვამს, გარდა ამისა როგორ შეეძლო კომკავშირელს, დღეს აღდგომა დღეს ნახუცარის სახლში ესადილა.

იცოდა არზაყანმა: ხერისპი თავადაც არ იყო დიდი მართლმორწმუნე ქრისტიანი, მაგრამ მოხუცებული მამა სანამ ცოცხალა იყო, იგი იძულებული ხდებოდა მისი ჭირვეულობისათვის ანგარიში გაეწია. არზაყანისათვის აქ უმთავრესი ეს იყო: როგორმე გაეგო, თუ სად იყო თამარი?

არზაყანმა მოიბოდიშა, წვერის გასაპარსავად მივიღივარო და გაეპარა მოხუცებს.

კარის ალაგთან შესდგა არზაყან, შეყოყმანდა: დაბაში წასულყო თუ აქ დაეცადა კიდევ. და მხერა მისი საოკარმა სანახაობამ შეიპყრო:

გაწოლილიყო სიგრძეზე შავე ძე ძალლი, თერთმეტი ფერადფერადი ლეკვი დასეოდა ვაგლახად გაძვალტყავებულ ცხოველს. ფერდების ძელები მოღრანდა ძეძალს და კანი მისი ბეწვგაცვეთილი, თექასა ჰგავდა ტალახიანი ფეხებით ნაჯევს. პატარები მოუსვენრად ზომზიბებდნენ. გრძელსა და მოლურჯოს, დავგალული ლეღვის მსგავს ძეძუებს მისიოდნენ. ერთი, კარაქისფერი, ერთიც ქლიავისფერი ლეკვი მოსცილდნენ ძეძუს.

ასე გაიგო არზაყანმა: კარაქისფერმა ქლიავისფერს ცილობა დაუწყო, ვიდრემდის ძეძუს სწოდნენ, ორივეს ისეთი კეთილი გამომეტყველება ჰქონდათ, ისე უმწეოდ კუსავდნენ ხიზილალას ფერს თვალებს, ხელის შევლება, ან კოცნა მოუნდებოდა ადამიანს მათ თანახვაზე, მაგრამ ერთბაშად ორივენი მოეშვნენ დამქნარ და შებერტყილ ძეძუებს, აიქორნენ, აიბრიზნენ პატარები, კარაქისფერმა დაიწყო პირველად ღრენა. როგორ დაიღრეჯა მისი დაბუტუნებული პატარა ღინგი, ნაოკები შემოგეცნენ გარშემო, ცოტა ხანს ისე ღრინავდა ვაბოროტებული თითქოს „ლ“-ს მინაგვარ ბგერის გამოთქმას ლამობსო, მერმე თათი

მოუცაცუნა ქლიავისფერს მკერდზე, აენთო, გაბრაზდა ქლიავისფერი წვერილი და ბოროტი წაეწავა ასტება, ეძგერა ყელში ქლიავისფერი კარაქისფერს და მტვერში ამოგიგლა პაწია. წამოსწია თავი ღონე მიზდილმა ქაქაოსმა და დაზაფრული თვალებით შეხედა ლეკვებს, ისევ ძირს დასლო თავი და განაგრძო თვლემა.

ჩაეცინა არზაყანს ამ ამბის მკვერტელს, ყველგან ბრძოლა ამ ქვეყნად, გაიფიქრა და მიჰყვა გულდარდიანად ქიშკრისაკენ მიმავალ თუთების ხეივანს.

ლუკაიამ გარედ გამოიყვანა კაც ზემბაია და შარვაშიძეების ახალ მოსახლეობას აცნობს; უჩვენებს ხეციასეულ ქვიჯირის სასახლეს, მოშორებით ჩარაზმულ შრამელებს, სამზადს, მარანს, საჯინბოს და მიმინოების გარაბედებს.

„ესეც თქვენია“? ეკითხება კაც ზემბაია, ვრცელი ეზოს განაპირას მდგარი ისლით დახურულ ოდაზე უთითებს.

„ესეც ჩენია, წინად ხეციების საბაზიერი ყოფილა, თურმე“. ყველაფერზე „ჩენია“-ს ამბობდა ლუკაია, რადგან იგი სიყრმიდანვე ჩარჩენილიყო შარვაშიძეების ოჯახში ლუკანასკნელი მოპიკანი დასავლეთის ფეოდალების კარგად მოზომივე ლენჩების, ბნელიანების ლეგეონისა.

ხეციას ფატალური თავგადასავალიც უამბო ლუკაიამ კაც ზემბაიას. ხეცია ძველი ვანდარმთა გენერალი ყოფილა თურმე და რევოლუციონერების დაუძინებელი მტერი. მამა ბოლშევიკებს დაუხერცტიათ, ვაჟები ემიგრაციაში გაქვევლან, ქერივს სიკვდილის წინ ხერიპს შარვაშიძისათვის მიუყიდნია ბატონკატური ნახკარი. ხერიპსს ხელისუფლების ნღობა დაუმსახურებია თავგამოდებული შრომით, ამიტომაც დიდი ყურადღებით ექცევიანო.

ახალ სასახლეში თან გადმოიტანა ლუკაიამ უხსოვარ დროთაგან, შარვაშიძეების ოჯახში ჩარჩენილი წარმართული ჩვეულებანი.

აქარას—სასახლის უფროსის სალოცავს აღავლენს ყოველწელურად ლუკაია ტარიელ შარვაშიძის სახელზე.

აქარას სალოცავით გამოულოცა თავის დროზე ახლად ჯვარდაწერილ ტარიელსა და ჯახანას.

როცა ხერიპსმა კაროლინა მოიყვანა, გერმანელი პროტესტანტი ქალი გააოცა ლუკაიას მოქცევამ. ეს არაფერს ჰგავდა ევროპაში მის მიერ ნახულსა და წაკითხულს შორის და შემდეგ „ჰაიდე“—წარმართი დაარქვა ამ უცნაური მისტერიების უანგარო მოვსს.

დიდ მარხვაში თორმეტ აკვარს აცნობს ლუკაია „საორშაბათო“-ს მთვარისდღის სალოცავისათვის.

„ჩემს მხრებზეა ეს ბღარტები გაზრდილი“ რტყობდა ხოლმე თამარისა და ხერიპისის შესახებ ლუკაია.

ხერისპსმა ბავშობაში გვიან ისწავლა სიარული, „ქაბუს“—კერიას სალოცავით გამოულოცა ლუკაიამ. მოზრდილი აკვარი გამოაცხო, წითელი ძაფები შებოროკა ხერიპს, სამზარეულომ კართან დააყენა, პატარა თამარს ჰადის ნატეხი მისცა ხელში. გაურბინა თამარმა და ძაფები შეაწყვიტა წვივებზე ხერიპს. ლუკაიას თუ დაუჯერებთ, სამ დღეწი ფეხი აუდგამს ხერიპსს.

ხუთმეტი წლის ხერიპს ავად გახდა. „ხეადგილის სენიო“ ამტკიცებდა ლუკაია, დედამიწის სალოცავი შეასრულებინა. ჰინჰის დედოფალა, ექვსი კაკა-

ლი და ფეტვის მარცვლები ხელში მისცა თამარს, ჯერ თხმელის ძირას მოაყვანინა ხერიპს, აქ სამი კაკალი და რამოდენიმე მარცვალი შემოავლებინა „მიწისადგილს“ სახელობაზე, თხილის ძირას, მიაყვანინა ხერიპს სამი კაკალი და რამოდენიმე მარცვალიც აქ დააბნეინა. მოსთხარა მიწა, დედოფალს ჩაფლო „ჩემი ავადმყოფობის ნაცვლად ამას ეთამაშეო“ ჩასძაბა მიწას.

შემდეგ დიდ კეცებზე „მიწა დედოფალის“ მჭადი გამოაცხო, ორი ღვეძელიც „უდაბნოსათვის“, ორი ღერი თაფლის სანთელი, საქმეველი თან წარიტანა სამი გზის შესართავზე გააყვანინა ავადმყოფი. ცალკერძ მჭადი დაადებინა, ცალკერძ ღვეძელები, ცალკერძად სანთლები აანთო, განზე გაიხედა ლუკიამ და წარმოსთქვა: „მიწავ ბატონო, ეს შენი ფეხსაცმელია“.

ხერიპსი დააჩოქა, თავზე ლეჩაქი გადააფარა, ანთებული სანთლები ხელში აიღო.

ადგილის დედას მიმართავდა ასე: „ადგილის დედა შენი მადლი მოანიჭეო, ტანის სიმრთელე, გულის სიმზიარულე, თავის სიმრთელე, ფერი მიეცი, ტყავი მოეცი, ძვალი მიეცი, ლაპარაკი მოანდომე, საქმეების სურვილი მოანდომე“.

შემდეგ განზე გაიხედა „უდაბნოს“ მიმართა გაურკვეველი ბუტბუტით, თხილის ჯოხით ლეჩაქი გადახადა დაჩოქილს, წამოაყენა, ზურგზე ხელი გადაუსვა. შემდეგ წყნელი დაჭკრა მხრებზე და მხრებს შორის წა, გაეცალე, აზატო მომეციო“.

შინ მოიყვანა, კერის გადაღმა დააყენა, კიდე შემოტეხილი ქაღალდი ხელში მისცა, გასწიეს და გამოსწიეს სნეულმა და ქურუმმა, შუაში გასტეხეს ქაღალდის აკვარი.

როცა კაროლინა ტარიელის ოჯახში მოიყვანეს, ჯახანა ჯერაც ცოცხალი იყო, ხერიპსი და კაროლინა ბუნებრივად იჭვის თვალთ შესცქეროდნენ აბზახურ ჩვეულებებს, მაგრამ ლუკიას ჯახანა უჭერდა მხარს, დეკანოზი სავესებით განზე იდგა, ლოცვა არავის აწყენსო ამტკიცებდა, ამიტომაც ლუკიამ თავისი გაიტანა, კაროლინა იძულებული გახდა რძლის მოყვანისას შესასრულებელი ცერემონიები გაეარნა. სიცილს ძლივს იკავებდა კაროლინა, მაგრამ სიდდერის პატივისცემისათვის ნებას დაჰყვა. თანაც აინტერესებდა ამ ადამიტური ჩვეულებების განცდა.

შარვაშიძეების ოჯახში მოყვანისას, დიდხანს უმაღლედნენ კაროლინას ბაბუა ტარიელს, ჯერ ყველაზე უმცროსი თამარი გააცნეს, ბოლოს ტარიელმა ითხოვა და წარუდგინეს. მთელი კვირების განმავლობაში ჩაკეტილიყო კაროლინა თავის ოთახში, რომელიც „ამხარას“ როლს ასრულებდა. ორი კვირის შემდეგ ნადიმი და მსხვერპლის შეწირვა მოხდა.

დიდ საზღში—ასასაფრაში შეიყვანეს რძალი. კაროლინას ნაბიჯი დაებლანდა, როცა გადაჯვარდინებულ ხანჯლებს ქვეშ გაატარეს.

ძალიან მოეწონა კაროლინას „წყალთან მოყვანის“ ცერემონიები. ამ დღისთვის საგანგებო ნადიმი გამართეს სოფელში. მხოლოდ ქმრიანი ქალები მოუსხდნენ სუფრას. ნასადილევს ახალი ფატა დაახურეს კაროლინას, ყვავილებით შეუმკეს შუბლი და მკერდი, ქალ-რძალი მდინარის ნაპირას მიიყვანეს აქ უხუ-

ცესმა ქალთა შორის—ჯახანამ „წყლის სულების“ ლოცვა წარმოასრულა, შესთხოვა წყლის სულებს, მწედ ჰყოლოდა მის რძალს მშობიარობის, გარჯის, აბრეშუმის მოყვანის საქმეში, მისი ტანისამოსი წყლით ასხურა და დამსწრე ქალებმა კვერცხები გადაისროლეს წყალში.

გარინდებული იღვა კაროლინა, ვერ გაეგო ამ უცნაური ამბების დანიშნულება, უკვირდა, იცინოდა, საერთოდ სიზმარში ეგონა თავი, რადგან ამის მსგავსი რამ არც ხერიპსს უამბნია მისთვის, არც არსად წაეკითხნა ოდესმე.

ერთს ვერ შეურიგდა კაროლინა: აბხაზური წესით ქმრის სახელზე დადებულ ტახტს. მან აქ მცირე კომპრომისი დაუშვა, „ხერის“ ეძახიან ხერიპსს. ლუკაია ბუზღუნებდა „მათი რჯულის“ ხალხი ჩვენს წესებს ვერასოდეს შეეგუებოდა. პირველ ხანებში განათლებული ადამიანის ცნობისმოყვარეობა სძლედა კაროლინას, ეს ყოველივე მისთვის უცნაური იყო და გაუგონარი.

გაკიდა წლები, მობეზრდა მას ლენჩი წარმართის გაუთავებელი ლოცვები, შელოცვები, გამოლოცვები. ყველაზე მეტად აბხაზურ სტუმართმოყვარეობას ვერ ეგუებოდა. აფხაზეთიდან დაბაში გადმოსვლას სიხარულით შეეგება, მაგრამ დაბაში სასტუმროდ გადააქციეს მისი სახლი აბხაზებმა. ტარიელი და ლუკაია სანამ ცოცხალი იყვნენ, ვერც ერთი მათგანი უაბხაზებოდ ვერ გასძლებდა. ეს იყოდა კაროლინამ, ბუზღუნებდა, მაგრამ ქმრის სიყვარულით ურიგდებოდა ამას ყოველივეს. იმ დღესაც სადილის პირზე სტუმრები შემოემატნენ, დოღზე ჩამოსული აბხაზები.

თამარს თარაშ ეშხვარიც წამოეყვანა დიასახლისის გაუფრთხილებლად, სადილად დასხდომას აპირებდნენ, როცა ოთხი ცხენოსანიც შემოემატათ: მაჩაგვა ეშბა, ჩოფურა, ხარისთვალეზიანი დაბალი მოზუცი, თავისფერ ჩოხაში გამოწყობილი. ომარ მაან—აბმაზი ჩოხოსანი, ლამიყლაპიასავით გრძელკისერა, თავწვრილა, ტატაშ მარშანია—ყოფილი ოფიცერი, ამჟამად სვანეთის ტყის წარმოების აგენტი, იგი გულმოდგინეთ მალავდა თავის ოფიცრობას, მაგრამ სიარულსა და თავდაკვრაში ყოველი კაცი შეატყობდა ამას. კეგვა გარკანჯია—გააბხაზებული მეგრელი, რომელმაც არც აბხაზური, არც რუსული, არც მეგრული იცოდა, კბილებჩამძაღბელი, ტანდალეული შუახნის კაცი. კეგვას ისეთი უზომოდ განზე გამდგარი ყურები ჰქონდა თითქოს ვიღაც მსუქანი კაცის ყურები მიუკერებიათო მისთვის.

ახლად მოსულ სტუმრებს აქ დაუხვდა ადგილობრივი სკოლის დირექტორი, ანუ „გამგე დირექტორი“, როგორც ეძახდა იგი თავის თავს შარდინ ალშიბაია, პროვინციელი ინტელიგენტი, დიდი მოკამათე, „პრობლემების კაცი“ და ორსულიანი.

ბოლშევიკებთან შინაკაცად ითვლებოდა, კონტრევოლუციას ბოლშევიკებთან ასმენდა, ხოლო კონტრევოლუციონერებთან ბოლშევიკებს ლანძღავდა.

მოკლედ: ორივე მხრისათვის მოხალისე. ჯაშუშის როლს ასრულებდა. თავის საწოლ ოთახში ლენინის და სტალინის სურათებს ჰკიდებდა და ბოლშევიკების მტრებს ემიგრაციიდან მოსულ ჰორებს პირველად ახარებდა. ტარიელ შარვაშიძის ოჯახში მუდმივ სტუმრად ითვლებოდა. არც ხერიპსს უყვარდა, არც თამარს ეპიტანავენოდა, კაროლინა ცხვირს უბუზებდა, მაგრამ ნახუცარს უმისოდ ცხოვ-

რება არ შეეძლო, რადგან შარდინ ალშიბაია ლამობდა ნახლქარის განეთები რას სწერდენ, ემიგრაცია რას იქადოდა და ბოლშევიკები ვის უჭირებდნენ მოკლე ხანში გაპანდურებას. შარდინ ალშიბაიას ნახლქარეულ „მურწმენა“ კაცად მოჰქონდა თავი. ამავე დროს ანტირელიგიური საზოგადოების წევრი იყო იღუმალ. თუმცა ცალი უღვაში გათეთრებული ჰქონდა, მაგრამ საფეთქლებთან დარჩენილ თმას მაინც იღებავდა. ქორფლიანი და დანაოკებული სახე ჰქონდა და ისეთი წვრილი, მოძრავი თვალები, ნაახრალს ვერას დროს შეატყობდი სახეზე, იგიც რამოდენიმე ადგილობრივ ენაზე ლაპარაკობდა როგორც ჩინებული მოენე, რატომღაც ფიზიკას ასწავლიდა სკოლაში და იურიდიული ფაკულტეტი გაეთავებინა ოდესლაც, და არც ერთი ენა არ იცოდა კარგად. ქართულთა ლაპარაკის დროს „ლ“-ს რბილად გამოსთქვამდა, ხოლო „წავიდას“ ნაცვლად „წვიდა“-ს ამბობდა. ხერბს შარვაშიძის ძმად ნაფიცად მოჰქონდა თავი, კაროლინას მაინც ეაწიყებოდა იღუმალ და რაკი კაროლინა ჩირადაც არ ავლდებდა, თავად ხმებს ავრცელებდა დაბაში: შარვაშიძის ცოლთან რომანი მაქვსო. ეს ამბავი მის მეტს არავის სჯეროდა, მაგრამ მაინც ამაცობდა ამით.

რუსულს მეგრულ, აქცენტით ლაპარაკობდა, ხოლო ქართულს ხან გურულად უქცევდა, ხანაც იმერულად, რაკი გინნაზია ქუთაისში დაესრულებინა.

მუდამ ცხვირში ითხრიდა საჩვენებელ თითს და საზოგადოებაში მოურიდებლად იჩიჩქნიდა კბილებს. თუმცა მხედველობა კარგი ჰქონდა, მაგრამ ამერიკულ რქის სათვალეს მაინც ატარებდა, რათა ფრიად განათლებულ კაცად მოსჩვენებოდა ჰვეყანას.

თამარმა აბხაზური ჩვეულებისამებრ თითბერის ტაშტი და პირსახოცი ჩამოატარა. პირველად ტარიელს დააბახინა ხელი, შემდეგ კაც ზემბაიასთან მივიდა. კაცმა შეხედა თამარს, მოკრძალებულად გაუღიმა. არხაყანი გაძახენდა, თავი დახარა და მადლობა მოახსენა, ხლის დაბანა იუარა, მაჩავა ეშპას შესთავაზა. მაჩავამაც დიდი მადლობა მოახსენა და თავადაც იუარა, ომარ მანს გადახედა. ომარმაც ცალკერძ დიდი თავაზიანობის გამოჩენა უნდოდა, ცალკერძ როგორც უცოლოს, წლოვანების დამალვა—ალშიბაისკენ ანიშნა თამარს. თამარს გაეცინა, ამ ძველი პროვინციელი ლოველასის ამბავი კარგად იცოდა, ამიტომაც არც შეჰპატიებია. შარდინ უსიტყვოდაც ნიხვდა, რომ მისი კანდიდატურა იღვა, ვითომდაც დიდი ტრადიციელი და თავაზიანი კაცის პოზაში გაშეშდა და ომარ მანს შესთავაზა, გულში კი ეცინებოდა ამ ჩინური ცერემონიების მეათასჯერ დამსწრეს.

თქვენ შემდეგ ბატონი ომარ, როგორ გეკადრებთ! ომარ. მანმა ჩოხის სახელოები წაიმკლავა და ხელები გაუშვირა თამარს.

კაც ზემბაია ყველას გამოჩნა, რადგან კაც გლეხი იყო და ყოფილი აზნაურები რატომღაც ძველებურ იერარქიას ანგარიშობდნენ. გარდა ამისა, კაც ზემბაიასაც არ შეუშინებია ეს. იგი თავის გაზრდილის ახლოს ტრიალებდა, თვალგაბრწყინებული შესცქეროდა თარაშს, თავადაც ამჩნევდა: რომ აქ ყველას სჯობდა თარაში. აბხაზებიც დიდი მოწიწებით ექცეოდნენ მას და არააბხაზებიც. შარდინ ალშიბაია პირდაპირ მუცელზე დახოხავდა მის წინაშე. წარამარა კვიანურ ამბებს ეკითხებოდა, ნიქსა და განათლებას უქებდა, მაგრამ უფრო მეტის

შერით შესცვროდა მის ინგლისურ პომპსონის კოსტუმს და ოქროს კაღამს, რომელიც პიდჯაკის გარეუბაში ჰქონდა თარაშს ემხვარს გაკვეთილად ახლა ხელისდაბანის წინ ჯიდევ ერთხელ ამოალებინა თარაშს ფეკალეჩი ერთ კიდევ ერთხელ დაათვალიერა.

შარდინ აღშობაია ლექსებს სწერდა ჩუმჩუმად და ბალლივით დარწმუნებული იყო: ასეთი კალამი რომ ჰქონდა უკეთ დასწერდა და მაშინ უთუოდ გამოსცემდნენ მის ლექსებს ტფილისში. აღშობაიამ იეშმაკა და ახლა კაც ზემბაია მირეკა ხელსაბანად. თანაც ავრძნობინა რომ ის არასოდეს „მოხუცებულ და დარბაისელ გლახზე“ ადრე არ დაიბანდა ხელს. კევეა გარგანჯიას ილარც ბეზური ჩვეულება სწამდა და არც მეგრული, როგორც კი კაც ზემბაიამ მოათავა ხელის დაბანა, დაუპატიუებლად მიეკრა თამარს და თავისი თმიანი, მოკლე ხელები მიუშვირა სავსებით უბოდიშოდ, ხელის დაბანა არ იკმარა, „დილას პირის დაბანა ვერ მოეასწარიო“ ჩაიბუტბუტა, ახველებდა, ქლოშინობდა და ისე იბანდა პირს.

თარაში ყველაზე გვიან მოვიდა, მას ეუცხოვა კიდევაც ოდნავ, რომ თამარს ხელი უნდა დაეზახინებინა მისთვის, მაგრამ განუზომელად იამა მაინც, რომ მის ხელში შემართულ სურიდან გადმოღვრილი წყლით იბანდა ხელს. მას მოსწონდა ეს ძველებური ჩვეულება და ყველაზე მეტად იამა ხელის ბანა.

აღმოსავლეთის პირველქალწულებს იგონებდა, თავის საქმროებს ხელუფებს რომ აბანინებდნენ მამის ოჯახში სტუმრად მოსულთ.

ტარიელმა ჩვეულებიანებერ მოკლე ლოცვა წარმოსთქვა. სწორედ ამ დროს ხერპისი შემოვიდა, მან ბოდიში მოიხადა სტუმრების წინაშე, რომ კლინიკაში დიდძალი საქმეები შეხვედროდა და ამიტომაც დაჰკვიანებოდა.

„ქრისტე აღსდგა“ შესძახა ნახუცარიმა სტუმრებს.

„ქეშმარიტად, ქეშმარიტად“ გაიშეორეს ყოველის მხრიდან და ყველაზე ხმაშალა შარდინ აღშობაიამ უპასუხა „ქეშმარიტად“.

ლუკაია სახეგაბრწყინებული დარბოდა, ოხშივარიან ღმოს არიგებდა. ჟბაროდა, რომ „საქრისტეანო ჯერაც არ გადააჯულებულა და ამ ქვეყანაზე ნამდვილი ქრისტიანები კიდევ რომ დარჩენილან“.

ყველაზე მეტად ის უბაროდა ლუკაიას, „ბოლშევიკების გულის გასახეთქად“. რომ ჯერებიანი პასტებით დამშვენებული იყო სუფრა და თუმცა გოჭი კი გაძვირდა, მაგრამ ყველით გამოტენილი გოჭიც არ აკლდა აქაურობას. ამ გოჭს ისე დაეფრინა პირი, თითქოს ნაძალადევად იციინისო.

როცა თამარის ძებნა დაიწყო, აქ ორი კანდიდატი შეეჯახა ურთიერთს: ომარ მაანისა და შარდინ აღშობაიასი.

შარდინმა მტკიცე უარი განაცხადა. ასე ამბობდა: „სადაც ომარ მაანისთანა მჭერმტყველი და დარბაისელი კაცი სუფრას ამშვენებს, იქ მე რა სახსენებელი ვარო“. ომარ მაანი ფიცულობდა ილორეს წმ. გიორგის, თავის გარდაცვალებული დედის სულს, რომ ის წუხელ ენგურზე გასვლისას ვაცივებულიყო და შართლაც ოდნავ ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

ერთი გადახედა აღშობაიამ კაც ზეამბაიის, იცოდა კაც კარგი მსული იყო და ფრიად დარბაისელი თამადა, თავის მხრივ დემოკრატების ვარჩენსაც ლამობდა, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა, რადგან იცოდა, ვარჯიშობების ოჯახი, ვიდრე ტარიელი ცოცხალი იყო, ზეამბაიის არაფერს აირჩევდა თამადად და ამიტომაც კევვა ვარჯიშობა დასახელა „როგორც ღორსეული, მკერმეტყველი და სათამაღო კაცი“. კევვას უყვე დაეთრია გოქის ბარკალი და ხმის ამოუღებლად ღრღნიდა, თუმცა არც ერთს აბხაზთაგანს ჯერ საქმელისათვის არ ეხლო ხელი.

კევვას თავიც არ აუწევია, ისე მიუხედა ამ მეღაძვას, რომ ტყუილად შესთავაზა მას თამაღობა, რადგან არც მისი თამაღობა და არც მკერმეტყველობა არაფერს გაეგონა. და მართლაც აღშობაიამ განზრახ შესთავაზა თამაღობა, რათა ამ გზით ირიბულად დაეკოდა ტატაშ მარშანია, რომელიც მართლაც ჩინებული თამადა იყო, თავადაც ძლიერ უყვარდა თამაღობა, მაგრამ იშვიათად ირჩევდნენ, რადგანაც მას არ გააჩნდა ის თავბუღობა, რომელიც ყოველ კაცს ვსაჭიროებოდა, როცა მას თამადად, თავმჯდომარედ, ან პრეზიდენტად ირჩევენ ხოლმე.

ახლა კი, როცა შარდინ აღშობაიამ მის თავმოყვარეობას ფეხი დააბიჯა, ფირცხლად წამოიჭრა ტატაშ მარშანია, ოთხივე შვილი დაიფიცა, თავადაც არწმუნებდა, რომ მას არც სმა შეუძლია და არც ისეთი ლაპარაკი, რომელიც ასეთ განათლებულ სუფრას შეერეთება. და როცა სიტყვა „განათლებული“ ახსენა ტატაშ მარშანიამ, მან ჯიქურად თარაშ ემხეუარს შეხედა და აღშობაიას სახე აარიდა. აღშობაია მიუხედა ტატაშ მარშანიას, გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ამის მიუხედავად კვლავინდებურის ქალაქნობით კვლავ შესთავაზა თამაღობა. ბოლოს ტარიელ მარჯაშიძემ გახსნა გორდისეული კვანძი.

მან აღიარა, რომ შარდინ აღშობაია იქნებოდა საუკეთესო თამადა. შარდინმა ბევრი იუარა, „დღევანდელი დღის მაღლიც დაიფიცა“, მაგრამ არ დაუჯერეს და ფრიად მორჩილი კაცის ტონით მიიღო ეს „მძიმე თანამდებობა“ და პარველა სადღევრძელო აღაველინა ამ ოჯახის მარად დაუფიწყარი დედის—ჯახანას სულის მოსახსენებლად. ღვინოში პური ჩააწვეს და სადღევრძელო უხმოდ დალია ყველამ.

შემდეგი სადღევრძელო წესისამებრ ბაბუა ტარიელს მიაკუთვნეს. მას მიულოცა ასეთი კარგი და განათლებული შვილების, რძლისა და შვილიშვილის ყოლა, უსურვა „სევგამწარებულ მოაუცს“, მომავალ წელს მარჯაშიძეების საგვარეულო გელესიაში გადაეხადნა აღდგომის წირვა და მასაც, შარდინ აღშობაიასაც შეძლებოდა მიეღო მონაწილეობა სადღევრძელო ლიტონიაში. თამადა თავის სიტყვაში იმ ანტირელიგიურ პროცესიასაც გადასწვდა, ზუგდიდში რომ გაიშართა იმ დღეს... ისინიო, ამბობდა თავის სეფესიტყვაში შარდინ აღშობაია, ვერ ამჩნევდნენო რომ სახელმწიფოს და ოჯახის საფუძველს-რელიგიას რომ ანგრევენო. (და ამ „ისინი“-ს ქვეშ ბოლშევიკებს გულისხმობდა).

თანაც აქებდა მამა ტარიელის მისაბამ მხნეობას, ჯიქურობას და მარჯაშიძისეულ ვაგაკობას, სასტიკათ ჰკიცხავდა იმ მღვდლებს, „რომელთაც ქრისტეს მძიმე ჯვრის ტვირთვა ვერ შესძლეს ამ დროში და ანათორა გაიხადეს“. პირ-

ველ წინასწ. რმეტყველთა და ათთორმეტთა მახარობელთა მაგალითებს იგონებდა და მათ მალალ მოძღვრებას, ანდრია პირველ მოციქულს გადასწვდა, ძველი კოლხიდის ქრისტიანებად მომქცევულს და წმ. ნინოც ახსენებდა რაქოშოც ყოველთა ქართველთა განმანათლებელი და ისეთი მალალი შტილით განაგრძო ეს სადღეგრძელო, რომ კაც ზეამბიას ქართულის ცოდნა აღარ ეყო.

ამის შემდეგ საუცხოვო უწნო ჩამოარიგეს და კვება გარგანჯიაზე უფრო მეტი შადა გამოიჩინა თამადამ.

აბხაზები მოკრძალებულად სკამდნენ, მხოლოდ ნახუცარი პირდაპირ ხუცურის მადიანობით შეექცეოდა, თარაშიც თავს ველარ იკავებდა, წიწაკიანი, ნივრიანი და პილპილიანი საკმლის დანახვისას.

როცა თამადამ თავისი სიტყვა დაასრულა, თარაშ კაროლინას მიუბრუნდა შარდინ. აღშინაიას ვინაობა გამოჰკითხა:

„Who is this fellow?“

„A very dark man“ ¹⁾

უპასუხა კაროლინამ და ქათმის კუქმაჭი მიაწოდა ნივრით, პილპილით, შირითა და ქონდარით გაკეთებული, რადგან იცოდა: თარაშ ემხვარს განუზომელად უყვარდა ნიორიც, პილპილიც, ძმარიცა და ქონდარიც.

კერავა გარგანჯია მთლად ამოთხუნულიყო უწნოში, იგი ბოსტანში შეპარულ მაჩვსავით ილუქმებოდა, არც თამადას უგდებდა ყურს, არც მის გვერდით მჯდარ თამარს სთავაზობდა რასმეს.

ომარ შიან მდუმარედ და მოკრძალებულად სკამდა, სამი თითით იღებდა ღამს, ცოტას გადაზელილ ყველს მოსციქნიდა, პიტნიან წვენი ჩადებულს, შერმე თავის გრძელ მკლავს გადააწვდენდა, ბაჟა წვენი ამოვლებულ დედალს ჯერ კაც ზეამბიას მიაწოდებდა, შემდეგ თავად გადაიღებდა.

მაზავა ეშხას სახელოები წაეემკლავებინა, თუმცა ძლიერ შიოდა, მაგრამ აბხაზური წესისამებრ, მადიანად ჭამის ერიდებოდა თავადის სახლში, თანაც კაც ზეამბიას მისტერებოდა, თავად კაც ზეამბია უგემურად სკამდა, მას არზაყანის ჯავრი აწუხებდა. სულ იმას ფიქრობდა: სად უნდა ყოფილიყო ახლა არზაყან. აწუხებდა: აღდგომა დღეს შვილთან რომ არ სკადა სადღოს.

თამადა გრძელსა და პაუთიურ სიტყვას ამბობდა, ომარ შიანს აღიდებდა. თამარი უკვე ფეხზე იდგა, ლუჯიას მოტანილ ახალსა და ახალ კერძებს არიგებდა, მოსამახურე გოგოს იზმარიებდა, წესიერად შირთმევას ასწავლიდა. ბაბუა ტარიელს უკვე ღვინო მოჰკიდებოდა, ლაღლაჟა ლოყებზე ანთებოდა ნახუცარს ბახუსის ნავიანევი ამბორი. იჯდა წვერგაბურძენილი, საკინძე შეხსნილი ბაბუა ტარიელ და ქრისტე აღსდგას მღეროდა.

მორიდებულად გასცქეროდა თარაშ ემხვარ შეზარხოშებულს, ლოყებლაჟა ბერიკაცს, ხანაც თამარს გაშხედავდა ფარულად.

¹⁾ „ვინ არის ეს ტიპი?“

„ფრიად ბნელი პიროვნება“.

ვინ იტყვის რომ ეს გაბურძგენილი, ძვალმსხვილი, თავმოტეხილი, კბილუმბაცენილი, მეტეკიანი ბერიკაცი თამარის მამაა, ფიქრებდა, ღერაშ ფიქრებდა.

საოცარია, როცა იმ ქალის დედმამას, ან მახლობელს შესცქერი, რომელიც ძალიან გიყვარს, თუ მშობელი, ან ნათესავი საყვარელი არსებისა არ მოგეწონება, რალაც იღუპილი ჩრდილი ადგება შენი გულის მიჯნურსაც.

გწყინს როცა ვინმე თუნდაც ოდნაეად ჰგავს მას, არც ის შემთხვევა გახარებს, როცა, მშობელი შობილს არა ჰგავს, მაგრამ იცი ეს მისი მშობელია, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი და არ გსიამოვნობს, მათ შორის სისხლისმიერი და ხორცისმიერი ნათესაობა და კავშირი რომ არსებობს.

და ეს იმასა ჰგავს, ალვის ხე გიყვარდეს ტანკენარი და ცაში აღანძული ხოლო მისი ტალახიანი, დაღაერქნილი და დაგრეხილი ფესვები გძაგდეს.

გარდა ამისა, თარაშ ემხვარ კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში იყო გაზრდილი და ამიტომაც წვერგაპარსულ, სუფთად ჩამულ, საყულოიან, თმადეარცხნილ, შეპუდრულ და განათლებულ აბატებისა და პასტორებისათვის თვალი ჰქონდა შეჩვეული, და ამის შემდეგ, ბუნებრივად, ეუტხოვებოდა ეს გაჩეჩილი და ღიბიანი მართლმადიდებელი მღვდელი.

ბაბუა ტარიელი ვალობდა:

„ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს,
მადლი მახარობელსაო!
რომელსა და რომელსაო?
ჩვენსა მახარობელსაო.
გაიხაროს ყოვლმა სულმა
ყოვლმა სულმა სულიერმა
სუყველამ გაიხაროსო.
ჯინჭველამ ფოლორცისამან
იმანაც გაიხაროსო.
გუშინ ბიჭმა დედაბოჭმა
ზეციის კარი გაღიარა, —
ტანზე ეცვა თეთრი ჩოხა,
ქუდი მოევარდიანა;
ნიაფწვრილი მზესა ჰყვარობს
და ჭაბუკი ავსა დარსა.
ავსა დარსა წვიმიანსა
კარგი დარი გვირჩვენია.
ავსა კაცსა ბიწიერსა
სათნო კაცი გვირჩვენია.
ბერსა ქალსა ბებერასა,
ახალგაზრდა გვირჩვენია.



გვირჩევნია, გვრჩევენბია.
დიდსა ქებასა ცარიელსა,
პატარ სავეს გვირჩევნია,
გვირჩევნია, გვრჩევენბია“.

თარაშ უბერულად გრძნობდა თავს, ისეთი ხოტბა შეასხა მას აღშობიან. ძველ ამბებსაც გადასწვდა თამადა. იცოდა, ტარიელ შარვაშიძის ოჯახში ემხვარების გვარის ქება არ ივარგებდა. თუმცა ამ ორ გვარის შორის ჩაწოლილი ძველი სისხლის ანგარიში მივიწყებულიყო, მაგრამ ტარიელ შარვაშიძეს არც ეხლა უყვარდა ემხვარების გვარი, ისიც იცოდა შარდინ აღშობიანამ, რომ სტუმრების მიმართ თავაზიანი ტარიელ შარვაშიძეც ოდნავ უბღეროდა ამის გამო თარაშ ემხვარს. აღიარებდა, რომ თარაშ ემხვარმა დიდი ვაჟაკობა გამოიჩინა ერთი წლის განმავლობაში „ჩეკაში“ ჯდომის დროს, როცა იგი ემიგრანტების დავალებით უცხოეთიდან მალულად ჩამოვიდა არა ლეგალური მისსით. მაგრამ ბოლშევიკებმა აპატიეს თარაშ ემხვარს ახალგაზრდული ვაჟაკობა. ერთი იმიტომ რომ იგი — ერთერთი საუკეთესო და ტალანტიანი ვაჟაკი იყო განათლებულ აბხაზთა შორის და აბხაზებს არც ისე ბევრი ჰყავთო ინტელიგენტები გარდა ამისა კარგად ექირაო თავი „ჩეკაში“ და ბოლშევიკებს ძლიერ უყვართო პირდაპირი, იდეური და უანგარო ვაჟაკები ამბობდა თამადა.

სწორედ ამის თქმა მოასწრო თამადამ და კვვეა გარგანჯიამ ხელი უშვა ინდაურის ფრთას, ბაჟას საწებელში ამოვლენულს და ასეთი რეპლიკა მიაწოდა თამადას:

„და შენისთანა მელაქებები არც ბოლშევიკებს უყვართ და არც არაბოლშევიკებს, დავავიწყდა შაქ შან როგორ გაათრიეს წმენდაზე. შარდინ აღშობიანმ ეს კარგად ვაიგონა, მაგრამ ვითომც არ გაუგონიაო, ისეთის რიზით აუწია ხმას და ერთი შეტევით გამოსცალა ქინკილა, რომელსაც ირმის რქები ჰქონდა და ირმის დრუნჩისებური სატუჩე.“

კაც ზეაშბაია მეშვიდე ცას ეწეოდა სიხარულით, რომ მის ვაზრდილს ასე აღიდებდა თვით „ამ დაბაში ყველაზე განათლებული შარდინ აღშობიანი.“

კვვეა გარგანჯიამ ინდაურის ფრთის ქამა განაგრძო, მას მცირედი აღელვებაც არ დასტკობია, რადგან ისეთი დასკვნილი და უჯიათო სახე ჰქონდა, რომელიმე მოქანდაკეს რომ ძალღების უფალის — ალიშკინტრის ქანდაკების ჩამოსხმა დასკირვებოდა, სწორედ გვვეა გარგანჯიას აირჩევედა მოდელიად.

კაროლინა ნახუცარის მიერ ნათქვამმა დააინტერესა და თამადა რომ არ გაერისხებინა, საიდუმლოდ ეკითხებოდა თარაშს: რა ლექსი სთქვაო ბერიკაცმა.

ეს ლექსი ქართული ხალხური პოეზიის შედევრიაო უმტკიცებდა თარაშში. სტროფობით ლთარგზნიდა ლექსს. ეს ლექსი იმას მოწმობსო, ეუბნებოდა იგი კაროლინას, რომ არც საქართველოში და არც აბხაზეთში ნამდვილი ქრისტიანობა აროდეს ყოფილაო. განუპარტავედა: ჩვენში პირველ საუკუნოებიდან ქრისტიანული რელიგია ბატონობს, მაგრამ წარმართული მაინც მოერიაო. ეს „დღეადმოზის“ შვილი, „თეთრჩობიანი“, „ვარდებით ქუდშემკული ვაჟი“ არაფრით ჰგავსო დასავლეთის ქრისტიანობის ნამსწვალებიან ქრისტეს, უფრო სინათლის ღმერთის აპოლონს მოგვაგონებსო. ამიტომაც ხუთმეტრი საუკუნის მანძილზე

საქართველოში ერთი მისტიფიკაციური შინაარსის წიგნი არ დაწერილა, თუმცა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურით საქართველო ფარავს მთელს მსოფლიოს.

„არაღ ისეთი უტყუარი მემკვიდრეობა არ დარჩენისა მქვენი მტკარების, როგორც საქართველოსა და აბხაზეთში“, ეუბნებოდა თარაშ ემხვარ კაროლინას. ეს ცხვრების და ხარების დაკვლა ილორის, სუჯუნის, ლომისკარის, ალავერდის წმ. გიორგისათვის, იგივე ამბავია, რაც ჰომეროს პოემაში გვაქვს. აპოლონსაც ცხვრებსა და ციკნებს უკლავდნენო ძველი ბერძნები და მათი ღმერთებიც მწვადებს შეექცოდნენო.

და კიდევ უნდადა თავის საყვარელ ძველ ბერძნებზე ესაბრნა თარაშ ემხვარს კაროლინასთან, მაგრამ თამადამ მორიგი სადღეგრძელო დაიწყო და თარაშიც უნებურად დასუბდა.

და ამავე დროს, თითქოს ხსენებაზე მოვიდაო, ლუკაიამ ბატკნის მწვადები ჩამოურთხა სტუმრებს და ახალი ტყეშალიც ზედ მოაყოლა.

თარაშმა ამოისუნთქა, როგორც კი პირმოთნე თამადამ სადღეგრძელო მოათავა.

კაროლინა და თამარი ზუგდიდის მუზეუმის ექსპონატებზე ლაპარაკობდნენ. ნაპოლეონის, მარშალის მიურატის ჩამომავალს შეეხო თარაში, სამეგრელოს მთავრის სიძეს.

საოცარიო, ამბობდა თარაში, დიდკაცის სახელს როგორ დააცხრებიანო პატარა კაცები. ვინ იფიქრებსო რომ ზუგდიდში, მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო მიყარდნილ პრინციპში, ნაპოლეონის მარშალის ნაჭონი ივეჯი და ქურქელი ინახებო.

„და ეს მიურატი, განაგრძო თარაშმა, სოცრად მოშინაურდა. მან დეგენერატი ფრანგი არისტოკრატისა და გადაგვარებული ქართველი აზნაურის თვისებები შეაერთა, არც ქართველი იყო, არც ფრანგი და ორივეს კი ჰგავდა. ნაპოლეონის მარშალისა და სამეგრელოს მთავრების მიერ მონახევეკ სახელსკაპიტალს სციქნიდა.“

პატარა კაცი იმ საოცარ ჩიქსა ჰგავსო, ამბობდა თარაშ, ნილოსის ნიანგებს ჭამის ვათავების შემდეგ რომ პიოში ჩაუძვრება და კბილებს უწმენდს, კბილებს და კბილებს შორის ჩარჩენილ ნამუსრევეთ რომ იკვებებო.

თამადამ კაც ზვამბაიას სადღეგრძელო მიაწოდა სუფრას. რა თქმა უნდა კაცსაც აქებდა, როგორც აბხაზური ცხენოსნობის დიდოსტატს, გამრჯელს, მშრომელ გლეხს. საერთოდ გლეხებს დიდი ხობა შეასხა. „ჩვენი მუშური რესპუბლიკის ბურჯებო“ ამტკიცებდა. სულ გადააიწყდა, რომ ტარიელ შარვაშიძის სუფრაზე იყო და საერთოდ იმგვარი სადღეგრძელო ქვეაში არ დაუყვდებოდა მასპინძელს. და აქ ძველმა სემინარიელმა სამღვთო წერილის ცოდნა გამოიჩინა: „და ამა ესერა არიან უკანასკნელნი, რომელნი იყვნენ პირველ და არიან პირველნი, რომელნი იუნენ უკანასკნელ“. აქ იგი აზნაურებსა და გლეხობას გულისხმობდა უთუოდ.

როცა კაც ზვამბაიას სადღეგრძელო გამოსცალა, მიუხალოვდა ბერიკაცს და თავაზიანად გამოჰკითხა: არზაყან სადილად ხომ არ მოვავო და როცა გაიგო, რომ არზაყან არ მოვიდოდა, მწუსარება გამოსთქვა და არზაყანი უქო ხმადამლა

მამას. უთუოდ დიდ კარიერას გააკეთებო, კომისსარი თუ არა, კენი დაბრს რაიკომის მდივანი უთუოდ გახდებო. რატომღაც ხელმეორედ გაქვს კენი მწუხარება, რომ არზაყან არ მოვიდოდა და მის სადღეგრძელოს ვეძებდნენ, გულში კი უხაროდა რომ იგი არ მოვიდოდა, რადგან ეშინოდა არზაყან აქ რომ მოსულიყო, ვინ იცის ეგებ მეორე დღესვე მიეღო რაიკომს გაეგო მისი კონტრევილიზაციური სადღეგრძელოების შინაარსი.

თამაღის ენამრავლობისა და ენაშტობის მიუხედავად, სუფრაზე ისეთი მოწყენილობა სუვევდა, თითქოს ეს უკანასკნელი აზნაურები გრძნობდნენ კიდევაც რომ მართლაც და უკანასკნელად უსხდნენ აღდგომის ნაღმს.

ამ სადღეგრძელოთი ტატამ მარშანიას კიდევ ერთხელ აწყენინა თამაღამ. ვრთი რომ ცხენოსნობაზე თუ მიდგებოდა საქმე, ტატამ მარშანიას კაც ზეამბაიაზე ნაკლებ ცხენოსნად არ მოჰქონდა თავი. მართალია, კაც ზეამბაია მასზე ხნიერი იყო, მაგრამ ქალარას რა კეთა აქვსო, ფიქრობდა ტატამ მარშანია. ღმერთო მომკალი, ემხვარების ნაყმევ ზეამბაიების სადღეგრძელოს იქ ვინ ახსენებდა ძველად, სადაც მარშანიების სადღეგრძელო დაილეოდა. სხვა დრო რომ ყოვილიყო ტატამ მარშანია პრასივით წააცილიდა თავს ამ ენა გატლუკილ მასწავლებელს, მაგრამ განავონი ჰქონდა: აღშიაია დიდი მოენეო და დუმილი არჩია, რადგან ხანდახან მოენის იმასაც ეშინია, ვინც არავის არ ერიდება.

ამგვარად შარდინ აღშიბაია ერთი და იმავე ნეშოთი ორ ბუზს ჰკლავდა. კაროლინას დაკვირვებულმა თვალმა შეამჩნია, რომ ბაბუა ტარიელ ძლიერ ნერვიულობდა, მიზეზსაც მალე მიაგნო: ერთბაშად ლუკაია სადღაც გაუჩინარდა.

„ამაზე უფრო საოცარი ურთიერთობა არ მინახავსო“, ეუბნება კაროლინა თარამ ემხვარს გერმანულად, ლუკაია ჩვენს ოჯახში ოდითგანვე ჩამორჩენილი ნაყმევის ბუშია. ბაბუა ტარიელ ერთ წუთსაც ველარ სძლებს უმისოდ. ფეხები ლუკაიამ უნდა დაბანოს, ზურგი და ფეხის გული ლუკაიამ უნდა მოფხანოს, თანაც უღმერთოდ სცემს, ხელი შეჩვეული მაქვსო, ასე იმართლებს თავს, რამდენი უსიამოვნება გვადგება ამ უბედური ლუკაიას გამო. მღვდელი რომ აბხაზეთიდან გამოაძევეს, ამაშიაც ლუკაიას უძვეს წილი. დღე ერთია და ათი კომისია მოდის პროფკავშირებიდან ლუკაიას მდგომარეობის გამოსარკვევად.

თქვენ კარგად იცით მათ არაფერი გაეპარება, თავად ლუკაია არასჩივის. წინააღმდეგ, ეჩხუბება კიდევაც კომუნისტებს ჩემს საქმეში რას ერევიო. ახლა როგორც იცით, ამგვარ პირობებში ვინ დაგანებებს მოსამსახურეს, ეს არც ლუკაიას ესმის და არც ბაბუა ტარიელს. ხერაჰს ფრიად უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მას ხელისუფლებისაც ერიდება და მერმე თავად ჩვენც არ მოგეწონს ასეთი ბატონყმური ურთიერთობა, მაგრამ უმწეო ვართ“.

მართლაც, თარაშმაც შეამჩნია: მღვდელმა ჰამა მიატოვა, წარამარა ხელის ზურგს იფხანდა, თავის დაფანულ წარბებს უკებურ შეყრილსავით ლუშავდა, გაბუტულ ბაიუწსავით იჯდა სუფრის თავში და სდუმდა.

ბოლოს როგორც იქნა ისევ გამოჩნდა სახე დაკაწრული, თმაგაჩიჩილი, ოფელში გაღვარული ლუკაია.

გამოირკვა: ანტირელიგიურ პროცესიას დასხმოდა თავზე.

ეცემნათ კიდევაც, რადგან ყველანი დაეღიანა და წითელ დროშასაც წაებოტინა თურმე, დახვეს უბირებდა კიდევაც. ეს კი ველიარეკლია ხალ-
ვაზრდებს.

„რა ამბავია ლუკაია?“ ღიმილით შეეკითხა თარაშ ემხვარ.

„დაიღუპა ბატონი ქვეყანა, ღმერთის წინააღმდეგ აჯანყეს ხალხი“.

სწივოდა ლუკაია.

„ახია მაგაზე ჩემო ლუკაია, რატომ გააჩინა ასე უკუღმართად გაჭედილი ქვეყანა.“

ლუკაიას სიტყვა შეახმა ბაგეზე. თარაშისაგან არ მოელოდა ამისთქმას. თამადამაც მიაქცია ყურადღება, რომ ლუკაიას ნაამბობმა ძლიერ ააღელვა თანადამსწრე მოხუცები, განსაკუთრებით ბაბუა ტარიელი. მაინც კარგ დროზე მოუსწრო სუფრას ლუკაიამ. თამადას ნელნელა ეღვოდა სადღეგრძელოების რებერტუარი. ომარ მან და ტატაშ მარშანია ყოჩებსავით მიიწვედნენ ჯამებისაკენ. კაც ზეამბაიაც მაგრად იყო. შარდინ აღშობაიას უკანასკნელ ხანებში მეტი პრაქტიკა ჰქონდა ისეთ ოჯახებში, სადაც რევოლუციის გამირების სადღეგრძელოების დაღვეა იყო საჭირო. აქ იგი თუმცა სხვა სტილით მეტყველებდა, მაგრამ უთუოდ დიდ ნიქს იჩენდა ქლესაობასა და მუცელზე ხოხვაში. მართალია, შარდინ აღშობაიას არ აქვდა წმენდაზე, ადგილობრივ პრესსაში და კედლის გაზეთებში ლანძღვა, მაგრამ იგი მაინც ისევე ვერ გადაჩვეულიყო გუნდრუკის კმევას, როგორც ლუკაია ნაბატონარის ფეხების ფხანას.

ასეთ ოჯახებში სათქმელიც და სასმელიც მეტი იყო. წარსულის სახელოვან გამირებს რევოლუციისას რომ მოიღვედა, მერმე იმათ დიდებას მოჰყვებოდა თამადა, ვინც უმისოდაც დიდებულად ჰგონობდნენ თავის თავს, მაგრამ გამჭირაბი თამადა საკუთარ ამბებს უფრო კარგად არკვევდა ამ სადღეგრძელოებში, ვიდრე სადიდებელი და ისედაც დიდებული პირების ლეაწლს.

არც იმას უწვევდა ანგარიშს, რომ ადგილობრივი კომუნისტებიც მოენისა და პირმოთეს ებიტეტს არა ზოგავდნენ მისთვის. ახლა როცა სუფრის ატმოსფერო ფრიალ შედებდა, განწყობილების გამოსაკეთებლად ლუკაიას სადღეგრძელო მოიწველია. ჯერ ლუკა მახარობელს წასწვდა, ძველ ქრისტიანთა ჯიქობა ახსენა (ბაბუა ტარიელსაც გადააბედა ამის თქმისას), აქებდა მას როგორც ამ ოჯახის „ერთგულსა ყმას“ და „აწ დაცემული ქრისტიანობის ქომავს“.

ლუკაია მაჯავანით იდგა ფეხზე კაც ზეამბაიას გვერდით, სუფრის ბოლოში. ცალი ხელით სუფრის ძგიდეს მიბლაუჭებოდა, ხოლო ცალით ჭუჭყიანი და გახუნებული ტილოს ხალათის სახელო მოეზიდნა და სისხლნარევე ოფლს იწმებდა შუბლიდან.

თამადა ჯერაც ენაშუობდა, როცა ბაბუა ტარიელი ადგა, თავის ოთახში გაიყვანა იგი თამარმა და აქ „ღმერთის შეურაცყოფით“ გაწბილებულმა მოხუცმა წურბლები დაისხა ბარძაყებზე, რადგან ნერვიულობის გამო ქაილი ავარდნოდა.

„იციოთ ჰერ“, წასწურჩულა კაროლინამ თარაშ ემხვარს. ხუთი წელია რაც შე აბხაზების რძალი ვარ და ხუთას წელსაც რომ ვიცოცხლო, თქვენს ჩვეულებებს ვერასოდეს შევეგუებო. არსად ამდენი სტუმრები არ იციან, როგორც თქვენში, არსად იმდენ დროს არ ანდომებენ ქამას და ლაპარაკს. ალბად უდი-



დესი ენერგია ლაპარაკსა და კამაში გეხარჯებათ, ყველაფერზე უფრო ის მო-
ცებს, თქვენ ყველანი სახით, ტიპით, ქრისტიანულიცით, ხმით და ჩვეულებით ერთ-
მანეთს რომ ჰგავხართ ასე ზედმიწევნით. აიღეთ თუნდაც ამ სურათს სწავლას.
მე ვიცი, ზეამბაია ვლახია, მაინ და მარშანია ყოველი აზნაურებია, თქვენ
კი ყოველი თავადი და განათლებული კაცი, მაგრამ ყველანი ხელით ეხებით
საკმელს“.

„პატივცემულო ფრაუ“, ეუბნებოდა თარაშ, ჩვენი სიძლიერე სწორედ
ისაა, რომ თქვენ ჯერ კიდევ ერთგვარნი გეჩვენებით. მე ვამაყობ რომ ჩვენი
ხალხი დღესაც მისდევს იმ ჩვეულებებს, რომელნიც თავიანთ მემუარებში შეტა-
ნილი აქვს ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებსა და მოგზაურებს.

გახსოვდეთ: ვინც გამოცვლილა, იგი გადაგვარებული კიდევაც“.

თამადამ თამარის სადღეგრძელო წარმოსთქვა დაგვიანებით, რადგან
როცა წესისამებრ თამარის ჯერი იყო, თავად თამარი სამხარეულოში ეხმა-
რებოდა ლუკაიასა და მოსამსახურე გოგოს. შარდინ აღშობაიამ თამარ მეფე
მოიხსენია და ისეთი რამეები მორიშა, რაც ათასგზის გვსმენია თამარის შესა-
ხებ. თამარ შარვაშიძის ასულს ურჩია თამარ ბაგრატიონისათვის მიეხადნა.
(არ ვიცი რატომ ახსენა თამარის მეფის გვარი, ალბად შეეცოდა, რაკი მაინც
და მაინც არააინ ახ ენებს ჩვენს დროში ბაგრატიონებს). თამარ მეფის შემდეგ
ჯახანა მოიგონა და მარიამ დედოფალს შეადარა როსტომ მეფის ცოლს.
(მე მგონია, აქ საქართველოს ისტორიის ცოდნის გამოჩენა უნდოდა).

თამარ ოდნავ მოდრეკილი მისჯდომოდა სუფრას, მის მხევაესილ სახეს
მსუბუქი მოწყენისა და დაქანცულობის ჩრდილი მოჰფენოდა, კაც ზეამბაიას
ესაუბრებოდა ცალყბად, ზრდილობისათვის, არცებითად კი, თავის რძლის კარო-
ლინას და თარაშ ემხვარის საუბარს უგდებდა ყურს, გუვერნანტისაგან ნასწავლ
გერმანულს იშველიებდა.

ბერიშს ლუკაიას ხელმძღვანელობდა და როგორც ყოველთვის. სდუმდა,
პაპიროსს სწევდა დაუცხრომლად და ანტრაქტებში ნაზად სკამდა. და ხან
ღვინოს და ხანაც საკმელს სთავაზობდა სტუმრებს.

„ჭერ ემხვარი ეუბნებოდა კაროლინა თარაშს. თამარმა გამაცნო თქვენი
ბიძაშვილი. მე მისი სახელის გამოთქმა ბედნელებია“...

— „არზაყან“. შიაშველა თარაშ ემხვარმა.

„ჰო არზაკან“.

მე ძალიან შორსა ვარ კომუნისტური ამბებისაგან, მაგრამ იმ ყმაწყილს
ძალიან ნათელი აზროვნება აქვს. მიკვირს რომ მას თქვენზე უფრო პროგრეს-
სიული აზრები აქვს. „არზაკან“ ამბობდა კაროლინა მე შეთანხმება რომ აბხა-
ზებს თავიანთი ჩვეულებები უნდა უკუაგდონ და სხვა ხალხების დარად პროგ-
რესისს გზას დაადგენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაილუპებიან“.

თარაშ ემხვარმა ვაიღიმა, გაჩუმდა, ღვინო მოსვა. შემდეგ ჯიქურად შეხედა
კაროლინას მზისგან დამწვარ მკერდს და ხევიან ძეძუებს.

„კეთილო ფრაუ, თქვენ ეიროპელები ეგოისტები ხართ, ჩვენგან ამას მოი-
თხოვთ ჩვენ გარდავიქნეთ, ე. ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ჩვენ ვყო-

ფილმარტ, ან ვართ, ე. ი. თქვენ დაგემსგავსოთ. და თქვენ ეს მოგაძრით/კეთილო ფრაუ, არა ჩენის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ ~~თქვენთვის~~ უფრო ხელმარავე იქნება რომ ყოელანი თქვენა გავადეთ. თქვენს მშუკის მსახრს, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იმავე უფლებით ჩაჯვლათ, როგორც ცეარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპა. მაშინ თქვენ აღარ დაგპირდებით ჩენი ენების შესწავლა, ჩენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩენი თავისებური სახელი და გვარების გამოთქმა, თქვენ ის გირჩენიათ ჩვენ ყველას არხაყანის, კეგვას, თარაშის ჩაცვლად ჯონი, ტანი ან პანს გვერტკვას.

თქვენ ის გირჩენიათ ჩვენ ჩენი ენა დაგვაფიწყდეს, თქვენ ენებზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩენს ტანს, თქვენს ავტომობილებს შეეჩვიოთ, თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთები ვიწამოთ, ჩენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ, და თქვენმა გარებმა ჩენს ზღვებში თავისუფლად ითარეშონ და თუ ჩვენ გაზედდათ თქვენი გიმების დახედრა, მაშინ ჩვენ უთუოდ მეკობრეებს დაგვიძახებთ, როგორც ძველი ბერძნები: რაც შეეხება ჩანგალს. მე მანამდის ხელით ვსტამ, ვიდრე ჩენსავე ქარხნებში გაკეთებულ ჩანგლებს არ მომიტანენ.

„ჩანგლის ხმარებაში კეთილო ფრაუ, არც ისე დიდი ფილოსოფიაა. ჩვენ ძველ კოლხიდაშიაც გვეცოდნია ფიწლის ხმარება, ვინც ამას მიხვდა: ხელით მობოტკვას თივისას, ფიწლით ალუბა რომ სჯობია, საჭირო რომ ყოფილიყო, უთუოდ იმასაც მიხვდებოდა, ხელით ჭაპას, ჩანგლით ჭაპა რომა სჯობია.

„მე ვიამაბობთ კეთილო ფრაუ ერთ ამბავს, ოღონდაც ანალოგიისათვის არ გამიჯავრდეთ. თუკცა ეს გამონაგონი არ გახლავთ, მე შემემთხვა იგი ნადირობის დროს: ერთხელ, შემოდგომის საღამოს კვერნებზე ნადირობისაგან დაქანცული აღმართზე ავდოდი, დალის ფრიალო კლდეებზე. გავიხედე: დათვი გაწოლილიყო ზედ შარის პირად. წინა თათები წინ გაეშვირა და რალაცას იღვქვბოდა.

ცნობილია, აღმართში დათვს უნდა უფრთხილდე, მით უმეტეს საკვერნე ვახნები-ლა მებადა. ავძვერი ხეზე და შეისკერი დათუნიას ოინებს: წვალობდა დათვი, მიიტანდა თუ არა დრუნჩს თათებში მომწყდელულ წაბლთან, უჩხულეტდენ ბუტკები შიშველ ცხვირპირში. გამწარებული ბურღლუნებდა, იღრინებოდა, აღბად თავის გუნებაში სწყველიდა კიდევაც წაბლის გამჩენს, რომელმაც წაბლი ისეთივე შიშველი, მწყულტუ არ გააჩინა, როგორცა თუ გნებათ კიტრი“.

კაროლნამ ორ აზროვნად გაიღიმა, რადგან თარაშის ნათხრობი გაიგო, მაგრამ თარაშის მოწითანო, პატარა ყურებს შეხედა და ეს გაიფიქრა მხოლოდ: ამ აბზაზს რა ლამაზი ყურები ჰქონიაო. ამის შემდეგ თარაშის ოდნავ მოღუნულ ცხვირს შეავლო თვალი, მხვილსა და ფართო თვალებს და პატარა- ორმოებს, ორივე ლოყაზე რომ დაეტყობოდა ხოლმე თარაშ ემზვარს, როცა იგი იცინოდა. თამარმა ქურდული მხერით დაიჭირა კაროლინას ვენებიანი გადახედვა, ოდნავ აიშლერა და იგიც ისევე გაწითლდა, როგორც კაროლინა, რომელსაც ორიოდე ქიქა ღვინო ღიწვებზე დასტყობოდა.

თამადას ჯერაც არ მოეთავებინა ლუკაიას სადღეგრძელო, თუმცა ლუკაია ლაბახუა ყველაზე ხნიერი იყო, მაგრამ ტარიელის ოჯახში ყველაზე გვიან ლუკაიას სადღეგრძელოს სვამდნენ. კევია გარგანჯიას ეძინებოდა, ამიტომ ყველაზე გვიან დაწინებულნი, გაქაძლარი და გამოზრუნული სთვლებოდა. კაც ზეამბაიასაც ძალიან დაქანცული სახე ჰქონდა, იგი მაჯაკანით იკავებდა თავს, თამარი ბაბუა ტარიელის ადგილზე დამჯდარიყო და სდუმდა ალკურვილი იმ საოცარი მოთმინებითა, რომელსაც იჩენენ ხოლმე ჩვენი ქალები, როცა ნადიმი გაგრძელებდა და თამადაც გრძელმეტყველებას მოჰყვება ხოლმე გაუთავებელს.

ხერიპი სიწოლ ოთახში გაპარულიყო, ტატამ მარშანია, ომარ შიან და კაც ზეამბაია ვაქაცურად მისდევდნენ კვალ და კვალ სმას. ტაშს თავისი, მწყერისფერი, დაცრეცილი ჩოხის სახელოება იდაყუს ზემოდ ადევცნა; უკვე აღარ ერიდებოდა მთლად გაცვეთილი სატინის ახალბის გამოჩენისა, ომარ შიანს ახალბის სახე ღილი გაწყვეტოდა.

და როგორც ის მწერალი, რომელსაც სათქმელი ცოტა აქვს საერთოდ, მაგრამ რაღაც ცოტას თქმისთვის დიდ ჰონორარს არაფერ იძლევა (და ადამიანები ბევრ სისულელეს უფრო იოლად იგებენ, ვიდრე სხარტლად ნათქვამ სიტყვებს, ხოლო სიტყვებსაც შეშასავეთ ალაბით ზომავენ) მოჰყვება ხოლმე გაუთავებელ ალილოიას, ასევე ჩვენი თამადა ლაპარაკობდა, ხან სამხეოს მოეკიდებოდა და ხან სახმლოს მოედებოდა.

არ იქნა და ვერ მოაბა თავი შარდინ აღშობაიამ ლუკაიას სადღეგრძელოს. ხან ძველ ანდაზებს მოიტანდა, ხან გაცვეთილ იგავებს, ხანაც აპოკალიპსის ციტატებსაც იშველიებდა.

„და სეტყვა იგი ვითარცა ტალანტი მოვიდა ზეცით კაცთა ზედა: და ჰმესკაცთა ღმერთი წყლულებისა მისგან სეტყვისა: რამეთუ დიდ იყო წყლულება იგი ფრიად“.

აქ აპოკალიპსური ვეშაბი მოიხსენია და დაიწყო ცნობილი ადგილი: „და მიეცა მას ხელმწიფება ყოფად ბრძოლისა ორმოც და ორთუე: და აღაღო პირი თავისი გმობად ღუთისა მიმართ და გმობად სახელისა მისისა და სამკედრებლისა მისისა და მიეცა მას ბრძოლისა ყოფად წმინდათა მიმართ და ხელმწიფება ყოველსა ზედა ტომსა: და ერსა: და ენასა: და წარმართთასა: და თაყუანი სცეს მას: ყოველთა მკუიღრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არ დაწერილ არს“.

უცებ ბიბლიური ხრმალი იქცევისი მოიგონა და ძილისშორისი ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფისა ახსენა.

ენა ერეოდა შარდინ აღშობაიას, ბორძიკობდა და განსწავლულობის თვისის გამოსაჩენად ბნელმეტყველებდა ფრიად.

მრავალგზის დაიწყო ეს ადგილი.

„... და იძილისშორისა ნაბუქოდონოსორმან ძილისშორისი და განკრთასული მისი და ძილი მისი განიქმნა მისგან და ბრძანა მაშინ მეფემან ხმობა მსახურალთა მოგეთა, მეწამლეთა, დაფარულთა მიმოხრობთა და ქალდეველთა მიმოხრობად მისდა ძილის შორისისა მისისა. და მოვიდეს და დადგეს წინაშე მეფისა და ჰრქვა ნაბუქოდონოსორმა ძილისშორისო მისი“ ზოგი რამ შეეშალა, ზოგიც

ზეპირად ვერ მოიგონა, რამოდენჯერ მე ენა წაატეხა, კინაღამ ნაბუქოდონოსორის გრძელ სახელს, მაგრამ მაინც ებრძოდა ცალკერძ ღვინოს, ცალკერძ ნაბუქოდონოსორის სახელს და ყველაზე მეტის გააფთრებით ტატაში ^{მარშანის} ომარ მაანს და კაც ზეამბაიას. ბოლოს მაინც ველარ განმარტა თუ რა იმძილისშორისა ბაბილონისა მეფემ, არ როგორ ახსენეს ეს მოგვთა, მეწამლეთა და დაფარულის მიათხობთა.

რაც უმთავრესია: თამადას დაავიწყდა დამსწრეთათვის განმარტა რომ ძილისშორისო სიზმარსა ჰქვია ძველქართულად.

ხოლო რადგანაც ნაბუქოდონოსორის სიზმარი და მისი ახსნა ნათხრობის ჩემის გასაგებად უთუოდ საჭიროა, როგორც თავად დარწმუნდება შემდეგ მკითხველი, აქ მე გადავწყვიტე ამ საქმეში თავად ჩაერეულიყავ ამ ენამრავალ და ენაარეულ თამადისათვის სიტყვა ჩამომერთმია, რადგანაც მხოლოდ მოკლედ-თქმაში გამოჩნდება ოსტატი. მით უმეტეს, რომ ამის წამკითხველსაც არ უსწავლია, ალბად სამღვთო წერილი და არც თუ ძალით ალოცვებდნენ მას, როგორც ამ წიგნის ავტორს — კონსტანტინე გამსახურდიას.

და ეს ჩავიძინე მე საესებით შგვებულად, მიუხედავად იმისა, როგორც დარბაისელი და მიუდგომელი მკითხველი თავად დაინახავს, ავტორი საესებით მიუერძებლად, გულდინჯად და გულწრფელად მხატავს იმ მარად ძველსა და მარად ახალ ბრძოლას მამასა და შვილს შორის, ქალსა და ვაჟს შორის, დასასრულ სხვედილსა და სიცოცხლეს შორის ატეხილს.

ჩვენ აქ გვინდა ისევ ჩვენს სათხრობს დაუბრუნდეთ და მოკლედ მოვსჯრათ გრძელი სიზმარი, რადგანაც მხოლოდ მოკლედთქმაში გამოჩნდება ოსტატი. უკეთუ სიზმარი ესე არ ავიხსნით ჩემთვის, დილეგსა შიგან ჩაგადგებთ, სახლსა თქვენსა იავარყყოფო, ემუქრებოდა ნაბუქოდონოსორ მეწამლეთა, მოგვთა დაფარულთა მიმთხობთა და ქალდეველთა, ხოლო თუ გამოიციანთ, პატრები და ნიჭი მრავალი მოგვეგებათო.

„არა არს კაცნი ხმელსა ზედა, რომელთაც შეეძლოს ძილისშორისი ესე ახსნასო“.

უპასუხეს მას.

მაშინ წარუდგა მეფეს ტყვე ჰურია დანიელ და აუწყა: მე აფხსნიო სიზმარსა შენსა. ვინაიდან დანიელ ღრმათა განმცხადებელი იყო და ბნელისა შიგან დაფარულისა გულმეცნიერი.

„შენ იხილე მეუფეო, ამბობდა დანიელ, „ხატი რამ დიდი. და ხატი იგი პირსა შენსა წინაშე იყო საშინელ. თავი მისი ოქროსა იყო, მკლავნი მისნი ვეცხლისა, მუცელი და თემო — რვალისა, ბარკალნი რკინისანი და ფერხნი — კეცისანი. და ნახე შემდეგ ვით გამოეკეთა მთისაგან ლოდი ფრიადი, ემგერა ფერხთა კეცისათა და დაფშენა ერთბაშად კეცი, რკინა, რვალი, ვეცხლი და ოქროს-ვითარცა მტვერი კალოსა ზედან ზაფხულისასა.“

ხოლო ლოდი იგი, რომელიც ეკეთა ხატსა მას, დადგა მთად და აღავსო ქვეყანა ყოველი.

მეუფეო, მეფეთა ყოველთაო, განავრძო დანიელმა, ეს შენა ხარო, თავი იგი ოქროსა, ხოლო კერპი, სამეფო შენი რომელი არს უფროს ყოველსა ქვეყანასა ზედა.

შემდგომად ამისა, მეფე ნაბუქოდონოსორმა ქმნა ხატი ოქროსა და აღმართა ველსა ზედან ბაბილონისასა. შეკრია სატრანნი, წანამქვარნი, ადგილის-მთავარნი და ხელმწიფებად ზედანი და უბრძანა ყოველთა ერყვენიერულნი და ნათესავთა თაყვანი ეცათ ამ ხატისათვის. და ვინც ქედს ამხმარებდა ამ ოქროს ხატის წინაშე, მგზნებარე ცეცხლში ჩაეგდოთ იგი.

და კვლავ იხილა ნაბუქოდონოსორ მეფემან სიზმარი ახალი.

ხე იდგა ქვეყანისა შორის და სიმაღლე მისი მრავალ, განდიდდა ხე და განძლიერდა და სიმაღლე მისი მისწვდა ვიდრე ცამდე და სიერცე მისი კიდეთა ყოვლისა ქვეყნისათანა მოედო. ფურცელნი მისნი შევნიერ, ნაყოფი მისი მრავალ და ამა ჰხედავს ნაბუქოდონოსორ ვით გადმოვიდა ირისე ზეციდან და ხმა ესმა დიდი ფრიად. მოჰკვეთეთ ხე იგი და მოჰკაფენით რტონი მისნი, ჩამობერტყენით ფურცელნი მისნი, განაბნით ნაყოფნი მისნი და მხოლოდ მორჩი მიუშვით მიწასთან. ხოლო იგი ვიდოდეს მარადის რვალისა ჯაჭვებით შებოქვილი, მწვანლისა შორის გარისა და ცვარისა შორის სადგურობდეს ველსა ზედან და გული მხეცისა მიეტყეს მას და შეიდნი ჟამნი იცვალეს მის ზედან.

გამოიწვია მაშინ ნაბუქოდონოსორმან: მოგვნი, მისანნი და ფარულისა მომთხრობნი, მაგრამ არა უწყოდეს მათ.

და კვლავ იხმო მეფემან დანიელ და უწყა სიზმარი იგი.

„ხე იგი მიუფეო, რომელიც იხილე განდიდებულ, ფურცელნი მისნი კეთილმცნენი, ნაყოფი მისნი მრავალ, ეს შენა ხარ. და შენ გაგდენიან კაცი და მხეცთა თანა ველურთა იქნება სამკვიდრებელი შენი და ველსა ზედან იბალახებ ზრობისადარად. და აცლიან მორჩისა ხისას“.

უპასუხა დანიელ.

საბედისწერო ვახდა შარდინ აღშობაისთვის ნაბუქოდონოსორის სიზმრისა თხრობა. არც არავინ იცის, თუ რად მრავანდა მას ეს სიზმარი, ან ლუკაიას სადღეგრძელოს რად დაუკავშირა იგი.

ვერც ომარ მაანმა, ვერც ტატაშ მარშანიამ, ველარც კაც ზემამაიამ ეს ვერ გაიგეს. (კვება გარჯანჯიას ხელები სუფრაზე დაეწყო და ზედ ეძინა ადამიტური, მაგარი ძილით). ლუკაიამ მცირე ხანს ყური უგდო შარდინ აღშობაის ბოდვას და ველარც მან გაართვა თავი, თუმცა ლუკაია შედავითნეთ ჰყავდა ერთხანს ტარიელ შარვაშიძეს და ძველი ქართული ასე თუ ისე გაეგებოდა, მაგრამ როცა დაინახა ნაბუქოდონოსორის სიზმარის მოთხრობა თვით სიზმარზე მეტად გააგრძელა თამადამ, შეეშინდა კანურ კარდალში ჩარჩენილი ღომი შავმა ძაღლმა არ ამომიქამოს და მშიერი არ დაერჩეო, ამიტომაც სამზარაულოს მიაშტრა. ასე რომ ლუკაიას სადღეგრძელოს გათავებისას თამადა უკვე ამ სოფელს აღარ იყო, გახარებულმა ტატაშ მარშანიამ და ომარ მაანმა აიფანზე გაუყვანეს შავ ძაღლს შარდინ აღშობაია, ასე რომ თამადას არც კი დაუღევია ჰასტოუ — აბხაზური საყოვლადწმინდო.

„როგორის ზედმიწევნებით აუხდა მართლმადიდებელ ქრისტიანობას ნაბუქოდონოსორის სიზმარი“, ეუბნებოდა თარაშ ემხვარ კაროლინას თამარის ოთახში, მის ვეერდით მჯდარს. „იგი წაიქცა როგორც თიხის ფეხიანი კერპი ნაბუქოდონოსორის მიერ აგებული და ეს რელიგია მოსთხარა რევოლუციის გრივალ-“

მა როგორც ის ხე, რომელმაც ქვეყანა დაიბყრო და ახლა ისინი, ვინც ამ კერ-
პის კვარცხლბეკთან დაჩოქებას მოითხოვდნენ ისევე ჯაჭვებით შეკოჭილნი და-
დიან, როგორც ოდელაღც ისინი, ვინც შათ მუუფებს ეურჩებოდნენ.

Alles ist Flut und Ebbe. gnädige Frau.¹

გნადიგა ფრაუ

დაასვენა თარაშ ემზვარმა.

ლუკაიამ იმავე საღამოს თერძობის ლოცვა გამართა. გააკეთებინა პურის
კომისაგან პაწია ქანდაკებანი: ცხენისა, უნაგირისა, სადავისა, მოსართავისა და
შათრახისა, ეს ყოველივე ხონჩაზე დაელაგებინა. შემდეგ ლეინო გადაასხა, ხონჩა
კერის აღმოსავლეთით დადგა, ძვიდებზე თაფლის სანაღები მიამაგრა და აან-
თო. ჩაბალახით პირი შეიბურა, ხელები წაიკარწახა, დაოთხდა, რამოდენჯერმე
ქიხვინითა და ხვიხვინით გარს შემოუარა ხონჩას, პირით იღებდა ცხენის მო-
დელს, კარისაკენ მიდიოდა და წიხლებს უშენდა კარს და ნაბუქოდონოსორ მე-
ფესავით ოთხზე შემდგარი ტლინკებს ისროდა და ტუჩით სვანდა ხონჩიდან ლეი-
ნოს. ბაბუა ტარიელ თავის ოთახიდან არც გამოსულა, თუმცა იგი ყოველ თერ-
ძობას ესწრებოდა უკანასკნელ წლებში. აბხაზებს თვალეები უბრწყინავდა, თა-
შარი იცინოდა, თარაშ ემზვარ დაფიქრებული შეჰყურებდა და გონების თვალით
ეძებდა თუ სადმე აქეთ ნახსენები ასეთი რამ ჰომერს, ლუკანს, პლატონს ან
რომაელ ისტორიკოსებს იმ ნაწერებში, სადაც ისინი ძველი კოლხიდის ან იბე-
რიის ჩვეულებებს ეხებოდა.

კაროლინას ათასგზის ენახა ეს საოცარი გაცხენება ლუკაიასი, მაგრამ მას
ყველაზე მეტად ის უკვირდა, რომ განსწავლული აბხაზი ენათმეცნიერი ასეთის
დიდის ყურადღებით რომ შესცქეროდა ამ ბნელი საუკუნოებიდან გადმოცდ-
ვილ გაუგონარ მისტერიას ადამიანის გაცხენებისას.

(შეადგვი იქნება)



¹ ყოველივე ეს ზღვის მოქცევისა და მოქცევის ამბავსა ჰგავს მოწყალეო ქალბატონო.

არ. ჯაჯანაშვილი

ნ ა გ ე რ ა ლ ი *

(დასასრული)

13

უზრძინის მბრძანნი.

მეორე დღეს რთველი გრძელდებოდა. ჰაერი გაყურდა და გაირინდა. შორს, მთების მწვერვალებთან შავი ღრუბელი გამჩნდა. ქაიხოსრო შავგულიძეს ავღრობისა შეეშინდა და დილიდან ე ჰეშებს დაუტრიალდა; ერთი ჯგუფიდან მეორესთან გადადიოდა, განკარგულებას აძლევდა და აჩქარებდა.

ბავშვები პატარა კალათებით ვაზებში დაძვრებოდნენ, გოდრებს ურძნით ავსებდნენ და ისევ მკრეფავებთან შირბოდნენ. დატვირთული ურმები კრაქუნით მარნისკენ მიიზღაზნებოდნენ. რთველს პიოველი დღის სიმზიარულე აღარ ემჩნეოდა. გულ-მოყიკებული მკრეფავები ურძენს ისე ხარბად აღარ ეტანებოდნენ და მტ წილად ჩეშად მეშაობდნენ.

ქაიხოსრო შავგულიძე გაკრეფილ ვაზიანს უვლიდა და პატარა მკრატლით აქა-იქ ჩარჩენილ მტევნებსა და კუფილებსა სკრიდა.

შორიდან ბრუციანს მოჰკრა თვალი. ვაზთან გაშტერებული დამდგარიყო, მობუზულიყო, ხელში მუსკატ ს უზარმაზარი მტევანი დაეპირა და გაკრეცილი სახით ხარბად ზედ დასცქნაოდა.

— რა იყო, ბრუციანო, რა გაშტერებული დასცქერი მაგ მტევანსა?— მიშართა ქაიხოსრომ, მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაჰკრა.

ბრუციანი ადგილიდან არ დაიძრა, გაქეცვებულსავით იდგა და ყვითლად ჩატუქნულ მტევანს თვალს ვერ აცილებდა.

— ამ ვაზის ფესვის ქირიშე, ამ ვაზისა! შენ ყლორტებს-კი ვენაცვალე, ვაზოჯანი რა მტევანია! რა მარკვალია! რა ენახე, შენი ქირიშე!— წაშოიძახა ბრუციანმა, მტევანი მოწინწებით ასწია ტლოყაზე მიიღო შეხე კი გენაცვალე, შენა!— მთვრალსავით ლულულულებდა ბრუციანი და მუსკატის ყვითლად დაბრაწულ, ეანგად აღეწილ მტევანს უალერსებდა.

— მოგწონს, ბრუციანო?— თანაგრძნობით შეეკითხა ქაიხოსრო, პატარა კვაზე ჩამოჯდა და წინ ურძნით სავსე კალათი დაიდგა. — აბა, აქ მოდი, ცოტა შეის-

ვერე! ნამდვილი საღვინე ყურძენია! მშვენიერი თეთრი ღვინო დგება. ვენახის ნახევარი, თითქმის აი იმ შარამდე ამ ჯიშის ვაზს ღჭირავს. ჩვენებოლებმა იციან, ვაზი ჩვენში კარგად ხარობს, მაგრამ ყურძენი დამწიფებას ვერ მოწონებს. აბა, შეხედე, განა, ეს ყურძენი დამწიფებული არ არის? მარცხლები წიწვითისგან ზედ ასდებმა! თქვენი ყურძენი კი ჯერ ისერიამდაც არ გამოდგება, რომ კაცმა ლობიო—შეკამანდი შეავე წვივით შეაზავოს! ჯიშებს არჩევა უნდა, ბრუციანო! აი, ეს ალიგოტე პირვეულია ვაზი არ არის, ყოველგვარ ნიადაგს ადვილად იტანს, მაღალი ადგილები უყვარს, ადრე მწიფდება. სხვა რაღა გინდა?

ბრუციანი ქაიხოსრო შავგულიძეს პირდაღებული უცქეროდა.

— აი, შავ ყურძენს, ხელში რომ გიჭირავს, შასლა ჰქვიან, მშვენიერი ჯიშის ყურძენია, ვადატან-ვადმოტანას ადვილად იტანს და დიდხანსაც ინახება. ეგეც ადრე მწიფდება. ხედავ, როგორი ხოცოანი მარცხლები აქვს? ამ რქა წითელს ხომ იცნობ? ნიადაგს ადვილად ეგუება, გვალვისა არ ეშინიან; ეგ არის, ადვილად სწულდება, სოკოს ავადმყოფობა უჩნდება. ეს კახური საფერავიც ნანახი გექნება. მშვენიერი ჯიშის ვაზია, მაგრამ ამისი უბედურება ის არის, რომ სიცოცხეს ვერ იტანს. ჩვენში ეს ჯიში ვერა ხეირობს ვხლაც ამინდმა ხელი შეუწყო, თორემ გაფუჭდებოდა.

ქაიხოსრომ მტევანი მოსჭრა, ხელში აატრიალა და სიამოვნებით ახედდახედა.

— მართლა, რა კარგია! აბა, თაბრიკოს წაუღე!—მისთავაზა ბრუციანსა ბრუციანმა უბიდან ჩითის დიდი ჭუჭყიანი ხელსახოცი გამოიძრო, ყურძენის მტევანი მოწიწებთ შეახვია, გვერდით დაიდო და ჩაფოქრდა.

— რას დალონდი, ბრუციანო?—შეეკითხა ქაიხოსრო, გვერდით მოუჯდა და ღიმილით ხელი დაჰკრა.

— ჩემს გაძალღებულ ცხოვრებას რა ვუთხრა!—წამოიძახა ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ბრუციანმა და გვერდზე გააფურიბა.—აბა, უყურე, რა ვენახი გადაქიპე! კარგი, ვენახს ფული უნდა, მაგრამ სტაფილოსა და კარტოფილს ხომ ბევრი არაფერი სჭირდება? შენი სტაფილო აი ამ სივრცეში ამოდის, ჩემი-კი კიაყელებსავით ვაწკნიკებულია! იმ დღესი შენი მიწიდან ისეთი წითელ-წითელი კარტოფლი ამოიღეს, თითო ორი გირვანქა გამოვიდოდა, ჩემი კარტოფილი-კი კიამ დასკამა. ესეც იღბალია რაღა!

— იღბალი-კი არა, ცოდნაა, ჩემო ბრუციანო!

ბრუციანმა ქაიხოსროს ეჭვიანად გადახედა და თვალი მოკუტა.

— რა ვიცი, კიპი ამ საქმეში მაქვს მოჭრილი და, განა, შენ ჩემზე მეტი უნდა იცოდდე? ქალაქში სულ ბოსტნეულს უვლიდი, თუ როგორ არის შენი საქმე? ქაიხოსროს გაეცინა.

— შენ ეგ მითხარი, რატომ ვენახს არ აკეთებ? იძახი, კიპი ამ საქმეში მაქვს მოჭრილი და უბრალო რამ კი ვერ გამოგიანგარიშებია. ნუ თუ ვერა ხედავთ შენცა და შენი მეზობლებიცა, რომ ხეხა-თესვა საზარალო საქმეა? აბა, მიყურე, არც ხარ-კამეჩი მყავს, არც გუთანს ვაბამ, მაგრამ გამართული მეურნეობა-კი მაქვს. ჩემს მინდვრებზე ბაღ-ვინახი რომ არა ყოფილიყო გაშენებული, რად ვვარგებოდე? მართალს არ ვამბობ?

ბრუციანმა ქაიხოსროს ისე შეხედა, თითქოს შეწლილ ადამიანს უცქერი-
სო და უცებ გულიანად გადაიხარხარა.

— ხუმრობის გუნებაზე ყოფილხარ, ნათლი! რა ჯანდამბრძანებ უნდა უნდა გვაფენო ვენახი? ილლას ბიჭმა რომ გააკეთა, იმას წელიწადს სხა-
ხლში ოთხი ვაჟ-კაცი ტრიალებს, ახლა დედა-კაცები აიღეს! მე ერთი ცალ-ხელა
კაცი ვარ, დღიურ ლუკმაზე ძლივს გამოვდივარ! ერთი აი ძლევის ქედის გადა-
ღმა რომ მიწაა, ის მიჭირავს და ერთიც აი ეს ნაფუზარი. ხან სიმინდსა ვსთე-
სავ, ხან პურსა. სხვა რაღა ჯანდაბა ვქნა?—დაუმატა ბოლოს ბრუციანმა და
ქაიხოსროს ნაღვლიანად შეხედა.

— გინდა, ბრუციანო, სამი წლის შემდეგ შენს ნაფუზარში აი მაგისტანა
მტევანი მოგაწყვეტინო?—მტკიცდა და მოკლედ შეეკითხა ქაიხოსრო.

— ნუ დამცინი, ნათლი!—ჩახლჩილი ხმით ძლივს წაიხიხინა ბრუციანმა.

— კი არ დავცინი, მართალს გეუბნები! მაგაზე ადვილი რა არის? აბა,
ყური დამიგდე! შენი ნაფუზარი სულ ორი დღისა უნდა იყოს. შემოლობვა არ
გაგიჭირდება. მავთულით ნუ იქნება, შე კაი კაცო, ძეძვი შემოავლე! ამ შემო-
დგომითა და ზამთრობით დაადეჭი და ძეძვი სჭერი, მუხის მარგილები და-
ამზადე, დანარჩენი ჩემი ვალი იყოს. გადავებრუნებ. ნამყენები აქვე მაქვს, მე თი-
თონ ჩავყრი, მოვეფლი და წლის თავზე პატარძალსავეთ გაპართულ ვენახს ჩაგა-
ბარებ; ორი დღიური ვენახის გაშენება ორასი თუმანი დაგიჯდება. მოსავლის
ძლევის რომ დაიწყებს, ზოგი შენი იყოს, ზოგი ჩემი. ხუთ-ექვს წელიწადში ნა-
ხევარი მოსავალი ვალს თითონ გადამწყვეტავს და გამართული ვენახი სუფთად
დაგრჩება, სხვა რაღა გინდა? მერე, იცი, მაგ შენ ნაფუზარში რა ყურძენი მო-
ვა? ჩემსას ათ წილად აჯობებს. ცუდ სიტყვას გეუბნები?

ბრუციანი ელდანაკრავსავით იდგა, კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო. თავი
სი თავი სიზმარში ეგონა. დაღვრემილი, გადაფითრებული სახით ქაიხოსროს
თავიდან ფეხამდე ზომავდა; ტვინში სოლივით შეჭრილმა აზრმა გული აუტოკა
და შუბლის ძარღვები დაუქიმა. ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ ნაფუზარში
მწკრივად ჩარიგებული ვახუბი, დაკუნწული მტევნები!... წითელი საფერავი...
შასლა თავისა მსუქანი, ჩატკნული მარცვლები!..

რაღაც მწვავეა და ამავე დროს ტკბილმა გრძობამ ტანში ტალკვისსავით
გაჰკრა და შეაერეოლა.

— ნათლი! მაშ, არ მეხუმრები?—წყალმორეული თვალით მიუბრუნდა
ბრუციანი ქაიხოსროს და ამ ხმაში რაღაც უცნაურმა მწვავე, მტკივნეულმა მუ-
დარამ გაიბზრიალა.

— არა, ბრუციანო, არ გეხუმრები! სახუმრო რა მაქვს? ხომ არა გგო-
ნია, ნამყენ ვენახებს ფეშქეშად ვარიგებ? მეც გამოჩინა მაქვს თუ არა! ორას
თუმანს რომ გეუბნები, ზედ ჩემი გასამჯელოც არის მისული და სარგებელიცა,
მაშ!

— უმაგისოდ როგორ იქნება!—ულვაშებში ჩაილაპარაკა ბრუციანმა, კი-
სერი მოიფხანა და ჩაფიქრდა.—ერთი მითხარი, ნათლი, გასამრჯელოსა და სარ-
გებელს რამდენს ანგარიშობ?—ჰკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბრუციანმა-

— ასე, ორმოც თუმნამდე! — ზღაპრითა და ზიზლით უპასუხა ქაიხოსრომ და წამოდგა. — ხომ არ გებებრა?

— არა, ბევრი რად იქნება, ჩემო ნათლი, მაგრამ ხომ ეტყვი საწაღლი კაცი ვარ? იქნება ცოტა დაუკლო?

— კარგი, მოვრიგდებით! მოიფიქრე და, თუ ჰკუაში დაგიჯდეს, ხელწერილი დაედოთ. დაღამებულა კიდევ! მუშებიც მალე აიშაბაშებენ. ეგრე, ბრუციანო! — უკანასკნელად წაახალისა ქაიხოსრომ და მუშებისკენ წავიდა.

ბრუციანი კარგა ხანს ჩაფიქრებული იდგა, მეჩე ხელსახოცი აიღო, გაშალა და ყურძნის მტევანს ამღვრეული თვალთ დააქკერდა.

— შენ კი გენაცვალე, შენა! რა მტევანია, რა მტევანია!

— ყურძნის მტევანი ათრთოლებული ხელით ისევ ხელსახოცში შეახვია, მიწიდან თავისი დაკონკილი ფარაჯა აიღო, დაბერტყა, მხარზე გადაიჯლო და ვაზიანიდან გავიდა.

— ოჰ, ბრუციანო, სადა ბრძანდებოდი, ასე რომ დაგვივიწყე? — გადმოსძახა მოფხეკილი დახლიდან დაბალ-დაბალმა, ჩოფურა, ჩასუქებულმა მიკიტანმა, ჰუქუციანი ტილოთი მოკოჭილი დახლი გადაწრუტა და სალაშის ნიშნად შუბლზე ხელი მიიღო.

ბრუციანმა უღვაშებში ცივად რალაც წაიბურტყუნა, პატარა გაჭონიანებულ წაგიდას მოუჯდა და ხელსახოცში გახვეული ყურძნის მტევანი გვერდით დაიღო.

დაბალი, მიწური სამიკიტნო არყისა და ღვინის სუნით იყო გაკლენთილი. უკან გაღებული კარებიდან კვამლს მყარალი ხრაკის სუნი შემოჰქონდა. ბნელს კუნჭულში, რუმბებთან რამდენიმე გლეხი მაგიდას შემოსჯდომოდა, სვამდნენ, ღრიანცილი გაჭქონდათ და ერთმანეთსა ლოწნიდნენ.

— ღვინოს მიირთმევ, თუ არაყსა, ბრუციანო? — შეეკითხა დახლიდან მიკიტანი, თავისი პატარა მსუქანი ხელი ილლიაში შეიყო და ჰეჭვა დაიწყო.

— ნახევარი ჩარეჭა არაყი მოიტანე, ცოტა ფშატიც დააყოლე! — უპასუხა ბრუციანმა.

მიკიტანმა პატარა ტიკოროიდან არაყი ჩამოასხა, ბრუციანს წინ დაუდგა და თითონაც გვერდით მოუჯდა.

— ერთი შითხარი, ბრუციანო, აგრემც ცხონდება პატიოსანი დედი შენის სული, ი როგორ იყო, მინისტერს რომ ელაპარაკებოდი? კაი-კაებისა უთქვამსო, ასეთს ამბავში იყო ჩვენი ბრუციანო, სულ ხელების შლით ელაპარაკებოდაო. მინისტერმაც ხან ჩაუციანო, ხან გაეხუმრაო, ხან მხარზე ხელი დაჰკრაო. მაინც რა გინდოდა? სახლში სადილად ხომ არ ეპატიეობოდი? — შეეკითხა მიკიტანი და ეშმაკურად ტუჩებში ჩაიკანა.

— რა შენი მოკლე ჰკუის საქმეა! — შეუბუზღუნა ბრუციანმა, არაყი გადაჰკრა და დაიღმიჭა. — ფშატი არა გაჭეს?

— რა დროს ფშატია, შე უწნოვ, შენა? თუ გინდა კაი გამოშუშული ტარანი მაჭეს!

— ტარანი მამაშენს დაუდგი ტაბლადა! — იწყინა ბრუციანმა მიკიტნის ხუმრობა და მეორე არაყი გადახუბა.

— რატომაც არა, ბრუციანო! დედაშენი მოუწვინე გვერდში და ვინ მკვდარძალი, ზედ მეორე ტარანიც არ დავაყოლო! მაშ, ეს ბიჭი მოკვდეს, თუ გულს დავაყოლო!—დაუმატა მიკიტანმა და ხელი ლოყაზე შემოკრტყა.

— საქუთს ჩემი გულითაღი სალამი მიუძღვენიო, —სცადა ხუმრობა ბრუციანმა და თავისი ცალი თვალი მოკუტა.

— არა, მართლა? შენ კი გენაცვალე მაგ სიფათში, შენა!—წამოიძახა მიკიტანმა და გულიანად გადაიხარხარა.—განა არა, თავიდანვე გქვი შემეპარა, რატომ პირდაპირ ჩემთან არ ჩამოხტა მეთქი! მაინც არ დავვიწყებია, ხედავ, პურ-მარილმა ვგრე იცის, ბრუცოჯან! ნაპურმარილევი მყავს და რად დამივიწყებდა!

— ნაპურმარილევი! შენმა თავისმა ხეთქამა!—ჩაილაპარაკა ბრუციანმა და დახლიდარს ექვიანად გადახედა.

— ვა! ერთი ამ ჩერჩეტს უყურე, რომ არც სჯერა და!—შეკვირა საქუამ და წამოღდა.

ბრუციანს ერთბაშად თავში რაღაც აზრმა გაურბინა, მიკიტანს შემპარავი ღიმილით შეხედა და ჩასჩურჩულა.

— საქოჯან, მოიკა, სად მიდიხარ? მოდი რაღა, თითო არაყი დავლიოთ!

— თქვი, ჰა, რა გინდა?—უგემურად უპასუხა საქომ და გვერდით მოუჯდა.—არ დაასხა, არ მინდა!—დაუმატა მიკიტანმა, ბრუციანს ხელი დაუჭირა და არაყი არ დაასხმევინა.

შეზარხოშებული ბრუციანი წამოქარხლებული სახით და ამღვრეული თვალით სკამზე ტორტმანობდა, წარა-მარა აბოყინებდა, ენა უბორძიკდებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად და არეულად ბლუყუნებდა.

— საქოჯან!—მე... იცი, რა უნდა გითხრა? ბალშაკები რომ მოდიან... ხომ მოდიან, არა? ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრიან! მინისტერმა მითხრა, ნურაფრისა გეშინიან, შენ ნაფუზარს ხელსაც ვერავენ ახლებსო... საქო... აბა, უყურე, ხედავ ამასა?—ბრუციანმა ხელსახოცი გახსნა და ყურძნის მტევანი მიკიტანს წინ დაუღო.—იცი, საქოჯან, ეს რა არის? შასლაა, შასლა, ვენაცვალე ამას ყუნწის ძირში!.. ზაფხულშიაცა მწიფდება და ზამთარშიაცა სძლებს!—ჩაიტრაბახა ბრუციანმა და დორბლიანი ტუჩებით ყურძნის მტევანს ლოშნა დაუწყო.

— ვა, მართლა, ე რამოდენა მტევანია! სად მოგიპარავს, ბრუციანო?—შეკითხა საქო და ყურძნის ხელი წაატანა.

— მაშაგიცხონდა, დიახ, მოგიპარავს!—შეუბღვირა ბრუციანმა და მტევანს გადაეფარა—შენ... სულელი ხომ... არა ხარ! იცი, ეს ყურძენი სად არის მოწყვეტილი? ნაწისქვილართან რომ მიწაა, ხომ იცი, ბრუციანის ნაფუზარს რომ ეძახიან... ზი, ზი, ზიი! რა გაშტერებული მიცქერი, შე მუტრუკო, შენა!

— სადაო? სად არისო?—შეკითხა მიკიტანი, თვალები მოკუტა და ტუჩებში ჩაიციხა.

— ბრუციანის ნაფუზარს რომ ეძახიან, საქული, ბრუციანის ნაფუზარსა!

— ნაწისქვილარის მიწაზე ამბობ? იმას ხომ ობლის ნაფუზარს ეძახიან? ბრუციანი გადაფითრდა, სახე დაეღრიკა, ტუჩები ჩაულურჯდა და აუკანკალდა.

— რას მიჰქარავ, შე წუწკო, წუწკოს შეილო, შენა!—^{წარსისინა ბრუციან-}მა, მაგიდაზე მუშტი დაქრა და ფეხზე წამოდგა.

— შენ ეი, გაგიჟდი, თუ როგორ არის შენი საქმე?—^{წარსისინა ბრუციან-}ამ ოჯახ-ქორებსა და ილეშებიანი-კი!—წაიბურტყუნა ტუჩებში გაბრაზებულმა საქმე და დახლისკენ გაემართა.

ბრუციანმა მკიტიანს ბოროტად თვალი გააყოლა, მერე ყურონის მტევანს დააცეცდა, ხელსახოცში შეახვია, ილლიაში ამოიღო და კარებისკენ წაბარბაცდა.

— ფული... ფული!—მიამახა კარებში ბრუციანს მიკიტანმა.

ბრუციანი შეჩერდა, მიკიტანს შეხედა, როგორღაც უცნაურად ჩაიხიოთხითა და გაჭონიანებული ფარაჯის ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— ფულიო? შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი! ფული ჩეჩკივითა მაქვს! რამდენი გინდა, საქოჯან? არაფერი გეწყნოს, ხომ იცი, ერთი საცოდავი, გამოჩურჩურებულ კაცი ვარ! შენ კი გენაცვალე, შენა! ყელი დაბუა ჩიტივით რომ ჩამოგვშვია!

— კარგი, წადი, ქადაგად ნუ დაეცი! ხომ ხედავ, დაღამდა! საღმე ორღობეში არ გადაიჩეხო, —უთხრა მიკიტანმა, მკლავში ხელი წაავლო და გარედ გაიყვანა.

— არა, საქოჯან, მე ის უნდა მეთქვა, რომა... მოიცა, კაცო, მე თითონ წავალ... რა ხელს იკვრევენები?..

— გაიარე, გაიარე!—სიტყვა აღარ დაამთავრებანა ბრუციანს და სამიკიტნოს კარები ცხვირ წინ გამოუყეტა.

— დედას გიტირებ მე შენა, დამაცადე!—ბოროტად წაისისინა ბრუციანმა, გულში ხელი ჩაიკრა და ბაზრის ჩაბნელებულ ქუჩაში წაბარბაცდა.

ის იყო, ორღობისკენ უნდა გაეხვია, რომ უკან ცხენების თქარა-თქური მოესმა. მილიციის უფროსი იყო თავისი მილიციონერებით.

— ვინა ხარ მინდა? ბრუციანო, შენა ხარ? ოჰ, კარგია, შეგვხვდი, სწორედ შენი ნახვა მინდოდა! აბა, ერთი კანცელარიაში შემობრძანდი!

— ამ შუალამისას კანცელარიაში რა მინდა?—აიშრიზა ბრუციანი.

— წამო, წამო, ბევრს ნუ ლაპარაკობ!—შეუტია მილიციის უფროსმა და ცხენი კანცელარიისკენ გააბრუნა.—შე ვირო, შენა!—მიახალა პირდაპირ მილიციის უფროსმა, როცა მარტო დარჩნენ.

— ვირი რად ვიქნები? ეგ რომელი ზაკონის კანონში სწერია?—წაიბურტყუნა ბრუციანმა, წაბარბაცდა და კანცელარიის კარებს დაეტაკა.

— ფუი, რა მყრალი არეით ვალეშილხარ, შე ღვთის გლახავ, შენა!—დაიღმიჯა მილიციის უფროსი.—ვირიცა ხარ და ძუტრუკიცა! შე ჩერჩეტო, შენა, თუ რამე იცოდი, რატომ ჯერ მე არ მითხარა? რაღა პირდაპირ მინისტრთან მივბოდი? აბა, ვინ არიან?—და მილიციის უფროსმა ფანქარი და ქალღი მოიმზადა.

ბრუციანი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა. საღლაც გულის მიყრუებულ კუნჭულში პირუტყველმა შიშმა გაუფრთხრიალა. მილიციის უფროსი-ი თვალებში მიშტერებოდა და ელოდა. ბრუციანმა თავის მოკატუნება სცადა.



— რომ არ ვიცო, რას მეკითხები?
 — ბევრს ნუ მიედ-მოედები! აბა, მოჰყევი! ბაკონა ხომ არის და არის.
 შერე?

ბრუციანმა კისერი მოიფხანა და ხენეშით წაილულლულა:
 — დიმიტრანთ ვანა.
 — კიდე!—და მილიციის უფროსმა წერა დაიწყო.
 — წივილანთ ტატე!
 — რა წიო-წიოთ ამბობ? კიდე?
 — არჯენიანთ სანდრო, გაბრუაანთ ზალიყო!
 — კიდე?
 — ეგები არიან, რაღა!
 — კანკორა?

— არა, ძაო, კანკორასი არაფერი გამიგია!—ფიცხლავ დაახალა ბრუცი-
 ანმა, ხელეში გააცავცავა და შემკრთალი თვალეში უმწეოდ აახამხამა.

— სად იკრიფებიან!
 — ძლივის ქედზე.
 — უცხო ვინმე ხომ არ დადის?
 — მე რა ვიცი! იმათი დედამთილი ხომ არავარ!—გაჯავრდა ბრუციანი.
 — კარგი, გეყოფა! ეხლა გაისეირნე!—ცოვად მიუბრუნდა მილიციის უფ-
 როსი, ქალაღდი ფრთხილად დაკეცა და უბეში ჩაიღო. ეგ რა გიჭირავს ხელში?
 — არაფერი! ქაიხოსროს რთველში ვშველოდი და ერთი მტევანი ყურ-
 ძენი გამომატანა.
 — თუ მოჰპარე?—ეშმაკურად ჰკითხა მილიციის უფროსმა, გარედ გამო-
 ვიდა და კანცელარიის კარები გადაარაზა.

ბრუციანი ორღობებში უგემუად მიიზღანებოდა და ცდილობდა გულს
 ლოდად დაწოლილი ათასნაირი დარდი სიმღერით გაექარწყლებინა.

ბეჭნი საპოფიკ ში-ი-ო
 სირთი პადვალში თი-ი-ო,—

ჩაიხიხინა ბრუციანმა, წაბარბაცდა და ძეძვიან ლობეს აეკრა.

ახალი მთვარის მკრთალი შუქი უზარ მაზარი კაკლის ხეების გადმოწო-
 ლილი ტოტებით ჩაბნელებულ ორღობეში ძლივს ატანდა და ქვიან გზაზე აქა-იქ
 ვერცხლის ფერ ზოლებად იშლებოდა.

შორიდან ურმის ნელი კრიჭინი მოისმა. მეურმე თავისი ჩუმი, სასიამოვნო
 ხმით ურმულს არაკრაკებდა და სიმღერის ეს სეგდიანი ხმა ჩაბნელებულ ორ-
 ლობეში მარგალიტის მარცვლებსავით იფანტებოდა.

„აღხევანს წავალ მარილზე,
 მარილს მოვიტან ბრილსაო,
 გაუწი შინდავ გიშერას,
 რადა ჰლაღატობ ტოლსაო!“

— ჰაამო, გიშერავ!—გადასძახა მეურმემ მოზანტებულ ხარებს და ჰაერში
 სახრემ გაიზუზუნა.

„აღხევანს მივალთ მე და შენ,
 როგორ არ გაგვიხარდება,
 ლოკე და ლოკე მარილი,
 არავინ გაგვიავრდება...“



— ჰაიმო!—დააყოლა მეურმემ და ისევ ჩაილილია:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავებვევი,
მერე შეილსა და ცოლსაო!“

— ეი, ვინა ხარ მანდა, შუა გზაში რომ გაჩხი'რულხარ?— წამოიძახა უცებ მეურმემ და ხარები გვერდზე მიაგდო.

— ვინა ვარ და მე ვარ!

ჩუსტი, ბატინკი ში-ი-ო,
ბედნი საპოჩნიკ ში-ი-ო!—

გასძახა ბრუციანიმა.

— ბრუციანო, შენა ხარ? რას აკეთებს, კაცო, აქა, ამ შუალიმეში? მოდი, ურემს დაუჯექი!

— რომელი ხარ? ბაკონ! ოპ, შენ კი გენაცვალე ყანყრატოში, ბიჭო! კანკორა... როგორ არის, იმას კი... ვენაცვალე სულის კლიტეში! ვენაცვალე იმის მარჯვენასა! რა გითხრეს, ბიჭო? ქალაქში რას ამბობენ?

— არა უშავს რა, მალე მორჩებაო!— მოკლედ მოუჭრა სიტყვა ბაკონამ და ურემი გააჩერა.— დაუჯექ, რაღა!

— უპ, იმას კი ვენაცვალე, იმასა! კანკორა რომ არის, სულ სხვა რამ არის! შენც კაი ბიჭი ხარ... დიმიტრაანთ ვანოც კაი ბიჭია... წივილიანთ ტატეცა. არჯვენთან სანდროცა... გაბრუანთ ზალიკოცა...

ბრუციანი ხენეშით ურემზე აცოცდა, რბილად ვაშლილ ლეიბზე გაიშოტა და მასწინათვე ხვრინვა ამოუშვა.

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავებვევი,
მერე შეილსა და ცოლსაო!“

ჩაიმლურა ისევ ბაკონამ და ხარებს ზურგზე სიყვარულით ხელი გადაუსვა.

14

ბ რ დ ვ ა .

— რაღაცა დაგჩა!—გასძახა ბაკონამ ნამძინარეე ბრუციანს, რომელიც ურმიდან ძლიეს ჩამოფოფებდა და ბარბაცით სახლისკენ მიიზღაზნებოდა.

— ჰო, შენ კი გენაცვალე, შენა! ყურძენია, ბაკონჯან, ჩემი მამულის წლის მოსავალია!.. ხე... ხე... ხე!—ჩაიხიოხიოთა ბრუციანიმა და ბაკონას ყურძნის მტევანი გამოართვა.— ბაკონ, ჰა, ბაკონ!—ბრუციანი ერთ ადგილზე გაჩერდა, შეტორტმანდა და თვალეზი უაზროდ ბაკონას მიაცეცა.— ბაკონ, ჰა, ბაკონ! რათ გეჯავრები, შეილო? მაშ, ეს ბიჭი მოკვდეს, თუ შენთვის ცუდი უნდოდეს!—და ბრუციანიმა ყბაზე ხელი შემოიორტყა.— შენი ბადალი ჩვენს უბანში ერთიც არ არის... ჰო, ჩემმა მზემა!... დიმიტრაანთ ვანუაც კარგი ბიჭია, ვინ პირ-ძალი,

იმაზე ცუდს იტყვის! წივილანთ ტატეც საყვარელი კაცია... არჯერაფრით სანდრუცა... გაბრუნათ ზალიკოცა... მაგრამ შენ რომ ხარ, სულ სხვა ხარ! მოდი, ბიკო, ერთი გაკოცო!—და არყით გაღეშილი ბრუციანი ბაკონას მოუწვია.

ბაკონამ უსიამოვნო ალერსს თავი მოარიდა, გამოწვდილი მანჯგვლიანი ხელები კისრიდან მოიცილა და ხარები გამურში შერევა.

ბრუციანმა ბაკონას თვალი გააყოლა, ბოროტად რაღაც წაიბურტყუნა და სახლისკენ გაემართა.

— ეი, ვინა ხარო მანდა!—შეჰყვია ბრუციანმა შორიდან, გვერდ-გვერდზე წაბარბარცდა და შუა ეზოში განხრული ურმის ქალებს დაეჯახა.—ვინა ხარო—მეთქი მანდა?

ბედნი საპოქიკ ში-ი-ო
სიროი პადვალში ე-ი-ო

ა, დანდალი, დანდალი! ა, დანდალი, დანდალი! გასწყდით მანდა, თქვე გასაწყვეტებო, თქვენა, თუ რა ამბავია! ხომ ხედავთ, მოვდივარ!.. აბა, ჩქარა ქვევრები დარცხეთ, საწინახელი მოამზადეთ, ვერა ხედავთ, რთველი მაქვს, ვენახიდან წლის მოსავალი მომაქვს! ხი, ხი, ხიი! ეი, მაგდან! თამრიკო!

გამოკეტილ, ჩაბნელებულ ოთახიდან ხმას არავინ აძლევდა. ბრუციანი ცოტახანს გაჩერდა, გვერდები მოიქექა, დაამთქნარა, ერთი-ორი კიდევ წაბარბარცდა და აივნის ბოძს დაეჯახა.

— თამრიკო!—დაიღრიალა ბრუციანმა და ბოძს მუშტი შემოჰკრა.

კარები კრაქუნით გაიღო და თამრიკომ გამოიხედა.

— აქა ვარ, ძია!—შემკრთალი ხმით გამოსძახა პერანგის ამბრა თამრიკომ და ნაძინარევი თვალები მოისრისა.

— ძილქუში დაგეცა, შე სასიკვდილე, შენა?—შეუბღვირა ბრუციანმა და თავში თხლაშანი გაადინა.

თამრიკო კარებში მოიბუზა და თავზე ხელი მიიფარა.

— მარტო ვიყავი და დამძინებია, ძია!—ბოდისით უპასუხა თამრიკომ და გაბოროტებულ ბიძას მუდარებით სავსე თვალები მიანათა.

— ძალუა შენი სადლა ჯანდაბასაა?

— მეზობლებთანაა; ოუ დამიგვიანდა, ამაღამ აღარ მოვალო.

ბრუციანი ოთახში შევიდა. თამრიკოც თან შეჰყვა, ფანჯრიდან პატარა ლამფა გადმოიღო და აანთო.

ბრუციანი შუა ოთახში იდგა და თვალებს ტუტუტურად აჰყვრებდა. ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა. ამღვრეული თვალები ყურძნის მტევანს მიაცეცა, მერე თამრიკოს ვადახედა; თვალები რაღაც უცნაურმა, პირქუშა შიშმა გაუგანაიერა.

საზარელი სანახავი იყო. შეთხელებული ქაღარა თმა ასწეწოდა და წვერები აპბურძენოდა. პირი დაეღო, ჩაყვითლებული ღრჯოლები გადმოეყვარა, ტუჩებიდან დორბლი სდიოდა, მძიმედა სუნთქავდა და ნელ-ნელა ბუხართან იტუზულ თამრიკოს უახლოვდებოდა.

თამრიკო ბუხართან მოიბუზა და სული განაბა.

— რა შეშინებული მიცქერი, კუდრაქავ!—წამოიძახა უცებ ბრუციანმა და ტუჩებზე გადაარბენილმა ბოროტმა ღიმილმა სახე დაუღიმა.

თამრიკოს ცოტა გულს მოეშვა.

— არ მეშინიან ძია! რისა უნდა მეშინოდეს? — მოკრძალებულად უპასუხა თამრიკომ და ბიძას თაფისა ეუფუნა თვალები მიანათა.

— ხო, ეგრე! მოდი აქა, მოდი ჩემთანა!

ბრუციანმა თამრიკოს თავზე ხელი გადაუსვა. ძაგდაგებდა, საზარელი, ჩახლენილი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად ზუმად ხიხინებდა.

— თმა რა ლამაზად დაგხუჭუჭებიან! ეს რა არის? ყურები გახვრეტილი გაქვს? რატომ ძალუაშენისთვის საყურეები არ გამოგირთმევია? ყელიც... როგორი... წვრილი... გქონია... პატარა... ყელი...

ბრუციანმა ანთებული თვალები თამრიკოს მიაცეცა, ბანჯღვლიანი ხელი კისერზე მოუცაცუნა, ყელზე მოჰხვია და ხეული, ძარღვიანი თითები წაუჭირა. თამრიკო გადაფითრდა და ბიძას ხელებში სწვდა.

— მტკივა, ბიძიკო!

ბრუციანმა მძიმედ ამოიჭმინა, ერთბაშად თამრიკოს მოსცილდა, აბურჭვნილ თმაში ხელი წაივლო და შესლილივით გარედ გაეარდა.

— თამრიკო, წყალი მოიტა, პირი დამაბანინე! — გამოსძახა გარედან ბრუციანმა.

თამრიკომ პატარა ლიტრას ხელი წამოაგვლო, აივანზე გავიდა და ბიძას ხელებზე წყალი დაუსხა.

— ეგრე! ეხლა თავზედაც დამისხი! ეგრე!.. კიდევ!.. ბევრი... ბევრი... ეკაკა აილე!.. მოაყუდე!.. კისერზედაცა!.. თავზედაცა!.. ჰა, ყოზალ!.. ჰო, ეგრე! — რალაც უქნაური დაეინებით ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ბრუციანი და ცივს წყალს სახეში იშხაპუნებდა.

მერე დაგლეჯილი ფარაჯის კალთით პირი შეიმშრალა და დაღვრემილი სახით ოთახში შევიდა.

— ლოგინი გამიშალე! შენც დაიძინე! ამდენხანს უძილობა ვის გაუკია? — ყრულ უთბრა ბრუციანმა და თამრიკოს თვალი მოარიდა.

ბრუციანი ლოგინში გაშოტილი ეგდო. თამრიკოც კეთხეში ჩამოჯდა და გაინაბა.

ბრუციანი ოხრავდა, ჰქშინავდა და ჰპორგავდა.

ბრუციანი ბოდავდა.

ბოროტ სიღარბეში აღზრდილ ბრუციანს ბნელი გონება და დასნეულებული სული აკვიტებულნი აზრის სიმძინემ აუფორიაჰა. აგერ, ილო თანდილა-შვილმა მეორე სახლი წამოკიმა, გიორგამ ნამყენი ვაზი ჩაჰყარა, ლიყიანმა, ქვეყნის გლახა ლიყიანმა-კი საკუთარი ვენახი გაიჩინა და ლობით შეკრულ ბაღ-ჩას ატმები, ქლიავები და ვაშლები ჩაურთა; გულ-ზევიადი მეზობლები ყოყლო-ჩინობენ და დასცილიან, მასხარად იგდებენ! სამადლოდ ზოგი დამკანარ კერამს აწედის, ზოგი — ჭიანჭამ ლოლნოშოსა. აგერ, ილოას ბიჭი ურმით ხილს ეზიდება! გამაძლარი და ჩატუქნული ბურვაკები ეზოში გაფანტულ დამპალ ვაშლებს ხრუტუნით დამპროწიალებენ და ხარბად მტლანა-მტლუნში გააქვთ. ძირ-ნაყარი ვაშლი ქვევრებში საარაყუდა მზადდება. ჩარეკა ხრაკიანს არაყს მერე ბრუცი-

ანს მამასისხლად მიჰყიდინან; დედაკაცებს ბანებზე ჩირები გამოუყენებთ და ჩურჩხელეობა გამოუკიდიათ. ნერწყვ-მორეული ბრუციანა-კი შოჭრად წაშურებოდა თვალთ შესცქერის და გულს ბოლმა აწვება, სისხლი ემღვრევა და გულს მჭრდება ცაცა მაჭარასაც ბელღები და საკუქნაოები წლის მოსავლით ევსება. აგერ, კუთხეში ძროხა უწველის, მსუქანი ნოყიერი, სურნელოვანი, თბილი რძე ქვაბში ჩასჩხრიდლებს, ჯინზე აპურით გაბმული ხბო დედას შეჭბლავის. წერილი კისერი წაუგრძელებია და რძით სავსე ცურებს ეტანება. ბრუციანის გაფხვილ ეზოში-კი ორი სამი გაქუცული დედალი დაფრუტუნებს და შიმშილით სინსილა გაწყვეტილი, გაქეციანებული ბებერი ქოფაკი ქალებ დამტრეული ურმის ჩრდილოში უგებურად იზმორება. სახლშიც აბეზარი მაგდანა ბუზლუნობს, მეზი-კი დაგაყარე მაგ ჩერჩეტ თავში, შე ღრჯოლავ, შენა! შე უშნო, უშნოს ნაშობო, შენა, დოკლავიასავით პირი დაგილია. თვლები გადმოვიბღენძია და ხახა გამშრალი სხვების დოვლათს გლახასავით შექქენავი! აბა, უყურე, ილღამ თავის ცოლს როგორი ქიშმირის კაბა მოუტანა, თეძოვ ჩამტრეულმა დიმიტრამაც თავისი ცოლი პატარძალსავით მორთო, მე-კი ქვეყნის ტინგიცად გადამაქციე, კაბა ზედ შემომეცვითა, ძონძებში დავდივარ, სირცხელით თავი გარედ ვერ გამომიქცია! აგერ, ილოას რთველი გაუმართავს! კაკლის ქვეშ ციკანი იხარმება, თონეში თავთუხის პური ცხვება... ბრუციანს-კი თავში ურახუნებენ... უტყაპუნებენ...

— ვინა ხარ, ეი, მუღრეგო, თავ-პირს რომ მისისხლიანებ?—წამოიხვენეშა ბრუციანმა ლოგინში და გვერდი იბრუნა.

დასცინიან... იმათ ვენახები წამოიჭრავს... ბრუციანს-კი ერთი კუბხალი ყურძენი-კი არა აქვს, რომ პირი გაისველოს... ხახა გაუშრა...

— წყალი, წყალი, დამალეინეთ!—შეჰყვირა ბრუციანმა და ბორგვა დაიწყო.

თამრიკო კუთხიდან წამოიჭრა და ბიძას წყალი მიაწოდა.

ბრუციანმა ლიტრა მოიყუდა.

— ეს რა არის? წითელი მოიტა... წითელი... კახური საფერავი!—წამოიძახა ბრუციანმა, ლიტრა მოიქნია, მიწაზე დაანარცხა და ხენეშით ისევ ლოგინზე გაიშოტა.

კაკლის ქვეშ ციცილი დაუნთიათ, დიდი ქვაბი დაუღვამთ, გატყავებული ციკანი თავდაყირა ჩაუყირავებიათ... დაბე, ფებები რა სასაცილოდ ამოუყვია. ხი, ხი, ხიი! ჭინკებსავით შემოშხვევიან და ბტუნაობენ... დაბე, დაბე, მაჭარას ბიჭი ქვაბში მიძვრება!.. ბიჭო, რასა შვრება!.. თხის წვენი ქუქუალაობს!.. გადმოაბრუნა!.. ქვაბი გადმოაბრუნა!.. ერიჰაია!.. დაიღვარა!.. რამოდენა წვენი დაიღვარა!.. ჩქარა, ბიჭო, თორემ ვახები თხის წვენმა წალეკა!..

— ეგრე გინდა, შე ბებერო მელა, შენა!—გესლიანად წამოიძახა ბრუციანმა და სახეზე სიამოვნებისა და კმაყოფილების ღიმილმა გადურბინა

დედა აუტირღება ყველასა, მოიცადონ! აგერა, ალიკოტე! მაგ ნადირებს რა ესმით, ალიკოტე რომ არის, მარგალიტოვით ყურძენია! აგერა, რქა-წითელი... კახური საფერავი... შასლა... ვენაცვალე ჯიგრიან ფესკებშა... მტყვანი...

ყურბის მტევანი... ჩემ ნაფუხარშია მოწყვეტილი... რაო? თბლის ნაფუხარიო? რას მიეღებ-მოედება ეს ღიბ-გაცივებული საქუა?

— მიქპარავ!—წამოიძახა უცებ ბრუციანმა, ელდა ნაკრავიდან რომინიდან წამოიქრა და თავისი შეშლილი სახე კუთხეს მიაშტერა.—ჩემ ნაფუხარშია მოწყვეტილი, გესმის, ჩემ ნაფუხარშია-მეთქი მოწყვეტილი, შე გველის წიწილო, შენა! სად ჯანდაბაში ხარ?

პასუხი არავინ გასცა. ოთახი ცარიელი იყო. ბრუციანმა ქუქყიანი, ბანჯღვლიანი ფეხები ტახტზე გადმოჰკიდა, წამოდგა, ამღვრეული თვალები აქეთ-იქით მიაცუც-მოაცუცა, უცებ თავბრუ დაეხეა, წაბარბაცდა, გვერდ-გვერდზე წავიდა, კედელს დაეჯახა და კარებში ჩაიჩხა.

— ნაფუხარი ჩემია... შე გველის წიწილო, შენა!—უქანასკენლად ამოიძახა მიწაზე გაშხლართულმა ბრუციანმა და ხვრინვა ამოუშვა.

* * *

— რა ვქნა, ვინ არის აქა? თამრიკო, ქალო, შენა ხარ?—წამოიძახა გაცვირვებულმა ბაკონამ, ხარებს საჩქაროდ ბალახი მიუყარ-მოუყარა, გომურიდან გამოძვრა და ლობესთან ატუხულ თამრიკოსთან მივიდა. რას აკეთებ აქა ამ შუა-ღამისას, ქალო?

— მთვრალია, მეშინიან!—ჩურჩულით უპასუხა თამრიკომ და ლობეს უფრო მაგრა მიეკრა.

ბაკონამ შუბლი შეიკმუნხა.

— მაინც თავისას არ იშლის, ვანა, ეგ ნამუს გაწყვეტილი, ეგა?

— ისეთი მთრვალი მოვიდა, ბაკონ! ამნაირი მთვრალი არასოდეს არ მინახავს! სულ იბღვირებოდა, ყვიროდა, ლიტრა მიწაზე დაანარცხა... მერე ძალუცა შინ არ არის... ისე შემეშინდა... ყელში...

თამრიკოს რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და გაჩუმდა.

— ჩვენსა გადმოდი, თამრიკო! მანდ რა უნდა აკეთო?

თამრიკომ ბაკონას გაოცებით შეხედა, თითქოს რალაც უცნაური რამ გაიგონაო, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, გაიღიმა და ბაკონასთან ეზოში გადავიდა.

ბაკონა ურშის უბზე ჩამოჯდა, ხელში პატარა წკებლა დაიჭირა და წნეღის გრება დაიწყო. თამრიკო თავს ადგა.

— მოდი, დაჯექი!—ჩუმის ხმით უთხრა ბაკონამ, თამრიკოს ხელი დაუჭირა და გვერდით დაისვა.

პატარა ხელის სითბომ შეაერეოდა, რალაც უცნაურმა თბილმა გრძობამ ტალკვესსავით დაჰკრა და მთელს სხეულში დაურბინა.

ბაკონას მღელვარება თითქოს თამრიკოსაც გადაედო. განაბული იჯდა და თავისი ქუთუნა თვალებით ბაკონას მორცხვად უცქეროდა.

— დღეს დაბრუნდი?—შეეცითბა ცოტა ხნის შემდეგ თამრიკო და ბაკონასკენ მიბრუნდა—კანკორა როგორ არის?

— საავადმყოფოში დააწვინეს! სულ დიდი ექიმი რომელიც იყო, იმან გასინჯა და აბულაცია გაუკეთა. ძალიან დაგვიამედა, მალე მორჩებაო და რა ვიცი! ი მთიულის ნალაპარაკები მართალი გამოდგა. შიგნეულობა დაზიანებული არა

ჰქონია. გული მაგარი აქვს, ავადმყოფობას ადვილად გადაიტანსო. ეს არის, თვალი დაჰკარგა საცოდავმა, ბუდიანად ამოუთხრია რალაცასა. მარცხენა ხელიც ძალიან დაშავებული ჰქონია; მოურჩება, მაგრამ მძიმე საქმიანობის უფრო გამოდგება. ეჰ! ოღონდ—კი შშვიდობიანად მორჩეს და რა ვუყონ? როგორღე გავიტანთ!—ამოიოხრა ბაკონამ და ჩაფიქრდა.

თამრიკო დაღონდა. უზარ-მაზარი, მზარბეჭიანი და ახმახი კანკორა თამრიკოს უყვარდა, უყვარდა იმისი ტკბილი, დინჯი ლაპარაკი, ალერსიანი გამოხედვა და რალაც შინაგანი გრძნობით გამთბარი მოპყრობა.

— რას დაღონდი, თამრიკო?—გაბზარული ხმით ჩაეყითხა ბაკონა, ხელი დაუჭირა და ქალის ტიტველი მკლავი თავისკენ მიიზიდა.

— მეცოდება!—მოკლედ უპასუხა თამრიკომ და აიღეწა.

— იმ დღეს რომ დაგიძახე, რატომ არ მოხვედი!—მოაგონდა უცებ ბაკონას და წარბები შეიკრა.

— როდისა?—გაიოცა თამრიკომ და თავისი ერთბაშად აცქრიალებული თვალები ბაკონას მიანათა.

— აი, კალოზე რომ ვიყავით! ვითომ არ გახსოვს! მაქარას ბიჭი რომ აგეტორლილა, არც ის გახსოვს, განა?—ეჭვიანად დაღუმატა ბაკონამ და თამრიკოს შეხედა.

— ფუჰ! ქათმის ქორდი!—ტუჩი აიბზიკა თამრიკომ და ბაკონას მკლავი გამოჰგლიჯა.

— ახლა რა გარე-გარე იწევ შენცა!—საყვედურით უთხრა ბაკონამ და ქალის ტიტველ მკლავს თვალი გააყოლა.

— აჰა!—კეკლუცად უპასუხა თამრიკომ, მორცხვად თავი დაღუნა და ბაკონას მყერდს მიეკრა...

15

მ ბ რ მ ბ ი.

ქაიხოსრო შავგულიძე რამდენიმე დღე გარედ აღარ გამოდიოდა. მშობლიური ცის ჰორიზონტი როგორღაც მრისხანედ იღრუბლებოდა და ქუხილი აღარც ისე შორიდან ისმოდა. კაბინეტში განმარტოებულ ქაიხოსროს ხშირად აგონდებოდა მინისტრის ოპტიმისტური და თავმომწონე სიტყვები და ეს მოგონება მის გამხდარსა და ჩალურჯებულ ტუჩებზე მწარე ღიმილს იწვევდა. ქაიხოსრო დარწმუნებული იყო, რომ აქედან, მიყრუებული სოფლის ჯურღმულიდან უფრო სწორედ ერკვეოდა მდგომარეობაში, ვიდრე პოლიტიკურ ქარ-ტეხილში ჩამბული ოფიციალური მთავრობა. „ფართო ჰორიზონტმა“ თითქოს ბისტი გადააფარა მართველთა თვალებს და მხედველობის უნარი დაუკარგა.

ქაიხოსრო შავგულიძე იღუზიებით თავს აღარ ირთობდა. შუბლში ჩამძვრალი, ყინულივით ცივი თვალებით სივრცეს გასცქეროდა და ამ სივრცეში ნათლად ხედავდა მოახლოებული აღსასრულის დასაწყისს.

წრე თანდათან ვიწროვდებოდა.

აქაც, შიგნით, თავის საკუთარ სახლში, თურმე, ღალატე ბუდობდა. დის-წულის გაბოლშევიება რალაც უცნაურ, გაუგებარ ანომალიად მიიჩნეოდა. მწიფი სიმშატედ, რომლის დასაწყისსაც ქაიხოსრო საზოგადოდ ქართველის ბუნების გადაგვარებასა და გადაშენებაში ეძებდა.

სოფელიც ბოლო ხანებში ამრეზილად და გულჩათხრობილად გამოიყურებოდა. ქაიხოსროს გლეხების თვალეში ხშირად ამოუკითხავს რალაც იდუმალი, ფარული მოუსვენრობა, რალაც გულში ღრმად ჩამალული შფოთვა და მოლოდინი. ზოგი ბოლო დროს სრულიად ჩამოშორდა, უფრო დაახლოვებულებსაც რალაც ორკოფობა შეამჩნია, ხშირად თვალს არიდებდნენ და ძველებური ხალისით აღარ უტრიალებდნენ ქაიხოსროს დოვლათიანს საკუქნაოებს.

ქაიხოსრომ ისევ განმარტოვებულად იგრძნო თავი, ისეთსავე განაპირებულ ადამიანად, როგორც სოფელში მოსვლის პირველ დღეს, როცა თავის მამა-პაპულ დანგრეულ სახლს ბოლმა მორეული შესცქეროდა...

ქაიხოსრომ შეამჩნია, რომ სოფელები ერიდებოდნენ და თითონაც თავი მოაჩიდა. უფრო ხშირად განმარტოებული იჯდა თავის კაბინეტში და ძველს წიგნებსა ჭურჭლავდა ან მარანში რაიმე ჩიხო-მახო საქმეს აკეთებდა.

აზიტომ ქაიხოსროს აუც-კი ესიამოვნა, როცა ერთს საღამოს მისი განმარტოვებული მუდროება დაარღვიეს და ეზოდან გამოეხმაურნენ.

— ნათლი, შინა ბრძანდები? — მოუსმა ვილაყის ხმა.

ქაიხოსრო ზღაზნით წამოღვდა, მხარზე ტყავის ქურჭი მოიგდო და აივანზე გავიდა.

ქვევიდან ქაიხოსროს თავისი ცალი თვალთ ბრუციანი შემოსცქნაოდა.

— რა იყო, ბრუციანო? — გადასძახა აივნიდან ქაიხოსრომ.

— ცოტა რამ მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან! თუ არ დაიხარებ, ერთი კარები გაშიღე, აგრემც გაიხარებს ცხონებული მამაშენის სული! მე, ნათლია ჩემო, აი იმ საქმეზე გეახელით, მაშინ რომ მითხარით! — დაიწყო ბრუციანმა, ქული მოიხადა და გვერდით დაიდო.

— არ ვიცი, რა საქმეზე მეუბნები! — და ქაიხოსრომ თვალეში მოკუტა.

— აი ვენახის თაობაზე!..

— ეშხზე მოხვედი? გინდა გააშენო?

— დიახ, გვინდა, თუ შენი წყალობაც იქნება! იმ დღეს დამპირდი, ოღონდ კი შენ მოინდომე, ჩემო ბრუციანოვო და დანარჩენი ჩემს კისერზე იყოსო. ე, შემოდგომაც მოილია. სამუსაო ბევრი აღარაფერი დარჩა. თუ საქმე საქმეზე მივა, ნელ-ნელა ამ თავითვე შეუდგები და ძეძვის კრას დავიწყებ, როგორც მაშინ შენ თვითონ მიბრძანე, შენი ჭირიმე! მერე ტყეშიც წავალ და როგორმე ასიოდე მარგილს მოვკრი. ნელ-ნელა მიწის გადამრუნებასაც დავიწყებ. ერთი სიტყვით, მოწადინებული ძალიანა ვარ და თუ დამეხმარები, სწორედ სამადლო საქმეს იზამ. ეთი იმ ილოასი და იმათი ბიჭების ჯავრი ამომყარე, ნათლია ჩემო, ერთი კოხტა ვენახი გადამაქიმინე ი ნაფუზარში და მერე თუნდაც ყმად დამიყენე!.. ჰო, ღმერთმანი! — რიხიანად დაუმატა ბრუციანმა და თვალეში ხარბად გააცეცა.

— რას ჩაფიქრდი, ნათლი? ხომ არ გადაიხალისე? — ძლივს წამოიღუღღუღლა შეშინებულმა ბრუციანმა.

— კარგი, გავაკეთოთ! — მოკლედ მოუჭრა ქაიხოსრომ, კანონქვეშა ვაჭარა და, საწერ-კალამი გამოიტანა და წერა დააწყო. — აი, ბრუციანო! ამ მწიგნობარს ქაიხოსრო, როცა წერა გაათავა. — ეს პირობის ქაღალდია. აქა სწერია, რომ შენს ნათესავარში ვენახის გაშენებას ვკისრულობ.

— ჰო, შენ კი გენაცვალე, შენა! — ჩაურთო სიტყვა ბრუციანმა და ყური მოიმარჯვა.

— შემოღობვა და გადაბრუნება შენი ვალია, დანარჩენი — ჩემი! ვენახი ერთი წლის შემდეგ სრულიად გამართული უნდა ჩაგაბარო. მოსავლის ნახევარი უსასყიდლოდ უნდა მაძლიო, სანამ მთელს ვალა არ გადასწყვეტავ. გასამჯელოდ და სარგებლად ორას თუმანს ვიღებ. მოსავალი არჩეულმა კაცებმა აქაური მახანდის მიხედვით უნდა შეაფასონ. თუ პირობა დავარღვიე და ვენახი ვადაზე არ ჩაგაბარე, ან უხეირო ვაზი გამოდგა, მთელი ნაკეთობა უსასყიდლოდ შენა გრჩება და პირობაც ირღვევა; თუ პირობას შენ დაარღვევ, მაშინ მთელი ვენახი უსასყიდლოდ მე უნდა დამრჩეს. ყაბული ხარ? — შეეკითხა ქაიხოსრო და ქაღალდი გაუწოდა.

ბრუციანმა დაწერილი ქაღალდი ჩამოართვა, დახედა, ხელში აატრიალ — ჩაატრიალა და ჩაფიქრდა. ქაიხოსროს სიტყვები აზროვნებასა და სწრაფ მოსაზრებას უჩვეულ ბრუციანს თავში დომბალივით აერია. დაწერილ ქაღალდს უმწეოდ დასტკეროდა და ცდილობდა თავისი მოკლე ჭკუით საჯინჯლო რამე გამოედებნა.

— ნახევარი შემოსავალი ვითომ ბევრი არ იქნება, ნათლი? — ყოყმანით წარმოსთქვა ბრუციანმა და კისერი მოიფხანა.

— შენ ვენახის გაკეთება არა გდომებია, ბიძია! მოიტა! — ცივად უპასუხა ქაიხოსრომ და ქაღალდს ხელი წააგლო.

— ეჰ, კარგი, ნათლი! რა მალე იცი ხოლმე გაჯავრება! — საცოდავად დაიღრიჭა ბრუციანი.

— მაშ ხელი მოაწერე! — მოუთმენლად უთბრა ქაიხოსრომ და კალმის ტარი მიაწოდა. — დაჯექი!

ბრუციანი მაგიდას მიუჯდა.

— ეჰ, რაც არის, არის! ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! — წამოიძახა უცებ ბრუციანმა, პირ-ჯვარი გადაიწერა და აკანკალებული, წერას უჩვეული ხელით ქაღალდზე თავისი გვარისა და სახელის გამოაგინა დაიწყო.

— ე, ყველა კარგი, ნათლი! საჭმე გავაკეთეთ! ეხლა ამას... ცოტა მალარიჩი უნდა... ხე, ხე, ხეე! — ჩაიხითხითა ბრუციანმა და კისერზე წკიპურტი გაიკრა. — მართალია, ჩემი ვალია, მაგრამ... ღარიბი კაცის საჭმე ხომ მოგეხსენება?..

ქაიხოსრო შავფულიძეს სტუმარ-მასპინძლობა უყვარდა, მაგრამ დამცინკლავი ხალხი ეჯავრებოდა და ამიტომ ეხლაც ბრუციანს უკმებად მიუბრუნდა:

— მალარიჩი მაშინ იყოს, როცა საჭმე გაკეთდება.

— მაშ, ერთი ბოთლი არაყი მაინც მაჩუქე, ნათლი!

ჭაიხოსროს უკმაყოფილებამ სახე დაუღმიჭა, მაგრამ ბოლოს მაინც წამოდ-
გა და სასადილო ოთახიდან ერთი ბოთლი დაბეჭდილი არაყი გამოიტანა.

— აბა, წაიღე და მეორედ თხოვნა აღარ გაბედო! გლობა ხომ არა ხარ?
ღვინოცა და არაყიუ შენი საკუთარი უნდა გქონდეს. შენ ვგონია, ეს არაყი შექ-
თად არის მოსული? თქვენს შრომას თუ აფასებთ, სხვისი შრომის დაფასებაც
უნდა ისწავლოთ!— მიუბრუნდა გაბრაზებული ჭაიხოსრო და ზიზღით ბოთლი გა-
წყოდა.

— ოჰ, შენ—კი გენაცვალე! ოჰ, შენ კი გაიხარე!—წაიბღუყუნა ბრუციან-
მა და ბოთლი ფარაჯის ჯიბეში ჩაიღო.—შვიდობით ბრძანდებოდეთ, ნათლი!—
გამომშვიდობა ბრუციანი, ნაბდის ქუდი კეფაზე დაიღო და კარეზისკენ წავი-
და.—მართლა, ნათლი!—წამოიძახა უცებ ბრუციანმა და კარებში გაჩერდა.—კარ-
გია, ი მიწა გაგიმეტებია!—შემპარავი ღიმილით წამოიყრანტალა ბრუციანმა
და ეშმაკურად ათამამებული თვალი ჭაიხოსროს მიაკცია.

— რა მიწა?—გაიოცა ჭაიხოსრომ.

— ვენახის ბოლოს რომ არის, აი, ფერდის გადაღმა, ფშატების გასწვრივ
იმ დღეს ამბობდი ამ მიწაში საგაისოდ ნამყენი უნდა ჩავყაროვო და დღეს-კი
ჩვენი ბიჭები თოკითა ზომავენ.

— რაო?—წამოიძახა უცებ ჭაიხოსრომ და გადატორდა.

— განა, არ იცოდი, ნათლი? მე-კი მეგონა, იქნება აღარ სჭირდება, მიპ-
ყიდა ან აჩუქა—მეთქი. ერთი ხელობა შეწყინა კიდევცა, ნათლიამ ხომ იცის,
როგორი გაკირავებული ვარ და რატომ არ გამომეხმეაურა, იქნება მეც რამე
მრავებოდა—მეთქი! მაშ, შენს დაუკოთხავად შესულან? აბა, გადაიხედე, ბიჭები
ებლაც იქა ტრიალებენ!

ჭაიხოსრო საჩქაროდ წამოდგა და პიჯაკი ჩაიკცა.

— მიწას იყოფენ? კარგი ამბავია! ნაოხარი ჰგონიათ, თუ როგორ არის
მაგათი საქმე?—ჩაილაპარაკა ჭაიხოსრომ ტუჩებში და კედლიდან მათრახი ჩამო-
იღო.—აბა, კარები უნდა გამოგვეტო, ბრუციანო!—მიუბრუნდა ჭაიხოსრო ბრუ-
ციანს, რომელმაც მათრახს მოუსვენრად თვალი გადაავლო, როგორღაც ატოკ-
და და ბოლოს ჭაიხოსროს მიუბრუნდა:

— ნათლი!

— რა იყო?

— ყაჩაღანა, თავზე ხელ-ადებული ხალხია და ცოტა გაუფრთხილდი, რამე
უჯიათობა არ მოგაყენონ!

— ნუ გეშინიან!—მტკიცედ უპასუხა ჭაიხოსრომ და ფვალეები ბოროტი
ცეცხლით აენტო.

ბრუციანმა უკმაყოფილოდ თავი გაიქნ-გამოიქნია და ჭაიხოსროს უკან
გაპყვა.

ბიჭებმა ჭაიხოსრო შორიდანვე დაინახეს, ჩოჩქოლი შეექნათ და ხის ქვეშ
შეჯგუფდნენ.

ჭაიხოსრო შავგულიძე დინჯად მიუახლოვდა, შორი-ახლოს დადგა, მიწას
თვალი გადაავლო და ხესთან შეჯგუფულ ბიჭებს გასძახა:

— რას აკეთებთ აქა?

— რას ვაკეთებთ და მიწას ვიყობთ!— უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ ხალიკომ.

ქაიხოსროს ტუჩებში ჩაეცინა.

— შერე, არ გეშინიათ, ჩხუბი მოგივიდეთ?

— არხეინად იყავი, მოვრიგდებით!— დაცინებით უპასუხა წივილიანთ ტატემ, რომელსაც პატარა თოკი მხარზე გადაეგდო და თოკის წვევს ხელში ატრიალებდა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე, მხესიერება თუ არა მალატობს, თითქოს ამ მიწის პატრონად ვითვლები? გარდა ამისა, საკუთრებაც ჯერ თითქოს არავის მოუსპია! თუ, ბაკონ, შენ უკვე შენს კანონებს აწესებ აქა?— მიუბრუნდა ერთბაშად ქაიხოსრო ბაკონას, რომელიც ნერგს მიჰყუდებოდა და დაღრემილი გამოიყურებოდა.

— რომელ კანონებზე მელაპარაკები?— უკმები კილოთი შეეკითხა. ბაკონა— შენ რომ ზერები გაქვს გადაჭიმული და ამით— კი ბარის დასარტყმელი ადგილიც არ გააჩნიათ, ეს კანონია? შენ მარტოხელა კაცს ამოდენა მამული გეპიროს და ამათ-კი ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებოდეს? ესეც კანონია?

— შერე, რომ შიმშილით იხოცებიან? საცა ქვეყანაზე მშვიერი კაცი დადის, ყველას ხომ მე ვერ გავაძღობ? ისრომე, უნარი გამოიჩინე, მიტრიალდ-მოტრიალდი, თვალი გაახილე, ისწავლე ქვეყანა როგორა სცხოვრობს და შენც მშვიერი აღარ ივლი; თორემ ჩემს ენაზებსა და მიწებს რომ ეპოტინებით, ეგ არ ვაკვივთ! ხუმრობის გუნებაზე არა ვარ და მაგ თავხედობასა და კანდიერებას ადვილად არ შეგარჩენთ.

— იმუქრები კიდევ?— წამოიძახა ბაკონამ და თვალები ცეცხლით აენთო.

— თავი გაანებე, რა ბევრს ელაპარაკები! ამათ ხელში ვის გაუბარია, რომ ჩვენ გავიბაროთ?— ჩაურთო სიტყვა არჯეენიანთ სანდრომ.

— აბა, აიბარგეთ!— უცბათ მკვახედ მოუჭრა სიტყვა ქაიხოსრომ, შუბლის ძარღვები დაეჭ-მა, ტუჩები ჩაულურჯდა და თავისი ცივი თვალებით ჯველ ბიჭებს ცელივით შემოურბინა.

— ტუთილად ჭრეები, ვაჟ-ბატონო! მალე შენ თითონ აიბარგები აქედან!— გესლიანად გამოსძახა ბაკონამ და ჩაიცინა.

— დაიკარგე, შე წუწყო, შენა!— ზიზლით უპასუხა ქაიხოსრომ.

— წუწყიცა ხარ და წუწყის შვილიცა, შე მკვდარ-აძალღებულო, შენა!— შეუუყვია ბაკონამ და თვალები გადმოუბრიალა.

ქაიხოსრო გადაფითრდა.

მის საშინელ მღელვარებას და სულის შინაგან ბორგვას არაფერი ამელავნებდა, გარდა სახეზე გადაკრული სიყვითლისა.

ქაიხოსრო დინჯად ბაკონასკენ გაემართა, უკებ მათრახი მოუჭნია და სახეში გააწნა.

ბაკონა სიმწარით მოიკაჟა, ხელები სახეზე მიიფარა. გახლჩილი ლოყიდან სისხლი თქრივლით წამოუვიდა.

— პაი, შე არამზადაე, შენა!— შეჰყვია ბაკონამ და ქაიხოსროსკენ გაიწია.

— ფეხი არ გადმოდგა, თორემ სულს გაგიფრთხობ! — ცივად ყრუდ და მტკიცედ წარმოსთქვა ქაიხოსრომ და მის ხელში ბრაუნინგმა გაიბრტყვირა.

— მაშ... ეგრე... დამარტყი... ქაიხოსრო, განა? — ყელში შემავიწროვებ კოლმით ძლიერ ამოილაპარაკა ბაქონამ, მუშტები შეეკუმშა და უილაჯოდ კბილები-ღა გააქრაქუნა.

— დავარტყი! — ცივად უპასუხა ქაიხოსრომ და ბრაუნინგი დინჯად პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო.

* * *

ბრუციანი სახლში ისევ მთვრალი დაბრუნდა. მისი ღრიალი და ჩაბრინწიანებულ სიმღერა მაგდანამ შორიდანვე გაიგონა.

— კიდევ მთვრალი მოეთრევა ის უბედური, ისა! — წაიბუზღუნა მაგდანამ და გზას გახედა.

— მაგდან! შენ-კი გენაცვალე მაგ წერწეტა ტანში, შენა! — შეჰყვირა ბრუციანმა, რა წამს ოთახში შევიდა და ცოლი დაინახა.

— მეხი-კი დავაყარე, მეხი! — ქოქოლა მიაყარა მაგდანამ და გაიღიმა. — სად ჯანდაბაში და დოზანაში ვათხლეშობარ? ვინ ოხერია, იმდენი გადასალვრელი არაყი ვისა აქვს, რომ შენ გალევინებს?

— რომ იცოდე, მაგდან, რა საქმე გავაკეთე, რა საქმე! დამაცადონ ილოამა და იმის ლაწირაკმა ბიჭებმა! ცხვირ-წინ ისეთი ვენახი წამოუტყიშო, * შურით შეაზე გასკდნენ! როგორი ბიჭი ვარ? — ამაყად წამოიძახა ბრუციანმა, დონჯი შემოიყარა, ქუდი კეფაზე მოიგდო და ცოლს თვალი ჩაუჯრა.

მაგდანამ თავის ვალეშილ ქმარს უნდობლად შეხედა და ტრაბახი უფრო არყის ძალას მიაწერა.

— რა გაშტერებული მიცქერი? არა გჯერა? მაშ, მოიცადე! — ბრუციანმა ხელი უბეში ჩაიდო, დიდის ამბით პირობის ქალაღი ამოიღო და მოწიწებით ცოლს გაუწოდა. — იცი, ეს რა არის, მაგდან? ვენახია. ხე, ხე, ხეეე!.. ალიკოტე... შასლა... კახური საფრაფი... რქა-წითელი... ვერა ხედავ, ციბრუტცივითა ხტუნაობენ? აბა, უყურე კარგად დახედე! ვერა ხედავ? ხე, ხე, ხეეე! აი ალიკოტე... ხი, ხი, ხიი! აი, შასლა... ხე, ხე, ხეეე! — არგულად ისროდა სიტყვებს ბრუციანი და მივლი თავისი სხეულით ცახცახებდა.

— ეს რა ქალაღია? — დაინტერესდა ბოლოს მაგდანაც და ბარათი ხელში აატრიალ-ჩაატრიალა.

— პირობის ქალაღი! — თავმომწონედ უპასუხა ბრუციანმა და წაბარბაცდა. — მე და ქაიხოსრომ დავედეთ! სამ წელიწადში ქაიხოსრომ გამართული ვენახი უნდა ჩამაბაროს. როგორია? ხე, ხე, ხეეე! — ისევ ჩაიხითხითა ბრუციანმა და უდიდესი სიამოვნებისა და კმაყოფილების ნიშნად ქექვა დიწყო.

— მე რე, სად აპირებ ვენახის გაშენებასა? — ცოტა არ იყოს გაოცებით შეეკითხა მაგდანა.

— სადა და აი იმ ჩემ ნაფუზარში!

— მეხი-კი დავათხლიშე მაგ გამოჩერჩეტებულ თავში! ჩემი ნაფუზარი! შენი შავი ქვა და ნაცარი ცხელია! — ტუჩი აუბზიკა მაგდანამ და პირობის ქალაღი თავში ახალა.

— რას მიჰქარავ, შე ძილლის შვილო, შენა? მაშ, ვისია?

— ხო, იარე ეგრე ვარე-ვარე! საცა არაყს შეხედე, შიგ ჩაიხრჩე და ცხვირ-წინ-კი რა ხდება, იმას ნუ დაინახავ! ნაფუზარი შენი აღარაფრის უკამოეთხოვე! იმას თავისი პატრონი გაუწნდა!

— რას მიჰქარავ? რა პატრონი? ვინ პატრონი?

— ვინა და ბაკონა!—მოკლედ მოუქრა მაგდანამ.

— ჰა? რაო? რა სთქვი? ვინა?—ძლივს წაილულულა ბრუციანმა, წაბარბაცდა და ცოლს ხელეში სწვდა.—რას ამბობს, დედაკაცო? ერთი... დალაგებით გამაგებინე! ვაი, თუ მართლა ვიღუპები!—წაიბურტყუნა ბრუციანმა, ხმა აუკანკალდა და თვალეში წყით აევსო. — რა იყო? რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ ბაკონასა და თამრიკოს საქმე გაუთავებიათ...

— სუ! ხმა! კრინტი!—წაიჩურჩულა გადაფითრებულმა ბრუციანმა და ცოლს ტუჩზე ხელი მიაფარა.

— ეხლა გინდა დაჩუმდი და გინდა ხმა ჩაიწყვიტე! საქმე გათავებული ჰქონიათ! მაშ, როგორ გეგონა? ე შენი მშვენიერი დისწული რომ გატრუყებულ დასყვეს ერკემალსავეთ დააძინებულბდა, მაშ, რა იქნებოდა? ი ბიჭი მიუცოცდა!

— ჰა? რაო? მიუცოცდაო?

— იმ ღამესაც რიყის პირას მიუსწვრიათ.

— სუ! დაჩუმდი-მეთქი! კრინტი აღარ დაძრა! სამარესავით დაღუმდი, თორემ აი, ამ ცულს ხომ ხედავ?—და ბრუციანმა კარებთან აყუდებულ ცულს ხელი წამოავლო.—ხომ ხედავ ამ ცულსა? თავა შუაზე გაგვიჩხავ და სულს გაგანრთხევენებ. გესმის? კრინტი აღარ დასძრა!—ამოიხვნეშა ბრუციანმა, ზარბაცით ტახტისკენ წავიდა და ლოგინზე პირქვე დაემხო.

სწორედ ამ დროს კარები გაიღო და ოთახში ფეხ-აკრეფით თამრიკო შევიდა.

ბრუციანი დაჭრილ ნადირსავით წამოიქრა და ამღვრეული თვალეში დისწულს მიაშტერა.

— ოჰ! შენა ხარ, თამრიკო? მოდი, გენაცვა, მოდი ჩემთანა!—რალაც უცნაური საზარელი კილოთი მიმართა ბრუციანმა.

თამრიკო გაოცდა. მაგდანას გადახედა, სახეზე მხიარულმა ღიმილმა გადაურბინა და ბიძას მიუახლოვდა.

ბრუციანმა დისწულს აღერსიანად თავზე ხელი გადაუსვა და მერე ცოლს შეუტია:—რა არის, დედაკაცო, არა გრცხვენთან? ამის მეტი ვინა გვეყავს, რომ ასე შიშველ-ტიტველი დაგვეყავს? ცოდო არ არის? მოზარდია! აბა, უყურე კაბა ზედ შემოფლეთია! სხვა რომ არ იყოს რა, მეზობლებისა მაინც უნდა შეგვერცხვეს. რას იტყვიან?

ბრუციანმა თავისი აკანკალებული ხელი უბეშა ჩაიღო, საიდანღაც დაჭმუკნული, დახეული და ჭუჭყიანი ქაღალდის ფული ამოიღო და ცოლს გაუწოდა.

— აჰა, დაიჭი, ხვალ ბაზარში ჩადი და კაი რამე საკაბე უყიდე, ზიზილ-პიპილებიანი კაბა!—მიუბრუნდა ბრუციანი გაოცებულ ცოლს.

მაგრამ გაოცებული მარტო მაგდანა არ იყო. არა ნაკლებ გაოცებული იყო თამარიკო, რომელიც ბიძას გაშტერებული შესცქეროდა და თავისი თავი სიზმარში ეგონა.

ქართული
ბიბლიოთეკა

ჩამოწოლილი ღაზბაღი.

მაკრინე თავისი ოთახის კარებთან პატარა, სამყურიან სკამზე იჯდა და ხელ მოტეხილ კანკორასა და ყბა ახვეულ ბაკონას დაღვრემილი გასცქეროდა. პირველი მწვავე ტყვილები თითქოს დაუყურდა და დედის გული ეხლა ჩუმმა და უფრო ხანგრძლივმა სევდამ მოიკეცა. მაკრინე თავის დასახიჩრებულ შვილს შორიდან დაღონებული გასცქეროდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

ბაკონა ღობის ძირას მიგორებულ ურემს უტრიალებდა და მართავდა: ულელი გაუყარა, ტაბიკებს აპეური გამოაბა, უბის თავზე კონკილა წნელით ჩამოჰკიდა, კამეჩის რქაში საპონი გათქვიფა, ურმის ქვეშ შეძვრა და ღერძი გასაპნა.

ჯობზე დაყრდნობილი კანკორა ძმას თავს ადგა და ზევიდან ნაღვლიანად დასცქეროდა.

— შენ მაინც გაუფრთხილდი შენ თავსა, ბიჭო!—რალაც განსაკუთრებული ნახი სიყვარულით მიუბრუნდა კანკორა ძმას და თავის ჩაჭყეტილ თვალზე, რომელსაც ხელ დანაოკებული ქუთუთოები გადაჰფარებოდა, ხელი მოისვა.

— გასაფრთხილებელი რა არის? ე, ძეძვიანებამდე არ უნდა ავიდე?—უბასუბა ბაკონამ და ურმიდან გამოძვრა.

— პატარა სერი რამ არის, იმის ვალმა ძალზე დახრამული გზაა, აქა-იქ მიწაც მორღვეულია და არ მოგატყუოს! ურემი კლდის ძირში გაატარე, თორემ, შეიძლება, ხრამში გადაიჩეხო,—არიგებდა კანკორა.—მაინც რამდენ ხანს აპირებ დარჩენასა?

— ენახოთ, როგორ წავა საქმე!—აირიდა კითხვა ბაკონამ და ურემი შეება.

ბაკონა სახლში შებრუნდა, ოთხი პური რალაც ძველ ტილოში გამოჰკრა, ფარაჯა მხარზე გადაიდო, კედლიდან ბერდანის თოფი ჩამოიღო, ჩახმახი გაუსინჯა და გასტენა. მალე ურემი უკვე სოფლის აღმართზე ტყისკენ მიიკლანებოდა და ბაკონა კოფოს თავზე ტყბილს ურმულს დაჰლილინებდა. სიმღერის წკრიალა ხმა კავეთურის ხეობაში ერთხელ კიდევ გაისმა და ურემიც მთას მოეფარა.

ჩაფიქრებული კანკორა მთაზე გველივით დაკლაკნულ გზას გასცქეროდა და თვალი არ მოუშორებია, სანამ ურემი ბუჩქნარში არ დაიმაღლა.

ოცი წელიწადი ბაკონას და კანკორას შამაც ამ გზით დადიოდა. თავის ბავშვობაში კანკორას ხშირად აი სწორედ ასე გაუყოლებია თვალი მდევრით ჩასხმულ, მხარ-ბეჭიან და მუდამ ჩაფიქრებულ შამისთვის, რომელმაც თავისი სიცოცხლის ნახევარი ტყეში გაატარა.

კანკონა პატარა იყო, მაგრამ მაინც კარგად ხედავდა, როგორ გაუბრწყინდებოდა ხოლმე მამას თვალები, როდესაც ტყესა და ტყის ცხენებზე ჩამოაგდებდა ლაპარაკსა. სხვა დროს მოღუშული, გულ-ჩათხრობილი და სიტყვა-ტუნწი ადამიანი ერთბაშად იცვლებოდა, წელში იმართებოდა, თვალები ნაკვერჩხალსავით უღვივდებოდა და თავისი რიზიანი, ხვერდვით რბილი ხმით ხან უხარმაზარი მთის მწვერვალებს სიღიადებე ლაპარაკობდა, ხან უღრანი ტყის სიღამაზე, ხან ბნელი ავდრიანი ღამეების ჭექა-ქუხილსა და აქაფებული კავთურის ველურ ღრინაცვლებზე. კანკორა მამას სულ-განაბული უსმენდა და მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც ისიც, მამის მზგავსად, ურმის კოფოს მოახტებოდა და საიდუმლოებით სავსე ტყისკენ გაემართებოდა.

ეს სანატრელი დღეც დადგა. შემოდგომის ერთს ენეღლიან საღამოს, მამა კანკორას მიუბრუნდა და დიდის ამბით, თითქოს შვილს საქორწილოდ ამზადებსო, გამოუტყბადა:

— აბა, კანკორ, მოემზადე, ამაღამ ტყეში მივდივართ!

— კარგი, კაცო, რა დროს ამის ტყეში სიარულია? — შეუტია ცოლმა.

— რაღა უდროსია? ვერა ხედავ, საქორწილო შვილი მოგესწრო? — გაეხუმრა ქმარი და სამზადისს შეუდგა.

მაკრინე მთელი საღამო ბუზღუნებდა, მაგრამ მამამ თავისი სიტყვა აღარ გადასთქვა და, როცა წასასვლელად ყველაფერი გაამზადა, კანკორა კოფოზე შესვა, ხელში სახრე მისცა და უბრძანა:

— აბა, გარევე!

კანკორამაც ხარებს ხალისიანად სახრე გადაუტყლაშუნა და ურემი აღმართს შეუყენა. ოცი წელიწადი დადიოდა ამ აღმართით კანკორას მამა, დადიოდა იმ დრომდე, სანამ დაგორებულმა ტივის ხემ არ დაიტანა და არ გასქყლიტა. ტყეში სიარული ეხლა კანკორამ დაიწყო და ისიც თავ-კავთის მწვერვალებმა იმსხვერპლეს. აი, სდგას თვალ-გამოთხრილი, ხელმოწყვეტილი ტუჩ-გახეთქილი და სახე შეშლილი კანკორა. ოდესღაც ძალ-ღონით სავსე, თავ-მოშწონე და ამჟამი ვაეკაცი უსარგებლო ძინძავითა გდია ღობის ძირას და ლუქმა პურისთვის თავის უნკროსს ძმას ხელებში შესცქერის. და აი, შემოდგომის ისეთსავე ენეღლიან საღამოს, როცა კანკორამ გულის ძაგძავით ურემი პირველად აღმართზე აიყვანა, ბაკონაც ამ გზას დაადგა და მამაპაპეული ურემი ღიღინით ჯაგებში შეაგდო...

კანკორამ ამოიოხრა, გამობრუნდა, კოკლობით სახლისკენ გაემართა და დიდის გვერდით დიდს ლოდზე ჩამოჯდა.

— შვილო! — მიუბრუნდა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მაკრინე და შუბლი შეიკრა. — რას ამბობს ეგ ბიჭი? რას აპირებს?

კანკორას სახეზე მწუხარებამ გადაურბინა.

— რა ჭქანს, დედიჯან? ჩვენი ეხათრება, თორემ ისე საქმე გათავებული ჭქონია! გუშინ დიდ-ხანს ველაპარაკე.

— უთხარი, შვილო, რომ საქმის ასე დატოვება არ ვარგა. ცოდოა ბაე-შვი! იმ დღესაც დედაკაცები რაღაცას მიედებ-მოედებოდნენ. თუ საცოლოდ უნდა, ბარემ გადმოიყვანოს, რაღას უცდის?



— ეჰ, დედაჩემო!—ამოიოხრა კანკორამ და გაჩუმდა.

— რა ვქნათ, შვილო, სიღარიბით ამ საქმეს ვერ ელაპარაკებოდა. მაკრინემ, თითქოს შვილის აზრს მიუხვდაო.—ჩვენზე გაკვირვებულენი არიან, მაგრამ სასოვბას მაინც არა ჰქარგავენ. თამრიკო ჭკვიანი, შრომის მოყვარე, მეოჯახე გოგონაა! როგორც იქნება, გაიტანენ.—დააყოლა მაკრინემ და შვილს შეხედა.

— ქალი კარგია, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! მერე, ხედავ, ამ ბრუციანმა კეხი როგორ შეუბრუნა? აღარცა სცემს, აღარც უჯავრდება! იმ დღეს საკაბე უყიდა, გულსინ ჩულქებსა და ფეხსაცმელებში გამოაწყო. ალბათ გაგებულნი აქვს რამე და აქედან შორიდებას აპირებს! იმისი აზრი ვიცი, ბაკონა დასანახავად ეჯავრება და თავის დისწულს მიათხოვებს?

— მერე, ეს ქაიხოსროსა და ბაკონას გადაკიდებაც მაწუხებს, შვილო!—ამოიოხრა მაკრინემ და შვილს გადახედა.—ქაიხოსრო ჯიუტი კაცია და ბაკონასაც, ზომ იცი რანაირი, ჯიქი ხასიათი აქვს? უკანასკნელ ხანში ეს ბიჭი როგორღაც ამრეზილი, გულ-ჩათხრობილი და უგემური დადის! როგორმე საქმე მალე უნდა მოგაგვაროთ, იქნება ი გოგოსთან მაინც გადაიყაროს ცოტა-ხანს გული! კარგს იზამ, შვილო, თუ ბრუციანს მოელაპარაკები. აბა, ერთი სიტყვა ჩამოუგდე! გაიგე, რა უდევს გუნებაში.

— დედა-ჩემო! მარტო ბაკონა და ქაიხოსრო არ არიან გადაკიდებულნი. სოფელს წყალი შეუდგა. ერთმანეთს მგლებსავით უტკერიან. როგორღაც შავი ღრუბელი ჩამოწვა და, ალბათ, მალე სადმე მეხი გავარდება. ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს, დედა-ჩემო!—ყრუდ წარმოსთქვა კანკორამ და თავისი თვალი სივრცეს მიაშტერა.

მაკრინემ შვილს მოუსვენრად გადახედა და ტურები აუკანკალდა.

— ნუ, შვილო, სისხლი ნუ იქნება!

— რას იზამ, დედა-ჩემო! ცხოვრება თავისი გზით მიდის და მე და შენ მის წაღმა დატრიალებას ვერ შევძლებთ! რაც მოსახდენია, ალბათ, უნდა მოხდეს!—უპასუხა კანკორამ და ჩაფიქრდა.

— აგერა, შვილო, ბრუციანიც სახლში ბრუნდება, იღბალზე ფხიზელიც არის! ბაკონაც ტყეშია. კარგი დროა, წადი, მოელაპარაკე!—მიუბრუნდა უცებ მაკრინე შვილს.

კანკორამ გზას გახედა, ნელა წამოდგა და ბრუციანისკენ გაემართა.

— ბრუციანო, ჰა, ბრუციანო! აბა, პატარა წოიციადე, ცოტა რამ სათქმელი მაქვს!—გასძახა კანკორამ და ეზოდან გავიდა.

ბრუციანი შეჩერდა და იქვე ღობის ძირას ქვაზე ჩამოჯდა.

— გამარჯობა, ბრუციანო!—მიესალმა კანკორა და გვერდით მოუჯდა.—ეხლა ორი ბრუციანი ვართ, გულს აღარ დაგაკლდება!—რაღაც გულის სიღრმიდან ამოსცნილი სევდით ჩაილაპარაკა კანკორამ და ჩაქუციტილ თვალებზე ხელი მოისვა.

— ვაე-კაცი ბრუციანობით არ დაიწუნება, ჩემო კანკო! შენ ბეგრს ორთვალისა სჯობიხარ!—ანუგეშა ბრუციანმა და გულში თითქოს თანაგრძნობის თბილმა გრძნობამ გაურბინა.

— ეხლა, ბრუციანო, ამ ჩვენ ჯეელებზე რომ რაღაც ხმები ჯადის, როგორ მოვიქცეთ?—დაიწყო პირდაპირ კანკორამ და ბრუციანს კუფელუღუფელში გაუყარა.

— რომელ ჯეელებზე?

— თამრიკოსა და ბაკონაზე.

ბრუციანი ქვაზე შეტორტმანდა, შუბლი შეიკრა და ხენემა დაიწყო.

— რას ლაპარაკობენ? მე არაფერი ვიცი!—უკმეხად უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ ბრუციანმა და თვალები მოუსვენრად გააცუცა.

— საჭმე გაუთავებიათ!—შემპარავი კილოთი გამოუცხადა კანკორამ და გამომძღვლის თვალით გადახედა.

— ქვიანი კაცი ხარ, კანკორ! აბა მაგას როგორ მეუბნები? ი გიგო მოძლებული ხომ არა მყავს, რომ ხელი ვკრა და ასე ხელ-ალებით გარედ გავაგდო? რა წლებში შესული ის არის, რომ გათხოვება დავუჩქარო! ბაკონა ბიჭად დასაწუნი არ არის, მაგრამ... აბა, შენ თითონ გასაჯე, ღარიბი და ლატაკი ჩემი თავიც მეზარება!.. რა მეჩქარება? განა, მთხოვნელები არა მყავს? ამას წინათ ერთმა ქალაქელმა მიიტანმა გამომიგზავნა შუა-კაცი... შეძლებული ოჯახის შვილია, ავლაბარში საკუთარი სახლი ჰქონია... მართალია, ჯეელი აღარ არის, მაგრამ რა უშავს? შენახული და მაგარი კაცი ყოფილა!

კანკორას ბრუციანის სიტყვები და გაჯიუტებული კილო არ მოეწონა. ცოტა არ იყოს თავმოყვარობაც შეეღახა: ბაკონა სახარბიელო სასიძოდ მიაჩნდა და ბრუციანი-კი როგორცა სჩანს, იწუნებდა. საჭმე რთულდებოდა. კანკორამ იცოდა, რომ ბაკონას თამრიკოს შერთვა გადაწყვეტილი ჰქონდა, ისიც იცოდა, რომ თამრიკოსა და ბაკონას ერთმანეთი უყვარდათ და, პირველი სიყვარულით ფრთებ ამწვარნი, ღამ-ღამობით ხშირად ჯაგებსა და ვახიანებში დაძვრებოდნენ.

კანკორა ცოტა ხანს შეფიქრიანდა, თითქოს რაღაცას ისაზრებდა, ბოლოს დინჯად, მაგრამ მტკიცედ ბრუციანს მიუბრუნდა:

— ჩემო ბრუციანო! ძალიან შორსა ხარ! სასიძოს ავლაბარსა და ჩულურეთში ტყუილად ეძებ! მოგწონს თუ არ მოგწონს, გესიამოვნება თუ არ გესიამოვნება, სიძე აი აქვე მეზობლად გამოგჩინდა. იცი, რომ ოთხი-ხუთი თვის შემდეგ თამრიკო, —კანკორამ სიტყვა აღარ დაანთავრა, მუცელზე ხელი გადაისვა და გაიღიმა.

ბრუციანი გადაფითრდა. თავში თითქოს კეტი დასთხლიშესო, ოსე შეტორტმანდა, ძალა-გამოლეული ღობეს მიეყუდა, კანკორას ბოროტი, გესლიანი თვალით გადახედა და ძლივს წაილულლულა:

— რაზე... დაგიღუპავთ... ი საცოდავი გოგო?

— რათა, ბრუციანო?—ცოტა უფრო რბილად და ალერსიანად მიუბრუნდა კანკორა.—განა, ბაკონა ისეთი დასაწუნი ბიჭია, რომ იმისი სიძობა სათაკილოდა და უბედურებად მიიჩნით? მართალია, ღარიბები ვართ, მეც აი... ასე... გაუუმედურდი, —კანკორას უცებ ხმა აუკანკალდა, ყელში ბოღმა მოაწვა, თავი ჩაღუნა და თვალებიდან გაღმოკვივებული სიმწარის ცრემლი ხალათის კალთით

მოიწმინდა,—მაგრამ... ბაკონა... მიინც... კაი მუშა ბიჭია... როგორმე გაუძღვებინა ოჯახსა... თამრიკოსაც ხომ თავისი პატარა მზითევე...

— მზითევი? ჰა?... მზითევი?... ჰო, მზითევი! რომელი მზითევი? — წაბლტვტილულა ბრუციანმა და ამღვრეული თვალები კანკორას მიაცეცა.

— ნაფუზარი.

— ნაფუზარი? ჰო!.. ნაფუზარი... მერე, როგორი ჩასუქებული და ჩატყნულია!.. შარშან ორმოცი ურემი სასუქი დავაყარე!.. ლობეს შემოავლებს... ფენახს გააშენებს... რა ყურძენი მოუფა ბაკონასა!.. ხე, ხე, ხეეე!.. ალიგოტე, რქაწითელი!.. მეც რთველში დამპატივებს ხოლმე... ციკანს დამიკლავს... დიდს მტევანს მოსწყვიტავს და მომაწოდებს, აჰა, ბრუციანო, ცოტა პირი გაისველეო, ხე, ხე, ხეეე!—გიეივით ბურტყუნებდა ბრუციანი და თავის შესლილ თვალებს თავივით აცეცებდა.

კანკორა ბრუციანს გაცეცებული შესცქეროდა.

— კანკორ, ჰა კანკორ!—მოესმა კანკორას ზევიდან ვილაკის შემფოთებული ხმა.—აბა, ჩქარა აქეთ ამოიარე!

კანკორამ სახლისკენ გაიხედა და ეზოში ნაცნობი ბიჭები დაინახა: გაბრუანთ ზალიკო და არჯეენიანთ სანდრო.

— რა მოხდა?—მიაძახა კანკორამ მაშინათვე, რა წამს ეზოში შევიდა.

— რა მოხდა და—წივილიანთ ტატე და დიმიტრაანთ ვანო დაიჭირეს. ბაკონასაც ეძებენ.

კანკორამ შუბლი შეიკრა და მორგვზე ჩამოჯდა. ამხანაგები გვერდით მოუსხდნენ.

— რათა, კაცო, რა მოხდა?—იკითხა კანკორამ.

— არ ვინ არაფერი იცის!—უპასუხა ზალიკომ.—ტატია ვენახში ყოვილა, რალაცას აკეთებდა, მკონი, სტაფილოს იღებდა. მილიციონერი მოსულა და უთქვამს, კანცელარიაში გიბარებენო. წაუყვანია და სახლში აღარ დაბრუნებულა. ის იყო, წასულან თუ არა და—დიმიტრაანთ ვანუს ცოლი გადაჭრილა წივილიანთა და შეუბღავლია, ვაიმე, რალა შეშველება, ჩვენი ვანუა დაიჭირესო. ვანუა რომ მიჰყავდათ, ლობის ძირას ვენახში ბიჭები მსხდარან და ყური მოჰკრავთ, თურმე ბაკონაზე ლაპარაკობდნენ, ერთს მილიციონერს მეორესთვის უთქვამს, ბაკონა ტყეშია წასულიო, მეორეს-კი უპასუხია, სად გავაქციევა, ხვალ ზეგ ისიც განდებაო. ბიჭები მაშინათვე ქაქანიით სახლში აცვინულან და ყველაფერი უამბნიათ.

— სად არიან დამწყვდეულები?

— გომურში ჩაუყრიათ!

— წაუყვანიათ კიდეცა!—ჩაურთო სიტყვა არჯეენიანთ სანდრომ.

— წაუყვანიათო!—გაიოცა ზალიკომ.

— მაშე, კაცო. განა, არ იცოდნი? საქუა მიკიტანმა არა სთქვა, აი ასე გაატარეს, გორის გზისაკენაო, უკან ორი ცხენოსანი მილიციონი მისდევდაო?

— არ გამიგონია!—ყრუდ უპასუხა ზალიკომ და შუბლი შეიკრა.

— რა ვუყოთ ეხლა?—მიუბრუნდა ზალიკო კანკორას.

— ბაკონას ამალამ ტყეში ძებნას არ დაუწყებენ, ვერც მიაგნებენ, დილით ადრიან-კი რომელიმე თქვენთაგანი გზაში უნდა დაუხედეს ედუარდო ფრანკოს. როგორც თვე უნდა მოარიდოს, მეტი გზა არ არის! — უბრალოდ და ჩაფიქრდა.

— მაშ, სანდრო, შენ აქ, სოფელში იტრიალე, იქნება სადმე რამე გაიგო, მე-კი დილით ადრიან ბიჭებს წავიყვან, საქონელს წავასხამ და აი, ზევით, ნაძვ-ნარში დაუხედები! იქიდან არ უნდა ჩამოიაროს?

— ხო, იქით ჩამოვიღის, სულ ეგრე დადის ხოლმე! — დაუდასტურა კანკორამ. — შენც ფრთხილად იყავი, ხალიკო! — გასძახა კანკორამ, როდესაც ხალიკო და სანდროა გამოემშვიდობნენ და ეზოდან გავიდნენ.

კანკორამ ბიჭებს თვალი გააყოლა და კოკლობით სახლისკენ წავიდა. აივნის ბოძს მაკრინე მიჰყურებოდა და გზისკენ მრისხანედ გამოიყურებოდა.

— რა უნდოდათ მაგ ბიჭებსა? — მკვახედ ჰკითხა მაკრინემ და შვილს თვალები გადაუტრიალა.

— არაფერი, დედი! რალაც მსუბუქი სამუშაო გაჩენილა, ყუთებში ვაშლებია ჩასაწყობი და იქნება პატარა წაიშუშაო, — იცრუა კანკორამ, დედის მრისხანე სახეს თვალი მოარიდა, ოთახში შევიდა და ტახტის კუთხეში გაინაბა.

* *

ქაიხოსრო თავის აივანზე იჯდა და დაღვრემილი სახით ზვარს გადასცქეროდა.

ვაზებს ფოთლები შეუყვითლდათ და დასცივდათ. ოდესღაც მწვანედ გაფურჩქენილი და მწკრივად ჩარიგებული ვაზები თითქოს გაქუცულიყვნენ და როგორღაც ნაცრისფრად გამოიყურებოდნენ.

შემოდგომის ქინელლიანი საღამო იყო. ატალახებულ გზებზე საქონლის ნაფეხურებსა და ურმის თვლების ნაკვლეებში წყალი ჩამდგარიყო და აქა-იქ შეტბორებული გუბეები შორიდან ყვითლად გამოიყურებოდნენ. სოფლის ბიჭებს თავზე ძველი ძონძები წამოედოთ და ტლაპოში ფეხ-შიშველები ამლაპუნებდნენ.

წელში წაბრილი, ლოყებ ჩაცვივნილი, გამბდარი, მთლად გაქალარავებუ-ლი, ყბებ დანაოჭებული და დაბერებული ქაიხოსრო შავგულიძე თავის ზვარს სევდიანად გასცქეროდა და გულს რალაც გამოუტყვევლი სევდა და ბოღმა ებლანდებოდა. თავისი განუყრელი, ყვითელი ქარვის კრიალოსანი ნერვიულად შეკუმშულ მუშტში დაებლუჯა, მეორე გამბდარი, ძარღვიანი და ხმელი ხელით აბურძგენილ წვერს იძიძენდა.

გვერდით ილო თანდილაშვილი უჯდა. ილოც დაღვრემილი იყო და დასევდიანებულ ქაიხოსროს გაჩუმებული შესცქეროდა.

— მაშ, მუშას ველარა ჰმოულობ, ილო? — დაარღვია ბოლოს სიჩუმე ქაიხოსრომ.

— აბა, რა ვქნა, ნათლი! ჩვენებურებში უკითხავი არავინ დამრჩა, ყველამ ამირიდა...

— წივილაანთში იყავი?

- არავინ წამოვიდა.
- თვალადზე?
- უარი მითხრეს.
- ბოტისში?
- არა გვცალიანო.

ქაიხოსრომ ბოროტად კბილები გააკრაქუნა და თავისი გამხდარი მუწტი აივნის მოაჯირს შემოჭკრა.

— ვენახში გზის პირას ვილიცის მავთულები დაუწყვეტია! ტყემლის ბუჩქებიც გათელილია. როგორმე ის მაინც უნდა გავეაკეთოთ!

— აბა, ეხლა რალა იქნება, ნათლი, და დილაზე-კი მე და გიორგა ვადმოვალთ და დავჭიმავთ. მავთული ხომ გაქვს? მერე, ნათლი, იქნება ჩვენსკენაც გადმოიარო? ვაშლებს ყუთებში ვაწყობ, ცოტა დახარისხებაში მიშველ! ხეებსაც რალაც ავადმყოფობა გაუზნდა, იქნება იმასაც გადახედო?

ქაიხოსრომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მოუსვენრად შარა გზას გახედა.

უცებ გადაფითრდა, წამოიჭრა, მოაჯირს გადაეყუდა. თავისი ცივი თვალები სივრცეს მიაშტერა და სამარისებული ხმით ჩაილაპარაკა:

— უყურე, ილო!—და თავისი ხმელი, ფოლადივით ცივი თითები ილოს მკლავში სალტესავით გაუჭირა:— უყურე, ილო, ნახირმა ლობე გადატყებნა და ვახებს შეესია!—და ფეხ-მოკვეთილი, გაცრეცილი ქაიხოსროს სავარძელში ჩაეშვა.

ილო თანდილაშვილმა თავი გაიქნ-გამოიქნია, სახრეს ხელი წამოავლო, კბეზე დაეშვა და ძუნძულით ვენახისკენ გაიქცა.

— ნათი... ნათი... მე... მე... აქა... აქა!—მოესმა ქაიხოსროს ქვევდან ტილურას ხმა.

ქაიხოსრომ კედლიდან მათრახი ჩამოიღო და ტილურას გადაუგდო.

— აბა, ტილურ, ამ მათრახს ხომ ხედავ?

— ჰო... ჰო... მე... მე... მათხი... მათხი...

— ეს მათრახი დაიჭირე, ვენახში ჩადი და აი იმ მენახირეებს გვერდები აულეწე! გესმის?

ტილურა მათრახსა სწვდა, თვალები ველური სიხარულით გაუბრწყინდა, აცმუკუნდა და ხტუნაობდა დაიწყა.

— ჰო... ჰო... მე... მე... მათხი... მათხი... ასე... ასე!—და გიჟმა მათრახი შუბლში შემოირტყა.

ქაიხოსრო დაღმეკილი სახით თავის ვენახს გასცქეროდა და როგორღაც უცნაურად წაიხიხინა, როდესაც ტალურა ლობეზე გადახტა და მენახირეებს მათრახით დაერია.

— ჩემს საკუთრებას ერთი დამცველი გამოუჩნდა და ისიც გიჟი!—ბოროტად ჩაიკინა ქაიხოსრომ ტუჩებში.

დალამდა. ზენა ქარმა მთებიდან შავი ღრუბლები გადმოჰყარა. აცივდა.

ქაიხოსრომ ქუდი დაიხურა, ტყავის ქურჭში გაეხვია და გახურებული შუბლი შემოდგომის ცივს ნიავს მიუშვირა...

ბრუციანის კთხელი



ქართული

— კაცო, რა დაგემართა? კვდები თუ როგორ არის შენი... საჭმელში მუხ-
რუნდა გაჯავრებული მაგდანა ბრუციანს, რომელიც ტახტზე გამზლართულიყო
და თავისი ხენეშითა და ოხვრა-კენესით ცოლი მოთმინებიდან გამოჰყავდა. — თუ
გეძინება, იძილქუშე, თუ არა და გაეთარიე აქედანა, შენი ვიშ-ვიშითა და ხენე-
შით გული ნუ გამიწყალე! — შეუტია მაგდანამ ბრუციანს და გამწარ ებით ქებაის
ხეხვა დაიწყო.

— ვკვდები, მა რა ჯანდაბაა, დედა-კაცო, და შენ-კი არა გჯერა! — უპასუხა
ბრუციანმა, აძაგდა და ლოგინში მოუსვენრად ტრიალი დაიწყო. — თამრიკო!
ერთი, წყალი დამალევიე, გენაცვა, პირი გამიშრა! ფეხ-შიშველა არ გახვიდე,
შვილო, შენც ავად არ გახდე! — დაუმატა ბრუციანმა და საბნის ქვეშოდან ამ-
ღვრეული თვალეზი მელიასავით გამოაცეცა.

— რა ჭირი დაგემართა?

— აბა, რა ვიცი, მე რა დოხტორი ხოა არა ვარ, რომ მეკითხები? მა-
ციებს, მუცელსა მგვრემს. აი, ასე გვერდში დამკრავს და წელეზში დამირბენს
ხოლმე! ფაშვი თონესავითა მაქვს ჩახურებული... ვაი... ვაი... აი, გამკრა!.. კი-
დეგ გამკრა! — დაიკენესა ბრუციანმა და წელში მოიკაკვა.

— მუცელი-კი არა, რატომ აქამდის სულიც არ გაგძვრა, შე უბედურო,
შენა! ავილია თავი, კარდაკარ დაეთრევი, ლორივით დინგს ხან სად წაპყოფ,
ხან სადა. რაც მოგხვდება, ხეთქაე! ატკივა მუცელი, მა რა ჯანაბა იქნება! —
შეუბუზღუნა მაგდანამ.

— ჰო, ეგრე, მეჩხუბე! მოდი, თამრიკო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ისევე
შენა, თორემ ძალუაშენი დღეს როგორღაც ძალის გუნებაზეა. ერთი... არაყი
გადმომიღე... იქნება ცოტა ტკივილები დამიყუჩოს.

თამრიკომ მაგდანას გადახედა და შეყოყმანდა.

— შიაცეცხლე, აგრემც შხამად შეერგება მაგ სეავსა, მაგასა! თახაშია,
ხევით, აი იმ ბოთლში, სიმინდის ფურჩი რომა აქვს დაცობილი.

— თონე გაქვს გახურებული, ერთი ცხელი ლავაში მაინც ჩაგეკრა? —
ვაუნებიერდა ცოლს ბრუციანი, ლოგინში ჩამოჯდა და პირ-მოტეხილი, გაქო-
ნიანებული ჭიქა არყით აავსო.

— ცხელი ლავაში თუ არა, ისე შენი სტომაქი ვერ ამოივსება, შენმა
თავისმა ხეთქამა! — აო ისვენებდა დილიდანვე გულ-ამღვრეული მაგდანა.

— ეი, რა აღქაჯივით არის ატეხილი ე დედაკაცი დღესა! — წაიბურტყუ-
ნა ბრუციანმა, ცოლს როგორღაც ექვიანად და მოუსვენრად გადახედა, არაყი
მოიყუდა, საშინლად დაიღმეჭა და თბილი პური შუაზე გადატება. ბრუციანმა
შეორე არაყიც ხარბად გადახეხა, თავზე საბანი წაიხურა და გაინაბა. მერე,
ერაბაშად, თითქოს გვერდებში ნაკვერჩხლები შემოაუწყესო, ისევე აშფოთდა და
ლოგინში ბორცვა დაიწყო.

— ვენაცვალე, თამრიკოსა!.. მალე... გავათხოვებთ... გათხოვება არ გინ-
და, გოგონი? — ჩაილაპარაკა საბანში ბრუციანმა.



— რა გული გაუწყალე ამ გოგოსა, ჩამოეხსენ, დაიძინოს— მიუტია მაგ-დანამ.

— ნათუზარსაც... მხითვად გავაყოლებთ... ხი, ხი, ხი... მიუტია მი-
ციტანს ბევრი ფული აქვს... ჩეჩქივით უყრია... ვენახს გააშენებს... ყურძენიც
გვექნება... შასლა... ალიგოტე... ხე, ხე, ხე... ნათუზარის თავში ორსართულიან
სახლს წამოიჭიმავს ორმოც—ყოყიანი ქვევრები ღვინობით აივსება!..

თამრიკო. კუთხეში მობუზული იჯდა და ბიძის არეულ ბურტყუნსა და
ბოდვას შეშინებული უსმენდა. უწინაც რამდენჯერმე სიტყვა გადაუჭრა და ვი-
ლაც მიკიტანზე ჩამოუგდო ლაპარაკი. თამრიკო მარტო ერთს მიკიტანს აცნობ-
და, ღიპ-გასიებულ, რუმბივით დარგვალბულ, ქუშიან, თავ-მოსვლვბილსა და
კბილებჩაყვითლებულ საქუა მიკიტანს. დიდი, დანაოქებული, ქუჭყიანი შავი
ბალნით, ღორის ჯაგარივით სქელი ბეწვებით ამოვსილი ყურები, კარტოფილ-
სავით დასიებული და ჩაწითლებულ-ჩალურჯებული ცხვირი, სქელი, ჩაყვილი
კისერი, რომელსაც გაქონიანებულ და ზინზლის სუნად აყროლებულ ახალუხის
საყელოში ძლივს ატრიალებდა. „აღბათ, ყველა მიკიტნები ასეთი საზიზღრები
არიან“, ფიქრობდა თამრიკო ყოველთვის, როდესაც ბიძა ვილაც ქალაქელ მი-
კიტანზე ჩამოუგდებდა ლაპარაკსა.

ებლაც თამრიკო შემკრთალი თვალებით ბიძას შესცქეროდა, მის შხამ
ნარეე აღერსს სულ განაბული უსმენდა და თვალწინ საზარელი მიკიტნები
ელანდებოდა.

— დაწექ, დაიძინე, შვილო! ამის ბოდვას რა ყურს უგდებ?— მიუბრუნდა
მაგდანა გაცრეცილ თამრიკოს და მის ხმაში რალაც უჩვეულმა სითბომ გაიბ-
ზრიალა.

მაგდანა დილიდანვე მოუსვენრად იყო. რალაც გამოურკვეველი, უცნაური
შიში გულს უწიწნიდა და უმღვრევდა; ერთთავად თითქოს ეტირებოდა. მისი
გამომშრალი გული ქმრისადმი არასოდეს ნახი სიყვარულით არ ატოკებულა,
მაგრამ დღეს მაინც რალაც განსაკუთრებულ ვაბოროტებასა პგრძნობდა; ლო-
გინში გამზლართული ბრუციანის არეული ლაპარაკი აბრაზებდა, მისი ხიხინი
და მოხშირებული სუნთქვა-კი ნერვებს უშლიდა და უფრო მეტად ამორო-
ტებდა.

კუთხეში საცოდავად აბუზული, გაცრეცილი თამრიკო, რომელსაც ლამაზ
სახეზე გაქვარტლული ლამფის ოდნავ მბუტავი შუქი უკიმციმებდა, რალათაც
ეცოდებოდა და მისი შემკრთალი, შეშინებული თვალები გულს უღონებდა.

— ნუ სუნთქავ!— შეუტია უცებ მაგდანამ ბრუციანს, რომელიც ლოგინში
ახიხინდა, აქმინდა და მოუსვენრად ბორგვა დაიწყა.

ბრუციანმა ამოიოხრა, მართლაც, სუნთქვა შეეკრა, თავზე საბანი გადაი-
ხურა და გაინაბა.

წვიმდა.

წამოჭროლილი ქარი მსხვილ წინწყლებს პატარა ფანჯრის შუშებს უშხა
პუნებდა, ჩამოწოლილი ნისლი სოფელს ცივს ზეწრად გადაეფარა.

— ვაიმე.. ვაიმე.. მუცელი.. მუცელი.— დაიკენესა უცებ ბრუციანმა.

— ვაი შენა და დარღუბალა!— ზიზლით შეუტია მაგდანამ.

— აბა, დედაკაცო, ერთი ილთას ცოლთან გადაიარე, იქნებ რამე კაბ-
ლები ჰქონდეს!— ღრეკით მიუბრუნდა ბრუციანი ცოლსა, საბჭოებზე ფიქრის ბან-
ჯღვლიანი თავი გამოჰყო და თვალები ტურასავით მაგდანას მიჰყურებდა.

— აბა, ამ ბნელ ღამეში სად უნდა ვაშლაპუნო?— შეუბღვირა მაგდანამ.

— რა ვქნა, დედაკაცო! მომკლა ამ მუცლის გვრემამა... წელეებში სულ
მახათსავით მივიღის... აბა, მოდი, ხელი დამადე, ფაშვი როგორ თონესავით მი-
ხურს!— მიუბრუნდა ბრუციანი ცოლს და აძაგაგდა.

მაგდანამ ქმარს როგორღაც უნდობლად გადახედა და ბუზღუნით თავშალი
მოიხვია.

— ჩემ ქირად მოგინდებო ხოლმე ავადმყოფობაცა და მუცლის გვრემაცა...
ყოველ დღე არაყსა ხეთქავ! მუცელი კი არა, რატომ ყველაფერი არ გადაგებუ
და მაგ დასაწვავ სტომამქში!— ერთხელ კიდევ წაიბუზღუნა მაგდანამ, ეზოში გა-
ვიდა და შლაპა-შლუპით მეზობლებისკენ გაემართა.

— თამრიკო!— ჩახლუჩილი ხმით მიუბრუნდა ბრუციანი დისწულს, მაგდა-
ნას ფეხის ხმა რომ მისწყდა.

— აქა ვარ, ძია!— გამოცხმურა კუნჭულიდან თამრიკო.

— აბა, შვილო, ერთი სათონეში გადაირბინე და ქურქი გამოიტანე! კი-
დობნის გვერდითა გდია. რაღაც კუდათ მაძაგძაგებს, ამ ოხერმა საბანმა ვეღარ
დამათბო.

თამრიკო წამოდგა, ფლოსტებში შიშველა ფეხები გაჰყო და გავიდა.

ბრუციანი ლოგინიდან წამოიჭრა...

აბურძგენილი წვერი, აწეწილი თმა, ამღვრეული, გაგანიერებული თვალე-
ბი, რომლებიც დანაოკებული შუბლის ქვეშეიდან მუხანათურად, ბოროტად და
გესლიანათ გამოიყურებოდნენ, მთელ მის სახეს საზარლად ხდიდა.

ბრუციანი თახჩასთან მიიჭრა, არყის ბოთლსა სწვდა, ხარბად დაეწაფა,
ჩუმად კარები გამოაღო და თამრიკოს სათონეში ფეხაკრეფით გაჰყვა...

* * *

— აბა, ესეც შენი კაბეები, ხეთქე!— შემოსვლისთანავე მიადება მაგდანამ,
გატალახიანებული ფლოსტები კარებთან დაჰყარა, დასველებული შალი დაბერ-
ტყა, ფეხ-მოტეხილ სკამზე გადაჰკიდა და პატარა შუშა საბანში გახვეულ აძაგ-
ძაგებულ ქმარს გაუწოდა.

ბრუციანი ლოგინზე წამოჯდა და ცოლს წამალი გამოართვა.

— თამრიკო სადღაა?— იკითხა უცებ მაგდანამ და მოუსვენრად ოთახში
მიიხედ-მოიხედა.

— არ ვიცი... კარგა ხანია... გავიდა და აღარ დაბრუნებულა... ერთი,
მიხედე, ხომ... რამე არ დაემართა... ი გოგოსა!— წაილულულა ბრუციანმა და
მოსაწყლებული თვლით ცოლს გადახედა.

— თამრიკო, ჰა თამრიკო! რა ვქნა. რა იქნა ი გოგო? თამრიკო, შვილო...
სადა ხარ?— შეშფოთდა მაგდანა, საჩქაროდ ფლოსტებში ფეხები გაჰყო, თავზე
შალი მოიგდო და გავიდა.

ბნელი და ჩანისლული ღამე საზარელმა კივილმა გაჰქვეთა...
 — ვაიმე!.. ვაიმე!—დაიკვნესა ბრუციანმა, მოიკაცა და საბანში მაგრა
 ვაეხვია...

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

საზარელი ამბავი სოფელს ერთბაშად მოედო. ბრუციანის სახლში პირველად კანკორა გადაიჭრა.

პატარა სათონე მალე ხალხით აივსო. სოფლის დედაკაცები გულშეუხებულ მადანას შემოაშვეოდნენ და წყლით ასულიერებდნენ. თმებ-გაწეწილი, გულ-გაღელილი მადანა დახოკილი და დაკაწრული სახით სკამს მიჰყუდებოდა და კვნესოდა.

ბნელი და ნისლიანი ღამის სივრცეში კრაქები დასრიალებდნენ, მათი მკრთალი შუქი ხან ერთს ადგილს იფეთქებდა ხოლმე, ხან მეორეს, შავად ჩამოწოლილ ღამეს აქა-იქ ცოტა ხანს ანათებდა და არც მარცხ ისევ სიბნელე იცავდა.

აივანზე მამაკაცების ჯგუფი მოგროვილიყო. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, მაგრამ ეტყობოდა, რომ ყოველს მათგანს რაღაც ფარული აზრი აწუხებდა. ეჭვი, საზინელი ეჭვი ყორანსავით თავს დასტრიალებდა, მაგრამ ამ ეჭვის აშკარად გამოთქმას ვერაფერი ბედავდა.

გზაზე ცხენების თქარა-თქური გაისმა. ცხენოსნებმა პატარა აღმართი ამოიარეს და ბრუციანის სახლს მიადგნენ.

მილიციის უფროსი დინჯად ცხენიდან გადმოხტა, ალვირი მარგილზე მიადგო და აივანზე მოგროვილ ხალხს მიუახლოვდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა ამბავია? ეს რა უბედურება დატრიალებულა?—სალამის ნაცვლად მიუბრუნდა მილიციის უფროსი ხალხს და ოთახისკენ გაიხედა.

— მაშ, მაშა!

— ნულარ იტყვი!

— უბედურება და მერე როგორი!

— საწყალი ბავშვი!

გაისმა აქა-იქ გულ-ამოსკვნილი ხმები.

— პირველად რომელმა გაიგო?

— კანკორამა.

— აბა, დაუძახეთ!—გასცა განკარგულება მილიციის უფროსმა და სკამზე ჩამოჯდა.—როგორ იყო, კანკორა?

— როგორ იყო და, დასაძინებლად ვემზადებოდი, ბრუციანის ეზოდან საზარელი კივილი რომ გაისმა, მაშინათვე წამოვარდი და ეზოში შევირბინე. კივილი სათონიდან ისმოდა. ბრუციანის ცოლი სათონის კარებს დაჰბლაუჭებოდა, სახეს იხოკავდა და საზარლად გაჰკიოდა. მაშინათვე კრაქი გამოვარბინე და სათონეში შევედი. საცოდავი... თავდაყირა ეკიდა... ფეხები-ღა უჩანდა! —კანკორამ სიტყვა ველარ დაათავა, თვალეზზე ხელი მიიფარა და აქვითინდა.

— აბა, ერთი სათონეშიც გადავიდეთ! შენც წამოდი, კანკორ!
მილიციის უფროსი სათონესთან მივიდა, დაიკუზა, შიგ შევიდა და კარებ-
ში გაიქრდა.

— მოიცათ, მოიცათ, ნურაინ შემობხვალთ! კანკორ, შენც! გვერდზე
დადექი! როგორა ფიქრობ, საიდან ჩავარდებოდა, კარებისა თუ იქითა
მხრიდან?

— უფრო იქითა მხრიდან უნდა ყოფილიყო!—უპასუხა კანკორამ, მილი-
ციის უფროსს შეხედა და ჩაუიქრდა.—ხო, იქითა მხრიდან უნდა ყოფილიყო!
თავი აქეთკენ, კარებისკენ ჰქონდა მოქცეული და ფეხები-კი უკანა მხარეს ჰქონ-
და გაშვერილი.

— კარგი!—ჩაილაპარაკა ტუჩებში მილიციის უფროსმა და რილაცის მო-
საზრება დაიწყო.—აბა, ერთი კრაქი მომაწოდეთ! ნუ შემოდინხართ, ხომ გით-
ხარით, ნუ შემოდინხართ—მეთქი! სეირი და სანახაობა ხომ არ არის, რომ მო-
იწვევთ?

მილიციის უფროსმა კრაქი თონეს გარეშემო შემოუნათა და მერე თითო-
ნაც შემოუარა.

— ფეხი რომ დასხლტომოდა, ან თონე ვერ დაენახა, მაშინ კარების მხრი-
დან უნდა ჩავარდნილიყო. აქ-კი, როგორც ეტყობა, გარეშემო შემოუვლია. ამ
კიდობანთანაც უნდა ყოფილიყო. როგორც ეტყობა, ქილისთვის ფეხი წამოუკ-
რავს... აბა, უყურე, ქილა ახალი წაქცეული უნდა იყოს! ძირი ნესტიანი აქვს,
სადაც ქილა მდგარა, ის ადგილი ნესტიანია... მოიცა!... მოიცა!... ეს რაღაა?
მილიციის უფროსმა ერთს ადგილს კრაქი შიანათა, დაიკუზა, დიდხანს უცქირა,
მერე წელში გასწორდა, კანკორას გახედა და თვალებში გამარჯვების ნაპერ-
წკალმა გაურბინა.—აბა, აქეთ მოდი, კანკორ! ნელა! აბა, ამ ადგილს დახედე!
ვერაფერს ხედავ?

კანკორა მიწას დააქერდა, ხან ერთი მხრიდან შემოუტრიალა, ხან მეორე
მხრიდან, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

— როგორ ვერა ხედავ, კაცო? აშკარად არის გამოხატული! აბა, უყურე,
ამ ადგილს ვილაც შიშველი სველი ფეხითა მდგარა, უფრო მამაკცის ფეხი უნდა
იყოს. აი, უყურე, თითების კვალთ! ამ სათონეში, უმეველია, თამრიკოს გარდა,
ვილაც სხვაც უნდა ჩამოსულიყო. შენ ამბობ მაგდანა კარებში იყო ჩაქეცილიო.
მაგდანა ამ ტლაპოიან ღამეში ფეხ შიშველა არც ივლიდა. ბრუციანი სად არის?—
შეეკითხა უცებ მილიციის უფროსი და კანკორას შეხედა.

— ბრუციანი? ბრუციანი... სახლშია!—უპასუხა კანკორამ, მილიციის უფ-
როსს გაოცებით შეხედა და გულში საზარელმა ეჭვმა გასჩხვლიტა.

— რას აკეთებ?

— ავით არის... ლოგინში წევს.

— ლოგინში წევსო!—გაიმეორა მილიციის უფროსმა კანკორას სიტყვები,—
აბა მაშ წავიდეთ, ესლა ავადმყოფიც ვინახულოთ!— ირონიულად ჩაილაპა-
რაკა მილიციის უფროსმა, ტუჩებში ჩაიციხა და სათონიდან გავიდა. კანკორა
ლანდივით უკან გაპყვა.

— რა დაგემართა?— მიუბრუნდა მილიციის უფროსი ბრუციანს და სახეზე ღიმილმა გადაურბინა, თუმცა ტახტზე გადასვენებული თამარიკოს გვერდს და დედაკაცების ნამტირალევი თვალები თითქოს მზიარულებისთვის არავითარ საბუთს არ აძლევდა; მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელს თავისი აღმოჩენით ატაცებული იყო. მილიციის უფროსს აღარავითარი ეჭვი არ ებადებოდა, რომ პატარა თამარიკო დანაშაულობის მსხვერპლი გახდა და დამნაშავე იქვე იყო, ლოგინში გაშხლართული იწვა და პირდაღებული მას შესცქეროდა.

— რა ვიცი, ყმაწვილო! ეს საშინელი უბედურება ვთქვა, თუ ჩემი ავადმყოფობა! დაგვეღუპა გოგონა, დაგვეღუპა მარგალიტით ბავშვი!— წაიკვნესა ბრუციანმა, თვალები მოპრუწა და სლუკუნნი დაიწყო.

მილიციის უფროსმა ლოგინს თვალი გადაავლო, უცებ გაშეშდა, კანკორას მუჯღუგუნნი წაჰკრა და თვალთ ბრუციანზე აჩვენა.

კანკორამ გადახედა და გაფითრდა: საბნიდან შავად გამოიყურებოდნენ ბრუციანის გატალახიანებული ფეხის გულები...

მილიციის უფროსის საეჭვო კილო და გამომეტყველება, მისი ორ-აზროვანი, ეჭვიანი გამოხედვა და ეშმაკურად გაბრწყინებული თვალები, რომლებსაც შემკრთალ ბრუციანს არ აშორობდა, ოთახში შეგროვილ ხალხსაც აეჭვიანებდა.

მაგდანა აღარა ტიროდა.

წუთით თითქოს თამარიკოც დაავიწყდა და მისი უბედურებაც. ეხლა მაგდანაც მორღეფული თვალებით მილიციის უფროსს უცქეროდა და გულს რალაც უცნაური, უსიამოვნო გრძნობა, ეჭვი და შიში ებლანდებოდა.

— აბა, ბრუციანო, ავათა ხარ და შენ თავს-კი არ უფროთხილდები!

მილიციის უფროსის სიტყვებმა და მისმა დამტყნავმა კილომ ბრუციანს გულში უსიამოვნოდ გასჩხვლიტა. ბრუციანმა როგორც ნაძალადეგად გაიღიმა, დაიღმიჭა, თვალები აქეთ-იქით მიატეც-მოატეცა და სახეზე მოუსვენრობამ გადაურბინა.

— როგორ?— ყრუდ შეეკითხა ბრუციანი და მილიციის უფროსს თვალები მოარიდა.

— როგორა და ისე, რომ ამ ავდარსა და ტლაპოში ფეხ-შიშველა დადიხარ.

— რა ფეხშიშველა? რის ფეხშიშველა? რას ამბობ, შენა, ხომ არ გადარეულხარ?— შეუტია ბრუციანმა.

მილიციის უფროსს გაეცინა.

— სათონეში რა გინდოდა?— უცბათ მოკლედ მოუჭრა მილიციის უფროსმა და თვალი თვალში გაუყარა.

ბრუციანი აძაგძაგდა.

ოთახში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

გადაფითრებული მაგდანა სულ-განაბული ქმარს მიაშტერდა.

— შენ ჭკუაზე შერკეული ყოფილხარ, ვილაცა ხარ?— ყრუდ ჩაილაპარაკა ბრუციანმა.

— აბა, ადექი, ბიძია!— უბრძანა მილიციის უფროსმა.

— რათ უნდა ავდგე? რა ამბავია? ავადმყოფ ადამიანს, განა, რთინიდან ააყენებენ? რომელ ზაკონის-კანონში სწერია?

— იმიტომ უნდა ავდგე, რომ თამრიკო შენ მოჰკალი!—გაქცევა, რთინი სა-ზარელი სიტყვები.—აბა, ჩქარა, ნუ ზოზინაობ!—მკვებელ დიუმატაჟიჭილეციის უფროსმა.—ეს რა არის? სად გაიტალახიანე ეს ფეხები?—შეუტია მილიციის უფროსმა და ხელის ერთი მოქნევით ბრუციანს ტანზე საბანი გადაჰგლიჯა.

— ხალხო!—დაიღრიალა უცებ ბრუციანმა,—ხმა ამოიღეთ, რას გაჩუმებულხართ? რა უნდა ჩემგან ამ ოხერ-ტიალსა!

ხალხმა დუმილით უპასუხა.

— შენ რაღა გინდა?—ძლივს წაიღულულა შეშინებულმა ბრუციანმა.

იმის წინ მაგდანა იღვა.

გამხმარ, დანაოქებულ ლოყებზე ფერი აღარ ედო. თვალეზი გაჰგანიერე-ბოდა. ჩალურჯებული ტუჩები უკანკალებდა.

— შენ მოჰკალი? მითხარი, შენ მოჰკალი?—ისტერიულად წაისისინა მაგ-დანამ, ქმარს საყელოში სწვდა და ნჯღრევა დაუწყო.—გარედ იმიტომ გამი-ტყუე, რომ ბავშვი წაგებრჩო და თონეში ჩაგყუღდინა?

ბრუციანი მოიბუზა, მოიკაცვა, დაიღმიჯა და აკანკალებული ხელით გატა-ლახიანებულ ფეხებზე საბანი გადაიფარა...

ოთახი დაცარიელდა.

პატარა, ბნელსა და ნესტიან სახლში ორი-სამი დედაკაცი-ლა ტრიალებდა.

შემოდგომის ქინკლლიანი ღამე იყო.

განუწყვეტელი წვიმა მოსაბეზრებლად აშხაპუნებდა.

ფანჯრის გატეხილი შუშიდან ქარი გაქვეარტლულ ლამფას უბერავდა და ამ გაქვეარტლული ლამფის შუქი ზეწარში გახვეულ თამრიკოს სილუეტზე მკრთალ ლანდებად ციმციმებდა.

მაგდანამ მიცვალბულს მწუხარე თვალით გადახედა და ტახტისკენ წაბარ-ბაცდა.

— ბიძიამ რთველი გავიშართა, განა, შეილო?—დაიკენესა მაგდანამ და ქვითინით თამრიკოს გაცობულ გვამზე დაეხმო...

18

პირველი ძუხილი.

— აგერა, ბიჭო, ბაკონა არ არის?—მიუბრუნდა ჩოფურა ვასუა ზალიკოს, თხილის ბუჩქებიდან გამოძვრა და შორს გზისკენ გაიხედა.

— ბაკონაა, ბაკონა!—დაუდასტურა ზალიკომ.—ფერაფერი მახარობლები ვართ მე და შენა, ვასუავ!—დაუმატა ზალიკომ და უგემურად კისერი მოიფ-ხანა.

— აქ დაეუცადოთ, თუ ვეყელოთ და აი იმ მოსახვევთან დაფუხვდეთ?

— მივუსწრებთ?

— როგორ არა! აი აქეთკენ მოკლე ბილიკი არ მიდის!

— მაშ, გადავირბინოთ!

ზალიკო და ვასუა დაღმართზე დაეშინებ და მალე გორაკებს მხარეს ამოჰყვეს თავი. ბაკონა თეთრი რცხილით თავემოდგმული ურმით შერბულა-ზნებოდა და თავისი სასიამოვნო ხმით ჩუმად ურბულს დაპლილინებდა.

„ალზევანს წავალ მარბიზე,
მარბის მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავხვევი,
მერე შეილსა და ცოლსაო“

ჩაიმღერა ბაკონამ და ხარებს ხალისიანად სახრე გადაუტყლაშუნა.

— ველარ გადაეხვევი, ჩემო ბაკონ, მოგიკლეს თამრიკო!— ჩაილაპარაკა ზალიკომ და მწარედ ამოიოხრა.

ბაკონამ ამხანაგები რომ დაინახა, ურემი გააჩერა და გაოცებით გადახედა.

— აქ რას აკეთებთ ამ სისხამ დილასა?— შეეკითხა ბაკონა და ზალიკოს ეჭვიანად ჩააშტერდა.

— ისე გამოვიარეთ!.. ვასუას ხარი დაეკარგა... პატარა შეისვენე, ბაკონ! ხარები გვერდზე მიაყენე!..

— რა ვქნა, შენ რატო ვერე არეულად ლაპარაკობ?... ხი, შე ვერანაფ, შენა!— შეუტია ბაკონამ ლურჯა ხარს, ურემი გზის პირად მიაგდო და კოფოდან გადმოხტა.

ბიჭებმა დიდი ცაცხვის ქვეშ მშრალი ადგილი მოსძებნეს და ლამის მებრეების ნაცხელურის გარშემო ქვებზე ჩამოსხდნენ.

— თქვენ უმიზეზოდ არა ხართ წამოსულები. რა იყო? რა მოხდა?— იკითხა ცოტა არ იყოს შეშფოთებულმა ბაკონამ და ჯერ ზალიკოს გადახედა, მერე ვასუას.

— რაღა რა მოხდა? წივილანთ ტატე და დიმიტრაანთ ვანო დაიჭირეს! შენც ვეძებენ!— ყრუდ ჩაილაპარაკა ზალიკომ.

ბაკონამ შუბლი შეიკმუქნა, კობები შეიკრა და ჩაფიქრდა.

— დაგვაბეზლა, პა!— კბილებში ჩაილაპარაკა ბაკონამ და მის დიდს, შავ თვალებში მრისხანებამ იფეთქა.— კანკორამ იცის?

— როგორ არა! გავიგეთ თუ არა, მაშინათვე იმასთან ავიდით! კანკორამ გამოგვეზანა, როგორმე დილაზე ბაკონას გზაზე დაუხვდით და გააფრთხილეთო!.. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი!.. მეორე... უბედურება მოხდა...

— სთქვი, კაცო! რა წიო-წიოთი ლაპარაკობ?— მოუსვენრად წამოიძახა ბაკონამ.

— თამრიკო... გარდაიცვალა...

— რაო?— შეპყვირა ბაკონამ და დაჭრილ ირემსავით წამოიჭრა.

— თონეში დაიწვა— ერთბაშად დააყოლა ზალიკომ და ლონივრად ამოისუნთქა, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოეხსნაო.

ბაკონა გაქეავდა.

— რაო?.. თამრიკო... დაიწვა... თონეში... ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძახდა ბაკონა და ზალიკოს თვალს არ ამორებდა.

უცებ წელში გასწორდა, ზალიკოს მკლავებში სწვდა და შეანჯღრია.
— მართალი მითხარი! მოჰკლეს, განა?

ზალიკომ თავი ჩაღუნა.

— ბრუციანმა მოჰკლა! — ძლივს წაიღულულულა ზალიკოსმა *მეზღვენი*

ბაკონა შეტორტმანდა, თვალეზზე და თმაზე ხელი გადაისვა, მშველივით გზისკენ ისკუბა, ურმის ქალიდან თოფი გადმოიღო და ისარივით თავქვე დაემშვა.

— ვაიმე, ვაიმე! რამე უბედურებას შეიმთხვევს ეგ ბიჭი! — წამოიძაბა ზალიკომ და თავში ხელეგი წაიშინა. — ვასუავ, შენ ამ ურემს მოუარე!.. სახლში ჩაუტანე!.. არა, მოიცა!.. სახლში რომ მიხვიდე, ახლა მის დედას გაუსკდებო გული... ისევ თქვენსა ჩაიტანე... ხარებს ფურჩი დაუყარე, წყალი დააღვინე... მე-კი ბაკონას გავეყვები...

ვასუა მაშინათვე წამოხტა და ურმისკენ გაქანდა.

— მოიცა, ბიჭო! მოდი, ამ გზით ნუ წახვალ! ხომ იცი, ეს გზა ბაკონას სახლს ზევიდან დასკვრის? შეიძლება მაკრინემ შორიდანვე შეამჩნიოს, რომ ურემს ბაკონა არ უზის. მაკრინეს ამბავი ხომ იცი? იმას ვერაფერს გამოაპარებ. ისევ ბოტისით ჩადი. ცოტა დაგიგვიანდება, მაგრამ არა უშავს რა.

— ბოტისზე რა მინდა? აი, აქვე დავეშვები და ისე რიყე-რიყე ვივლი.

— ძალიან თავქვე რომაა, ბიჭო? ხარებმა თავი არ წაგართვანი!

— ხამი ხომ არა ფარ? — ცოტა არ იყოს წყენით უპასუხა ვასუამ, უღელს ხელი სტაცა და ურემი გამოაბრუნა.

* *

ბაკონა ბრუციანის სახლში დაღვრემილი შევიდა.

— ბაკონ! — შეჰბლაღლა მაგდანამ და დაკაწრულ სახეში ხელეგი წაიშინა.

— პატარძალი მოგიკლეს, ბაკონ... ბიძამ... რთველი... გაუმართა... საყვარელმა ბიძამ! — მოსტკვამდა მაგდანა და გამწარებული პირი-სახეს იხოკავდა.

ბაკონა ტახტს მიუახლოვდა და თამრიკოს ნელა ზეწარი გადახადა.

თამრიკო! სად არის თამრიკო?

თამრიკოს სახის ნაცვლად რაღაც საზარელი, ნახშირსავით ჩაშავებული, გაღესილი სხეული დაინახა. ატრუსული თმა, ამოთხრილი თვალეგი, მოგლეჯილი ცხვირი, გადამწვარი ტუჩები, დაღებული პირი, საიდანაც გაშიშვლებული კბილები საზარლად გამოიყურებოდნენ. ჩამწვარ-ჩახეთქილი, დამსკდარი ლოყები...

ბაკონას ტანში ურუანტელმა დაუარა, საჩქაროდ ზეწარი ისევ თავზე გადააფარა, ბარბაცით გამობრუნდა, კედელს მიეყუდა და თვალთავან გადმოცვივნილი ჩემი ცრემლები მაჯით მოიწმინდა...

— არ მოგეწონა პატარძალი, ბაკონ?.. რათა, შეილო? ქაიხოსრომა და ბრუციანმა ხომ პირობა დასდეს, ნაფუზარში ერთად ვენახი უნდა გავშენებინათ და მზითვად შენთვის მოერთმიათ?.. რად იწუნებ, შეილო, ჩემს თამრიკოს? მზითვიანი ქალია, ამას-კი ენაცვალოს ხელებ-გასახშობი ძალუა!

ბაკონას ყელში ბოღმა მოაწვა, თავი ველარ შეიკავა და გარედ გავარდა...

— მოიცა, ბიჭო, სად მირბიხარ?— შესძახა ქაქანი თ მოკრილი ზალიკომ და ბაკონას მკლავში სწვდა.

ბაკონამ ანთებული თვალეები მეგობარს მიანათა.

— ამღვრეული წყალი სათავეში უნდა დაიწყვიტოს!— უკვლევ უპასუხა ბაკონამ, ზალიკოს ხელი გამოჰკლიჯა და ორლობისკენ დაეშვა...

ქაიხოსრო შავგულიძე ილო თანდილაშვილის ბაღს უვლიდა და დასწვლელბლ ტოტებს ნიშანს ადებდა.

ბაღის თავში, ძველი ვაზიანის გვერდით, მოკრეფილი ვაშლი ეყარა. კანკორას გვერდით ხის ყუთები შემოეღაგა, ჩაცუცქულიყო და თავისი ცალი ხელით დახარისხებულ ვაშლებს ყუთში აწყობდა.

ილო თანდილაშვილი ქაიხოსროსთან მივიდა, რაღაც უთხრა და სახლისკენ გააქუნძულდა.

უცებ კანკორას გვერდით, ვაზიანში, თოფმა იგრაილა; ტყვიამ კანკორას ზედ თავზე გაუზუზუნა...

ბაღის ბოლოში ქაიხოსრო შავგულიძე შეტორტმანდა, გულზე ხელი იტაცა, შემოტრიალდა და მოკრილი ლომინდის ღეროსავით მიწაზე გაიშლართა..

კანკორა წამოიჭრა და ვაზიანში გადაფითრებული ბაკონა დაინახა. თოფის ლულას დაჰყრდნობოდა და ამღვრეული თვალეებით მიწაზე გაშლართულ ქაიხოსროს ვასცქეროდა.

— რა ჰქენი, ბიჭო?— შეუყვირა კანკორამ, ბაკონასთან მიიჭრა და თოფი ხელიდან გამოჰკლიჯა.— ეხლავე აქაურობას გაეცალე! აი, ეგრე ვაზიანებში გაძვერი, კავთურის გაღმა გადი და ბუჩქნარში დაიმალე. ზევით პატარა გამოთხრილი კლდეა, იქ შეძვერი და დაღამებამდე არ გამოხვიდე. ღამით პირდაპირ ქალაქისკენ გაემართე. ჩუღურეთში სტეფანე დურგალთან მიდი, გახსოვს იმ დღეს ერთად რომ ვიყავით! ყველაფერი გულ-აბდილად და დაწვრილებით უამბე, ჩვენი კაცია! გზა-ეგალს ის გასწავლის. აბა, ჩქარა, ერთს წუთს არ დაიგვიანო!— მტკიცედ უბრძანა კანკორამ და ძმა ვაზიანებში შეაგდო.

ბაკონა ცოტა ხანს შეყოყმანდა, მაგრამ კანკორას მრისხანე სახე რომ დაინახა, ამოიოხრა და ვაზებში გადაეშვა.

მიწაზე გაშოტილ, სისხლში ამოვლებულ ქაიხოსროსთან პირველად ილო თანდილაშვილი მიიჭრა. მალე ბაღი ხალხით აივსო. კანკელარიიდან ცხენოსანი მილიციონერები ამოიჭრნენ.

მილიციის უფროსმა გაოფლიანებული ცხენი ვაზიანისკენ გააქანა და თოფიანი კანკორა რომ დაინახა, გაშრა.

— კანკორა, შენა ხარ?— წამოიძახა მილიციის უფროსმა და სახეზე გაოცებამ და რაღაც სიბრაღის გრძობამ გადაურბინა.— აფსუს, რა ბიჭი ფუჭდები!— ამოიოხრა მილიციის უფროსმა და თავის კაცებს ვასძახა:— აბა, შექცართ!

ბაღში შეგროვილმა ხალხმა გუგუნნი დაიწყა.

— რა იყო? რა ამბავია?—გადღუბრილა ხალხს თვალეში მილიციის უფროსმა და წელზე რევოლვერი გაისწორა.

— რა გინდათ კანკორასაგან?

— არ დაგანებებთ!

— მაგის მოკლული არ არის!

— რას ამბობ, კაცო, კანკორა კაცს მოჰკლავს?—გაისმა ამღელვარებული ხმები.

— ეგ თქვენი საქმე არ არის! ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ...

მილიციის უფროსის სიტყვები ბაღის გუგუნმა დაჰფარა.

— აბა, თოფი!—უბრძანა უფროსმა.

ბაღში ჩაბმანების ჩხაკა-ჩხუკი გაისმა. წელში გამართული კანკორა აგუგუნებულ ხალხს რალაც უტნაური გაბრწყინებული სახით უცქეროდა და ამ ვახსივოსნებული თვალების წინ უკვე ნათლად ისახებოდა წარმტაცი სურათი მოახლოვებული გამარჯვებისა...

ხალხი შეშვიდროვდა, აიმრიზა და შეიარაღებულ მილიციონერებს სალტესავეთ შემოერთა.

— რას იმუქრები?

— ყველანი რომ დაგვხოცო, მაინც არ დაგანებებთ!

— გვესროლე, თუ ვაქცაი ხარ!

— ამოკლიტე უიარაღო ხალხი!

გუგუნებდა ბრბო და წრე თანდათან ვიწროვდებოდა.

უცებ ზევიდან ილო თანდილაშვილის მკეჭარე ხმა გაისმა:

— რას მიჰქარავთ, რასა, თქვე სულელებო, თქვენა? როგორ თუ არ დაგანებებთო! მაგათანა ლლაპებისაგან არის ამტუტებული ქვეყანა! მოგვაშორეთ ეგ გველის წიწილები ეგენი!..

— კაცის მკვლელებს ჩვენ ველ გამოვექომაგებით, ველა!—წამოიყვირა ლიყიანმა.

— ჰაი, შე არამზადავ, შენა!—გადმოსძახა ზევიდან ვილაცამ.

— არამზადაცა ხარ და ერთიც მეტი! რათ იქნება არამზადა?—ჩაერიო ყვირილში მაჰარა.

— არამზადები და კაცის მკვლელები აგერა, ვათოკილები არიან!—ქიჰყინებდა მაჰარას ცოლი.—ეს რა უბედურებაა, ჰა! ვაგონილა? აღარც მეზობლობა, აღარც ნათელ-მირნობა! გადაირია ხალხი, მაშ რა არის! მოგვაშორეთ ეგ ყინყლიანი ხალხი, მოგვაშორეთ!—გაჰკიოდა გაკაპასებული დედაკაცი.

— ჰაი, ილოავ, შე ბებერო მოლოავ, შენა! ვათოკილს მომასწარი და დიდგულადა ხარ, განა?—გადმოსძახა კანკორამ, კბილები გააქრაჰუნა, გაიწამოიწია და თოკს ტაკატკუტი დააწყებინა.

მილიციონერები მაშინათვე მისცვიდნენ და ხელები მაგრა გაუჭირეს.

— გასათოკი ეგ არის, მოსაკლავია!—გაისმა აქა-იქ ხმები.

— შენ-ეი, ზალიკო, დედაკაცებს რომ ამოჰვარებიხარ და ისე იმუქრები, თუ ბიკი ხარ, აი ასე სააშკაროზე გამოდი!—გადანსძახა ილოამ.

— ვინაო? ზალიკოვო?—(ქვეტა ყურები მილიციის უფროსმა, აბა შენ, ეი, ერთი ის ზალიკოც გათოკეთ!

— მაშაგეცხონდა, დიხა!—შეპყვირა ზალიკომ და სანამ ცხენის მინი შოლიციონერი ხალხის ბრბოს შემოურბენდა, ორობისკენ დაეშვა და თავი ტყეს შეაფარა.

— აჰ, გაგვეპარა ის თხუნელა, ისა!—ბოლმით ჩაილაპარაკა მილიციის უფროსმა.—აბა, გასწით!—მიუბრუნდა მილიციონერებს უფროსი.

— მოიცათ, ხალხო, მოიცათ პატარა!—წამოიძახა ხალხის შუა წრიდან მოხუცმა ბერიკამ,—მიმიყვანეთ ერთი იმ ყმაწვილთან!.. ორი სიტყვა მათქმევინე, აგრემც გაიხარებს შენი სული!..

— რა გინდა, ბერიკავ, სთქვი ჩქარა!—მოუთმენლად მიუბრუნდა მილიციის უფროსი ბერიკას, აღვირს დასწია და ცხენი მოხუცისკენ შეაბრუნა.

ბერიკა წინ წადგა და ბარბაცით კანკორასკენ წავიდა.

— სადა ხარ, ბიჭო? სადა ხარ?—ლულულუღებდა უსინათლო ბერიკა და ხელებს აცეცებდა.

ბერიკა კანკორასთან მიიყვანეს.

— შეილო, კანკორ! უბედური დედი შენის ცოდვაში ნუ ჩადგები, შეილო! მართალი სთქვი! შენ მოკვალი?

— შე მოკვალი!—მტკიცედ უბასუბა კანკორამ და წელში გასწოდა.

— აბა, გასწით, სალაპარაკო აღარაფერია!—გადასწყვიტა მილიციის უფროსმა და მოუსვენრად ატოკებული ცხენი ყალყზე შეაყენა.

ხელეზგაკრული კანკორა ცხენოსანმა მილიციონერებმა შუაში ჩააყენეს და გზისკენ გააგდეს...

* *

ქაიხოსრო შავგულიძის გვამი ილო თანდილაშვილმა ურემზე დაუდო, ქება გადააფარა და სახლში გადაიტანა.

სოფელი ღრმა დუმბილში გაეხვია.

მორღებულ ცაში პირველი ქუხილი გაისმა და მოახლოვებული გრიგალის მოლოდინში ხალხი როგორღაც მიყურდა, გაირინდა.

ბნელს ღამეში აქა-იქ კიდევ ისმოდა თავშეკავებული ჩურჩული. მალე ეს ჩურჩულიც მისწყდა და მშფოთარე დღის მღელვარებით დაქანცული სოფლები ძილმა მოიცვა.

ამ ბნელსა და ნესტიან ღამეში მარტო ერთს არსებებს არ ეძინა, ეს არსება ტილურა იყო. ტილურა ქაიხოსროს ეზოში ჩაუტყულოყო და დარაბებ-გამოკეტოლ, ჩაბნელებულ სახლს ძალივით შეჭმლოდა...

ადამიანები



და ფაქტები



ბ. მდივანი

კალესუხა

(წიგნიდან „ბირობიჯანი“)

შვიდასი კილომეტრი ძვირად დამჯდარი შარა გზა გაჭრილი შორეულ-აღმოსავლეთის ტაიგებსა, ქაობებსა და კლდეებში.

რამდენი ათასი ნიჭიერი ადამიანის ძელებია ჩამარხული ამ გზის გასწვრივ! ამ გზას ჰქვია კალესუხა.

კალესუხა შიდასი შუა ბირობიჯანზე—ამურამდე.

კალესუხა გაჭრილია და გაყვანილია მეფის ხელისუფლების პოლიტიკური ტყუილების მიერ.

რამდენ მოწინავე რევოლუციონერ რუსს, უკრაინელს, ქართველს, ებრაელს და სხვას, დაუღევია სული ამ გაუვალ ტაიგებში საკატორლო მუშაობებზე!

კალესუხას ეძახიან ადამიანთა ძელებზე აგებულ გზას.

ეძახიან გრძელ დაუღვე ძმათა სასაფლაოს, რომელიც არ დაუტირია არც ერთ დედას—დასაფლაოს, რომელსაც არ უგრძენია ცრემლთა სითბო და რომლის საგალობელს წარმოადგენდა ტყის ნადირის ღმუილი და ტაიგის ველური გუგუნე.

ეს ამბავი მოხდა პატარა ხინგანის გასწვრივ,—ბირობიჯანის ოქროს სარეწაოებზე.

ოქროს სარეწაოებსაც აქვს თავისი რომანტიული მხარეები.

მუშაობა სანარღოა და თვითვე ოქროს მძებნელს შეუძლია შეძლებული ადამიანი გახდეს. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენ ოქროს მოძებნის და რამდენს ჩააბარებს „სოიუზზოლოტო“-ს.

თვითვე ოქროს მძებნელი ცდილობს და ოცნებობს როგორმე წააწყდეს ბუნებრივ ოქროს ნაქერს, რომელიც ზოგჯერ რამოდენიმე გირვანქას იწონის.

ორმოციოდე ჯანსაღი ებრაელი ახალგაზრდა მუშაობდა ოქროს სარეწაოებზე.

ფხვიერი ოქრო ნარევი სილა ბარებიდან და ნიჩბებიდან გადადიოდა წყლის ღია მილებში და პატარა-პატარა საფეხურებზე რჩებოდა ბრკვევილა ოქროს ნაწილაკები.

დღე იწურებოდა...

ვეშაპმა ტაივამ მზე ჩაყლაპა და მზის დაკარგვაზე ტურები ატირდნენ. ხუთმეტრიოდე ვაჟაკი ბიჭი მუშაობას შერჩა.

არ მახსოვს იმ ახალგაზრდას რა ერქვა, მხოლოდ ის ვიცი, რომ ის უკრაინიდან გადმოსახლებული ებრაელი იყო. ერთ ამოთხრილ სილის ორმოში მან რამდენჯერ დატინებით ჩაარტყა ბარი და უკანასკნელად ლითონის ხმა ყრუდ გაიჩება. ახალგაზრდას სახე აღელვებულ მონადირესავით დაეკიმა.

— რას წააწყდი? — სიხარულით მოაყვირეს ბიჭებმა.

ახალგაზრდა გამოერკვია, სიხარულით აცახცახებულმა ვეფხვივით დაუწყო მიწას გამოლაღრა.

სულშეგულებული მისჩერებოდნენ ამხანაგები.

ვინ იცის იქნება სამგირვანჭიანი ან უფრო მეტი ოქროს ნაჭერი ნახონ. ვინ იცის რამოდენა სიმდიდრეს წარმოადგენს იგი.

რამდენი ოქროს მონადირე დაღუპულა ამ ძვირფას საპოვარის მოლოდინში! რამდენი წვრილი ოჯახი ატირებულა ტაიგიდან ოქროს მონადირის დაუბრუნებლობის გამო! რამდენი უბრალო ადამიანის სისხლი დაქცეულა პატარა ოქროს ნაჭრის გულისათვის!

სულგანაბული დაესიენ ამხანაგები და გარშემო მიწის შემობარვა დაიწყეს. ლითონის ყრუ ხმამ ერთხელ კიდევ გაიზუზუნა...

გაიზუზუნა, თითქოს ჰაერზე ოქროდ გადაიქცაო.

— გავკეთდით ბიჭებო!

— მე გამოვიწერ პალესტინიდან მოხუც მამას და დედას...

— მე უკვე უფლება მექნება ისინი ვაცხოვრო.

— მე შეუყერავ სარას ფარჩის კაბას, ხელს მოვაწერ და ცოლად შევირთავ.

— გახსოვს მოიშე, ბრაზილიაში დამკინოდნენ სიღარიბისა გამო და ბედოვლათს მეძახოდნენ. მე მათ ვურჩენებ...

და ბარმა უკანასკნელად გაიზუზილა. უკრაინელმა ებრაელმა ბარი ღრმად ჩაურჭო და წამოსწია.

ყოველ ადამიანს ერთხელ მაინც გამოუცდია სულიერი ზარი.

გაფითრებული და გაქვავებული იდგენ ახალგაზრდები.

უკრაინელი ებრაელის ბარზე ადამიანის ბორკილები და ეკიდა ბორკილების რგოლებში ადამიანის ორი გრძელი თეთრი ძვალი იყო გაჩრილი.

მზე ჩაწურულიყო...

ტურები კიოდნენ...

ტაივა ღმუოდა...

მაღალი მოხუცებული ფიჭვების ტანები, საკმევლის ზეთის ცრემლებით ტიროდნენ.

მხოლოდ ამ ასწლოვან ფიჭვებს ახსოვთ ამ ადამიანის დაღუპვის ისტორია.

ამ ფიჭვებს ახსოვთ როგორ მოიყვანეს ეს ჯანსაღი ადამიანი, მეფისჯარისკაცებმა ამ სამუშაოზე, როგორ გააძვალტყავეს... როგორ დაიმშა, დაიღუპა

და გადაიცვალა... როგორ აიღეს და ჩაფლეს მიწის ორმოში ბორკილიანი ადამიანის გვამი...

ახსოვთ ამ ფიქტებს...

მოაგონდათ ამ ადამიანის ისტორია და ატირდენ საკმევლის ზეთის ცრემლებით.

აღბათ სადმე რამოდენიმე ათასეული კილომეტრის მანძილზე ამ ადამიანის ძმები, დები და შვილები ცოცხლები არიან... ხშირად საუბრის დროს იგონებენ მას, მოუთხოვრებენ ყველას მის ვაჟაცობას.

ებრაელმა ახალგაზრდებმა ძელები ბორკილებიდან გაანთავისუფლეს. ფიქრების პატარა კუბო შეჰკრეს და პატარა მწვანე გორაკზე, სადაც მუშაობის შემდეგ დროს ატარებდენ, მიწა ღრმად გათხარეს და დაასაფლავეს.

ეს ამბავი მე ბეინფესტმა მიაშბო.

ზემოხსენებული ბორკილები ბირობიჯანის მუზეუმში ვნახე.

ბორკილებს გასაღები არ ჰქონდა და პირდაპირ იყო დაჭედილი.

მეფის ზარმაც ჯარისკაცებს დაჭედილი ბორკილების გაქლიბვა დაზარებიან და დატანჯულ რევოლუციონერისათვის ბორკილები სამარეში ჩატანებიან.

ბეინფესტი მეტად სიმპატიური ადამიანია, ის ბირობიჯანის ერთ-ერთი კოლუმპია.

ღამის პირველი საათი იქნებოდა როცა ბეინფესტმა ჩემთან ლაპარაკი დაასრულა.

ორმოციოდ წლისას, მუდამ მოლიმარს, ჩასუქებულს, მრგვალ ადამიანს ბავშური სიხალისე ახლავს.

მისი მეუღლის სახელი დამავიწყდა, ის ქალი ძალიან ჰგავდა თავის ქმარს, თვალ-ცრემლიანი მისჩრებოდა ქმრის საუბარს, ბოლოს გულუბევილოდ ამოიოხრა. შეწითლებულ ლოყებიდან ცრემლები მოიცილა და ჩაიბუტბუტა:

— ჩემი ძმა... ჩემი იოსკა... ციმბირში გადმოასახლეს და აქ სადღაც დაიღუპა.

ბეინფესტის მოგრძო ოთახი თამბაქოს კვამლით გაბურულიყო.

ერთ კუთხეში დათვის ტყავზე, დათვურათ ეძინა ორ ადამიანს.

ესენი იყვნენ ტაგიდან დაბრუნებული ტყის მუშები, რომლებსაც ზვალ პური და შაქარი უნდა წაეღოთ.



ქართველი ლიტერატორების მიხედვით

შოზე-მარია დე ჰერედია *

თარგმანი მიქელ კატარინის

სონეტები

არწივის სიკვდილი

თოვლით მოსილი რომ დასტოვა მალალი ველი,
და ფრთა გაშლილმა სივრცეებში იწყო ნავარდი,
შორს იტაცებდა, იზიდავდა მუქი ლაქვარდი,
მზის სიახლოვეს რომ გაეთბო თვალები ბნელი,
იწევდა მალა, ეხვეოდა სხივები მწველი,
თანდათან ზევით მიიწევდა ღრუბელთ თავადი.
სურდა გრიგალის სამფლობელო და ცის თავანი,
მაგრამ მოსტება ფრთები ზეცამ მრისხანე ელვით.
და საზარელი შიკრელებით, ვით ცეცხლის ზვაგი,
ქარიშხალივით წამოვიდა არწივი დაბლა,
ფრთებმონტყრული გადაეშვა ბრწყინვალე ნაპარას.
ბედნიერია, ვინც დიდებას შესწირა თავი,
ვისაც ეს გული თავისუფლად, ამაყად უცემს.
და ილუბება ბრწყინვალეობით და ასე უცებ.

*) შოზე-მარია დე ჰერედია დაიბადა 1840 წელს და გარდაიცვალა 1905 წ. ქ. პარიზში. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ის ეკუთვნის პარნასელთა სკოლას ლექონტ-დელილთან, ფრანსუა კოპსთან და სიულვი პრიუდომთან ერთად.

ამ სკოლის პირველი გამოცემა მოხდა დაახლოებით 1866 წელს, როცა გამოვიდა ჟურნალი — „Parnasse Contemporain“ (თანამედროვე პარნასი). თავდაპირველად ამ სკოლის პოეტებს აბასიათებდათ პირადად განცდების, ემოციების არ გამოვლენება ლექსებში. ლექსის ფორმას უნდა მიტყეოდა განსაკუთრებული ყურადღება.

ჰერედია თავის ერთადერთ წიგნში, რომელსაც სახელად უწოდა „ტანოფები“, იძლევა 118 სონეტს. ამ სონეტებში მოცემულია კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა მომენტები დაწვრილი მითოლოგიური ხანიდან. დავიწყებული კულტურები, ძეგლები, ქალაქები და გმირები კვლავ ცოცხლებიან 14 სტრიქონიან პოემებში, რომ შეტყმან ერთი დიდი პოემა ცხოვრების მუდმივი ცვალებადობის შესახებ.

სიტუა*ის ნათელი გაშლა, ვმირების და გპოქის ზასიათის გაცება, ლექსის ზუსტ ფორმაში ჩამოყალიბება, სურათოვნება, პლასტიურობა, ლექსიკონის სიმდიდრე, შინაარსის და ფორმის ორგანული შედუღება—აი მთავარი დამახასიათებელი მომენტები ჰერედის პოეზიისა.

კლასიკოსების დაუფლებიის ამოკანა შოითხოვს, რომ ჩვენმა საბჭოთა მწერლობამ გაიცნოს და შესწავლოს კიდევ პარნასელთა სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის პოეზია.

ნიმუხის ბანაობა



სადაც მზე სხივებს ჩეროს კარვებს ველარ აკარებს,
და წყაროს თავზე შავი დაფნის ჩამდგარა ჩრდილი,
ნიმფა, ტოტებზე დაკიდული, ჩუმი და ფრთხილი,
ეთამაშება ცივ ტალღებს და თანაც კანკალებს.⁷⁰⁷

განავარდებულ აღის გუნდებს რა დააკავენს,
რომ ბუკის ხმაზე გადაცვივდნენ წყალში ამ დილით...
აქაფებული გარს ეხვევა ტალღები რბილი
ტიტველ თეძობზე, ვარდის მკერდებს, კისერს და კავენს.

იქ ღვთაებრივი სიხალისის ნათელი მზეა,
მაგრამ ანაზღათ ტვერის ჩრდილში ინთება მზერა:
ეს სატირია... და ხარხარით მიდამოს ავსებს.

გარბიან შიშით... უცებ სწყდება თამაში წმინდა.
ყვავის ჩხავილზე იფანტება უეცრად ასე
დაფეთებული გედის გუნდი პაისტრის წყლიდან.

ნ ე ს (NESSUS)

და მაგონდება ჩემი ძმები, ყველა რო მგავდა,
ჩემი ცხოვრება ბედნიერი და უზრუნველი,
მთა თესალიის—სამფლობელო შემობურვილი,
ნაკადებით რომ მიგრილებდა ოქროსფერ გავეს.

იქ ვიზრდებოდი ნაზი, ლალი; მზით სავეს ჰავა
ფანტავდა ფაფარს, ნესტოები ფეთქდენ შუილით.
მხოლოდ ფაშატი ეპირელი ვნების წყურვილით
აატროვებდა მიყუჩებულ გრძნობების დავას...

როცა სტიმფალელ მშვილდოსანის ტრფიალით მთვრალი
მკლავზე აღერსით მომიღიმარე მეუღლე ვნახე,
მას შემდეგ ნდობა არ მასვენებს, მწეავს ვნების აღი.

სასტიკი ღმერთის მოგონებას წყვეა და კრულვა:
მან გაზაფხულზე, როცა სისხლი თეძობებს არხევს,
კაცური ტრფობა თავს დამაცხრო ატეხილ ურას.

მკვლარი ქალაქი



Cartagena de indias
1532—1583—1697

ბნელი ქალაქი^{ით}; აქ ისმოდა მკაცრი ბრძანება...
დღეს-კი ვეშაპი იმის ზღვაში მარტო ნადირობს,
ლორბლების ჯოგი გაწვიმებას თითქოს აპირობს;
და არსად მოსჩანს უზარმაზარ ვემის ანძები.

როცა ინება ბრიტანელმა აქ მობრძანება
კედლებს და კოშკებს გამონგრეულს ვინლა დაინდობს?
და ისე შეენის ტრილობები ამ ქვის რაინდებს
ვით სამკაული გადამზული ძვირფას ძაფებათ.

ზღვისა და ზეცის შორის სდგებარ, დარაჯი ჩემი.
მზეზე ელვარე ოკეანის შენ ისშენ დღემილს
და გაგონდება მეომრები, კონკვისტადორნი;

როდესაც ღამე მოთენთილი ბალახებს ნამაეს
შენ სახელს დამქრალს თავს ევლება ქარის ამბორო
და გადაშლილი პალმები-კი გიმღერენ ნანას.

სამშური

მოთენთილ ზელით აქლერებდა წკრილა ბივას,
რომ შამბნარიდან მოელანდა ჯავშნით რაინდი.
ზღვაზე სხივებით ანთებული იდგა ამინდი
როცა მფლობელი მისი ფიქრის მოადგა ბინას.

ის არის სწორეთ: ორი ხმალი, მარაო ბრწყინავს,
სირმის, ფოჩების და ჯავშანის ედება ბინდი,
და როცა ნელა ეს ვაეკაცო ნაპირით მიდის
ტოკუნგაური ფარი ელავს, ვით სარკის მინა.

და მეომარი უცნაური, ჯავშანის ქერკლით,
ელმოდებული ზრინჯაოთი, ატლასით ვერცხლით
ზღვის ზვირთებიდან მოვლენილი იყო არსება.

ქალს თვალი მოჰკრა: მიესალმა ღიმილით, მზერით
ფეხს აუჩქარა და სხივების ოქროს დასებმა
ააელვარეს ორი ბრწყალი ზარადის ზევით.

ტრეზია*



დილამ მოჰქარგა მწვერვალები თეთრი მანდილით...
 დგება ბანაკი და მდინარის ისმის გრიალი;
 წყალზე ნუმიდელ ესკადრონთა ორომ-ტრიალი,
 და ყოველ მზრიდან საყვირების გამოძახილი.

არად ჩააგდო სემპრონიომ ავგურთ ქადილი,
 მათი სიტყვები, ტრეზია და ქარი, გრიგალი;
 წარსული ძლევეთ ნათავხედი გულით ზვიადით,
 ბრძანა: აღმართეთ ლიქტორებო ბასრი მახვილი.

ალი ედება ჩაბნელებულ, სევდიან ზეცას,
 ინსურბთა სოფლებს გაწმავებით ხანძარი ლეწავს
 და სპილოების ბლავილითა ბორგავს ბანაკი.

ხიდის ქვეშ მარტო, მიყრდნობილი თაღების აგურს
 ჩაფიქრებული ჰანიბალი უსმენს ამაყი,
 მიშავალ ჯარის მოზღვავებულ ფეხების ხმაურს.



* ტრეზია—მდინარე იტალიაში, სადაც ჰანიბალმა დაამარცხა რომის სარდალი სემპრონიუსი.

ალექსანდრე პუშკინი

თარგმანი ზაჩხოლ ცაცხლაძის

ვეგენი ონგინი

თავი პეტეჟი

Fare thee well! and if for ever,
Still for ever, fare the! well.

Byron*.

I.

იმ დროს, როდესაც დაუნავარდობდი
ლიცეის ბაღში მე უდარდელი,
როცა ციცერონს არ ვკითხულობდი,
აბულეის კი ვიყავ მკითხველი,
იმ დროს საამო გამოზაფხულზე,
იღუმალ ველში, გედის ყივილზე,
იქ სად მდინარე ივერცხლებოდა,
მუზა პირველად მეცხადებოდა.
ის სტუდენტური ჩემი სენაკი
უცებ გაბრწყინდა და მუზამ მასში,
შეჰქმნა ქეიფი, შეჰქმნა განგაში;
უმღერა ლხენას ბავშურ ასაკის,
კვლავ მოგონებას წარსულ დიდების
და მღელვარებას გულის სიზმრების.

II.

ხალხი ღიმილით შეხვდა მუზას ნორჩს
და აღფრთოვანდით ჩვენ წარმატებით;
მოხუც დერეჟავის ალარ გამოვჩინით,
მან სიკვდილის წინ დაგვლოცა ქებით.

.....
.....
.....
.....

*) მშვიდობით, თუნდაც სამუდამოდ, გზა მშვიდობისა.



III.

რადგან არ ვცნობდი სხვა რამ კანონებს,
 მხოლოდ ვნებათა სურვილებს გარდა,
 ვიზიარებდი მე ხალხის გრძობებს
 და ცელქი მუზა ჩემი დამყავდა
 სად იყო ლხინი, კამათი მკვეთრად,
 და ათენებდენ ღამეებს თეთრად,
 იქ სად ვიჭერი იყო განგაში,
 მიჰქონდა მუზას თავის ფეშქაში,
 როგორც ვახკანკა იყო თამამი,
 სუფრას აღხენდა მისი გალობა
 და წარსულ დღეთა ახალგაზრდობა
 იმას დასდევდა დღითა და ღამით,—
 მე ვამაყობდი, ლაღით და წრფელით
 ჩემი მეგობრით დაუდგრომელით.

IV.

მაგრამ ჩამოვრჩი მე იმათ კავშირს
 და შორს ვავიქეც... მუზა მომდევნდა
 ალერსიანი და ძლიერ ხშირად
 ის მოწყენილ გზას მიხალისებდა
 იღუმალებით გრძნეულ ზღაპრების;
 ის ხშირად გზებზე კავკასის მთების,
 ლენორას სახით, ნათელ მთვარეში,
 ცხენზე მჯდომარე მე მიდგა გვერდში;
 ნაპირებზედაც ძველ ტავერდისა
 მიყვავდი ხშირად ღამის წყვედიადში,
 რომ მომესმინა ტალღების ხმაში
 ნელი ჩურჩული ნერეიდისა;
 ღრმა და მარადი გუნდი ზვირთების,
 პიმნს რომ უძღვნიან შემქმნელს ქვეყნების.

V.

დაივიწყა რა ლხინი, განგაში
 და დიდ ქალაქის მან ბრწყინვალეობა,
 ნახა მოწყენილ მოლდავიაში
 ღარიბ კარვებში მშვიდი ცხოვრება;
 მოხეტიალე ხალხთა ტომების,
 და იმათ შორის გაველურდა ის;
 მან იავარყო სიტყვა ღვთის პირის,
 რომ შეესწავლა ენები მწირო

და საყვარელი სიმღერა ველის...
მაგრამ გარემო ირგვლივ იცვალა
და როგორც ქალი პროვინციელი
ის კვლავ ჩემ ბაღში გამოჩნდა ხელად;
კაეშნიანი თვალი უბრწყინავს,
ხელში ფრანგული წიგნი უჭირავს.



VI.

მე ის პირველად მოვიყვანე დღეს
განათლებული ხალხის რაუტზე;
გაშლილ ტრამალთა მის სილამაზეს
მე იქვენულად და შიშით ვუმზერ.
მჭიდრო რიგებში არისტოკრატთა,
კოხტა მხედართა, ძველ დიპლომატთა
და ამპარტავეან დამებთა შორის
გაუბედავად გაერია ის;
და უკვირდება, დიდი ხალისით:
ქალების კაბებს, საუბრის ენას,
ახალ სტუმართა კვლავ გამოჩენას
წინაშე ახალ დიასახლისის,
და მუქ ჩარჩოებს მამაკაცების
ქალების ირგვლივ, ვით სურათების.

VII.

მას დიდად მოსწონს წეს-მორთულობა
ოლიგარხიულ საუბრებისა,
მშვიდ სიამაყის ეს გულგრილობა,
ზავი წელთა და ხარისხებისა.
მაგრამ ამ რჩეულ ბრბოში ვინ არი
რომ დაღვრემილი ჩანს და მდუმარი?
თითქოს უცხოა, ერიდებიან
და სახეები მის წინ კრთებიან,
ვით მოჩვენება რამ მოსაწყენი.
რა ჩანს, სპილნი თუ ზვაობის ლაქა
იმის სახეზე? რა უნდა აქა?
ვინ არის იგი? ნუ თუ ევგენი?
ნუ თუ ისაა?—რაღა თქმა უნდა.
დიდიხანია ნეტა დაბრუნდა?

VIII.

ისევ ისაა, არ დაცხრა ნეტა?
თუ ჰამპულაობს კვლავ ნება-ნება?
მითხარით როგორ დაბრუნდა ჩვენთან?
ნეტა რა სახით მოგვევლინება



ის ჯერ-ჯერობით? ნუ თუ მელმობტად,
 კოსმოპოლიტად, ან პატრიოტად,
 ფარისევლად თუ ჩაილდ გაროლდათ,
 თუ სხვა რამ ნიღაბს ატარებს კობტად,
 ან თუ უბრალო კაცი კეთილი
 გახდა,—როგორც მე, შენა და სხვები?
 ჩემი მხრით მაინც გავუპირდები:
 უარყოს მოდა აწ გაცვეთილი,
 კმარა ქვეყანა მან აბეზრა რაც...
 — თქვენ იმას იცნობთ?— „პოცა და არაკ!“.

IX.

— რატომ მის სახელს აგრე გულძვირად
 ეხმარებით პასუხით ცივით?
 ნუ თუ იმიტომ რომ ძლიერ ხშირად
 ჩვენ ყველაფერზე ვდაობთ და ვჩივით,
 რომ ფიცხი სულის მოუთმენლობა,
 ჩვენს თავმოყვარულ არაბობას
 ან გააცინებს, ან შეურაცყოფს,
 რომ ჭკუა, რადგან მოითხოვს ფართობს,
 ჩვენ გვევიწროებს, რომ ხშირად ქაქანს
 ჩვენ ვაძლევთ დიდ რამ საქმეთა იერს,
 რომ სილულე ავია ძლიერ,
 რომ დიდი კაცი საჩხუბარ საგანს
 დიდს ირჩევს; ჩვენ კი განსაზღვრულები
 ვართ და მძიმე ტვირთს ველარ ვკისრულობთ.

X.

ბედნიერია სიჭაბუკეში
 ვინც ჰაბუკობდა, გამოიწაფა,
 დამოწიფულდა შესაფერ წლებში
 და განიცადა ცხოვრების ჯაფა;
 ვინც არ გადაჰყვა ზმანებებს უცხოს,
 არ გაურბოდა განათლებულ ბრბოს;
 ოცი წლის გახდა ფრანტი ფზიანი,
 და ოცდაათის—ცოლშვილიანი;
 ორმოცდა ათის როდესაც იყო
 აღარ ჰყოლია მევალები,
 ვინაც სახელი, ფული, ჩინები
 შწვიდად, თავ-თავის დროზე მიიღო,
 ვისზეც ამბობდა თაობა მთელი:
 N. N. კაცია ჭკვიანი, ქველი!

XI.

მაგრამ სადარდო არის ის ფიქრი,
რომ სიკბამუკე ვერ მოვიხმარეთ,
რომ ვლალატობდით სიყრმეს ჩვენი მხრით,
რომ გვატყუებდა ჩვენ აგი მწარედ;
რომ უკეთესი ჩვენი ნდომები,
ნორჩი ოცნება და იმედები,
გაიხრწნენ როგორც ფურცელნი ხისა,
მსხვერპლნი დამძალი შემოდგომისა.
აუტანელი არის ხედავდე
შენს წინ სადილთა მხოლოდ გრძელ წყებას,
უამს გრძობდეს როგორც წეს-მსახურებას,
ბრბოს ტალღას შენაც უკან მიჰყავდე,
თუმც თქვენ საერთო არ გაქვთ სრულებით,
არც აზრები და არც სურვილები.

ქართული
ბიბლიოთეკა

XII.

საშინელია (დამეთანხმებით),
გახდეს საგანი აურ-ზაურის,
და კეთილ ხალხში გავრცელდეს ხმები,
რომ თვალთმაქცი ხარ შენ უცნაური;
ანუ მკმუნვარე ხარ დამთხვეული,
ანუ მახინჯი ეშმაკეული,
ან ჩემ დემონად დაგსახონ თუნდა.
ეგვიმ (კვლავ მსურს მას დაეუბრუნდე),
შეგობარი რომ განგმირა ტყვიით,
დარჩა უმიზნოდ, არაფრის მქნელი,
მეოცდაიქვსე გაუხდა წილი,—
წუხდა მკონარე მოცალეობით;
ვერც იმსახურა, ვერც დაცოლშვილდა,
ხელი ვერაფერს ველარ მოჰქიდა.

XIII.

მოუსვენრობა დასჩემდა ავი,
სურვილი მუდამ ადგილების ცვლის
(თვისება იგი მეტად მტანჯავი
ნებაყოფილი ჯვარი ზოგისთვის).
მან მიატოვა თავის სოფელი,
განმარტოება, მუუდრო ტყე-ველი,
სად სისხლიანი ლანდი მწუხარე
ეცხადებოდა ყოველ კისმარე.



უმინო მგზავრი უცხო გზებს გაჰყვა,
რომ გაეთანტა მწუხარე გრძნობა,
მაგრამ სულ მალე მას ეს მგზავრობა
მოსწყინდა როგორც ყოველივე სხვა.
იგი დაბრუნდა უცხო მხრიდან და
მოხვდა ვით ჩაკეი ბალზე გემიდან.

XIV.

მაგრამ აჰა ბრბო შეირხა და თან
დარბაზს მოედო ნელი ჩურჩული...
დამა მივიდა დიასახლისთან
და ლენერალი პატივეცემული.
ქალი არ იყო აჩქარებულნი,
არც ენა ყბედი, არც მოღრუბლული,
არ ჰქონდა მზერა ურცხვი, თავ-ნება,
არ ემჩნეოდა ამპარტავენება;
ამ წვრილმან პრაქვა-გრების უმისოდ,
გარეშე ყოველ მიმბაძველობის...
უბრალოებით თვალს ხიბლავდა ის.
გეგონებოდათ ასლი არისო
Du comm il taut-ს... (შიშკოვ) არ დამგმო
არ შემიძლია რომ გადმოვთარგმნო.

XV.

წინ მიეგებნენ ბანოვანები,
ლიმილით შეხვდენ დედაბრებიც ქალს,
თავს მდაბლად ხრიდენ მააკაცები,
მის გამოხედვას აღევნებდენ თვალს;
ქალიშვილები ჩუმად, თავმდაბლად
უვლიდენ ახლოს;—ყველაზე მალლა
ცხვირს და მხრებს სწევდა ის ლენერალი,
ვისთანაც ერთად მოვიდა ქალი.
რა ტურფააო არეინ იტყოდა
იმ ქალზე, მაგრამ ვერც თუ ვერაეინ,
თავით ფეხამდე მისი მხვერაეი,
ვერ უპოვიდა ნაკლს, რასაც მოდა,
მაღალ წრეებში ლონდონის დიდის
უწოდებს Vulgar-ს არ გამომიდის...

XVI.

თუმცა ეს სიტყვა ძალიან მიყვარს,
მაგრამ მე თარგმნა ვერ შევძელ მისი:
ჯერე ის ჩვენში ახალი არის,
იქნებ არც გახდეს პატივის ღირსი.



მოუდგებოდა ის ეპიგრამას...
 მაგრამ მიუხედავად იმისა ჩვენს დამას.
 დაუდევრელ და ნარნარ მშვენიერებით,
 ის უსხდა სუფრას. და იმის გვერდით
 ევროპისკაია ნინა ბრწყინავდა,
 ის კლუბატრა ჩვენი ნებისა,—
 მაგრამ სიტურფით მარმარილისა
 თავის მეზობელს ის ვერ ჩრდილავდა,
 თუმც უდაოა და უმკველი,
 რომ ნინა იყო თვალის მომპრელი.

XVII.

„ნუ თუ?—ვეგენი გულში ფიქრობდა—
 „ნუ თუ ისაა? სწორედ...ო, არა...
 როგორ! მივარდნილ იმ ყრუ სოფლიდან“...
 და მღელვარებით ის წარა-მარა
 ლორნეტით უკერეტს დაბეჯითებით,
 დავიწყებული უკვე ნაკეთები,
 ვინც მოაგონა ბუნდოვანად მას.
 „თავადო, მითხარ ა, იქ ვინა დგას,
 ქალი ბერეტით მაყვალისფერით,
 ესპანელ ელჩს რომ ესაუბრება?“
 ლენერალი მას მიაჩერდებოდა:
 შენ მართლა უცხო გაგვიხდი, პერი!
 დამაცა შენ მას გაგაცნობ ეხლა!
 „მაინც ვინ არის?—ჩემი მეუღლე.“

XVIII.

„მე არ ვიცოდი, კოლი გყავს განა!
 დიდხანია?“—ორი წელია.
 — „გვარი?—ლარინა.—„ა, ტატიანა?“
 — შენ იმას იცნობ.—„მეზობელია“.
 — ო, მაშ წამოდი.—და თავის კოლთან
 თავადი მიდის, მიუყვანა თან
 მეზობელი და დოსტი თავისი
 კნენა თვალში უკეტრის იმას...
 თუმც სულის ღელვას ის გრძნობდა ძლიერს,
 თუმც ატორტმანდა იმისი გული,
 ულოდნელ ნახვით გაოცებული,—
 ღელვა არ აჩნდა გარეგნულ იერს:
 ჩვეულებრივი საღამოთ, დინჯად,
 ის მიესალმა ევგენის მშვიდად



XIX.

არა თუ თართოლამ არ აიტანა,
 და არ ეცვალა უცებ ფერი მას...
 წარბეზიც ოდნავ არ შეაქანა,
 ბაგეებიც კი არ მოუკუშავს.
 თუმც მიაჩრა ბეჯითად თვალი,
 მაგრამ წინანდელ ტანიას კვალი
 ველარ იპოვა ევგენიმ მასში.
 გამოეწვია სურდა ბაასში
 მაგრამ ვერ შესძლო. ქალმა ჰკითხა მას:
 „დიდიხანია აქ ხართ, საიდან.
 ხომ არ მოსულხართ ჩვენი სოფლიდან?“
 შემდეგ გულგრილად მიაჩრა ქმარს
 მოღლილი მზერა გაეცალა და...
 ევგენი დარჩა, უძრავად, საბტად.

XX.

ნუ თუ ეგ მართლა ის ტანია არის,
 რომელსაც იგი განმარტოებით,
 მეოთხე თავში ჩვენი რომანის,
 იმ ყრუ სოფელში, გულმოდგინებით,
 როს გაეტაცა ლმობიერებას,
 აძლედა რჩევას და დარიგებას,—
 და ვისგანაც აქვს მას შენახული
 ბარათი სადაც მეტყველებს გული,
 სად ყველაფერი აშკარად სჩანა.
 ის გოგონაა... ან თუ სიზმარში
 ხედავს... გოგონა, რომელსაც მაშინ
 არაფრად სთვლიდა,— ისაა ვანა?..
 ნუ თუ ის იყო მის წინ ამ წამით
 ასე გულგრილი, ასე თამამი?

XXI.

ონეგინ რაუტს ტოვებს, სიჩქარით
 ჩაფიქრებული სახლში ბრუნდება;
 ოცნებით მწარით და ხან ნეტარით
 მისი გვიანი ძილი შფოთდება.
 გამოიღვიძა. წიგნი მიატოვეს:
 ამ საღამოთი მას ვახშმით იწვევს,
 თავადი N. ლმერთო! იმასთან!
 ო, წავალ, წავალ!.. ამბობს ის და თან

მას საპასუხო მზად აქვს წერილი.
 რა ბურანშია? რა ემართება?
 რამ შეარყია, რითი ენთება
 იმისი სული ზანტი და გრილი?
 გულ ნაკლულობამ? ზრუნვამ ჩვეულმა?
 თუ გაიღვიძა კვლავ სიყვარულმა?



XXII.

ონეგინ ისევ ითვლის საათებს,
 ისევ ესწრაფვის დასასრულს დღისა.
 ჰა, ათმა დაჰკრა,—ეტლი ისხამს ფრთებს
 მიჰქრის, კარებთან უკვე ჩანს ისა;
 კნეინას თრთოლვით უახლოვდება,
 მას ტატიანა მარტოკა ხვდება,
 პირისპირ სხედან რამდენიმე წუთს;
 არ მოდის სიტყვა. ონეგინი წუხს,
 იგი გულშიძიმე და უხერხული
 ძლივ-ძლივ ახერხებს ამოღებას ხმის
 რომ ტატიანას გასცეს პასუხი,—
 ჯიუტი ფიქრით არის გართული.
 დაჟინებულად უცქერს ის,—ქალი
 არის მშვიდი და თავისუფალი.

XXIII.

შემოდის ქმარი და წყდება მათი
 იგი tête-à-tête არ სასურველი.
 ქმარს ონეგინთან აქვს მასლაათი,
 მათ აგონდებათ ამბები ძველი.
 აჰა შეგროვდენ უკვე სტუმრები
 და მოხდენილმა ქირდვამ, ხუმრობამ
 უცებ ხალისი მოჰფინა დარბაზს,
 დიასახლისის წინ კინკლაობაც
 არ იყო უშნო და გაბღენძილი,
 ამასთანავე სწრაფად სცვლიდა მას
 მსჯელობა უფრო მაღალ თემაზე
 რომ პედანტობის არ აჩნდა ჩრდილი,
 არ ესობოდა ყურს როგორც მკვალის,
 მისი სიმკვირცხლე თავისუფალი.

XXIV.

გვარის და მოდის უცხო თარგები,
 დარდიმანდებიც იყვნენ აგრეთვე.—
 ყოვლად საჭირო არამზადები,
 რომელთაც ყველგან შეამჩნევდით თქვენ:



ხანში შესულნი უკვე დამეზი,
ჩეხეციო, ვარდით, სახით ავეზი;
მათთან ასულნი უძრავად მახდარნი,
პიროვნებანი გაულიმარნი;
იქ იყო ელჩი, —ლაპარაკობდა
ის სახელმწიფო ამბებზე მკვეთრად;
იყო მოხუციც წვერებით თეთრით,
რომ ძველებური წესით ხუმრობდა:
კვუა მახვილად სჭრიდა უცილოდ,
რაც ეხლა, ოდნავ ჩანს სასაცილოდ.

XXV.

იქ ეპიგრამის იყო ძმობილი,
გაჯავრებული მუდამ ბატონი:
აღარ მოსწონდა მას ჩაი ტკბილი,
ქალთა სიჩლუნგე, ვაყების ტონი,
აზრი ბუნდოვან რომანზე თქმული;
გაბრაზებული იყო ის ომზე,
ჟურნალთა ქორზე და თავის ცოლზე.

.
.
.
.

XXVI.

იქ იყო***, ვინც დაიმსახურა
სახელი თავის გაიძვერობით,
ყველა ალბომი ეინაც გამურა
St. P. შენი ფანქრის წვერებით;
სხვა დიქტატორი ბალის კარებში,
როგორც სურათი ჩვენს ჟურნალებში,
იდგა ლაქლაქა ქურებისსავით,
გამოქიმული, უტყვი, უძრავი.
და მოგზაურიც გადმოვარდნილი,
ურცხვი მორთული განახამებში,
სიცილის იწვევდა ყველა სტუმრებში,
ტახნადობაზე ზრუნვა სიფრთხილით;
და ჩემი ცქერის გაცვლა ნიშნავდა,
რომ იმ უხიავს ყველა ჰკიცხავდა.

XXVII.

მაგრამ ონეგინ ტატიანაზე
ფიქრობდა მხოლოდ, საღამო სრული,—
არა იმ ქალზე გაუბედავზე,
რომ იყო მორცხვი შეყვარებული;



დღეს ის კნინას კვრეტდა თავნებას,
 მიუწოდომელს და გულგრილ ღვთაებას
 დიდად მედიდურ მეფური ნევის.
 ო, ხალხნო! ყველა თქვენ ჰგეგხართ ევას,
 მას ემსგავსებით ვინაც დაგბადათ:
 რაც რამ გეძლევათ—არ ხართ მსურველი,
 თქვენ უსათუოდ გეძახით გველი
 აკრძალულ ხესთან, იქ მოგდით მადა—
 თქვენ გინდათ ხილი აკრძალული ხის,
 ისე არა გწამთ ფასი სამოთხის.

XXVIII.

ტატიანა როგორ გამოიცვალა!
 რა მტკიცედ არის როლში შესული!
 მაღალ წოდების წესი და ვალი
 რა რიგ კარგად აქვს შეთვისებული.
 ვინ გაბედავდა ამ ქალბატონში,
 რომ მედიდური აქვს ქცევა, ტონი,
 ეცნო გოგონა სათუთი გულის?
 და გახსოვთ სწავდა მას სიყვარული
 ეგგენისადმი! იგი მთელ ღამეს,
 სანამ შორფეი მოფრინდებოდა,
 დაღონებული მართოდ ჯდებოდა,
 სულგანაბული უცქერდა მთვარეს,
 და ოცნებობდა მუდმივად მასზე,
 ოდესმე მასთან შეერთებაზე.

XXIX.

ტრფობას ჰმორჩილებს ყველა ასაკი,
 მაგრამ სიკეთე მისი სხვა არი,
 როცა აბორგებს ის გულს უმანკოს,
 ვით გაზაფხულზე მინდორ-ველს ქარი:
 ვნებათა თქეშით რომ სველდებიან,—
 კვლავ ახლდებიან და მწიფდებიან,—
 და მძლე ცხოვრება, ქვეყნის შესამკობს,
 გვაძლევს უცხო ფერს და დამტკბარ ნაყოფს.
 მაგრამ როს ვდგებით სიბერის გზაზე,
 უღელტეხილზე ჩვენი ცხოვრების
 საბრალო არის კვალი ვნებების:
 ასე ქარ-ბუჭი შემოდგომაზე
 მშვენიერ მინდვრებს აატალახებს
 და გაატიტვლებს ტყეებს და ბალებს.

XXX.



უძველია: ეჰა! ევგენის
 ტატიანა უყვარს როგორც ნორჩ ყმაწვილს,
 ტრფობაზე ფიქრი და სევდა სდევნის,
 დღითა და ღამით იგი უფროზობს ძილს.
 და რომ ართმევედა საცნაურს სევდა,
 ქალის სახლისკენ იგი გასწევდა,
 ყოველ ცისმარე იქ იყო ისა
 და მას დასდევდა მსგავსად ლანდისა,—
 ბედნიერია თუ მოახურა
 კნენიას მზრებზე ბუთუთა ბოა,
 ან თუ ისეთი შემთხვევა ჰპოა,—
 მის ხელს შეეხოს, ან თუ მსახურებს
 ის მიწვევ-მოწვევს შეყრილებს მასთან
 და, ვთქვათ, ცხვირსახოცს აულებს მასტად.

XXXI.

ქალი მას არც კი ამჩნევს სრულებით,
 რაც გინდა ჰქენი, მოკვდი თუ გინდა;
 სახლში ლებულობს ჩვეულებრივით,
 ხალხში ორ სიტყვას თუ ეტყვის მშვიდად;
 ხან მხოლოდ სალამს მისცემს, დაბრის თავს,
 ხან სრულიადაც ვერ დაინახავს:
 პრანჭიობა მასში არ არის,
 ამას ვერ ითმენს ტონი შალალ წრის.
 ევგენის უკვე ეკარგვის ფერი:
 ქალი ვერ ხედავს, ან არ ებრაღვის,
 ონეგინ ჰკნება, ემსგავსება ის
 ქლეჩით ავადნყოფს სახის იერით.
 ყველა უთითებს მას ეჭიმებზე,
 ან სამკურნალოდ გზავნიან წყლებზე.

XXXII.

მაგრამ არ მიდის. საიკიოში
 მისწერს წინაპრებს ის უწინარეს
 ადრე მოვალო; და ტატიანა
 არც კი იგონებს (ასეთი არის
 იმათი სქესი); ევგენი ჯიქობს,—
 იმედს არ კარგავს კვლავ მასზე ფიქრობს.
 სნეული ბედავს მეტს ვინემ შრთელი.
 კნენიას იგი ძალმიხდელი ხელით

სწერს უსტარს საესეს მძაფრი ვნებებით.
 თუმცა ბარათებს იგი საკმაოდ
 იტყვი უტყვრდა არა ამაოდ;
 მაგრამ როგორც ჩანს მწუხარებები
 ველარ დასძლია, — იყო დაღლილი.
 ჰა, მისი წიგნი სწორი, ნამდვილი.



ოგნბინის წერილი ტატიანასადმი.

„წინასწარ ვიცი: გაგანაწყენებს
 ახსნა სევდიან იღუმალეზის.
 ამპარტავენება თქვენი თვალების
 მწარე სიძულვილს აღმოაცენებს.
 რა მსურს? რა მინდა? და რა მიზნით გულს
 მე თქვენს წინაშე გადაეხსნი ამ წამს?
 იქნება რა რიგ ზოროტ სიზარულს
 მე ჩემი ქცევით ვაძლევდე საბაბს!

—:—

„როცა შემთხვევით ოდესღაც გნახე
 და სისათუთე აჩნდა თქვენს სახეს
 ვერ გავბედე მას ენდობოდი კარგათ:
 საამო ჩვევას არ მივეც ნება;
 მობეზრებული თავისუფლება
 არ მოვისურვე რომ დამეკარგა.
 მიზეზი იყო კვლავ ამის გარდა...
 დაეცა ლენსკი საბრალო მსხვერპლად
 და ყველაფრისგან რაც კი მიყვარდა,
 უცრად გული მოეწყვიტე მე მთლად;
 ყველასთვის უცხომ ასე გავსაჯე:
 აზატობა და მყუდრო გარემო
 შეედრება ბედს. ო, ღმერთო ჩემო!
 რა რიგად შეეცდი და დაეისაჯე!

—:—

„არა, თქვენ გპვრეტდე, თქვენთან რებული,
 ყველგან მიძლოდეს წინ თქვენი კვალი,
 ვიქტრდე თვალთ შეყვარებულთ,
 ბაგეთა ღიმილს, მონაქნევა თვალის.
 გისმენდე თქვენ და გაეგებოდეს
 ჩემს სულს სრულქმნილი მწვენიერება,
 მე თქვენს წინაშე სული მზდებოდეს,
 მთლად ჩავტრე... აი ბედნიერება!



„და მოკლებული ვარ ამას: თქვენთვის
მე ალალ-ბედზე დავებებები,
ძვირფასად მილირს წამი ყოველ დღის
და—ფუჭად ეხარჯავ, სევდას უნდება
ჩემი დღეები დათვლილი ბედით.
ისედაც შიშვე კვლავ მეტის-მეტად.
ვგრძნობ საუკუნე მაქვს განსაზღვრული;
და რომ სიცოცხლე ჩემი გაგრძელდეს,
მე დილით რწმენა მჭირდება სრული,
თქვენს უნახავად რომ არ დავყოფ დღეს...“

„ვშიშობ: თავმდაბალ ჩემს ვედრებაში
არ მოეჩვენოს თქვენს სასტიკ თვალებს
ვერაგულ, ცბიერ ხერხით თამაში,—
ვყურობ თქვენს რისხვას და ის მაწვალებს.
თქვენ რომ იცოდეთ რა საშინელი
არის როცა გკლავს ტრფობის წყურვილი,
შმაგობ—და ჭკუით უნდა ანელო
ყოველ საათში სისხლი ღელვილი.
როცა მსურს თქვენს მუხლს მოვხეიო მკლავი,
მსურს აქვეითინდე, მსურს თქვენს ფეხებთან.
ვღვარო ვედრება და სამღურავი,
იფეთქოს ყველა გრძობამ გულიდან,
ამ დროს სიმშვიდით, მოსაჩვენარით,
უნდა შეეჯავშნო სიტყვა და მხერა,
გელაპარაკო დინჯათ, სიწყნარით,
მხიარულ ქცევით—თითქოს მსურს მღერა!..“

„მაგრამ რაც არის, არის: მე აღარ
ძალმიძს ვებრძოლო თავისთავს მეტი;
შკვე გადაწყდა: მე თქვენ ხელთა ვარ,
დე, როგორც უნდა მოიქცეს ბედი“.

XXXIII.

პასუხი არ ჩანს. ბარათს კვლავ გზავნის,
მაგრამ პასუხი მაინც არ არი.
ერთ-ერთ საღამოს გაემგზავრა ის
წვეულებაში. შეალო კარი...
და ტატინა წინ შეეფეთა,
მაგრამ ონეგინს არც კი შეხედა.
რა უკარელი და ცივი არის,
თითქოს მოსადღეს ყინვა ზამთარის.



რისხვის მოთმენას, თავშეკავებას
 რა რიგ ცდილობენ უჩინი ბაგენი,
 გამპრული სვალისა უკუკრს ცეკენი:
 სად არის ძრწოლა, ან შებოალება?
 სად არის ცრემლი?.. მარტოდენ რისხვა
 ჩანს მის სახეზე, — არაფერის სხვა.

XXXIV.

იქნება ჰქონდა შიში ფარული, —
 რომ არ გაეგო ქმარს, ან გარეშეს
 მისი სისუსტე: ტრფობა წარსული...
 ევგენიმ კარგად იცოდა ხომ ეს...
 მაგრამ იმედი ჰქრება. იგი ჰგმობს
 თავის სიგიეეს. და ხელახლად თმობს
 ის ხალხს და მასთან ურთიერთობას,
 ლამის გადაწყვეს მწუხარე გრძნობას.
 და კაბინეტში მყუდროდ მჯდომარე,
 ეხლა თავის წინ იგონებს იგი
 იმ დროს, როდესაც ხანდრა სასტიკი
 ხალხში მყოფს სდევდა მუდამ ცისმარე;
 შეიპყრო, უკებ საყელოში სწვდა
 და ბნელ კუთხეში მაგრად ჩაკეცა.

XXXV.

დაიწყო კითხვა მან ყველაფერის.
 გადაიკითხა გიბბონი, რუსსო,
 შამფორი, ბიში, მანზონ, გერდერი,
 Madame de Stael-ი, აგრეთვე ტისო,
 გადაიკითხა სკეპტიკი ბელი,
 გადაიკითხა კვლავ ფონტენელი,
 ჩვენებიდანაც იკადრა ზოგი,
 აღარაფერი აღარ დაზოგა:
 არც აღმანახი და ეურნალეები,
 სად დარიგებებს გვიჩინებენ,
 სად ეხლა ხშირად მე მაგინებენ
 და სადაც წინად მადრიგალები
 ხშირად მხედებოდა, ხშირად ნაქებდებ,
 გაიძახოდენ ერთხმად: E sempre bene!*)

*) „მუდამ კარგია“.

XXXVI.

მერე რა? თვალი თუმც კითხულობდა,
 მაგრამ შორს ჰქროდა მისი გონება,
 სულში ჰპორგავდა, ფორიაქობდა:
 სევდა, სურვილი, ლალი ოცნება.
 შორის დაბეჭდილ ტაეპებისა,
 სულიერ თვალთ ხედავდა ისა
 სულ სხვა ტაეპებს სწორედ აი სად
 ის ჩაძირული იყო უღრმესად.
 აქ ძველ წარსულის გულითადისა
 იყო ფარული ვადმოცემები,
 კვალბნეული ბოდვა, სიზმრები,
 მუქარა რწმენა წინასწარ თქმისა,
 ან გრძელ ზღაპრების მიქარვა, ან და
 ნორჩი ასულის ბარათი ჩანდა.



XXXVII.

თანდათანობით იგი დუნდება
 ღონე მიხდილი გრძნობა—გონებით,
 აკრელებულად მის წინ ბრუნდება
 სხვადასხვა გვარი წარმოდგენები:
 ხან დაინახავს—თეთრ ფაფუკ თოვლში,
 თითქოს მძინარე თავის საწოლში,
 უტყვად, უძრავად მოსჩანს კაბუკი,—
 და ესმის ხმები:—„რა? მოკვდა უკვე?“
 ხან დაინახავს დავიწყებულ მტრებს,
 ცილის მწამებლებს, ბოროტ მწიშარებს
 და ჯგუფ-ჯგუფობით მუხანათ ქალებს,
 ან მოძულებულ ამხანაგთ წრეებს,
 ხან სოფლის ოდას, სად სარკმლის ახლოს
 ტატიანა ზის... მარად, ყოველ დროს!..

XXXVIII.

ის შეეჩვია ჩვენებებს მეტად,—
 ლამის გონება გადაუბრუნდა,
 ან არ გადიქცა უცებ პოეტად.
 დაგვაკვალებდა რალა თქმა უნდა!
 და მართლაც: ძალით მაგნეტიზმების,
 რუსული ლექსის მექანიზმები,
 იმ უთავბოლო ჩემმა მოწაფემ,
 დაიმორჩილა კინალამ სწრაფად.

წარმოიდგენდა ყველა პოეტად
როცა მარტოცა იჯდა ოთახში,
წინ უღვივოდა ცეცხლი ბუხარში
და ლიღინებდა ის: Benedetta
ან Idol mio, და ჰყრიდა ცეცხლში
ტუფლსა თუ ეურნალს, რაც ჰქონდა ხელში.



XXXIX.

დღეები რბოდენ. გამოიდარა,
ზამთარი მიდის და უკვე თბილა;
იგი პოეტად აღარ გამხდარა,
არც მოკვდა და არც ჰკვიდან შეშლილა.
ამინდმა შეება მას აგრძნობინა,
მან გამოალო თავისი ბინა,
სადაც ატარა მთელი ზამთარი,—
მრჩობლი ფანჯრები, თბილი ბუხარი,
მან მიატოვა ერთ მშვენიერ დღეს.
ნევის ნაპირზე მიაფრენს მარბილს,
სად ამწვანებულ ყინვას აჩეხილს
დასტრიალებს მზე. ირგვლივ ტლაპო ძეგს,
ქუჩებში თოვლი დამზრალი დნება.
ნეტავი საით მიეჭანება

XL.

ამ გზით ეგვენი? ვგონებ თანდათან
გამოიცანით; არ გაცდენთ გული:
ჰო! მიჰქრის თავის ტატიანასთან,
ახირებული ჩვენი პაპული.
მიუახლოვდა,—ფერი სძევს მკვდარის.
იქ შესაველში არავინ არის.
შედის დარბაზში, იქაც არავინ.
შეალო კარი. და რას ხედავს წინ,
რამ გააოცა ასეთი ძალით?
ხედავს კნეინა მარტოა, კენტად,
მოუკაზმელი, ფერმკრთალი მეტად,
რადაცა ბარათს კიფხულობს თვალით,
იდაყვდაყრდნობით ზის ის მდუმარე
და ჩუმ-ჩუმად სდის ცრემლი მდულარე.

XLI.

მის მწუხარებას, ჩუმს, ენაუთქმელს,
ვინ იყო იმ წამს რომ ვერ იგრძნობდა,
და საწყალ ტანიას, ტანიას წინანდელს,
რომ კნეინაში იქ ვერ იცნობდა!



შეშფოთებული გულით, ნატკენით,
 უცებ დაეცა მის წინ ევგენი,
 ქალი წამს შეერთა, მაგრამ წამსვე ის
 დამშვიდდა; თვალში უცქერს ევგენის,
 არ გაკვირვებით, არ შრისხანებით...
 ჩამქრალი მზერა ავადმყოფური,
 ჩუმი ვედრება და საყვედური
 მას ესმის ყველა გულით, ოცნებით,
 გაცოცხლდა მასში უბრალო ქალი,
 ისევე გაღვივდა ცეცხლი ჩამქრალი.

XLII.

ის არ აყენებს ევგენის სწრაფად
 დაბეჯითებით უცქერს მიჯნურს ძველს,
 არ უშლის ბაგით, მწყურვალედ, ხარბად,
 რომ დაეკონოს მის უგრძობებელ ხელს...
 ნეტავ რას ფიქრობს, ნეტავ რას ელის?...
 ჩამოვარდება სიჩუმე გრძელი,—
 და ბოლოს ქალი წარმოსთქვამს ნელად:
 „ქმარა, ადექით! ეხლა გულწრფელად
 გელაპარაკო ონეგენ მინდა.
 თქვენ ხეივანი გახსოვთ თუ არა,
 სადაც ერთმანეთს ბედმა შეგვყარა,
 და მე მორჩილად და ისე მშვიდად
 თქვენს გაკვეთილებს ვისმენდი წყნარი?
 ამ ჟამად ჯერი ჩემზედაც არი.

XLIII.

მაშინ ვიყავი მე უმცროსი ხნით
 და, ეგონებ, უფრო ლამაზიც სახით;
 მე თქვენ მიყვარდით... და გათავდა რით?
 თქვენს გულში მე რა გრძობები ვნახე?
 რა პასუხები? სიმჩისე მხოლოდ.
 ხომ მართალია? თქვენთვის ახალი
 არ იყო ტრფობა მორცხვი ასულის.
 ო, ღმერთო, ეხლაც კანკალებს გული,
 რომ მაგონდება გულგრილი მზერა
 და ქადაგება... მაგრამ მე მასში
 არ გამტყუნებთ თქვენ: იმ სასტიკ წამში
 თქვენ მოიქეცით სინდისიერად,
 მაშინ იყავით სიმართლის მოქმედი:
 სულით და გულით ვარ მადლობელი..

XLIV.

ხომ შართალია? იმ ყრუ სოფელში,
 სადაც არ იყო ფუსფუსი, შეხლა,
 თქვენ არ მოგწონდით... რა მოხდა თქვენში?
 ასე კვალ და კვალ რად დამდეგდ ეხლა?
 რათ ვიწვევ ეხლა ასეთ ინტერესს?
 მიტომ ხომ არა რომ მე მალალ წრეს
 ვეკუთვნი — ხალხში დღეს გამოვდივარ,
 რომ მე მდიდარი და ცნობილი ვარ.
 რომ ქმარი ოშის ხეივანი მყავს,
 რომ მას როგორც გმირს უძღვნიან ქებას?
 მიტომ ხომ არა რომ გაბაბებს
 ჩემსას ამ უამად ყველა შენიშნავს,
 და ირგვლივ ხალხში იგი ბეჯითად,
 მაკლურ სახელსაც თქვენ მოგიხვეჭდათ?

XLV.

მე ვტირი... თუ თქვენ ტატიანა თქვენი
 ამდენი ხანი არ დაგავიწყდათ
 მაშინ იცოდეთ: ბოროტი ენა,
 ყვედრება, ლანძღვა სასტიკი დიდათ,
 რომ ხელთ მჭონდა ამისი ნება,
 მე მირჩენოდა ამ ჯაბან ვნებას,
 ამ დაღვრილ ცრემლებს და ამ ბარათებს.
 მაშინ ყმაწვილურ ჩემს წრფელ ოცნებებს
 შეიბრალებდით მაინც ცოტათი,
 გამოიჩენდით თუნდ პატივს წელთა...
 მაგრამ რად გხედავთ დღეს ჩემს ფეხებთან?
 რა სიმდაბლეა ეს მუხანათი!
 განა შეჭფერს თქვენს გულს და გონებას
 წვრილმანი გრძნობის ასე მონება?

XLVI.

და მე ონეგინ, ფუფუნებანი —
 მცდარი სიყალბე აბეზარ ყოფის,
 თუნდ ხალხში ჩემი წარმატებანი,
 სალამოები, ოჯახი მოდის,
 აბა რად მიღირს? გავცვლიდი ყველას,
 მასკარადების ამ საფრთხობელას,
 ამ ბრწყინვალეებას, გავლენას ხალხზე,
 ერთ თარო წიგნზე და ველურ ბაღზე,
 და უღარიბეს იმ ჩვენს ბინაზე,



იმ ადგილებზე სადაც პირველად
ონეგინ მე თქვენ თვალი შეგავლეთ;
და მივიწყებულ მყუდრო საფლავზე,
სად ტირიფს და ჯვარს ხედავს გამვლელი,
სადაც მარბია ჩემი გამვლელი...



XLVII.

„ბედი კი ისე შესაძლებელი
და ახლო იყო... მაგრამ გადაწყდა
ჩემი იღბალი... ბრალსადებელი
იქნება ვიყო, იქნებ გადავცდი:
მე დედა ცრემლით, ფიცით, ვედრებით
მეხვეწებოდა; ყოველი ხვედრი
საწყალ ტანიასთვის ერთგვარი იყო
და მე გაეთხოვდი. თქვენ დამივიწყეთ
გთხოვ სამუდამოდ; ონეგინ მჯერა
მე ძლიერ კარგად, რომ თქვენ გულში სცემს
სიამაყე და სინდისი მტკიცე.
ისევ მიყვარხართ (რად ვიცბიერო?),
მაგრამ დღეს უკვე მე ვეჭვოვნები სხვას—
და სიკვდილამდე ვუფროსებ მას“.

XLVIII.

ქალი წავიდა. ონეგინი სდგას,
როგორც მუხისგან დაბრუნებული.
რა მძაფრ განცდათა ქარიშხლის ქროლას
იგი ამ წამში განიცდის გულით!
მაგრამ უეცრად გაიღო კარი,
ტატიანასი გამოჩნდა ქმარი,
და აქ კი ჩემი რომანის გმირი,
წამი რომ უდგას დიდ გასაჭირის,
ჩვენ მივატოვეთ ჩემო მკითხველო
ეხლა დიდო ხნით... სამუდამოთ, მთლად.
საკმაო ხანი ჩვენ მასთან ერთად
ვეხეტედ ქვეყნად. ჩვენ სასურველი
ნაპირი ურთ-ერთს მიულოცოთ ქვე.
ხომ მართალია?—დრო არის უკვე!

XLIX.

მკითხველო, ჩემი სურვილი არი,
შენ მოყვარე ხარ ჩემი თუ მტერი,
გამოგეთხოვო ვით მეგობარი.
მშვიდობით. მიზანს რა და რა ფერის



სდევ დაუდევარ ამ ჩემს სტროფებში—
 გსურს შეგაცუროს მოგონებებში,
 თუ მოგასვენოს შრომით დაღლილი
 თუ სურათები გინდა გაშლილი,
 ან ჰპოო მარცხი გრამატიკული—
 ღმერთმა ინებოს რომ ამ წიგნაკში,
 თუნდ მცირეოდნად, სურვილს მიწვედე შენ,
 რომ იოცნებო, გაართო გული,
 ან ეურნალებში იხმარო ფანდი.
 ამით დავშორდეთ ურთ-ერთს—ნახვამდი!

L.

შენც თანამგზავრო უცხოვ მშვიდობით,
 შენც იდეალო ერთგულად მნათო,
 და ხანიერო ხალისით, გრძნობით
 თუმც მცირე შრომავე. მინახავს თქვენთან.
 ყველა რაც მგოსნის არის ოცნება:
 ქვეყნის ტრიალში თავდავიწყება,
 კარგ მეგობრებთან კამათი ტკბილი.
 მას შემდეგ ბევრი დღეა განვლილი,
 რაც რომ პირველად მე ტატიანა
 და ონეგინიც მის გვერდით მხარში,
 მეცხადებოდენ მშფოთვარ სიზმარში—
 და თავისუფალ სივრცეს რომანის
 მხოლოდ მაგიურ ბროლში ვუცქერდი
 და გარკვეულად ვერც კი ვარჩევდი.

LI.

მაგრამ რომელთაც ძმურ შეხვედრის დროს
 ჩემს პირველ სტროფებს ვუკითხავდი მე...
 ზოგი წარვიდა, ზოგი არის შორს,
 როგორც საადი იტყოდა ხოლმე.
 უმთოდ მოვრჩი ევგენის ხატვა.
 და ის კი ვინაც მე დამანახვა
 ნარნარი სახე ტატიანასი...
 ო, დაზრა ბედით ბევრი ძვირფასი!
 ნეტარია და ბედით სვიანი,
 ვინც ადრე დასთმო დღესასწაული,—
 არ დაუცლია ფიალა სრულად,
 არ გადუკითხავს მთელი რომანი
 და ისე უცებ დაშორდა მათ ის,
 როგორც დავშორდი მე ჩემს ონეგინს.

დიბუნაბუნა ზ ხალოვნება

ბიციან ტაბიძე

ანდრეი ბელლი

ანდრეი ბელლი და ალექსანდრ ბლოკი რუსეთის მწერლობაში შესული არიან, როგორც „სიმბოლიზმის ორი მთრთოლვარე ფრთა“. — ისინი ერთ წელს იყვენ დაბადებული, — მაგრამ ანდრეი ბელიმ თორმეტი წლით მეტი იცოცხლა — და ეს დრო გამოიყენა მისთვის, რომ დაეწერა შესანიშნავი ეპოპეა მოგონებათა სახით თავის განუყრელ მეგობარზე — ამავე დროს ეს მოგონება არის სიმბოლიზმის ისტორია რუსეთში.

ეს არ არის ჩვეულებრივი მემუარები — აქ არის საუბარი თავის თავთან მარტობაში.

ამ ეპოპეაში ანდრეი ბელლი იგონებს უჩვეულო ამბავს, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ორი პოეტი — რომელიც შემდეგში შეიქნენ სიამის ტყუპებით, და რომელთაც მალე თავის თავზე გადაიტანეს შემდგომი პოეზიის ბრძოლები. აქ მომქმედ პირებათ გამოყვანილია: პეტერბურგის ნისლი, თოვლიანი მოსკოვი და ალიონი შახმატოვოში.

არც ერთ მწერალზე არ დაწერილა იმდენი გაკვირვების სტრიქონი, რამდენიც ანდრეი ბელლიზე. — მას ხშირად ეძახდნენ გენიას და არა მარტო სიმბოლისტების ვიწრო წრეში, — სადაც შემდეგ მას უფრო მეტი შტრები აღმოაჩნდა, ვიდრე მეგობრები, — არამედ სხვა დანარჩენ მწერალთა ფენებში.

იმ დეკლარაციაში, რომელიც გამოაქვეყნეს ანდრეი ბელლის სიკვდილის დღეს ბორის პილნიაკმა და ბორის პასტერნაკმა, დეკლარაციაში, რომელიც უპველად შეიცავს პოლიტიკურ შეცდომებს და არა სწორ ფორმულებს ანდრეი ბელლის პოლიტიკურ როლის შეფასებაში, სადაც ფორმის რევოლუცია არეულია რევოლუციონურ შემოქმედებასთან და ანდრეი ბელლი აყვანილია მთელი თავისი სუბატანციით რევოლუციონურ მოვლენის ხარისხამდე, — არის ადგილები, რაც ჩაითვლება ლიტერატურულ თაობის აღსარებათ — და ბევრით არის აღსანიშნავი:

„ანდრეი ბელლი ჩვენი საუკუნის უშესანიშნავესი მწერალია, რომლის სახელი ისტორიაში შევა არა მარტო რუსეთის კლასიკოსების სახელებთან ერთად, არამედ მსოფლიო კლასიკოსებთანაც.

ყოველი გენიის სახელი ყოველთვის აღბეჭდილია თავისი შკოლის შექმნით.

ანდრეი ბელლის შემოქმედება არა თუ მართო რუსეთის მწერლობის განძია—არამედ მსოფლიო მწერლობისაც—ის არის უდიდესი ლიტერატურულ შკოლის შემქმნელი.

ანდრეი ბელლის აქვს გადაძახება მარსელ პრუსტთან პირველდაწყებით გრძობათა სამყაროს ხელმეორეთ შექმნის ოსტატობაში,—მაგრამ ანდრეი ბელლი ამას უფრო სრულყოფილად და შესანიშნავად აკეთებდა.

ჯემს ჯოისი თანამედროვე ევროპის ლიტერატურაში ითვლება ოსტატობის მწვერვალად. უნდა ვიცოდეთ, რომ ჯემს ჯოისი ანდრეი ბელლის მოწაფეა. შემოვიდა რა რუსეთის მწერლობაში სიმბოლიზმის შკოლის უპირისუფარმომადგენლად, ანდრეი ბელლიმ მეტი შექმნა, ვიდრე ამ შკოლის მთელმა უფროსმა თაობამ—ვ. ბრიუსოვმა, მერეტკოვსკებმა, სოლოგუბმა და სხვ. ის გადაეზარდა თავის შკოლას და გამომწვევტი მნიშვნელობა იქონია რუსეთის ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე.

ჩვენ, ანდრეი ბელლის სიკვდილის დღეს დაწერილ სტრიქონების ავტორები, თავს ვთვლით ანდრეი ბელლის მოწაფეებად.

რაც არ უნდა იყოს, თვითონ ამ შეფასებაშიც ერთგვარი გადამეტებაა, ერთი ყოველმხრივ ეჭვიმუტანელია: ანდრეი ბელლის გავლენა მისი დროის რუსულ მწერლობაზე საგრძნობი იყო. ბევრმა უპროზის მწერალმა, ვანიცადა ანდრეი ბელლის მწყობრში გასვლა—ისე როგორც წინათ გადიოდნენ გოგოლისა და დოსტოვესკის „მწყობრში“.

ამ შემთხვევაში ანდრეი ბელლის როლს იზიარებს მემარცხენე პოეზიაში ველიმერ ხლენიკოვი, რომლის უახლოესმა ლიტერატურულმა მეგობრებმაც თავის დროზე გამოუშვეს ლიტერატურული პამფლეტი „Хлебники Хлебникова“—სადაც ამტკიცებდნენ, რომ ყველა ფორმაციების ფუტურისტები ხლენიკოვიდან გამოდიანო.

ანდრეი ბელლისთვის სიმბოლიზმი არ ყოფილა ფეტიში, მისი მაძიებელი სული ვერ ჩერდებოდა ხელოვნების გაქვავებულ ფორმებში, და მისი ცხოვრებისა და მწერლობის გმირული თავგანწირვა იყო ახალი პოეტური შემოქმედების გზების გახსნა.

ანდრეი ბელლიმ თავის დროზე უარბყო და დაცინვით გაკიცხა მალარმესა და რემი დე-გურმონის ორტოდოქსალური ფრანგული სიმბოლიზმი.

ანდრეი ბელლი რუსეთის სიმბოლიზმის მოწოდებას ხედავდა სულ სხვა ჭლექში და ცდილობდა გაეხსნა მისი რუსული ეროვნული ბუნება.

გუსტავ ფლობერი ფიქრობდა, რომ მისტიციზმი არის ფორმის უქონლობის დაკანონება—„თუ არა ფორმის სიყვარული, მე ვიქნებოდი უდიდესი მისტიკოსიო“,—სწერს ის ერთ თავის წერბლში და ასე ამჯობინებდა „ეცხოვრა, როგორც მეშინინს და ეაზროვნა, როგორც ნახევრად ლმერთს“.

ანდრეი ბელლის მთელი შემოქმედება სწორედ საბედისწერო დუელია ამ ფორმისა და მისტიკის. მას ეკუთვნის აუარებელი შრომა რუსეთული ლექსის ბუნებისათვის, მან მართლაც „აღგებრიოთ შეამოწმა მუსიკა“, ტყვილათ არ ყო-

ფილა ის უდიდესი მათემატიკოსის,—ნიკ. ბუგაევის შვილი, და უნივერსიტეტშიც დიდხანს სწავლობდა მათემატიკას, თუმცა იცოდა, როგორც რევთონ ამბობს— „რომ ლანდების ბიოლოგია აქამდე არ არის შესწავლული“ ვხე წყევლო, ის, როგორც ედგარ პოს, ეთქვა, რომ შეიძლება პოემის ფუძემდებელი, როგორც ჩინელები სახურავიდან იწყებენ სახლის შენებას. სწორედ ამ მათემატიკის სიყვარულით ხდებოდა, რომ თავის უკანასკნელ წიგნებს ის უძღვნიდა „არხანგელსკის გლეხს მიხაილ ლომონოსოვს“.

არ შეიძლება ითქვას, რომ ანდრეი ბელლი ყოველთვის გამარჯვებული გამოსულიყოს ამ საბედისწერო ბრძოლიდან. აქ მარტო სტილისათვის ბრძოლა არ ყოფილა—აქ იყო მსფოლმბედველობისათვის ბრძოლა და უფრო ტრაგიული გაორება, როდესაც ანდრეი ბელლი ხედებოდა კაპიტალისტურ კულტურის კრიზისს, ეხეთქებოდა კარებს ამ საპყრობილიდან გასაფრებათ—მაგრამ ვერ ენახა ეს ვზა, ან თუ ხანდახან ნახულობდა, მალე რწმუნდებოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მაგისტრალი, ეს იყო მხოლოდ დროებითი განათება და ერთი ჯურღმულიდან მეორე ჯურღმულში გადავარდნა.

ბევრჯერ დაბნელებულა მისი შეგნება და არა თუ ობიექტელებს,—ოსტატებსაც დაექცებიათ მისი ლაბორატორიის ალაქიმიური შაბაში.

ფრანგულ დეკადენტებზე გაზრდილს ინოკენტი ანენსკის ეჭვენებოდა, რომ ანდრეი ბელლი ბევრს სწერდა და ამიტომ დრო არ ჰქონდა ფიქრისათვის, მაგრამ ანენსკის აღარ დასცალდა ეხილა ანდრეი ბელლის რომანი „პეტერბურგი“, რომელიც ფიქრის და ოსტატობის მართლაც უდიდესი მწვერვალია.

ილია ერენბურგი ამტკიცებს, რომ რუსეთის თანამედროვე მწერლებში, მხოლოდ ანდრეი ბელლის აქვს გენიის ელემენტები, მაგრამ, წინასწარმეტყველის გაპობილ გულს ექვს ფრთიანი სერაბიმის ერთი ფრთაც არ შეხებია—ამიტომ არის მისი სიცივეო. მხოლოდ ყველაფერი ამის სათავე არის ანდრეი ბელლის გაორება და ტრაგიული აგონია—როცა ვერ ხედავს გამოსავალს.

მართლაც მწელი დასაჯერებელია, რომ ერთსა და იმავე კაცს დაეწეროს ასე ერთმანეთის გამთიშავი წიგნები: „ოქრო ლაგვარდში“, „დაბრუნება“, „ჩრდილოეთის სიმფონია“, „არაბესკები“, „ვერცხლის მტრედი“, „პეტერბურგი“, „ფერფლი“, „კოტიკ ლეტაევი“, „ახირბული კაცის წერილები“, „მონათლული“, „ჩინელი“, „მოსკოვი“, „ნილაბები“ და სხვა,—სულ 47 ტომი. მაგრამ ყველა ეს ნაწარმოები ერთი სულით არის გაელენთილი და ერთი სასტიკი მონტაჟით შეკრული, თუმცა დაწერილია სხვადასხვანაირათ. აქ თითქო არც არის ცხოვრება—არის ერთი მთლიანი და შეუწყვეტელი შთაჯონება და ისმის:

„Глухие времена степенная,
Пророческий прощальный глас“...

დაახლოვებით ასეთივე იყო ალ. ბლოკის კონფლიქტი ცხოვრებასთან, და ტრაგიული გაორება, ეს იყო მიზეზი, რომ ეს პოეტები შეხვდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ შემოქმედების გარიჟრაჟზე და ასე იდგენ ერთმანეთს შედუღებულნი.

სოციალური ბაზა ორივეს საერთო ჰქონდა—ისინი იყვნენ ყველაზე უფრო კვალიფიციურ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წრიდან წარმოშობილნი,—ორივესთვის სამყარო პროფესორის კაბინეტში გაიხსნა და ეს თერაპიული სიკვდილამდე ბორკავდენ მათ შეგნებას.

მათ იგრძნეს კაპიტალისტური ქვეყნის დაღუპვა და ორი ვეს სიხარულის ოხვრა აღმოხდათ გულიდან, როცა ოქტომბრის ქარიშხალმა დაუარა მოიკას. ასე დაიწერა ოქტომბრის პირველ დღეებში ა. ბლოკის „თორმეტი“ და „სკეითები“.

ანდრეი ბელლის საუკეთესო ლექსიც ამ ყალიბით არის ამოკრილი, თუმცა, როგორც „თორმეტში“ ქრისტე შაინც არ სცილდება რევოლუციას:

„Рыдай, буревая стихия
В столбах грозового огня,
Россия, Россия, Россия
Безумствуй смигая меня.
В твои роковые разрухи.
В глухие твои глубины
Струят крылорукие духи
Свои светозарные сны.
Не плачьте: склоните колени
Туда—в ураганы огней,
В грома серафических пений,
В потоки космических дней.
Сухие пустыни позора,
Моря незаливные слез—
Лучем безглазого взора
Согреет сошедший христос
.....
И ты, огневая стихия
Безумствуй, смигая меня..
Россия, Россия, Россия
Мессия грядущаго дня...

ამ ლექსშიც, როგორც ა. ბლოკის „თორმეტ“-ში არის ის აფეთქება, რომელსაც გრძნობს პოეტი, როცა ძველი ქვეყანა ინგრევა და მოდის ახალი, ჯერ მისთვის გაურკვეველი მესია,—რასაც ვერ ვხედავთ ეს არ არის კიდევ დამტკიცება რევოლუციის, რევოლუციის მიღებისათვის შემდეგში გამოჩნდება, რომ უფრო მეტია საჭირო და არც ასე ადვილათ სწვავს ცეცხლი იმას, რაც პოეტის შეგნებას ჯერ კიდევ დარჩენია პლასტეზით, მაგრამ აქ არის ის სიხარული, რომელიც ყველაზე უფრო გულწრფელობით ამოხეთქავს და აგრძობინებს პოეტს ძველი კაპიტალისტური სამყაროს და საპრობილის დანგრევას. ასეთივე გრძნობა განიცადა ანდრეი ბელლიმ პირველი 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ამაზე დაწერილი მისი მეორე შესანიშნავი ლექსი:

Довольно: не жди, не надейся,
Россия, мой бедный народ!
В пространство пади и разбейся
За годом мучительный год!



Века нищеты и безволя
 В сырое, пустое раздолье
 Позвольте о, родина мать,
 В сырое пустое раздолье
 В раздолье твое прорыдать:

 Где в душу мне вмотрат из ночи,
 Подвигшись над сетью бугров
 Жестокие, желтые очи
 Безумных твоих кабаков.
 Туда,—где смертей и болезней
 Лихая прошла колея—
 Исчезни в пространство, исчезни
 Россия, Россия моя!..

მისთვის ამ ძველი რუსეთის გაქრობა არ ყოფილა მარტო ერთი ლექსის მომენტალური შთაგონება—ეს იყო მისი მწერლობის დიდი განცდის ამოხეთქვა, რასაც ჩვენ ვხვდებით მას რომანში „პეტერბურგი“, რომელიც დაწერილია სწორედ ცხრაას ხუთის რევოლუციაზე.

როცა ეს რომანი პირველად გამოვიდა, მთელი რუსეთის კრიტიკა დიდ საგონებელში ჩავარდა; მართლაც ასეთი უჩვეულო ენით, წინასწარმეტყველური პათოსით უკანასკნელ წლებში არაფერი დაწერილა, მხოლოდ ვი აჩესლა ვ ი ვ ა ნ ო ვ მ ა შენიშნა, რომ მისი გასაღები შეიძლება ვეძიოთ გოგოლის პეტერბურგის მოთხრობებშიო,—მაგრამ თუ ფორმა კიდევ იძლეოდა რაიმე ნიშანს, რომ მას ჰყავდა წინამორბედი,—შინაარსი ამ რომანის, შემდეგ რევოლუციის მსვლელობით გამართლებული, აქამდე სტოვებს არა ადამიანურ ხილვის შთაბეჭდილებას.

— „მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო! რა არის რუსეთის იმპერია ჩვენი*... კითხულობს ამ რომანის წინასიტყვაობაში ანდრეი ბელლი და შემაქრწუნებელი კონკრეტობით მოუთხრობს ქვეყანას რუსეთის ბიუროკრატიის ფეფმერობას და პეტერბურგის ძველი ყოფის ინფერნალობას.

აქ არის სევდა ჩამაყალი მზის, აქ არის ცუსიმა, კალკა და კულიკის ველი,—თითქო ხელმეორედ აღგენ მონგოლების ურდოები და ათვალეირებენ—ვინ დარჩენიათ ნაშიერი. აქ გამოყვანილია სენატორი აბლეუხოვი და მისი შვილი ნიკოლაი ნიკოლაი აბლეუხოვი—აბალგაზრდა ლიცეისტი, მაგრამ რე-ვოლუციაში ჩარეული.

ორივე მხრივ მოცემულია რევოლუციის წინა დღის რუსეთი:—სენატორი აბლეუხოვი, რომელიც ცირკულიარებით მართავს რუსეთს, და შეუძლია მთელი თაობა აიყვანოს სახრჩობელაზე და გაანადგუროს გუბერნიები,—ნამდვილად მოკლებულია ყოველივე ადამიანურ გრძნობას, მას არა აქვს არავითარი პერსონალური ძალა, ის არის სქემა და აპარატის ორთქლი; რევოლუციამ შემდეგ გაატიტვლა სენატორი აბლეუხოვი—და სხვა, რომელთა დაკითხვის წიგნიდანაც, როცა რევოლუციის დღებში მათ ასამართლებენ, (ამ წიგნს რედაქტორობდა ა. ბლოკი) ირკვევა, რა ახლოს სცოდნია ანდრეი ბელლის ძველი ბიუროკრატიული რუსეთი. სენატორ აბლეუხოვის კარკიტა და კარიკატიდებით გაჩაღებუ-

ლი სასახლის სიცარიელე მოცემულია ერუანტელის მომგვრელი ხერხებით—და ეს სიცარიელე ნისლით არტყია ძველ პეტერბურგს.

მომენტალურ გამოძახებით ჩნდებიან: პეტერე დიდი, ^{ქვეყნის} მეორე, ნიკოლოზ პირველი, რომელთაც ააშენეს ეს უხარმხარი ^{იმპერია}—და ყველაფერი ეს შაბინაშინის ფერში, პეტერბურგის ნისლში, აწვება აბლუეზოვის გამოფიტულ არსებას, რომელიც სიმბოლიურადაც და ფიზიოლოგიურადაც გამოხატავს ძირმომპალ რეიფს და ისმის ქარიშხალის რევოლუციის სიმღერა. სენატორის შვილი ნიკოლაი აბლუეზოვი უფრო მეტი კონკრეტობით არის მოცემული—ამ ლიცეისტის სისხლში უკვე ეონავს მამის დამპალი სისხლი და ბოდვაში და ღამის კოშმარებში წარმოუდგება თავისი ძველის ძველი წინაპარი მონგოლი, — „Преподавший монгол“, და სიმწრის ოფლის დამსხმელია ამ მონგოლისა და ემანუილ კანტის დილოგი, სადაც დადგენილია უკანასკნელი განაჩენი ბურჟუაზიული და ბიუროკრატიული რუსეთის ახალი თაობისა, მათი ცხოვრებიდან მოწყვეტა, მათი ძირების ამოწვა, მათი ხერხემლის გამოფიტვა.

უტყველია ამ რომანში გამოყენებულია გაუცხოვების მეთოდი, (Метод острашения). აქ ბევრი რამ შეიძლება და არის კიდევ სადაო. მართლაც და მართლაც ძველი რუსეთი არ იყო ისე მარტო ლანდების ქვეყანა და აპარატის სქემა, — მაგრამ რაც მოცემულია აქ პოეტური ხილვით და წინასწარმეტყველობის წინაგრძნობით, — პეტერბურგის დაღუპვა, ადგომა ნიქნინოვგოროდის და პატარა რესპუბლიკების კუზების, — ეს თითქოს აღმატება ადამიანის ხილვას.

უფრო მეტი დამაჯერებლობით აქვს ანდრეი ბელლის მოთხრობილი თავისი ლიბერალური წრის, ყველაზე უფრო კვალიფიციური ინტელიგენციის ფენა— თავის შემდეგ წიგნებში: „На рубеже двух столетий“ და „Начало века“, რომელთაც არ შეიძლება ეწოდოს მეშუარული ლიტერატურა, იმდენია იქ პორტრეტები და ისეთი მკვეთრია სოციოლოგიური ანალიზებიც.

თვითონ ანდრეი ბელლის გამოაქვს განაჩენი ამ მწუხრის ადამიანებზე, რომელშიაც თავის თავსაც სთვლის, — „ბოლოს და ბოლოს ეს იყო მწყერობის ბანკროტობა, რომელმაც დაიკვება ქვეყნის დაწვა და ამის მაგიერ თითონ მოემწყვედა გალიაში, რომელშიაც ფართხალობდა“.

ამ წიგნებში აწერილია სწორედ ამ გზა აბნეულ ხალხის ფართხალი, რომელთაც ჰკონიათ, რომ მსოფლიო პრობლემებს არკვევენ და ქეშმარიტებას ეძებენ—ნამდვილად კი მომწყვედილი არიან ბურჟუაზიულ კრიზისის რგოლში. განხილულია მათი შემოქმედებაც და საზოგადოებრივი საქმიანობაც. ამ შრივ მის წიგნებს აქვს უკულმა დოკუმენტის მნიშვნელობა, სხვა ვერაფერს ვახსნიდა ისე ამ თაობის ტკივილებს, სხვა ვერაფერს მოყვებოდა ასეთი გააფთრებით და გატიტვლებით იმ დროინდელ ლიტერატურულ შკოლების კამათისა, ზოგჯერ კინკლაობისა და ფუქსავატობის შესახებ.

მაგრამ ეს ხალხი მათი შეგნებით არის საზოგადოებისათვის ზედმეტი ადამიანები, ისინი სათავეში უდგანან ლიბერალურ აზროვნებას, აკადემიას, უნივერსიტეტს, რელიგიურ ფილოსოფიურ საზოგადოებებს და მწერლობას—მხოლოდ სადაც ეს ხალხი შედის, ყველგან მიაქვს თავისი სულიერი სიცარიელე, ხალხის ძირებიდან მოწყვეტა, მორალური უძლურება და ქიშკირილი ოცნება—

ესენი არიან: „სტოროცენკოები, ვესელოვსკები, იანკულეები, კლავლენსკები, ტანეევიები—მწერლობაში მერეტკოვსკები, როზანოევი, სოლოვიოევი“.

მართალია, ანდრეი ბელლის თაობა ოპოზიციაში უდგა მწიქანსტორ და ლიბერალურ თაობას, მათთან ბრძოლაში ის ხელაღეს კიდევ მასტოვსკის მსგავსი გამართლებას, მაგრამ უფრო მართალია ლ. კამენევი, როცა ამას არ სთვლის საკმაოდ თვით ანდრეი ბელლის გამართლებისათვის: „თვითონ ანდრეი ბელლის სურს დაბატოს თავისი თანამებრძოლნი ახალის წინასწარმეტყველად, მართალია ზოგჯერ მახინჯ და უსიცოცხლო, ახირებულ ადამიანებათ, მაგლამ მაინც „მემბოხეებათ“, რომელთაც ხელი შეუწყვეს რუსეთის ფეოდალურ—კაპიტალისტურ კულტურის აფეთქებას; ანდრეი ბელლის სურს ოქტომბრის რევოლუციას „შობლიურათ შეუერთდეს“. კეთილშობილი სურვილია. მაგრამ, ვაი რომ ეს სურავილი არაფერზე არ აჩის დამყარებული“.

ანდრეი ბელლი თუ ცდილობდა ოქტომბრის რევოლუციაში შეზრდას, რასაკვირველია ეს არ იყო მისთვის მიმიკრიის ფანდი—მან სასტიკად გამოიტირა თავისი ბედი ლექსების წიგნში „ფერფლი“—რომელიც საზოგადოებრივი მოტივების სიღრმით და გულწრფელობით ნეკრასოვის პოეზიისათვის ბევრჯელ შეუდარებიათ,—მას არასდროს არ დაუშალავს თავისი წარსული, მაშინაც კი, როცა ის ტყვეობაში ჰყავდა გერმანულ დოქტორ შტაინერს და მასთან ერთად შვეიცარიის მიტომში აშენებდა იოანეს ტაძარს და გიოტეს სადიდებელს. რომანში „ვერცხლის მტრედი“ გამოტანჯულია ხლისტების სექტის მღვრიე დასაწყისი და დურგალ კუდიაროვის სახით მოცემულია ოცი წლით ადრე გრიგოლ რასპუტინის პროტოტიპი.

ალექსანდრ ბლოკმა ოქტომბრის რევოლუცია „სკვითებში“ ასეთი შედარებით გამოხატა—როცა წიწილი იბადება, კვერცხის ნაჭუჭი სკდება, მხოლოდ ობივატელებს ჰგონიათ რომ ცა ინგრევაო, მაშინ, როდესაც პირიქით იბადება, ახალი არსება, ახალი ყოფა.

საკავშირო საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის პლენუმზე, შარშან, ანდრეი ბელლი გამოვიდა დეკლარაციით, რომელსაც სულგანაბული უსმენდა მთელი საკავშირო მწერლობა; ყველამ იცოდა, რომ ეს იქნებოდა გულწრფელი აღსარება უდიდესი მწერლის, რომელსაც ბევრი გამოუტანჯრა და რომელსაც უფლება აქვს სიწართლის თქმის და მან აშკარად აღიარა მწერლობის საწარმოვო იარაღის განსაზოგადოებრივობა და ახალი მშენებლობის პათოსი, მან კრიტიკის ხან და ხან გადამეტებული და გულმოდგინე გაკილვისათვისაც მონახა ფორმულა, როცა მოიგონა, რომ ტარას ბულბა მეტი პატივისცემით მოეპყრო თავის შეილს, როცა მან მაშას სცემა.

მხოლოდ მას არ დასცალდა უფრო მეტი შემოქმედების გაშლით დაემტკიცებია თავისი გარდატეხა. იტყობა სიკვდილი ახლოს უდარაჯებდა შრომაში დაულალავ მწერალს. დიდი ბრძოლა მასთან არ დასტირებია. თავის უკანასკნელ წერილში, რომელიც წინასიტყვაობათ ახლავს მის ახლად გამოსულ წიგნს „Нашии века“-ს, ანდრეი ბელლი სიკვდილის წინ იმეორებს ოდესლაც დაწერილ ლექსს ახალ ეპიტაფიისთვის:

„Золотому блеску верил,
А умер от солнечных стрел
Думой века измерил,
А жизнь прожить не сумел“.



ეს თითქოს ეპიტაფია კი არა საბუდისწერო განაჩენია საფლავის ქვაზე ამონაქერი: თუ აქ საზოგადოებრივ ცხოვრებისგან მოწყვეტა ნაგულისხმევი— მაშინ ეს არის თავის გამართლებაც. ანდრეი ბელლიმ, მსგავსად რუსეთის სხვა დიდი მწერლებისა, ერთი პოეტური ვალიც მოიხადა—უკანასკნელ წლებში ის ძალიან დაუახლოვდა საქართველოს—თავის წიგნში „Ветер с Кавказа“ მას მოთხრობილი აქვს, როგორ შედის პუშკინის შემდეგ საქართველო რუსეთის პოეზიაში.

1927 წელს რეჟისორ ვსევოლოდ მეიერხოლდთან ერთად ის პირველად ჩამოვიდა საქართველოში და დარჩა მთელი ზაფხული; ამ ზაფხულს მან დასწერა ზემოხსენებული წიგნი. მეორეთ იყო 1929 წელს, აგრეთვე მთელი ზაფხული, ცხოვრობდა საჩხერეში აკაკი წერეთელის სახლში, და კოჯორში, სადაც სწერდა „მთების სიმფონიას“, რომელიც ჯერ გამოუქვეყნებელია.

1931 წელს ფიქრობდა რამდენიმე წლით ტფილისში დაბინავებას, მაგრამ შემთხვევით გადასახლდა მოსკოვიდან დეტსკოე სელოში და არ მოუხერხდა ტფილისში ჩამოსვლა.

შარშანდელი შემოდგომა მას ეწადა გაეტარებია კახეთში, წინანდალში, მაგრამ სწორედ გამოგზავრების წინ დაეცა პირველი წვეთი და სამი თვის შემდეგ კიდევ გარდაიცვალა.

სხვა დროისთვის გადამიდგია ჩვენი შეხვედრების შესახებ დაწერა.—ამ უდიდესი ოსტატის და შესანიშნავ ადამიანის თუნდაც ჩემგავით გარეშე მოწაფისათვის ძნელია ღია საფლავთან მოგონება—ეს არის ის უჭვირფასესი, რაც თვითონ გრჩება სიკვდილის წინაღ მოსაგონებლად.



მხატვ. შ. მამალაძე.

სახალხო მხატვარი გ. ი. გაბაშვილი

ორმოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მხატვარმა გიგო გაბაშვილმა სამხატვრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო. გ. გაბაშვილი დაიბადა ქ. ტფილისში 1863 წელს. მხატვრის მამა დეპუტატთა საბჭოს მოხელე იყო და დროის ლიტერატურის კარგ მცოდნეთ ითვლებოდა. მხატვრობის მოყვარული დედა კი თითონაც ხატავდა და შვილის მხატვრულ აღზრდასაც ხელს უწყობდა.

საშუალო სასწავლებელში გაბაშვილი ხატვას სწავლობდა მასწავლებელ მალევიჩის ხელმძღვანელობით, რომელიც ინტერესს უცხოველებდა და ურჩევდა მომავალში მხატვრობა პროფესიით აერჩია.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თავის ოცნებათ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შესვლის შესახებ მომავალი მხატვარი რომანოზ გველესიანს უზიარებდა და ორივეს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

მატერიალური ხელმოკლეობის გამო გ. გაბაშვილს სამი წლით მოუხდა ტფილისშივე დარჩენა, სხვადასხვა შრომით ფულს აგროვებდა და რუსეთში წასასვლელათ ემზადებოდა. ამ სამი წლის განმავლობაში ის დაუახლოვდა იმეამათ პეტერბურგიდან ჩამოსულ მხატვარ კეპკენს, რომლის ხელმძღვანელობით გულმოდგინეთ სწავლობდა ხატვას.

პროფ. ვილევალდეს მოწაფე, ბოჰემის ტიპის მხატვარი კეპკენი მხატვრობით ძლიერ იყო გატაცებული, თითონაც ბევრს მუშაობდა, მეგობრებს მოკლებული, ახალგაზრდა გაბაშვილს არ იშორებდა და ბევრ ტექნიკურ რჩევა-დარიგებას აძლევდა.

მისი ადრინდელი ნახატები და ფერწერა, მათი სახეობითი საშუალებანი და მოწერა — მხატვრის შეგნებული გზაა კეპკენის დახმარებით დასახული და შემდეგ აკადემიაში განვითარებული. იმავე დროს გაბაშვილი ეცნობა ტფილისში ჩამოსულ ცნობილ მხატვარ ფრ. რუბოს.

ამ ორი მხატვრის გავლენით და ხელმძღვანელობით, გ. გაბაშვილი ემზადება იმდენათ, რომ 1883 წელს მას მიიღებენ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, პროფ. ვილევალდეს ბატალურ კლასში.

პირველი ორი აკადემიური, წლის განმავლობაში მხატვარი ძლიერ შევიწროვებულ პირობებში იმყოფება. ის იძულებულია მსუბუქი ტანსაცმელით, ზამთრის ნესტიან ჰავაში, იაროს ოთხი ვერსის მანძილიდან და ღამით აშხადოს ნახატები ეურნალ „Нова“ და „Нива“-სთვის. მიუხედავად ამისა გ. გაბაშვილი

აკადემიურ გამოფენებზე პირველ წლიდანვე იქცეეს ყურადღებას თვის კონპო-ზიციებით და 1887 წ. სურათი „ცხენოსანი ქუროთი“ დაჯილდოებულ იქნა ვერცხლის მედლით. ბატალურ კლასში მუშაობის გარდა მან შექმნი სწავ-ლობს ხატვას ცნობილ პროფ. ჩისტიაკოვთან, სადაც იმ დროის მასთან ერთად მუშაობდნენ შემდეგში გამოჩენილი რუსის მხატვრები—არხიპოვი, სეროვი, და სხვანი.

პეტერბურგის აკადემია მისი მკვდარი ატმოსფერით, ანტიური მოდელ-ებით და სიუჟეტებით იმეამათ ძლიერ იყო დაცილებული თანამედროვე ცხოვ-რებას. გაბაშვილის პროფ. ვილევალდეც ერთი იმ ბატალისტთაგანი იყო, რომლებიც სწერდნენ მრავალ ერთფეროვან, ვარდისფერ ალღულუმებს და მოწაფეებს თავს ახვევდნენ სქოლასტიურ აკადემიურ ტრადიციებს. ყველაზე მოწინავე მხატვრული მიმართულება—„პერედვიჟნიკების“ მე-80 90 წლებში დაიშო-ბაზე მიდიოდა, ცნობილი პოლიტიკური აქტის, ალექსანდრე მე-II-ის მოკ-ვლის შემდეგ მყარდება რეაქცია და იდეოლოგიურ—მხატვრული მოთხოვნი-ლება ბურჟუაზიისა კმაყოფილდება მის მიერ მიღებულ კეთილმოწყობილებით. მოთხოვნილების ცვალებადობის მიხედვის მხატვრობის მებრძოლი იდეური, რეალიზმი ადგილს უთმობს პასიურ—თვალთხედვითი რეალიზმს, ამას თან ერ-თვის ფრანგული მხატვრობის მოჭარბებული გავლენა და „პერედვიჟნიკების“ მოწინააღმდეგე ბანაკის დაარსება ე. წ. „მირისკუსტვა“, რომელიც შეგ-ნებულათ გვერდს უხვევს თანამედროვე ცხოვრებას.

აკადემიის სტუდენტი მხატვარი გაბაშვილი თვალყურს ადევნებს ამ მოვ-ლენებს, ის დროის მიხედვით გატაცებულია ოსტატობის დაუფლებით, ინარჩუნ-ნებს თავის სახეს და ობიექტათ თავისი ქვეყნის ყოფაცხოვრება აქვს დამკვი-დრებული.

აკადემიის უკანასკნელ წლებში, გაბაშვილი ღებულობს მონაწილეობას გამოფე-ნებზე თავისივე პროფესორებთან ერთად, ყოველ ზაფხულს ბრუნდება საქარ-თველოში, მოგზაურობს სხვადასხვა კუთხეებში, სწერს მრავალ ეტიუდებს და მათ იყენებს აკადემიურ სურათების მასალებათ.

1888 წელს, ამთავრებს აკადემიის საკონკურსო სურათით „ბაზარი ბა-ქოში“, რომელიც დაჯილდოებული იქნა ვერცხლის დიდი მედლით და შექმ-ნილი ტრეტიაკოვის მიერ. აგრეთვე აკადემიის მიერ შექმნილი იქნა გაბაშვილის „ცხენის“ ეტიუდი და დატოვებული ბატალურ კლასის სანიმუშო ნაწარ-მოებათ.

აკადემიის დამთავრებისთანავე მხატვარი დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა მრავალფეროვან—ნაყოფიერ მუშაობას.

80-90 წლებში ტფილისის მხატვრულ ცხოვრებას არავითარი სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა. მხატვრულ ტრადიციებს მოკლებული, ნიადაგ გამოკლი-ლი ადგილობრივი მხატვრობა ვერც თავის ზრით ვითარდებოდა, ვერც გარედან პროულობდა მაშველს, 70—წლებში ჩამოსული მხატვრები: გორშელტი, შაი-კოვი, ფილიპოვი და სხვანი ომის ეპიზოდების ოფიციალურ შეკვეთებს ასრულებდნენ, სურათები მაღალ მოხელეთა საკუთრებას შეადგენდნენ და ადგი-ლობრივ არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ.

გ. გაბაშვილის დამკვიდრება ტფილისის მხატვრულ ცხოვრებაზე განუწყვეტელი ბრძოლა იყო მოდუნებულ გარემოცვის გამოსაფხიზლებლათ. 1889 წელს, ერთი წლის ნაყოფიერ მუშაობის შემდეგ, გაბაშვილი აწყობს საკუთარ პირველ გამოფენას. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მხატვარი ტფილისში აწყობს ინდივიდუალურ გამოფენას და საზოგადოების თვალში ამალღებს მხატვრის წოდებას. თავის მალახარისხოვან ნაწარმოებით, ცოდნით და ენერგიით გაბაშვილი ღირსეულათ იქცევა საზოგადოების და პრესის ყურადღებას და ცდილობს შემდეგში საკუთარი გამოფენებით განამტკიცოს მათი ინტერესი ამ დავიწყებულ დარგის მიმართ.

1889—90 წლებში მას უკვე აქვს საკუთარი სტუდია, სადაც მუშაობაში ოცამდე მოწაფე, მათ შორის მომცელიძე, პიტახია, როინიშვილი, და სხვანი, ლებულობს მონაწილეობას კავკასიელ მხატვართა საზოგადოების დაარსებაში და მონაწილეობს მის გამოფენებზე.

ექვსი წლის განმავლობაში გაბაშვილი მოგზაურობს კავკასიაში, კრეფს მასალებს და მართავს საკუთარ გამოფენებს.

პირველ გამოფენათა ექსპონატები: „ბაზარი ორთაქალაში“, „მრეცხავი ქალები—დაბახანაში“, „სალოცავთ“, „ქურთი“, „აისორი“ „ურემი“, „სამი მოქალაქე“ და მრავალი ეტიუდები ცხადად გვიჩვენებს მხატვრის ხეღვითი არეს და ამტკიცებს, რომ გიგო გაბაშვილი არის ცხოვრების უშუალოთ ამსახველი, ფერების დიდი ოსტატი და არა მოვლენათა კრიტიკოსი. ის ასეთი დარჩა შემდეგშიაც.

გაბაშვილი გამოსახავდა ყოველივეს, რასაც ხედავდა ყოველდღიურათ გარემოში. და სკდილობდა მათ რეალურათ გადმოცემას, მაგრამ ეპოქა თავისას შეებოდა და ხშირათ რომანტიზმის ქრომატიულ მუშას აწვდიდა მუშაობის დროს.

1888—1894 წლები მხატვრის პირველ პერიოდს შეადგენს და მისი მხატვრული ობიექტი საქართველოს საზღვრებს იშვიათათ სცილდება. პირველი პერიოდის ნაწარმოებში მხატვარი არ ეტანება მასას და სურათთა პერსონაჟები სამი ან ოთხით განისაზღვრება. პორტრეტული ეანრები, ტფილისის მიდამოებში და მცხეთის ეტიუდები, თავის ჯანსაღი ბუნებით და ხალისიანი ფერებით—მხატვარს ავიწყებინებს, რომ ის ბატალისტია და შემდეგშიაც მას არც ერთი ნამდვილი ბატალია არ შეუსრულებია. მხატვრის ბუნება მზე და მისი გადმოცემის საშუალებანი შეიცავენ და ამიტომაც გაბაშვილის ნაწარმოების უმრავლესობა ფერებით არის შესრულებული.

1890 წლის კავკასიელ მხატვართა გამოფენაზე, ამერიკელი მოგზაური შარლ კრენი (ჩიკაგოდან) იქნენ გ. გაბაშვილის ერთ სურათს და წინადადებას აძლევს მხატვარს შეასრულოს და გადაუგზავნოს მას 28 სურათი, რომელთაც მხატვარი ასრულებს სამი წლის განმავლობაში. ამით მას ეძლევა საშუალება წავიდეს მიუნჰენში სწავლის გასაგრძელებლათ.

მიუნჰენის სახელმწიფო აკადემიის ყველა მოთხოვნილებათა შესრულებს შემდეგ გ. გაბაშვილი ჩარიცხული იქნა 1894 წელს, უფროს, კომპოზიციის კლასში, ამით მას საშუალება ეძლეოდა ესარგებლა უფასო სახელოსნოთი, მოდელით და ისეთი პროფესორის ხელმძღვანელობით როგორც იყო სახელოვანი

პილოტის მოწაფე — ვაგნერი. მიუნჰენის აკადემიაში გაბაშვილი ამთავრესათ მუშაობს სამარყანდის და ბუხარის დიდ სურათებზე და 1895 წლიდან მანაწილეობს გამოფენებზე. სამი სურათის შესახებ, რომელიც გამოფენილი იყო მიუნჰენის „Kunstverecne“-ში მოთავსებული იყო ფრიად შინაარსიანი წერილი „Mense Nachrichten“-ში. „გამოჩნდა ახალი ნიჭიერი ორიენტალისტი, პროფ. ვაგნერის მოწაფე აკადემისტი გაბაევი. ის ხატავს იმ მხარეს და ხალხს, რომელნიც ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის — სახელდობრ შუა — აზიას. ყველა მისი სურათები უშუალო დაკვირვების ნაყოფია და მკვეთრად არის გამოსახული სცენები სამარყანდის ქუჩის ცხოვრებიდან. არსად გადაჭარბება არ ეტყობა, არსად ბუნებრივობა არ არის დარღვეული და ყველაფერი თავის ადგილას არის“ დასძენს რეკენზენტი.

1898 წელს გაბაშვილი ამთავრებს მიუნჰენის აკადემიას მას ანიჰებენ ჯილდოს — დიდ ვერცხლის მედალს, რასაც იძლევიან სამ წელში ერთხელ და უდიდეს ჯილდოთ ითვლება აკადემიის დამთავრების დროს.

მიუნჰენის აკადემიის დამთავრებისთანავე გ. გაბაშვილი მიემგზავრება იტალიისა და საბერძნეთის სიძველეთა დასათვალიერებლათ და ბრუნდება ისევ საქართველოში.

1899 წელს, ხევსურეთში მოგზაურობა გ. გაბაშვილზედ ახდენს დიდ შთაბეჭდილებას და მის შემოქმედებას ახალი, ხელუხლები მასალებით ამდიდრებს. ხევსურეთის ცხოვრებიდან მხატვრის მიერ შესრულებულია მრავალი ეტიუდი და სურათი. საუკეთესო სურათები გ. გაბაშვილისა მიუნჰენის მომდევნო პერიოდს ეკუთვნის. ნახატის სისწორე, ფერთა სიხალისე და სიმტკიცე, კომპოზიციის წონასწორობა, სურათების დამთავრების უნარიანობა, მასალების გადმოცემის ტექნიკა — მხატვრის მიერ მრავალ სურათებში ბეჯითად არის დაცული. „მცხეთობა“ „ლამის თევა“, „მედროშე“, „ხევსური“ და სხვა მრავალი მხატვრის ოსტატობის მაღალ კატეგორიით ითვლება.

სამარყანდის და ბუხარის სიუჟეტები მხატვარს გამოყენებული აქვს როგორც ეტნოგრაფიული ტიპების, ტანსაცმელთა და მასების მოძრაობის დემონსტრაცია, სადაც ჩრდილთა და სინათლის გადმოცემაში მხატვარის დიდი ცოდნა და ფერთა გრძნობა ახასიათებს. მათ შორის „რეგისტანი სამარყანდში“ და „აუზი (ხაუს დივან — ბეგი) ბუხარაში“, რომელნიც შესრულებულია 1895-98 წლებში უნდა ჩაითვალოს საუკეთესოთ — ვინაიდან ხშირათ განმეორებული ვარიანტებით შემდეგში კარგავენ კოლორიტს და სხვა ღირებულებას.

გიგო გაბაშვილის ნაწარმოებში ყველაზე უცნობი ჩვენთვის მისი პეიზაჟები: „მთვარიანი ღამე მცხეთაში“ ეტიუდები ბორჯომის, ბაკურიანის, უფლისციხე, ხევსურეთი და სხვანი არ შეიძლება გავსინჯოთ როგორც მასალები ან სურათთა ფონი. მათი შესრულების მაღალი ტექნიკა და ინტიმობა, ბუნების და ნაშუქის ცვალებადობის გადმოცემა სრულით საკმარისია, რომ მხატვარი პეიზაჟისტების პირველ რიგებში დავაყენოთ.

მრავალ პარტრეტთა შორის, რომელნიც ობიექტის გარეგნული ორეულის გადმოცემით განისაზღვრება, ყველაზედ შესანიშნავია აკაკი წერეთელი, დე — როზა, ბ. ერისთავი და ალ. სარაჯიშვილი. გ. გაბაშვილის

მიერ არის შესრულებული მრავალი დეკორატიული პანო, ისტორიული და სიმბოლიური სურათი—რაც მის შემოქმედებაში შემთხვევითია, მისი „Naturmorte“-ში კი ადგილონრივი ელემენტები და კოლორიტი მხატვრის სხვა ნაწარმოებების საერთო მაღალ დონეს უსწორდება.

გ. გაბაშვილის ნაწარმოებთა გარეგნულ მრავალ—ფეროვნების მიუხედავად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მხატვარს დაწყებიდანვე უპოვია თავისი გზა, მას შინაგანი კონფლიქტი არასოდეს არ ქონია და ბოლომდის შეუნარჩუნებია ეს წონაწილობა. ორმოცდა ათი წლის განმავლობაში გ. გაბაშვილის მიერ შესრულებულია ორი ათასზე მეტი სურათი, ნახატი და ეტიუდი. ბევრი მათგანი უცხოეთში და რუსეთის დედა ქალაქებშია გაბნეული.

მხატვრობის გარდა გაბაშვილი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ის ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ტფილისის სამხატვრო სასწავლებლის დაარსებაში და ერთ დროს მის დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. საქართველოში მოგზაურობის დროს მის მიერ მრავალი სიძველენი არის შეძენილი ეტნოგრაფიულ მუზეუმში. ევროპაში მოგზაურობის დროს (საფრანგეთი, გერმანია, ბრიტანეთი და სხვა) იძენდა მრავალ იშვიათ წიგნებს სახვითი ხელოვნების შესახებ, რაც მის მიერ შეწირულია ეროვნულ გალერეის და სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში. 1921-29 წლებში გ. გაბაშვილი ითვლებოდა ტფილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის პროფესორად.

ნახევარი საუკუნე ქართველ მხატვრებისათვის იშვიათი გმირობაა ძლიერი ნებისყოფის, უტყუარი ნიჭის და ხელოვნების ღრმა სიყვარულის დამამტკიცებელი. გ. გაბაშვილი საქართველოს მხატვრული კულტურის პირველი ოსტატია, რომელმაც შეგნებულათ აირჩია ეკლიანი გზა მხატვრისა და მოთმინებით გადალახა გულცივობა და უყურადღებობა წარსული ეპოქისა. ორმოცდაათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იწვევდა ის მსურველთ ჩვენი ქვეყნის მხატვრულ ჩამორჩენილობის გადასალახავათ.

დღევანდელი ახალგაზრდა მხატვართა რაზმი და მათი მონაწილეობა ახალი ცხოვრების შექმნაში ფრიად საყურადღებო შედეგთაგანია გ. გაბაშვილის ნაყოფიერი მუშაობისა. 1929 წლიდან თანახმად ხელოვნების მთავარმართველობის შუამდგომლობისა, სრულიად საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის იმერ გ. გაბაშვილს მინიჭებული აქვს სახალხო მხატვრის საპატიო სახელწოდება. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა გ. გაბაშვილი დღესაც განაგრძობს ადრინდელი ხალისით და ენერგიით მუშაობას.

იანვარი. 1934 წელი



იროდიონ ევდოშვილის პოეზია *

1

ი. ევდოშვილმა სალიტერატურო მუშაობა გასულ საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო. მისი შემოქმედებითი გზა გაიშალა სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა და კლასიური ურთიერთობის გამწვავების პერიოდში.

გასული საუკუნის 80—90-იანი წლები ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ურთულეს და უშესანიშნავეს პერიოდს წარმოადგენ. ეს წლები არაჩვეულებრივი სოციალ-ეკონომიური და იდეურ-პოლიტიკური მოძრაობის ხანაა. ამ ხანაში ჩვენში ნატურალური მეურნეობა ძირ-ფესვიანად შეირყა, წარმოიშვა, საქარხნო-საფაბრიკო წარმოება, რომელიც კაპიტალისტური საწარმოო ძალების საკმაოდ მაღალ დონეზე ასვლის, მის სამრეწველო ფაზისში გადასვლის გამოხატულებას წარმოადგენდა.

კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა ახალი კლასების ჩამოყალიბება, გაძლიერება, მათი აქტიური გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე (ბურჟუაზია და პროლეტარიატი).

ახალი საწარმოო ძალების განვითარებამ სოფელზედაც მოახდინა გავლენა, სოფელიც გამოიყვანა პატრიარქალური მდგომარეობიდან. სასოფლო მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა გარკვეულად მიიღო კაპიტალისტური ხასიათი.

სოფლის კაპიტალიზაციის გზაზე დადგომამ სათანადო გადაჯგუფება გამოიწვია გლეხობაში. მათშიაც ჩნდება ფენა, რომელიც თავისი ინტერესებით ახლო იდგა ქალაქის ბურჟუაზიასთან, ესენი იყვნენ სოფლის ჩარჩები და კულაკები. გლეხობის უმეტესობის მდგომარეობა სოფლად სოციალ-ეკონომიურად იმავე ხასიათისა იყო, როგორც ქალაქის მუშათა კლასი. სოფლად ფართედ მიმდინარეობდა გლეხობის მასიური პროლეტარიზაცია.

გასული საუკუნის 80—90-იან წლებში საქართველოში თავად-აზნაურობის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა ეკონომიურ დაცემის გზაზე იყო დამდგარი.

* ი. ევდოშვილის მხატვრულ—შემოქმედებითი მუშაობა მეტად მრავალფეროვანია. იგი სწერდა ლექსებს და პოემებს, მოთხრობებს, ჰუმორისტულ წერილებს, დრამატულ სურათებს და სხვ. ამასთანავე ი. ევდოშვილი ჩვენში საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლად ითვლება. აქ ჩვენ ვეხებით მხოლოდ ი. ევდოშვილის პოეზიას, რომელსაც მთელ მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს.

ზემო აღნიშნულ მომქმედი ძალების გვერდით კაპიტალიზაციის გზაზე დამდ-
ვარ საქართველოში ჩვენ ვხედავთ წერილობრივად (ხელოსნები, შინა-მრეწველნი
და სხვ.). თავისი შემადგენლობით წერილი ბურჟუაზია ჩვენში საქართველოში
ცხოვრებელი იყო. კაპიტალისტური კონკურენცია მიიწვევდა ტვირთთა-აწვეწავის
მოვლას და მათ შორის იწვევდა ეკონომიურ დიფერენციაციას.

მეტრამეტრ საუკუნის 80—90-იან წლებიდან მოძრაობა მუშათა საქარ-
თველოში ფართო ხასიათს ღებულობს. საშინელმა ექსპლოატატორულმა პირო-
ბებმა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გავლენამ ხელი შეუწყო ჩვენ-
ში მუშათა მასიური მოძრაობის წარმოშობა-განვითარებას. 80—90-იან წლებ-
ში ადგილი აქვს უკვე მრავალ გაფიცვას რკინიგზის, თამბაქოს, საფეიქრო და
სხვა წარმოების მუშათა შორის. მაგრამ მუშათა ამ მოძრაობას მრავალი წლე-
ბის განმავლობაში არ ჰყავდა ორგანიზატორი. ეს როლი შემდეგში იკისრა რე-
ვოლუციურმა მარქსიზმმა. მუშათა მოძრაობა რევოლუციური მარქსიზმის საშო-
ქმედო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ სტიქიურ-ეკონომიური მოძრაობიდან შეგ-
ნებულ პოლიტიკურ-კლასობრივ ბრძოლაზე გადადის.

საქართველოში (და საერთოდ მთელ ამიერ-კავკასიაში) ნამდვილი რევო-
ლუციური მარქსიზმის საფუძვლისმდებლად გამოდის. ა. მ. ს. ტალინი. იგი
აწყობს მუშათა ნამდვილ მარქსისტულ-რევოლუციურ წრებს. საქართველოში
პირველი აცნობს ა. მ. ს. ტალინი მუშებს რევოლუციურ მარქსიზმს, ლენინს,
და მის იდეებს. ა. მ. ს. ტალინი აწყობს არალეგალური პოლიტიკური შინაარ-
სის ფურცლების ბეჭდვას, მუშათა გაფიცვებს, პოლიტიკურ დემონსტრაციებს
და სხვ. ამდენად, ის მოსახრება, თითქოს „მესამე დასი“ წარმოადგენდა რე-
ვოლუციურ-მარქსისტულ ჯგუფს არა სწორი. ეს ჯგუფი ჩვენს სინამდვილეში
ლეგალურ მარქსიზმის სახეობას წარმოადგენდა.

ბურჟუაზიის, როგორც კლასის გაბატონებას თან მოჰყვა მისი იდეოლო-
გიის ვაჟიკეობაც. ეს პროცესი მხატვრულ ლიტერატურასაც შეეხო.

მომაკვდავ კლასებთან ერთად საშოქმედო ასპარეზიდან თანდათან გადიან მათი
იდეოლოგიური წარმომადგენლებიც. გასული საუკუნის 90-იან წლებში სასიკვდი-
ლო კრიზისის წინაშე დგება თავად-აზნაურული და ხალხოსნური იდეოლოგია.

ასეთ მრავალფეროვან კოლიზიათა გზით მიმდინარეობდა ჩვენი ცხოვრე-
ბის განვითარება გასული საუკუნის 90-იან წლებიდან. ეს საერთო ხასიათის
პროცესები სათანადო გამოხატულებას სალიტერატურო ფორმებშიც კარ-
გობს. ახალი საწარმოო ურთიერთობის გაბატონება საბოლოოთ ანგარიში
სალიტერატურო ცხოვრებასაც ახალი სოციალ-კლასიურ შინაარს აძლევს. სა-
ზოგადოებაში გამეფებული კლასთა ბრძოლა სპეციფიურ ფორმებში მხატვრულ
ლიტერატურაშიც ისახება.

როგორც ვხედავთ მეტად რთული და თავისებურია ჩვენი ქვეყნის განვითარე-
ბის ის პერიოდი, როდესაც სალიტერატურო ასპარეზზე ი. ევდოშვილი გამოვიდა.

სოციალური წარმოშობით და მდგომარეობით ი. ევდოშვილი დაკავშირე-
ბული იყო წერილობრივად წარსულს. ეს წრე აძლევდა მას საზრდოს მთე-
ლი მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე. ამ წრის დამახასია-
თებელი თვისებები წითელ ზოლივით არის გავლენილი ევდოშვილის მსოფლ-
მხედველობაში, მის სალიტერატურო მოღვაწეობაში.

II

ი. ევდოშვილი უმთავრესად ლირიკოსი — პოეტია. მისი შემოქმედების უმთავრესი მომენტი პირადი გრძობა-გუნების შესახებ საუბარია. მხარამ ი. ევდოშვილის პოეზიაში ეს ლირიკული ნაკადი დაკავშირებულია ცხოვრების, საზოგადოებრივი ურთიერთობის და ეპიზოდების პლასტიურ სახეობრივ გამოსახვასთან. ამ პლასტიურ — სურათებში და ეპიზოდებში ი. ევდოშვილი გვიხატავს კლასობრივს, საზოგადოების მიერ შევიწროებულს, უფლება აყრილსა და გარიყულ ადამიანთა სახეებს.

თავის პირველ ლექსშივე ი. ევდოშვილი აღნიშნავს საზოგადოების ორ ბანაკად, ორ კლასად გაყოფას. ერთ მხარეზე არიან „ზედნიერები“ — ბატონები, ხოლო მეორე მხარეზე — „უბედურები“ — ჩაგრულები:

შენ ედელს შიგნით ტყბილად ჰლიდინებ.

კედელს გარედან ბანს გაძლევს კენისი.

(„ზოგიერთ მეგობრებს“).

ან კიდევ:

ზედნიერებო, გამოდით გარეთ,

მხოლოდ თ ვენთვისა ანათებს შთვარე,

შენ კი საწყალო არ გაქვს ადგილი,

ამ მეგლისიდან გამოიპარე.

(„სალამო ქალაქში“)

ი. ევდოშვილი თავის შემოქმედებაში უმთავრესად კაპიტალისტური საზოგადოების ერთი ნაწილის — დეკლასირებული ელემენტების, ლუშენპროლეტარების ცხოვრებას გვიხატავდა. ზრდის პროცესში მყოფი სამრეწველო პროლეტარიატი, მისი ცხოვრება და ბრძოლა მეტად მკრთალად მოსჩანს ი. ევდოშვილი შემოქმედებაში. ეს ლუშენპროლეტარული ფენები ი. ევდოშვილის პოეზიაში გამოდიან როგორც ინდივიდუალისტური მიდრეკილებების ძატარებელნი, რომლებიც დაშორებული არიან საერთო კოლექტიურ შეგნებას და დარაზნული ბრძოლის აუცილებლობას.

ი. ევდოშვილი შეყვარებულია ქუჩაში. იგი აქ ცხოვრების დუხჭირ პირობებით შევიწროებულ ხალხს ხედავს, რომელსაც აწმყოში დეკლასირებული სოციალური მდგომარეობა ახასიათებს.

ი. ევდოშვილმა ქუჩას პირველმა დაუმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში მოქალაქობრიობა. მან თავის პოეზიაში შეიყვანა ქუჩის ხალხი. კაპიტალისტური წყობილების უღმობელობა, დუხჭირი პირობები მისცბს ქუჩისაკენ მიერეკბა. აქ იშლება მათი არსებობისათვის ბრძოლის ასპარეზი. აქ არიან თავმოყრილი კაპიტალისტური საზოგადოების გერები, კლასიური — ექსპლოატატორული წყობილების სიმწარის მნახველნი.

აბა შეხედეთ მატანტალას. იგი ეხლა ცხოვრების „მეტ ბარგად არის ქცეული. იგი სოფელს მაშინ სჭიროდა“ ოდეს ჰაბუკსა, სიციოცხლით სავსეს, ძალ-ღონე „ჰქონდა“, სკიმავედა ძარღვებს“. „ოფლსა ჰღვრიდა და რის შედგესაც სხვა ისაკუთრებდა. მაგრამ „როცა გატყდა ჯანი, უსუსტა მკლავმა“, იგი უკვე სრულებით გარიყული რჩება, ვინაიდან შეუძლებელი ხდება მისი გამოყენება.

საექსპლოატაციო ობიექტად და ამიტომ ჩვარივით აგდებენ ქუჩაში, აქ უნდა დალიოს მან თავისი არსებობის უკანასკნელი ტანჯული დღეები.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშა იმდენად ფასობს, რამდენადც იგი საექსპლოატაციო საშუალებაა. როდესაც ეს თვისება ეკარგება მას, მაშინვე იშორებენ თავიდან. ასეთ პირობებში მისი სიცოცხლის დასასრული სიმშვილით სიკვდილია. იგი იღუპებოდა და მასზე იტყვიან: „მოკვდა ქია და მატანტალა“.

აგერ მეძავე ქალიც („განკიცხული“), დღეს რომ ძილში ატარებს და ლამით ლუქმას ეჭებს. მას დიდი ხანია უმანკობა დაუკარგავს. „დუხპირ ცხოვრებამ ვადულაბა ყმაწვილი გული“ და „სახლიდან გამოაგდო ლოთმა დედამა და ახლა ჰქვია ქუჩის გოგო და მაწანწალა „მშვიტ-მწყურალი ბაღებში დაეხეტება, სადაც დაღბნიებული და მამლარნი განცხრომას ეძლევიან, ხოლო — მეძავე ქალი იქვე მღერის, ცეკვავს და იგრიხება. ცხოვრების გერმა, განკიცხულმა, ქვეყანას უპატრონოდ მიგდებულ პირში შვილი მისცა, რომელიც სადღაც სხვა ბაღში ქურდ-ბაცაცობას ეწევა.

ამ ხალხის ცხოვრება დაუსრულებელი ტანჯვა, მწუხარება და დამცირებაა. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ამოაგდო ისინი ადამიანთა ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან.

იმავე ფენებიდანაა ბიჭუქელაც („მიდის, მიგოგავს“), რომელიც ცხოვრებისაგან უკვე განწირულია. ბურჟუაზიული სინამდვილის სუსტი მასაც მოხვდა. კაპიტალისტურმა წყობილებამ ეს უმანკო არსებაც ვარიყა და გააბ.ოროტა. იგი ეხლა არსებობის ბნელ ხვეულებში დამჩრწის. კლასიურ საზოგადოებაში მისთვის საარსებოდ მხოლოდ ქურდ-ბაცაცის გზა დარჩა თავისუფალი. ეხლა მისთვის ყველაფერი ნებადართულია. მაგრამ როგორია მისი ცხოვრების დასასრული?

აბ, ბიჭუქელავ, ურცხვსა თვალეში,
უკვე გამოსჩანს გაბრწნილი სული
და იდუმალად მაგარი ხუნდი,
შენს ხელეზუვა გამოსახული.

კერძო საკუთრების ნადავზე აგებული წყობილება ხელს უწყობს ბოროტ-მომქმედთა გამრავლებას. პატარა ბიჭუქელას დასასრული ამ წყობილებაში ხდება „მაგარი ხუნდი“ და სატუსალო.

ცხოვრების ბსკერზე მოქცეულ ადამიანთა შრავალ სურათს იძლევა ი. ევდოშვილი თავის პოეზიაში. ეს არ იყო ცალკეული ეპიზოდური სურათები. მთლიანად ასეთი სურათების კონას წარმოაოგენდა ძველი ცხოვრება ი. ევდოშვილი ხასს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს ხალხი არსებული სოციალური სისტემის მსხვერპლი იყო.

ამ დეკლასიური ელემენტების გვერდით ი. ევდოშვილი ცდილობდა მოეკა შედარებით უფრო შეგნებული მშრომელთა ზოგიერთი წარმომადგენელიც. კაპიტალისტურ საზოგადოებაში არც მათი მდგომარეობა იყო სახარბიელო, მაგრამ ზემოთ დახასიათებულ ლუმპენპროლეტარულ ელემენტებისაგან განსხვავებით მათი ცხოვრება უფრო ორგანიზებული იყო. ისინი ასე თუ ისე მაინც იყვენ

ჩამბული წარმოებითი ურთიერთობაში, რომლის ნაყოფსაც ექსპლოატატორული კლასი ისაკუთრებდა.

მუშის ცხოვრება კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაბადებულანდ—სიკვდილამდე გაბმული ტანჯვაა. ცხოვრების სუსხი მას მუდამ სტრესს ნახევრად

მე დავიბადე ძველს წწლის ჭობში.

ლერწამი იყო ჩემი აკვანი.

ზევიდან ჩვარი ძლივსა მფარავდა.

სიცივით კართოდა შიშველი კანი...

(„მუშა“).

ეს მხოლოდ დასაწყისია მისი ტანჯვისა და უბედურების. წამოზრდის, დავაჯაცების შემდეგ კიდევ უფრო საგრძნობი ხდება მისი დუბჭირი არსებობის პირობები. „რკინის ულელქვეშ“ მოახრევეინა „ცხოვრებამ ქედი“ და ეხლა ვინმე ბატონსა უპოხიერებს „ოფლით მიმულსა“.

დღისით, მძიმე შრომით დაღლილ მუშას შიშველს მიწაზე დიდი ქარხნის სარდაფში სძინავს, ზედ ახურია ჩოხის ნაგლეჯი, თავი დაუყრდნია კონკის ძველ ტოპრაკზე. იგი სიზმარშიაც საშინელ ცხოვრებას ხედავს. ცხოვრების სიმწვავე ძილის დროსაც არ ასვენებს საბრალო არსებას („მუშის სიზმარი“).

კაპიტალისტურ-თვითმპყრობელურ წყობილების სიმწვავე საგრძნობი იყო არა მარტო ქალაქელ მშრომელი ფენებისათვის, არამედ არა ნაკლებ სუსხიანი და სასტიკი იყო ღარიბი გლეხობისთვისაც. მრავალი წლების განმავლობაში გამომუშავებული სისტემა გლეხთა ექსპლოატაციისა მეოცე საუკუნის დასაწყისს არა თუ არ შენეილდა. არამედ კიდევ უფრო გამწვავდა. კაპიტალისტური ფენები, თავად-აზნაურობა, სასულდორო პირები, მოხელეები და სხვები შეტად მძიმე პირობებში აყენებდნენ გლეხობას. გლეხობა მოსთქვამდა თავის აუტანელ ცხოვრებაზე:

მოიტა, გოგო, ე გუდა, ნაბადი არა მქონია,

ორიოდ მქადი ჩააგდე და ცოტა ძოხის ქონია.

წაელ საითმე, ვისთანმე, გადვიელი სოფელ-სოფელა,

ხო ხედავთ, ჩემი მშველელი არავინ არა ყოფილა,

ვერ მოვისვენებ ზამთარშიც, ვერ მოვასვენებ ძვალმანაა.

ცოტა მწვარი რამ წაუგე ძირში გაცვეთილს ქალმანსა.

ვინ იცის სადამდე ვივლი, ან კი ვიპოვი რამესა.

ვის მივადგები კარებზე, სად გავათენებ ღამესა...

და სხე.

(„გლეხის ფიქრები“)

ღარიბი გლეხობის ეს სიტყვები, მისი მძიმე ცხოვრების მკვეთრი გამოცხადილი იყო.

ასეთ ფერებში ეხატებოდა ი. ევდოშვილს ძველი ცხოვრების შინაარსი. კაპიტალისტური ურთიერთობის ზოგიერთი დამახასიათებელი მხარე აქ უსათუოდ არის გადმოცემული. ბურჟუაზიულ წყობილებაში მხოლოდ მცირე ნაწილი — ექსპლოატატორთა ფენა ცხოვრობდა განცხრომასა და ფუფუნებაში. მასების დიდი უმრავლესობა კი საშინელ პირობებში იყო ჩაყენებული. მაგრამ თვით ამ შევიწროებულ მასებში იყო მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეკა-

ვშირებულნი ებრძოლა ამ მახინჯ სინამდვილეს. ი. ევლოშვილი ამ ხალხს შეტად სუსტად ხედავდა და ხატავდა. მისთვის უფრო ნაცნობი და გასაგები იყო მასების ის ნაწილი, რომელიც არ იყო ჩაბმული წარმოებაში, რეჟიმის დინამიკულ ცხოვრების პირობებში იყო მოქცეული.

III

რევოლუციური მარქსიზმის გამოსვლა ჩვენში სამოქმედო ასპარეზზე არ იყო შემოხვევითი მოვლენა. იგი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის, ახალი კლასობრივი დიფერენციაციის ბუნებრივი გამოძახილი იყო. რევოლუციურ მარქსისტებს წილად ზედა გამოფხიზლების, კლასიური გათვითცნობიერების გზაზე დამდგარი მუშათა მასების დიქტორ — ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. ეს მისია მან პირნათლად შეასრულა. ამ საქმიანობის პროცესში მასთან დაახლოებას ცდილობდნენ ჩვენში მომქმედი სხვა სოციალური ფენების ცალკეული წარმომადგენლებიც. ასეთ მიდრეკილებებს ამგვანებდნენ განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული წარმომადგენლები. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ლებულობდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობას, მაგრამ შემდეგში ბევრი მათგანი ვერ უძლებდა რევოლუციური ბრძოლის მკაცრ გამოცდას. დიდი წინააღმდეგობის დროს ისინი უმეტეს შემთხვევაში ლალატობდნენ რევოლუციის საქმეს და ბურჟუაზიას ეკედლებოდნენ.

ასეთივე ევოლუცია განვლო ი. ევლოშვილმაც. მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ გარკვეულ პერიოდში ი. ევლოშვილი დაახლოებული იყო მარქსისტულ მიმდინარეობასთან და რომ ეს მდგომარეობა მის შემოქმედებაზე თავისებურ გავლენას ახდენდა.

როგორი კონკრეტული — პოეტური გამოხატულება მიიღო ი. ევლოშვილის დაახლოებამ რევოლუციურ მოძრაობასთან?

„მუშა და მუშა“-ში ი. ევლოშვილი იძლევა კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელ თვისებას — მუშის მძიმე ცხოვრებას. მაგრამ იგი აქ არ ზერდება. ის ამასთან ერთად გვიჩვენებს მუშათა მასების ნაწილის შეგნების გამოფხიზლებას, ბრძოლებისათვის დარაზმავს.

„მუშა და მუშა“ იწყება ბურჟუაზიული საზოგადოების კონტრასტების ნიშნული მომენტების ჩვენებით. მუშა აწუნებს დარბაზებს, მაგრამ მას მაინც არ აქვს სახლი, მიწას ებრძვის და შვიერი კედება იგი ააყვავებს ქალაქს და სოფელს, მაგრამ მას მაინც არ აქვს იქ წილი. მუშა ცხოვრების გერად არის გამხდარი:

აწუნებ დარბაზს — სახლი არა გაქვს,
 ებრძვი მიწასა — კედები შვიერი;
 ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი
 და რისთვისა სცემა მყერდი ძლიერი?
 შეზღვე ქალაქს, შეზღვე სოფელს,
 შენ გააკეთე ეს ქანდაკება,
 მას შენი ოფლის ბეჭედი ახის,
 მას შენი სული თავზე ველება.
 მაგრამ ვისია: გაქვს შენ იქ წილი?
 სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერა?

ასეთ მდგომარეობაში მყოფ მუშას ევლინება მხატვრული შემოქმედების, „პოეზიის სიმბოლო მუზა. მუშას შეჰყავს მუზა ცხოვრების სიღრმეში. მუზა, რომელიც ოლიმპის სიმაღლეზე ცხოვრობს, დაშორებულია სინამდვილის არსებითი შინაარსის ცოდნას. ცხოვრებასთან დაახლოება მუშას სულ სხვა გვარად წარმოუდგენს სინამდვილეს: აქ მშრომელთა გაათავრებულ ექსპლოატაციას ნახავს. გაბატონებული კლასები შეუბრალებლად ყვლევენ და ჩაგრავენ მუშათა მასებს. მუზა უკან იხევს ამ სინამდვილისაგან. აპირებს კვლავ გაიქცეს ოლიმპის სიმაღლეებზე, მაგრამ მუშა მოუწოდებს მას ჩაებას ამ მახინჯი სინამდვილის მოსასპობლად გამართულ ბრძოლაში. მხოლოდ ბრძოლის გზით შეიძლება ექსპლოატატორთა თავიდან მოშორება:

ეს ოფლიანი ათასი მკერდი,
მოჭილი მკლავი ოფლში, შრომაში,
მათი წეგეში, მათი იმედი
ჰპობს, რაც უნდა — მხოლოდ ბრძოლაში
ჩუ, აგერ სხივმაც შეითამაშა
და მუშამ მაღლა ასწია ქედი,
ბრძოლის ხმამ დაჰკრა, დაიგანგაშა.
რომ გამოსჭედოს მან თვისი ბედი.

„მუშა და მუზა“-ში უსათუოდ მოიხმის მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ. ეს აწეული პათოსი სინამდვილის თავისებური გამოძახილი იყო.

რამდენადაც შეოცე საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი ცხოვრება თანდათან ივლინებოდა ბრძოლის ატმოსფერით, მზადდებოდა ნიადაგი ცხრასს ხუთის რევოლუციური გამოსვლებისათვის, იმდენად ი. ევდოშვილის პოეზიაშიც შელავნდებოდა ბრძოლის, იმედიანობის პერსპექტივა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ბოლო მოეღება მაშერალთა მძიმე ცხოვრებას, შევიწროებულ პირობებს:

მაგრამ, მოვა დრო და სიტკბოებით
შენც გაგიღუმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განაზღვრების...
დრო ბრწყინვალე, დროი დიადი...

(* * *)

ასეთ იმედიან რწმენას ი. ევდოშვილი სხვა ლექსშიაც ამჟღავნებს. ერთ-ერთ ლექსში იგი აწეულ კილოზე ლაპარაკობს:

რაც უნდა ღამე იყოს ბნელი,
ცა ღრუბლებით მოიჭედოს,
არსად სჩანდეს ვარსკვლავები,
მოვარემ გზა ვერ გაიკვეთოს
მაინც ველით განთიადსა,
არ შედრება ჩვენი გული,
უკვე ადგა ქარიშხალი
განთიადის მოციქული.

(„სიმღერა“)

შემდეგ ი. ევდოშვილი აღნიშნავს, რომ მის თვალწინ ეხატება „მორითმორბედი მომავალი სხივები მზისა, მადლ-მოფენილი დედამიწა ყვავილადებში, დროშა სიმართლის და გვირგვინი სიყვარულისა“ (ე. ი. ევდოშვილი, 1927, გვ. 111).

მოწოდებას ბრძოლისაკენ და იმედიანობას ი. ევდოშვილი ყველაზე უფრო მეკეთრად იძლევა თავის ადრინდელ ცნობილ ლექსში — „მეგობრებს“. ამ ნაწარმოებში პოეტი მოუწოდებს თავის მეგობრებს ჩარჩ-უკულმართ — ბედთან ბრძოლა, წინსვლას, გულს ბრძოლის ტრფიალით ავსებს და შერჩენებას უბოძნის იმათ, ვინც ბედს მონურად მოუხარა ქედი. ამ ნაწარმოებში ი. ევდოშვილის რევოლუციური გაქანების მაქსიმუმი.

მშრომელი მასების რევოლუციურმა გამოსვლებმა ცხრაას ხუთ წელში, ი. ევდოშვილშიც თავისებური აღფრთოვანება გამოიწვია.

პირველი რევოლუციის განვითარების მანძილზე იგი ლექსთა მთელ წყებას სწერს, სადაც მოისმის მოწოდება ბრძოლის აუცილებლობაზე. მის შემოქმედებაში ისაღვურებს რწმენა თავისუფლების მოპოებისა:

გულში, გულში გახაფხულის
სხივმა დაჭრა, გაიციანა
და იმედმა, ფრთა შესზმულმა,
აღმადგინა, აღმაფრინა.
ქარი კენესის, ჩანგი მღერის,
სიხარულით თრხოლავს გული,
ეს პირველი სხივი არის:
მეგობრებო, გახაფხული...
(„პირველი სხივი“)

პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ი. ევდოშვილი რუსეთისა და უკრაინის პოეზიაშიც უმთავრესად ისეთ მოტივებს ეტანებოდა, რომლებიც ერთგვარ მებრძოლ განწყობილებებს გამოხატავდა. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ თარგმნილი ლექსები: „პირველი მადისი“, „თქვენ გახდით მსხვერპლი“, „წინ“, „ძმებო დროშა გაიშალა“, „წითელი დროშა“, „რეაქცია რას დაგვაკლებს“, „ძმებო გამირულად“ და სხვ.

მასების რევოლუციურმა გამოსვლებმა ცხრაას ხუთში თვითმპყრობელობის ტახტი შეარყია. ბიუროკრატიულ-ექსპლოატატორული წყობილების არსებობა საფრთხის წინაშე დადგა. მშრომელი მასების ბრძოლის კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ი. ევდოშვილიც ემბაურებოდა. იგი პირდაპირ მიმართავდა თვითმპყრობელობას:

აბა, დაჰხედე ამ ჩემ წულულებსა,
შენ, ჩემო მტერო, აწ კი მასხარავ,
შენს მონობაში გაკეთდა მკლავი,
აწ ვეღარ მოპხრი, ვერ გადასძალავ.
დიდი ხანია შენს ფეხთ-ქვეშ ვფდამი,
არ შეისმინე ცრემლი, მუდარა...
დათვალე დღენი, ჩადის შენი მხე,
სალამომ კუბო დაგისუდარა...
(„ჩემო მტერს“).

მართალია, პირველმა რევოლუციამ საგრძნობლად შეარყია თვითმპყრობელობის ტახტი, მაგრამ იგი ვერ გაანადგურა. დროებით თვითმპყრობელობა ისევ გამაგრდა.

მეცხეობისა

IV

ი. ევდოშვილის პოეზიაში საგრძნობი იყო სატირული ნაკადი. ამ სატირულმა ნაკადმა თავისი გაშლისა და განვითარების მწვერვალებს პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მიაღწია.

ი. ევდოშვილი თავის სატირაში ეხებოდა მიმდინარე, თანადროულ ცხოვრების ნიშნულ მომენტებს. ამ მხრივ მისი სატირა არ იყო მოკლებული აქტუალობას და სიმკვეთრეს. ი. ევდოშვილის სატირა უმთავრესად მიმართული იყო თვითმპყრობელობის და მისი წარმომადგენელების წინააღმდეგ.

ი. ევდოშვილს ძალუმი სიმძაფრე შეჰქონდა სატირაში. მასების ბრძოლას იგი თავისებურ პოეტურ ენაში აყალიბებდა. მეტად მოხერხებულად იყენებდა იგი ბასრ იარაღს—სატირას.

ი. ევდოშვილის შემოქმედების სატირული ციკლის ლექსებში გამოიჩინება „ვაი ჩვენს თავს“, „გავასვენოთ ჩემი ბიძა“, „შემოკრბით“—„ძმებო“, „ბიძიას“ და სხვ. აქ მოგვცა ი. ევდოშვილმა თავისი რევოლუციონური და პოეტური გაჭნეების ძალუმი გამოხატულება.

V

ი. ევდოშვილი ბერანეს საგრძნობ გავლენას განიცდიდა.

როგორც ცნობილია ბერანე იყო ტრიბუნი საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის, რომელიც 1780—1840 წლებს შორის ჯერ კიდევ რევოლუციურ როლს ასრულებდა არისტოკრატის და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რევოლუციურად განწყობილ საფრანგეთის წვრილბურჟუაზიის მომღერალთან იდეურად საქაოდ ბევრს საერთოს ნახულობდა საქართველოს წვრილბურჟუაზიის წარმომადგენელი. ეს მოვლენა გარკვეულ სოციალურ კანონზომიერების საფუძველზე იყო აღმოცენებული. ბერანეს შემოქმედება პოლიტიკური აქტუალობით ეფარდებოდა ი. ევდოშვილის პირველი პერიოდის იდეურ მისწრაფებებს.

აღსანიშნავია, რომ სახელოვან ფრანგ პოეტ ი. ევდოშვილამდეც იცნობდნენ ჩვენში, მისი ლექსების თარგმანები ქართულ ენაზე გასულს საუკუნის სამოციან წლებიდანვე იპოვება. ბერანეს ლექსების თარგმანი ჯარ კიდევ „ციხე-ქარში“ და შემდეგ „ივერია“-შიც იბეჭდებოდა. ბერანედან აქვთ ნათარგმნი ლექსები გ. ერისთავს, ა. აკის, რ. ერისთავს, გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, გ. აბაშიძეს და სხვ. მაგრამ არისტოკრატული პოეზიის წარმომადგენლებისათვის ბერანე უმთავრესად ღვინის და სასიყვარულო განცდების პოეტი იყო. საერთოდ კი ქართულ თავად-აზნაურულ პოეზიას ბერანემ ვერაფერი მისცა. ეს გასაგებიც არის.

ი. ევდოშვილის ლიტერატურული კავშირი ბერანესთან მრავალფეროვან მომენტებში გამოიხატა. ჯერ ერთი მან თარგმნა ბერანეს მთელი რიგი წვრილ-

ბურჟუაზიულ-რევოლუციონური ხასიათის ლექსები. შემდეგ მისი მრბაძვით სწორდა თავის ორგინალურ ლექსებსაც (რასაც ხშირად არც ვეფოფოფნი მიაღვდა).

ი. ევლოშვილის მიერ „თარგმნილ ბერანეეს ლექსებიდან“^{*)} უნდა დავასახელოთ „საფრანგეთის მომავალი“. ბერანეეს ეს ლექსი მიმართული იყო მონარქისტების წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთში რესტავრაციის შემდეგ დაბრუნდნ.

შემდეგი თარგმანებია: „დუბუტატის ანგარიში“, „ბარაბანი“^{*)}, და სხვ.

მაგრამ ბერანეეს გავლენა ი. ევლოშვილზე გამოიხატა არა თარგმანებში. არამედ საკუთარ ორგინალურ პოეზიაში. ბერანეემ ღრმა ხეული გაავლო ი. ევლოშვილის ორგინალურ შემოქმედებასაც. ი. ევლოშვილის მთელ რიგ ლექსებში მოისმის ბერანეესეული მოტივები.

ბერანეეს უშუალო გავლენის გამოხატულებას წარმოადგენს ი. ევლოშვილის ლექსი „იდგია“. ეს ლექსი ი. ევლოშვილს ბერანეეს „ერთი იდგის ისტორიის“ მიბაძვით აქვს დაწერილი. მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა მარტო უშუალო მიბაძვასთან, არამედ სხვისი სიუჟეტის შემოქმედებით გადამუშავებასთან.

ასევე ი. ევლოშვილის „ჩემს ძველ სერთუკს“ ბერანეეს ცნობილი ლექსის მიბაძვით არის შექმნილი.

გარდა ბერანეეს შემოქმედების მოტივებისა, ი. ევლოშვილის პოეზიაში ჩვენ ვხედავთ ბერანეესეულ ფაბულალურ სიტუაციებს და მხატვრულ ხერხებს (რეფრენი და სხვ.), ეს მომენტები ცხადად მოსჩანს ლექსებში: „ჩვენს ბოგდიხანებს“, „მტერი ამბობს“, „ოხ, სატანა როგორ მიყვარს“, „გავასვენოთ ჩემი ბიძა“, „ვთი ჩვენს თავს“, „ბიძიას“, „შემოკრბით ძებო“. და სხვ. ყველა ეს ლექსები ტიპიურ ბერანეესეულად არის დაწერილი.

ამგვარად, ექვს გარეშეა, რომ ბერანეემ საგრძნობი გავლენა იქონია ი. ევლოშვილის შემოქმედებაზე. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს გავლენა სრულყოფილობის დონემდე არ ასულა. ევლოშვილის ლექსებს ბერანეეს მებრძოლი სატირის მრავალფეროვანება, სუსხი და სიმძაფრე აკლდა. ევლოშვილმა მთლიანად ვერ შეითვისა ბერანეეს ცოცხალი სიმღერები. ბერანეე ყოველდღიურობით ცხოვრობდა. იგი დროულად უპასუხებდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს და მაღალ პოეტურ სახეებში ხატავდა მასების აღფრთოვანებას, მრისხანებას, სარკაზმს, უღარდელ ცხოვრებას. მწუხარებას და სხვ. ი. ევლოშვილი კი თავის პოეზიაში თითქმის ვერ ამტკიცებდა ასეთ მრავალფეროვანებას.

პოეტურ—მხატვრული ოსტატობის მხრივაც ი. ევლოშვილი საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული ბერანეესაგან. ამ უკანასკნელის ლექსების პოეტური ოსტატობის სიმძლვეზე ი. ევლოშვილი იშვიათად თუ აღიოდა ხოლმე.

*) როგორც ირკვევა, ი. ევლოშვილი ბერანეეს შემოქმედებას უმთავრესად რუსული თარგმანებით იცნობდა. ეს ნათლად მტკიცდება ფრანგული ორგინალის და რუსული და ქართული თარგმანების შედარებითაჲ.

VI

ი. ევდოშვილის პოეზიაში ფართე ადგილი აქვს დათმობილს კაპიტალისტურ საზოგადოებაში გამეფებულ სოციალური კონტრასტების ჩვენებას:

რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას,
არა ჰგავს განა კონკად ქცეულს შენს ძველ ფარაჯას?
შენ გააკეთე, შენ შექმენი, ძმაო, ვე ფარაა,
მაგრამ რაღაცა მანქანე'ით შენ კი არ დაგრა!
ის სხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ვე კონკის ძველა,
ასე რად ხდება?! ჰკითხე შენ თავს მაინც ერთხელა!

(„***“)

სამწუხაროდ ი. ევდოშვილი არსად არ გვიჩვენებს ისეთ მუშას, რომელიც მკვეთრად სვამდეს კითხვას იმის შესახებ, თუ რად ხდება, რომ მის ნაშრომს სხვა ისაკუთრებს, ან რა გზით შეიძლება ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. რით უპასუხებს მუშა თავის მძიმე ცხოვრებას? — მხოლოდ ტირილით:

ტირის ჭმწეო, ან ვინა ჰყავს თანამგრძნობელი,
და ან რა უთხრას ნესტიანმა ქარხნის კედელმა...

(„მუშის სიხმარა“)

ი. ევდოშვილის მუშები მოკლებული არიან კლასიურ შეუბრალებლობას. მიუხედავად იმისა, რომ არსებული წყობილება და ურთიერთობა მათ წინააღმდეგაა მიმართული, ისინი რატომღაც მაინც ჰარმონიული სულით არიან გამსჭვალული.

მუშის მძიმე ცხოვრების ოპტიმისტურ ფერებში მოცემა დამახასიათებელია ი. ევდოშვილისათვის. ასოთ-ამწყობი, რომელსაც „მკვდრის სულარას“ უგავს სახე, თვალები კი, გამჭრალ სანთელს, რომელსაც აუტანელი შრომისაგან ხერხემალი აქვს გაშეშებული, მუხლები უკანკალებს, თითები სულ დაუდუნდა და ველარ შლის და ვერ ხრის მკლავებს, მაინც მტკიცედ იტანს ყველაფერს და ერთი საპროტესტო სიტყვაც კი არ წამოსცდება („სიმღერა! ასოთ-ამწყობისა“).

ი. ევდოშვილის მიერ უსახლკარო, ლარიბლატაკთა აუტანელი ცხოვრების შესახებ დაწერილი ლექსები მკაფიოდ ამხელს ავტორის მეტად განსახლერულ კლასიურ შემეცნებას. ი. ევდოშვილს არ ესმოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გადასაქმნელად უსარგებლოა აბსტრაქტული იდეის სამსახური, რომ ამისთვის აუცილებელია კაპიტალისტური წყობილების ძირეულად დანგრევა. ამისათვის კი საჭიროა თანმიმდევრობით კლასობრივი ბრძოლის წარმოება. რაც თავის შპრით კლასობრივი შემეცნების სრული ათვისებისაგან უნდა გამომდინარეობდეს.

ი. ევდოშვილის მიერ კაპიტალისტური საზოგადოების დანაგრული, შევიწროებული ნაწილის ცხოვრების გადმოცემაში ზოგი რომ მართლაც დამახასიათებელია იმ დროისათვის. მაგრამ აქ ადგილი აქვს საგრძნობ ცალმხრივობასაც, უკეთ რომ ვსთქვად, სინამდვილის მთელ რიგ დანახასიათებელ მხარეთა მიფუჩჩებას, არ დანახვას.

კლასიური მტრებისაგან ექსპლოატაციის მიზნებისათვის შექმნილ დაბრკოლებების წინაშე ი. ევდოშვილის მუშა ქედს იხრის, ურიგდება. აი როგორ აღაპარაკებს იგი ასოთ-ამწყობს:

ვერაფერი ხელობა,
კუჭს ვერ აძლობს ეს ტიალი,
მაგრამ რას იჭ სავა არ სჯობს,
მაინც ვამბობთ: „აღა ბალი“



(„სიმღერა ასოთ-ამწეობისა“)

სახლების მშურაფი მუშაც პერსპექტივებს მოკლებულია. მას გულუბრ-
ყვილო ობივატელური უდარდებლობისათვის მიუცია თავი. იგი სინამდვილის
პასიურ მჭვრეტელად გამოიყურება. თავისი მძიმე ცხოვრება მას თითქმის ჩვეუ-
ლებრივ მოვლენად მიაჩნია. თუ რაიმე ცუდი ხდება ამ ქვეყნად, რა უყვით
მერე! იგი ქვეყანას ვერ გაასწორებს. ერთი წუთით მას დაებადება სურვილი
ცისაკენ გაფრენისა, თავისუფლების გრძობისა, მაგრამ შემდეგ ისევ მიწაზე
დაერთხმება და, თავის მძიმე მდგომარეობას შერიგებული, გაიძახის:

გა, დაქარი ჩაქუჩი,
ხეს რკინა დააქედე.
მაგისტან სურვილი
ან კი როგორ გაბედე...
დაქარ, დაქარ ჩაქუჩი,
დააშურე სახურავს...
სხვებისათვის რკინას ვეგდე,
მე ქუდიც არა მშურავს...

(„სახლების მშურაფი“).

დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ი. ევდოშვილის მიერ დამახასია-
თებელ მუშებს ზოგჯერ მომავლის იმედიც კი დაკარგული აქეთ:

შრომა... ოფლის ღერა... სიღარიბე... ძენწი ცხოვრება,
და ჩემს გარშემოც ჩვეულებრივ უბედურთ კრება,
უსიბარულოდ დაღეულნი წარსულნი დღენი...
და მომავლიც უიმედო ნაღველით მენი...

(„* *“)

მართალია. ი. ევდოშვილი ბევრს სწერდა თავისუფლებაზე, ბრძოლაზე
სოციალური სინამდვილის წინააღმდეგობებზე, მაგრამ იგი მათ მეტად აბსტრა-
ქტიული სახეს აძლევდა. ი. ევდოშვილის მრავალ ლექსში თავისუფლება, რევო-
ლუციური ბრძოლა მოცემული ვაჰქვს, როგორც განწყენებული რამ და არა
როგორც კლასობრივი ურთიერთობის შედეგი.

ი. ევდოშვილი ბევრს ლაპარაკობს, რომ მშრომელთა ტანჯვის და ყვლე-
ფის მოსასპობად საჭიროა ბრძოლა. მაგრამ მას მეტად შეზღუდვად ესმის ეს
ბრძოლა. იგი არ უნდა ვაცვილდეს სიმართლისა და მოყვასთადმი სიყვარულის
საზღვრებს. ი. ევდოშვილს სწამს „უსისხლო“ ჰუმანურ-ფილანტროპიული
ბრძოლა, „უქანასკნელ ცრემლებში“ იგი აღნიშნავს, რომ მას თავისი მტერიც
კი ებრალეობდა. სხვა ლექსში („ჩემს ხანჯალს“) ი. ევდოშვილი ამბობს რომ
ხანჯალი მას უნდა არა მტრების საჩეხად, არამედ იმისათვის, რომ იგი აგონებს
მხოლოდ მასრ ენას და სხვ.

ასეთ გამოთქმებში, აზრებში, რასაკვირველია, სრულიად უსაფუძვლოდ
იყო დამყარებული მუშათა მასების კლასიური შემეცნება. მეოცე საუკუნის
დასაწყისში ჩვენში მუშათა კლასი ასე აღარ მსჯელობდა, იგი უკვე ორგანიზა-

ციულად დარაზმული რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ ცენტრალურ ბრძოლას აწარმოებდა ბურჟუაზიის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

წვრილბურჟუაზიული ჰუმანიზმი, რომელიც ძლიერ წაყვედურის შეტყობილი ი. ედვოშვილის შემოქმედებაში, არ აძლევს მას საშუალებას შეხედოს მოვლენებს მთელი თავისი შინაარსით და რევოლუციური სიმკვეთრით.

სოციალური პრობლემების ისეთი გადაწყვეტა, როგორც ამას ი. ედვოშვილი იძლევა, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იგი ვერ შორდებოდა წვრილბურჟუაზიის კლასიური ხედვის ვიწრო ფარგალს*)

VII

ი. ედვოშვილი თავისი სოციალური წრის შვილი იყო. ის წინაღმდეგობანი, რომელიც ახასიათებს წვრილბურჟუაზიას, მთლიანად აისახა მის შემოქმედებაში. მებრძოლ კლასს თავის ბრძოლის ასპარეზზე ბევრი გაკვირება, სიძნელე და დაბრკოლება ხედებოდა, მაგრამ ყოველივე ეს არ იწვევდა მასში სასოწარკვეთილებას, იმედიანობის დაკარგვას, ბრძოლის სურვილის შენელებას. სულ სხვას ვხედავთ ი. ედვოშვილის შემოქმედებაში. მართალია, ზოგჯერ ი. ედვოშვილს არ ეკარგებოდა მომავლის იმედი, ბრძოლის საჭიროებაზედაც ლაპარაკობდა. მაგრამ იქ, სადაც საჭირო იყო მებრძოლი „სული“ და გაკაცებული ნება, ძლიერ ხშირად იგი ეძლეოდა უსასოებას, შხამით გულს ივსებდა, ვარამისა და კაეშანის ტყვეობაში ვარდებოდა და ექვით შეჰყურებდა მომავალს.

ლექსში „ორი სიმი“ ი. ედვოშვილი აღნიშნავს, რომ მისი გული, მისი გრძნობა ორათაა გაკვეთილი. საგმირო ხმას თან სდევს მწარე ცრემლი.

კაპიტალისტურ წყობილებაში არსებული წინააღმდეგობანი-წვრილბურჟუაზიული განსაზღვრულობის გამო ი. ედვოშვილს გაურკვეველობაში აგდებდა. მას ეკარგებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობის სირთულეში ორიენტაციის უნარი და ამიტომ ღრმა უიმედობაში ვარდებოდა:

ჩაქნა ყვაილი ოზრ წალკოტში,
ჩაქრა კანდელი, ქვითინებს გული,
ზამთრის სუდარამ გათოშა მდელო,
დამისუდარა ტურფა ხაუხული.
ბოი, ოცნებაც, აღწევებულა,
თავიგული ხარ შხამ-გესლიანი,
ტბილის აღერსით მომტაცე გული
და გადმიშაღე გზა გელიანი.
აჰა, გვირგვინი შენის ტრფობისა:
მოკლულნი სული, მოღლილი კლაეი,
დღეს — ხვალის ფიქრი, ბრძოლა და ბრძოლა
და იმედისა შავი საფლავი...

(„უკანასკნელი (ერმელები“)

*) ერთ-ერთი კრიტიკოსი თავის დროზე „კვალის“ ფურცლებზე ი. ედვოშვილის შესახებ სწერდა: „ვის ამტყუნებს პოეტი ადამიანის უბედურებაში? ადამიანს. არა! პოეტს ყველა ებრალება—ტანჯულიც და მტანჯველიც, დაჩაგრულიც და მიაგვრულიც, სიყვარული მყრდველიც.. და გამყიდველიც“ და მართლაც, ი. ედვოშვილის მრავალი ლექსისათვის სწორედ ასეთი თვალსაზრისია ნიშნული...

ი. ევდოშვილი ხშირად უიმედო მოთქმით ლამობდა დუხჭირი ცხოვრების ამოხუთვას. ასეთი მელანქოლიური მიდგომა ცხოვრებისადმი წყვეტდა და კარგულია პერსპექტივა, ნიშნულია ი. ევდოშვილის მთელი წყება — უკეთესი მსახურის.

„ელეგია“-ში ი. ევდოშვილი სრულ უიმედობას ეძლევა. გულის სიღრმიდან ამოღებული შავი ფიქრები ურთიერთს მისდევენ. ამ დროს მწარე და დასაღონია პოეტისათვის ცხოვრება. მას უკვე ყველაფერი ამ ქვეყნად ამოვბად ერგვნება, უკვე აღარ ახსოვს ბრძოლა, მომავალი. ის ხშირად აცხადებს, რომ იგი „სულით ობოლია“, რომ ვერ უპოვნია „თავისთა ქირთა თანამგრძობელი“, რომ იგი ცხოვრების გზაზე მიდის „ობოლის ეტლით“ და სხვ.

უიმედობისა და მწუხარების გრძნობა მეტად ღრმად არის შეჭრილი ი. ევდოშვილის „სულში“, თითქოს დახშულია ყველა გზები მის დასაძლევად:

გაჭრენ, წაიღენ ნეტარნი წუთნი
და მხოლოდ დამრა მე მოგონება,
თბ, რათ იშლება ველზე ყვავილი,
თუ რგი ასე მალე დაჰკნება?
აწ დაეშთენილარ მჭირი გულითა,
ძუნწი გრანობებით, გაცივებული
და ვდგევარ ასე სოფლის გარეშე,
ვითა ტაძარი მიტოვებული.
ვდგევარ და ვეცტო სოფლის ტრიალსა,
ყველა მგონია ამოვბა,
აოც სიყვარული, არც სიძულვილი,
მკვით შეპყრობილს არ შევარგება.

(„ძველ სატრფოს“).

სევდა, ნალველი და მწუხარება ი. ევდოშვილისათვის მუდმივ დამახასიათებელ განცდად რჩება. ერთ-ერთ ლექსს იგი სწორედ ასეთ სათაურს აძლევს: „მხოლოდ ნალველი სამუდამოა“.

ი. ევდოშვილი აფასებს ცხოვრების მთელ რიგ მხარეებს (ბუნების სილამაზე, სიყვარული და სხვ.), მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველაფერი ეს წარმავალია, სამაგიეროდ „მხოლოდ ნალველი სამუდამოა“. ეს შეზღუდულება ბოლომდე შერჩა ი. ევდოშვილს.

ი. ევდოშვილის ასეთი სულიერი დაცემა იმით უნდა აიხსნას, რომ იგი მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლასა და საქმიანობასთან არ ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული, ისე მჭიდროდ შედუღებული, როგორც ეს იყო საჭირო შემდგომ ი. ევდოშვილის შემოქმედების ეს სუსტი მხარეები იმდენად გაერთიანდა, რომ ბოლოს იგი მთლად დაეცა და სრულიად გასწყვეტა ყოველგვარი კავშირი მშრომელ მასებთან.

VIII

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სქელი ნისლივით დაეფარა ცხოვრებას თვითმპყრობელობის რეაქციონური პოლიტიკა. რევოლუციური მასების დარბევა, გაციმპირება, ჩამოხრჩობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. აი როგორ ახასიათებს ამ პერიოდს ლენინი: „რეაქციის წლები (1907—1910). ცარიზმმა გაიმარჯვა. ყველა რევოლუციური და ოპოზიციური

პარტიები დამარცხდნენ. დაცემულობამ, დემორალიზაციამ, განხეთქილებამ, დაბნეულობამ, რენეგატობამ, პორნოგრაფიამ შესცვალა პოლიტიკა. გაძლიერდა მისწრაფება ფილოსოფიურ იდეალიზმისადმი, გაბატონდა მისტიციზმი, როგორც კონტრ-რევოლუციურ განწყობილებათა გამოხატულება“.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაიფხვლებოდა რეაქციამ ხელი შეუწყო ჩვენში კოლონიალური ყვლეფის ახალი ფაზისის — იმპერიალიზმის განმტკიცებას. ამ გარემოებას შემდეგ მოჰყვა ერთის მხრით, წვრილბურჟუაზიული ფენებში გაძლიერებულ დიფერენციაციის პროცესი, ხოლო მეორე მხრით, კაპიტალისტური ურთიერთობის საფუძველზე, ადგილობრივი ბურჟუაზიული ფენების გააქტივება, მისი აგრესიული სახის გამოჩენა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი ჩვენში ბურჟუაზიული პარტიების ჩამოყალიბება და მისი პოლიტიკური ბრძოლის გაცხოველება გამოიწვია და ამ გარემოებაზე ბურჟუაზიის წარმომადგენლები აამოძრავა იდეოლოგიის ფორმირება.

საზოგადოებრივი რეაქცია და დემორალიზაცია წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის იმ ნაწილსაც შეეხო, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინად მუშათა კლასს მიჰყვებოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინტელიგენციაში ამ დროს ხდება „ლირებულებათა გადაფასება“. წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში მუშათა კლასთან იყვნენ დაახლოვებული, თანაუგრძნობდნენ მის საქმეს და მიიღეს მისი ხელმძღვანელობა, რეაქციის გაბატონების შემდეგ, უკვე სულ სხვა კილოზე აღაპარაკდნენ. უიმედობისა და უსაზღვრო პესიმიზმთან ერთად ეს ინტელიგენცია აქტიური მოქმედებისაგან „გაქცევის“ სურვილმა შეიპყრო. ნაცვლად მღელვარე რეალურ ცხოვრებაში მონაწილეობისა, რეაქციის გამარჯვებით დამფრთხალი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები ცდილობენ თავისი საკუთარი მსოფლიო „შექმნას“, საზოგადოებრივი მოტივები შესცვალონ ვიწრო-კამერული მოტივებით. ამ ნიადაგზე ბატონდება მათ შემოქმედებაში ინდივიდუალიზმი, უარყოფა სინამდვილისა, მეორე ქვეყნის ძიება, პესიმიზმი, მისტიურ-რელიგიური განწყობილებანი და პორნოგრაფია.

წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის რევოლუციურ ბრძოლისაგან ჩამოშორების საფუძველი მის ბურჟუაზიულ გადაგვარებაში უნდა ვეძიოთ. ეს პროცესი განსაკუთრებით მძლავრად 1907-8 წლებიდან იწყება.

როგორც ცნობილია წვრილი ბურჟუაზია თავისი სოციალური ბუნებით არ არის მყარი. იგი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის ქანაობს. წვრილ-ბურჟუაზიის ახასიათებს განწყობილებათა ხშირი ცვლა, სწრაფი გადასვლა აღფრთოვანებიდან დაცემულობაზე, რევოლუციურ გატაცებიდან — გულგატეხილობამდე და სხვ. წვრილი ბურჟუაზიის ამ ორმავე ბუნებას სწორად ახასიათებს კ. მარქსი: „წვრილი ბურჟუაზია განვითარებულ საზოგადოებაში, თავისი მდგომარეობის გამო ხდება ერთის მხრით — სოციალისტი, ხოლო მეორეს მხრით — ეკონომისტი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — იგი დაბრმავებულია მსხვილი ბურჟუაზიით და ამივე დროს თანაუგრძნობს ხალხის ტანჯვას. იგი ერთდროიანვე დროს არის ბურჟუაზიაც და ხალხიც... წვრილი ბურჟუაზია აღმერთებს წინააღმდეგობას, ვინაიდან ამ წინააღმდეგობაში მდგომარეობს

მთელი მისი არსი. იგი მთლიანად არის ცოცხალი მომქმედო საზოგადოებრივი წინააღმდეგობა“.

წერილბურჟუაზიის ეს სოციალური ბუნება განსაზღვრავს მის ანტიელიგენციის პროგრამასა და მოქმედების ხასიათს. წერილბურჟუაზიის ანტიელიგენცია „მერყეობს და ირხევა მოვლენათა ყოველ შემოსახვევზე“ (ლენინი).

წერილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ეს დამახასიათებელი სოციალური თვისებები მთლიანად გამოქვლიანდა ი. ედოშვილის შემოქმედებაში. ი. ედოშვილმა ვერ შესძლო დაეძლია თავისი წერილბურჟუაზიული სოციალური ბუნება და გადასულიყო რევოლუციურ პროლეტარიატის პოზიციებზე.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხდება ედოშვილში გარდატეხა. იგი შორდება რევოლუციურ ძალებს და გადადის ბურჟუაზიულ—ნაციონალისტურ ბანაკში, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში. ი. ედოშვილი, როგორც წერილბურჟუაზიული რევოლუციონერი, გაჰყვა პროლეტარიატის ხელმძღვანელობას, მაგრამ დამარცხდა თუ არა რევოლიუცია, მან მაშინვე შეაქცია ზურგი მუშათა კლასს. ი. ედოშვილის შემოქმედება რეაქციის პერიოდში გამოხატავდა რევოლიუციის დამარცხებით გულგატეხილ წერილბურჟუაზიულ ინტელიგენციის სულისკვეთებას.

IX

1907 წელს — ამ პოლიტიკური და სოციალური რეაქციის დროს, როცა დევნილი მუშათა კლასის მაცხისცემა ნაწილობრივ შესუსტდა, როცა სოროებში მიშალული ბნელი ძალები ხელახლა გამოძვრენ დღის სინათლეზე და ყოველი მხრიდან იერიშები მიიტანეს მუშათა კლასზე — აი ამ დროს ვხედავთ ი. ედოშვილს მტრების ბანაკში. რევოლუციის გუშინდელი თანამგზავრი ეხლა წინ მოუძღოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ინტელიგენციას.

ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც ი. ედოშვილს თავისი შემოქმედების საუკეთესო ხანა უკვე განვლილი ჰქონდა. ამის შემდეგ მკვეთრად იცვლება მისი პოეზიის ხასიათიც. თავისი პოეზიის მოქალაქობრივ-რევოლუციური მოტივები მან კამერულ მოტივებზე შესცვალა. იგი ვიწრო პატრიოტული მიდრეკილებით იმსჯვალება. ღრმავდება მის პოეზიაში პესიმისტური მოტივიც.

გარდა იმისა, რომ მეორე პერიოდში ი. ედოშვილი უახლოვდება ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფენებს, ამავე დროს თავისი შემოქმედებით იგი ხდება ანტირევოლუციური ძალების საყვირად რევოლუციურ — მებრძოლ მასების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ ი. ედოშვილი ლექსებითა, პუბლიცისტური წერილებით თუ ზეპირი გამოსვლებით შხამს ანთხევდა იმათ წინააღმდეგ, ვისთანაც დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა იგი.

საგრძობი ცვლილებები დაეტოო ი. ედოშვილის კალამს. მიუხედავად იმისა, რომ დროგამოშვებით მას ბრძოლის სიმშვენიერე ახსენდებოდა, მისი ჩანგი მინც სულ სხვა ხმას გამოსცემდა, ლეიტ-მოტივად სხვა რამ შეიქნა. ბრძოლის პანგი — პატრიოტულ-რომანტიულ ქღერად შეიცვალა, პესიმისტურმა ტონმა დაჰჰარა. ედოშვილი ზიზლით იგონებდა ძველ მეგობრებს. მათ მიუძ-

ღვნა მთელი რიგი უსაზღვრო ღვარძლით და მტრობით აღსავსე ლექსებისა („გველებს“, „აე-ენანო“, „წყველის ჩანგი“, „ღლიურს“, „ძველ შეგობარს“ და სხვა.).

კრიტიკული

ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული ფენები ი. ევდოშვილის პოეტობას კმაყოფილებით შეხედენ. მათთვის თითქოს ამის შემდეგ დაიბადა ი. ევდოშვილი, მათთვის მხოლოდ ამ გაქცევის შემდეგ გახდა იგი საინტერესო, საყურადღებო მწერალი. განსაკუთრებულ „ენტუზიაზმს“ ამ მხრით ამქალაქებდენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კრიტიკის წარმომადგენლები (კ. აბაშიძე, ი. ვართაგავა, დ. კასრაძე და სხვ.). მათი აზრით მხოლოდ ამ ლალატის შემდეგ განთავისუფლდა ი. ევდოშვილი „ცალმზრიაობასა“ და „ტრაფარეტისაგან“. აი, როგორ აფასებდენ ისინი ამ ხანებში ი. ევდოშვილს: „ევდოშვილმა დასგელთა ჩამოშორების შემდეგ მრავალი ნარნარა ნიმუშებით (!) მოგვცა ახალი იდეია (!), იდეია სამშობლოსათვის ბრძოლისა. ახლა ლეობარდი და მანუელი, ვიქტორ ჰიუგო და სხვა მკონენი იმიტომ კი არ ითარგმნება მის მიერ, რომ პროლეტარიატს და მის სანუკვარ „სოციალიზმისათვის“ მოუხმოს ბრძოლა ქართველობას, არამედ სამშობლოს ხსენისათვის“ (დ. კასრაძე — „ევდოშვილი და მისი პოეზია“, ვაზ. „საქართველო“, 1916 წ. № 105). ასევე სწერდენ ამავე ბანაკიდან სხვებიც: „... : განსაკუთრებით საინტერესო ევდოშვილი 1907 წლიდან არის, როცა ის ეროვნულ მოტივს მიემხრო და კოსმოპოლიზმი დაჰკმო“ (მეომარი — „სად არის ევდოშვილი საინტერესო“. ვაზ. „ზვირთი“, 1916 წ. № 31).

ეს მოსაზრებანი არავითარ შემთხვევაში არ არის მართალი. ამ რენეგატობის დროს ი. ევდოშვილს ძირითადად უკვე განვლილი ჰქონდა თავისი სამწერლო მუშაობის საუკეთესო ხანა.

შექმნა თუ არა ი. ევდოშვილმა ამ სამარცხვინო გაქცევის შემდეგ იდეურ — მხატვრულად რაიმე თვალსაჩინო ნაწარმოების. — გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა! ი. ევდოშვილის საუკეთესო, საყურადღებო ნაწარმოებები სწორედ 1907 წლამდეა შექმნილი. ამის დასადასტურებლად საკმარისია მხოლოდ მის ლექსთა დაწერის უბრალო ქრონოლოგიის ცოდნა.

რა მოტივებმა დაისადგურეს მეორე პერიოდში ი. ევდოშვილის პოეზიაში? ეხლა იგი უკვე უდაბნოში გრძნობს თავს. მისთვის ეხლა დედამიწა ძელა ნქო ლიის ქსელით იქსოვება. უიმედობა და გულგატეხილობა ცენტრალურ ადგილს იკერს მის შემოქმედებაში. ლექსში „როგორ მიყვარდა“ (დაწერილია 1909 წ.) ი. ევდოშვილი ალგორითულ ფორმებში იძლევა თავის წარსულის უარყოფას. წარსულში მას ჰქონდა გრძნობა სიყვარულისა, ალფრთოვანებისა, მაგრამ აწმყოში ყველაფერი ეს „ჩასკქნა“, „გარდაიცვალა“. წარსულის მოგონება ეხლა ი. ევდოშვილში სინანულს იწვევს:

მოკვდა ოცნება და ღამის ბინდში
წვილვ ოხერ და ტლუ საფლავზე.
იქ დავასვენე, იქ არის გული...
მიდის სიცოცხლე, სისინებს ქარი,
ახ, რათ ვიტანჯე, რისთვის მიყვარდა
სიყმაწვილისა ტკბილი სიხმარი.

უკვე განვლილია „სიყმაწვილის ტკბილი სიზმარი“. იგი უკვე აღარ ხიბ-
ლაგს ი. ევდოშვილს.

მეორე პერიოდში ი. ევდოშვილის პოეზიაში იშვიათად შეგვიძინებოდა მის
მშრომელის, ბრძოლის და სხვა ასეთი გამოთქმების ხსენებას. ეხლა ცხოვრება
მხოლოდ სიბნელის გამოხატულებაა:

ცაა ნისლი მოჰხვევია.
ცა ლეგათ დათალხულია.
მის ქედზე ჩემი ფიჭრი
კუბოდ გამოსაბულია
ჩემს ირგვლივ ვეღლაფერს
დრო ერთიან წალგაყვს,
ჩუ, კაეშნის ტაძარში
სიკვდილი ხარსა რგაყვს.

(„კაეშნის ტაძარი“),

ამ ხანებში ი. ევდოშვილი ისწრაფვის ფილოსოფიურ საკითხებსაც შეეხოს
(„გზაზე“ და სხვ.). იგი ცდილობს გაარკვიოს ცხოვრების მიზანი, ადამიანის
დანიშნულება. მაგრამ მან ვერ მოახერხა პასუხი გაეცა ამ კითხვებზე. იგი ამ
მხრით სრულ დაბნეულობას, წვრილბურჯუაზიულ უხასიათობას იჩენს. მისი გა-
გებით ყოველი დიდი საკითხის გაგების სურვილის დასასრული უპერსპექტი-
ვობაში და გულგატეხილობაში აგდებს ადამიანს. მხოლო ნაღველი ეხმაურება
ადამიანის გულის მქეჯნავ კითხვას:

ნაღველო, ჩემო ნაღველო,
აზრდილო ჩემი ფიჭრისა,
ნუთუ შენა ხარ პასუხი
ამ გულის მქეჯნავ კითხვისა?!

(„გზაზე“)

აქ წყდება ი. ევდოშვილის „ძიება“, იგი ველარავითარ გამოსავალს ვერ
პოულობს ცხოვრებაში. მას ეკარგება სურვილი ძიებისა, მომავალისაკენ სწრა-
ფვისა. აქტივობისა და ბრძოლის ადგილს ეხლა წუწუნე და მოთქმა იჭერს.
იგი ცდილობს, რომ ასეთი შეგნებით სხვებიც გამსჭვალოს.

ი. ევდოშვილი უკვე ინდივიდუალისტურ-მისტიურ მიდრეკილებათა ტალ-
ღებში ცურავს. შემთხვევითი არ იყო ამ ხანებში მისი დიდი თანაგრძნობა
დეკადანსის ლიტერატურის წარმომადგენლებთან (ლეოპარდი, ნადსონი,
ბალონტი და სხვ.).

ი. ევდოშვილი ცდილობს გამოეხმაუროს რომანტიულ და სიმბოლისტურ
პოეზიის წარმომადგენლებს. ამ მხრით დამახასიათებელია „ქალთ ეთერი და
„ირინოზი“ (დაწერილია 1912 წ.). ეს პოემა მთლიანად მისტიურ ნაწარმოებს
წარმოადგენს. იგი სავსეა მოჩვენებებით, უიმედო განწყობილებათა გამომქლავ-
ნებით და სხვ.

უაღრეს მისტიურ — რომანტიულ მოტივს იძლევა ი. ევდოშვილი „ღამის
ზღაპარში“. ამ ლექსში მის წინაშე გაივლიან ტარტაროზები, ალქაჯები, საფ-
ლავიდან ამდგარი მკვდრები:



შავი ჩრდილი, ხმალ-აწედილი
 მთიდან მთაზე მიაბოტებს,
 ცეცხლის რაშით, ღრუბლის პირზე
 ვიღაც მიჭრის, ვშურება —
 ტარტაროზი ცხენის რიკზე
 შეხტება და ვალზე დგება.
 ბნელა, გამშვარ მუზის ძირში,
 ქორწილი აქეთ აღქაჯებსა,
 თვითონ ზურნა სწრაიათ პირში,
 ამღვრებენ ბაყაყებსა.
 ჯოჯო სტირის. ჯოჯო სტირის,
 საწყალს შვილი თუ უკვდება.
 ერთი, ორი, ეს შესამე
 საფლავიდან მცედარი დგება.
 იცინიან, დაფრინავენ,
 ფეხული აქეთ და განგაში,
 ნონბზე ძვლები თამაშობენ,
 ისმის ეაშა, ისმის ტაში.
 ჩუ, მამალმა დაიცივლა,
 მიიშალა უცებ ყველა,
 ყური უგდეთ შავ სიჩუმეშ,
 ზღაპარს ამბობს...
 ბნელა... ბნელა...

„შავი სიჩუმე“ და „სიბნელის“ განცდა აძლევს სტიმულს ი. ევდოშვილის შემოქმედებას მთელი მეორე პერიოდის მანძილზე.

ნაციონალისტებთან შეკედლების შემდეგ ი. ევდოშვილი მათ დაუდაფზე თამაშობს. ამიტომ არის, რომ მეორე პერიოდში რაოდენობის მხრით მას ყველაზე მეტი ლექსი აქვს დაწერილი პატრიოტულ მოტივზე. ამ ლექსებში იგი ცდილობდა გამოემულაენებია თავისი პატრიოტული გრძნობები და მიდრეკილებები. ამ ხასიათის ლექსებში იგი არსებითად გამოდიოდა მეცხრამეტე საუკუნის თავად-აზნაურული პატრიოტული პოეზიის მიმბაძველად. როგორც ცნობილია, პატრიოტულ მოტივს მეცხრამეტე საუკუნეში თავად-აზნაურულ მწერლებს შორის მრავალი ნიჭიერი წარმომადგენელი ჰყავდა, ამიტომ ამ მხრით ი. ევდოშვილის ხმა აქ მეტად სუსტი და რიტორიული იყო.

მეორე პერიოდის ლექსებში ი. ევდოშვილი გვიხასიათებს იმ განცდებებსაც, რომელიც შეუქმნა მას სატუსალომ და გადასახლებამ:

ფანჯარავ, ჩემო ფანჯარავ,
 ფანჯარავ ტუსაღისაო,
 ზელის დადებავ, პაწიავ,
 ნაპერო ღურჯის ცისაო.
 ფანჯარავ, რკინა-დაკრული,
 ჩარჩო გაქვს დულაღისაო,
 მაინც არ ვფიქრობ გაქცევას,
 თუ გინდ, რომ იღოს ზისაო.
 შენს იქით რგოლი მარტყია,
 მალაღი გაღაენისაო,
 გარშემო ყარაულღები.

ხიშტები სალდათისაო,
ფანჯარაჲ, ჩემო ფანჯარაჲ,
სატრფო ზარ ტუსაღისაო,
შენთანა ეზივარ, გულს გაყრდნობ,
შე მყვრდო საცვარღისაო.

(„ციხეში“)

გრძნობა ტუსაღობისა ი. ევდოშვილისათვის ყოველგვარი აქტივობის დაკარგვის სიმბოლოდ ხდება.

X

პოეტური ფორმის გაუმჯობესების სფეროში ი. ევდოშვილს შესამჩნევი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამ მხრივ იგი არ არის ნოვატორი. იგი უმთავრესად უკვე კლასიკოსების მიერ გაცვალულ გზას მიჰყვებოდა.

ი. ევდოშვილის პოეზიაში საგრძნობია ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას და სხვა ქართველ პოეტების გავლენა. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგი მათ მხატვრულ—პოეტურ სიმალემდე ვერ აღიწევდა.

ი. ევდოშვილის პოეზიაზე გავლენას ახდენდა არა მარტო ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, და რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა არამედ თვით მ. გურიელიც კი. ი. ევდოშვილის „ჩვენება“ დაწერილია მ. გურიელის „პოეტი და ჩვენება“-ს გავლენით განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ფიცს შეიცავს *).

ასევე ლექსის „ფიცი“-ს მხატვრულ—ფორმალური სათავეები მოცემულია „პოეტსა და ჩვენებაში“-ვე.

ი. ევდოშვილის პოეზიაში ძალუმიად მოსჩანს ხალხური შემოქმედების გავლენაც (განსაკუთრებით პირველ პერიოდში). მრავალი მისი ლექსი მხატვრულ—ფორმალურ სათავეებს ხალხურ შემოქმედებაში ღებულობს („ლგვი ისმილ“, „გურული ნანა“ და სხვ.). ხალხურ შემოქმედებასთან დაახლოვებამ უსათუოდ გაამდიდრა და გაამრავალფეროვანა ევდოშვილის შემოქმედება.

ი. ევდოშვილის პოეზიას ახასიათებს ლექსის გარეგნული სილამაზის უარყოფა, მისი დაახლოება პროზასთან, სენამტიკის ამალღება მუსიკალობის ხარჯზე. ი. ევდოშვილის ლექსებში თითქმის ვერ შეხვდებით შინაგან რითმებს, იგი უმთავრესად გარეგან რითმებს მიმართავს. მისი ლექსების ზომა სხვადასხვაგვარია. მას აქვს 7, 10, 12 და 14 მარცვლიანი ლექსები.

ი. ევდოშვილის ბევრ ლექსში არ მოსჩანს მოვლენათა კონკრეტული სახე იგი უფრო საერთო ფრაზებსა და რიტორიულ დეკლარაციებს იძლევა. მის პოეზიაში შეხვდებით უკვე მოძველებულ ალეგორიის ხერხებსაც. მისი ლექსები ხშირად მოუქნელი და მძიმეა.

შედარება წარმოადგენს პოეტური სიტყვის ერთ-ერთ აუცილებელ მოწინააღმდეგეთ. შედარებების საშუალებით შექმნილ მხატვრულ სახეებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოველი პოეტის შემოქმედების ეიდეოლოგიაში. იგი შედა-

*) როგორც ცნობილია, თვითონ მ. გურიელი კი ამ ლექსში განიცდის ღერმონ-ტოვის „დემონის“-ს გავლენას.

რებით საგრძნობ მასალას გვაძლევს პოეტის ლექსიკონის და სინტაქსის ანალიზისათვის. შედარების ამოცანაა აიძულოს მკითხველი უფრო კარგად გაგნოს დაწერილი. შედარება ეხმარება მკითხველს უფრო სრულად და უკეთესად გაიგოს ავტორის დამოკიდებულება თხრობის მთავარ საგანთან დამხმარე საგნის საშუალებით.

მართალია, თავისი ბუნებით შედარება პოეტური გამოსახვის საშუალებაა, მაგრამ იგი ხშირად ასრულებს კომპოზიციურ ფუნქციასაც და სხვა მომენტებთან ერთად საზღვრავს მხატვრული ნაწარმოების საერთო სტრუქტურას.

ი. ევდოშვილის პოეზია არ გამოირჩევა შედარებების განსაკუთრებული სიმდიდრით. მაგრამ იგი მას მაინც საკმაოდ აქვს. მისი პოეტური შედარებები შეიძლება გავყოთ პრესპოზიტიულად და პოსტპოზიტიურად. ეს იმის მიხედვით თუ როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან ის საგნები, რომლებიც შედარებაში მონაწილეობენ. ი. ევდოშვილს აქვს ინტერპოზიტიური შედარებებიც.

ი. ევდოშვილის პოეზიაში სპარბობს პრესპოზიტიური და ინტერპოზიტიური შედარებები და უფრო მცირეა პოსტპოზიტიური შედარებები.

ი. ევდოშვილისათვის დამახასიათებელია თემიდან მისვლა მხატვრულ შედარებასთან. იგი წინასწარ არჩევს პოეტურ დამუშავებისათვის საგანს (თემატიურად) და შემდეგ ეძებს სხვა საანალოგიო საგნებს, რომელთაც შეუძლიათ გააძლიერონ საგნის გარკვეულობა ან და ემოციონალიზება.

ი. ევდოშვილს თავის პოეზიაში ჰქარბათ აქვს მოცემული რიტორიული მიმართებები, რიტორიული კითხვები:

მიყვარბარ, ჩემო ხანჯალო
სადაც და ბასრო ფხიანო,
ფოლადი ცეხლში ნაწრთობო.
მორჩილო ლახათიანო...

(„ჩემს ხანჯალს“).

რას შესცქერ, ძმავო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას,
არა ჰგავს განა კონკად ქვეულს შენს ტველ ფარაჯას?

(„* * *“)

ეს პოეტური ზერხი აცოცხლებს სტილს, ვინაიდან ამ გზით თითქოს მკითხველი ისმენს ცოცხალ სიტყვას, რომელსაც მის წინაშე ამბობენ.

IX

ასეთია ი. ევდოშვილის ლიტერატურული პორტრეტი.

როგორც დავინახეთ, ი. ევდოშვილმა საკმაოდ ვრცელი და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზა განვლო. თავის ლიტერატურულ მუშაობაში მას ჰქონდა სერიოზული შეცდომები, უკან დახვევები. ამან, რასაკვირველია, საგრძნობლად შეამცირა მისი შემოქმედების დადებითი როლი. მაგრამ მიუხედავად ამისა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უახლოესი ქართული ლიტერატურის განვითარებაში ი. ევდოშვილს საკუთარი ადგილი აქვს და რომ თავის დროს მას საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა წვრილ-ზურგუაზიულ ლიტერატურულ ფენებზე.

3. შარია

ლენინის გარდაცვალების ათი წლის თავისთვის

კაცობრიობის განვითარების ისტორიას არა ერთი დიდი პიროვნება ახსოვს, რომელსაც წაუშლელი კვალი დაუტოვებია. მარქსიზმ-ლენინიზმი სრულიადაც არ უარყოფს დიდი პიროვნების მეტად მნიშვნელოვან როლს ისტორიულ განვითარებაში, მხოლოდ ის ამ განსაკუთრებულ როლს ხსნის თვით ისტორიული განვითარების კანონებით და არა ისტორიას — პიროვნების როლით, როგორც ეს სუბიექტივიზმს სჩვევია. მარქსი — ენგელსი — ლენინი — სტალინი იმ უდიდესი პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნიან, რომლებსაც თვით ისტორიული განვითარება უქმნის მონუმენტალურ ძეგლებს. მაგრამ მათ სიდიადეს სხვებთან შედარებით მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს, რომელიც მათი მოღვაწეობის ისტორიული პერიოდის თავისებურების გამოხატულებას წარმოადგენს და რომელიც ამ ოთხ უდიდეს პიროვნებას არა მარტო გამოაყოფს სხვა დიდ პიროვნებათა პლეიადიდან, ამასთანაგრეთვე მათს ისტორიულ როლს, მათს დიად ისტორიულ მოღვაწეობას შლის ერთ პრინციპიალურ ხაზზე, ერთი მიმართულებით, ერთი დიადი მიზნისაკენ. რაშია ეს თავისებურება?

ისტორიულ განვითარების იმ პერიოდებში, როცა ისტორიულ აუცილებლობას ბრმა გამოვლინება ახასიათებს, როცა ადამიანის შემოქმედების პროდუქტი გაფიქტიშებულია და ადამიანზე ბატონობს — დიდი პიროვნების როლი გაპირობებულია არა იმდენად ისტორიული პროცესის გზების წინასწარი შეცნობით, რამდენადაც ინსტინქტით და ისტორიულ გარემოებათა გარეგნული შეხვედრით. ისტორიული განვითარების ნამდვილი კანონების მეცნიერული აღმოჩენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილი ისტორიის წინასწარი პირობების მომზადება დასრულებულია, როცა პრეისტორიულმა პერიოდმა თავის უკანასკნელ გამოხატულებას მიიღწია. რამდენადაც კლასობრივი საზოგადოება, მარქს-ენგელსის გენიალური განმარტებით, სწორედ ნამდვილი ისტორიის პროლოგს წარმოადგენს — ხოლო მისი უკანასკნელი ფორმა (ფორმაცია) — კაპიტალიზმი — იმდენად სწორედ კაპიტალიზმის პერიოდში უნდა მომხდარიყო ისტორიული განვითარების კანონზომიერების აღმოჩენა და ამით ისტორიული მეცნიერების შექმნა. საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას რეალიზაციის სუბიექტი გააჩნია. აქედან

ცხადია, რომ ამა თუ იმ ისტორიული პროცესის მატერიალური პირობების შემზადება გულისხმობს სათანადო სუბიექტიური პირობების შემზადებასაც. კლასობრივი საზოგადოების უშაღლესი პროდუქტი (მისრულე უარყოფაში) — კაპიტალიზმი — ჰქმნის სოციალიზმის მატერიალურ პირობებს, და ამავე დროს კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარება აუცილებლად გულისხმობს იმ ერთად-ერთ თანმიმდევრად რევოლუციონურ კლასის წარმოშობა-განვითარებას, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში და კომუნისმში გადასვლის სუბიექტიურ პირობას. ეს კლასი თანამედროვე პროლეტარიატია. აქედან ცხადია, რომ ისტორიული კანონზომიერების აღმოჩენა უნდა ყოფილიყო ამავე დროს პროლეტარიატის მიერ თავისი ისტორიული მისიის შეცნობა, ან უკეთ — პროლეტარიატის მიერ თავისი ისტორიული როლის შეცნობის გარეშე შეუძლებელი იყო ობიექტურ-ისტორიულ კანონზომიერების აღმოჩენა. მარქს — ენგელსის უდიდესი ისტორიული როლი ის არის, რომ მათ პირველად აღმოაჩინეს ეს ისტორიული კანონზომიერება, გაიგეს ისტორიის მამოძრავებელი ძალები და პროლეტარიატში დაინახეს ის ერთად-ერთი კლასი, რომელიც ბოლოს მოუღებს ექსპლოატატორულ წყობას და აამუშავებს უკლასო საზოგადოებას. „კერძო საკუთრება თავის ეკონომიურ მოძრაობაში თვითონ... მიილტვის თავისი საკუთარი გაუქმებისაკენ, მაგრამ მხოლოდ მისგან დამოუკიდებელი, შეუცნობელი, მისი ნებისყოფის წინააღმდეგ მიმდინარე და თვით საქმის ბუნებით პირობადებული განვითარების გზით, მხოლოდ პროლეტარიატის როგორც პროლეტარიატის, წარმოშობის გზით, ამ სილატაკის, რომელიც გრძნობს თავის სულიერ და ფიზიკურ სილატაკეს, ამ თავისი არაადამიანობის შეცნობი და ამით თავისი თავის გამაუქმებელი არაადამიანობის წარმოშობით პროლეტარიატს სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელსაც კერძო საკუთრება თავისთავს გამოუტანს პროლეტარიატის წარმოშობით სწორედ ისევე, როგორც მას სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელსაც თავის თავს გამოუტანს საქირაო შრომა სხვისი სიმდიდრისა და თავისი სილატაკის წარმოებით: როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს, ის არაერთგვაროვნად არ ხდება საზოგადოების აბსოლუტურ მხარედ, ვინაიდან ის იმარჯვებს მხოლოდ საკუთარი თავის და თავისი მოპირდაპირის დაძლევით. პროლეტარიატის გამარჯვებით თვით პროლეტარიატიც ქრება და მისი პირობამდებელი მოპირდაპირეც — კერძო საკუთრებაც“ (მარქსი და ენგელსი „წმინდა ოჯახი“-დან).

ამ ციტატიდან, რომელიც მარქსიზმის გაფორმება-წამოყალიბების პირველი პერიოდის ნაწარმოებიდან არის ამოღებული, ნათლად სჩანს, რომ 1) კაპიტალიზმი არის მთელი კლასობრივი საზოგადოების (და არა მხოლოდ ფეოდალიზმის) განვითარების უშაღლესი პროდუქტი; 2) პროლეტარიატის წარმოშობა ისევე მთელი კლასობრივი საზოგადოების (კერძო საკუთრების) მოძრაობის აუცილებელ პროდუქტს წარმოადგენს; 3) კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგობანი საერთოდ კლასობრივი საზოგადოების წინააღმდეგობათა უკოდურეს გამოხატულებას წარმოადგენს; 4) სწორედ ამიტომ წარმოადგენს კაპიტალიზმი კლასობრივი საზოგადოების უკანასკნელ ფორმაციას 5) წარმოადგენს რა ამ წინააღმდეგობათა პროდუქტს, პროლეტარიატი ამავე დროს წარმოად-

გენს მათი (წინააღმდეგობათა) მოხსნის მთავარ პირობას და ამდენად პროლეტარიატის გამარჯვება აუცილებელია. 6) პროლეტარიატის გამარჯვება კი არ ხდის მას (პროლეტარიატს) საზოგადოების „ამსოლუტურ მხარვეზ“ ე. ი. ძველებურად გაბატონებულ კლასად, არამედ გამარჯვებით პროლეტარიატი აუცილებლად სპობს მისი პირობამდებელ მოპირდაპირეს — კერძო საკუთრებას (კლასობრივ საზოგადოებას). ცხადია, რომ აქ უკვე მოცემულია მთელი მარქსიზმის ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემდეგ გაიშალა მარქს-ენგელსის მიერ გრანდიოზულ სისტემად. ამ წერილის ამოცანას არ შეადგენს მარქსიზმის გადმოცემა. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ზემოდმოყვანილი აზრების დადასტურება, იმის გახსენება თუ რა საფუძველზე და როგორი გზით ჩამოყალიბდა მარქსიზმი. ამის გამორკვევა კი ჩვენთვის იმისათვის იყო საჭირო, რომ გამოვგვრკვევა თეორიის ახალი შინაარსი და ახალი მნიშვნელობა მის დამოკიდებულებაში პრაქტიკასთან.

თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთ მოწყვეტა არა მარტო აპროლოგეტიკის ფორმალ კლასობრივ საზოგადოებაში, არამედ იგი წარმოადგენს უკანასკნელის არსობას. ფეტიშიზმი, რომელიც დამახასიათებელია მთელი კლასობრივი საზოგადოებისა, შეუძლებელს ხდის მათს ერთიანობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ საკითხი არა მარტო თეორიისა და პრაქტიკის ცალ-ცალკე, ერთი-მეორისგან მოწყვეტით განვითარებაშია, არამედ იმაშიც, რომ ამ ვითარების მეოხებით არც თეორიაა ნამდვილი, არც პრაქტიკაა ორგანიზებული, ანდა სხვანაირად — თეორია ქვრეტითი ხასიათისაა, პრაქტიკა კი ანარქიული ხასიათისაა. ამიტომ შეუძლებელი იყო მათი გაერთიანება მათივე საფუძველზე, აუცილებელი იყო ახალი თეორიის შექმნით ახალი პრაქტიკის დასაბუთება. (თვით ეს ახალი თეორია ახალი ისტორიულ პრაქტიკის საფუძველზე შეიქმნება — ამაზე ქვევით) „ბურჟუაზიული საზოგადოების გონებამახვილობა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის a-priori არ არსებობს წარმოების არავითარი შეგნებული საზოგადოებრივი მოწყობის გეგმა. გონიერი და ბუნებრივ აუცილებელი გამოვლინდება მხოლოდ როგორც ბრმად მომქმედი საშუალო, ხოლო ვულგარული ეკონომისტი ფიქრობს, რომ უდიდეს აღმოჩენას აღწევს, როცა ის შინაგანი კავშირის გამოკვევას მედიდურად ლიბრისპირებს იმ ფაქტს, რომ მოვლენებში საგნებს სხვა სახე აქვთ. და გამოდის, რომ ის ამყობს იმით, რომ ქედს იხრის მოჩვენების წინაშე და მოჩვენების უკანასკნელ ახსნა-განმარტებად სთვლის“. (მარქსის წერილებიდან).

მარქსის მიერ აღებული ბურჟუაზიული საზოგადოების მაგალითის განზოგადოება არა მარტო შესაძლებელია — ეს აუცილებელიც არის მარქსიზმის თვალსაზრისით. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ კლასობრივ საზოგადოებაში (პროლეტარულ იდეოლოგიის გაფორმება-ჩამოყალიბებამდე) მეცნიერება ატარებს ემპირიულ (აღწერით) ხასიათს და თუ ამ ეპოქის მეცნიერები არსობითი მხარესაც აღნიშნავენ, უკანასკნელი ყოველთვის მეტაფიზიკურ და არა მეცნიერულ ხასიათს ატარებს (მეტაფიზიკის ორივე —გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური მნიშვნელობით).

ისტორიულად თეორია პრაქტიკის შედეგია, ისტორიულ პრაქტიკის განზოგადობაა. მაგრამ განზოგადობა არ ნიშნავს უბრალო ემპირიულ ჯამს. ამიტომ თავისთავად პრაქტიკა არ გადადის თეორიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი მეთოლოგია ზედმეტი იქნებოდა. ისტორიულად პრაქტიკის შედეგი უშუალო პრაქტიკაზე მეტია, ვინაიდან ის შეიცავს პრაქტიკას შემეცნების სახით, უკეთ — პრაქტიკის და თეორიის ერთიანობას. მაგრამ ეს უკანასკნელი შედეგი უშუალოდ კი არ მოჰყვება პრაქტიკას, არც იმავე წამს და არც მოკლე ისტორიულ პერიოდში. ამიტომ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში პრაქტიკა მხოლოდ ემპირიულადაა (და არა თეორიულად) განსაზოგადოებული და ამიტომ თეორიაც ემპირიულია¹⁾

მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზეა შესაძლებელი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა — და ამით ნამდვილი თეორიის და თეორიული (მეცნიერული) პრაქტიკის დასაბუთება. ეს არის თვით პრაქტიკის განვითარების გარკვეული ისტორიული საფეხური, ისეთი კლასის პრაქტიკა, რომლის სუბიექტიური ინტერესები (პერსპექტივაში) მთლიანად ემთხვევა საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს, უკეთ — გამოხატავს ობიექტიურ-ისტორიულ აუცილებლობას. მხოლოდ პროლეტარიატი ასაბუთებს მეცნიერულ პრაქტიკას და პრაქტიკულ მეცნიერებას, რამდენადაც ის სპობს კერძო საკუთრებას. კერძო საკუთრების საფუძველზე ნამდვილი განზოგადობა შეუძლებელია. კლასი, რომელიც დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან (უშუალოდ თუ პერსპექტივაში — ამ შემთხვევაში სულ ერთია), ვეღარ დაასაბუთებს ნამდვილი (ობიექტურ) მეცნიერებას. ამით ირკვევა მეცნიერების პარტიულობის პრინციპიც, რომელიც მარქსმა ჩამოაყალიბა და რომლის მნიშვნელობა მეტად დიდია კლასთა ბრძოლაში. პროლეტარული პარტიულობა — ნამდვილი თეორიული ობიექტივიზმი. ბურჟუაზიული (ან სხვა ვინც არ იყოს ისტორიულად გაბატონებული კლასის) პარტიულობა — ან აშკარა პირდაპირი სუბიექტიური აპოლოგია, ან უკეთეს შემთხვევაში ემპირიული, აღწერიითი ობიექტივიზმი ან არსებითად სუბიექტივიზმი. დასკვნა: მარქსიზმი როგორც პროლეტარული იდეოლოგია, ერთად-ერთი მეცნიერული იდეოლოგიაა.

¹⁾ რა თქმა უნდა, აქ ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში აპოლოგეტიკა — ეს აუცილებელი პროდუქტი უმცირესობის ბატონობის უმრავლესობაზე, მაგრამ როგორც პირველი ისე მეორე ან უკეთ — როგორც მეორე, ისე პირველი (უმცირესობის ბატონობა და აპოლოგეტიკა) ობიექტიურ-ისტორიული მოვლენაა და ამდენად ობიექტურ-ისტორიულ აუცილებლობასაც წარმოადგენს ისტორიის გარკვეული ნაკვეთისათვის, როცა გაკვებული ნივთების კავშირი, ინგრევა ყოველგვარი თეორიული რწმენა არსებული წესების მუდმივ აუცილებლობაში, ინგრევა მასზე ადრე რაც ისინი (არსებული წესებით — პ. შ.) დაინგრევიან პრაქტიკაზე (მარქსი — წერილებიდან) პროლეტარიატის ლიტერატურამდე ყველა გაბატონებული კლასები დაინტერესებული იყვნენ არსებული წესების მუდმივ შენარჩუნებაში — ამდენად მათი იდეოლოგია არ შეიძლება ყოფილიყო ნამდვილად მეცნიერული, რეალუტეიური. მხოლოდ პროლეტარიატი კმნის ნამდვილ მეცნიერებას



გაუგებრობის ასაცილებლად აღსანიშნავია, რომ მარქსიზმი, როგორც გარკვეული ახალი იდეოლოგია, ისევე მომზადებულია ისტორიულ-განვითარებით, როგორც თვით პროლეტარიატის წარმოშობა (რასტუტის ალენინშეთ ზევით). აქედან მარქსიზმი წარმოადგენს კაცობრიობის აზროვნების განვითარების აუცილებელ შედეგს, როგორც მისი კრიტიკულ-რევოლუციონური გაგრძელება. ამდენად მარქსს ჰყავს წინამორბედები და მარქსიზმს-ისტორიული წყაროები—უკეთ აზროვნების მთელი ისტორიული განვითარება-მარქსიზმის მომზადება ისევე, როგორც კლასობრივი საზოგადოების მთელი მოძრაობა-განვითარება კაპიტალიზმის და მის საფუძველზე პროლეტარიატის წარმოშობის მომზადებაა. მარქსმა მოხსნა ქვერეცხვითი თეორია სოციალურ-ისტორიული პრაქტიკის საფუძველზე და ამდენად შექმნა თეორიული საფუძველი ანარქიული პრაქტიკის მოსასპობად. სოციალურ-ისტორიული პრაქტიკა საფუძველია ყველა თეორიული საკითხების გადაჭრისათვის, მაშასადამე ობიექტურ ჭეშმარიტებისა (ამ საკითხს უფრო ახლოს შევხებით ქვევით, ლენინთან დაკავშირებით), „ჩვენ ვხედავთ, რომ თეორიულ დაპირისპირებათა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკული გზით, მხოლოდ ადამიანის პრაქტიკული ენერჯის მეოხებით და რომ ამიტომ მათი გადაწყვეტა სრულიადაც არ წარმოადგენს მხოლოდ შემეცნების ამოცანას, არამედ ნამდვილად სასიცოცხლო ამოცანას, რომლის გადაწყვეტა ფილოსოფიამ ვერ შესძლო სწორეთ იმიტომ, რომ ის მასში მხოლოდ თეორიულ ამოცანას ხედავდა. ჩვენ ვხედავთ, რომ მრეწველობის ისტორია და წარმოშობილი მრეწველობის საგნობრივი ყოფიერება არის ადამიანური არსებითი ძალების გახსნილი წიგნი“... (მარქსი, მოსამზადებელი მუშაობა „წმინდა ოჯახისათვის“ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივი ტომი III გვ. 256) ამავე აზრს მარქსი უფრო ზოგადად გამოთქვამს ცოტა უფრო გვიან თავის გენიალურ თეზისებში ფოიერბახის შესახებ. ამ შხრით ჩვეულებრივ გამოპყოვენ მეორე თეზისს, მაგრამ ჩვენ ეს უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, ვინაიდან ყველა (თერთმეტი) თეზისები სხვა და სხვა-მხრივ ებებიან ძირითად საკითხს, პრაქტიკა-თეორიის დამოკიდებულებას. მაგრამ პრაქტიკა მარტო საფუძველი კი არ არის თეორიის, არამედ უკანასკნელის ნამდვილი მიზანიც არის. ამდენად უდაოა პრაქტიკის პრიმატი. თეორია პრაქტიკის საშუალებაა (საშუალება ობიექტური, აუცილებელი), რომელიც თვითონ წარმოადგენს კონცენტრირებულ პრაქტიკას. მაშასადამე თეორია-პრაქტიკის ერთიანობა—უბრალო ერთ-ერთ-მოქმედება არ არის—მას, როგორც ყოველ წინააღმდეგობათა ერთიანობას, აქვს საფუძველი. ეს საფუძველი არის პრაქტიკა. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვა სახით ხსნიდენ ქვეყანას, საქმე მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიცვალოს“. მარქსიზმი არის ამ ქვეყნის შეცვლის, გარდაქმნის თეორია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ მარქსიზმში მთავარია პროლეტარიატის დიქტატურა. ეს უკანასკნელი კი შედეგია (აუცილებელი შედეგია) კლასთა ბრძოლის განვითარებისა. უკვე აღვნიშნეთ პროლეტარიატის

ისტორიული მისია, რომელიც ისტორიული აუცილებლობით არის უმზადებული. ამ თავის მისიას პროლეტარიატი შეასრულებს არა შელოცვით, არა აგიტაციით, არა ხვეწნით (ეს პერიოდი ახსოვს ისტორიკოსებს, ეს არის მისი განუფითარებლობის პერიოდი, — უტოპიური სოციალიზმი) არამედ კლასობრივი ბრძოლით და ამ ბრძოლის უმაღლესი ფორმით — დიქტატურით. „რაც შეეხება პირადად მე — მე არ მეკუთვნის არც ის დამსახურება, რომ თანამედროვე საზოგადოებაში კლასთა არსებობა აღმოვაჩინე. არც ის, რომ მე აღმოვაჩინე ერთმანეთს შორის მათი ბრძოლა. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე უფრო ადრე განმარტეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასთა ეკონომიური ანატომია. ის, რაც მე ახალი ვთქვი, ეს იყო შემდეგის დამტკიცება: 1) რომ კლასთა ბრძოლა დაკავშირებულია მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ბრძოლებთან, რომლებიც წარმოებს ახასიათებს, 2) რომ კლასობრივ ბრძოლას აუცილებლად პროლეტარიატის დიქტატურისკენ მიყვება 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარ კლასთა მოსაზრებისა და უკლასო საზოგადოებისაკენ“ (მარქსის წერილიდან ვეიდემიერის მიმართ 1852 წ. 5. III).

მოყვანილი ციტატიდან სჩანს, რომ თავის თავად კლასებისა და კლასთა ბრძოლის აღიარება ჯერ კიდევ მარქსიზმი არ არის, რომ ასეთი აღიარება ეგუება ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, ვინაიდან ის მოცემული სინამდვილის ემპირიული აღწერაა მისი მოძრაობისა და განვითარების კანონის აღმოჩენის გარეშე. ეს არის სწორედ ის ბურჟუაზიული ემპირიული ობიექტივიზმი, რომელიც დიდი ოსტატობით გააკრიტიკა ლენინმა თავის ცნობილ შრომაში სტრუვეს წინააღმდეგ. ასეთი ობიექტივიზმი არსებითად არსებულის აპოლოგიაა. „მარქსის მოძღვრებაში უმთავრესია კლასთა ბრძოლა, ასე ლაპარაკობენ და სწერენ ძალიან ხშირად. მაგრამ ეს მართალი არ არის, და ამ სიცრუისაგან თითქმის ყოველთვის ვღებულობთ მარქსიზმის ოპორტუნისტულ გაყალბებას, მის დამახინჯებას რათა იგი ბურჟუაზიისათვის მისაღები გახადონ. ეს იმიტომ ხდება, რომ მოძღვრება კლასთა ბრძოლის შესახებ შექმნილია არა მარქსის მიერ, არამედ ბურჟუაზიის მიერ (მარქსამდე) და, საერთოდ რომ ითქვას, ბურჟუაზიისთვის იგი მისაღები იყო. ვინც მარტო კლასთა ბრძოლას აღიარებს, ის ჯერ კიდევ არ არის მარქსისტი; იგი შეიძლება არ სცილდებოდეს ბურჟუაზიულ აზროვნების და ბურჟუაზიული პოლიტიკის ფარგლებს. ვინც მარქსიზმს კლასთა ბრძოლის მოძღვრებით ფარგლავს, ის მარქსიზმს ჰკეცავს, ამახინჯებს, ისეთ სახეს აძლევს, რომელიც ბურჟუაზიისათვისაც მისაღები იქნება. მარქსისტია მხოლოდ ის, ვინც კლასთა ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განაგრძობს. ეს არის ყველაზე ღრმა განსხვავება მარქსისტსა და ჩვეულებრივს წერილ (თუ მსხვილ) ბურჟუას შორის. ეს არის. ის გამოსაცდელი, რომლითაც უნდა შემოწმდეს ხოლმე მარქსიზმის ნამდვილი გაცემა და აღიარება“ (ლენინი. „სახელმწიფო და რევოლუცია“).



დოქტორა პროლეტარიატისთვის საშუალებაა და არა მიზანი. ის აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის მიერ კლასობრივ საზოგადოების უარყოფისთვის. ხოლო რატომაა მხოლოდ დამხმარებელი პროლეტარიატი თანმიმდევარი რევოლუციონური კლასი? რატომაა ის დაინტერესებული, რომ საერთოდ მოსპოს კლასები და ექპლოატაცია? იქნება პროლეტარიატის მორალურ თავისებურებაში იყოს ამის ასხნა? რა თქმა უნდა, არა! მარქსიზმი ისტორიული მატერიალიზმია და არა ისტორიული მორალიზმი. ამის ასხნა ჩვენ უნდა ვეძიოთ პროლეტარიატის მატერიალურ, ეკონომიურ მდგომარეობაში, მხოლოდ პროლეტარიატია ისეთი კლასი, რომელიც არავითარი ძაფებით არაა დაკავშირებული ძველ საზოგადოებასთან, მის საფუძველთან—კერძო საკუთრებასთან, და ამიტომ არ შეიძლება დაინტერესებული იყოს ძველი საზოგადოების შენარჩუნებაში. სწორედ პირიქით—მხოლოდ ძველი საზოგადოების და მისი საფუძველის, კერძო საკუთრების მოსპობაშია პროლეტარიატის განთავისუფლების თავდები „ვინაიდან ჩამოყალიბებულ პროლეტარიატში პრაქტიკულად დასრულებულია განყენება ყოველივე ადამიანურისაგან, თუნდაც მოჩვენებითი ადამიანური-საგანაც; ვინაიდან პროლეტარიატის სასიცოცხლო პირობებში თანამედროვე საზოგადოების ყველა საცხოვრებელ პირობებში მიაღწია არაადამიანურობის უმაღლეს წერტილს, იმიტომ რომ მასში ადამიანმა თავისი თავი დაჰკარგა, მაგრამ ამასთან ერთად არა მარტო მიაღწია ამ დანაკარგის თეორიულ შეცნობას—ხოლო ამ საპირობის, ამიერიდან უკვე მოუცილებელ, ყოველგვარ შეღამაზების გარეშე მყოფ, აბსოლუტურად გაბატონებულ საპირობის მეობებით აუცილებლობის ამ პრაქტიკული გამოხატულების მეობებით ის იძულებულია ამ არაადამიანურობის წინააღმდეგ უშუალოდ აღშფოთდეს—პროლეტარიატს შეუძლია და ვალდებულიცაა თავისი თავი გაინთავისუფლოს. მაგრამ მას არ შეუძლია თავისი განთავისუფლება, თუ არ დასძლია თავისი საკუთარი სასიცოცხლო პირობები. თავისი საკუთარი სასიცოცხლო პირობების დაძლევა კი მას არ შეუძლია, თუ არ დასძლია თანამედროვე საზოგადოების ყველა არაადამიანური სასიცოცხლო პირობები, რომლებიც თავმოყრილია მისი საკუთარი მდგომარეობაში... მისი (პროლეტარიატის—პ. შ.) მიზანი და მისი ისტორიული მისია ყველაზე უცხადეს და უდავო სახით ნაკარნახევია მისი საკუთარი სასიცოცხლო მდგომარეობით, ისევე, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ორგანიზაციით“ (მარქსი—„წმინდა ოჯახი“-დან).

პროლეტარიატის ობიექტურ-ისტორიული მდგომარეობა, ამ მდგომარეობის შეგრძნობა არ არის ჯერ კიდევ მისი საფუძველის და მისი პერსპექტივის თეორიული შეცნობა. პროლეტარიატი მარტო საკუთარი ძალით ვერც ახერხებს ასეთ თეორიულ შეცნობას, ვინაიდან მისი „არაადამიანური სასიცოცხლო პირობები“ შეუძლებელს ხდის ამას (ამის შესახებ იხილეთ ლენინის „რევოლუციონი“). მარქსის და ენგელსის უდიდესი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მათ მოახერხეს ამის შეცნობა და ამით მეცნიერული სოციალიზმის ჩამოყალიბება. ამიერიდან პროლეტარიატის აღშფოთება მხოლოდ აღშფოთება არ არის. მას აქვს მიმართულება, გეზი.

პროლეტარიატმა მარქსიზმში იპოვა თავისი საკუთარი იდეოლოგია, თავისი ბრძოლის პროგრამა. თუ წინეთ ის მხოლოდ გრძელყოფილყო თავის არაადამიანურ მდგომარეობას, შემდეგ მარქსის უკვდავ „კაპიტალში“ მისი გეოლოგიური იდეოლოგიის მდგომარეობა და გამოსავალიც დაინახა. მარქსის მიერ წარმოებულმა კაპიტალიზმის მეცნიერულ-ისტორიულმა (და არა ემპირიულ აპოლოგეტურ მეტაფიზიკურ) ანალიზმა ცხადყო მისი წარმავალი ხასიათი, მისი დაღუპვის აუცილებლობა. „კაპიტალში“ ფარდა ახადა სასაქონლო ფეტიშიზმს და აღმოაჩინა ზედმეტი ღირებულების ქეშმარიტი წყარო—ცოცხალი ადამიანის სამუშაო ძალის ექსპლოატაცია. ამით მარქსმა გამოამჟღავნა პროლეტარიატის დაჭირავებული შრომის მიერ „სხვისი სიმდიდრის და თავისი საკუთარი სიღატაკის“ წარმოების მექანიკა. „კაპიტალში“ მოცემულმა კაპიტალიზმის გენიალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ კერძო საკუთრების მოძრაობის საზღვარი სწორედ კაპიტალიზმშია, ვინაიდან უკანასკნელი ფართედ შლის წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს. სწორედ ეს წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს (კერძო საკუთრება) შორის არის ძირითადი წინააღმდეგობა კაპიტალიზმისა, რომელიც განსაზღვრავს ყველა დანარჩენ წინააღმდეგობებს. ეს წინააღმდეგობა კერძო საკუთრების მოძრაობის წინააღმდეგობის გაშლაა, მისი უკიდურესი, უმალესი გამოხატულება და ამიტომ ის უნდა გადასწყდეს. სავნობრივად ეს წინააღმდეგობა ერთი მხრივ სიმდიდრეში გამოიხატება, მეორე მხრივ—სიღატაკეში. კლასობრივად ერთი მხრით ბურჟუაზია, მეორე მხრით პროლეტარიატი. ეს პოლიარობა ერთი მეორის პირობამდებელია და როგორც ყოველი წინააღმდეგობათა ერთიანობის, მათი წინააღმდეგობა აბსოლუტური, ერთიანობა—რელატიური, პირობითი. ამიტომ ამ წინააღმდეგობის მოძრაობა პროლეტარიატის არა მარტო რელატიური, არამედ აბსოლუტური გადატაკებასაც ნიშნავს, მაგრამ ამით წინააღმდეგობის გადაწყვეტას, ე. ი. კაპიტალიზმის დანგრევის (სოციალისტური რევოლუციის) მომზადებას ნიშნავს. მაშასადამე, ეს წინააღმდეგობა საფუძველია კაპიტალიზმის მოძრაობა-განვითარებისა და აგრეთვე მისი დაღუპვისა. ამ წინააღმდეგობის მთავარი, ე. ი. რევოლუციური მხარე პროლეტარიატია, რომელსაც წრთენის თვით კაპიტალიზმის განვითარება და რომელიც არის სუბიექტიური, ე. ი. მთავარი ფაქტი კაპიტალიზმის დანგრევისა „პროლეტარიატი და სიმდიდრე—ეს ერთი-მეორეს წინააღმდეგეებია. როგორც ასეთები, ისინი ქმნიან ერთ მთელს. ორივე ისინი წარმოშობილია კერძო საკუთრების ქვეყნით. საქმე ისაა თუ როგორი გარკვეული მდგომარეობა უჭირავს თითოეულს ამ ორი ელემენტისაგან წინააღმდეგობაში. კერძო საკუთრება, როგორც კერძო საკუთრება, იძულებულია შეინარჩუნოს თავისი საკუთარი არსებობა და სწორედ ამით თავისი დაპირისპირებულის—პროლეტარიატის—არსებობა. ეს წინააღმდეგობის დადებითი მხარეა,—თავისთავად დაკმაყოფილებული კერძო საკუთრება.

პირიქით, პროლეტარიატი, როგორც პროლეტარიატი, იძულებულია დასძლიოს თავისი თავი და სწორედ ამით დასძლიოს მისი პირობამდებელი დაპირისპირება, რომელიც მას პროლეტარიატად ხიის—უნდა დასძლიოს კერძო საკუთრება.

ეს წინააღმდეგობის უარყოფითი მხარეა, მისი მოუსვენრობა თავის შიგნით, გაუქმებული და თავის-თავის გამაუქმებელი კერძო საკუთრება... ამრიგად, თვით წინააღმდეგობის ფარგლებში კერძო მესაკუთრე წარმოადგენს უკონსერვატიულ მხარეს, პროლეტარიატი-კი — გამანადგურებელ მხარეს. პირველისაგან გამომდინარეობს მოქმედება, მიმართული წინააღმდეგობის შენარჩუნებისაკენ, მეორისაგან-კი—მოქმედება, მიმართული მისი მოსაპობისაკენ“ (მარქსი-ენგელსი „წმინდა ოჯახი“-დან).

ამ პროცესის უმთავრესად ეკონომიური მხარის გენიალურ ანალიზს სწორედ „კაპიტალი“ წარმოადგენს. მოვიყვანოთ იქიდან მხოლოდ ერთი კონცენტრირებული დებულება, რომელიც არსებითად მთელი პროცესის (ე. ი. აღნიშნული წინააღმდეგობის მოძრაობის) შინაარსს შეიცავს. „როდესაც ამ გარდაქმნის პროცესმა საგრძნობლად დაარღვია ძველი საზოგადოება მთელი სიღრმე სივანით, როდესაც მუშები პროლეტარებად არიან გადაქცეული, ხოლო მათი შრომის პირობები კაპიტალად... მაშინ შრომის შემდგომი განსაზოგადოებრივება... კერძო მესაკუთრეთა შემდგომი ექსპროპრიაცია ახალ ფორმას იღებს. [ექსპროპრიაცია მოელის ახლა არა მუშას, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს მეურნეობას, არამედ—მრავალი მუშის მყვლფევე კაპიტალისტს.

ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტურა წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალის ცენტრალიზაციით... ხელ-ბელ ჩაკიდებული ამ ცენტრალიზაციასთან ანუ მრავალ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციასთან, რომელსაც ახდენს კაპიტალისტთა მცირე რიცხვი, სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტექნიკური გამოყენება, მიწის გვეგმიანი ექსპლოატაცია, შრომის საშუალებების მხოლოდ საზოგადოებრივად გამოსაყენებელ საშუალებებად გადაქცევა, ყველა საწარმოო საშუალებათა ეკონომიზაცია, მათი, როგორც კომბინიური, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო საშუალებათა გამოყენებით, ყველა ხალხთა ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და მით კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური ხასიათი. კაპიტალის მაგნიტების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონაპოლიად აქცევენ ამ გარდაქმნის პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეთ, იზრდება სილატაკე, ჩაგვრა, დამონავება, გადაგვირება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ ზრდაში მყოფ და კაპიტალისტური წარმოების პროცესის მქვანიზმით გაწრთვილ გაერთიანებულ და ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალის მონაპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებათ, რომელმაც მასთან ერთად და მისი დაზმარებით მიიღწია აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია დი შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ველარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკაქს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციამნილი ხდებიან“ („კაპიტალი“ ტ. I გვ. 704 ქართული თარგმანი მალაქია ტაროშელიძის რედაქციით).

ამით ნათლათაა ნაჩვენები იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ეტაპის (მაშასადამე, მთელი კლასობრივი საზოგადოების უკანასკნელი ეტაპისაც) აუცილებლობა და ნაჩვენებია აგრეთვე მისი (იმპერიალიზმის) ზოგადი ნიშნები, მაგრამ თვით იმპერიალიზმის ამომწურავი; ყოველმხრივი ანალიზი მარქსის უდიდესი მემკვიდრის ლენინის საქმეა (ამას ქვემოლსპეციალურად შევხებით).

ცხადი უნდა იყოს, რომ მოყვანილ გენიალურ დებულებებს მატერიალისტური დიალექტიკა უღვეს საფუძვლად ამიტომ სანამ მათ (მოყვანილ დებულებებს) ჩამოაყალიბებდნენ, მარქსს და ენგელს უნდა ჩამოეყალიბებიათ ახალი ფილოსოფია—დიალექტიკური მატერიალიზმი. უკანასკნელის გადმოცემა—დალაგება სპეციალური და დიდი ამოცანაა. ჩვენ აქ მხოლოდ მის დაპირისპირებას შევხებით ძველს ფილოსოფიასთან და ამით, მაშასადამე, მხოლოდ მისი ჩამოყალიბების პრინციპებს.

ამ საკითხშიაც საქმის ვითარება ისეთივეა, როგორც ზევით არის აღნიშნული. ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ მხოლოდ პროლეტარიატში აღწევს ფილოსოფია თავის განხორციელებას, იმას ნიშნავს, რომ კემმარტი ფილოსოფიის დასაბუთება პროლეტარიატის ისტორიული საქმეა. ამისი კონკრეტული გამოხატულებაა ფილოსოფია და მეცნიერების სინთეზი ანუ მეცნიერული ფილოსოფიის შექმნა. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ისტორიულ განვითარებაში (მარქსამდე) ფილოსოფიის და მეცნიერების კონტრასტი (აუცილებლად ერთი-მეორის პირობამდებელი) იმაში გამოიხატება, რომ პირველი იყო მეტაფიზიკა (ორივე—ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური—მნიშვნელობით) მეორე—ემპირია. ამისი საფუძველი ზევით უკვე ნაჩვენებია. ცხადია, რომ არც ერთი არ იყო ნამდვილი მეცნიერება. ემპირიზმის ქაღალევა მეტაფიზიკის დაძლევისაც მოითხოვდა. ძველი ფილოსოფია უარყოფილ იქნა. დიალექტიკური მატერიალიზმი არც ემპირიზმი და არც მეტაფიზიკა. მოიხსნა ფილოსოფიის სპეციალური (მეტაფიზიკური) სფერო, მაგრამ არ მოხსნილა თვით ფილოსოფია. მან მიიღო ახალი შინაარსი, ახალი ამოცანები. ის მეცნიერებაა სხვა მეცნიერებასთან ერთად. მისი საგანი იგივე რეალური (და არა მეტაფიზიკური) სინამდვილეა. მაგრამ უკანასკნელს ფილოსოფია ებება მისი მოძრაობის და განვითარების ზოგადი კანონების მხრით. მოიხსნა გნოსეოლოგიის და ონტოლოგიის დაპირისპირება—დიალექტიკური მატერიალიზმი მსოფმხედველობა—მეთოლოგიის ერთიანობა (მათი დაპირისპირება რომელიმე მათგანის პრიმატობის მხრით—სისულელეა, მაგრამ დაუშვებელია იმის დავიწყება, რომ ერთიანობაში მსოფლმხედველობა საფუძველია. ამის არ გაგება ან უგულვლყოფა მარქსიზმის ჰეგელიანური რევიზიის თეორიული საფუძველია). მეტაფიზიკის საბოლოო დამარცხება ფეტიშიზმის ფარდის ახლის საფუძველზეა შესაძლებელი. ფეტიშიზმი საფუძველია რელიგიისა და მეტაფიზიკის, არსობა და მოვლენის მეტაფიზიკური გათიშვისა. (ამის შესახებ იხ. მარქსის გენიალური ანალიზი „კაპიტალში“ სათაურით „საქონლის ფეტიშიზმი და მისი საიდუმლოება“) თვით ფეტიშიზმის საფუძველია კლასობრივი

საზოგადოების ანარქიული პრაქტიკა, რომელიც პირადად შედგება პოზიტივისტური თეორიისა. მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი პრაქტიკა ამჟღავნებს ფეტიშიზმს. მარქსიზმის (მარქსისტული ფილოსოფია—დიალექტიკური მატერიალიზმი) მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი პრაქტიკის საფუძველზე იყო შესაძლებელი. დიალექტიკური მატერიალიზმი პროლეტარული მატერიალიზმია. ის უპირისპირდება არა მარტო იდეალიზმს (რომელიც ყოველთვის რეაქციურია), არამედ ძველ მატერიალიზმსაც, რომელიც არ შეიძლება არ ყოფილიყო მეტაფიზიკური. დიალექტიკურ მატერიალიზმს, როგორც ერთადერთ თანმიმდევარ მატერიალიზმს ვერ შექმნიდა ვერც ერთი კლასი ისტორიაში გარდა პროლეტარიატისა, რომელიც არის ერთადერთი თანმიმდევრად რევოლუციური კლასი. დიალექტიკური მატერიალიზმი ისევე მოამზადა წარსულმა აზროვნების (ფილოსოფიის) ისტორიამ, როგორც პროლეტარიატის წარმოშობა მოამზადა თვით კლასობრივი საზოგადოების განვითარებამ. გარდა პროლეტარიატისა ყველა რევოლუციური კლასი ნახევრად რევოლუციური იყო, ე. ი. რევოლუციური წარსულის მიმართ, წარსული კლასის ბატონობის მიმართ, და არა საერთოდ კლასობრივი ბატონობის მიმართ. თავის საკუთარ მიზანს (ბატონობის ხელში ჩაგდებას და განმტკიცებას) ის ისტორიის მიზნადაც ასაღებდა, ამ მიზნის მიღწევას—ისტორიის დასასრულად. მასთანადავე ისტორია სწამდა მხოლოდ წარსულში და არა მომავალში. ცხადია, ამის საფუძველზე მეცნიერული დიალექტიკის—მოძრაობის და განვითარების პროცესის დაუსრულებლობის თეორიის—დასაბუთება შეუძლებელი იყო. ამის აშკარა მაგალითია რევოლუციური ბურჟუაზიის თეორია და პრაქტიკა. ჰეგელის დიალექტიკური იდეალიზმიც ემყარება მეტაფიზიკას. მასში დიალექტიკური პროცესი (მისი გამომატველი კატეგორიები) მომწყვდევლია მეტაფიზიკის პროკრუსტეს სარეცელში. მოძრაობა და განვითარება აბსოლუტიდან იწყება და აბსოლუტითვე თავდება და ამასთან ერთად ეს აბსოლუტი განხორციელებულიცაა მაშინდელი პრუსიის სინამდვილეში. სხვა (ბურჟუაზიულ) ფილოსოფიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია (აღნიშნული თვალსაზრისით).

ზემოაღნიშნულის დოკუმენტალური დადასტურება იმაში მდგომარეობს, რომ მარქსმა ერთს მხრით ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა (ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა „წმინდა ოჯახი“), მეორეს მხრით ფეიერბახის ფილოსოფიის დაძლევა („ვერმანული იდეოლოგია“—იხ. ტ. IV თხზულებათა—აგრეთვე ცნობილი თეზისები ფეიერბახის შესახებ), პროლეტარიატის კლასობრივი პრაქტიკას, მისი ისტორიულ მისიას დაუკავშირა სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ფილოსოფიამ პროლეტარიატში ჰპოვა თავისი მატერიალური იარაღი—პროლეტარიატმა კი ფილოსოფიაში—თავისი სულიერი იარაღი (მარქსი)

ძველი იდეოლოგიის დაძლევა მის მთავარ საფუძველში—ფილოსოფიაში—წინასწარი პირობა იყო მისი დაძლევისა ყველა სფეროში (ეკონომიკა, ისტორია, პოლიტიკა და სხვ.) მთელი მარქსიზმი, როგორც სის-

ტემა (პრინციპების) ეყრდნობა მატერიალისტურ დიალექტიკას. უკანასკნელი არის მარქსიზმის სული და გული (იხ. ამის შესახებ თვით მარქსის და ენგელსის არა ერთი განცხადება და ლენინის ცნობილი კატეგორიული დებულება).

მეცნიერება ყოველთვის პოლიტიკას ემორჩილებოდა, მაგრამ თვით პოლიტიკა პირველად მხოლოდ მარქსიზმში ამაღლდა მეცნიერებამდე. „მარქსიზმის პოლიტიკური ხაზი განუყრელად დაკავშირებულია მის ფილოსოფიურ საფუძვლებთან“ (ლენინი). პროლეტარული პოლიტიკის პროგრამა მეცნიერებაა, ერთად ერთი ნამდვილი მეცნიერება, მარქსი და ენგელსი არ იყვნენ მხოლოდ კაბინეტის მეცნიერნი. ისინი მეთაურობდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას მსოფლიო მასშტაბით. პირველი ინტერნაციონალის შექმნა უდიდესი ისტორიული მოვლენაა. მაგრამ მუშათა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია მოხერხდებოდა მხოლოდ მეცნიერულ პოლიტიკის — პროგრამის საფუძველზე. მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს პროლეტარული პოლიტიკის, მისი სტრატეგია-ტაქტიკის მეცნიერული საფუძვლები.

ზევით აღნიშნულის საფუძველზე შეიცვალა პიროვნების როლი, შეიცვალა იმ მხრივ, რომ მისი მნიშვნელობა გაძლიერდა. ამიერიდან დიდი მხოლოდ ის პიროვნება, რომელიც მხოლოდ გარემოებამ არ შექმნა არამედ მან იცის გარემოებათა შექმნის საფუძველი, მათი მოძრაობის და განვითარების პერსპექტივა და ამდენად შეგნებულად, წინასწარ განსაზღვრავს სოციალურ მოძრაობის გზებს და მეთოდებს. პიროვნების როლს საფუძვლად დაედო მეცნიერება, ამით გაიზარდა პიროვნების როლი და ავტორიტეტი არა მისი ფეტიშის აციის საფუძველზე, არამედ მისი ბრძნული ხელმძღვანელობის საფუძველზე. ამ ხაზზე იშლება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უდიდესი ისტორიული როლი. ესაა ის თავისებურება, რომელზედაც ვლადიმერ კობლდით წერილის დასაწყისში. ამაშია მათი როლის ერთიანობა (რათქმა უნდა, კონკრეტ-ისტორიულ განსხვავებით). ამიტომ ვცანით აუცილებლად ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში ასეთი შესავალი — მარქსის როლის და მარქსიზმის ძირითადი (მხოლოდ ძირითადი) მომენტების შესახებ.

მარქსი და ენგელსი სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში მოღვაწეობდნენ. ამიტომ მათ შეეძლოთ მხოლოდ აღმოეჩინათ კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობის კანონი, კაპიტალიზმის აუცილებელი გადასვლა იმპერიალიზმში — კაპიტალიზმის (და ამით მთელი კლასობრივი საზოგადოების) უკანასკნელ სტადიაში, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა და მისი ძირითადი ნიშნები. თვით იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის კონკრეტულ-ისტორიული ანალიზი და პროლეტარული დიქტატურის მთელი მეცნიერების შექმნა მემკვიდრეობის ამოცანა იყო. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისტორიული განვითარება ქმნის არა მხოლოდ ობიექტიურ ფაქტორებს, არამედ სუბიექტიურსაც. მარქს-ენგელსის ეს უდიდესი ისტორიული მემკვიდრე, რომელმაც აღნიშნული ამოცანა შეასრულა — იყო დიდი ლენინი.

* * *



რა არის ლენინიზმი? ამ კითხვაზე გენიალურ და ამომწურავ პასუხს იძლევა ამხ. სტალინის ცნობილი განმარტება: „ლენინიზმი არის კომპრომისისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი“ ეს გენიალური განმარტება აკამტყერებს ლენინიზმის ყოველგვარ დამახინჯებას (ტროცკი, ზინოვიევი, პრობრაჟენსკი, ბუხარინი და სხ.). ლენინიზმი არის მარქსიზმის გაგრძელება, განვითარება, „მთელი სიმართლე ლენინიზმზე იმაში მდგომარეობს რომ მან კიდევ გადადგა ნაბიჯი წინ, განავითარა რა მარქსიზმი კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში“ (სტალინი). მაგრამ ეს გაგრძელება—განვითარება იმავე მარქსიზმის პრინციპებზეა აშენებული. მაშასადამე, ახალი ლენინიზმში მარქსიზმთან შედარებით არა პრინციპებშია, არამედ ამ პრინციპების შემოქმედებითი (და არა დოგმატიური) გამოყენება—განვითარებაში ახალ ისტორიულ პირობებში (იხ. ამის შესახებ სტალინის საუბარი ამერიკელ მუშათა დელეგაციასთან). რას ნიშნავს მარქსიზმის განვითარება? ზოგიერთი ამ საკითხს ფორმალურად სვამს: მარქსიზმი ერთად ერთი კეშმარიტი მეცნიერებაა; კეშმარიტებას განვითარება არ შეუძლია შინაარსის მხრით, მაშასადამე მარქსიზმის განვითარება ახალ პირობებში მხოლოდ მის გამოყენებას ნიშნავს ამ ახალ პირობებში და მეტს არაფერს. თუ მარქსიზმის განვითარებაზე ვილაპარაკებთ შინაარსის მხრით, ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის სრული კეშმარიტება და უკანასკნელ ხასიათს მხოლოდ შემდგომ განვითარებაში ღებულობს. საკითხის ასეთი დასმა უკვე ლაღატია მარქსიზმისა, ვინაიდან ის დიალექტიკას ფორმალისმით სცვლის და კეშმარიტებას ისტორიულ შინაარსს აცლის.

ზევით აღვნიშნეთ, რომ მარქსიზმი არის პრინციპების სისტემა, და ხაზი გაუსვით სიტყვა „პრინციპებს“, რათა აგვეცილებია გაუგებრობა, თითქოს მარქსიზმი იყოს ფორმალური ცოდნის (ფორმულების) სისტემა. უკანასკნელი (ცოდნის ფორმულები) არ თავსდება სისტემაში. ის ამოუწურავია, დაუსრულებელ ისტორიულ პროცესს წარმოადგენს. მაშასადამე, მოცემულ პრინციპების საფუძველზე რომ ვითარდება ცოდნა, ეს აღვილი გასაგებია. უფრო ძნელი გასაგებია თვით პრინციპების განვითარების ცნება, ძნელია იმიტომ, რომ ხშირად პრინციპი გაეგებათ როგორც ფორმალური დებულება. მაგრამ მარქსიზმი სწორედ ასეთი (მეტაფიზიკური) „პრინციპების“ დაძლევაა. მარქსიზმის თვალსაზრისით პრინციპი ცარიელი ფორმა კი არ არის, არამედ ფორმა—შინაარსის ცოცხალი, ისტორიული ერთიანობა. მაგრამ პრინციპის შინაარსი კი არ უნდა გავიგოთ, როგორც მის საფუძველზე მიღებული კონკრეტი ცოდნა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვერ მოვაცილებთ შემეცნების პრინციპს მას კონკრეტულ რეზულტატს, მაშასადამე პრინციპი ჰკარგავს თავის ბუნებას, ის დაიყვანება კონკრეტ ცოდნაზე. პრინციპის შინაარსიანობა უფრო ღრმა ცნებაა. ის იმას ნიშნავს, რომ შემეცნების მეთოდი და შემეცნების საგანი განუყრელია, ერთდა იმავე კანონს ემორჩილება, ამიტომ პრინციპი კონკრეტული ცნებაა, ის ემორჩილება ისტორიული განვითარების კანონებს.

ამაშია დიალექტიკის პრინციპი და პრინციპის დიალექტიკობა. პრინციპის სხვანაირი გაგება დოგმატიურია.

პრინციპის ასეთ (დოგმატიურ) გაგებაშია ის პირველი შეტყუვეფუენიური მოვლენა, რომ შეიძლება მარქსიზმის ყველა პრინციპების მტკიცებასთან დაკავშირებით მარქსიზმის დამახინჯებაც. ასეთი მიგალითი იშვიათი როდია, ეს ყელამ იცის. თუ პრინციპი არ ვითარდება (ე. ი. არ ვგუდება ისტორიულად განვითარებულ შინაარსს), ის ჩამორჩება სინამდვილეს, ის ცარიელდება, ყოველგვარ შინაარს მოკლებულ ფორმალურ სქემად იქცევა. მარქსიზმის ასეთი გაგება მისი დოგმატიური, მკვდარი გაგებაა.

სულ სხვაა მარქსიზმის შემოქმედებითი გაგება. ამ შემთხვევაში მარქსიზმის პრინციპები მკვდარი, დოგმატიური სქემა კი არ არის, არამედ ცოცხალი, მოქნილი იარაღია ისტორიულად მოძრავ და ცვალებად სინამდვილის შეცნობა-გარდაქმნისა. მაშასადამე, თვით პრინციპი ცოცხლობს (როგორც ყველაფერი სინამდვილეში) მხოლოდ მოძრაობა-განვითარებაში, რომლის გარეშე ის კვდება. მაშასადამე, მარქსიზმის დაცვა, შენარჩუნება მხოლოდ მის შემდგომ განვითარებაშია და ისეთი „ორტოდოქსალობა“, რომელიც პრინციპის „დაცვას“ მსხვერპლად მოუტანს ისტორიულ სინამდვილეს, ამით თვით პრინციპს ამახინჯებს, ანადგურებს მას. მაშასადამე ლენინიზმის, როგორც განვითარებული და ახალ საფეხურზე აყვანილი, მარქსიზმის გარეშე ნამდვილი, რევოლუციური მარქსიზმი არ არის. მარქსისტების ორი ჯგუფი არსებობს. ორივენი მარქსიზმის დროშის ქვეშ მუშაობენ და თავიანთ თავს ჰქმნიან მარქსისტებად სთვლიან. მიუხედავად ამისა ისინი სრულიად არ არიან იდენტიური. კიდევ მეტი: მათ შორის მთელი უფსკრულია, ვინაიდან მათი მუშაობის მეთოდი დიალექტიკურად საწინააღმდეგოა.

პირველი ჯგუფი ჩვეულებრივ კმაყოფილდება მარქსიზმის გარეგნული აღიარებით, მისი საზეიმო გამოცხადებით. მას არ შეუძლია ან არ სურს ჩასწვდეს მარქსიზმის არსობას, არ შეუძლია ან არ სურს მისი განხორციელება სინამდვილეში. ის მარქსიზმის ცოცხალსა და რევოლუციურ დებულებებს მკვდარ, უშინაარსო ფორმულებად აქცევს. თავის მოქმედებას ის ამყარებს არა ცდაზე, არა პრაქტიკული მუშაობის გათვალისწინებაზე, არამედ მარქსისგან ნასესხებ ციტატებზე. მითითებებსა და დირექტივებს იგი ცოცხალი სინამდვილის ანალიზიდან კი არ იღებს, არამედ ანალოგიებსა და ისტორიული პარალელებისაგან... ამ ჯგუფის სახელია—მენშევიზმი (რუსეთში), ოპორტუნიზმი (ევროპაში)... ის მარქსიზმის თვალსაზრისზე კი არა დგას, არამედ წევს მასზე.

მეორე ჯგუფს, პირიქით, სიმძიმის ცენტრი გადააქვს მარქსიზმის არაგარეგნულ აღიარებაზე, არამედ მის გატარებაში, მის განხორციელებაში. მარქსიზმის განხორციელების ვითარებასთან შეფარდებულ გზების და საშუალებების დასახვა, ამ გზების და საშუალებების შეცვლა, როცა იცვლება ვითარება აი რას აქცევს უმთავრესად თავის ყურადღებას ეს ჯგუფი. დირექტივებს და მითითებებს ეს ჯგუფი იღებს არა ისტორიულ ანალოგიებსა და პარალელებისგან, არამედ გარემოცულ პირობათა შესწავლისაგან.

თავის მოქმედებაში იგი ემყარება არა ციტადებს და გამოცდილებას, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებას, ამოწმებს თვითვე თავის ნაბიჯს გამოცდილებით, სწავლობს თავის შეცდომებზე და ასწავლის სხვებს. ახალი ცნებების შემსენებლობას. ამ ჯგუფის სახელია ბოლშევიზმი, კომუნისმი. ამ ჯგუფის ორგანიზატორი და ბელადი არის ლენინი (სტალინი „საქ. კომ. პარტ. ორგანიზატორი და ბელადი“ წერილი, მიძღვნილი ლენინის 50 წლის თავს).

ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, თუ რა არის ახალი, სპეციფიური ლენინიზმი. ის არა მარტო გამოაყენება მარქსიზმისა იმპერიალიზმის ეპოქაში, ვინაიდან, როგორც ზევით განვხარტეთ, ასეთი გამოყენება შეუძლებელია განვითარების გარეშე, არამედ მარქსიზმის წინ წაწევა, მისი აყვანა ახალ ეტაპზე. აქედან—ლენინიზმი არის უმაღლესი მეცნიერება, რომელმაც მოგვცა იმპერიალიზმის გენიალური თეორიული ანალიზი. ლენინიზმის პრაქტიკა მის თეორიას ემყარება და პრაქტიკის პრიმატი, რასაც ხაზს უსვამს მარქსიზმ-ლენინიზმი, ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს თეორია პრაქტიკის უშუალო დამოკიდებულებაში იყოს მოცემული ეს პრიმატი. ეს იქნებოდა ბურჟუაზიული პრაგმატიზმი, ან მისი პრაქტიკული გამოხატულება-სტიქიურობა, კუდმაჩაჩალობა—რაის სასტიკი მტერია ლენინიზმი (ამაზე - ქვევით), პრაქტიკის პრიმატი უნდა გავიგოთ თეორიის პრაქტიკიდან ისტორიული წარმოშობის, მისი (თეორიის) პრაქტიკაზე შემოწმების და პრაქტიკის საფუძველზე თეორიის გამდიდრების და თეორიის პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით. აქედან გასაგებია თუ რა უხეშად ამახინჯებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს ისინი, ვინც ლენინიზმში მარქსიზმის მხოლოდ პრაქტიკულ განხორციელებას და ლენინის სიდიადეს მხოლოდ პრაქტიკის სფეროში ხედავდა (მაგალითი: დებორინი—„პლენარული მუშათა მოძრაობის თეორიული ბელადი, ლენინი-კი პრაქტიკული“—აქედან მათი შრომის განაწილება და ერი-მეორის შეესება—იხ. დებორინი „ლენინი, როგორც მოაზროვნე“).

ზოგი ფიქრობს, თითქოს ლენინიზმი პრაქტიკის პრიმატი ყოფილიყოს თეორიის წინაშე იმ აზრით, რომ მთავარი მასში—მარქსისტულ დებულებათა საქმეთ ქცევა, ამ დებულებათა „შესრულებაა“. ხოლო რაც შეეხება თეორიას—ამის შესახებ ლენინიზმი თითქოს საკმაოდ უდარდელი იყოს... უნდა განვაცხადო, რომ ეს უცნაური შეხედულება ლენინზე და ლენინიზმზე სრულიად უმართებულოა და სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, რომ პრაქტიკოსების სურვილი—თავიდან მოიცილონ თეორია, ეწინააღმდეგება ლენინიზმის მთელ ბუნებას და დიდ საფრთხეს უქადის საქმეს.

თეორია არის ყველა ქვეყნის მოძრაობის გამოცდილება, აღებული მისი ზოგადი სახით: რა თქმა უნდა, თეორია ხდება უსაგნო, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას ისევე, როგორც პრაქტიკაც ბრმად იდგება, თუ იგი არ იშუქებს გზას რევოლუციური თეორიით. მაგრამ თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდადეს ძალად, თუ იგი იქნება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყოფელი კავშირის საფუძველზე, რადგან მას და მხოლოდ მას შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა, მოვლენათა შინაგანი

კავშირის გაგების უნარი, რადგან მას, და მხოლოდ მას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიიშართებიან კლასები ამწყობი, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა წავიყვანოთ მისი ინიაციული მომავალში. სწორედ ლენინი ამბობდა და მრავალჯერ მხატვრობდა ცნობილ დებულებას იმის შესახებ რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობა“ (სტალინი „ლენინიზმის საკითხები“).

ეს დებულება აცამტვერებს უზადრუც ცდებს რათა ლენინიზმის მნიშვნელობა მხოლოდ პრაქტიკაში დაიყვანონ. ზოგნი ლენინის თეორიულ მნიშვნელობას, მის ისტორიულ დამსახურებას ამ სფეროში არ უარყოფენ, მაგრამ ამ მნიშვნელობას და მის დამსახურებას ხედავენ მხოლოდ მარქსიზმის ადეკვატურ გაგებაში, მის შესწავლაში. ერთ-ერთი მაგალითი პრეობრაჟენსკია „რაც შეეხება ზოგად ფილოსოფიურ მეთოდს, ის ლენინმა მთლიანად აიღო მარქსისაგან, იცავდა მოწინააღმდეგეთა თავდასხმისაგან და ბრწყინვალედ გამოიყენა (ისტორიული მატერიალიზმის მეთოდთან ერთად) კონკრეტულ ფილოსოფიურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიო-კრიტიციზმი“ და სხ. რამდენადაც ლენინი წერდა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდზე, ის წერდა როგორც ამ მეთოდის მომხრე, წერდა მარქს-ენგელსის მეთოდის იმ გაგების დასაცავად, რომელსაც ის მართებულად სთვლიდა...

რაც შეეხება ისტორიულ მატერიალიზმს, აქაც ლენინმა მთლიანად შეითვისა მარქსის მეთოდი, ბრწყინვალედ გამოიყენა იგი ყველა თეორიულ და კონკრეტულ—კვლევითი შრომებში უკლებლივ, მაგრამ თვითონ ის ძალიან ცოტას წერდა ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიაზე და ეს არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს. ის სთვლიდა, რომ ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი, როგორც ის მარქსმა ჩამოაყალიბა და როგორც გაიგო ის ლენინმა, სავსებით საკმარისია როგორც კონკრეტული კვლევისათვის, ისე პროლეტარიატის კონკრეტული ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის“ (პრეობრაჟენსკი „ლენინი და მარქსი როგორც თეორეტიკოსები“ „მებრძოლი მატერიალისტი“ წიგნი მეორე 1924 წ. გვ. 44). საიდან გამომდინარეობს ლენინიზმის ეს უცნაური გაგება? ჩვენ ამ შემთხვევაში გვანტერგებს ამ დამახინჯების თეორიული საფუძველი, ვინაიდან ტროცკისტ პრეობრაჟენსკის შეხედულებანი პირობადებულია იმ სოციალური კლასობრივი ბაზით, რაც ტროცკიზმის დამახასიათებელია და რაც ყველასათვის ცნობილია. „მეთოდი იყო და რჩება მარქსიზმში სისტემის მთავარ ბაზად“ (პრეობრაჟენსკი—იქვე გვ. 41). აქედან ლოგიკური დასკვნა: „ლენინი იყო ისტორიული მატერიალიზმის გავრცელებითი (распространительного) გაგების წინააღმდეგ, ე. ი. მისი არა მხოლოდ როგორც მეთოდის, არამედ როგორც მარქსისტული სოციოლოგიის სისტემის გაგების წინააღმდეგ“ (იქვე გვ. 44—შენიშვნა). თავი რომ დავანებოთ უხეშ დაპირისპირებას ან მხოლოდ მეთოდი, ან „სოციოლოგიის“ სისტემა (ბაზს უსვამთ, რომ ისტორიული მატერიალიზმის როგორც, „მარქსისტული სოციოლოგიის სისტემის“ გაგება (ბუხარინი), შემცდარია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მართებულია ისტორიული მატერიალიზმის, როგორც მხოლოდ მეთოდის გაგება. კეშმა-

რიტება არ მიიღება მხოლოდ შეცდომის დაპირისპირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ორი ერთი-მეორეს დაპირისპირებული, და ამავდროს ორივე შემცდარი დებულება. (მაგალითები: მემარჯვენე-და მარცხენა-ისტები თავიანთ განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერთი-მეორეს ებრძოდნენ, მაგრამ ორივე მარქსიზმ-ლენინიზმის ლალიტი იყო ან და: მომენშევიკო იდეალისტები ებრძოდნენ მექანიკებს, მაგრამ ორივე იყო მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯება. ეს მაგალითები მით უფრო დამაჯერებელია, რომ იშლება აღებული დებულების საფუძველზე). ცხადია, რომ აქ საქმე ვეაქს მეთოდის აბსოლუტიზაციასთან, მისი შინაარსის ავან მოწყვეტასთან. მეთოდის ასეთი აბსოლუტიზაცია პირობამდებელია სისტემის აბსოლუტიზაციისა, მიუხედავად მათი გარეგნული წინააღმდეგობისა—ამიტომაც რომ პოზიტივიზმი ასაზრდოვეთ მეტაფიზიკას და პირიქით—ტროცკიზმი—მემარჯვენეობას და პირიქით, მომენშევიკო იდეალიზმი—მექანიციზმს და პირიქითაც.

მეთოდის და შინაარსის დაპირისპირება „წმინდა მეთოდოლოგიის“ აღიარება მომენშევიკო იდეალიზმის ერთერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებათაგანია. ამ მხრით აღსანიშნავია, რომ მომენშევიკო იდეალიზმის წარმომადგენელი ნ. კარევი იმავე აზრს იზიარებდა და აქტიურად იცავდა ისტორიულ მატერიალიზმის როგორც მხოლოდ მეთოდის შესახებ, როგორც ზემოთ მოყვანილი პრეობრაჟენსკის აზრი. მეთოდოლოგიის ასეთი გაგება უდევს საფუძვლად ჰეგელის და მარქსის დიალექტიკური მეთოდის გაიგივებას მომენშევიკო იდეალიზმში.

ზოგიერთი ახირებული ფილოსოფოსი კი იმასაც ახერხებს, რომ მომენშევიკო იდეალიზმი შეინარჩუნოს ასე ესთქვათ „მოხსნილი“ სახით და ძალიან ადვილადაც აღწევს მიზანს. მარქსმა ფილოსოფია მეთოდამდე დაიყვანა და აღდგინა მარქსისტული ფილოსოფია არის მხოლოდ მეთოდი. მაგრამ მეთოდი ცარიელი ცნება არ არის. ის თვით შინაარსის იმანეტური მოძრაობის კანონების შეცნობაა, ამიტომ მეთოდი შეიცავს მსოფლმხედველობას. და ამასთან, რაც უფრო უცნაურია, ეს აზრი გამოცხადებულია ორიგინალურ აზრად. ასეთი ახირებული ფილოსოფოსის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ეს აზრი არც ორიგინალურია და არც მართებული. შეიძლება აქ „ორიგინალიზმი“ დაგვენახა მხოლოდ იმაში, რომ ასეთი შეხედულება მიეწერა მარქსს, რომელმაც დიდი დრო და ენერჯია დაკარგა სწორედ ასეთი დებულების უარყოფაში. მეთოდის აბსოლუტიზაცია (აბსოლუტური მეთოდის ცნება) ჰეგელის საქმეა და დებულება მეთოდის შინაარსიანობის შესახებ ჰეგელის დებულებაა. თავისთავად ეს დებულება (მეთოდის შინაარსიანობა) მართებულია (ამაშია ჰეგელის დამსახურება სუბიექტივიზმის, კერძოდ კანტის სუბიექტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. ლენინის მე-IX კრებული). მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ამ შინაარსის იდეალობის ცნება აძლევს ჰეგელს საფუძველს აბსოლუტური მეთოდი ჩამოაყალიბოს, ვინაიდან ჰეგელისთვის სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება იხსნება აბსოლუტურ სუბიექტის ცნებაში. დიდი გონება-მახვილობა არ არის საჭირო იმის ვასაგებად, რომ თვით ჰეგელის ფილოსოფიაში საბოლოოდ შინაარსია გადაწყვეტი და რომ სწორედ ამ მეტაფიზიკურმა შინაარსმა გადასწყვიტა მისი დიალექტიკის ბედ-იღბალი (დია-

ლექტიკური მეთოდის დამახინჯების თვალსაზრისით) და გამოიწვია კონსერვატიული მხარის უზარმაზარი ქარბობა რევოლუციურ მხარეზე (მედიკოს ფილოსოფიაში (იხ. ამის შესახებ ეხგელსის „ლ. ფეიერბახი“), ცხატომიერებას, რომ მეთოდოლოგია შეიცავს მსოფლმხედველობას, საესებით შემცდარია. ისინი ერთი-მეორეს შეიცავს მსოფლმხედველობის (და არა მეთოდის) საფუძველზე.

თუ ლენინიზმი „იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი“, მთავარი მასში იგივე უნდა იყოს რაც მარქსიზმში, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ ამხ. სტალინი დასძენს მოყვანილ განმარტებას: „უფრო ზუსტად ლენინიზმი არის თეორია და ტაქტიკა პროლეტარული რევოლუციისა საერთოდ, თეორია და ტაქტიკა პროლეტარიატის დიქტატურისა განსაკუთრებით“. ეს განმარტება ლენინიზმისა აცამტვერებს იმ უბადრუკ შეხედულებას ლენინიზმზე (ზინოვიევი კამენევი და სხ.), ღითქოს ლენინიზმში მთავარი იყოს გლეხობის საკითხი. „ზოგი ფიქრობს, რომ ძირითადი ლენინიზმში გლეხობის საკითხია, რომ ლენინიზმის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს საკითხი გლეხობის შესახებ, მისი როლის და მისი ხვედრითი ღონის შესახებ. ეს სრულიად უმართებულოა. ძირითად საკითხს ლენინიზმში, მის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა გლეხური საკითხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, მისი მოპოების პირობების საკითხი, მისი განმტკიცების პირობების საკითხი. გლეხური საკითხი, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი მის ბრძოლაში ხელისუფლებისათვის, წარმოადგენს წარმოების საკითხს“ (სტალინი).

იმპერიალიზმის პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი შორეული პერსპექტივის საკითხი კი არ არის ის უშუალო პრაქტიკის საკითხად იქცევა. და სწორედ ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის, მისი მოპოების პირობების საკითხის მთავარ პირობას წარმოადგენს იმპერიალიზმის ანალიზი. ჩვენც გადავალთ ახლა მოკლედ ამ საკითხის გარჩევაზე.

იმპერიალიზმის ანალიზის დროს ლენინის გამოსავალი პუნქტია მარქსის შემოდ მოყვანილი დებულება „კაპიტალის“ პირველი ტომიდან. სანამ იმპერიალიზმის ლენინური ანალიზის პრინციპებზე შევერდებოდეთ, საჭიროა ორიოდ სიტყვით დავახასიათოთ ჰილფერდინგის ცნობილი „უინანსიური კაპიტალი“, რომელმაც მეორე ინტერნაციონალის ბელადების მოწმობით თითქოს მოგვცა იმპერიალიზმის პირველი, ამომწურავი ანალიზი. ამ წიგნის წერის დროს ჰილფერდინგი თავის „თანამებრძოლ“ აშანაგებთან მეორე ინტერნაციონალიდან ჯერ კიდევ არ იყო გადასული მეშათა კლასის ინტერესების აშკარა გაყვების პოზიციებზე (რევიზიონიზმის წარმოშობა და თანდათანობითი ევოლუცია სულ მარჯვნივ და მარჯვნივ სოციალ-დემოკრატიული პირობადებულება იმპერიალიზმით და მისი სტადიებით—ამაზე ფქვევით) და ამდენად წიგნი არ შეიცავს იმპერიალიზმის აშკარა აპილოგიას ე. ი. შეგნებულ დაცვას, მაგრამ ის ემპირიული, უპარტიო ობიექტივიზმი, რომლის პრინციპებზეა აგებული მთელი წიგნი ობიექტიურად იმპერიალიზმის დაცვაა. ამით აისსნება ის გარემოება, რომ ჰილფერდინგს, რომელსაც თავის ანალიზში



(უკეთ აღწერაში) არ გამოჩენია იმპერიალიზმის თითქმის არც ერთი ემპირიული მხარე, გამორჩა სწორედ სპილო, სწორედ მთავარი, ე. ი. პარტიზმი და კაპიტალიზმის ლპობის პროცესი. ამდენად პარტიზმის „ანალიზი“ იმპერიალიზმისა უკვე არის დასაწყისი იმ აპოკრიფულური პერიოდისა, რომლებიც ასე გამრავლდა მეორე ინტერნაციონალის წრებში განსაკუთრებით იმპერიალისტური ოპის დროს და მის შემდეგ.

თუ ლენინიზმის გადმოსავალი პუნქტია იმპერიალიზმის ანალიზი (ლენინიზმის მსოფლიო ისტორიულ დადებითი მნიშვნელობის), უნდა ითქვას, რომ იგივე იმპერიალიზმის ანალიზია არსებითად გამოსავალი პუნქტი მეორე ინტერნაციონალისათვისაც (მისი მსოფლიო-ისტორიულ უარყოფითი მნიშვნელობის). ეს ადვილი გასაგებია. იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიას—„შომაკვდავ კაპიტალიზმს“ (ლენინი). მაშასადამე, ის უნდა წარმოადგენდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგობის (და ამით მთელი კლასობრივი საზოგადოების) უკიდურეს გამწვავებას. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესი რეალიზაციას პოულობს კლასთა წინააღმდეგობაში, მათ ბრძოლაში. მაშასადამე, იმპერიალიზმი არის კლასთა ბრძოლის უკიდურესი გამწვავება, კლასთა ინტერესების გაშიშვლება და ფილისტერულ ოპორტუნიზმისათვის სულ უფრო და უფრო ნიადაგის გამოცლა და ამდენად მისი (ფილისტერული ოპორტუნიზმის) აუცილებელი აშკარა გადასროლა ბურჟუაზიის მხარეზე. ეკონომიურად იმპერიალიზმი არის უკიდურესი წინააღმდეგობა კერძო საკუთრებასა და წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს შორის. პოლიტიკურად იმპერიალიზმი არის ერთის მხრით პროლეტარიატის მზადება გადაიმწყვეტი ბრძოლისათვის და სათანადო მომენტში გადაიმწყვეტი შეტევა (პროლეტარული რევოლუცია), მეორე მხრით—იმპერიალისტური ბურჟუაზიის ენერგიული მზადება თავდაცვისათვის და სათანადო მომენტში (ამ შემთხვევაში „სათანადო“ ბურჟუაზიისთვის ხელსაყრელ პირობებს არ ნიშნავს) შეტევაზე გადასვლა. პროლეტარიატზე (ფაშიზმი) (ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვგებთ იმპერიალიზმის პერიოდში იმპერიალისტური ომების აუცილებლობის (ეკონომიური წინააღმდეგობის პოლიტიკური გამოვლინების) საკითხს—იმპერიალიზმის ლენინური ანალიზის შედეგებზე ლაპარაკი ქვევით გვიქნება).

იმპერიალიზმის განვითარება დაიწყო მე-XIX-ტე საუკუნის დამლევს და სწორედ ამ პერიოდში იწყება ე. წ. რევოლუციონიზმი. ლენინის ისტორიული მოღვაწეობის დასაწყისიც ამ პერიოდს ხვდება და ამდენად ლენინის მთელი ისტორიული მოღვაწეობის ასპარეზი იშლება იმპერიალიზმის ანალიზის, პროლეტარიატის საბრძოლველად მზადების, მის გადაიმწყვეტ შეტევაზე წაყვანის, პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელობის, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკის შემუშავების, სოციალიზმის ნშენებლობის საკითხების დამუშავების ხაზით. ამიტომ ყოვლად დაუშვებელია ლენინის რუსეთის მუშათა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის მეტაფიზიკური გამოყოფა მისი ინტერნაციონალური ხელმძღვანელი როლისაგან. მართალია, ლენინის მოღვაწეობა უმთავრესად რუსეთის სინამდვილეში იშლებოდა, მაგრამ თვით რუსეთის სინამდვილე, სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო მსოფლიო რევო-

ლუციის პრობლემების ცენტრად იქცა. „რუსეთი უნდა გამხდარიყო (უფრო ზევით მოყვანილია საფუძვლები—თუ რატომ უნდა გამხდარიყო პ. შ.) იმპერი-ალიზმის წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტად არა მარტო იმპერიალიზმის რუსეთი წარმოადგენდა დასავლეთის იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტად, რომელიც დასავლეთის ფინანსიურ კაპიტალს აღმოსავლეთის კოლონიებთან აერთიანებდა, არამედ იმიტომაც, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ რევოლუცია არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო პროლეტარული, რომ მას არ შეეძლო თავისი განვითარების პირველ დღეებშივე არ მიეღო საერთაშორისო ხასიათი... რუსეთი ამ პერიოდში (XX საუკუნე—პ. შ.) ბურჟუაზიული რევოლუციის წინა დღეს განიცდიდა. მას უნდა მოეხდინა ეს რევოლუცია უფრო პროგრესიულ პირობებში და უფრო განვითარებული პროლეტარიატით ვიდრე გერმანიაში იყო (ინგლისსა და საფრანგეთზე რომ არა ვთქვათ რა). არ შეიძლება შემთხვევად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1902 წ. როცა რუსეთის რევოლუცია მხოლოდ იწყებოდა, თავის ბროშურაში „რა ვაკეთოთ“ წერდა წინასწარმეტყველურ სიტყვებს იმის შესახებ, რომ:

„ისტორიამ დააყენა ჩვენს (ე. ი. რუსეთის მარქსისტების—ი. სტ.)

წინაშე უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე რევოლუციონურია რომელიც გნებავთ ქვეყნის პროლეტარიატის უახლოეს ამოცანათაგან. ამ ამოცანას განხორციელება, არა მარტო ევროპულ, არამედ აგრეთვე აზიურ რეაქციის ყველაზე მძლავრ ბურჟის დანგრევა—რუსეთის პროლეტარიატს გახდინდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად (იხ. ტ. IV გვ. 382).

სხვანაირად რომ ვთქვათ, რევოლუციონური მოძრაობის ცენტრი რუსეთში უნდა გადასულიყო. ცნობილია რომ რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობამ გადაჭარბებით გაამართლა ლენინის ეს წინასწარმეტყველობა.

განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ქვეყანა, რომელმაც ასეთი რევოლუცია მოახდინა და რომელსაც ასეთი პროლეტარიატი ყავს პროლეტარული რევოლუციის თეორიის და ტაქტიკის სამშობლოდ გადაიქცა?

განა საკვირველია, რომ ამასთან ერთად ამ პროლეტარიატის ბელადი, ლენინი, ზემო აღნიშნული თეორიის და ტექნიკის შემოქმედად და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადად გახდა? (სტალინი, ლენინიზმის საკითხები IX რუს. გამოცემა გვ. 9—41).

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ლენინი თავისი ისტორიული მოღვაწეობის პირველ პერიოდშივე არ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მარქსიზმის მხოლოდ შესწავლით მისი გადმოწერვით რუსეთის სინამდვილეზე. მარქსიზმის პრინციპები საერთოდ შეუძლებელს ხდის მათ მექანიკურ გადმონერგვას, სინამდვილის კონკრეტობა პრინციპების კონკრეტობასაც მოითხოვს. მარქსიზმის არა დოგმატიურმა, არამედ შემოქმედებითმა გაგებამ შესაძლებლობა მისცა ლენინს იმაერთვე მოეცა მარქსიზმის გამოყენება-განვითარება და უნდა კატეგორიულად ითქვას, რომ ლენინის არც ერთი შრომა არ წარმოადგენს

მარქსიზმის პრინციპების მხოლოდ განმეორებას, არამედ გულისხმობს მათ კონკრეტულად—განვითარებას. (ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია შეჩერება იმ საკითხზე, თუ რომელი იყო ლენინი და პლევხანოვისაგან პირველად რა უმჯობესობა მარქსიზმი რუსეთის სინამდვილეზე გამოიჩინა. თავი რომ დავტყუდებოთ, მაშინ კარა ქრონოლოგიურ ფაქტს, რომ ლენინის „რანი არიან ხალხის შეგობრები“... რამოდენიმე თვით უფრო ადრე გამოქვეყნდა პლევხანოვის „მონისტური შეხედულებაზე“, აქ უმთავრესად იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ პლევხანოვის წიგნი წარმოადგენს მარქსიზმის ცოტად თუ ბევრად წარმატებით გადმოცემას, ასე ვსთქვით აკადემიურ მონოგრაფიას მარქსიზმზე და არა მის ისტორიულ კონკრეტულ გადმონერგვას რუსეთის სინამდვილეზე).

ამ მხრივ აღსანიშნავია ლენინის გენიალური პროგნოზი თავისი თითქმის ყველაზე ადრინდელ შრომაში „რანი არიან ხალხის შეგობრები...“ რომელიც სასწრაფოთა გაამართლა იმპერიალიზმისა და მის საფუძველზე რუსეთის სინამდვილის განვითარების რამდენიმე ათეული წლის ისტორიამ. „მუშათა კლასს აქცევს სოციალ-დემოკრატები მთელ თავის ყურადღებას და მთელ თავის მოქმედებას. როცა მისი (მუშათა კლასის პ. შ.) მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერულ სოციალიზმის იდეებს, რუსეთის მუშის ისტორიული როლის იდეას როცა ეს იდეები მიიღებენ ფართო გავრცელებას და მუშებს შორის შეიქმნებიან მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც გარდაქმნიან მუშების ახლანდელ დაქუცმაცებულ (разрозненные) ეკონომიურ ომს, შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად—მაშინ რუსეთის მუშა, დადგება რა ყველა დემოკრატიულ ელემენტების სათავეში, ჩამოაგდებს აბსოლუტიზმს და წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს... აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილ კომუნისტურ რევოლუციისკენ (თხულებანი, ტომი 1—3 რუსული გამოცემა გვ. 200).

მოყვანილი დებულებიდან გარკვეულად სჩანს, რომ ლენინს უკვე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში (1894) წ. ქონდა გათვალისწინებული ბურჟუაზიული-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურება იმპერიალიზმის პერიოდში, პროლეტარიატის ჰეგემონიის აუცილებლობა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში. რომ ეს გენიალური პროგნოზი ემყარება კაპიტალიზმის იმპერიალისტური ეპოქის თავისებურებას სჩანს თუნდაც იმავე შრომის შემდეგი ადგილიდან: „შრომის განსაზოგადობრივება კაპიტალიზმის წარმოების მიერ სოულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები მუშაობენ ერთს შენობაში (ეს მხოლოდ—პროცესის ნაწილია) არამედ იმაში, რომ კაპიტალების კონცენტრაციას თან სდევს საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაცია, კაპიტალიზმის რიცხვის შემცირება მრეწველობის ყოველ მოცემულ დარგში და მრეწველობის განსაკუთრებული დარგების რიცხვის გადიდება;—იმაში, რომ მრეწველობის მრავალი დაქუცმაცებული პროცესი ერთიანდება წარმოების ერთ საზოგადოებრივ პროცესად... ამავე დროს თითოეულ წარმოებას ეწევა ცალკე კაპიტალისტი, დამოკიდებულია რა უკანასკნელის ნებაყოფლობიდან და აქცევს რა საზოგადოებრივ პროდუქტებს მისი კერძო საკუთრების სფეროში. ნუ თუ

ცხადი არ არის, რომ წარმოების ფორმა ვარდება შეურიგებულ წინააღმდეგობაში მითვისების ფორმასთან? ნუთუ აშკარა (очевидно) არ არის, რომ უკანასკნელი არ შეუძლია არ შეეფუოს პირველს, არ შეუძლია ვინააღმდეგობა საზრგაოდებრივად, ე. ი. სოციალისტურად? (იქვე გვ. 93, 94—95).

აქედან ცხადია, რომ ლენინის შეურიგებელი და ძლიერამოსილი ბრძოლა ე. წ. ლეგალური მარქსისტებმს წინააღმდეგ, „ეკონომისტები“-ს და სხვ. წინააღმდეგ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში წარმოადგენს იმპერიული პოლიტიკის საფუძველზე წარმოშობილ რევოლუციონიზმის მიშინდელი რუსეთის სინამდვილეში გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამავე პერიოდში გადამწყვეტ როლს წარმოადგენს მუშათა კლასის ერთი პროგრამის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველზე გეართიანებულ, ორგანიზებულ პარტიის შექმნა მუშათა კუსტარულ რევოლუციურ წრეების ხაცვლად, რის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცენტრალური ორგანოს შექმნა (წერილის გარკვეული ფარგლები და უკანასკნელის საფუძველზე არჩეული სტრუქტურა არ მიაქვს შესაძლებლობას შევზრდოთ „ხალხოსნების“ კრიტიკის და რუსეთის ისტორიულად განვითარების გზების პრობლემებზე — მათ მიძღვნილი აქვე გენიალური შრომები, რომელთა გვირგვინს წარმოადგენს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“) რევოლუციურ-კრიტიკულ (დიალექტიკურ-მატერიალისტური) მეთოდის ბრწყინვალე გამოყენება აძლევს ლენინს შესაძლებლობას არა მარტო დაამტკიცოს, რომ რუსეთში კაპიტალიზმი უკვე ფაქტია, სინამდვილეა და არა პრობლემა და ამდენად (წინააღმდეგ „ხალხოსნების“ მტკიცებისა) რუსეთის ისტორიული განვითარების იმავე ზოგად კანონებს ემორჩილება, რაც დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნები, არამედ ოსტატურად გამოარკვეოს რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული თავისებურება და დასაბოს ამის საფუძველზე რევოლუციური მოძრაობის ცხადი და გარკვეული პერსპექტივა.

პარტიის საკითხი გადამწყვეტი ხდება, ვინაიდან იმპერიალიზმი აუცილებელს ხდის პროლეტარიატის გადამწყვეტ იერიშს კაპიტალიზმზე და ამ ბრძოლას ის უნდა დახედეს ორგანიზებულად, ღირსეული ორგანიზატორის და ბელადის მეთაურობით. მაგრამ შეცვლილ პირობებთან ერთად უნდა შეიცვალოს პარტიის მშენებლობის ხასიათი. ცხადია, ნიშუშად ვერ გამოდგებოდა მეორე ინტერნაციონალის პარტიები, რომლებიც ენგელსის გარდაცვალების შემდეგ (1895 წ.) თანდათან გადადიოდნენ ოპორტუნისტულ პოზიციებზე, რომლებიც წარმართავდნენ პროლეტარიატს არა გადამწყვეტ ბრძოლისაკენ, არამედ მშვიდობიან, ტრედუნიონისტულ ან უკეთეს შემთხვევაში პარლამენტურ განვითარებისკენ. „იკავს რა II ინტერნაციონალს თავდასხმისაგან კალუკი ამბობს, რომ II ინტერნაციონალის პარტიები წარმოადგენენ მშვიდობიანობის და არა ომის ინსტრუმენტს, და სწორედ ამის გამო აღმოჩნდნენ ისინი უძლურნი გადაეცაათ რაიმე სერიოზული ნაბიჯი ომის დროს, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების დროს. ეს სავსებით მართალია, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ მეორე ინტერნაციონალის პარტიები გამოუსადეგარი არიან პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის, რომ ისინი წარმოადგენდნენ არა პროლეტარიატის მებრძოლ პარტიებს, რომელთაც მუშები მიჰყავთ ხელისუფლების დასაპყრობათ, არამედ წარმოადგენდნენ საარჩევნო აპარატს, რომელიც შეფარ-

დებულება საპარლამენტო არჩევნებთან და საპარლამენტო ბრძოლასთან. ცნობილია, რომ საქმით პარტია ამ პერიოდში წარმოადგენდა პარლამენტის ფრაქციის დანართს და მომსახურების ელემენტს. საჭირო არ უნდა იყოს მტკიცება, რომ ასეთ პირობებში და ასეთი პარტიის მეთაურობის მეთაურობისათვის პროლეტარიატის მხალდადზე ლაბარაკიც შეუძლებელი იყო“ (სტალინი ლენინიზმის საკითხები—IX რუს. გამოცემა გვ. 64).

მაშასადამე, მეორე ინტერნაციონალის ბელადები პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში თამაშობენ რეაქციურ როლს, რადგანაც ისინი პროლეტარიატის რევოლუციურ ენერჯიას მობილიზაციას კი არ უშობდენ, არამედ პირიქით, ახრჩობდენ მას: „აი თუ ვნებავთ, ოპორტუნიზმის ცოცხალი დილექტია: ლეგარული კავშირების უბრალო ზრდამ, ჩლუნგი მაგრამ კეთილსინდისიერი ფაღისტერების უბრალო ჩვევამ დაკმაყოფილებამ საკონტროლო წიგნების უბრალო წარმოებით გამოიწვია ის, რომ კრიზისის მომენტში კეთილსინდისიერი მუშანები აღმოჩნდნენ მასების რევოლუციური ენერჯიის ჩამხრჩობლები, გამცემლები, მოღალატეები. და ეს შემთხვევითობა არ არის. რევოლუციურ ორგანიზაციაზე გადასვლა აუცილებელია, ამას მოითხოვს შეცვლილი ისტორიული სიტუაცია, ამას მოითხოვს პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედებათა ეპოქა, მაგრამ ეს გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ძველი ბელადების გვერდის ავლებით, მასების რევოლუციურ ენერჯიის ჩამხრჩობლების განადგურების გზით (ლენინი „მეორე ინტერნაციონალის კრახი“).

გაითვალისწინა რა ასეთი პარტიის შექმნა ვერ კიდევ მე-XIX საუკუნის დამლევს ლენინმა მართლა მოიყვანა ეს სისრულეში განსაკუთრებულად ძნელ პირობებში („კომუნისტი“-ს და სტრუქტურობის იდეის გავრცელება, წერილ-ხუროთხალი სტიქიის დაწოლა (ადრინდელი მენშევიზმი) და სხვ.) და მან შექმნა ახლებური ად ორგანიზებული, რკინისებული ერთიანობის მქონე, რკინისებური ნებისყოფით გამსჭვალული პარტია, რომელმაც თავის ბელადის და ორგანიზატორის მეთაურობით დარაზმა პროლეტარიტი, სარეზერვო ძალები და მიიყვანა რევოლუცია ძლევამოსილ შედეგამდე, პროლეტარულ რევოლუციამდე.

მაგრამ პარტიის მართლ ახლებური ორგანიზაცია საკმარისი არ იყო, საჭირო იყო აგრეთვე მისი ახლებური თეორიული შეიარაღება, სტრატეგიისა და ტაქტიკის ახლებური შემუშავება „რევოლუციური თეორიის გარეშე არ შეიძლება იყოს რევოლუციური მოძრაობაც... მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით“ (ლენინი—ტომი IV (რუსული) გამ. გვ. 380).

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ მარქსმა და ენგელსმა შექმნეს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის პროგრამა—ასეთს წარმოადგენს თვით მარქსიზმი. საჭირო იყო თუ არა ამ პროგრამის შეცვლა? პრინციპებში არა, მაგრამ კონკრეტულად კი იყო საჭირო. ამ საკითხზე სავესებით იგივე ითქმის, რაც ზევით ითქვა მარქსიზმის და ლენინიზმის ურთიერთობის შესახებ. მით უფრო უნდა შეცვლილიყო სტრატეგია და ტაქტიკა, ვინაიდან თუ პროგრამა შეიცავს ზოგად პრინციპებს (რა თქმა უნდა, კონკრეტ ფორმულ-

ლირებაში) სტრატეგია, და ტაქტიკა შეიცავს გარკვეულ ისტორიულ სიტუაციის ლოზუნგებს. განვითარების პროცესში მყოფ კაპიტალიზმის პერიოდში რევოლუციურ მოძრაობის სტრატეგია ტაქტიკა და „მომავლადე კაპიტალიზმის“—იმპერიალიზმის პერიოდის რევოლუციური ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა არ შეიძლება ერთი და იგივე ყოფილიყო. ამიტომ ერთიანი პარტიის ორგანიზაციის და ერთიანი პარტიული პროგრამის შემუშავების ამოცანა ლენინის მიერ ერთდროულად დაისახა. რაც შეეხება ახალი სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავების საკითხს—ის უნდა მომხდარიყო (და ხდებოდა კიდევაც) ახალი პროგრამის საფუძველზე, ვინაიდან სტრატეგია-ტაქტიკის ცვალებადობა აუცილებელი იყო მოცემული პერიოდის ფარგლებშიაც.

ეს პროგრამაც შემუშავებული იქნა სწორედ ლენინის მიერ, წინააღმდეგ პლენაროვის პროგრამის პროექტისა, რომელსაც ლენინმა უწოდა არა რუსეთის პროლეტარიატის და მისი პარტიის რევოლუციური ბრძოლის პროგრამა, არამედ „სახელმძღვანელო საერთოდ კაპიტალიზმის შესახებ“—ლენინის მიერ შემუშავებული პროგრამა სინტეტიურად შეიცავდა, როგორც კაპიტალიზმის და განსაკუთრებით მისი იმპერიალისტური ეტაპის საერთო კანონების ანალიზს, ისე, განსაკუთრებით რუსეთის სინამდვილის ანალიზს და ამნაირად გენიალურად სახავდა პერსპექტივას და გზებს რუსეთის პროლეტარიატის ძლევამოსილი ბრძოლისათვის.

სწორედ მარქსიზმის შემოქმედებითმა ვაგებამ, მისმა განვითარებამ—კონკრეტულად მისმა შესაძლებლობამ მისცა ლენინს საბოლოოდ ტ გენიალურად გამოერკვია იმპერიალიზმის პერიოდის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის თავისებურება კლასიკურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებთან (XVII—XVIII საუკუნეების ინგლის-საფრანგეთი) შედარებით იმ დროს, ოცა მარქსიზმის თვალსაზრისზე „მწოლარე“ დოგმატიკოსები მენშევიკები (პლენაროვის მეთაურობით) კმაყოფილებოდნ „ისტორიული ანალოგიებით და პარალელებით“ და ხსენებულ ბურჟუაზიული-დემოკრატიულ რევოლუციების კანონები სეკანდარულად გადმოკონდათ 1905—1917 წ. წ. რუსეთისინამდვილეში, (ცნობილია, რომ მენშევიკები რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ჰეგემონიას უთმობდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიას პროლეტარიატს-კი ხდიდნ მხოლოდ მის საშვალებად, მოითხოვდნ ბურჟუაზიული რესპუბლიკის, როგორც რევოლუციის აუცილებელი შედეგის, ხანგრძლივ განმტკიცებას და პროლეტარულ რევოლუციის საკითხის გაურკვეველ დროისათვის გადადებას) ლენინი უკვე ცხრაასიან წლებში ამუშავებს თავის გენიალურ იდეიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდისა პროლეტარულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის საფუძველზე „პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს დემოკრატიული გადატრიალება, შემოიერთოს გლეხობის მასა, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და უვნებელჰყოს ბურჟუაზიის მერყეობა... პროლეტარიატმა მოსახლეობის ნახევრად პროლეტარულ ელემენტების მასის შემოერთებით უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, რათა ძალით ვასტეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და

უნებელპყოს გლახობისა და წერილი ბურჟუაზიის მერყეობა. ასეთი პროლეტარიატის ამაცანები“ (ლენინი ტომი VIII-ზე 3 რუს. გამოცემა გვ. 36).

ისტორიამ გაამართლა ლენინის გენიალური პროგნოზი უფრო მეტი ვიდრე მისი ყალბი „მარქსიზმი“ მოყვანილი დებულების წამოყენების (1905 წ.) სტამბით წლით შემდეგ (1918 წ.) თავის პოლემიკაში რენეგატ კაუცკის წინააღმდეგ („პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“) ლენინი სრული უფლებით ამბობს მის ისტორიულ გამართლებაზე. „გამოვიდა სწორეთ ისე, როგორც ჩვენ ვლაპარაკობდით. რევოლუციის მიმდინარეობამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე. პირველ ხანებში „მთელ“ გლახობასთან ერთად, მონარქიის წინააღმდეგ, მემამულეთა წინააღმდეგ საშუალო საუკუნეთა წესების წინააღმდეგ (და ამდენად რევოლუცია ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული) შემდეგ, უღარიბეს გლახობასთან ერთად, ნახევრად პროლეტარიატთან ერთად, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მათ შორის სოფლის მდიდრების, კულაკების, სპეკულიანტების წინააღმდეგ და ამდენად რევოლუცია ხდება სოციალისტური. მათ შორის ხელოვნური, ჩინური კედლის აღმართვის ცდა, მათ ერთი მხორესაგან დაშორება სხვა რაიმეთი, გარდა პროლეტარიატის მომზადების დონისა და ღარიბ გლახობასთან მისი შეკავშირების დონისა, არის მარქსიზმის უდიდესი დამახინჯება, მისი გაფულგარება და ლიბერალიზმით შეცვლა“ (ტომი XXIII გვ. 391).

ამასთან დაკავშირებულია ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი. წერილის ფარგლები არ გვაძლევს შესაძლებლობას შევიჩრდეთ ნაციონალურ საკითხზე მისი სპეციალური მნიშვნელობით, (თუმცა ეს საკითხი ლენინიზმში მეტად მნიშვნელოვანია) „სოციალური რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს სხვახარად, თუ არა ისეთი ეპოქის სახით, რომელიც აერთიანებს პროლეტარიატის სამოქალაქო ომს ბურჟუაზიასთან და მთელ რიგ დემოკრატიულ და რევოლუციურ, მათ შორის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას განუფითარებელ, ჩამორჩენილ და დაჩაგრულ ერებში (ლენინი, თხუზულებანი, ტ. XIX უკანასკნელი რუსული გამოცემა გვ. 221).

მაგრამ, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის ჩინურ კედლის მენშევიკურ გავლებას ქონდა თავისი სახესხვაობა. გარეგნულად მისი დიამეტრალური წინააღმდეგობა, მაგრამ არსებითად იგივეა — ტროცკიზმი. ეს „მემარცხენე“ ფრაზიორი უარყოფდა საერთოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საფეხურს რევოლუციაში და პირდაპირ აკეთებდა ნახტომს სოციალისტურ რევოლუციაში („ძირს მეფე—მთაფრობა მუშური“) ორივეს საწინააღმდეგოთ ლენინი იძლევა 1905 წ. რევოლუციაში სინთეტიურ ლოზუნგს: პროლეტარიატისა და გლახობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, როგორც გადასავალს პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ლენინის ლოზუნგი სხვა ისტორიულ პირობებში (და თავისებურად) გამართლდა 1917 წელს.

1905—1912 წ. წ. რუსეთში—მავი რეაქციის წლებია. ამ პერიოდში ლენინი აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას ორ ფრონტზე—ლიკვიდატორების და „ოტზოვისტების“ წინააღმდეგ რევოლუციურ პარტიის გაწვრთვნა-შენარჩუნებისათვის.

მისი გენიალური ხელმძღვანელობით პარტია არა მარტო შენარჩუნდა, არაა, არამედ ის მომზადებულადაც შეხვდა 1912 წლიდან დაწყებულ ბუნათა რევოლუციურ მოძრაობის მოზღვრებას.

აქვე პერიოდში ლენინი აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას სოციალისტურ მოძრაობის წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალის ლიდერების სახით. მეორე ინტერნაციონალის „ისტორია“ ასე ვითარდება. ჯერ „бунт на кораблях“ — რევოლუციონების პირველი აშკარა სიტყვა (გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები) ე. ბერნშტეინის სახით. მისი მორცევი, ლიბერალური კრიტიკა „ორტოდოქსების“ მიერ (კაუცკის „ანტიბერნშტეინი“) „მემარცხენე“ ფრთა (პარუფი-ლიუქსემბურგი) — კაუცკი გადისარა ცენტრისკენ (ლიბერალიზმის ლოგიკური ევოლუცია) და შემდეგ მათი გაოთხობლიანება სოციალ-შოვინიზმის საფუძველზე (1914 წ.) (როზა ლიუქსემბურგი თავს აღწევს გადამწყვეტ შეცდომებს და ამდენად რენევატობასაც — ის სცილდება სხენებულ პლეიადას) რუსეთის ლიკვიდატორების და „ოტზოვისტების“ წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ლენინი აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას, როგორც აშკარა მემარჯვენის ისე „მემარცხენე“ ფრთების წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალში და აგრეთვე შემარიგებლობის წინააღმდეგ (ცენტრი (კაუცკი) 1914 წლამდე).

1914 წ. გარდატეხის წელსა. იმპერიალისტური ომი იწყებს მეორე ინტერნაციონალის კრახს, მაგრამ უფრო იდეურად. პრაქტიკულად ის განაგრძობს არსებობას და სოციალ-შოვინიზმის პროპაგანდას, იმპერიალისტური ომის დაცვას. ლენინი იძლევა გენიალურ ლოზუნგს „ომი ომი“ „იმპერიალისტური ომის გადატყვევა საშოკალაქო ომად“, ის აწარმოებს ჯერ ახალი (მესამე) ინტერნაციონალის დაარსების მოსამზადებელ მუშაობას (ციმერვალდი, კინტალი) 1914 — 1917 წლებს ეკუთვნის გენიალური შრომები იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ანალიზის შესახებ, რომელთა მთავარი იდეების მოკლედ გადმოცემა აუცილებელია.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ იმპერიალიზმის ანალიზში ლენინისთვის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს „კაპიტალის“ პირველი ტომიდან მოყვანილი დებულება — ეს უკანასკნელი-ი ეკონომიური გამოხატულებაა ისტორიული მატერიალიზმის ცნობილი კანონისა, რომ რევოლუციის ობიექტუ-ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობას. მათ შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა დამაბასიათებელია მთელი კლასობრივი საზოგადოების პერიოდისთვის (პროლეტარიატის დიქტატურამდე) მხოლოდ ის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახეს ღებულობს. კლასობრივი საზოგადოების განვითარება ამ ანტაგონიზმის განვითარებაა. ის კაპიტალიზმის დროს აღწევს უმაღლეს საფეხურს და ამდენად კაპიტალიზმის ბოლო კლასობრივ საზოგადოების ბოლოც უნდა იყოს (რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის გავლით) კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიას. ი წარმოადგენს იმპერიალიზმში. ზევით აღნიშნულ პილფერდინგის ანალიზმა იმპერიალიზმში შეიქმნა მრავალი თავისებური მხარეები (უმთავრესად ეკონომიური ხასიათისა: მონოპოლია — მისი საფუძველი — საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის შეზრდა და სხვ.) მაგრამ პილფერდინგის პოზიტივისტურ ანალიზმა ვერ შეამჩნია მთა-

ვარი—პარაზიტობაში, კაპიტალიზმის ლპობის პროცესი და აქედან პროლეტარულ რევოლუციის აუცილებლობა. იმპერიალიზმის ფუნქციონირების განმარტების შემდგომ დებულებებიდან. 1. ფინანსური კაპიტალის (კონკურენტების და არჩენით) ტრესტების და სინდიკატების წარმოშობა-გამრავლება—ყოველივე ეს ხდის კაპიტალიზმის მომავლად ფორმაციად, უკიდურესად აძლიერებს კაპიტალის დაწინაურებას შრომაზე—მსახურის ჩავრა-ექსპლოატაციის—მაშასადამე უკიდურესად ამწვავებს კაპიტალის და შრომის წინააღმდეგობას და ამდენად არევოლუციურებს პროლეტარულ მსახურს, მიიყვანს მათ იმ შეგნებამდე, რომ ერთად ერთი ხსნა—პროლეტარულ რევოლუციამა. 2. იმპერიალიზმის დროს კაპიტალიზმი იქცევა მსოფლიო ეკონომიურ სისტემად (კაპიტალის გატანა კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, „გავლენათა სფეროების“ და კოლონიების გაფართოება მთელი ქვეყნის მოცვათმდე და სხვ.) და ამდენად ერთის მხრით თათოველ ნაციონალურ შეურწმობრივ და ტერიტორიულ ერთეულებს აქცევს ამ ერთიანი ჯაქვის (მსოფლიო მეურნეობა) რგოლებად, მეორეს მხრით მთელა მსოფლიოს ჰყოფს ორ ბანაკად: ერთ მხარეზე—ერთი მუჭა „მოწინავე“ „ცივილიზებული“ ქვეყნებისა, რომლებიც ყველთავე და ჩავრავე დანარჩენ მსოფლიოს—მეორე მხარეზე—უხარბაზარი უმრავლესობა კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნებისა, რომლებიც იძულებულნი არიან აწარმოონ ბრძოლა იმპერიალიზმის ჩავრაიდან განსათავისუფლებლად. 3. მონოპოლური ფლობა „გავლენათა სფეროების“ და კოლონიების; სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარება, რაც იწვევს გააფთრებულ ბრძოლას გაყოფილ ქვეყნის ხელ-ახლა გასაყოფად. აქედან იმპერიალისტური ომების აუცილებლობა რაც აერთმთლიანების პირველ ორ ფრონტს (პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მეტროპოლებში და „გავლენის სფეროების“ და კოლონიების ნაციონალურ განმანთავისუფლებელი ბრძოლა) და ასუსტებს იმპერიალიზმს. აქედან ზოგადი დასკვნა: იმპერიალიზმი—ომებისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაა, ის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ (იხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“).

იმპერიალიზმის ეპოქის ეს გენიალური ანალიზი შესაძლებლობას აძლევს ლენინს გაერკვიოს 1914 წლ. ომის იმპერიალისტური ბუნებაში, დაინახოს მასში იმპერიალისტური ჯაქვის შესუსტების აუცილებლობა. და პროლეტარული რევოლუციის უშუალო შესაძლებლობა. მეორე ინტერნაციონალის გამორბი კი აცხადებენ ხსენებულ ომს თავდაცვითი ხასიათის ომად. აქედან ლენინი მოუწოდებს პროლეტარიატს: „ომი ომს“ „იმპერიალისტური ომი გადააქციეთ სამოქალაქო ომად“—მეორე ინტერნაციონალის ბელადები კი მოუწოდებენ მუშებს „თავიანთი სამშობლოს დაცვას“ ე. ი. ერთი-მეორის გაფლეთას კაპიტალის ინტერესებში.

აღსანიშნავია აგრეთვე ზევით აღნიშნულ დებულებებიდან ცალ-ცალკე დასკვნა, რომლებიც ისევე ერთ მთლიან ხაზზე იშლებიან.

1. იმპერიალისტური კაპიტალიზმის ეკონომიურ რეაქციას (პარაზიტუნი, მონოპოლური ფასები, მფარველობითი პრინციპის გაძველება და სხვა) აუცილებლად თან სდევს პოლიტიკური რეაქცია: „ახალგაზრდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის (იმპერიალიზმი მონოპოლისტური კაპიტალიზმია) პოლიტიკურ ზედნაშენს წარმოადგენს მობრუნება დემოკრატიიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ. თავისუფალ კონკურენციას შეესაბამება დემოკრატია, მონოპოლიას შეესაბამება პოლიტიკური რეაქცია“ (თხზულებათა კრებული ტომი XIII (რუსული) პირველი გამოცემა გვ. 353). ამრიგად, უკვე 1916 წ. არის მოცემული ცხადი და გენიალური პროგნოზი იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალიზტური სახელმწიფოების აუცილებელი ფაზისადიის შესახებ.

2. კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის ნახტომისებური გამოვლინება იმპერიალიზმის პერიოდში შესაძლებელს ხდის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას ერთ ცალკედ აღებულ ქვეყანაში, ვინაიდან იმპერიალიზმის მთლიანი ჯაჭვი ყველგან ერთნაირი არაა, მას გააჩნია უფრო სუსტი და უფრო ძლიერი რგოლები, იმპერიალიზმის შერყევის დროს (მისი შინაგანი წინააღმდეგობის გამოვლენა—ომი და სხვ.) ჯაჭვი უნდა გაირღვეს მის უფრო სუსტ რგოლზე. ეს დებულება წამოაყენა ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წ. თავის ცნობილ წერილში „ევროპის შეერთებულ შტატების შესახებ“.

3. კაპიტალიზმი აუცილებლად დაიღუბება გაცილებით ადრე, ვიდრე ის მიაღწევს თავის აუცილებელ ტენდენციის იდეალურ განხორციელებას (ტენდენცია მსოფლიო გაერთიანებისაკენ) „თეორიულად დასაშვებია (мечтать) რომ განვითარება მიდის ერთ ერთად-ერთ მსოფლიო ტრესტისაკენ, რომელიც შეიცავდეს ყველა საწარმოებს უკლებლივ. მაგრამ განვითარება აქეთკენ მიდის ისეთ გარემოებებში, ისეთი ტემპით, ისეთ წინააღმდეგობებში, არა მხოლოდ ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ, ნაციონალურ და სხვადასხვა კონფლიქტებში და შერყობაში რომ უსათუოდ ადრე, ვიდრე საქმე მიაღწევდეს ერთ მსოფლიო ტრესტს, ნაციონალურ ფინანსიურ კაპიტალების „ულტრაიმპერიალისტურ“ მსოფლიო გაერთიანებას, იმპერიალიზმი უსათუოდ უნდა გასკდეს (попуть), იმპერიალიზმი გადავა თავის წინააღმდეგობაში“ (ლენინი—წინასიტყვაობა ბუბარინის წიგნის „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“).

იმპერიალიზმის აბსოლუტურად საწინააღმდეგო და აბსოლუტურად აპოლიგეტურ განმარტებას იძლევა მეორე ინტერნაციონალი თავისი გმირების სახით. უიმისოდაც გადიდებული წერილის ფარგლები არ გვაძლევს შესაძლებლობას შევჭრდეთ ყველა წარმომადგენლებზე (ეს არცაა საჭირო) და ძალიან მოკლეთ შევხებით კაუცკის „დასკვნებს“ განსაკუთრებით მის ორტომიან შრომაში— „ისტორიის მატერიალური გაგება“ (საინტერესოა, რომ თვით კაუცკიმ წინასიტყვაობაში ამ შრომას უწოდა მთელი თავისი სიცოცხლის შრომა, მისი განზოგადობა. ეს არის უნებლიეთი აღიარება იმისი, რომ კაუცკის მთელი „სიცოცხლის შრომა“ ყოფილა მარქსიზმის დამახინჯება და მუშათა კლასის ლატი) იმპერიალიზმის შესახებ „დასკვნები“ (მეორე ტომში) ასეთია:

1. კაპიტალისტურ აკუმულაციის (დაგროვება, ცენტრალიზაცია) არა აქვს ეკონომიკური საზღვარი, ამდენად კაპიტალიზმის განვითარებას არა აქვს ეკონომიკური საზღვარი—ის არ შეიძლება გახდეს პარაზიტული, მარტინს ცნობილი ცენტრალური დებულება ყერძი, საკუთარების ნიადაგზე მუდმივი ქვეყნების და საწარმოო ურთიერთობის ანტიგონისტური კონფლიქტის აუცილებლობის შესახებ „მოძველებულია“ ის არ უდგება იმპერიალიზმს, რომელიც თითქოს განვითარების ახალ პერსპექტივას უხსნის კაპიტალიზმს. აქედან—იმპერიალიზმის დროს არ ძლიერდება ექსპლოატაცია (კაუცი უარყოფს მასების აბსოლუტურ გალატაებას) და არც მწვეავდება შინაგანი წინააღმდეგობა კაპიტალიზმისა, წინააღმდეგობა შრომისა და კაპიტალიზმს შორის.

2. კაპიტალის გატანა „გავლენის სფეროებში“ და კოლონიებში, მათი სახით მთელი მსოფლიოს გაყოფა კი არ ყოფს მსოფლიოს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: ერთ მუქა „ცივილიზებულ“ დანარჩენ მსოფლიოს მყვლეფელ და მწავგრელ ქვეყნებათ და ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა უზარმაზარ უმრავლესობად. პირობით, იქმნება ინტერესთა პარაზონია—კაპიტალიზმს მიაქვს კოლონიებში „ცივილიზაცია“ და „კულტურა“, ხელს უწყობს პროგრესს, აქედან არ შეიძლება გამწვადდეს ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ნაციონალურ-განმანათავისუფლებელ ომების სახით (თუ გამწვადება—ის უნდა ჩაიხშოს, როგორც „ცივილიზაციის“ და „კულტურის“ შემწერებელი—იმპერიალისტური ჩაგვრის აპოლოგეტიკა).

3. ზოგადი დასკვნა—იმპერიალიზმში—კაპიტალიზმის მშვიდობიანი განვითარების და არა ომების და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაა. აქედან „ცხადია“ რომ პოლიტიკურად იმპერიალიზმს ახასიათებს არა რეაქცია, არამედ „დემოკრატია“ და სწორეთ უკანასკნელია კაპიტალიზმის „დაძლევის“ პირობა, ვინაიდან მისში (დემოკრატიაში) პროლეტარიატი აღწევს პოლიტიკურ ძალას. კაუციის „დიალექტიკა“ ასეთია: იმპერიალიზმში ნიშნავს ბურჟუაზიის ეკონომიკურ გაძლიერებას, მაგრამ ამავე დროს პროლეტარიატის პოლიტიკურ გაძლიერებას (დემოკრატისის საფუძველზე) მაშასადამე, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სოციალიზმის საქმე წაგებულია (მეცნიერული სოციალიზმის, ისტორიული მატერიალიზმის პირდაპირი და აშკარა უარყოფა) მაგრამ ის იგებს პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, ე. ი. პროლეტარიატი, რომლებიც თანდათანობით იზრდება და საზოგადოების უმრავლესობა ხდება „დასძლევს“ კაპიტალიზმს პარლამენტარიზმის (და არა რევოლუციის, შეიარაღებული აჯანყების) გზით.

თუ როგორ დასცინა ისტორიამ ამ „დასკვნებს“—დღეს რუსეთის პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კაპიტალისტური სახელმწიფოების ფაშიზაციის შემდეგ—ყველასთვის ცხადია. მუშათა მასების მოტყუებით მათი რევოლუციურ ენერჯის ჩახშობის გზით მეორე ინტერნაციონალის გმირებმა, გაუქაფეს ზნა ფაშიზმს, გაუპოზიერეს ნიადაგი უკანასკნელს და „უსისხლო“ „ჰუმანიურ“ სოციალიზმის მომხრეებმა უტიფრად გაისვარეს ხელი პროლეტარიატის სისხლში. მათ „ღირსეულად“ შეასრულეს თავიანთი სამარცხვინო ისტორიული მისია.

მხოლოდ ლენინის გენიალური ანალიზი იძლეოდა საფუძველს მარტო მასების რევოლუციურ ენერჯის მობილიზება-განმტკიცების, მის გარეშე რევოლუციურ რეზერვის თავმოყრისა, პროლეტარიატის ღირსეულ განმტკიცების (მარტის) განმტკიცებისა და ყველა ამის საფუძველზე პროლეტარიატის გამარჯვებისა გადამწყვეტ ბრძოლაში. თვით ლენინმა თავისი უშუალო გენიალური ხელმძღვანელობით უკვე მიიყვანა მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილის პროლეტარიატი გამარჯვებისკენ, მოალაღატე ზეოვრე ინტერნაციონალის ნაცვლად შექმნა ლენინიზმის პრინციპებზე აგებული მესამე ინტერნაციონალი და დღეს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ლენინიზმის დროშის ქვეშ მიდის გადამწყვეტ ძლევაში ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

იმპერიალიზმი მოასწავებს კაპიტალიზმის არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ, არამედ აგრეთვე, მათ საფუძველზე, იდეოლოგიურ-კულტურულ კრიზისსაც. ლენინი იყო ერთადერთი, რომელმაც მოგვცა ამ კრიზისის გენიალური ანალიზი და მასთან ერთად კრიზისიდან გამოსავალი პერსპექტივა. ეს მოითხოვდა მარქსისტულ ფილოსოფიის (დიალექტიკურ მატერიალიზმის) ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. ეს ამოცანა შეასრულა მხოლოდ ლენინმა. ამ თვალსაზრისით სპეციალური მნიშვნელობის მქონეა (სიტყვა „სპეციალურს“ ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ლენინის ყველა შრომები უკლებლივ შეიცავენ მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, არა მარტო ცალკე საკითხებში, არამედ ზოგად-ფილოსოფიურადაც) „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ მე-IX და XII კრებულები და სხვ. ისე, როგორც მარქსმა და ენგელსმა ძველი ფილოსოფიის ნანგრევებზე დიალექტიკურ მატერიალიზმის შემუშავების საფუძველზე შესძლეს კაპიტალიზმის გენიალური ანალიზი — ლენინმა ამ ფილოსოფიის (დიალექტიკური მატერიალიზმის) შემდგომი კონკრეტიზაცია — განვითარების საფუძველზე შესძლო იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის გენიალური ანალიზი. ასე მივიღეთ ჩვენ ლენინის გენიალური „იმპერიალიზმი“ „სახელმწიფო და რევოლუცია“ „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატ კაოცკი“ „საყმაწვილო სენი“ „კოოპერატიული ვეგმა“ და საერთოდ ყველა შრომები პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალისტური მშენებლობის შესახებ).

*) სწორად ზღვება გაუვებრობა ლენინური ეტაპის გაგების დროს ეს ეტაპი მდგომარეობს თუ არა მხოლოდ ფილოსოფიაში თუ სხვა, სპეციალურ მეცნიერებებში (ან ყველა მათში?) ანუ სხვათა კითხვას და რადგანაც კითხვა არა სწორათაა დასმული, პასუხიც უცნაურია: ერთი პასუხი: მხოლოდ ფილოსოფიაში — მეორე პასუხი — ყველა მეცნიერებაში. აქედან ლენინური ეტაპის ძიება ყველგან — ჯირთრგიაში, გინეკოლოგიაში, აგრონომიაში და სხვ. — ამ მისი უარყოფა ყველგან გარდა ფილოსოფიის. აქ მახსენდება (შკონი, მხოლოდ საქართველოში) წამოჭრილი კითხვა: მას შემდეგ, რაც მთელს საბაზო მეურნეობაში გადაჭრილია საკოოპერატიული „ეინ ეის“ — გადაჭრილია თუ არა ეს იდეოლოგიაში? შეეძლოა აქ იმაში მდგომარეობდა, რომ საკოოპერატიული „ეინ ეის“ იყო ზოგადი, სტრუქტურული საკითხი, რომლის განაწილება არ შეიძლება საზოგადოებრივ პროცესის ცალკე სფეროებში ის იჭრება ახლოგადობრივ პროცესის საფუძველში — ეკონომიკაში. ახალი ეტაპის საკითხი ზოგად ფილოსოფიური მეთოდოლოგიური საკითხია და ვრცელდება ყველა მეცნიერებაზე მხოლოდ ამ ახალ ეტაპზე აქვანოდ მეთოდოლოგიური პრინციპების რეალიზაციის სახით. ფილოსოფიის

ჩვენ ძალიან მოკლედ შევეჩრდებით სწორედ ამ უკანასკნელ საკითხებზე.

„ლენინიზმის ძირითად საკითხს, მის გამოსავალ პუნქტს, მის დღენდამენტს წარმოადგენს საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“ (სტალინი „ლენინიზმის საკითხები“) ზევით აღნიშნული იყო, რომ ეს საკითხი მარქსიზმშია ცხრიტადი საკითხია. ამის შესახებ ზევით მოყვანილ მარქსის წერილის გარდა შეიძლება მიუთითოთ მარქსის ცნობილ შრომაზე „სამთქალაქო ომის საფრანგეთში“ და მის ერთ-ერთ გამოცემისათვის ენგელსის მიერ დართულ წინასიტყვაობაზე, აგრეთვე მარქსის არანაკლებ ცნობილ „გოთას პროგრამის კრიტიკა“. ზე და მრავალ სხვა შრომებზე. რაში უნდა მდგომარეობდეს ახალი, ლენინის მიერ შეტანილი მარქსიზმში ამ საკითხის ირგვლივ?

საქმე ისაა, რომ მარქსის და ენგელსის დროს პროლეტარიატის დიქტატურა იყო შედარებით შორეული პერსპექტივის საკითხი, ამიტომ მარქსსა და ენგელსს შეეძლოთ გამოერკვიათ მხოლოდ 1. პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობა 2. მისი ზოგადი ნიშნები. მაშასადამე, ლენინს ხედა წილად გამოერკვია—1. თუ როდის იქცა ეს ისტორიული აუცილებლობა უშუალო პრაქტიკულ აუცილებლობად. 2. მარქს-ენგელსის მიერ მოცემულ ზოგად პრინციპების, მათი შემდგომი განვითარების საფუძველზე შეემუშაებია ყოველმხრივი, მთლიანი, კონკრეტი მეცნიერება პროლეტარიატის დიქტატურაზე. ორივე ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა ლენინმა. პირველი ამოცანის შესრულება იყო იმპერიალიზმის ანალიზი, რომელზედაც მოკლეთ უკვე გვქონდა საუბარი და რომელიც სისტემატიური სახით მოცემულია გენიალურ შრომაში: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლოესი ეტაპი“. მეორე ამოცანის შესრულება მოცემულია ყველაზე უფრო სისტემატიურად „სახელმწიფო და რევოლუციაში“ (1917 წ.), როცა უკვე ლენინის მეთაურობით რუსეთის პროლეტარიატი უშუალოდ, პრაქტიკულად ემზადებოდა ხელისუფლების აღებას.

პროლეტარიატის დიქტატურის ცნება ყველაზე უფრო სცემდა შიშის ზარს მეორე ინტერნაციონალის გმირებს, ვინაიდან სწორეთ მასშია კონცენტრირებული სახით მოცემული მარქსიზმის მთელი რევოლუციური არსობა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ დამტკიცებიათ, რომ მთავარია მარქსიზმში არა პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, არამედ მათ მიერ ემპირიულად გავებული ეკონომიური მოძღვრება და სხვ. მეორე ინტერნაციონალის „გამომძედილი“ ბელადი კაუსკი დიდ დროს და ენერგიას ხარჯავს, რათა „დაამტკიცოს“, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მარქსიზმში მხოლო შემთხვევით წამოცდენილი სიტყვაა, და ამის დასამტკიცებლად მიმართავს ისეთ „მეცნიერულ“ ხერხსაც, რომ მარქსის ცნობილ ლირსწესანიშნავ დებულების „გოთას პროგრამის კრიტიკაში“

გარდა უშუალოდ ახალი ეტაპი ლენინს მოცემული აქვს იქ, სადაც მან თვითონ მოახდინა ასეთი რეალიზაცია (ეკონომიკა, პოლიტკა, ბუნებისმეტყველების თეორიული საფუძველი და სხვ.) მაგრამ ყველა სფეროში არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელია ლენინური ეტაპი ლენინური მეთოდოლოგიის რეალიზაციის სახით ყველა მეცნიერებაში (რათქმა უნდა, სათანადო სპეციალისტების მიერ).

გარდამავალ ხანაში პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც ერთადერთი სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ, სცელის „კოალიციურ მთავრობის“ სახელმწიფოებრივი ფორმით. ზევითაც საკმაოდ აღენიშნება, რომ კაუცკი კატეგორიულად უარყოფს დიქტატურას, როგორც გზის სოციალიზმისა და მის ნაცვლად აყენებს „დემოკრატის“.

ლენინმა გააცამტვერა ეს უბადრუკი თეორია, გამოამქლავნა ამ „დემოკრატის“ სიყალბე, „ხალხის უდიდესი მოტყუება“, დემოკრატის აუცილებლად კლასობრივი მაშასადამე, დიქტატურული ხასიათი, დაასაბუთა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა უზრუნველყოფს ნამდვილ დემოკრატის უმრავლესობისათვის, მშრომელთათვის. ლენინმა დაგმო კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის უბადრუკი „თეორია“ და დაასაბუთა, რომ მხოლოდ რკინისებური დიქტატურის, გააფთრებული ბრძოლის გზით მიდის პროლეტარიატი სოციალიზმისაკენ „ჩვენ მივდივართ ბრძოლაში—ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსი. წავიდა ის დრო გულუბრყვილო, უტოპური, ფანტასტიური, მექანიკური, ინტელიგენტური სოციალიზმისა, როცა საქმე წარმოედგინათ ისე, რომ დაარწმუნებენ ადამიანთა უმრავლესობას, დაბატავებ სოციალისტური საზოგადოების მშვენიერ სურათს და უმრავლესობა სოციალიზმის თვალსაზრისზე დაადგება... სოციალიზმთან საზოგადოება მივა არა სხვანაირად, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურის გზით“ (თხზულებანი ტ. XXIV—უკანასკნ. რუსული გამოცემა—291).

ანარქისტების და მონარქისტო მარქსისტების (ბუხარინი და სხვ.) წინააღმდეგ ლენინმა დაამტკიცა, რომ პროლეტარიატისათვის სახელმწიფო აუცილებელია რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებული პროლეტარიატი შეძლებს ექსპლოატატორების წინააღმდეგობის ჩახშობას წვრილ-ბურჟუაზიული მეურნეობის, კლასების ლიკვიდაციის და სოციალისტური ეკონომიკის შექმნას.

მეორე ინტერნაციონალის უბადრუკ „თეორიას“ პროლეტარიატის მიერ პარლამენტარული გზით სახელმწიფოს დაპყრობის შესახებ ლენინმა დაუპირისპირა ბურჟუაზიული სახელმწიფოს რევოლუციური გზით განადგურების თეორია და ახალი პროლეტარული სახელმწიფოს აშენების აუცილებლობის გენიალური თეორია ამასთან ერთად ლენინმა გამოარკვია ამ ახალი სახელმწიფოს ისტორიული ამოცანები და მის კედლომის აუცილებლობა ამ ამოცანის შესრულების შემდეგ.

წარსული რევოლუციების (პარიზის კომუნა, 1905 წ. რევოლუცია და სხვ.) გამოცდილებათა გენიალური განზოგადოებით ლენინმა აღმოაჩინა საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა და მოგვცა საბჭოთა სტრუქტურის ყოველმხრივი თეორიული დასაბუთება.

ლენინმა გენიალურად დაამუშავა გლეხობის საკითხი, როგორც მთავარი საკითხის—პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის—შემადგენელი ნაწილი. იმდროს როცა რუსეთის და დასავლეთ ევროპის მენშევიზმი და მათი სახე სხვაობა—ტროცკიზმი, ირონიულად, ინდიფერენტულად უყურებდა გლეხობის სა-

კითხს, ლენინმა ჯერ იიღვე წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში (იხ. ლენინის პროგრამის პროექტი და განმარტება ტ. 1—რუსული მე-3-ზე გამოცემა ვ. 470-471), განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდა მას ხელში 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში და ასეთივე ყურადღებით მოჰკიდა მას 1917 წ. და მის შემდეგ პერიოდში¹⁾.

მშრომელ გლეხობას ლენინი იხილავს არა როგორც უშუალოდ რევოლუციურ ძალას, არამედ როგორც პროლეტარიატის რევოლუციურ რეზერვს. „თუ ისინი (წვირილი ბურჟუები, გლეხები—პ. შ.) რევოლუციურია, მხოლოდ იმდენად, რამდენად მათ მოვლით გადასვლა პროლეტარიატის რიგებში რამდენად ისინი სტოვებენ თავიანთ თვალსაზრისს და დგებიან პროლეტარიატის თვალსაზრისზე“. (ლენინი შენიშვნები პლენაროვის მიერ შედგენილი პროგრამის პროექტზე—კრებულ II გვერდი 80). ამ დებულებაში მოცემულია როგორც პენშენიზმ—ტროცკიზმს, ისე მემარჯვენეების (ბუხარინი და სხვ.) გამანადგურებელი პრინციპები. გლეხობას შეუძლია დადგეს პროლეტარიატის თვალსაზრისზე, გახდეს მისი რეზერვი, თუ იქნა პროლეტარიატის მართებული ხელმძღვანელობა, რადგან ობიექტურად აქეთვე წამართება გლეხობის უმრავლესობის ინტერესი. მაგრამ ის თავის თავად არარის რევოლუციური, სუბიექტიურად მასში ბატონობს კერძო საკუთრების ფსიქოლოგია, ამდენად აუცილებელია პროლეტარიატის ჰეგემონია. აქედან ლენინის გენიალური დებულება: „პროლეტარიატის დიქტატურის უშუალოდ პრინციპია მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არათანაბარი განვითარების კანონის საფუძველზე ლენინმა დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის ერთ ცალკეულ ქვეყანაზე დაწყების და გამარჯვების შესაძლებლობა. ეს ერთ ქვეყანაზე რევოლუციის დაწყება ლენინს ტროცკისავეთ არ მიაჩნდა მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის ნიშნის მიცემად, მხოლოდ ავანტიურად, თუ დაიგვიანებს მსოფლიო რევოლუცია—ეს რევოლუციის დასაწყისი ამავე დროს სოციალისტური მშენებლობის დასაწყისს ნიშნავს და მისი (რევოლუციის) გამარჯვება კი არ ნიშნავს მხოლოდ ხელისუფლების აღებას (ეს მხოლოდ დასაწყისია პროლეტარული რევოლუციის—ამაშია ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება უკანასკნელსა ბურჟუაზიული რევოლუციისაგან) არამედ სოციალიზმის აშენების შესაძლებლობასაც ერთ ქვეყანაზე. ჯერ კიდევ 1915 წ. წერილში ამ საკითხთან დაკავშირებით—ლენინი წერდა: „ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, მოახდენდა რა კაპიტალისტების ექსპროპრიაციას და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების ორგანიზაციას—დადგებოდა დანარჩენ, კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ, მოიშრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, გამოიწვევდა მათ აჯანყებას კაპი-

¹⁾ ხოვმა (ხინოვი და სხვ.) ამის საფუძველზე დაასვენა, რომ ლენინიზმში მთავარია გლეხობის საკითხი, ამის გამანადგურებელი კრიტიკა იხილეთ სტალინის „ლენინიზმის საკითხებში“—მისი სტატიის და ასეთია ბუხარინის შეხედულება (იხ. მისი „ლენინის პოლიტიკური ანდჟიი“) რომელსაც სრულიად არ გაუგია, რომ ლენინისათვის გლეხობის საკითხი არა და მხოლოდ ებღეღი საკითხია და გლეხობა თავის თავად, არაა რევოლუციური ძალა, ის რევოლუციურია მხოლოდ როგორც პროლეტარიატის რეზერვი.

ტალისტების წინააღმდეგ და აუცილებლობის დროს სამხედრო ძალითაც გამოვიდოდა ეკსპლოატატორულ კლასების და მათი სახელმწიფოებებს წინააღმდეგ“ (ლენინი—თხზულებ. ტომი XVIII მე-3. გამ. 232-233).

აქედან სჩანს, რომ ლენინი ერთ ქვეყანაში სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებაში გულისხმობდა არა მარტო ხელისუფლების აღებას, არამედ „სოციალისტურ წარმოების ორგანიზაციასაც“. შემდეგ, როცა ლენინის პროგნოზი სოციალისტურ წარმოების გამარჯვების შესახებ რუსეთში უკვე გამართლდა, ლენინი არა ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და ყოველთვის იძლევა დადებით პასუხს: „მთელი ქვეყნის ბურჟუაზია სწორედ იმიტომია გაცოფებული და გააფთრებული ბოლშევიკების წინააღმდეგ... რომ მან ჩინებულად იცის საზოგადოებრივ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში ჩვენი გამარჯვების აუცილებლობა, თუ ჩვენ არ ჩავახშობენ სამხედრო ძალით“ (ტომი XXIV. 3. რუს. გამ. 510).

აქედან ცხადია, რომ კონტრ-რევოლუციურ ტროცკიზმს მისი „პერმანენტული რევოლუციის“ უბადრუკი თეორიით²⁾ არაფერი აქვს საერთო მარქსიზმ-ლენინიზმთან. მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურება. მთავარი საკითხია სოციალისტური მშენებლობის გზების საკითხი. აქ იჩენს თავს მემარჯვენე ოპორტუნიზმი თავისი „თვითდინების“ უბადრუკი თეორიით. ბუხარინს მხოლოდ ფორმალურად გაუგია ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლუციის ზევით ხსენებული განსხვავება. რევოლუციის არა გარეგნული ფორმის საკითხია, რომ ბურჟუაზია ამ თავრებს მას პოლიტიკური ვადატრიალებით, ხელისუფლების ჩაგდებათ პროლეტარიატი კი ამით მხოლოდ იწყებს რევოლუციას, ეს გამოხატავს ბურჟუაზიული და სოციალისტური საზოგადოებათა სტრუქტურის ღრმა შინაგან განსხვავებას. ბურჟუაზიული სტრუქტურა ყალიბდება სტიქიურად, ანარქიულად (პროცესის მთლიანობის თვალსაზრისით) სოციალისტური სტრუქტურა კი უნდა აშენდეს სახელმწიფოებრივად ორგანიზებული პროლეტარიატის მეცნიერულ, გეგმიან პოლიტიკის საფუძველზე, გამწვავებული ბრძოლის საფუძველზე ძველი საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ. აქედან ლენინის ცნობილი დებულება: პროლეტარიატის დიქტატურა არის კლასთა ბრძოლის გაგრძელება სხვა ფორმებში და სხვა საშუალებით და ამავე დროს ის არის ყველაზე გამწვავებული, ყველაზე გააფთრებული ბრძოლა. ამდენად მემარჯვენე ოპორტუნიზმს არაფერი საერთო არ შეიძლება ქონდეს მარქსიზმ-ლენინიზმთან.

საერთოდ როგორც მარქსიზმი, ისე, განსაკუთრებით ლენინიზმი გაიზარდა და განმტკიცდა ორ ფრონტზე შეურიგებელ ბრძოლაში, შემარცხებლობასთან (ე. წ. „ცენტრთან“) ბრძოლაში ლენინი „მემარცხენეებს“ და მემარჯვენეებს არასდროს არ სთიზავდა ერთი-მეორისგან და არ უბირისპირებდა ერთი მეორეს,

²⁾ პერმანენტული რევოლუციის ნაშედეგი, მარქსისტულ-ლენინური გაგება მდგომარეობს ბურჟუაზიულ-დემოკრატიურ რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციაში გადაზრდაში, რაზედაც ზევით უკვე ვაქონდა ლაპარაკი.

სთვლიდა რა მათ ერთი-მეორის პირობამდებლედ. „ერთი და იგივე თსიქოლოგია, ერთი და იგივე კლასობრივი თავისებურება, მაგალითად, წერილი ბურჟუაზიის—გამოვლინდება ოპორტუნისტების წუწუნშიაც (ушхуну) და მატრორისტების სასოწარკვეთაში“ (თხზულ. ტ. XII (რუს.) გვ. 299) **სოციალიზმი**

ლენინმა შექმნა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გრანდიოზული გეგმა. ამ წერილის ფარგლები შეუძლებელს ხდის მის გაშუქებას. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ გეგმის საფუძველია ინდუსტრიალიზაცია საერთოდ, მძიმე მრეწველობის წამყვანი როლი და განსაკუთრებით ელექტროჟიკაციის მნიშვნელობა. ინდუსტრიალიზაციაში ლენინი გულისხმობდა არა მარტო მრეწველობას, არამედ სოფლის მეურნეობასაც, ვინაიდან მხოლოდ ინდუსტრიალიზაციაა ქალაქს და სოფელს შორის არსებულ ისტორიულ წინააღმდეგობის მოსპობის პირობა, უკანასკნელი კი, თავის მხრივ კომუნისმის აუცილებელი პირობაა.

ლენინმა განავითარა მოძღვრება სოციალიზმზე და კომუნისმზე, გვიჩვენა მათ შორის კონკრეტ-ისტორიული განსხვავება, მოსპო სოციალიზმზე ფანტასტიური წარმოდგენა, როგორც ქრისტიანულ სამოთხეზე, დაასაბუთა, რომ სოციალიზმი გულისხმობს მხოლოდ კლასების მოსპობას, მაგრამ უთანასწორობის დარჩენას და ამის საფუძველზე ხაზი გაუსვა პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცების და უკანასკნელის არსებობის აუცილებლობას სრული კომუნისმამდე.

ლენინი გარდაიცვალა 1924 წელს, ე. ი. იმ დროს, როცა არ იყო გადაწყვეტილი არა მარტო მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ამოცანა, არამედ რუსეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ამოცანაც (მეორე—პირველის ელემენტი, მეორის გამარჯვება—პირველის გამარჯვების ბაზაა, მაგრამ მაინც მათი ამოცანა ერთი და იგივე არაა, მათი გამარჯვება უშუალოდ ერთი მეორეს არ გზდება) „მაშინ, 1917 წ. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გავმკვთებია გადასვლა ბურჟუაზიულ ხელისუფლებიდან პროლეტარულ ხელისუფლებაზე. ახლა, 1925 წ. ლაპარაკია იმაზე, რომ გავაკეთოთ გადასვლა ახლანდელ ეკონომიკიდან, რომელსაც არ შეიძლება მთლიანად სოციალისტური ეკონომიკად, სოციალისტურ ეკონომიკაზე, იმ ეკონომიკაზე, რომელიც უნდა იყოს სოციალისტური საზოგადოების მატერიალური საფუძველი“. (სტალინი „ოპოზიციის შესახებ“ რუს. გამოც. გვ. 106) თვით ლენინი აღნიშნავდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს, რომ ბრძოლამ მიიღო უფრო სერიოზული და მწვავე ხასიათი.

მართალია, ლენინმა დასტოვა ხსენებულ ამოცანათა გადაჭრის საფუძველი—ლენინისმი, მაგრამ მას ესაქიროებოდა ისეთივე შემოქმედებითი გამოყენება, როგორცაა ლენინის მიერ მარქსისმის გამოყენება. ასეთი ამოცანა ლენინმა უანდერძა შემკვიდრებას. ასეთ ღირსეულ შემკვიდრედ, რომელმაც გენიალურად უხელმძღვანელა ნაანდერძვე ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას, რომელმაც მალა ასწია ლენინისმის დროშა და დაიცვა ის ყველა ჯურის ოპორტუნისტულ ტალახისაგან, ერთი სიტყვით, რომელმაც ღირსეულად იკისრა მარქს—ენგელს—ლენინის ისტორიული საქმის შემკვიდრება—აღმოჩნდა ლენინის საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი—დიდი სტალინი.

ლენინის გარდაცვალებამ ფრთა შეასხა ჩვენს მოსისხლე მტრებს, რომლებსაც ეგონათ, რომ ულენინოთ საბჭოთა ხელისუფლება დასაჯილდოსტორი მშენებლობა აუცალებლად ჩაიშლებოდა. მან იმედი ჩაუსახა აგრეთვე ლენინიზმის მტრებს პარტიის შიგნით, რომლებსაც ეგონათ, რომ ამიერიდან თავისუფლად შესძლებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის რვეიზიას. მან დაბნეულობა, პანიკორობა და უპერსპექტიობა გამოიწვია ბევრ კეთილგანწყობილ პარტიულელშიაც, რომელთაც ეშინოდათ, რომ ბელადის გარდაცვალება შეაფერხებს სოციალისტურ მშენებლობას, რომ ის შექმნის ურწმუნობას პროლეტარიატის რიგებში და სხვ.

ლენინის მეთაურობით გამოზრდილი სტალინიმა უკვე იცოდა თავისი როლი და შოვალეობა, ვინაიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ; პროლეტარულ პოლიტიკის სფეროში პიროვნების როლი ემყარება მოძრაობის გზების და მეთოდების წინასწარ ცოდნას. მან მთელი ქვეყნის საყურადღებოდ დასდო ლენინის კუმოსთან ისტორიული ფიცი „მაღლა გვიროს და წმინდათ შეინახოს პარტიის წევრის დიადი სახელწოდება“ „დაიცვას ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალისჩინი“ „დაიცვას და განამტკიცოს პროლეტარიატის დიქტატურა“, „მთელი ძალღონით განამტკიცოს მუშათა და გლეხთა კავშირი“ „განამტკიცოს და გააფართოოს რესპუბლიკების კავშირი“ „გააფართოოს და განამტკიცოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი“.

ეს ფიცი იყო დადებული მთელი პარტიის სახელით—მან მთელ პარტიას მისცა რწმენა, რომ სოციალისტურ რევოლუციას ლენინის გარდაცვალების შემდეგაც ყავს ღირსეული მესაქე, რომელიც წაიყვანს ლენინის პარტიას საბოლოო გამარჯვებისკენ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ განვლილი ათმა წელმა უკვე უდავოდ დაამტკიცა, რომ მარქს-ენგელს-ლენინის საქმეს უპოვია ღირსეული მემკვიდრე. ეს ათი წელი, განვლილი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის მიერ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით—იმდენად მდიდარია ისტორიული შინაარსით, რომ დიდ ისტორიულ ეპოქას, სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვების ეპოქას წარმოადგენს. ამ ეპოქის, მასში დიდი სტალინის როლის დახასიათებას ესაჭიროება არა სტრიქონები, არამედ ტომები, რომლებიც იქნება შედეგი ხანგრძლივი და კოლექტიური მუშაობისა. ჩვენ ამ წერილის ფარგლებში შევჩერდებით თეზისის სახით მხოლოდ ზოგიერთ, ჩვენის აზრით ცენტრალურ მომენტებზე.

პირველი ამოცანა, რომელიც მაშინათვე შესარულა სტალინიმა ლენინის გარდაცვალების შემდეგ—იყო ლენინიზმის თეორიის სისტემატიური დალაგება გადმოცემა. რაც მოკემულია სვერდლოვის სახ. კომუნისტურ უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (1924 წლის აპრილი) და „ლენინიზმის საკითხებისთვის“ (1926 წ. იანვარი). ეს გენიალური შრომები წარმოადგენენ ლენინიზმის არა დოგმატიურ, არამედ შემოქმედებითი გაგებას, განვითარებას და მის კონკრეტულ ხაზს. ამ შრომებმა გააცამტერა ლენინიზმის სხვადასხვა უბადრუკი „გაგება“ (ტროცკი, ზინო-

ვიევი, პრეობრაჟენსკი, ბუხარინი და სხვ.) და დაუსახეს სოციალისტურ მშენებლობას ცხადი, გარკვეული და გრანდიოზული პერსპექტივა. **უკიდურესად**

ლენინის გარდაცვალების შემდეგ უშუალოდ უფრო აქტიურად იჩინა თავი „მემარცხენე“ ტროცკიზმმა, ვინაიდან მთავარი იყო მაშინ საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივების შესახებ სხვა ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის დაგვიანების პირობებში. სტალინი სვამს კითხვას „ვაშენებთ თუ არა ჩვენ იმისათვის, რომ გაუპოხიეროთ ნიადაგი ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თუ იმისთვის, რომ ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება?“ (იხ. ოპოზიციის შესახებ — რუს. გამოცემა გვ. 164) და უპასუხებს: „იმისათვის, რომ ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება“. მაგრამ ბელადის პასუხი პროექტორობა და მარჩიელობა არ არის — ის ისტორიული მოძრაობის ზედასაზრისით დასაბუთებული პასუხია. სტალინი უსახავს სოციალისტურ რევოლუციას არა მარტო საერთო პერსპექტივას, არამედ მოძრაობა-განვითარების კონკრეტ გზებსაც.

სტალინი მედგრად და გენიალურად იცავს „პროლეტარიატის დიქტატურის უმადლეს პრინციპს“ — მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს კონტრ-რევოლუციური ტროცკიზმის შეტევისაგან, იცავს არა დოგმატიურად, არა როგორც ფორმულას, არამედ როგორც ცოცხალ-ისტორიულ ამოცანას, რომელსაც ის ყოველ გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე აძლევს შესაფერის თავისებურ გამოხატულებას (სავაჭრო კავშირიდან საწარმოო კავშირზე გადასვლა, შემდეგ კი კოლექტივიზაცია) მაგრამ მას ესაჭიროებოდა დაცვა არა მარტო კონტრ-რევოლუციური ტროცკიზმისაგან, არამედ მემარჯვენე ოპორტუნიზმისაგან, რომელსაც ხსენებული კავშირი დაყავდა მუშათა კლასის და გლეხობის მხოლოდ გარეგნულ თანამშრომლობამდე, უარყოფდა პროლეტარიატის ჰეგემონიას და იცავდა თვითდინების თეორიას.

სტალინი აკონკრეტებს და ანვითარებს ლენინის სოციალიზმის მშენებლობის გენერალურ გეგმას, შეუპოვრად და გენიალურად იცავს მის მთავარ იდეებს (ინდუსტრიალიზაცია, როგორც საფუძველი — ჯერძით მძიმე ინდუსტრიის წამყვანი როლი, თვით ინდუსტრიალიზაციის ლენინური (და არა ტროცკისტული) გაგება, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის და არა მხოლოდ მრეწველობის საფუძელის — ელექტროფიკაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა და სხვ.) ყოველგვარ „მემარცხენე“ და მემარჯვენე შეტევისაგან აცამტევრებს ტროცკიზმის ცრუ „ზენდუსტრიალიზაციის“ პროექტს და მემარჯვენეების სამომხმარებლო სოციალიზმის უბადრუკ „იდეა“-ს.

მრეწველობაში სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციის უფრო ჩქარ ტემპებთან ერთად უფრო ჩქარა ისპობა (რა თქმა უნდა, არა თავის თავად, არამედ შეუპოვარი ბრძოლის საფუძველზე) სამრეწველო ბურჟუაზია. სხვანაირადაა საქმე სოფლის ბურჟუაზიასთან — კულაკობასთან. მისი მოსპობა უფრო გვიანი და სერიოზული ამოცანაა — მას სჭირია სათანადო პირობები, რომელსაც ამზადებს სოციალისტური ინდუსტრიის განვითარება. სანამ ეს პირობები არაა მომზადებული, არ შეიძლება კულაკობაზე გადაამწყვეტ შეტევაზე (ლიკვიდაციაზე) გადასვლა — ეს იქნებოდა „политика царпанания“, და არა სერიოზული,

გადამწყვეტი შეტევის პოლიტიკა. სტალინის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ ასწავლა და ღრმად ჩაუნერგა პარტიას და პროლეტარიატს ყოველივე ეს და შეარჩია სწორეთ სათანადო ისტორიული მომენტი კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციის ლოზუნგზე გადასვლისა მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ცხადია, რომ კულაკების ლიკვიდაციის ლოზუნგზე გადასვლისას უნდა მომხდარიყო კულაკობის აგენტურის — მემარჯვენე ოპორტუნიზმის — აქტივიზაცია (რაც თქმა უნდა „მემარცხენე“ პროექტივობა რჩება, როგორც მემარჯვენეობის აუცილებელი თანმხლები) სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით კონტრ-რევოლუციური ცროცკიზმის განადგურებას მოჰყვა მემარჯვენე ოპორტუნიზმის განადგურებაც (რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ შეწყდა თვით „მემარცხენე“ და მემარჯვენე პრაქტიკა საერთოდ — მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ჯერ კიდევ დიდი ხნის ამოცანაა, რომელსაც წარმატებით აწარმოებს პარტია დიდი სტალინის მეთაურობით) მათი უპრინციპო მემარჯვენე „მომემარცხენო“ ბლოკის და შემრიგებლობის განადგურებაც.

სტალინმა შეუპოვრად დაიკვა და გენიალურად განავითარა ცენტრალური ლოზუნგი — ყველა ზემოხსენებულ ამოცანების შესრულების საფუძველი — პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება — გაძლიერების ლოზუნგი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციაში“ მოცემულ გენიალურ იდეების დამახინჯების წინააღმდეგ სტალინმა წამოაყენა გენიალური დებულება: „პროლეტარიატის დიქტატურა კვდება თავის განმტკიცების და გაძლიერების გზით“ — რაც ნიშნავდა ამავე დროს ლენინის იდეის კონკრეტიზაციას. საუბედუროთ, მეცნიერულ მუშაკთა რიგებში (რომლებსაც ვვალეზობდათ ამ გენიალური დებულების გაშლა კონკრეტ მასალაზე) ხშირად ხდება გაუგებრობა. ზოგმა ეს ისე გაიგო, თითქოს თვით განმტკიცება გაძლიერება ფაქტიური კვლევა იყოს და არა კვლევის პირობა — ზოგს კი ეს უკანასკნელი გაეგება, მაგრამ გვერდს უვლის სწორედ კონკრეტ-მეცნიერულ ამოცანას, თუ რაში უნდა გამოიხატოს კონკრეტ-ისტორიულად ეს კვლევის პროცესი და რატომცაა სწორედ განმტკიცება-გაძლიერება კვლევის პირობა. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ დიდ საკითხის გარჩევას — ეს სპეციალური ამოცანაა — აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ეს არის დემოკრატიული ცენტრალიზმის შემდგომი გაშლის პრობლემა. ზოგს ჰგონია, რომ დემოკრატიზმის გაშლა — ცენტრალიზმის შესუსტებას ნიშნავს და პირიქით ცენტრალიზმის განმტკიცება დემოკრატიზმის შეზღუდვას. ეს არის სწორედ მთავარი შეცდომა. ახლა ამ შეცდომას ბოლო უნდა მოელოს, ვინაიდან ვისაც აქვს გაგების უნარი, მან უნდა გაიგოს ცენტრალიზმის და დემოკრატიზმის დიალექტიკა, რომელიც გაშლილია ორგანიზაციულ საკითხზე XVII ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში.

სტალინმა ბრძნულად უხელმძღვანელა ნაციონალურ საკითხის ბოლშევიკურ გადაწყვეტას, შეუპოვრად გაატარა მისივე მიერ XII ყრილობაზე წამოყენებული პრინციპები და პირველი ხუთწლედის შედეგად მივიღეთ ჭეშყნის სამრეწველო ცენტრების ხელახალი დაჯგუფება ცარიზმის კოლონიალური

პოლიტიკის გამო ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკების ინდუსტრიალურ განვითარების საფუძველზე.

სტალინის ბრძნული და გენიალური ხელმძღვანელობით ლენინის გარდაცვალების 10 წლის თავისთვის მიიღწია გამარჯვებას. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის ურყევ ბაზად, კაპიტალისტურ ქვეყნებისთვის თავზარდაშემ შუუპოვარ ციხე-სიმაგრეთ.

სტალინის ბრძნული და გენიალური ხელმძღვანელობით განმტკიცდა მესამე ლენინური ინტერნაციონალი—მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შეუპოვარი შტაბი. სტალინი ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობას, ის ხელმძღვანელობს მსოფლიო პროლეტარიატს. ყოველ გარდატეხის ეტაპზე, ყოველ რთულ ისტორიულ სიტუაციაში ის იძლევა ბრძნულ, თეორიულად დასაბუთებულ პერსპექტივას, გენიალური შეუპოვრობით, ფოლადისებური ნებისყოფით და გამარჯვების რწმენით ხელმძღვანელობს მის პრაქტიკულ რეალიზაციას.

სტალინი მსოფლიო პროლეტარიატის საიმედო, საყვარელი ბელადი და მასწავლებელია.

სტალინმა ლენინური არმიის საშუალებით შეასრულა ის იტორიული ფიცი, რომელიც მან დასდო ლენინური არმიის სახელით ლენინის კუბოსთან.

მარქსი—ენგელსი—ლენინი—სტალინი—ეს ოთხი უკვდავი სახელი აწერია დროშას, რომლითაც სოციალიზმა განიმარჯვა ქვეყნის ერთ მეექვსედ ნაწილზე და რომლითაც ის გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.



ლაზარენტი ბერიძე

სამხატვრო ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს კომუნისტური პარტიის მმ-9 ჟიურისგან
წარმოთმული სიტყვიდან

საქ. კ. პ. (ბ) ცუკას 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ დიდი იდეურ-პოლიტიკური ალტკინება გამოიწვია მთელს მხატვრულ ინტელიგენციაში.

შექმნილია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელმაც შეძლო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის შექცობის ლიკვიდაცია.

ჩვენი მწერლობა (როგორც მთელი მხატვრული ინტელიგენცია) სოციალისტური მეურნეობის და ნაციონალური-კულტურული მშენებლობის გიგანტურ გამარჯვებათა გავლენით თავის ძირითად ნაწილში მოზრუნდა პროლეტარიატისაკენ. ის თანდათან აძლიერებს თავის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოვიდა მთელი რიგი მსხვილი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახულია მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა, სოციალისტური მშენებლობის ეპოქა და გამორები.

იზრდება ჩვენი პროლეტარული დრამატურგიაც.

საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობა გაუმჯობესებულია. მწერალთა შემაჯობებელი მივიღინების მოწყობით, მწერლების მომარაგების გაუმჯობესებით, მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმების გადიდებით და სხვა.

დიდი მიღწევები გაქვს ქართველი კლასიკოსების გამოცემის საქმეში გამოცემულია და იცნა შ. რუსაძეის, ე. ნინოშვილის, დ. კონჭაძისა, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჯავახიშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

დიდი მიღწევები მოვიპოვეთ ჩვენ თეატრის, კინოს, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების დარგში.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა თეატრებმა მოგვეცეს მთელი რიგი საუცხოო რევოლუციური დადგმები.

განდა ჩვენი მხატვრების სურათები, რომლებშიც ასახულია სოციალისტური მშენებლობის აქტუალური თემატიკა.

გაძლიერებულია მხატვართა კავშირის მატერიალურ-სამეცნიერო ბაზის გადარეცხვა ნაციონალური გალერეა გამოფენებისათვის და სოციალისტური მხატვრების ციხეში ეწყობა ხელოვნების მუზეუმი.



ახ. ლაჭინცი შვილია

მიღებულია ყველა ამ წარმატებისა და მიღწევებისა, მთელმა რიგმა საბჭოთა და პროლეტარულმა მწერლებმა კიდევ ვერ აღმოებზერეს ჯგუფობრივობის ნაშთები და რეკლამები, რაც საბჭოთა ლიტერატურას აშორებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს.

ზოგიერთი კომუნისტი კრიტიკოსი თავის „მომემარცხენო“ ნახტომებში და ჯგუფურ ბრძოლაში მიდის კლასიკური შემკვიდრების უარყოფამდე და საბჭოთა პროლეტარული მწერლების ცალკეულ წარმომადგენლებს უჭიბამდე. ძირითადი ამოცანა ხელოვნების ფრონტზე — ეს არამსმინატიკის კადრების მიერ პროლეტარული ხელოვნების მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ათვისება.

მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე შეიძლება გაიზარდოს და აყვავდეს საბჭოთა სოციალისტური ხელოვნება.

სოციალისტური რეალიზმის, როგორც პროლეტარული მხატვრული შემოქმედების სტილის, დაუფლება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით; თუ მხატვარი ხელმძღვანელობს მარქს-ენგელს-ლენინის და სტალინის რევოლუციური თეორიით.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა — ყოველმხრივ ხელი შევეწყოთ ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის კადრებს დაუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების დიდი ამოცანების გაგებას.

საშ. კომპარტიის ისტორიის შესწავლა დავაჟიეროთ მისინიკულ-პოლემიკურ კალხეზაზე.

ამხ. სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“, აამაღლა სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე, კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა ანტიმარქსისტულ-ანტილენინურ თეორიების და ყველა სახის დამახინჯებათა წინააღმდეგ. მერვე ყრილობის შემდეგ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის ორი წელი წარმომადგენდა პარტიის ბელადის ამხ. სტალინის დირექტივების რეალიზაციისათვის შეურიგებელი ბრძოლის წლებს.

მაგრამ იდეოლოგიური ფრონტის ზოგიერთ უბანზე ჩვენ კიდევ დიდი ჩამორჩენა გვაქვს. განსაკუთრებით ეს შეეხება ისეთ მნიშვნელოვან უბანს როგორც არის კომპარტიის და რევოლუციური მოძრაობის ისტორია საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

ჩვენთვის სამარცხენოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს ოდნავადაც მეცნიერულად და დოკუმენტალურად დამუშავებული ისტორია ჩვენი პარტიისა და რევოლუციონური მოძრაობისა საქართველოში.

ჩვენი პარტიის ისტორია, მთელი რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და ამიერ-კავკასიაში მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე მკიდროდ დაკავშირებულია ამხ. სტალინის მუშაობასთან და მის სახელთან. არ შეიძლება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტის მოყვანა ლენინური ხაზისათვის ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც არ იყოს გამსჭვალული ამხ. სტალინის აზრით და ნებისყოფით. ამხანაგი სტალინი წარმომადგენს ბოლშევიკური მოძრაობის საფუძველის ჩამყრელს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

მან მოაწყო პირველი არალეგალური ფურცლების გამოშვება.

მან მოაწყო პირველი პოლიტიკური გაფიცვა, პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია.

მის მიერ იყო მოწყობილი და ის ხელმძღვანელობდა პარტიის პირველ არალეგალურ კომიტეტებს ტფილისსა და ბათუმში.

იმ პერიოდში ამიერ-კავკასიის უდიდესი სამრეწველო ცენტრი ნაწილობრივ იმ ბაქო, იქ ამხ. სტალინის ორის წლის მუშაობის შემდეგ გადაიტყა ბოლშევიზმის ციტადელად კავკასიაში, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ნამდვილ დასაყრდენად.

მუშაობდა რა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე, აწყობდა რა ბრძოლას მენშევიკებთან და ამხელდა რა მათ ამხ. სტალინს მთელი ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლა აშკადა მალალ ლენინურ პრინციპიალობამდე და შეურიგებლობამდე.

რატომ ვლაპარაკობ მე ამის შესახებ?

იმიტომ, ამხანაგებო, რომ საქართველოში რაც კი რომ დღემდე დაწერილა კომპარტიის ისტორიის და ამიერ-კავკასიის რევოლუციურ მოძრაობის შესახებ: არ გამოხატავს ამხ. სტალინის ნამდვილ კემზმარტ როლს. რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების ბრძოლას მრავალი წლის ბრძოლის მანძილზე ა.-კავკასიაში. ავიღოთ თუნდაც ამხ. მახარაძის ნაშრომი. მე იმიტომ ვიღებ ამხანაგ მახარაძის ნაშრომებს რომ მით სწავლობს და იზრდება ჩვენი ახალგაზრდა თაობა.

მის ნაწარმოებში „1905 წელი ამიერ-კავკასიაში და საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორია“ და მთელ რიგ სხვა ნაშრომებში გაშუქებული არ არის ბოლშევიკური ორგანიზაციის ნამდვილი ბრძოლა ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. ნაჩვენები არ არის ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ამხ. სტალინი არა მარტო მენშევიკებთან, არამედ ზოგიერთ ბოლშევიკებთანაც ბოლშევიკური ორგანიზაციის შიგნით ლენინური ხაზისათვის.

აგრეთვე არა მკაფიოდ და უმართებულოდ არის დაყენებული. ამხ. მახარაძის ნაშრომებში საკითხი მენშევიზმის რაობის შესახებ, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მაშინდელ უთანხმოებათა შესახებ. ეს უთანხმოებანი მიუფრჩხილებულია.

„პარტმუშაკების ენერჯის დიდი ნაწილი, — წერს ამხ. მახარაძე (1905 წ., გვ. 120), — ინარჯებოდა შინაპარტიულ ბრძოლაზე, ყველასთვის ნათელი იყო რომ ეს გარემოება ძლიერ ასუსტებდა და აბრკოლებდა მასების რევოლუციონური მოძრაობის გაძლიერების საქმის პარტიულ ხელმძღვანელობას“. გამოდის, რომ საჭირო იყო მენშევიზმთან ბრძოლის შეწყვეტა. ვგონებ ასეა?

ან „მენშევიზმი საქართველოში ჩაისახა ხელოვნურად და არა მარტო საბჭოების დროს, არამედ თვითმპყრობელობის დროსაც მას არ ჰქონია მტკიცე ბაზა... მენშევიკური პარტია ჩვენში ხელოვნურად შეიქმნა.

(„რბოზია პრავედა“, 1932 წ. № 131)

ასეთი თვალსაზრისი აშკარად ეწინააღმდეგება თვალსაზრისს, რომელიც განვითარებული აქვს ამხ. სტალინს „წერილში კავკასიაში დან“.

ამხ. სტალინი ამ წერილში წერს:

„ის გარემოება, რომ ადგილი არა აქვს მევეთერ კლასობრივ შეჯახებებს, რომლებიც მსხვილი სამრეწველო ცენტრების დამახასიათებელი ფაქტორებია რა-
ლაც ქაობის მსგავსად, რომელიც გარედან ელის ბიძგს. სახელმძღვანელო წიგნებში აი-
ხსნება, რომ მენშევიზმმა, ნამდვილმა „მემარჯვენე“ მენშევიზმმა, ასე დიდხანს
იარსება ტფილისში. სულ სხვა მდგომარეობაა ბაქოში სადაც ბოლშევიკების
მკვეთრი კლასობრივი პოზიცია ბუდება ცხოველ გამოძახილს მუშებს შორის ის,
რაც ბაქოში „თავისთავად ცხადია“, ტფილისში ნათელი ხდება მხოლოდ ხან-
გრძლივი დისკუსიების შედეგად ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს აქ მე-
ტად ძნელად იწელებენ. სახელდობრ, ამით აიხსნება ტფილისელი ბოლშევიკე-
ბის „განსაკუთრებული მიდრეკილება“ დისკუსიებისადმი და, პირიქით, მენშე-
ვიკების სურვილი შეძლებისამებრ „თავიდან აიცილონ“ დისკუსიები.

მე ვფიქრობ, რომ ეს შეცდომები, ამხ. მახარაძემ დაუყოვნებლივ
უნდა გამოასწოროს.

ჩვენ ვალდებული ვართ შეურიგებელი ვიყვეთ ყოველგვარი შეცდომებისა
და ჩვენი პარტიის ისტორიის დამახინჯებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ
ბოლშევიკები აღარ ვიქნებოდით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევასრუ-
ლებდით ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის შითითებებს.

არსებული დამახინჯებებისა და უბეში შეცდომების სერიოზული კრიტი-
კის გარეშე შეუძლებელია საქართველოს კომპარტიის და ამიერ-კავკასიის ის-
ტორიის ბოლშევიკური დამუშავება. ეს დასკვნა მტკიცედ უნდა შეითვისოს ყვე-
ლა ჩვენმა კომუნისტმა ისტორიკოსმა.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენ მოგვეწყო ამხ. სტალინის ინს-
ტიტუტი, დაგვეყენებია იქ მუშაობა როგორც საჭიროა, რათა შეგვეკრიბა ყვე-
ლა მასალები საქართველოს კომპარტიისა და ამიერ-კავკასიის ისტორიის შესა-
ხებ და მოგვეცა საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობი-
სა და კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორიის ნამდვილი სურათი.

ლენინური-ნაციონალური პოლიტიკისათვის

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების დარგში საქართველოს
და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს აქვთ უდიდესი მიღწევები. ამხ. სტალინი ს
ხელმძღვანელობით ჩვენ მოვახერხეთ გავვენადგურებია მებრძოლი ქართული
ნაციონალიზმი და მისი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები. ამასთან ერ-
თად ჩვენ მოვახერხეთ გავვენადგურებია ნაციონალ-უკლონიზმიც ჩვენი პარტიის
რიგებში და შეგვექმნა „ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში“ როგორც
წერდა ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრადა“.

მიუხედავად ამისა, ამ მიღწევებით დამშვიდება ჩვენ არ შეგვიძლია. ქვე-
ყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ნა-
ციონალ-შოვინისტური ელემენტების ერთგვარ გამოცოცხლებას.

მე მინდა აქ მოგაგონოთ უკრაინის გაკვეთილების შესახებ, სადაც, პარ-
ტიული ორგანიზაციის მხრივ სიფიზლის შესუსტების მეოხებით, ნაციონალ-
შოვინისტურმა ელემენტებმა მოახელბეს შეპარულიყვენ საპეურნეო და კულ-

ტურული მშენებლობის მთელ რიგ საპასუხისმგებლო უბნებში და გზარმოებით იქ თავიანთი მშენებლური მუშაობა.

მდგომარეობა ჩვენიში, რასაკვირველია, არ არის ისეთი, როგორც იყო უკრაინაში.

მთავარ საფრთხედ ჩვენიში რჩება თვითმპყრობელური შოვინიზმი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ადგილობრივი ნაციონალისტური ელემენტების ნაწილობრივ გამოკოცხლებას. დიდმპყრობელური შოვინიზმის, თანამედროვე ეტაპზე როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ, ყოველმხრივ ბრძოლასთან ერთად, ჩვენ აუცილებლად კიდევ უფრო გაეაძლიეროთ ცეცხლი ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ფ. ს. რესპუბლიკების ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავების ინტერესებისათვის აუცილებელია მათი კულტურულ-პოლიტიკური კავშირის ყოველმხრივ განმტკიცება პირველ ყოვლისა, რუსეთის პროლეტარულ კულტურასთან. ამ მიზნით აუცილებელია ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მიერ რუსული ენის შესწავლის გაძლიერება, რომელიც არის უდიდესი რევოლუციური მონაპოვართა ენა პოლიტიკის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და ლიტერატურის დარგში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქცია და ჯერ კიდევ 1933 წლის შემოდგომაზე მიიღო საეკიალური გადაწყვეტილება დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაძლიერების და გაუმჯობესების და რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოცემის შესახებ.

ცხადია, რომ ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები წინააღმდეგობას გაუწევენ ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას.

ჩვენდამი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა უკვე დაიწყეს ლაყბობა იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ნიშნავს ჩვენი სკოლების „რუსიფიკაციის“ პოლიტიკას და სხვ.

ნაციონალისტური ელემენტების ამგვარ ლაყბობას და წინააღმდეგობას ჩვენი მხრივ წააწყდება ფრიად გადამჭრელი წინააღმდეგობა. აუცილებელია დაუნდობლად გამოვამჟღავნოთ ეს ვაქებატონები, რომლებიც ვითომდა ქართული კულტურის დაცვის საბაბით აწარმოებენ გააფთრებულ ბრძოლას ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის კულტურულ-პოლიტიკური კავშირის განმტკიცების წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებმაც პარტიის ისტორიაში ჩასწერეს, ნაციონალ-შოვინიზმთან და უკლონიზმთან ბრძოლის სახელოვანი ფურცლები შემდგომაც შესძლებენ მაღლა დაიჭირონ ლენინისა და სტალინის დროში, ნამდვილი ინტერნაციონალიზმის დროში, ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის დროში.



პრ. გელია

პარტიის ამიერ-კავკასიის მე-7 და საქართველოს მე-9 ყრილობების შედეგებისთვის

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობაზე დიდი გამარჯვებით მივიდნენ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ა/კ. ფედერაციის სოციალისტური მშენებლობის ზრდა და განვითარება ს.ს.რ.კ-ში სოციალიზმის ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა განუწყრელად.

საბჭოთა კავშირმა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება დაამთავრა, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და საბოლოოდ განმტკიცდა განვითარების სოციალისტურ გზაზე.

ს.ს.რ.კ. აგრარულ-ინდუსტრიალურ ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყანად, წვრილი ერთპიროვნული სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა მსხვილი, მექანიზირებული სოციალისტური მიწადმოქმედების ქვეყნად. სოფლის მეურნეობამ დიდი წარმატება მოიპოვა მიწადმოქმედების ძირითადი დარგების პროდუქციის სწრაფ ზრდაში, განსაკუთრებით ხორბლეულის და ტექნიკური კულტურების განვითარებაში. გარდაქმნის სარეორგანიზაციო პერიოდი და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გადაყენა კოლმეურნეობის ახალ ლიანდაგზე უკვე დამთავრებულია.

საკოლმეურნეო მშენებლობამ საბოლოოდ გაიმარჯვა ს.ს.რ.კ-ში. ამან შექმნა მომავალში სოფლის მეურნეობის სწრაფი დაწინაურების წინანამძღვრები. „არსებითად სათანადო პერიოდი სოფლის მეურნეობისათვის იყო არა იმდენად სწრაფი დაწინაურების და მშლავრი გაქანების პერიოდი, რამდენადაც უახლოეს მომავალში ისეთი დაწინაურებისა და გაქანებისათვის წინასწარი პირობების შექმნის პერიოდი“ (სტალინი).

განადგურებულია კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელი დასაყრდენი—კულაკობა—ს.ს.რ.კ-ს ძირითად რაიონებში მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების საფუძველზე, ხოლო გლეხობის ძირითადი მასები, რომლებიც კოლმეურნეობის გზას დაადგნენ, საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენად გადაიქცნენ. სოციალიზმის წარმატებით შენებას, ინდუსტრიის გიგანტურ დაწინაურებას და საკოლმეურნეო მშენებლობას შედეგად ის მოყვა, რომ სრულიად შეიცვალა შეფარდება ზუთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობისა, რომლებ-

ზედაც ლენინი ლაპარაკობდა „ნეპ“-ის შემოღების დროს: „ფაქტია, რომ მრეწველობის დარგში მეურნეობის სოციალისტური სისტემის ხვედრითი წონა ამჟამად 99% შეადგენს, ზრდასთან ერთად მეურნეობაში კი, თუ მხედველობაში მივიღებთ სოციალისტური კულტურების სათეს სივრცეებს—84,5%-ს, მაშინ როდესაც ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე სულ 15,5% მოდის.“

გამოდის, რომ კაპიტალისტური მეურნეობა ს.ს.რ.კ.-ში უკვე ლიკვიდირებულა, ხოლო ერთპიროვნული გლეხური სექტორი სოფელში მეორე ხარისხოვან პოზიციებზე გადაწყვეტილია“ (სტალინი).

პირველი ხუთწლედის განმავლობაში პარტიამ მოახერხა გადაწყვეტა პროლეტარული რევოლუციის ყველაზე უფრო ძნელი ამოცანა—მრავალმილიონიანი გლეხური მასების სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყენის და გარდაქმნის ამოცანა. 224.000 ათას კოლმეურნეობაში, რომელიც შეიქმნა 1928-დან 1933 წლამდე, გაერთიანებულა 15.200 ათასი მეურნეობა, ეს შეადგენს ყველა გლეხური მეურნეობის 65%-ს. კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს კავშირის მთელი ხორბლულის სათესი სივრცისა უჭირავთ 84,5%. 1933 წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მილიარდ ფუთზე მეტი პური ჩააბარეს, ერთპიროვნულმა გლეხებმა კი—130 მილიონ ფუთამდე. ეს ციფრები მოწმობს, რომ კოლმეურნეობები სოფლის მეურნეობების გაბატონებულ ძალად გადაიქცა. ინდუსტრიალიზაციის, საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებას და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას ის მოჰყვა, რომ სოციალისტური სექტორი საბჭოთა კავშირის მთელ სახალხო მეურნეობაში გაბატონდა. სოციალისტური მშენებლობის წარმატებას შედეგად ს.ს.რ.კ.-ს კლასების თანაფარდობის შეცვლა მოჰყვა. ლენინის მიერ დაყენებული საკითხი „ვინ-ვის“ საბოლოოდ და უდავოდ გადაწყვეტილია სოციალიზმის სასარგებლოდ. საკოლმეურნეო წყობის განმტკიცების საფუძველზე საკოლმეურნეო გლეხობა მტკიცე და საიმედო მოკავშირე გახდა მუშათა კლასისა სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. ძირითადად კულაკობა, როგორც კლასი, მოსპობილია, გლეხების ძირითადი მასები სოციალიზმის გზას დაადგინენ, ამით აშორებულა საბრთხე განხეთქილებისა მუშებსა და გლეხებს შორის და საბრთხე კაპიტალიზმის რესტავრაციისა სახელმწიფოს შიგნით. საბოლოოდ დამსხვრეულა და მტვრად იქცა ტროცკისტულ-მენშევიკური კონტრრევოლუციონური თეორიები ს.ს.რ.კ.-ში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ. სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა ფაქტებით პრაქტიკულად დამტკიცებულია სისწორე ლენინურ-სტალინური თეორიისა ერთს ცალკეულ ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ. „ფაქტე-სი დადადებს, რომ ჩვენი საბჭოთა გლეხობა საბოლოოდ ჩამოსცილდა კაპიტალიზმს და მუშათა კლასთან ერთად წავიდა წინ—სოციალიზმისაკენ; ფაქტები დადადებს, რომ ბ.ს.რ.კ.-ში ჩვენ უკვე ავაშენეთ სოციალისტური საზოგადოების საძირკველი და ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ დავაგვირ-

გვინოთ იგი ზედნაშენებით, — ეს საქმე, რასაკვირველია, უფრო ადვილია, ვიდრე სოციალისტური საზოგადოებებს საძირკვლის აშენება (სტალინი).

ამ გამარჯვებათა საფუძველზე მეორე ხუთწლედში პარტიის დასახული აქვს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გიგანტური პროგრამა. მეორე ხუთწლედის დასაწყისში შემდეგი ძირითადი ამოცანების განხორციელებას — ლიკვიდაცია კაპიტალისტური ელემენტებისა და კლასებისა საზოგადოდ გლენურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის სრული დამთავრების და ყველა შინამრეწველის კოოპერატიულად გაერთიანების საფუძველზე, ლიკვიდაცია კერძო საკუთრებისა წარმოების საშუალებებზე და დამყარება წარმოების სოციალისტური წესისა, როგორც წარმოების ერთადერთი წესისა; დამთავრება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქციისა; სწრაფი ზრდა მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური და კულტურული დონისა, მშრომელთა სამომხმარებლო დონის ზრდა $2\frac{1}{2}$ —3-ჯერ; ყოველნაირად განმტკიცება პროლეტარული დიქტატურისა გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის საფუძველზე, კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ხალხის შეგნებაში, ყველა მშრომელის გადაქცევა ახალი უკლასო საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლად.

ს.ს.რ.კ-მა გიგანტურ წარმატებებს მიაღწია საქ.კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობით გაშმაგებული და მკაცრი კლასობრივი ბრძოლის მიმდინარეობის დროს, კლასობრივი მტრის და პარტიის შიგნით მისი აგენტურის — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისმის — განადგურების და დაძლევის საფუძველზე. პარტიამ თავის ძლევამოსილ გზაზე გენიალური ბელადის ანბ. სტალინის მეთაურობით განადგურა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი, რომელიც ცდილობდა პარტია სოციალიზმის მშენებლობის ლენინის გზიდან გადაეგდო. მან დაამსხვრია და განადგურა მემარჯვენე-ოპორტუნისტული პოზიცია, რომელსაც მეთაურობდნენ ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი, რომელიც მოითხოვდა უარი გვეთქვა ინდუსტრიალიზაციაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე, კულაკისა და მემარჯვენე და „მემარცხენე“ უკლონისტების კავშირის ნიადაგზე აღმოცენებულ სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკისათვის შეტევის პოლიტიკაზე. პარტიამ დაიცვა ლენინ-სტალინის თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მობილიზაცია გაუკეთა მუშებისა და გლეხების ფართო მასებს და ისინი გაშლილ სოციალისტურ შეტევაზე წაიყვანა. პარტიის გამარჯვებები, მთელი მისი ბრძოლა ლენინის სიკვდილის შემდეგ, დაკავშირებულია ლენინის ერთგული მოწაფის და მისი თანამებრძოლის ანბ. სტალინის სახელთან.

ანბ. სტალინის გენერალური ხელმძღვანელობით, — რომელიც ბრძოლისა და მშენებლობის ყველა ეტაპზე იმუშავებდა ხელმძღვანელ ხაზს და გადაშლიდა ხოლმე პროლეტარულ რევოლუციის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, რომელმაც დაიცვა და განავითარა მარქს-ლენინის მოძღვრება შესახებ პროლეტარული დიქტატურის, თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა, თეორია სოციალისტური მშენებლობის გზებისა და მეთოდებისა, თეორია

კლასობრივი ბრძოლისა, პარტიამ არა მარტო შეიმუშავა სოციალისტური მშენებლობის გენიალური ხაზი, არამედ ორგანიზაციული მეთოდებით, თავისი კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობით უზრუნველცხოვრებულ პოლიტიკური ამოცანების და ლოზუნგების შესრულება, გამარჯვებულ სოციალიზმისა.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-7 ყრილობა პირველად შეიკრიბა სამხარეო კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის შემდეგ. მან შეაჯამა საქ.კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შესრულება, რომელშიც მოცემული იყო ამომწურავი შეფასება და დაგეგმვა გლეხთა საკითხში, ეროვნული პოლიტიკის გატარებასა და შინაპარტიულ მუშაობაში ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომებისა. ამ დადგენილების შემდეგ საქ.კ.პ.(ბ) ა/კ სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობამ ამხ. ბერიას მეთაურობით არა მარტო გააანალიზა საქ.კ.პ.(ბ) ცეკას დადგენილებაში აღნიშნული ძველი ხელმძღვანელობის უხეში პოლიტიკური შეცდომები, არამედ გაშალა კიდევ დიდი პოლიტიკური სამეურნეო მუშაობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც საქ.კ.პ.(ბ) ცეკამ და პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა დააყენეს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის წინაშე. ამხ. ბერიამ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მე-7 ყრილობაზე დიდებული სურათი გადაშალა ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებისა ამიერ-კავკასიაში, განიხილა ა/კ ფედერაციის ზრდის და განმტკიცების ეტაპები. ამიერ კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ გაიარა ბრწყინვალე გზა დაწესებულების, მენშევიკების და მუსავატელების ბურჟუაზიულ-ეროვნულ კონტრ-რევოლუციონურ პარტიებთან ბრძოლისა და მათი განადგურებისა, გზა ნაციონალ-უკლონიზმის განადგურებისა და დაძლევისა. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების რიგებში. საქ. კ.პ.(ბ) ცეკას და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, ს. ორჯონიკიძის მეთაურობით, პოლიტიკურად განამტკიცეს ა/კ. ფედერაცია და შეუქმნეს მას ყველა პირობა შემდგომი სამეურნეო განმტკიცებისათვის. საქ.კ.პ.(ბ) ცეკამ 1929 წ. ა/კ. პარტიულ ორგანიზაციების წინაშე დააყენა ამოცანა ა/კ. ფედერაციის სამეურნეო ბაზის განმტკიცებისა, რომ ა/კ. ფედერაციის ორგანოებს ყველა ძალღონე ეხმარათ ეროვნულ რესპუბლიკებში სამეურნეო სოციალისტური მშენებლობისა, მათი ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის ტექნიკური სოციალური გარდაქმნისათვის და ერთდროულად გაეშალათ ფართო თვითმოქმედება და სამეურნეო ინიციატივა ა/კ. ფედერაციაში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებისა. ა/კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობამ ამხ. ქართველიშვილის მეთაურობით ვერ შესძლო საქ.კ.პ.(ბ) ცეკას ამ დირექტივის შესრულება, მან დაუშვა ბიუროკრატიული ცენტრალიზაცია მხარის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, მოუსპო რესპუბლიკას საჭირო თვითმოქმედებები და ინიციატივა მის წინაშე მდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, გააუპიროვნა რესპუბლიკების ცეკა და სახკომსაბჭოები. ა/კ. სამხარეო კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ და საქართველოს ცეკამ 30 და 31 წლებში დაუშვა უხეში დამახინჯებანი და გადაბრები გლეხთა საკითხში. ეს იმაში გამოიხატა, რომ ისინი კოლექტივიზაციის გაზვიადებულ ციფრებს გამოიყიდნენ და გლეხთა ღარიბ-საშუალო მასე-

ბის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შესცვალეს ცარიელი ადმინისტრირებით ზევიდან. „პოლიტიკური შეცდომების მთელმა რიგმა, რომლებშიაც უმნიშვნელოვანესი იყო შეცდომა გლეხურ-სახელოსანთა ში, შეარყია პოლიტიკური მდგომარეობა სოფელში და მოიწვია ღარიბ და საშუალო ფენებზე ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის გამოცოცხლება“ (ამხ. ბერია).

ყოველივე ამის გამო 31 წლის საშემოდგომო თესვა ჩაიშალა და ძირითადი ხორბლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობამაც დაიწია. ეს იმიტომ მოხდა, რომ სათესი ფართობის გადიდების დევნაში მხედველობიდან უშვებდნენ მუშაობის ხარისხს. საქ.კ.პ.(ბ) ცეკას მითითებათა საფუძველზე ა/კ. პარტორგანიზაციამ საქ.კ.პ.(ბ) ა/კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით სწრაფად გამოასწორა ის პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო საკოლმეურნეო მშენებლობის დარგსა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში, და გადაწყვეტი ლახვარი ჩასცა კლასობრივ მტერს, რომელმაც შესძლო გამოცოცხლება თავისი კონტრ-რევოლუციონური მუშაობისა. საქ.კ.პ.(ბ) ა/კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკას ხელმძღვანელობით ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით ლიკვიდაცია მოხდა გადახრებისა სოფელში, მოისპო ზედმეტი ცენტრალიზაცია ა/კ. ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, უზრუნველყოფილია ა/კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედება და სამეურნეო ინიციატივა, მიღწეულია მხარის ინდუსტრიალიზაციის გაშლა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება, განმტკიცება პროლეტარიატის დიქტატურისა და ზრდა და განმტკიცება პარტიის ავტორიტეტისა გლეხობის მრავალმილიონიან მასებში.

„საქ.კ.პ.(ბ) ცეკას დირექტივების და ჩვენი პარტიის ბელადის მითითებათა რეალიზაციისათვის ორი წლის მდგარი ბოლშევიკური ბრძოლის შედეგად ჩვენ პოლიტიკურად და მეურნეობის მხრივ განვამტკიცეთ ა/კ. ფედერაცია, და ერთდროულად არა თუ არ დავასაქურისეთ რესპუბლიკებში მუშაობის შინაარსი, არამედ შევქმენით ყველა საქირო პირობა მათში ფართო ინიციატივისა და შემოქმედებითი მუშაობისათვის“ (ამხ. ლ. ბერია).

ა/კ. ს. შ. ს. რ-ს და სპარტაველოს ინდუსტრიალიზაცია.

საქ.კ.პ.(ბ) ცეკამ 31 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში შემდეგი მითითება მოგვცა: „ცეკას მიიჩნია, რომ ამიერ-კავკასიის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნავთის ამოღების და გადამამუშავების განვითარებას აზერბეიჯანში, დაჩქარდეს ნავთის მრეწველობის ორგანიზაცია საქართველოში ახლად აღმოჩენილ საბადოებზე, ნახშირის და ფერადი ლითონების (პირველ რიგში სპილენძის და ალუმინის) ამოღებას, პიძრო-

ელექტრომშენებლობის შემდგომი განვითარება. მუშაობებისა და მებარეშუმეობის გაფართოება დაქამბაზაზე აფექრო მრეწველობის განვითარება“.

ქვემოთაღნიშნული

უქანასკნელი წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგებისა, ამუშავდა მძიმე, მსუბუქი და საკვების მრეწველობის ახალ წამოწყებათა ათეულები. პირველ ხუთწლედში 5 სახკომატის მიერ მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალი 1.020 მილ. მანეთს შეადგენდა. აქედან მძიმე მრეწველობაში—870 მილ., ნავთის მრეწველობაში—676 მილ. მანეთი. ამიერ-კავკასიის მრეწველობის მთელი პროდუქცია გაიზარდა 791 მილ. მანეთიდან 30 წელს 1.542 მილ. მანეთამდე 33 წელს. საქართველოს მრეწველობაში დაბანდება 1928 წლიდან 31 წლამდე შეადგენდა 205 მილ. მანეთს, ხოლო 31 წლიდან 33 წლამდე დაბანდება მრეწველობასა და ელექტროფიკაციაში შეადგენდა 257.700 ათას მანეთს. დიდი მიღწევები აქვს აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობას 1933 წელს. ნავთის ამოღების გეგმა 1933 წელს აზნავთმა 14.400 ტონა ნავთის რაოდენობით შეასრულა. გარდა ამისა დამატებით პარტიის დავალებით ამოიღო 500 ათასი ტონა, მძიმე მრეწველობის სახკომისარიატის დავალებით—384 ათასი ტონა, რაც შეადგენს 15.325.500 ტონას ანუ 100,03%-ს. ნავთის გადამამუშავების გეგმის შესრულება აღწევს 12.366 ათას ტონას, ანუ გეგმის 105,7%-ს.

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის განხორციელების ტემპები კავშირის საშუალო მაჩვენებლებს აღემატება. ელექტროსადგურების სიმძლავრე 118.000 კვტ.-დან 28 წელს გაიზარდა 291 კვტ.-დე 33 წელს. დაიწყო ტყვარჩელის თბოსადგურის მშენებლობა (სიმძლავრე 48 ათასი კვტ.). 1934 წელს დაიწყება მშენებლობა ხრამის ჰიდროცენტრალისა (64 ათასი კვტ.), ტერტერისა (50 ათასი კვტ.), დაჩქარდება კანაკორპის მშენებლობა (88 ათასი კვტ.), დაიწყება მშენებლობა ტფილისის თბოსადგურისა და დასრულდება მშენებლობა ალაზანტისისა, ზაქვისის მეორე წყებისა და სხვ.

ძლიერ გაიზარდა ამიერ-კავკასიის სამთო-სამადნო მრეწველობა. შავიქვის ამოღების გეგმა 1933 წელს 984 ათასი ტონის რაოდენობით 89%-ით შესრულდა, რაც 32 წელთან შედარებით ზრდას იძლევა 35,4%-ით, ტყიბულის ქვანახშირის მალაროებმა მნიშვნელოვან გარდატეხას მიაღწია მუშაობაში. 1932 წელს დღე-ღამის ამოღება ორჯერ გაიზარდა და ძირითადად დააკმაყოფილა ტყიბულის ქვანახშირის ყველა მომხმარებელი. გუმბრინის ამოღების გეგმა შესრულებულია 23%-ის გადაჭარბებით—ამოღებულია 32 ათას ტონაზე მეტი გუმბრინი. ტყვარჩელის ქვანახშირის მალაროები 1934 წელს ნაწილობრივ შევა ექსპლოატაციაში და 1934 წელს უნდა უზრუნველყონ 175 ათასი ტონა ქვანახშირის ამოღება და სხვ.; ფართოდ იშლება ქიმიური მრეწველობის მშენებლობა ამიერკავკასიაში. სამი წლის განმავლობაში დაიწყო მშენებლობა და შენდება ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა, კარაკლისის ქიმიური კომბინატი, ალავერდის შაბიანის ქარხანა, ჩირაგიძორის გოგირდის კოლჩადანი, ბაქოს გოგირდმკვავის ქარხანა. საგრძობლად იზრდება მსუბუქი და გემო-კვების მრეწველობა. განზრახულია ძლიერ გაიზალოს მსუბუქი და გემო-კვების ინდუსტრიის 1934 წლის გეგმა. კა-

პიტალის დაბანდება მსუბუქ მრეწველობაში შეადგენს 40 მილ. მანეთს/წინააღმდეგ 19 მილ. მანეთისა 1933 წელს, და გემო-კვებისა—40.600 ათას მან.

საქართველოში 32—33 წლების განმავლობაში ექსპლუატაციულად მთელი რიგი მსხვილი ქაოხნებისა, ფაბრიკებისა და ჰიდროსადგურებისა—რიონჰესი, ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა, ნავთის საბურღი მოწყობილობის ქარხანა, კირის და აგურის რამდენიმე მსხვილი ქარხანა, აგარის შაქრის ქარხანა, ქუთაისის საკონსერვო ქარხანა, ჩაის ექვსი ქარხანა (500 ათასი კილოგრამის სიმძლავრით), სამკერვალო ფაბრიკა ბათუმში. შენდება ზაპესის მეორე წყება, ტყვარჩელის თბოსადგური, აჭქესი, სოხუმჰესი და ალაზანჰესი. საქნავთის შირაქისა და შირზაანის სარეწაობი, ფოლად-თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა ავჭალაში, ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხანა ჩაის მოწყობილობისათვის, ავტოსარემონტო ქარხანა ტფილისში, ლიტოპონის ქარხანა, ფეს-საცმელის ქარხანა ტფილისში, ქუთაისის აბრეშუმის საქსოვი კომბინატი, ენგურისა და ტფილისის ქალაქის ქარხნები, ჩაის ოთხი ქარხანა და სხვ. მრეწველობის ზრდის შედეგად შეიცვალა მხარის ეკონომიკა. მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა ა/კ. სფსრ-ს მთელ სახალხო მეურნეობაში 33 წელს 73⁰/₁₀₀-ს შეადგენს, სოფლის მეურნეობისა კი—27⁰/₁₀₀-ს. საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1933 წელს მრეწველობის ხვედრითი წონა 59,8⁰/₁₀₀-ს შეადგენს, სოფლის მეურნეობისა კი—40,2⁰/₁₀₀-ს.

ამგვარად ამიერ-კავკასიისა და საქართველოში, მეფის ყოფილ კოლონიაში, რომელიც ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, მრეწველობამ გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა, ამიერ-კავკასია (და საქართველოც) აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გარდაიქცა. ინდუსტრიალიზაციის ეს წარმატებანი, რომლებსაც ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკამ მიიღწია, უდიდესი გამარჯვებაა ლენინ-სტალინის ეროვნული პოლიტიკისა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წინაშე ინდუსტრიალიზაციის ზრდის უდიდეს პერსპექტივებს შლის მეორე ხელწილადი. სამრეწველო მშენებლობის და სამრეწველო პროდუქციის ზრდის შემდგომი დიდი დაწინაურება დაპროექტებულია 1934 წლისათვის. ამიერ-კავკასიის მრეწველობაში 34 წელს დაბანდებული იქნება 600 მილ. მანეთზე მეტი. მრეწველობის პროდუქციის ზრდა 34 წელს გათვალისწინებულია 1800 მილ. მანეთით, ანუ 24⁰/₁₀₀-ით უფრო მეტი ვიდრე 1933 წელს იყო. 1934 წელს საქართველოში კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობასა და ელექტროფიკაციაზე 218 მილ. მან. (ზრდა 60⁰/₁₀₀-ით) აღწევს, პროდუქციის ზრდა დაპროექტებულია 28⁰/₁₀₀-ით.

ჩვენი მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების და ახალი სამრეწველო მშენებლობის დარგში 1934 წელს მნიშვნელოვანი ამოცანებია წამოყენებული. ამიერ-კავკასიაში მრეწველობამ შრომის ნაყოფიერება 15⁰/₁₀₀-ით უნდა ასწიოს, თვითღირებულება კი 4—5⁰/₁₀₀-ით უნდა შემცირდეს.

ეს ამოცანა მით უფრო აქტუალურია მრეწველობის მუშაობის დარგში, რომ 1933 წელს ჩვენმა მრეწველობამ არამც თუ ვერ შეასრულა თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა, არამედ, პირიქით, მრავალმა დარგმა შემცირების ნაკლად გადიდებაც კი მოგვცა. მრეწ-

ველობის მუშაობის ამ ნაკლებობათა ძირითადი მიზეზებია — სუსტი პრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, შრომისა და ხელფასის ცუდი ორგანიზაცია, წარმოების არადამაკმაყოფილებელი საორგანიზაციო სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა. ჩვენი მრეწველობის მრავალმა დარგმა და წარმოებამ არ შეასრულა ამხ. სტალინის 6 ისტორიული პირობა მრეწველობის მუშაობის შესახებ, არ გამოიტანეს ყველა პრაქტიკული დასკვნა ამხ. სტალინის ლოზუნგიდან იმის შესახებ, რომ მშენებლობის პათოსი შეეცნოთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის ათვისების პათოსით.

ა/კ. პარტორგანიზაციების და საქართველოს კომპარტიის ყრილობებმა ყველა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციას სრული გამართლება მოსთხოვეს 1934 წლის მრეწველობის პროგრამისა. ყრილობებმა უწინარეს ყოვლისა მოითხოვეს ხელმძღვანელობის კანცენალურ-ბიუროკრატიული მეთოდების ლიკვიდაცია, დამყარება ყოველდღიური კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობისა ყოველ წარმოებაზე პარტიული ორგანიზაციების და მრეწველობის ორგანოების მხრით, სწორი ორგანიზაცია მუშათა მასის შრომისა, ხელფასისა, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების სახფუძველზე, ნამდვილი განმტკიცება საწარმოო დისციპლინისა, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ახალი ფორმების განვითარება და ნამდვილი შემცირება თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების აწევა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეორგანიზაცია

ინდუსტრიალიზაციის დარგში მიღწეული წარმატებების, გლებთა საკითხში ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების, საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წლის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური შესრულების საფუძველზე ა/კ. პარტორგანიზაციამ საკ. კ.პ.(ბ) სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გადაწყვეტ წარმატებას მიაღწია სოფლის მეურნეობის დაწინაურებასა და გარდაქმნაში. სოფლის მეურნეობაში 1933 წელს სათესმა სივრცემ 2.386 ათას ჰექტ. მიაღწია. ამ რიცხვიდან სოც. სექტორზე მოდიოდა 1.115.400 ჰექტ. ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციას დიდი მიღწევები აქვს ტექნიკური და სპეციალური კულტურებისათვის ბრძოლაში. საკ.კ.პ.(ბ) ცეკას დირექტორია, რომ ამიერკავკასია საბჭოთა კავშირის ბამბის მეორე ბაზად გადაგვიტყია, წარმატებით არის შესრულებული. ამიერ-კავკასია, კერძოდ აზერბაიჯანი, — უკვე გადაიქცა საბჭოთა კავშირის ბამბის მეორე ბაზად. 1933 წელს ბამბის ნათესმა მიაღწია 235 ათას ჰექტ., რომელზედაც უკვე აკრეფილია 147.477 ტონაზე მეტი ბამბა, ანუ გეგმის 100,1%/. საკ.კ.პ.(ბ) ცეკას მეორე უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოფლის მეურნეობაში, რათა მეორე ხუთწლიელში ძირითადად დაკმაყოფილდეს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაიზე, წარმატებით ასრულებს საქართველოს კომპარტია. 1933 წლის შემოდგომაზე ჩაის ფართობმა 33.325 ჰექტ. მიაღწია, აქედან საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა 8.711 ჰექტ., კოლმეურნეობებზე 20.590 ჰექტ. და ინდივიდუალურ მეურნეობებზე — 4,024 ჰექტ. საშუალო მოსავლიანობა გაიზარდა 800 კილგ-დე ჰექტარზე — წინააღმდეგ 701 კლგ. 1932 წელს. საქართველოს ბევრ რაიონში ჩაი წამყვან კულტურად გადაიქცა და

შან საგრძნობლად გააუმჯობესა საკოლმეურნეო მასების კეთილდღეობა, ამ წარმატებებით იწყება სსრკ.-ს დამოუკიდებლობა ჩაის მხრივ. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს კომპარტიამ განსაკუთრებულ ყურადღება მიაქცია ციტრუსების მეურნეობის განვითარებას და ჩვენი სოფლის მეურნეობის ამ უძვირფასესი დარგის დასაწინაურებლად ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა გაშალა. ამჟამად გვაქვს 100 ჰექ. ლიმონის პლანტაციისა, 2.780 ჰექ. მანდარინისა და 70 ჰექ. ფორთოხალის ძველი ნარგავებისა. 32—33 წლებში 344.659 მანდარინის ნერგი დაირგო, ანუ 595,7 ჰექ., 19.912 ლიმონის ნერგი, ანუ 39,8 ჰექ., და 6.113 ფორთოხალის ნერგი, ანუ 12,2 ჰექ. ყველა ამ ძველ და ახალ ნარგავებს სათანადო მოვლისას შეუძლიათ მოგვეცეს—და უნდა მოგვეცეს კიდევ—უახლოეს წლებში 500 მილ. ცალი მანდარინი წლიურად.

ამიერ-კავკასიამ და კერძოდ საქართველომ, ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მეთამბაქოობის დარგში. არ შეიძლება არ მოვიგონოთ, რომ მეთამბაქოობა, როგორც სხვა ტექნიკური კულტურებიც (ჩაი, მევენახეობა, მეებრემლეობა და სხვა) საკ.კ.პ. (ბ) ცუკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამდე მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ა/კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ცუკას მაშინდელი ხელმძღვანელობის არასწორი პოლიტიკის გამო მეთამბაქოობა დაქვეითდა, მოსავლიანობა, ხარისხიანობა და თამბაქოს მთელი გამოსავალი კატასტროფიულად ეცეზოდა, დასამზადებელი ფასების სიმცირის არასაკმარისი დასაქონლების გამო. 1933 წელს თამბაქოს პლანტაციების სივრცემ 24.400 ჰექ. მიაღწია, აქედან საქართველოში იყო 18.800 ჰექ., თამბაქოს მთელმა მოსავალმა 11 ათასი ტონიდან 1931 წელს აიწია 14.500 ტონამდე 1934 წ. დიდი გარდატეხა მოხდა მევენახეობის განვითარებაში საკ.კ.პ.(ბ) ცუკას მითითების შემდეგ; მათს საფუძველზე გაიზარდა ფასები, შემოღებულ იქნა დასაქონლება და საგრძნობლად გაუმჯობესდა კონტრაქტაციის პირობები. ამან შესამჩნევად შეუწყო ხელი მევენახეობის განვითარებას. ა/კ. სფსრ-ში 1931 წელს ვენახების სივრცე შეადგენდა 72.400 ჰექ. ამ რიცხვიდან აზერბაიჯანზე მოდიოდა 31.200 ჰექ., სომხეთზე—11.800 ჰექ. და საქართველოზე 39.400 ჰექ., რაც 1931 წელთან შედარებით შეადგენს 4.500 ჰექ. ნამატს. დიდი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის აწვევის მხრივ. ზორბლევული კულტურების მოსავლიანობამ 7,6 ცენტნიერიდან ჰექტარზე 1931 წელს აიწია 9 ცენტნერამდე 1933 წელს. ბამბის მოსავალმა 7,5 ცენტ. 1930 წელს აიწია 6,7 ცენტ. 1933 წელს თამბაქოს მოსავალმა 5,4 ცენტ. 1931 წელს აიწია 6,8 ცენტნერამდე 1933 წელს.

საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ა/კ. სფსრ-ში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი 6-დან 1931 წელს გაიზარდა 67-დემდე 1933 წელს. საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი 7-დან 1931 წელს გაიზარდა 31-დემდე 1933 წელს, სატრაქტორო პარკით 707 ერთ. სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაბანდების საერთო მოცულობა პირველ ხუთწლეულში ა/კ. სფსრ-ში შეადგენდა 447 მილ. მანეთს 1931 წელს, 1933 წელს კი—138,300 ათას მან. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი კაპიტალია

დაბანდებული. მხოლოდ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში (32—33 წ.) სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია 185 მილ. მან. მეტი.

უკანასკნელ წლებში დიდი მიღწევები გვაქვს კოლმეურნეობაში, საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური გამტკიცების საქმეში. კოლმეურნეობათა რიცხვი 7.120-დან 1931 წელს გაიზარდა 8.101-დე 1933 წელს. მეურნეობათა რიცხვი მათში 335.373-დან გაიზარდა 420.818-დე, რაც შეადგენს ა/კ. სფსრ-ში ყველა გლეხური მეურნეობის 41,2%-ს. უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა წამყვანი როლი ტექნიკური კულტურების წარმოებაში—ბამბა, ჩაი, თამბაქო. ბამბის რაიონებში კოლექტივიზაციის პროცენტმა 1933 წელს მიაღწია 64%-ს, ჩაის რაიონებში—68%-ს, საშაქრე კარხლის რაიონებში—40,9%-ს. თამბაქოს რაიონებში—45,3%-ს უაფხაზეთოდ და სხვ.

კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული განმტკიცების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა და ცალკე კოლმეურნეების შემოსავალი. თითქმის ყოველ კოლმეურნეობაში ჩვენ გვაქვს დიდი ზრდა კოლმეურნის შრომა-დღის შემოსავლისა, განსაკუთრებით ჩაის, ციტრუსების და მევენახეობის რაიონებში. ანხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე მრავალი მაგალითი მოიყვანა კოლმეურნეობათა და ცალკე კოლმეურნეების შემოსავლის ზრდისა როგორც ხორბლეულის, ისე განსაკუთრებით სპეციალური და ტექნიკური კულტურების რაიონებში. ჩვენ ასობით, გვაქვს კოლმეურნეობა და ათასობით გვყავს კოლმეურნეები, რომლებიც გამდიდრების გზაზე დადგნენ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ უკვე გადადგმულია პირველი სერიოზული ნაბიჯები ყველა კოლმეურნის შეძლებულად გახდომის და კოლმეურნეობათა გაბოლშევიკებისაკენ. საკოლმეურნეო მშენებლობაში ეს წარმატებანი მიღწეულია გაფართოებული კლასობრივი ბრძოლის კულაკური საბოტაჟის და მივნებლობის განადგურების საფუძველზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარეს კულაკობისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან კოლმეურნეობათა გასაწმენდად, სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციების გასამტკიცებლად, კოლმეურნეობათა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების გასამტკიცებლად მტკიცე ბოლშევიკური კადრებით მასიური საორგანიზაციო-პოლიტიკური მუშაობის გასაშლელად, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისათვის სწორე პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევას.

კოლმეურნეობათათვის პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილებებმა, რომლებმაც შესძლეს სარაიონო პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მოკლე ხნის განმავლობაში უზრუნველყოთ შრომის სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა კოლმეურნეთა შორის, აემიღლებინათ კომუნისტების საავანგარდო როლი წარმოებაში, გაეშალათ ბრძოლა ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტების წინააღმდეგ, შეექმნათ და მოეწყოთ ფართო საკოლმეურნეო აქტივი სამეურნეო გეგმებისათვის ბრძოლაში. ჩვენმა კოლმეურნეობებმა ამ წელს ერთპიროვნულ გლეხებს საქმით დაუმტკიცეს კოლმეურნული წარმოე-

ბის უპირატესობა. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობათა ძალი საღი ზრდა მივიღეთ. 1933 წელს ათი თვის განმავლობაში საქართველოს კოლმეურნეობებში შევიდა 20.328 მეურნეობა. ამგვარად შექმნილია საქართველოს მშენებლობის შემდგომი განვითარების ბაზა და მტკიცე წინაპირობა. საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდამ და განმტკიცებამ, კოლმეურნეთა დოვლათიანობის ზრდამ უზრუნველჰყვეს ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სოფლის სოციალურ-ეურნეობის ლიანდაგზე გადასვლა, საკოლმეურნეობო მშენებლობის გამარჯვება ა/კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკებში. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კოლმეურნეობათა შემდგომ საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას, შევამჭიდროოთ ხალხის მთელი ის ფართო საკოლმეურნეო აქტივი, რომელიც წამოიხარდა პარტიის ირგვლივ $1\frac{1}{2}$ —2 უკანასკნელი წლის განმავლობაში ბოლშევიკურ კოლმეურნეობათათვის ბრძოლაში, აღეზარდოთ და მოვამზადოთ მათი წრიდან ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშენებელთა ახალი ათასები—ი მთავარი ამოცანა საქართველოს ბოლშევიკებისა. ამ ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ჩვენ შედარებით მოკლე ხანში მივალწევთ საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლას (ამხ. ლ. ბერია). ა/კ. სფსრ-ს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდ წარმატებათა და სოფელში საკოლმეურნეო წყობის გამარჯვების მაჩვენებელია წარმატებით შესრულება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ვალდებულებათა კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულებების მიერ. ხორბლეულის დამზადების გეგმა ა/კ. სფსრ-ს ყველა რესპუბლიკის მიერ შესრულებულია ვადაზე ადრე 1933 წლის 10 სექტემბრისათვის. ბამბის დამზადების გეგმა შესრულებულია/147.477 ტონის რაოდენობით, ე.ი. გეგმის 100,1%-ით. ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია 3,165 ათასი კვ. რაოდენობით, ანუ გეგმის 105,5%-ით. მანდარინების გეგმა შესრულებულია 83.240 ათასი ცალის რაოდენობით ე. ი. 111%-ით, რძის პროდუქტების ჩაბარების გეგმა შესრულებულია 109%-ით. ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია, 106,2%-ით, თამბაქოს დამზადების გეგმა საქართველოში შესრულებულია 105,6%-ით, სომხეთში კი—100%-ით.

დიდი ამოცანები დგება პარტორგანიზაციების წინაშე საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის პერიოდში 1934 წელს, რომელშიც უნდა განამტკიცოს წინააღმდეგობის წარმატებანი და უზრუნველჰყოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დაწინაურება. 1934 წელს ჩვენ გაშლილი პარტიულ მასიური და ორგანიზატორული მუშაობის და თესვის კამპანიის ყველა უბანზე ყოველდღიური კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის საფუძველზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულთა ფართო მასების ორგანიზაციის გზით უნდა უზრუნველყავთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გეგმის მთლიანი შესრულება. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანების წარმატებით შესრულება უწინარეს ყოვლისა მოითხოვს კლასობრივი ბრძოლის უნარიანობის და პარტიული ორგანიზაციების სიფიზლის შემდგომ აწევას, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელებისა—წინააღმდეგ კულაკობისა და,

ანტისაბჭოროთა ელემენტებისა, კულაკობისა და ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ განვითარებას თავის დროზე მხილვას და განადგურებას კლასობრივი მტრისა, რომელიც იყენებს „ჩვენს კლასს“ ტაქტიკას და მალულად მოქმედებს პროლეტარული დიქტატურის და საკომუნისტურ წყობის წინააღმდეგ.

„1934 წელს ჩვენ უნდა მივალწიოთ ახალს უფრო დიდს წარმატებებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში. 1934 წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმოადგენს:

1. დათესვა 1.413.800 ჰექტ. სივრცისა, ამ რიცხვში 216.150 ჰექტ. ბამბა, 935.550 ჰექტ. ხორბლეული და 264.000 ჰექტ. სხვა კულტურები.

2. ჩაიყაროს 500 ჰექტ. ციტრუსები, 1.295 ჰექტ. ჩაის ბუჩქი და 3.180 ჰექტ. ხილეული კულტურები.

3. ათვისებულ იქნას 1934 წელს სოფლის მეურნეობაში 188,5 მილ. მანეთის დაბანდება“ (ამხ. ლ. ბერია).

მარკსულ-ლენინური მშენებლობა.

ინდუსტრიალიზაციის წარმატების, სოფლის მეურნეობის სოც. რეკონსტრუქციის და მშრომელთა ნივთიერი კეთილდღეობის უწყვეტი ზრდის ნიადაგზე ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ამიერ-კავკასიის ხალხთა ეროვნულ-კულტურულ მშენებლობაში—ფორმით ეროვნულისა და შინაარსით სოციალისტურის—უდიდეს განვითარებას და აყვავებას მიაღწიეს.

1933 წელს ა/კ. სფსრ-ს ყველა რესპუბლიკაში ძირითადად დამთავრებულია საყოველთაო სწავლება. დაწყებითი და საშუალო სკოლის მოწაფეთა რიცხვი 565.244-დან 1929 წ. გაიზარდა 1,291.222-დგ 1933 წელს. უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა დაწყებითი და საშუალო სკოლის სასწავლო მუშაობის ხარისხი,— შედეგად მიღწეული წარმატებებისა დაწყებით და საშუალო სკოლის შესახებ საკ.კ.პ.(ბ) ცუკას ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში. მაგრამ ჩვენი სკოლის მუშაობის ხარისხი დაბალ დონეზე იმყოფება და არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც პარტიამ დაუყენა სკოლას სოციალიზმის გამარჯვების და უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. ამასთან დაკავშირებით ამხ. ბერიამ თავის საანგარიშო მოხსენებებში პარტიის ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყრილობებზე ყურადღება გაამახვილა სკოლაზე პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანებზე. ჩვენმა პარტიამ განიხილა ცუკას სკოლას უნდა უხელმძღვანელონ ისე კონკრეტულად და ოპერატიულად, როგორც ისინი ამას ახორციელებენ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა სამეურნეო უბანზე“ (ამხ. ლ. ბერია).

დიდი მიღწევები გვაქვს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში უმაღლესი განათლების განვითარების მხრივ. 1933 წელს არსებობს 45 უმაღლესი და უმაღლეს-ტექნიკური სასწავლებელი. სტუდენტების რიცხვი 31.225 აღწევს. 1933 წელს საქართველოში მოეწყო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვაქვს 11

უმალღესი და უმალღეს-ტექნიკური სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 10.770 სტუდენტი, და 150 სხვადასხვა ტექნიკუმი, რომლებშიც სწავლობს 25,166 მოწიფე. ყოველწლიურად იზრდება ჩვენი უმალღესი ტექნიკური სასწავლებლებიდან გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვი. პირველი ხუთწლედის განმავლობაში ა/კ. სფსრ-ის უმალღესმა და უმალღესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 11.650 სპეციალისტი, 1933 წელს კი—2.500 სპეციალისტი. პირველი ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს უმალღესმა და უმალღესმა ტექნიკურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 6.297 სპეციალისტი. აქედან 2.122 ინჟინერი, 946 აგრარონი, 868 ეკონომისტი, 736 ექიმი, 728 პედაგოგი და სხვა. დიდი მუშაობაა ჩატარებული უმალღესი სკოლის და ტექნიკუმების გარდაქმნის შესახებ საკავშირო ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. ამის შედეგად საგრძობლად ამაღლდა მათი სასწავლო მუშაობის ხარისხი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოდნის მოკლებობა და ხარისხი ჯერ კიდევ საკმაო არ არის, საჭიროა შემდგომი გაძლიერებული ბრძოლა უმალღესი სკოლის და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობის მთელი სისტემის სრული გარდაქმნისათვის.

ამხ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალი სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლების საკითხებს. უმალღესი სკოლის და ტექნიკუმების შემდგომი გარდაქმნის და მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები მან შემდეგნაირად განმარტა: „რომ უზრუნველვეყოთ ახალი სპეციალისტების ხარისხის ამაღლება სოციალისტური მეურნეობის მოთხოვნილების დონემდე, საჭიროა: 1) დამთავრდეს უმალღესი სასწავლებლების და ტექნიკუმების სასწავლო მუშაობის დაწყებული გარდაქმნა, 2) განმტკიცდეს მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა (შენობა, ლაბორატორიები, კაბინეტები, სასწავლო ხელსაწყოები და სახელოსნოები), 3) გაუმჯობესდეს საწარმოო პრაქტიკა, 4) ამაღლდეს მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება სტუდენტებისა (საერთო საცხოვრებლები, მომარაგება და სტიპენდიები), 5) გაძლიერდეს პარტბელმძღვანელობა თითოეულ უმალღეს სასწავლებელსა და ტექნიკუმზე“.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივალწიეთ მასიურ პოლიტანათლების მუშაობის დარგში ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში. წერა-კითხვის მკოდნეობა აზერბაიჯანში 1933 წელს აღწევდა 76%-ს, საქართველოში—87%-ს და სომხეთში—95%-ს. 1934 წელს უნდა მოხდეს სრული ლიკვიტაცია წერა-კითხვის უკოდინარობისა ა/კ. სფს ყველა რესპუბლიკაში. გაიზარდა საკრებულოების, ქობ-სამკითხველოების, ვაზეთების რიცხვი და წიგნის პროდუქცია. 1930 წელს ამიერ-კავკასიაში ჩვენ გვქონდა 49 ვაზეთი 765 ათასი ცალის ტირაჟით, 1933 წ. კი—355 ვაზეთი 1268 ათასი ცალის ტირაჟით. 1933 წელს საქართველოში გამოდიოდა 170 ვაზეთი 541.000 ცალის ტირაჟით. ძირითადად შესრულებულია საე.კ.პ. (ბ) ცეკას ღირებულება ყოველ რაიონში, სამანქანო სატრაქ-

ტორო სადგურების ყველა პოლიტგანყოფილებასა და საბჭოთა მეურნეობებში გაზეთის შექმნის შესახებ.

წიგნის პროდუქცია 13.550 ათასი ეკემპლიარიდან (1930 წელს) გაიზარდა 20.435 ათას ეკემპლიარამდე (1934 წელს). დიდი მიღწევები ხვდებიან გამოცემლობებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამოცემაში ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. გამოცემულია ძირითადი შრომები მარქსისა, ენგელსისა, ლენინისა და სტალინისა. გაშლილია მუშაობა მარქსიზმისა და ლენინიზმის კლასიკოსების წარმოებათა გამოსაცემად მასიური შვითხველისათვის.

დიდი მიღწევები გვაქვს მხატვრული ლიტერატურის და ხელოვნების ფრონტზე. საე.კ.პ. (ბ) ცკკას 23 აპრილის დადგენილებამ სალიტერატურო-მხატვრული ორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ გამოიწვია ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაის დიდი შემოქმედებითი აღმათქმა. ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში შექმნილია მწერალთა ორგანიზაციები, რომლებმაც მოახერხეს ძველი „რაის“ ხელმძღვანელობის შეცდომების ლიკვიდაცია. მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი მასა სოც., სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდ გამარჯვებათა გავლენით პროლეტარიატის მხარეზე მობრუნდა. საქართველოში ორი უკანასკნელი წელიწადი აღნიშნულია საბჭოთა პროლეტარული ლიტერატურის და საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგის დიდი ზრდით. უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში გამოჩნდა მსხვილ წარმოებათა მთელი რიგი: „არსენა მარაბდელი“—მ. ჯავახიშვილისა, „ფერფლი“—ს. კლდიაშვილისა, „პირისპირა“—ა. ქუთათელისა, „ფრცო“—დ. შენგელიასი. და სხვ. იდეურად და მხატვრულად გამართლებული მსხვილი ნაშრომები მოგვცეს პროლეტარულმა მწერლებმა: კ. ლორთქიფანიძემ. („ძირს სიმინდის რესპუბლიკა“), პ. ჩხიკვაძემ. („ნაბიჯები“), პ. საყვარელიძემ („ქვა და რკინა“) და სხვ.

დიდი მიღწევები გვაქვს კინო-თეატრების და სახვითი ხელოვნების დარგში. 1933 წელს გეჭონდა 25 სახელმწიფო და სარაიონო თეატრი, 459 კინო-თეატრი და კინო-გამართულობა. უკანასკნელ წლებში მრავალი საუცხოვო რევოლუციონური დადგმა მოგვცა ჩვენმა სახელმწიფო თეატრებმა (რუსთაველის სახ. თეატრი, მარჯანიშვილის სახ. თეატრი, სომხების სახ. თეატრი და სხვა). გაჩნდა ჩვენი მხატვრების მრავალი სურათი, რომელზედაც ასახულია სოც. მშენებლობის აქტუალური თემატიკა. გაიზარდა კომპოზიტორების ახალი ვადრი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ საბჭოთა ოპერის შექმნაზე (ტუსკია, კილაძე, გოციელი და სხვ.). მიუხედავად საერთო იდეურ-მხატვრული აღმათქმისა მხატვრული ინტელიგენციის ერთ ნაწილში არის ცდები ჩვენთვის მტრული ბურჟუაზიულ-ნაციონალური იდეოლოგიის პროპაგანდისა და აგრეთვე დაჯგუფების ნაშთები და რეციდივები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურას და ხელოვნებას სწყვეტენ სოც. მშენებლობის ამოცანებისაგან. ხელოვნების წინაშე ძირითად ამოცანად წამოყენებულია სოც. რეალიზმის მეთოდის ათვისების პრობლემა. საქართველოს კომპარტიის ყრილობებზე ამხ. ბერიაშ ამ ამოცანას შემდეგი ფორმულირება მისცა: „ხელოვნების ფრონტზე ძირითადი ამოცანაა დაუფლება მხატვრული კადრებისა, პროლეტარული ხელოვნების მეთოდებისა—სოც. რეალიზმის მეთოდისა. მხოლოდ სოც.

რელიზმის საფუძველზე შეიძლება გაიზარდოს და გაიფურ-
ჩქნოს საბჭოთა სოციალისტური ხელოვნება. სოც. რელიზ-
მი, როგორც სტილი პროლეტარული მხატვრული შემოქმე-
დებისა, შეიძლება დაბყრობილ იქნეს, თუ მხატვრული ხელ-
მძღვანელობს მარქს-ენგელს-ლენინის და სტალინის რევო-
ლუციონური თეორიით. ამიტომ ჩვენი ამოცანაა — ყოველ
მხრივ დავეხმაროთ მხატვრული ინტელიგენციის ჩვენს კა-
დრებს დაეფიქრონ მარქს-ლენინის თეორიას და შეიგნონ უკ-
ლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დიდი
ამოცანები“.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა ქსელი. 1933 წელს ამიერ-კავკასიაში 9 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გვქონდა სოფლის მეურნეობაში, 5 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შიმში მრეწველობაში, რომლებიც დიდ მუშაობას აწარმოებდნენ უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასამუშავებლად სამრეწველო მშენებლობის და სოფლის სამეურნეო წარმოების დარგში.

დიდი ზრდა გვაქვს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების განვითარებაში. 1933 წელს საქართველოში 58 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ლაბორატორია არსებობდა, 22 მუზეუმი, 76 სამეცნიერო ბიბ-კა. და 47 საცდელი სადგური. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა და ბრძოლა გაწაღეს იდეოლოგიურ ფრონტზე. ანტილენინური თეორიების, მენშევიურ-ტროცკისტურ და ნაციონალისტურ კონტრ-რევოლუციონურ მიზნებისა და იდეების მხილებაში, რომლებიც შეიპარნენ ჩვენს სამეცნიერო თეორიულ და პარტიულ ლიტერატურაში, დიდი როლი ითამაშა აშხ. სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერი საკითხები“. მიუხედავად წარმატებებისა, რომლებსაც მივაღწიეთ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული მუშაობის განვითარებაში (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შექმნა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამოცემა, მარქს-ლენინის თეორიის გაძლიერებული პროპაგანდა და სხვა) ჩვენ ჩამოვრჩით ჩვენი სამეცნიერო თეორიული ფრონტის მთელ რიგ უბნებში, განსაკუთრებით პარტიის, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში. აშხ. ბერიამ საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ჩვენი პარტიის ისტორიის შეცდომები და დამახინჯებანი, რომლებიც დაშვებული იყო აშხ. ფ. მახარაძის ნაშრომებში. აშხ. ბერიამ მიუთითა ფ. მახარაძის შემდეგ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებზე: მის ნაშრომებში „1905 წელი და ამიერ-კავკასია“ და „საქართველოში მუშათა მოძრაობის ისტორია“ და მთელ რიგ სხვა ნაშრომებში არ არის გაშუქებული ბოლშევიკური ორგანიზაციის ნამდვილი ბრძოლა აშხ. სტალინის ხელმძღვანელობით, არ არის ნაჩვენები ის შეურიგებელი ბრძოლა, რომელსაც აშხ. სტალინი აწარმოებდა არა მარტო მენშევიკების, არამედ აგრეთვე ზოგი ბოლშევიკის წინააღმდეგაც ბოლშევიკური ორგანიზაციის შიგნით ლენინის ხაზისათვის. აშხ. მახარაძის ნაშრომებში არ არის აგრეთვე მკაფიოდ და სწორედ დაყენებული საკითხი მენშევიზმის არსის შესახებ,

შესახებ მაშინდელი უთანხმოებისა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის—ეს უთანხმოებანი მიუჭრებელია“ (ამხ. ლ. ბერია). ამხ. ბერიამ სამეცნიერო-თეორიული ფრონტის, სტალინისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მუშაკთა ყურადღება გაამახვილა ბოლშევიზმის ისტორიის და საქართველოში მემორ-კავკასიაში რევოლუციონური მოძრაობის საკითხების დამუშავებაზე, ამხ. სტალინის, როგორც ფუძემდებლის, ორგანიზატორის და ამიერ-კავკასიისა და საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელის გიგანტურ როლზე. ამხ. ბერიამ მოკლედ დაახასიათა ამხ. სტალინის როლი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში. „ჩვენი პარტიის ისტორია, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მთელი რევოლუციონური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუწყველად დაკავშირებულია ამხ. სტალინის მუშაობასა და სახელთან, არ შეიძლება მოვიყვანოთ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი ლენინის ხაზისათვის ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც გამსჭვალული არ იყოს ამხ. სტალინის აზრითა და ნებისყოფით. ამხ. სტალინი ფუძემდებელია ბოლშევიკური მოძრაობისა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში“.

იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის და პარტიულ მუშაობის საკითხები.

საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში ა/კ. სამხარეო კომიტეტმა და რესპუბლიკის ცეკამ დიდ წარმატებებს მიაღწიეს პარტიული ორგანიზაციების ზრდისა და განმტკიცების საქმეში, პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებაში სოც. მშენებლობის ყველა უბანზე, მთელი პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის, საბრძოლო შემოქმედების, მთლიანობის და მონოლიტობის გამტკიცებაში. ა/კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას ახალმა ხელმძღვანელობამ ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით შესძლო ლიკვიდაცია მოეზდინა უბრინციბო დაჯგუფების და „ატამანშინის“ ელემენტებისა და მთელი პარტიული ორგანიზაცია გადაიყვანა ბოლშევიკური ბრძოლის რელსებზე იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც წამოყენებულია საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებებში და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებებში. საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტ. დადგენილებაში მიგვითითებდა იმაზე, რომ „როგორც ამიერ-კავკასიის, ისე რესპუბლიკებში ხელმძღვანელებს კადრებში ადგილი აქვს ცალკე პირთა უპრინციპო ბრძოლის გავლენისათვის („ატამანშინის“ ელემენტები), რის ნიადაგზედაც ხელმძღვანელი კადრების შერჩევა და მუშაკთა განაწილება ხშირად ხდება არა პარტიულ-საქმიან ნიშნების, არამედ ამა თუ იმ ჯგუფის მომხრეობის მიხედვით. ამის შედეგად ხშირად ხელმძღვანელ ადგილებზე ინიშნებიან აშკარად სუსტნი მუშაკნი. ორგანიზაციაში ადგილი აქვს ბოლშევიკური დისციპლინის უკანონო დარღვევის მრავალ ფაქტს“.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციამ, კერძოდ საქართველოს კომპარტიამ ძირფესვიანად ამოგლიჯეს თავის რიგებში დაჯგუფებისა და აქტიური მუშაობის ელემენტები, აღადგინეს ბოლშევიკური დისციპლინა. პარტიის ყველა წევრი გარდაქმნეს საქმიან პრაქტიკულ მუშაობაზე, ამაღლეს ფაქტობრივად დონე მთელი ორგანიზაციისა და პარტიის მე-XVII ყრილობაზე ისე შემჭიდროებული და გამართლებული მოვიდნენ, როგორც არასდროს წინათ არ ყოფილან. საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ა/კ. სამხარეო კომიტეტის საქართველოს ცუკას ხელმძღვანელობით. აშხ. ლ. ბერიას მეთაურობით შეითვისეს მუშაობის ლენინ-სტალინის სტილი მაღალი პრინციპიალობის, ოპორტუნისტულ გადახრებთან შეურიგებლობის რკინის დისციპლინის, კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის პოლიტიკის, მეურნეობის და კულტურის ყველა უბანზე, ცოდნა მუშათა და გლეხთა ფართო მასების დაორგანიზებისა პარტიის პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების კონკრეტული შესრულებისათვის. კადრების შერჩევა საქმიანობის ნიშნის მიხედვით და მათი განაწილება გადამწყვეტ და მნიშვნელოვან უბნებზე, შესრულების ბოლშევიკური შემოწმება და ნაკლთა გაშლილი კრიტიკა.

გაზეთი „პრავედა“ 34 წელს 15 იანვარს სწერდა: „ამიერ-კავკასიის პარტიის მე-XVII ყრილობაზე დიდი მიღწევებით მიდის. 1933 წელს ნავთის ამოღების, ჩაის და სხვ. გეგმა შესრულდა. ბამბის ჩაბარების წლიური გეგმა გადაქარბებით არის შესრულებული. პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობას და მუშაობას იწყებს ახლისებურად კონკრეტულ-ოპერატიულად—სტალინურად და იბრძვის დიდი წარმატებებისათვის საწარმოო ძალთა განვითარებასა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში, ებრძვის ყველა ოპორტუნისტებს, ნაციონალისტებს, შოვინისტებს... ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა წარსულ წელს დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ შეუხამონ ნავთის შადრევანი ბამბის ნაჭერის, ციტრუსის ხეს, ჩაის პლანტაციას, პიდრო-სადგურის მშენებლობას და კულტურის საერთო ამაღლებას“.

მთელი ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს წინაშე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანებია წამოყენებული მეორე ხუთწლიდში—ლიკვიდაცია კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ კლასებისა, შექმნა უკლასო სოციალისტურ საზოგადოებისა, დაზოგადება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქციისა, მშრომელთა კულტურის და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, განმტკიცება პროლეტარული დიქტატურისა, განმტკიცება მუშათა კლასის კავშირისა გლეხობასთან, ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების და საზოგადოდ კლასების ლიკვიდაციისათვის და დამყარება წარმოების სოციალისტური წესისა, როგორც წარმოებისა და ბატონობის ერთადერთი წესისა. შემდგომი აყვავება ფორმით ეროვნულს და შინაარსით სოციალისტური კულტურისა—ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკებისაგან მოითხოვს მთლიანობის, ნებისყოფის და მოქმე-

დების შემქმნელობის, გაბედულობის და თავგანწირულობის შემდგომ განმტკიცებას საქ. კ. პ. (ბ) მე-XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დიდი გენიოსის, სოციალისტურეკლუციონების ფუძემდებლის ან. სტალინის ისტორიულ მითითებათა შესრულებასათვის ბრძოლაში. უკლასო საზოგადოების მშენებლობის გიგანტიური ისტორიული ამოცანები, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) მე-XVII ყრილობამ წამოაყენა, მოითხოვს კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას და კლასობრივი მტრის წინააღმდეგ რევოლუციონური სიფხიზლის გაძლიერებას, შემდგომ უღმობელ ბრძოლას ყველა ოპორტუნისტულ გადახრასთან როგორც საზოგადოდ, ისე პარტიის ეროვნულ პოლიტიკაში. კლასების მოსპობა და უკლასო საზოგადოების შენება მიღწეული იქნება არა თვითდინების და მშვიდობიანი განვითარების გზით, არამედ კულაკურ-კაპიტალისტური და ანტისაბჭოთა ელემენტების სრული განადგურებისა და მოსპობის საშუალებით. ცალკე პერიოდებში და ცალკე უბნებზე აუცილებელია კლასთა ბრძოლის შემდგომი გამწვავება, აუცილებელია კლასობრივი მტრის მიერ ჩამშლელი ანტისაბჭოთა მუშაობის გამოცოცხლების ცდების გაძლიერება, კლასობრივი მტერი თავის ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალისტური წყობის წინააღმდეგ იყენებს ბრძოლის ახალ ტაქტიკას. კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტები მენშევიკების, ტროცკისტების და ბურჟუაზიული ნაციონალისტების კონტრ-რევოლუციონური პარტიების ნამსხვრევები, მოახლოვებული სიკვდილის და მოსპობის ცეცხლში გახვეულნი, შეეცდებიან გამოაცოცხლონ თავისი გავლენა მშრომელთა ცალკე უბნებზე, განსაკუთრებით სოფელში, შეეცდებიან მობილიზაცია გაუკეთონ მათ წერილ-მესაკუთრულ და ეროვნულ ცრუმორწმუნოებას წინააღმდეგ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობისა. მავნებლური აქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში (მესაქონლეობა, მე-აბრეშუმეობა, ტყის მრეწველობა, ვაჭრობა) და აღმოჩენა მავნებლური ორგანიზაციებისა, რომლებშიაც შედიოდნენ საქართველოს ინტელიგენციის კონტრ-რევოლუციონური ელემენტები, მოწმობენ იმას, რომ საქირთა სიფხიზლის შემდგომი გაძლიერება წინააღმდეგ კლასობრივი მტრის გამოსვლებისა. გამარჯვებული პროლეტარიატისადმი მხეცური სიძულვილის და მოახლოებული სიკვდილის წინაშე სასოწარკვეთილების გამო კლასობრივი მტერი მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი მავნებლური საზიზღარი აქტი.

მომაკვდავი ბურჟუაზიული კლასების ნაშთები, კულაკური ელემენტები, წერილ-მესაკუთრული ნაშთები, წერილ-ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობა შეადგენს მასაზრდოვებელ ბაზას ოპორტუნისტული გადახრების გამოსაცოცხლებლად ჩვენი პარტიის შიგნით. ამიტომ აუცილებელია ბრძოლის შემდგომი გაძლიერება წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტებისა, როგორც მთავარი საფრთხისა, პარტიის გენერალური ბაზიდან „მომემარცხნო“ გადახრასთან და ბრძოლის შემდგომი განვითარება წინააღმდეგ დიდმპრობელური ნაციონალიზმისა და ადგილობრივი ნაციონალისტური გადახრებისა. ჩვენი შემდგომი გამარჯვებების ძირითად წინაპირობას, როგორც ყოველთვის წინადაც, წარმოად-

გენს პარტიული ორგანიზაციის შემდგომი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა სოც. მშენებლობის ყველა უბანზე, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პარტიის ორგანიზაციული მუშაობისადმი, საორგანიზაციო სპერაქვებთან, რაც უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი პოლიტკატორი სპერაქვებთან კონკრეტულ შესრულებას. ა/კ. პარტ-ორგანიზაციის და საქართველოს კომპარტიის შემდგომ გამარჯვებათა საწინდარს წარმოადგენს მთელი პარტიული ორგანიზაციის ნებისყოფის მთლიანობა, შეპდგომი ათვისება და მუშაობის ლენინურ-სტალინური სტილის განხორციელება, მონოლიტობა და შეპქიდროება პარტიული რიგებისა ა/კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას ირგვლივ მისი ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობით ამხ. ლ. ბერიას სახით.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკები საფსებით უნდა დაეფუღან ამხ. ლ. ბერიას შემდგომ მითითებებს: „ბოლშევიკური პრინციპულობა, პოლიტიკური სიმახვილე, ოპერატიულობა, კონკრეტულობა და მკაფიობა, დიდი გაქანება ინიციატივისა და თკითმოქმედიანობისა მუშაობაში, სასტიკი საქმიანობა, პასუხისმგებლობა და დისციპლინა, საქმის სწორე ორგანიზაციის და მისი ბოლომდე მიყვანის ცოდნა—აი მუშაობის ის სტილი, სტილი მოსკოვისა და ლენინგრადის ბოლშევიკებისა, სტილი ამხ. სტალინისა, რომელსაც უნდა დაეფუღლოს ყოველი ორგანიზაცია, ყოველი ხელმძღვანელი, ყოველი კომუნისტი, ყოველი კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი“.



ალექსანდრე ჯაბადარი

მეგობრები

სამ წელიწადზე მეტია, რაც ჩემი მეგობრები მიჩვენებენ—ნელ-ნელა ვწერო ჩემი მეგობრები. ჩემს შეკითხვაზე, ჩემს მეგობრებს თუ რა ინტერესი ექნება, —ყოველმა მათგანმა მომაგონა ზოგიერთი ამბავი და ეპიზოდი, რომელთაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ და ასე თუ ისე აშუქებენ იმ ხანას, როდესაც მე ვცხოვრობდი. თითქო კიდევ დამარწმუნეს, რომ შეიძლება ზოგიერთი ადგილები ჩემი ნაამბობისა მომავალში მართლა გამოადგეს ჩვენი საზოგადოებრივების შემართანეს და შევლევას.



ალ. ჯაბადარი (1862—1933)

უნდა გამოვტყდე და აღვიარო, რომ ახალგაზრდობაში სხვის წაბაძვით მეც დღიურსა ვწერდი. ჭკვი 1881 წ. დავიწყე და მანამდე ვწერდი, სანამ საჭირო არ შეიქნა წერის შეწყვეტის გარდა დაწერილის მოსპობაც, თუმცა მაინცდამაინც იმდენად სახიფათოს არას წარმოვადგენდი, რომ მთავრობისათვის საშიშო ვყოფილიყავი. პოლიტიკურმა ბატონებმა მაინც თვალი დამადგეს, მაგრამ

ნათქვამია: „დაშინებულ ყვავს ჩირგვისაც ეშინიანო“. ერთხელ უკვე სასჯელის სადარი გაფრთხილებაც მივიღე, რომელმაც ჩემი ცხოვრების ყველაზე გემმა შეარყია. ეს პირად ჩემ ცხოვრებას შეეხება, არავისთვის საინტერესოა და ამიტომ ამაზე არც არას ვამბობ.

მაშასადამე, მთელი ჩემი „მოგონებანი“ მხოლოდ მოგონებაზე უნდა დავაფუძნო. ამ შემთხვევაში კი ადვილია უნებლიე შეცდომა მომივიდეს თარიღში. მე არა ვფიქრობ, რომ ეს მოგონებანი ლიტერატურულად იმდენად საინტერესო იყოს, რომ საკითხავ წიგნად გამოდგეს, მაგრამ როგორც მასალა—გამოსადეგი იქნება ზოგიერთ მოვლენათა გამოსარკვევად.

გრძლად დაწერილ ამბების მოყვარულთ მოლოდინი უნდა გავუცხოო. ვეცდები დასაწერი მოკლედ დავწერო.

მე იმ დროიდან ვიწყებ, როდესაც რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მეორის მოკვლა გადაწყდა და გაძლიერებული მუშაობა და მოძრაობა დაიწყო რუსეთში წესწყობილების შესაცვლელად. რალაცა იმედები ჩვენც, ქართველებსაც, გვეძლეოდა. ვფიქრობდით, საქართველოს დამოუკიდებლობას თუ ვერ აღუადგენთ, ფართე ავტონომიას მაინც მივიღებთო. ალექსანდრე II-ს მოკვლის წინა თვეებში გახელებულ ჯანდარმების მიერ ბევრი დააპატიმრეს და ბევრი გააძევეს რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებიდან, უფრო კი პეტერბურგიდან და მოსკოვიდან. ამ დღენის ტალღამ მეც ჩამითრია. აი აქედან იწყება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩემი ფეხის შედგმა. მაშასადამე, აქედანვე დავიწყებ ჩემს მოგონებას.

ოთხმოციან წლებში გავიციანი და დავუახლოვდი ჩვენს პოლიტიკურ არალეგალურ მოღვაწეებს—ელიოზიშვილს, მარიამ შერვაშიძეს, მიწო ყიფიანს, სტ. ქრელაშვილს, შემდეგ ეგნატე იოსელიანს და სხვებს, რომელნიც, გარდა ელიოზიშვილისა, ბევრს მუშაობდნენ სხვა და სხვა ახალგაზრდათა და მუშების წრეებში. ეგნატე „მამამთავარი“ იყო და მოძრავე წიგნთ-საცავე, რომელიც ყველას ასწავლიდა, აძლევდა პოლიტიკურ კითხვებთა აღსნას, განმარტებას, უჩვენებდა ლიტერატურას...

დიდი მოლოდინის შემდეგ მოხდა მოსახდომი: 1881 წ. 1 მარტს „ნაროდოვოლცებმა“ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II ააფეთქეს. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ უფრო გააძლიერა ახალგაზრდობის დევნა, დააპატიმრება, ციმაში რში გზავნა, გადასახლება. მაგრამ ამავე დროს რევოლუციონურ ჯგუფებში უფრო გაღვივდა დი გაცხოველდა მუშაობა.

1882 წ... ქ. ტფილისის წრის სახელით დამავალეს კავშირი გამება სომხებთან, რომელნიც ცალკე მუშაობდნენ, ვიწრო ეროვნულ ნიადაგზე, და კონტაქტი შეგვექნა ქართულ-სომხურ ჯგუფებს, თუმცა პოლიტიკური მომართულება და მუშაობის პროგრამა სომხებისა და ჩვენი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

ამავე 1881 წ., ან ცოტა უფრო გვიან, მე გავიციანი ახალგაზრდა მეტად ენერგიული ყმაწვილი კაცი—ვასო ცხრილადე, რომელიც სამასწავლებლო ისტიტუტში სწავლობდა და ამავე დროს დაუღალავად მუშაობდა სხვადასხვა საიდუმლო პოლიტიკურ ახალგაზრდათა წრეებში.

სომხის მომქმედ წრესთან შეკავშირებულად ქართველების მხარე ორნი ემუშაობდით და სომხების მხრიდანაც ორნი იყვნენ: მიქაელიანი და გ. ტერ-გრიგორიანი. ამათ გარდა უფრო ადრე მეგობრული ურთიერთობა შექონდა ვაზო მირზოიანთან, რომელიც აგრეთვე წრეებში მუშაობდა, მხოლოდ უფრო მარჯვენა ფრთის წრეებში. ამრიგად, მე სომხების ორი ჯგუფის წრეებთან ვიყავ დაახლოებული. შემდეგ ვასო-რცხილაძეც დაუახლოვდა ვაზო მირზოიანს.

ჩვენი კავშირი მიქაელიანთან და ტ. გრიგორიანთან მალე შეწყდა, რადგან ერთმა გარემოებამ გვაიძულა ზომები მიგვეღო, რათა ქანდაკების ბრწყინებულში არ ჩაეკონსერვებინათ. მდგომარეობა იმდენად სახიფათო შეიქმნა, რომ მიქაელიანი, ტერგრიგორიანი და ვ. რცხილაძე სხვისა პასპორტებით შვეიცარიაში გაიქცნენ. შემდეგ ტერგრიგორიანი პარიზში გადავიდა, ვასო რცხილაძე ორი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, როცა ჩვენი ხიფათის აცდენა გაიგო.

მიზეზი ამ ქართველ-სომეხ ჯგუფთა კავშირის ჩაშლისა და ამხანაგების საზღვარგარეთ გაქცევისა იყო შემდეგი.

1882 წელს, მაშასადამე, ალექსანდრე II-ს მოკვლის შემდეგ, როდესაც რუსეთში მრავალ ხალხს აპატიმრებდნენ, ქანდაკებმა რამდენიმე საიდუმლო სტამბა ჩაიგდეს ხელში. ამ დროს ტფილისში მოვიდა ვინმე საშა პავლოვი. „პაროლიდან“ ჩანდა, რომ ის რუსეთის რევოლუტ. კომიტეტის მიერ იყო წარმოგზავნილი და სხვა საქმეების გარდა დავალებული ჰქონდა ადგილობრივ ჯგუფების დახმარებით საიდუმლო სტამბისათვის შეეძინა საბეჭდი „სტანოკი“ და რუსული ასოები. ეს უკანასკნელი მანქანა აქ მოიპოვებოდა. დახმარება და მუშაობა, სტამბისათვის საჭირო ასოების შექმნა დაეკისრა ქართულ ჯგუფს, ხოლო ჯგუფმა ეს ვ. რცხილაძეს და მე დაგვავალა. ფული რუსეთიდან მოიტანეს. თვითონ პავლოვიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ დრომდე, სანამ საქმე მადერის ასოთმამოშახმელ ქარხნიდან ასოების გამოტანაზე მიდგებოდა. პავლოვს ასოებისა და საბეჭდავი მანქანის დროებით დამალვაში მონაწილეობის მიღება უნდოდა, მაგრამ რადგან ეს ოპერაცია (დამალვა) მე დამეკისრა, ამიტომ მე კონსპირაციული მოსაზრებით პავლოვის ამ საქმეში გარევა არ მოვიხდომე. ბრმა მხოლოდ ორმა ვიცოდით—მე და რცხილაძემ. ორი დღის განმავლობაში სამი ბინა გამოვიცვალეთ და ბოლოს არწრუნის ქარვასლაში მოვათავსე ერთ პატარა საწყობში, რომელიც თითონ გრ. არწრუნმა დამითმო უფასოთ.

ამ ხანებში საზოგადო წიგნთსაცავი და სამკითხველო იმავე არწრუნის (შემდეგ თ-აზნაურთა) ქარვასლაში შექმნა. წიგნთსაცავი და სამკითხველო ძალიან დიდ სამსახურს გვიწვედა მოსწავლე ახალგაზრდობის გაცნობაში, არალეგარულ მომუშავეთა ერთმანეთთან შეხვედრაში და სხვ. გრ. არწრუნი სამკითხველოში ხშირად მოდიოდა. მეც მივდიოდი მასთან რედაქციაში („მშაქის“ რედაქტორი იყო), საიდუმლო ლიტერატურას ვაძლევდი ხოლმე, რომელიც მას შეტად აინტერესებდა. მოხარული იყო ჩვენი შეერთებული (ქართველ-სომეხთა) ჯგუფის არსებობისა. ხშირად ამბობდა, თუ გვინდა ძალა გვეკონდეს—ერთად უნდა ვიმუშაოთ.

შეძენილი ასოები და საბეჭდი მანქანა პავლოვს უნდა გაეგზავნა, მაგრამ ამ ოპერაციისათვის მარჯვე გარემოება არ იყო. რამდენიმეჯერ მისი მსმენელ პავლოვი მოვიდა ჩემთან სამხედრო ტანისამოსით გამოწყობილი „ვოლნოპარედელთა უშიად“, სამხედრო წრეებში პროპაგანდის გასაწევად. შემდეგ ის ჩვენ აღარ გვინახავს. ამავე დროს რამდენიმე ოფიცერი დააპატიმრეს და შემდეგ ციმბირში გაგზავნეს 3—5 წლით. ამის შემდეგ ხმა გაავრცელდა, პავლოვი პროვოკატორიაო. გავიდა ხანი და გამოირკვა, რომ პავლოვი მართლა მუშაობდა სამხედრო წრეებში, გაუგეს, დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს. დაპატიმრებულ ოფიცრებთან ერთად დააპატიმრეს სტ. კრელაშვილი, მარ. შერვაშიძე, მიშო ყიფიანი და სხვა. და ციმბირში გაგზავნეს, ელიოზაშვილმა კი თავი მოიკლა, როდესაც მის დასაპატიმრებლად მოვიდნენ ბინაზე.

როდესაც პავლოვის პროვოკატორობის ხმა გაავრცელეს, სწორედ იმ დროს მეოთხე უზნის ბოქაშულის ლოლაძის თანაშემწე—შერგელოვი მოვიდა ჩემთან (პირადად ვიცნობდი) და დოლიძის დავალებით მითხრა შემდეგი: საიდუმლო სტამბას, რომელიც თქვენა გაქვთ დამალული, ეანდარმები ეძებენ. მე ვიცი სადაც გაქვთ შენახული (იქნება ნამდვილად არც კი იცოდა), მაგრამ არ მინდა ამ საქმეში გარევა და გთხოვთ ჩემი უზნიდან სასწრაფოდ გადაიტანოთ. ამ ამბავმა და ამასთან დაკავშირებულმა პავლოვის პროვოკატორობის ხმამ ისე დაგვაბთხო, რომ საძი ჩემი ამხანაგი მესამე დღესვე საზღვარგარეთ წავიდა, მე კი ორ დღეში უნდა შემეცვალა ასოების და მანქანის ბინა და მომეთავსებინა ერთ ჩემ კარგ ნაცნობის, ზ. ჭიჭინაძის, ეზოში, მიწაში (მთაწმინდაში საკუთარი სახლი ჰქონდა).

სტამბის ბინა ვერ გაიგეს და ამ საქმის გამო მეც ხელი არ მახლეს (ამან დამარწმუნა პავლოვის უდანაშაულობაში, მაგრამ ჩემი წიგნთსაცავი და სამკითხელო უყურადღებოთ არ იყო დატოვებული. სამკითხელოში საიდუმლო აგენტებიც მოდიოდნენ და, გასაკვირველი იყო, ხანდახან ეანდარმის ვახშისტრიც მოდიოდა და სხვებთან, ერთად სამკითხელოში იჯდა, ვითომ ჟურნალ-გაზეთებს ათვალთვრებდა.

ამავე ხანებში ეანდარმის სუდეიკინის მკვლელ დეგავეის კვალს მიაგნეს გორში და ის ბინა გაჩრიკეს, სადაც დეგავეი ცხოვრობდა. მან გაქცევა მოასწრო. იმ ბინაზე ჩემი წიგნთ-საცავიდან წალებული წიგნი იპოვეს, ამის გამო ეანდარმებმა გამოძიება და წალებული წიგნების ჩასაწერი დავთრების ჩხრეკა დაიწყეს, მაგრამ ვერა გამოარკვეს-რა, რადგან წიგნი დავთარში ჩაუწერლად იყო წალებული. გამოძიებას ეანდარმის როტმისტრი კლიკოვი აწარმოებდა, პროკურორის თანაშემწის იაკიმოვის თანდასწრებით, რომელიც აღმოჩნდა ამხანაგი (უნივერსიტ.) და მეგობარი ჩემი ბიძაშვილის ნიკო ჯაბადრისა. იაკიმოვმა საქმეს ისეთი მიმართულება მისცა, რომ ეს საქმე ამით დაბოლავდა, მე არ გამრია.

რადგან საეანდარმო მართველობამ კბილი დამადგა, მე იძულებული შევიქნე წიგნთსაცავი მცირე ფასში გამეყიდნა და შუად ვყოფილიყავ, თუ საქირება მოითხოვდა, მეც საზღვარგარეთ წავსულიყავი. მაგრამ წისვლა საკირო

არ შეიქნა. ორი წლის შემდეგ რეცხილადე დაბრუნდა, მასთან ერთად მისი ცოლი და ორი შვილიც კი საზღვარგარეთ დარჩნენ.

სომხებთან შეკავშირების ცდა მეორეთა ც განმეორდა. ამის შესახებ შემდეგ იყოს, ახლა კა კვლავ უკანვე დავბრუნდებით.

იმ დროს, როდესაც ვითომ სომხებთან არალეგარულ მუშაობაში შეეთანხმდით, ლეგარულ მუშაობაშიც მოვიხდომეთ შეთანხმება. 1883 წ. ქ. ტფილისში საყმაწვილო მოთხოვნების მწერალი „ნაროდოვოლეცი“ სოლოვიევი-ნესმელოვი ცხოვრობდა, რომელიც ცოტა ხანს ტფილისის სახელოსნო სასწავლებელ-შიაც იყო მასწავლებლად. იმავე სასწავლებელში მასწავლებლად იყვნენ, სხვათა შორის, ჩემი კარგი მეგობარი ვაბო მირზოიანი, ზურაბიანი, ანდრო ლულაძე და სხვ. ჩვენ განვიძრახეთ ქართველ-სომეხ ინტელიგენტთა წრე შეგვექმნა, ჯერ საყმაწვილო ქურნალების დასაარსებლად ქართულსა და სომხურ ენაზე, და შემდეგ საერთო შრომით პერიოდული გამოცემებიც დაგვეწყო, რომ-ღენიც სომეხ-ქართველთა დაახლოებაში და ჩვენი პოლიტიკური მუშაობის გეზის განხორციელებაში უნდა დაგვემარებოდა. ამ განზრახვით სომხებსაც და ქართველებსაც, ვარდა ცენტრალური შემაკავშირებელ წრისა, უნდა შეედგინათ თავ-თავიანთი ფართე წრეები პერიოდულ გამოცემებში სამუშაოდ. ეს გან-ვახორციელეთ. სომხებმა დააარსეს საყმაწვილო ქურნალი „ახიური“, ხოლო ქართველთა წრემ, რომელიც შესდგებოდა მაშინდელი ახალგაზრდებისაგან (ლადო აღნიაშვილი, ალექსი მირიანაშვილი, ს. ინჰასარიძე, ანდრო ლულაძე, ვასო რეხილაძე და მე) ქურნ. „ნობათი“ დაეაარსეთ. რედაქტორად ანდრო ლულაძე წარვადგინეთ. ასე ვმუშაობდით დაახლოვებით ორი წლის განმავლობაში და მაინც არც ამ კავშირმა მოიტანა ის სარგებლობა, რომელ-საც მოველოდით. მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში: სომხების წრემ „ახიური“-ს გამოცემა განაგრძო (ნივთიერ დახმარებას ერთი მდიდარი ოჯახი აძლევდა ნაზარიანს—რედაქტ.-გამომცემელს). რედაქტორმა ნაზარიანმა ყოველკვირეული ქურნალი „თარაზი“-ც დაარსა და ამ საქმეს დიდხანს შეთაურობდა. სომხები ნივთიერადაც ეხმარებოდნენ, ხოლო ჩვენი „ნობათი“ თანდათან სუსტდებოდა ლიტერატურული მასალის მზრია-ვაც და ნივთიერადაც. ამის მიზეზი ის იყო, რომ როდესაც ქართველთა წრემ ქურნალის გამოცემა გადაწყვიტა და ანდრო ლულაძეს მისცა წინადადება ოფი-ციალური რედაქტორ-გამომცემლობა ეკისრნა, ამასთანავე ლულაძისავე თანხმობით დაადგინა—მთელი საქმის წარმოება სარედაქციოსი და საგამომცემლო ნაწი-ლისა—კოლეგიის ხელში ყოფილიყო, და ლულაძე თანსწორ-უფლებიანი წევრი იქნებოდა. ამაზე ლულაძე დათანხმდა. თუმცა ყველანი კარკად ვიც-ნობდით ანდრო ლულაძეს, როგორც არასერიოზულ ადამიანს, მაგრამ მთავრობის თვალში პოლიტიკურად ჩვენზე უფრო სანდო იყო, რაიც ქურნალის ნება-რთვის მისაღებად იყო საჭირო. პირველ წელიწადს თითქო ამ დადგენილებისათვის არც უღალატნია. მაგრამ რაკი დაინახა, ქურნალმა სახელი გაიკეთა და ხელის მოწერაც იმ დროისათვის კარგად წავიდაო, ანდრომ მეორე წელი-წადს თვითნებობა დაიწყო საქურნალო მასალის შერჩევაშიც და რედაქციაში შემო-სული ფულის ხარჯვაშიც. საქმე აირია. რაკი თვითნებობა დაიწყო, ჩვენ ჩამოვ-

შორდით. როდესაც გაუჭირდა, სათათბიროდ მიგვიწვია და თავისი უკიდურესი მდგომარეობა აგვიწერა. ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ უკუვალდისათვის წინადადება მიგვეცა—ქურნალი ოფიციალურად სულ კავადავსუ წრეთათვის. ეს წინადადება ჯგუფის სახელით ლადო აღნიაშვილმა განუცხადა თავისებური ქათინაურებით და ბოდიშებით. ანდრო ლულაძემ მოისმინა და პასუხად ვადმოგვიწავლა სამი თითის ცნობილი კომბინაცია და დაუმატა რუსულად (ეს ენა უფრო შესაფერად თუ იცნო!..)—*вот вам!* ამის შემდეგ ჩვენ სრულიად ჩამოვშორდით. თანამშრომლობაზედაც უარი განვუცხადეთ. „ნობათი“ ამის შემდეგ რამდენიმე თვე კიდევ გამოდიოდა და მოისპო. „ნობათი“-ში ვწერდი „ანი“-სა და „განი“-ს პსევდონიმით. ასე გათავდა „ნობათი“-ს არსებობა, ჩვენი იმედები. პსევდონიმი „განი“ შემდეგაც შევინარჩუნე „ივერიაში“.

1884 წ. ტფილისში საიდუმლოდ მოვიდა ცნობილი ანარხისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართველში ინტელიგენციამ მისი მოსვლა სხვადასხვანაირად მიიღო. სამწუხაროთ, უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ „მისი საქართველოში ყოფნა ბევრს დალუპავს“, რომ მთავრობა ქართველობას ცუდი თვალთ შეხედავს, რაკი გაიგებს, რომ ასეთი საშიშო პირი მივიღეთ და სხვა ამისთანები! ახალგაზრდობა სიხარულით უსმენდა მას. ის ამით წრეებში მოდიოდა და პოლიტიკურ კითხვებზე ემუსაიფებოდა. მხოლოდ ილია ქავჭავაძე თანაუგრძნობდა ვ. ჩერქეზიშვილს და ამხნევებდა. ქუთაისის ინტელიგენცია უფრო დაინტერესებული იყო ჩერქეზიშვილის გეგმით. უმთავრესი მისი სალაპარაკო საგანი იყო რუსეთთან საქართველოს მიერ დადებული პოლიტიკური ხელშეკრულება, რომლის შინაარსის გაცნობის შემდეგ უხსნიდა, თუ რუსეთმა როგორ უსინდისოთ დაარღვია ეს ხელშეკრულება და სხ. უნდა ვთქვა, რომ ვ. ჩერქეზიშვილი იმ თემაზე პროპაგანდას გულმოდგინეთ ეწეოდა არამც თუ ახალგაზრდა წრეებში, არამედ თავადაზნაურობის წარმომადგენელთა და ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის შორისაც. ბინა ჩემთან ჰქონდა. მე ვცხოვრობდი კონსპირატიულად კარვად მოწყობილ ბინაზე. ამ ბინაზე ვ. ჩერქეზიშვილი დიდხანს უშიშრად იყო. საქართველოში „მარკო“ იოვანეს პასპორტით მოდიოდა ბოლომე.

ჩერქეზიშვილმა ქართველთა წრეები ისე აალაპარაკა, რომ მისი საქართველოში ყოფნა უკვე იქაც იცოდნენ, სადაც არ უნდა სცოდნოდათ. ამის შემდეგ ჩერქეზიშვილი იძულებული შეიქნა დროებით ისევ საზღვარგარეთ წასულიყო. შეიდი-რვა თვის შემდეგ კვლავ დაბრუნდა. უფრო კონსპირატიულად ცხოვრობდა. ზამთრის პირას ს. მუხრანში წავიდა. იქ ქეთო ბაგრატიონის სახლში ცხოვრობდა, როგორც მასწავლებელი მისი ორი ვაჟისა. იქ გაზაფხულის გასვლამდე დაჰყო და მერე კვლავ საზღვარგარეთ წავიდა. ცოტათი გულნატკენი იყო იმის გამო, რომ ქართველებმა ვერ შეიგნეს საკიროება აქტიური პოლიტიკურ მუშაობის და რომ „большая часть нашей интеллигенции какая то инертная, мертвая, ничто их не интересует.“

ვარლამ ჩერქეზიშვილის ტფილისში ყოფნის დროსაც კვლავ აღიძრა კითხვა ჩვენ მეზობლებთან პოლიტიკურ შეკავშირებაზე. ჩემს ბინაზე ეიკრიბებოდით და ბევრი თათბირი და კამათი გვქონდა შეკავშირების ძირითად დებულებათა გამო-

სარკვევად. შეკავშირება საჭირო იყო აზერბეიჯანელებთან, სომხებთან, რადგან მართო საქართველოს მხრივ რუსეთთან შებრაძოლება უაზრობად მიგვიჩნდა.

დავასკვნენით, რომ ჯერ ამიერკავკასიის და შემდეგ მთელ რუსეთში ფედერაციის დადგენის მოკლე პროგრამა და მათ შორის გაგვევრცელებინა, ვინც ხალხში მუშაობდა. სამწუხაროდ აზერბეიჯანში ცოტანი იყვნენ დაინტერესებულნი. ეს პროგრამა ჩვენ გ. ჩარკვიანის პატარა სტამბაში დაგვბეჭდეთ. ლამე ვმუშაობდით. პროგრამა ასოთამწყობმა დიომიდე კილაძემ ააწყო. მე და ჩარკვიანი ვბეჭდავდით. სამ ლამეს ვიმუშავეთ. ჩარკვიანის სტამბა ოქრომჭედლების ქუჩაზე იყო ჩარკვიანისავე ბინასთან. აწყობილ მასალას ჩარკვიანის ბინაზე ვინახავდით, რათა დღისით მუშებს არ ენახნათ ნაწყობი, ხოლო დაბეჭდილი ვასო რცხილაძესთან მიმქონდა, რომელსაც გავრცელება ჰქონდა დავალებული ამიერკავკასიაში. ფედერაციული წესწყობილების პირველი პროკლამაცია გამოვიდა ამ ჯგუფისაგან 1884 წ. სამწუხაროდ ამ პროკლამაციის გამო ჩვენი „მალი“ წერებისაგან ბევრი საყვედური გვესმოდა. ამან გული გავვიფუჭა.

პროკლამაციის გამოცემის შემდეგ ვ. ჩერქეზიშვილი ს. მუხრანში წავიდა, სადაც რამდენჯერმე ვიყავი ჩვენს საქმეზე სალაპარაკოდ. აზერბეიჯანელებში ჩვენ ვმუშაობდით მასწავლებლის ფარაჯ სულთანოვის საშუალებით, რომელთანაც მე და ვასო რცხილაძეს შეგობრული ურთიერთობა გვქონდა. „ნობათის“ გამოსაცემად შედგენილმა წრემ და ამ ჟურნალის გამოცემამ დაგვანახვა, რომ საჭიროა ასეთი წრე დაარსებულიყო უფრო ვრცელი გეგმით—წიგნებისა და და ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად. იმ ხანებში წიგნების გამომცემლობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ეს საქმე ვიწროდ და უსისტემოდ მიჰყავდათ. უმთავრესი გამომცემელი წიგნებისა ზაქარია ტიქინაძე იყო, რომელიც ხშირად აგროვებდა ფულს, რომ სტამბიდან ორ-სამ მაშურიანი წიგნაკი დაეხსნა. წიგნის ვაჭრობაც ვაივავლაბით მიდიოდა. წიგნაკები უფრო კვირაობით გაჰქონდათ „იარმუკაზე“¹ და იქა ჰყიდდნენ. შემდეგ, ოთხმოციან წლებში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ქართული წიგნების პატარა მაღაზია გაიხსნა გიგო ჩარკვიანისა, რომელსაც ოქრომჭედლების ქუჩაზე პატარა სტამბა ჰქონდა. როგორც ზევით იყონათქვამი, იქ დაიბეჭდა პირველი პროგრამა ფედერაციისა. იმ დროს, რომელსაც მე ვეხები, მაღაზიის საქმეში ჩარკვიანს შეუამხანავდა რომინოზ ფანცხაია. ამ მაღაზიის ვაჭრობას იმდენი სარგებლობა არ მოჰქონდა, რამდენიც იმას, რომ აქ იკრიბებოდა ქართველი ახალგაზრდობა. დადიოლენ ჩვენი ნაწილებიც, ჩვენზე უფროსები. ჩვენ მოწიწებით შევეცქეროდით იქ მოსულ მწერლებს და ისე ვუყურებდით მათ, როგორც ერთგვარ ყურადღებას ახალგაზრდობისადმი. ჩარკვიანის მაღაზიაში გავიცანი ჩვენი პოეტები რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, იოსებ ბაქრაძე. ეს მაღაზია იყო ქართული კლუბი, რომელსაც მაშინ სარგებლობა მოჰქონდა. სხვათა შორის აქ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მე და ლადო აღნიაშვილი („ნობათის“ დაარსებამდე) და მალე დავმეგობრდით. ლადო აღნია-

¹) იარმუკას უწოდებდნენ ბახარს, ტფილისის შუაგულში, სადაც ყოველკვირა გაჰქონდათ სხვადასხვა წიგრილმანი საქონელი, ავეჯი, ზარა-ზურა და სხ. გასაყიდად. ეს ბახარი ახლა ვანქის გელუსიასთან გადაიტანეს.

შეილი კარგი ენერჯის ადამიანი იყო. ყოველთვის აღფრთოვანებული ვეგებებოდა ყველა ქართულ საქმეს, ყველა იმას, რაც მიმართული იყო ხალხის აღორძინებისაკენ; ლადო საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილს განუყოქმასაც კი ალტაცებაში მოძყავდა. ჩემს მეგობრებში მე არა მყოლია სამშობლოს სიყვარულით იმდენად გატაცებული ქართველი, როგორც ლადო აღნიშნული იყო.

ერთ დღეს, როდესაც გრ. ჩარკვიანი ჩვეულბრივ ვაჭრობის სიმცირეს შემომჩიოდა, მე ჩამოვაგდე ლაპარაკი იმაზე, რომ შეიძლებოდა ამხანაგობა შეგვედგინა. ჩარკვიანი და თანცხავეს წიგნის მალაზიაც შეგვეტანა ამ ამხანაგობაში და წვერებად ისეთი პირნი მოგვეწვია, ვინც ერთგულად მოეპყრობოდნენ ამხანაგობის საქმეებს, ამხანაგობას ხელს არ შეუშლიდნენ მეტიპრობით და ინტრიგანობით. ეს ახრი ჩემს მახლობელ ნაცნობ-მეგობრებს მოეწონათ და მთხოვეს ამხანაგობის წესდება დამეწერნა. წესდებით ისეთი მდგომარეობა უნდა შეგვემქნა, რომ ამხანაგობა კანონიერიც ყოფილიყო, არა აქციონური, რადგან ამისათვის საჭირო თანხის შეკრება არ შეგვეძლო. გარდა ამისა, საზიფათოც იყო სწორედ იმ მხრივ, რასაც ვერიდებობით, როგორც ცუცხლს, რომელშიც შეიძლება მთელი საქმე დამწვარიყო. წესდება შევადგინე. უმთავრესი ყურადღება იმას მივაქციე, რომ წვერთა მიღება არჩევით ყოფილიყო, რათა ამხანაგობაში არასასურველი ელემენტი არ შემოსულიყო.

ეს ამხანაგობა 1890 წელს შევადგინეთ. პაი 50 მ. ღირდა. ყოველ წევრს წინადადე უნდა შემოეტანა არა ნაკლებ 10 მანეთისა. პირველმა თორმეტმა წევრმა 120 მან. შემოიტანა. ამ თანხით დავიწყეთ მუშაობა და პირველი წიგნი (უფრო წიგნაკი) გამოვეცით ბაჩანას „დაბადება-აღზრდა ერეკლეს“. საქმის გაჩვედ და გამგეობის თავმჯდომარედ მე ამომირჩიეს. გამგეობის წვერებად — ლადო აღნიშნული, დ. გაგლოვეი, გ. ჩარკვიანი და ნ. ზედგინიძე.

ამხანაგობის წვერების მოპოებაში პროვინციებში ჩვენ მიერ არჩეული პირები გვეწელოდნენ წინადადე შედგენილი სიით, რომელშიაც სასურველი პირნი იყვნენ მოთავსებული. ჩვენი წვერნი-თანამშრომლები ახალ წვერებს იძენდნენ. ერთი ენერჯიული თანამშრომელთაგანი იყო ამხანაგობის წვერი ვარლამ კიჭინაძე (კბილის ექიმი), რომელიც ამავე დროს ჩვენს გამოცემასაც ავრცელებდა.

სამი წლის შემდეგ ამხანაგობის წვერად შემოვიდა იაკობ მანსვეტაშვილი თავისი სტამბით, სადაც საქმაოდ ძველი ორი მანქანა მუშაობდა. ამ შეძენამ ამხანაგობის ფონდები ერთბაშად ასწია. 1894 წ. ამხანაგობის ხელშეკრულება უნდა შეგვეცვალნა. ეს საქირო შეიქმნა იმ მოსაზრებითაც, რომ საქმის გაზრდის გამო გამოცემაში შედარებით უკვე ბევრი ფული გექონდა დაზარჯული, ამხანაგობის საკუთრების ღირებულებამაც იმ დროს იმდენათ იმატა, რომ უკვე ზოგს ამ საქმის ხელში ჩაგდების საღერღელი აეშალა. წრე ამას პხედავდა და არ უნდოდა კარგად დაწყებული საქმის დაღუბვა. მან საქიროდ სცნო ისეთი ხელშეკრულების დადება, რომ ამ საქმის ხელში ჩაგდების სურვილები ძირიანად მოესპოთ. ამით აცილებული იქნებოდა ყოველგვარი ინტრიგა, რაც ყველა ქართულ საქმეს ხელს უტარავს. ახალი ხელშეკრულობით გამგეობა საქირო აღარ იყო, საქმეს ფირმის მეთაური მიუძღოდა, ან თვითონ იწვევდა საქმეების გამგეს. რაკი კანონით მევალებების წინაშე და საზოგადოთ საქმეების პასუხისმგებელი ფირმის

თავი იყო, ამიტომ იმავე კანონით. ფირვის თავს მინიჭებული პქონდა სრული უფლება საქმეები ისე ეწარმოებინა, როგორც საქიროდ დაინახუდეს. ამ ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ. ივანე მაჩაბელმა, დავით ავალიანმა (სახელმწიფო ბანკის დირექტორები იყვნენ), ალექსანდრე ჭყონიამ, სამსონ ინასარიძემ, ნიკო ზედგინიძემ და მე. ამხანაგობის თავად მე ამომირჩიეს. მართალია, ინტრიგების მოყვარულნი შემდეგ ბევრს სისინებდნენ, მაგრამ ამნაირად დაყენებულმა საქმემ უფრო გაიმავრა ნიადაგი და საქმე იმდენად კარგად მიდიოდა, რომ ჩვენი დიდი მწერლების ნაწერების გამოცემაც შეგვეძლო.

იურიდიულად გამაგრებული ამხანაგობა უფრო თამამად შეუდგა ქართველ საუკეთესო მწერალთა სრულ თხუზულებათა გამოცემას. ამისათვის სარედაქციო კომისია იყო შედგენილი, რომელიც არა-ჩვეულებრივს გულმოდგინეობას იჩენდა. ეს აღსანიშნავია მით უფრო, რომ უსასყიდლოდ მუშაობდნენ, სამუშაო კი ძალიან ბევრი იყო.

ამხანაგობის პირველი გამოცემა (სრული თხუზულებანი) დავითაშვილის ნაწერები იყო. ავტორს ბევრნი ეცილობდით პირადათ, ხშირად ვხედავდით გიგო ჩარკვიანის მალახიანში.

დავითაშვილი გლეხი იყო. ხელობით დურგალი-მეჩქურთმე. უკანასკნელ დროს არ მუშაობდა — ზოგი ავადმყოფობის გამო და ზოგიც იმიტომ, რომ ერთის მხრივ მუშებში ფარულად მუშაობამ გაიტაცა და მეორეს მხრივ ლიტერატურამ. მისი ლექსები დრო-გამოწვებითს გამოცემებში იბეჭდებოდა. ხალხი კითხულობდა დავითაშვილის ლექსებს და ჩვენც გვინდოდა მთელი კრებული მისი ლექსებისა, რომლის დაბეჭვდაც კი შეიძლებოდა, ხალხისთვის მიგვეწოდებინა, თუმცა ბევრი სუსტი ლექსი პქონდა, მაგრამ რედაქციამ მაინც თითქმის ყველა დაბეჭდა. რაც კი ოდესმე დაბეჭდილიყო და რაც მის ხელნაწერებში აღმოჩნდა. გამოვტოვეთ მხოლოდ მსუბუქი ხასიათის პორნოგრაფიული ლექსები, რომლის წერა ყველა პოეტს ჰყვარებიათ.

ყველაზედ მეტად ყმზბეგის ნაწერების გამოცემით ვიყავით დაინტერესებული. ეს ინტერესი იმით იყო გამოწვეული, რომ მისი ნაწერების შეუცვლელად გამოცემა ადგილობრივ ცენზურის პირობების გამო შეუძლებელი შეიქნა. ჩვენ გვინდოდა ყველა მისი ნაწერები ისე მაინც გამოგვეცა, როგორც ვაზ. „დროებაში“ იბეჭდებოდა ფელეტონებად. იმ დროს ცენზორად ჩვენი პოეტი რაფიელ ერისთავი იყო. ვფიქრობდით, რომ რაფიელი დაგვეზარებოდა. მეორე ინტერესი იმაში გამოიხატებოდა, რომ ხალხისათვის მიგვეწოდებინა: ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი — ნაყოფი შეუდარებელი ნიქისა, ხალხის ცხოვრების ცოდნისა, დაკვირვებისა. შემოსავლის მხრივაც დიდ იმედებს ვამყარებდით ამ თხუზულებებზე, მით უფრო, რომ ხალხმა უკვე იცოდა, რა დაბრკოლებას წავაწყდით ცენზურის მხრივ. გამომცემლობის ფართე გეგმის შესასრულებლად ამხანაგობისათვის საქირო იყო ყოველ გამოცემაზე დახარჯული თანხა მალე დაბრუნებულყო.

ალექსანდრე ყაზბეგს ხელშეკრულება დავუდეთ. გამგეობის წევრს ლადო აღნიაშვილს მიენდო ყაზბეგისაგან ყველა მისი ნაწერები მიეღო დამთავრებულიც და დაუმთავრებელიც.

აღნიშნულმა ხელშეკრულების დადებისათვისვე გადმოიტანა საქართველოს ბინაზე ყაზბეგის ნაწერები ერთი მოწითალო ხის სკივრით. სკივრში დიდი მოთხრობების (ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი და სხვ.) ნაწერები არ აღმოჩნდა. სამაგეროდ სკივრში გვერდზე მიკრულ ცალკე განყოფილებაში ყაზბეგის მიერ სასამართლოში წარდგენილი რამდენიმე საჩივრის ასლები, აღმასრულებელი ფურცელი და ამისთანა ქაღალდები იყვნენ. ეს ქაღალდები აღექსანდრე ყაზბეგის „ფოდრაჩიკობას“ — ეპოპეას შეეხებოდა. სკივრში აღმოჩენილი ნაწერები გავარჩიე, სისტემატურად დავაღაგე და მათს გადაკითხვას და დაუმთავრებელ მოთხრობათა ვარიანტების შედარებას შევუდგე. სკივრში იყვნენ დაუმთავრებელი მოთხრობანი, პიესები, კერძო ქაღალდები და სხვა წერილმანი.

საცენზურო მოთხრობანი „დროების“ ნომრებიდან გადავაწერინეთ და ცენზურას მხოლოდ დამთავრებული მოთხრობანი წარვუდგინეთ.

მაშინ ცენზორად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჩვენი პოეტი რაფიელ ერისთავი იყო. მაგრამ იმ დროს შევბუღებაში ითვლებოდა. მის მოვალეობას უფროსი ცენზორი ქოშიშიანი ასრულებდა, რომელმაც „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ თითქმის გაანახევრა. რასაკვირველია, ასე დამახინჯებულ მოთხრობებს ვერ გამოვსცემდით. საჭირო შეიქნა სხვა გზა მოგვეჩვენა. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ცენზორ ქოშიშიანის ასეთ სასტიკი საქციელის გასაჩივრება ცენზორთა კომიტეტში ჩვენ არავითარ სარგებლობას მოგვტანდა, ცენზ. ქოშიშიანი — კი მაღლობას მიიღებდა სამსახურის გულმოდგინეთ ასრულებისათვის“, და ჩვენ, შესაძლო იყო, ამ საჩივრით ყველა გზა დაგვზოზოდა და ამიტომ ვარჩიეთ ტფილისის კომიტეტისათვის თავი დაგვეწებებინა.

მაშინდელი ბექდეთი კანონით აღმოსავლეთ ენებზე დაწერილის ცენზურა მინიჭებული ჰქონდათ კავკას. საცენზ. კომიტეტს, პეტერბურგის და ვარშავის კომიტეტებს. მაშასადამე, ყაზბეგის ნაწერები ჩვენ შეგვეძლო ან პეტერბურგის კომიტეტში წარგვედგინა ან ვარშავის კომიტეტში. ამ კანონით ვისარგებლეთ და ორივე ტომის მასალა, ახლად გადაწერილი, პეტერბურგში გავგზავნეთ.

პეტერბურგის კომიტეტი ქართულ ენაზე წარდგენილ ნაწერებს ნიკოლოზ მარს უგზავნიდა საცენზუროდ. ნიკოლოზ მარს იმ დროიდან ვიცნობდი, როდესაც ის ქუთაისის გიმნაზიის მეშვიდე ან მერვე კლასის მოწაფე იყო და მგონი პირველად ჩამოვიდა ტფილისში.

ნიკ. მარს მივწერეთ, თუ რამდენად დაინტერესებული იყო ჩვენი საზოგადოება, რომ ყაზბეგის ნაწერები უცვლელად გამოცემულიყო. ნაწერები ერთ ჩვენს ნაცნობ სტუდენტს (აწ პროფესორს) ივანე თიკაძეს გავუგზავნე, რომელმაც პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში წარადგინა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ნებადართული ხელნაწერები მივიღეთ. არცერთი სიტყვა არ აღმოჩნდა ამოშლილი. ეს ამბავი დიდის საიდუმლოებით იყო მოცული და მანამდე არ გავამელავნეთ, სანამ ოთხივე ტომი ერთ დროს არ დაიბეჭდებოდა. დაბეჭდილი პეტერბურგის ცენზურაშივე გაიგზავნა ბილეთის მისაღებად. ბილეთიც მოგვივიდა და წიგნებიც გამოვიდა გასაყიდად.

რაფიელ ერისთავმა ჩვენმა მგოსანმა და მაშინ ცენზორმა შინაურულად იცოდა, რომ ამ ხერხს მივმართეთ. რასაკვირველია, თანაგრძობით უყურებდა ამას და თვითონაც მოუთმენლად ელოდდა ამ წიგნების გამოსვლას. წიგნები უკვე იყიდებოდა ტფილისშიც და პროვინციისშიც, როდესაც კონტროლმა გაიგო, რომ წიგნები ტფილისში დავბეჭდეთ პეტერბურგის საცენზ. კომიტეტის ნებართვით. სტამბების დირექტორად ვინმე თავადი ენგალიჩევი იყო, რომელსაც თავისი ქონება რუსეთში გაეფლანგა და ტფილისში მსახურებდა უმნიშვნელო ადგილზე. ბოროტი კაცი არ იყო. უყვარდა ღვინო და, რადგან მცირე ჯამაგირი არ ჰყოფნიდა ოჯახის შესანახავად და მეტის ღვინის დასალევადაც, ხშირად „სესხულობდა“ ფულს ზოგიერთი სტამბის პატრონისაგან. სესხი იშვიათად აღიოდა 10 მანეთამდე, უფრო ხშირად 3 — 5 მანეთით კმაყოფილდებოდა. ეს „ქნაზი“ ინგალიჩევი გაოცებული და შეშინებული ზოვარდა სტამბის კონტორაში იმის გამოისარკვევად, თუ რა უფლებით დავბეჭდეთ 4 ტომი ისეთ თხზულების, რომელიც ტფილისის ცენზურისაგან ნებადართული არ იყო. როდესაც კანონი წავეუკითხე და პეტერბურგის საცენზ. კომიტეტის ბილეთიც ვაჩვენე, მან კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ყველაფერი კანონიერად იყო მოწყობილი და იგი, ენგალიჩევი, აჭაური საცენზ. კომიტეტის თავმჯდომარისაგან შენიშვნას არ მიიღებდა, თან ფიქვობდა და იძახოდა — пошло, пошло, оченъ хороши. საქმე იმით გათავდა, რომ ათი მანეთი „ისესხა“.

მე, ლადო აღნიაშვილს და სამსონ ინასარიძეს, რომელნიც ახლო მონაწილეობას იღებდნენ და ყაზბეგის სკივრში აღმოჩენილ ნაწერების გარჩევაში მშველოდნენ, ხშირად გვებადებოდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერები ყოფილიყო. მეც და ლადო აღნიაშვილიც საკმაოდ ვიცნობდით ალექსანდრე ყაზბეგს და მისი ნიქის ავლადიდებას.

აღ. ყაზბეგი „დროების“ რედაქციაში გავიცანი. თეატრშიაც ვხვდებოდი ხოლმე. რამდენჯერმე ჩემთანაც მოსულა. ერთხელ მოვიდა და დიდის ხეწნით მთხოვა, მაშინ აღკრძალული მოთხრობა შევიცერისა „ემმა“ მეზოგნა იმისთვის. ვუშოვე.

ჩენს გარდა შემდეგ სხვა წრეებშიც ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ყაზბეგის ნაწერების გარშემო. გარდა იმისა, რომ, როგორც ზევით იყო ნათქვამი. ა. ყაზბეგს პირადად ვიცნობდით. სკივრში აღმოჩენილმა ნაწერებმა ჩემი ეჭვი უფრო გააძლიერა. რა სურათს წარმოადგენდა სკივრის შინაარსი?

ა) ყველა დამთავრებული და დაუმთავრებელი მოთხრობები ვარიანტებად იყო დაწერილი დიდს საფოსტო ქალაღზე, ერთნაირი ფორმატის და თითქმის ერთნაირი ღირსების მეოთხედ ფურცლებზე, სიგრძეზე გაკრილ ქალაღზე დაწერილი ერთი ხელით, ერთნაირი მეღნიით. რადგან აღ. ყაზბეგი მოთხრობებს ოთხი წლის განმავლობაში სწერდა, ცოტა გასაკვირვავი იყო ერთნაირობა ქალაღისა, თვით წერისა და სხე. ხოლო მისი დრამატული ნაწერები და ლექსები სხვანაირ ქალაღზე იყო დაწერილი, მისი ლექსები, ცალკე სტელყდიან რვეულში გადაწერილი ადამიას სარძევეში აღმოჩნდა, რომელიც „სევერნი ნომრების“ ქვეშ იმყოფებოდა, აწინდელ საჭართველოს მუზეუმის პირდაპირ, და

დაწერილი იყო ისეთი ხელით, რომელიც, რამდენადაც მახსკავს, თითქმის განს-
ხვავდებოდა დაწერილ მოთხრობების ხელისაგან.

ბ) სკივრში აღმოჩენილი/ მოთხრობები — დამთავრებული/ დაუთავრებელი ვარიანტებით, ყველა გადაწერილი იყო. ეს აიხსნება იმით, რომ არსად არც წინაშალი აღმოჩნდა, არც შესწორებული ადგილები. ტექსტი წერისა ერთნაირია. თუ წარმოვიდგენთ, რომ დამთავრებული მოთხრობები გადაწერილი ჰქონდა და შავი კი—მოსპო, დაწვა, გადაავდო (რაც სრულიად დაუჯერებელია, რადგან ნაჯღაბნი და ნაწვალეები პიესები შენახული იყო), დაუთავრებელს ხომ ჯერ დამთავრება სჭირდებოდა? დაუჯერებელია, რომ ქვეყნიერებაზე ისეთი მწერალი იყოს, რომ დაუთავრებელი მოთხრობები და მისი ვარიანტებიც კი გადაეწეროს! დაუჯერებელია, რომ მოთხრობები ვინმეს უშეცდომოთ ეწეროს, რომ არსად სტილს გასწორება არ დასჭირებოდეს. ბევრი გამოჩენილი მწერლის ავტოგრაფები გვინახავს და არსად შეგვხვედრია ისეთი ნაწერი, რომ ადგილ-ადგილ მაინც არ ყოფილიყოს ნასწორები. ალ. ყაზბეგსაც კი, რაც კი თვითონ უწერია (ლექსები და პიესები), შესწორებული და წაშლილი-წამოშლილი აქვს.

ვუბრუნდები დაუთავრებელ მოთხრობების გარეგან სახეს. განა ცხადი არ არის, რომ რაკი მოთხრობა დაუთავრებელია, მწერალმა უნდა მოათაოს და მერე გადაწეროს რედაქციისათვის? ამასთანავე, თუ მოთხრობის ვარიანტია დაწერილი, მაშ პირველი ნაწერი თვით ავტორს არ მოსწონებია. მაშ სად არის, რა იქნა ის გასაოცარი, ფენომენალური ნიჭი ალ. ყაზბეგისა, რომელიც მოთხრობებს ჰქმნიდა და „სწერდა პირდაპირ თეთრად“ და ხშირად ვახეთში დაბეჭდილი მოთხრობის ბოლოს არც კი კითხულობდაო (ისეთი მეხსიერება ჰქონდა, პირდაპირ ვაგრძელებასა სწერდა შეუცდომლათაო), ამ განსაცვიფრებელი ნიჭის და მეხსიერების პატრონს ალ. ყაზბეგს მოთხრობების გეგმები თავიდან-ბოლომდე თურმე მწყობრად ელაგა ტვინის უჯრედებში და შეუცდომლად სწერდა და ამთავრებდა მოთხრობებს, რომლების ბეჭდვა თითქმის განუწყვეტლივ მოსდევდა ერთმანეთს.

ალ. ყაზბეგის ასეთი ნიჭი და განსაცვიფრებელი მეხსიერება ყოველად დაუ-
ჯერებელია.

გ) არც სკივრში, არც მის ბინაზე არ აღმოჩენილა არც ერთი ფურცელი „ელგუჯის“, „მამის მკვლელის“, „მოძღვრის“ ან სხვა უკვე დაბეჭდილი მოთხრობებისა. მე ვიცი, რომ „დროების“ მეტრანაჰაეის დიოშიდე კილაძისაგან (შემდეგ ჩვენის ამხანაგობის სტამბაში მუშაობდა 1886 წლიდან სიკვდილამდე, და მინამდევც კარგად ვიცნობდი), რომ ყაზბეგი ყოველთვის ასე დაწერილს, ამასთანავე ქალაქზე და შეუსწორებელ ფოთლებს იძლეოდაო, როგორც სკივრში აწყვიტაო. ხშირად რედაქციაშივე სწერდაო. მაგრამ, როდესაც დიოშიდეს ვკითხე: გინახავს როდისმე, რომ დასაბეჭდად სწორეთ იმას ვაძლეოდა, რასაც სწერდა? — ამაზე მიპასუხა: აბა, სწორეთ რომ ვთქვა, არ მინახავს, რასაც სწერდა, ხანდახან უბი-
დანაც ამოულია მზად დაწერილი და გადმოუტიაო.

დ) როგორ მოხდა, რომ ალ. ყაზბეგმა ენა, ხევის ცოდნა, ინტენსიური შემოქმედების უნარი და ნიჭი გამოიჩინა მხოლოდ დიმი. ყაზბეგის გარდაცვა-

ლების შემდეგ და ისიც მაშინ, როდესაც უკვე ავადმყოფობა ეტყობოდა, რომელიც 1881 წლიდან თანდათან ძლიერდებოდა?

1881 წელსვე ალ. ყაზბეგს ავადმყოფობა ეტყობოდა ფიქრის ქადაგებებზე კოტე ყიფიანის სიტყვით, ყაზბეგი მასთან და ნოდარ ჯიჯიყაძესთან ერთ სახლში ცხოვრების დროს (1881 წ.) ხშირად ასწაპნავდა ხოლმე მათ გროშებს, იჩემებდა მათს საცვალს და კითხულობდა მათს წერილებს, ზოგჯერ გაუხსნელსაც. აწაპენა იმისა, რაც მას არ ეკუთვნოდა და სხვის წერილების დაპატრონება ყაზბეგს ბოლომდე გაჰყვა. ეს ჩვეულება თანდათან უფრო განუვითარდა*). ეს ის ხანაა აწერილი, როდესაც, ბ. დავ. კარიკაშვილის სიტყვით, ფსიხიურის ავადმყოფობის ნიშნები ყაზბეგს ცხადად გამოაჩნდა სწორედ მაშინ, როდესაც მისმა ნიჭმა უმეტესად იჩინა შემოქმედებითი ძალა.

რამდენად დასაჯერებელია ეს ზღაპარი, რომ ფსიხიურის ავადმყოფობის ნიშნები გამოაჩნდა მაშინ, როდესაც ყაზბეგს ნიჭმა უმეტესად იჩინა შემოქმედებითი ძალა?

ყაზბეგის ფსიხიური ავადმყოფობა ჩვენ ყველამ ვიცოდით: ისიც ვიცოდით, რომ ავადმყოფობით გამოწვეული გულშემატკვარება და ლაპარაკის დროს აზრთა არევაც სჭირდა. განა შესაძლებელია ამისთანა ავადმყოფობით შეპყრობილი ტვინის პატრონს გამოეჩინა ის „შემოქმედებითი ნიჭი“, რომლითაც ალ. ყაზბეგმა ისახელა თავი? ეს ისეთი აბსურდია, რომ არა მგონია, ვისაც კარგად აქვს გაცნობილი ალ. ყაზბეგის წარსული — არ დამეთანხმოს, რომ სწორედ ამ ავადმყოფობით და „განდიდების მანიით“ შეპყრობილმა ალ. ყაზბეგმა, რომელსაც ბედმა გაუღიმა, — იხელთა მარჯვე შემთხვევა და დიმიტრის ნაწერები გადაიტანა თავის ოთახში, გადაწერა, ორიგინალები დაწვა და დაიწყო ბეჭდვა სხვისი მოთხოვნებისა თავის სახელით: თუ ალ. ყაზბეგი ყოვლად სუსტი მსახიობი და დრამატურგი იყო, სამაგიეროდ ბიძის ნიჭის წყალობით ის გახდა ნიჭიერი ბელეტრისტი, კარგი ენით დაწერილი მოთხრობების „ავტორი“ (აქა-იქ ნაწერებში თუ ჩახს შეუფერებლობა საერთო სტილისა, ჩემის აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ დიმიტრის მიერ შეტანილი ზოგიერთი შესწორებანი ალ. ყაზბეგს გადაწერის, დროს სიჩქარით თუ სხვა მიზეზით ვერ გაურჩევია და თვითონ ჩაურთავს წინადადებანი გაურჩეველ წინადადებათა მაგივრად).

პირველად „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული ყაზბეგის თხზულებანი უბოგრაფიო გამოვიდა. ალ. ყაზბეგის ავტორობის შესახებ დაბადებულ ეჭვების შემდეგ შეუდგენი იმის გამორკვევას, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ჩვენი მოსაზრებანი და ეჭვები. ამისათვის უწინარეს ყოვლისა მივმართე ალ. ყაზბეგის მამიდას, რომელიც ალექსანდრესთან ერთად აღზრდილია და კარგად უნდა სცოდნოდა სანდროს წარსული. ეს იყო ალ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, 1904 წლის დამდეგს, როდესაც განვიზრახე ყაზბეგის ყველა ნაწერების ერთ ტომში დაბეჭდვა და ეურნ. „მოამბე“-„ცნობის ფურცლს“ ხელისმომწერ-

*) დ. კარიკაშვილი — ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია, თბ. ყაზბეგისა, გამოცემა 1905 წ. ეურნალ „მოამბის“ პირველი გვ. XXIX.

ღმინსათვის პრემიად დარიგება. ახლა, ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, მაინც უნდა დარიგებულიყო მისი ბიოგრაფია.

ელისაბედ ყაზბეგი, დაი დიმიტრისა და ალექსანდრეს მშობლებსა ტოვებდა, განვითარებული და კეთილი ხასიათის მანდილოსანი იყო. პირველი კოთხი ტომის დაბეჭდვის შემდეგ ელისაბედი რამდენჯერმე იყო ჩვენს დაწესებულებაში და ხშირად, სხვათა შორის, ჩამოუვლია ლაპარაკი სანდრო ყაზბეგის „ავტორობის“ შესახებ. ელისაბედი პირველში მტკიცედ დარწმუნდა, რომ ალექსანდრე უნდა იყოს მოთხრობების ავტორიო, თუმცა მე თვითონ არას დროს არ მინახავს, როდის სწერდაო. მაგრამ ელისაბედ ყაზბეგს ასეთი ფრაზა წამოსცდა: „ქართველი ერისათვის განა რა განსხვავებაა, ვისი დაწერილიაო?“ ამის შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ელისაბედს უნდა სკოდნოდა ალ. ყაზბეგის შესახებ ზოგი რამ, რაც მეც და ჩემს მიგობრებსაც გვიანტერესებდა. რაკი ამაში დავრწმუნდი, ვამჯობინე მე თვითონ შევლო ელისაბედთან და ყველაფერი დაწერილებით გამეგო.

პირველ მისვლისათავე ელისაბედს პირდაპირ გავუხიარე ჩემი ექვები, და ვთხოვე გადმოეცა ყველაფერი, რაც იცოდა. ელისაბედმა ცოტა ყოყმანის შემდეგ ჯერ სიტყვა ჩამომართვა, რომ მისი, ელისაბედის, სიცოცხლის დროს იმის ნათქვამი არსად არ იქმნებოდა მოთავსებული და შემდეგ დაწერილებით მიამბო მთელი ბოროტი საქციელი ალ. ყაზბეგისა *).

ელისაბედის ნაამბობის შემდეგ პირადად მე და ზოგიერთ ჩემს მეგობრებს ექვც კი აღარ გვეკონდა, რომ მოთხრობების ავტორი დიმიტრი იყო, ხოლო სუსტი ლექსებისა და პიესებისა — ალექსანდრე, თუ ზოგიერთი ამის შემდეგაც მაინც ყოყმანობდნენ, ეს გამოწვეული იყო „მნახელთა“ და „დამსწრეთა“ სიტყვებით, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ყაზბეგი (ალექსანდრე) სწერდა იმით თვალწინ, მაგრამ არც ერთს არ უნახავს, თუ რასა სწერდა. ვერ იტყვიან, რომ მას შინიდან ჯიბით და უბით არ მოჰქონდა მხად გადაწერილი, რომ რედაქციაში ის სხვა უმნიშვნელო საქმეზე არ მუშაობდა „მნახელთა“ და „დამსწრეთა“ თვალების ასახვევად. მეც მინახავს სანდრო „დროების“ რედაქციაში, მაგიდის ბოლოში მიმჯდარი, თავდახრილი, მოფარებით რილაცის მწერავე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მეც და სხვებსაც არ უნახავთ, ა. ყაზბეგი რასა სწერდა რედაქციაში. ვერავენ დაგვარწმუნებს, რომ სანდრო ყაზბეგს, რომელსაც მაშინ ტყინში და ძარღვებში უკვე დავლილი და გამჯდარი ჰქონდა ლუგის მხამი და დაწებული ჰქონდა პროგრესიული სიდამბლე, შესძლებოდა იმ ხმაურობაში თეთრად, შეუუდომლად, გაუსწორებლივ წყობრად ეწერნა მოთხრობები, რომლებს შინაარსმა, ენამ, შემოქმედების ნიჭმა და ძალამ გააკვირვა ყველა ჩვენი გახტეული მწერალნი და მოღვაწენი.

ალ. ყაზბეგს ლექსების დასაწერად ლექსიკონიდან ცალკე ამოწერილი ჰქონდა (ეს მის რვეულებში იყო) რამდენიმე გვერდზე სიტყვები სხვადასხვა დაბოლოებით, რომ რითმისათვის გამოსდგომოდა — რატომ ლექსების წერაში არ იჩენდა ენის სიმდიდრეს, რომელიც მოთხრობების წერაში გამოიჩინა, ან

*) ელისაბედ ყაზბეგის მოგონებანი რამდენიმე წლის წინათ „მნათობ“-ში დაიბეჭდა.

ფენომენალური მეტსიერება? (მე არ ვამბობ ნიჭზე. შეიძლება მოთხოვნების მწერალს ლექსის წერის ნიჭი არა ჰქონდეს, და პირიქითაც).

ჩვენ („ამხანაგობას“) განზრახვა გვქონდა ჩვენი ცნობილი მწერლებს ეურნალ-გაზეთებში გაფანტული ნაწერები შეგვეგროვებინა და ჯერ [ინგ. მტკრთაფილი გამოგვეცა, ვინაიდან მკითხველი საზოგადოება მოკლებულე იყო საშუალებას ამა თუ იმ ჩვენი მწერლის ნაწერები გაეცნო და წარმოადგენა ჰქონოდა ჩვენს ლიტერატურაზე. ვარდა იმისა, მომავალ თაობასაც ხომ უნდა მისცემოდა საშუალება, თუ სკოლებში არა, შინ მაინც გაეცნოთ ჩვენი მწერლები. ამით ვხელმძღვანელობდით, როდესაც დავბეჭდეთ რაფიელ ერისთავის ნაწერების პირველი ტომი — პოეზია, აკაკი წერეთლის ორი ტომი — პოეზია, ილია ჭავჭავაძის ოთხი ტომი — პოეზია და მოთხრობები.

რაფიელ ერისთავი დიდად გახარებული იყო თურმე, როდესაც ლადო აღნიაშვილი მივიდა მასთან და ამხანაგების სახელით სთხოვა მის თხზულებათა გამოცემის ნებართვა. რაფიელ ერისთავი დიდად დაკმაყოფილდა ჩვენი წინადადებით, ხელს გვიწყობდა, რათა თავისი ნაწერები მალე ენახნა ერთად გამოცემული. რაფიელი ჰგონობდა, რომ შესაძლებელი იყო მისი პოეზია დაგვებეჭდნა და დრამატიული ნაწერების (ვოდვეილები) დაბეჭდვა გადაგვედო. ჩვენ ასეც ვფიქრობდით, რომ ვოდვეილები შემდეგ დაგვებეჭდნა როდისმე, როგორც მწერლის შემოქმედების დამახასიათებელი მასალა.

მანამდე ლექსებს შევაგროვებდით, რაფიელმა თავისი ვოდველები მოგვიტანა, უკვე დასაბეჭდათ გადაწერილი. ძალიან გეთხოვდა ჯერ პიესები დაგვებეჭდნა, რადგან ვითომ დიდი მოთხოვნილება ყოფილიყოს და გაიყიდებო. ჩვენ დიპლომატიურად ავიცილეთ თავიდან მისი წინადადება, თუმცა მოტანილი მასალა მივიღეთ, რომელიც კარგა ხნის შემდეგ გადავეცი წერაკითხვის გამავრც. საზოგადოებას.

რაფიელ ერისთავი გულთხ და სულით მოწადინებული იყო, როგორც კარგი ქართველი და მსურველი სამშობლოს კულტურულად განვითარებისა, რამდენადაც შეეძლო ხელი შეეწყო ყველა ისეთ დაწესებულებისათვის, რომელიც საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა. ერთხელ შინაურულად მითხრა: „მე არ ვიცი ცენზორად როდემდე ვიქნები. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საქაროდ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარო.“

ამხანაგობა დიდად დაინტერესებული იყო. გამოეცა თხზულებანი ჩვენი სასიქადულო მწერალთა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა. ილია ჭავჭავაძესთან შეთანხმება უფრო ადვილი შეიქნა, თუმცა მას ჩვენს საზოგადოებაში მძიმე კაცის სახელი ჰქონდა. რასაკვირველია, ეს სიცრუე იყო, შეთხზული მისი მოწინააღმდეგეებისაგან, როგორც საზოგადო მოღვაწეობის, ისე სალიტერატურო ასპარეზზე. ჭავჭავაძემ უცვლელად მიიღო ჩვენი წინადადება, ხოლო ერთი პირობა დაგვიდო: გამოსაცემი მასალა ჯერ მისთვის წარგვედგინა გადასასინჯავად და დასაბეჭდად მის მიერ ნებადართულის და შესწორებულის უკანასკნელი კორექტურაც უნდა გაეცინჯა. ამ სამართლიანმა და სასურველმა მისმა მოთხოვნამ

ცოტათი დააგვიანა მისი ნაწერების გამოცემანი და ამიტომ მისივე სრულყოფილად ვერ მოვახერხეთ დამთავრება სრულ მის თხზულებათა გამოცემისა. საბავიეროთ ჩვენ გამოვეცით ავტორის მიერ ორჯერ გადაიხიჯულ-გაწმენილ მისი ნაწერები, რასაც ჩვენ დიდად ვაფასებდით. როდესაც მისი ნაწერები მისი ნაწერები დავეტყდეთ, რომელშიაც დავაბოლოეთ მისი ბელეტრისტიკა, ჩვენ წარუდგინეთ პუბლიცისტური ხასიათის ნაწერებიც, რომლის შეგროვებას და ერთად გამოცემას მაშინ ჩვენ შეტ მნიშვნელობას ვაძლევდით. ერთი უცნაური ამბავი მოხდა, ჩემთვის დღემდე გაუგებარი. ილიამ მოითხოვა დაბეჭვდა მის მიერ ნათარგმნი მოთხრობისა „იზა“-სი: ჯერ ეს დაბეჭდეთ და მერე დანარჩენიო. მე და ლადო აღნიავილი ბევრს ვეცადეთ დაგვერწმუნებინა ილია, რომ საზოგადოება დიდად დაინტერესებულია მისი ნაწერებით, მაგრამ ილია ქავეკავაძემ აქ გამოიჩინა თავისი ხასიათის სიმტკიცე და გვაძულა დავთანხმებულიყავით და მეოთხე ტომად დაგვებეჭდნა „იზა“, რომელმაც დიდი ხარჯი მოითხოვა, მკითხველი კი ამ წიგნს არ მოითხოვდა. რა იყო მიზეზი, რომ ილია ასე დაეინებით თხოვლობდა „იზა“-ს დაბეჭვდას? ზოგნი ამბობდნენ, რომ „იზა“-ს თარგმანთან დაკავშირებული იყო პატარა მისი (ილიას) რომანი, და სურდა ეს სასიამოვნო მისი დრო საბუთებით აღბეჭდილიყო მისი ნაწერების ერთერთ ტომშიო. იჩენება ამ ხმებს რამე საფუძველი ჰქონდა, თუმცა დიდად საეჭვო იყო, რომ ილიას ეხელმძღვანელებინა ამისთანა არა სერიოზული მიზეზით. ასე იყო, თუ ისე ამ ტომის გამოცემა ხელი შეგვიშალა მეხუთე ტომი გამოვეცეა. ეს კია, რომ ილია დიდად კმაყოფილი იყო მეოთხე ტომის დაბეჭვდით. მის კარგ მოპყრობას ჩვენს ამხანაგობისადმი ყველანი დიდათ ვაფასებდით და დიდი იმედიც გვქონდა, რომ იმ ყოველთვიურ ჟურნალში, რომლის გამოცემის განზრახვა გვქონდა და მხოლოდ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორებას ვუცდიდით,—ილია ქავეკავაძეც ითანამშრომლებდა.

ჩვენი მოლოდინი და სურვილი შესრულდა. 1894 წლის დამდეგს გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალ „მოამბის“-ა, რომელშიაც მოთავსებული იყო, სხვათა შორის, ილიას ახალი მოთხრობის „უცნაური ამბავი“-ს დასაწყისი და მეორე ნომერში—მისი ლექსი „კითხვა-პასუხი“. ამის შესახებ ცოტა ქვევით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მეორე მწერალთან, აკაკი წერეთელთან, შეთანხმება უფრო ძნელი იყო, რადგან ყოველი ამისთანა შეთანხმების დროს აკაკის პირველი სალაპარაკო ის იყო, თუ რამდენს მიიღებს წინაღვე და სხვ. ასე თუ ისე, მაინც შევთანხმდით, რომ წინდაწინვე, მოგების ანგარიშში, რომელიც შუაზე უნდა გაგვეყო, ის 2000 მანეთს მიიღებდა და ახალ დაწერილსაც ცალკე გამოსაცემად ამხანაგობას გადასცემდა. ამხანაგობის მიერ პირობა შესრულებული იქნა: აკაკის 2000 მ. გადაეცა. ამხანაგობამ წარუდგინა აკაკის გადაწერილი მისი ლექსების კრებული, საილამაც თერამეტი ლექსი აკაკიმ ამოშალა, როგორც უმნიშვნელოვანი და ამით გათავდა მისი მონაწილეობა გამოცემის ტენიკაში. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი სრულიად დაკმაყოფილებელი იყო და თითონ დაარღვია ხელშეკრულება იმით, რომ ახალი პოემა სხვას გადასცა დასაბეჭვად, მაინც ხალხში დადიოდა და ლაპარაკობდა, რომ ჩვენ (ამხანაგობამ) მოვატყუეთ და სხვ. ხალხში ამისთანა ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქ-

ცვედით, რადგან ყველა კარგად იცნობდა აკაკის და მის ენას. მაგრამ „ქალში“ მოათავსეს რაღაც ამ ქორების მსგავსი. ამის გამო მე „ივერიაში“ მოკითავსე განმარტების წერილი. ამის შემდეგ აკაკი სდუმდა, მხოლოდ ~~ჩაჩხაჩხა~~ უწყალო ლექსი დაწერა ჩემზე.

„ქართველთა ამხანაგობის“ სარედაქციო კომისიის ვიწრო წრე უფრო ხშირად ჩემს ბინაზე იკრიბებოდა, მანამ შესაჯერ ბინას ვიშოვიდით ამხანაგობის სტამბისა და კონტორის მოსაწყობად. სარედაქციო საქმეების გათავების შემდეგ სხვა საზოგადო საქმეებზედაც ვლაპარაკობდით ხოლმე. ერთ ამ კრებაზე ლადომ (აღნიშვილმა) განაცხადა, რომ მას ჰსურს ქართული ხორო შეადგინოს, კარგად მოამზადოს და, გარდა იმისა, რომ საქართველოს გააცნობს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, რუსეთის ქალაქებიც მოიაროს და, თუ საშუალება ნებას მისცემს, ევროპის ქალაქებშიც წავიდეს, ლადო სავსე იყო პატრიოტული გრძნობებით, უნდოდა საქართველოს მუსიკალური უნარი, ხალხური ხმების სიმდიდრე ეჩვენებინა რუსეთშიაც და ევროპაშიაც. ეს აზრი დაებადა სლავიანსკის კონცერტის შემდეგ, რომელიც ტფილისში იყო გამართული რუსეთიდან მოსული ხოროს მიერ. ეს აზრი ყველამ მოუწონა, მხოლოდ ნიეთიერ შესაძლებლობის შესახებ ეჭვი იყო გამოთქმული: მანამ თვით ხორო შეიძლება თავის შემოსავალით თავის შენახვას, დიდი ფული დასჭირდება ხოროს მომზადებას, მით უფრო, რომ ლადო აღნიშვილმა არც სიმღერა იცოდა (არც იმდენად იყო მომზადებული, რომ ხოროსათვის თეორიულ მუსიკალური ხელმძღვანელობა გაეწია. მაშასადამე, მასწავლებელი-ლოტბარი უნდა მიეწვია ჯამაგირით, ისიც ისეთი მცოდნე, რომ ხორო საევიროპოდ მოემზადებინა ქართული ხმების დაუმახინჯებლად, მისი ორიგინალური მხარეების დაცვით.)

ცოტა ხანს შემდეგ ლადომ მახარა, რომ მასწავლებლად და ლოტბარად მიიწვია ტენორი რატელი, რომელიც დათანხმდა უსასყიდლოდ მუშაობასაო. რატელი ხმადაკარგული ტენორი იყო, რომელიც ტფილისის ოპერაში მღეროდა ორ-სამ სეზონს, მაგრამ მერე ხმა წაერთვა და აქ დარჩა. მასწავლებლობდა. სიმღერის გაკვეთილებს აძლევდა. როგორც მცოდნე პირები ამბობდენ, თეორიულად კარგათ იყო მომზადებული. სცენაზე პირველად რატელი მოვისმინე „ფაუსტ“-ში ამავე სახელის პარტიაში, როდესაც ჩვენი მომღერალი ახლად იტალიიდან დაბრუნებული ფილიმონ ქორიძე მეფისტოფელის პარტიასა მღეროდა. რატელი დაბალი იყო, ქორიძე კი მეტად ახოვანი, სქელი. სცენაზე ეს კონსტრასტი სასაცილო იყო. აი ეს რატელი, ჩამომავლობით ჩემი, ლოტბარად ჩაუდგა ხოროს და გულმოდგინედაც მუშაობდა. ლადო აღნიშვილის ხოროს პირველი კონცერტი 26 დეკემბერს 1886 წ. გაიმართა. დიდი ტრიუმფი იყო, დიდი ოვაციებით მიიღეს ეს ქართული ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი, თვით ლადო და რატელი. კონცერტის პროგრამმა იყო შემდეგი: I გაწყოფილება: 1. ალილო (კახეთისა), 2. მივალ, მაგრამ, 3. დელა (ნემცეური ხმა), 4. ვაზაფხული, 5. ნეტავი, გოგოვ, მე და შენ. მე-II გაწყოფილება: 1. მუშური მარში, 2. საქართველოს დედოფალი, 3. გიყი ვანო, 4. ხევ-ხევ თეონა, 5. ქალო, ერთი მითხარი. მე-III გაწყოფილება: 1. ურმული—გარე-კახური და ქვემო

ქართულური, 2. ხასანბეგური, გადაღებული ბენაშვილის მიერ, 3. ცრემლი, 4. აფხაზური, 5. მუმლი მუხასა.

ამ ახალმა საქმემ ლადო აღნიაშვილი დაგვაშორა, ვინაიდან დრო მთლად ხოროს მოანდომა. თუმცა ხორო კარგად იყო მომზადებული, მაგრამ რუსეთში წასვლა უფულობისა გამო ვერ მოახერხა. რამდენიმე წლის შემდეგ საქმე ჩაიშალა, თვითონ ლადო სპარსეთში წავიდა, იქ გადასახლებულ ქართველთა რაოდენობის გამოსარკვევად, იმათი ყოფაცხოვრების სანახაველ და სხვა აზრად ჰქონდა შუამდგომლობა აღძრა რუსეთის მთავრობის წინაშე სპარსეთში მყოფ ქართველების დასაბრუნებლად.

ჩვენი გეგმა უფრო ფართე იყო, ვიდრე წიგნაკების ბეჭედა, თხუხულებათა გამოცემა. საჭირო იყო პერიოდულ გამოცემის დაარსება და ამის გარშემო ლიტერატურული ძალების შემოკრება და, რამდენადაც მოსახერხებელი იქმნებოდა, გამოცემის გარშემო ისეთი წრის შექმნა, რომელსაც შესძლებოდა მუშაობა გაეწია პოლიტიკურ საქართველოს განთავისუფლების ნიადაგზე, ხოლო პერიოდული გამოცემა გვეჭონდა ჩვენი მისწრაფების გამოხატველად, რამდენადაც ცენზურა შეგვაძლებინებდა.

არსებობდა გაზეთი „ივერია“, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა, მაგრამ ახალგაზრდობა „ივერიი“-ს რედაქციას თითქო არ ეკარებოდა. რა იყო ამის მიზეზი—ყველამ ვიცოდით. უკანასკნელ ხანებში ილია ჭავჭავაძეს გაზეთისათვის დრო არა ჰქონდა, ხოლო ვინც რედაქციას განაგებდა — იმათ ახალგაზრდობა ვერ მიიზიდა, არც უნდოდა მათი მიზიდვა, ჯერ ერთი იმისათვის, რომ ახალგაზრდობას გაზეთის მიმართულებაზე არ ემოქმედნა, და მეორე — გაზეთის ცოტა შემოსავალი ჰქონდა და ამას სხვებს ვერ გაუანაწილებდნენ. ილია ჭავჭავაძე საკუთარი თანხით ჰფარავდა გაზეთის ზარალს.

1892 წ. პეტერბურგში თხოვნა გავგზავნე ყოველდღიური გაზეთის გამოცემის შესახებ. რამდენიმე თვის შემდეგ უარი მივიღე. საზოგადოთ იმ ხანებში „ოკრაინაზე“ პოლიტიკური გაზეთების ნებას მთავრობა ძალიან ძნელად აძლევდა, და ისიც ქართულისას.

გადავწყვიტე, ჯერ თვითონ ჟურნალი გამოგვეცა. რაკი ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღებაც ძალიან ძნელი იყო და მე დროებით უფლება აღარა მქონდა შუამდგომლობის აღძვრისა, მანამ პირველს არ მიიღვიწყებდნენ, ალ. ჭყონიას და ნიკო ლოლობერიძეს მივმართე, რომელსაც მე 1885 წლიდან ვიცნობდით და ერთმანეთთან კარგადაც ვიყავით. მათ უნდა ეთხოვნათ ნებართვა ჟურნალის გამოცემისა. ჭყონია რედაქტორად უნდა წარდგენილიყო, ლოლობერიძე — გამომცემლად. აზრად მქონდა, თუ ნებართვა მოვიდოდა, მაშინ არსებული კანონით ორი-სამი თვის გამომცემლობას ნოტარიუსის წესით ვადმოვიტანდი ჩემს სახელზე, ხოლო თუ ალ. ჭყონიასთან პრინციპიალურ კითხვებში ვერ შევთანხმდებოდი, რედაქტორის შესახებ შუამდგომლობას შემდეგ აღძვრავდი. ლოლობერიძე მხოლოთ იმ პირობით დათანხმდა, რომ სამი-ოთხი თვის შემდეგ გამომცემლობის პასუხისმგებლისგან გამენთავისუფლებინა, რადგან ეშინოდა, ჟურნალის ზარალი მას არ დასწოლოდა კისერზე.

ჟურნალი „მოამბის“ გამოსაცემად ნებართვა 1893 წ. მიიღო; „მოამბის“ პირველი ნომერი 1894 წ. იანვრის დამდეგს გამოვიდა. პირველი ნომერი თებერვალში მეორედ დაიბეჭდა და გამოვიდა, რადგან დაბეჭდილი „მოამბის“ პირველ-შივე დარიგდა.

სამი თვის შემდეგ გამომცემლობა ჩემს სახელზე ვადმოვიტანე, რედაქტორად ალ. ჭყონია დარჩა.

რად ავირჩიეთ ალ. ჭყონია? როდესაც სარედაქციო საქმეები გართულდა და სასურველად ახალი წევრებიც შემოვიდნენ ამხანაგობაში, სარედაქციო კომისია განვახლეთ. მაშინ რედაქციაში იყვნენ ნიკო მთვარელაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ბაქრაძე, სამსონ ინასარიძე, ივანე მაჭავარიანი, მე და შემდეგ გ. ლასხიშვილი. თაყაიშვილის რჩევით რედაქტორად ალექსანდრე ჭყონია ავირჩიეთ მიუხედავად იმისა, რომ სარედაქციო კომისიის წევრებს, გარდა ორისა თუ სამისა, ჭყონია არავის იცნობდა, მაინც დათანხმდა რედაქტორობაზე, დარწმუნებული ვარ—ექვთიმეს რჩევით. ექვთიმემ ისეთი ქებით აგვიწერა ჭყონიას პიროვნება, რომ სხვა კანდიდატზე აღარც კი გვიფიქრნია. რადგან ამ კითხვაში გადაწყვეტი ხმა მე მქონდა, დავადგინე ჭყონიას მოვლაპარაკებოდი. ალექსანდრე ჭყონია იშვიათად უმწიკვლო, პატიოსანი, პირდაპირი და კარგი მშრომელი იყო, თავზიანი ყველასთან, თავდაჭერილი და ამასთანავე კოლეგიალური წყობილების პატივისმცემელი. ჟურნალის სარედაქციო კომისიაც შესაფერი პირობისაგან შესდგებოდა. მე არ მახსოვს, რომ სარედაქციო კომისიას და ალ. ჭყონიას შორის რაიმე უთანხმოება ყოფილიყო.

მხოლოდ 1902 წ. ჭყონიასა და „ცნობის ფურცლის“ ზოგიერთ თანამშრომელთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. გამგეობის არჩევნების დროს უსიამოვნობა მოხდა. რა იყო მიზეზი, რომ არჩევნების წინა დღეებში ზოგიერთმა ახალმა თანამშრომელმა ჭყონიას კანდიდატურის (გამგეობის წევრი) წინააღმდეგ მუშაობა დაიწყო—ჩემთვის მაინც გამოურკვეველი დარჩა. ჭყონია აღარ აიძინეს გამგეობის წევრად. მიზეზი, რასაკვირველია, უნადავგო ინტრიგები იყო.

მე ცოტა წინ ვადავბტი. დავბრუნდები ჟურნალი „მოამბის“ გამოცემის პირველ წლებს.

რადგან ამხანაგობას საბრუნებელი თანხა ძალიან მცირე მქონდა, მუშაობას კი ინტენსიურად აწარმოებდა, ამიტომ მან მოკლე ხანში ოცზე მეტი ცალკე წიგნი და ტომი გამოსცა და ამავე დროს ყოველთვე „მოამბე“, გამოდიოდა, რომელიც დიდ ხარჯს თხოულობდა, რადგან თითქმის ყველა მასალაში პონორარი ეძლეოდათ. ეს ახალი ერა იყო ჩვენს დროგამოშვებით გამომცემლობაში. ამხანაგობის სალარო დიდ განსაცდელში იყო. სტამბის, ჟურნალის შემოსავალი და შემოსავალი წიგნების გამომცემლობის მიმდინარე ხარჯებს ვეღარ აძლიოდა და ვალი იზრდებოდა. წიგნები ადგილობრივ სუსტად იყიდებოდა, ხოლო ამხანაგების აგენტებთაგანნი ორიოდ თუ გვიგზავნიდა თავის დროზე ანგარიშსა და ფულს, უმეტესობა კი ჩვენს წერილებზე პასუხსაც არ გვაძლევდა.

თუმცა ჩემი პირადი კრედიტები (რომლითაც ესარგებლობდი ამხანაგობისათვის, გავაფართოვე ბანაკებშიც და ქალაქის მოვაჭრეებთანაც, მაგრამ ცხადი იყო, რომ პერიოდულ გამოცემისათვის სხვა წყარო უნდა შევქნა, მით უფრო,

რომ, ჟურნალის გამოცემა არ აკმაყოფილებდა იმ გეგმას, რომელიც დასახული მქონდა. საჭირო იყო ყოველდღიური გაზეთის გამოცემა, რომლის ნებართვის მიღება დიდად გაძნელებული იყო. ერთად-ერთი წყარო — სტამბის ქუჩის მფლობელი გაძლიერება იყო. ეს საჭირო იყო კიდევ სხვა მოსაზრებითაც — მსგავსი მდგომარეობა უნდა შეემქნა, რომ ჩვენი სტამბა, ჩვენი საქმე ცენტრი გამხდარიყო მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და აგვეჩქარებინა, გაგვეცხოველებინა ერთგვარი მოძრაობა ამ ნიადაგზე. მართალია, ჩემს გარშემო დიდი წრე არ იყო, მაგრამ უკეთესი მამული-შვილები იდგნენ ახლო, მათთან ერთად შეიძლებოდა მუშაობა. ახლო იდგნენ გიორგი ლასხიშვილი, გიგო რუხილაძე, შაქრო ბოლანიშვილი. თუ საქმეების მართვა-გამგეობაში მართო ვიყავე ჭაბანწყევტაში, სამაგვიროთ დანარჩენ საქმეებში ლიტერატურულად კარგი, ერთგული, პატიოსანი პირები იყვნენ გარშემო. ზევით, მხოლოდ ისინი დავასახელე, ვინც უფრო ახლო იდგა ჩემთან, თორემ წრე ვაცილებით უფრო ფართო იყო, საუკეთესო პირებისაგან შემდგარი.

ერთად-ერთი წყარო შემოსავლის გადიდებისა სტამბა იყო, რომლისათვისაც დიდი სამუშაო უნდა გამოემძებნა. ეს იყო რკინის გზის საქმეები. იმ საქმეებს ასრულებდა ლიბერმანის სტამბა, მგონი ოცი წლის განმავლობაში, და ვერც ერთმა სტამბამ ვერ გაბედა საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიეღო, რადგან: 1. სამუშაო ძალიან რთული იყო; 2. ფასები დიდის საიდუმლოებით იყო დაცული როგორც სტამბაში, ისევე თვით რკინის გზის მმართველობაში; 3. საჭირო იყო მოკლე ხანში დიდი სტამბის მოწყობა, ამისთვის კი განგებ მოკლე დრო ეძლეოდა საქმეების ამღებ; 4. საქმეებს აძლევდნენ 3 ან 2 წლით და, მასთანავე, ძნელი იყო ვინმეს გაებედნა დიდი ხარჯი გაეწია დიდი სტამბის მოსაწყობად, როდესაც არ იცოდა, მეორედ მიიღებდა საქმეებს თუ არა. დასასრულ, რკინის გზა უფლებას იტოვებდა, მიუხედავად ფასების სიმცირისა, საქმეები იმისთვის გადაეცა, ვისაც უფრო ენდობოდა, გარდა ამისა განცხადებდნენ და ფასებთან ერთად ფულად უნდა წარდგენილიყო 5000 მან. საწინდარი.

1895 წ. ზაფხულში ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ ვაჭრობა გამოაცხადა სასტამბო საქმეების სამუშაოს გასაცემად. რადგან საწინდრად წარსადგენად ნაღდი ფული არა გვქონდა, მე პირდაპირ გზათა მინისტრს, ხილკოვს, მივმართე — ნება დაერთო საწინდრად სტამბა წარმედგინა. პეტერბურგიდან მოსული ამის ნებართვა რკინის გზის აქაურმა მმართველობამ გადმოგზავნა ვაჭრობის მეორე დღეს, თუმცა ქალაქი დიდი ხნის გამოგზავნილი აღმოჩნდა. აქედამ ცხადად ჩანდა, თუ ლიბერმანს და რკინის გზის აქაურ მმართველობას როგორი შინაური ურთიერთშორისი განწყობილება ჰქონდათ. ამ საქციელმა ძალიან მიშველა, შემდეგში უფრო გაბედულად მოვიქეცი.

ხუთი წლის განმავლობაში ბევრი ვაჭიერება უნდა გამომეგლო, რომ დამეკმაყოფილებინა ყველა ბარჯები და ვალები. როდესაც 1900 წ. დადგა და ამიერკავკას. რკინის გზის მმართველობამ საჯარო ვაჭრობის განცხადება დაბეჭდა რკინის გზის სასტამბო საქმეების შესრულების შესახებ, მე გზათა მინისტრს ღებუთით საჩივარი გავუგზავნე და განცხადების რედაქციის შეცვლა მოვითხოვე. მინისტრმა პასუხი არ დაავიანა და თავის საჩქარო განკარგულებით ჩემი თხო-

ვისამებრ შეაცვლეინა განცხადების რედაქცია. ბრძოლა დიდი დამპყრობე, სამ-
ჯერ დებეშით გაგზავნილი საჩივარი სამჯერვე იქნა გზათა ექსპრესტრის მიერ
დაკმაყოფილებული: უკანასკნელი ჩემი დებეშით გაგზავნილი, ~~ქუთაისის~~ ~~ქუთაისის~~ ~~ქუთაისის~~
ამიერ-კავკასიის რკინის მმართველობას ბრძანება მოუვიდა გზათა მინისტრისა-
გან: სამუშაო გადაეცით „ქართველთა ამხანაგობას“ და სტამბის გასაფართოებლად
სამის თვის ვადის მაგივრად ექვსი თვე მიეცითო.

ყველაფერი მოეწყო წინდაწინ შედგენილი გეგმით და 1901 წლის 1 იან-
ვარს ახალ დიდ სტამბაში, რომელიც მოწყობილ იქნა თითქმის უწინასწარო
ხარჯით (სულ 1500 მან. მივეცი ავანსად 80000 მანეთად ღირებულ სტამბის და
სხვა სახელოსნოების მოსაწყობად), სამ სართულიანი სახლიც საკუთრივ ამისა-
თვის იყო აშენებული. როგორ და რა ნაირად? ეს არავისათვის ინტერესს არ
წარმოადგენს. სტამბის მოწყობის შესახებ ცნობები იმისათვის მოვიყვანე,
რომ მკითხველმა წარმოიდგინოს, რამდენი ბრძოლა იყო საჭირო წინანდელ
დაწესებულებებთან: ეს ბიუროკრატობა კი არა გაიძვერობა და მექრთამობა
იყო.

ახლად მოწყობილ სტამბაში საკაზმაოში, ასოთჩამომსხმელში და სხვ. სახე-
ლოსნოებში 1901 წლის 2 იანვრამდამ 9 საათის სამუშაო დღე შემოვიღე,
ხოლო შაბათობით 8 ს. ამ სამუშაო დღის გამოცხადებასთან მუშებს აღვუთქი
ხუთი წლის შემდეგ 8 ს. სამუშაო დღის შემოღება. ჯამაგირი ეძლეოდათ იმავე
სამუშაო საათებში.

ზემოაღნიშნული 9 საათი იყო სიგნალი. ამის შემდეგ სხვა სტამბებში,
ლიტოგრაფიებში და ქარხნებშიც მოითხოვეს 9 საათის სამუშაო დღე. მალე
ამიერ-კავკასიის ყველა სტამბებში და ლიტოგრაფიებშიც შემოიღეს 9 ს., შემდეგ
ნელ-ნელა სხვა ქარხნებშიც ვრცელდებოდა ეს წესი.

ამხანაგობის სტამბის ყველა განყოფილებებში სამას კაცზე მეტი მუშაო-
გდა სამ ცვლად—მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

(შემდეგი იქნება)



ალ. სულავა

საქ. კ. პ. (ბ) მე-IX ყრილობა და საქართველოს საბჭოთა მწერლობა

ის გაცხოველებული ყურადღება და აღფრთოვანება, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა მწერლობის მისამ, — სალიტერატურულ ორგანიზაციებში და გამომცემლობებში საქვეშინო კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობისა და საქართველოს ბოლშევიკების მეცხრე ყრილობისათვის სამზადისის პერიოდში — ერთხელ კიდევ ზედმეტათ ამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი პარტიის მიერ წარმოებული მუშაობის ბრწყინვალე გამარჯვებას კერძოთ კულტურის ფრონტზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) მეცხრე ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა საქართველოს კომპარტიის 8 ყრილობიდან ორი წლის შემდეგ — შეაჯამა საუკეთესო ბოლშევიკის ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით წარმოებული გრანდიოზული მუშაობისა და მიღწევების სინამდვილე.

ამ განვლილი ორი წლის მუშაობის წყალობით ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია დიდ წარმატებებს. უზრუნველყოფილი იქნა ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების და გამარჯვების ბოლომდე გამოსწორება და გენიალური ბელადის ამხ. ი. სტალინის უშუალო მითითებათა ბოლშევიკური რეალიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა უდიდესი ცვლილებები მთელ სახალხო მეურნეობაში. უდიდესი წარმატებები ეკონომიკისა და კულტურის ფრონტზე, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მუშაობის გაძლიერება, სოციალისტური მიწად-მოქმედების განვითარება, მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე საწარმოო დავალებათა ბოლშევიკური განაღდება და სხ.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ყრილობის წინაშე თავისი მიღწევებით წარსდგება აგრეთვე საბჭოთა მწერლობაც, როგორც სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი მონაწილე ძალა, როგორც კულტურული რევოლუციის მოწინავე რაზმი.

გასული ორი წლის განმავლობაში პარტიის ბოლშევიკური ბელმწვანელობით ჩატარებული იქნა უდიდესი მუშაობა ლიტერატურისა და ხელოვნების ფროტზედ 23 აპრილის ისტორიული დადგენილების სწორებასა და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. ეს გარემოება საბჭოთა მწერლობას ავალბდა ეჩვენებია თავისი მუშაობის შედეგები ახალ ეტაპზე, ყჩვენებია თავისი საუკეთესო ნაწილის ნამდვილი შემოქმედებითი შემობრუნებისა და სოციალისტური აღმშენებლობის პრაქტიკაში მონაწილეობის ნაყოფი.

საქართველოს ბოლშევიკების მეცხრე ყრილობისათვის სამხადისის პერიოდში როგორც ცალკეულმა მწერლებმა, ისე ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა იყისრეს მთელი რიგი შემოქმედებითი და საგამომცემლო ხასიათის კონკრეტული ვალდებულებანი.

აღებული ვალდებულება არ დარჩა გაუნაღდებელი. მწერალთა დიდი უმრავლესობის მონაწილეობამ ყრილობის სამხადისში ფართე ხასიათი მიილო. ჩატარდა რამდენიმე დისპუტი, გამოიკა ეურნალ „მნათობისა“ და „სალიტერატურო გაზეთის“ გაერთიანებული ნომერი.

ამ გაზეთში მონაწილეობა მიილო ჩვენი მწერლობის უმრავლესობამ. გამოკცხლდა მუშაობა ახალ კადრებთან. გამხადებული იქნა გამოსაცემად ეურ. „ახალგაზრდა მწერალი“ გამოიკა ახალი წიგნები, დაიწერა ახალი მხატვრული ნაწარმოებები. ყრილობაზე მისასალმებლად გაიგზავნა მწერალთა დელეგაცია, რომელმაც საბჭოთა მწერლობის სახელით მიესალმა ბოლშევიკების ყრილობას, სადაც ირჩეოდა ჩვენი ქვეყნის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ სადაც დავიწყებული არ იყო ლიტერატურის ფრონტი.

ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ლ. ბერიამ, როგორც ვიცით, ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს საბჭოთა მწერლობის მიღწევები, ნაკლოვანებები და მომავალი საბრძოლო ამოკანები.

„ჩვენი მწერლობა—სიტყვა ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში (როგორც მთელი მხატვრული ინტელიგენცია) სოციალისტური მეურნეობის და ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის გიგანტურ გამარჯვებათა გავლენით თავის ძირითად ნაწილში მობრუნდა პროლეტარიატისაკენ. ის თანდათან აძლიერებს თავის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში“.

„უკანასკნელა ორი წლის განმავლობაში გამოვიდა მთელი რიგი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახულია მუშათა და გლეხთა რევოლუციონური ბრძოლა, სოციალისტური მშენებლობის ეპოქა და გმირები“. ამხ. ლ. ბერია შეებო აგრეთვე კლასიკოსების გამოკვამათა საქმეს, მწერალთა კავშირის მუშაობის გაუმჯობესებას და სხვა მიღწევებს, მაგრამ ამასთანავე ერთად დისძინა: „მიუხედავათ ყველა ამ წარმატებისა და მიღწევებისა, მთელმა რიგმა საბჭოთა და პროლეტარულმა მწერლებმა კიდევ ვერ აღმოფხვრეს ჯგუფობრივობის ნაშთები და რევიდივები, რაც საბჭოთა ლიტერატურას აშორებს სოციალისტური მშენებლობის ამოკანებს“.

ამხ. ბერიას მოხსენების ეს ნაწილი უსათუოდ ლიტერატურისა და მხარუნველი დამოკიდებულების ნიმუში იყო.

პარტიულ ყრილობას საქართველოს საბჭოთა მწერლებმა კვლავ შემოქმედებით დაუდასტურეს, რომ ისინი უშუალო მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ მშენებლობაში, რომ მათი ყურადღების გარეშე არ რჩება ჩვენი ცხოვრების არც ერთი ახალი მოვლენა.

ამისი დამამტკიცებელია თუნდაც ის ნარკვევები, მოთხრობები და ლექსები, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობსა“ და „სალიტერატურო გაზეთის“ გაერთიანებულ ნომერში. ამ ნაწარმოებებში ასახულია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურობა, ჩვენი ქვეყნის წინსვლის, ზრდის, წარმატების ფაქტები. ჩამოვთვლით ზოგიერთ ავტორებს: ტ. ტაბიძე ნარკვევში—„რიონი“ კონტრასტიული დაპირისპირებით იძლევა ძველად ოპირის სოფლების გადაშენების ტრალედიას და ეხლა საბჭოთა პირობებში მათი განახლების სურათს.

„გადაშენებაზე მისული, ასაყრელად მისული ორპირი შედის ახალი ცხოვრების ფაზაში—ამბობს ავტორი და სიხარულით აღწერს იმ პროცესებს, რაც იწვევს ამ ქვეყნის განახლებას „რძია-რძიებისა და ანწლებისა, ლაფანისა და გვიმრებისა და სხვა მცენარეთა მაგიერ—ქვეყანა იფინება დაფენებით, ფორთოხალით, მანდარინით და ლიმონით და სხ.“

პ. ჩხიკვაძე მოთხრობაში—„ყოფილი ღარიბი“ გვიხატავს იმ დიდ ცვლილებას, რომელიც ხდება ამ ეამად ჩვენს სოფელში—ადამიანთა შეგნებაში და ყოფაში—ღარიბის შეძლებულად გადაქცევის დროს.

ს. შანშიაშვილი ნარკვევი—„გიგანტური ზვარი“, მწერალი გაკვირვებულია იმ ცვლილებით, რომელიც კახეთის უდაბურ ადგილებში მომხდარა სოციალისტურ მშენებლობის შედეგათ. იქ სადაც უწინ „ისმოდა მხოლოდ მგლებისა და ტურების ლმუილი“ ამ ადგილებში ეხლა კოლმეურნეობებია და რაც კიდევ გასაოცარია, სოფლები ელექტრონითაა გაჩირალდნებული.

მწერლები არ ტოვებენ ყურადღების გარეშე არა თუ „აყვავებულ უდაბნოებს“ არამედ რკინის გზის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხს (ს. კლდიაშვილი წერილი „უღელტეხილი“) არ რჩება შეუმჩნეველი არც შირაქის ნავთის სამუშაოები (გ. ქუჩიშვილი) აგარის შაქრის ქარხანა (ა. ქუმბაძე, მ. ვარიყული) და სხვა.

ჩვენი სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების გიგანტიური ზრდა განვითარებით და პარტიის მიერ მიღწეული ისტორიული გამარჯვებით აიხსნება ის გარემოება, რომ ს. ა. პ. (ბ) მე-17 ყრილობისა და საქ. კომპარტიის მეცხრე ყრილობის სამხადისის პერიოდიდან მოკიდებული დღემდე მთელმა რიგმა საბჭოთა პოეტებისა უძღვნეს ლექსები—ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანს ჩვენი პარტიისა და მთავლიო პროლეტარიატის ბელადა ამხ. სტალინს.

საბჭოთა მწერლობის მიერ პარტყრილობისადმი გამოხმაურებისა და საუკეთესო საჩუქრის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს დ. შენგელაიას მიერ სახელდა-

ხელოდ დაწერილი ნაწარმოებები „ფიცის“ სადაც დიდი სიყვარულით და და-
ჯერებლობით აღწერილია ლენინის გარდაცვალების ამბავი და სტალინის მიერ
ისტორიული ფიცის წარმოთქმის მომენტი.

ყრილობისათვის აღებული ვალდებულებანი წარმოადგენდნენ ჩვენი ლი-
ტერატურის შესაძლებლობათა თავისებურ შემოწმებას.

საბჭოთა მწერლობის ასეთი გამარჯვების მაგალითად უნდა ჩაითვალოს
თუნდაც ის ფაქტი, რომ ყრილობის დელეგატებს პარტიულ ლიტერატურასთან
ერთად დაურეგდა პროლეტარული მწერლის კ. ლორთქიფანიძის რომა-
ნი—„ძირს სიმიინდის რესპუბლიკა“—როგორც ჩვენი დროის ერთი
საუკეთესო ნაწარმოებთაგანი.

ყრილობისთვის საერთო სამზადისს არ ჩამორჩენიან არც ჩვენი გამოცემლო-
ბანი: ყრილობის დღესასწაულისათვის „სახელგამისა“ და „ფედერაციის“ მიერ
გამოშვებული რქნა ოცდაათამდე სხვადასხვა სახელწოდების წიგნი მათ შორის
უსათუოდ აღსანიშნავია: სახელგამის ხაზით: ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოების
ოთხი ტომი. დ. შენგელიას რომანი „ბათა ქექია“, ა. ქუთათელის—„პირს-
პირ“, კ. ლორთქიფანიძის—„ძირს სიმიინდის რესპუბლიკა“, ბოროზდინის
„სამეგრელო და სვანეთი“, დანტეს „ჯოჯობეთი“ (კ. გამსახურდიასა
და კ. კიქინაძის თარგმ.) გ. კაქახიძის ლექსების წიგნი „ის უბანი და ის კარ-
მიდამო“, ჯ. ლონდონის—„მარტინ იდენი“, ვ. სტავსკის—„გაქანება“ ფ. ნაროუშვი-
ლის პოემების წიგნი „ორი მისამართი“, ი. ვაკელის—„ორი პოემა“, რ. ქორქიას—
„გრიგალი“, ლევან ასათიანის „ვოლტერიანობა საქართველოში“.

გამომცემლობა „ფედერაციის ხაზით: დ. კლდიაშვილის ნაწერების I ტომი,
ლ. ქიაჩელი „ტარიელ გოლუა“ დ. სულიაშვილის „კედელი“, ი. ლისაშვილის
„ვარდნილი“, „სპარსული ღირიკა“, „ლაზარული ტორმასელი“, ს. თალაკვაძის—
„გადასასვლელი“, ს. ეულის—„ლექსები“, კ. ბობოხიძის ლექსების წიგნი, ი.
ვაკელის—„ლექსები“, ბ. ბუაჩიძის „მატერული მწერლობის შემოქმედებითი
საკითხები“.

ყველა ამ წიგნებიდან მრავალი მეტად საინტერესო წიგნია. საინტერესო
გამოცემა, საინტერესო მატერული დოკუმენტი. ასეთია თუნდაც ქართულად
დანტეს—„ჯოჯობეთი“-ს გამოცემა, ჯეკ ლონდონის—„მარტინ იდენი“, „ლა-
ზარული ტორმასელი“, ბოროზდინის—„სამეგრელო“, კაქახიძის ლექსების წიგნი.

თანამედროვე პროზიდან დ. შენგელიას—„ბათა ქექია“ ქუთათელის—„პი-
რისპირ“ და სხვა.

ყველა ეს წიგნები და მწერალთა შემოქმედებანი მობილიზაციის მაგალი-
თები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი ლიტერატურის სი-
ნამდვილეში—ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ საბჭოთა ლიტერატურაში
ურყევია რწმენა კომუნისტური პარტიისადმი იმ დიდი მშენებლობისადმი, რო-
მელსაც ეწევა იგი. რომ საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური მშენებლობის
მონაწილეა ახალი სოციალისტური კულტურის მოწინავე ძალაა, რაც მას ავა-

ლებს აღმოფხვრას თავის რიგებში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, რომელზედაც მიუთითებდა ყრილობის ტრიბუნიდან მას ამხ. ჭეჭოყუნუაძე.

საბჭოთა მწერლობა და მისი საზოგადოებრიობა კარგად მიაჩვენებლბით შეხვდა ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკების ყრილობას. ეს გარემოება იმის საწინდარია, რომ „საჭ. საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელსაც სათავეში უდგას ქართული საბჭოთა კულტურის აქტიური მშენებელი და მეთავე ამხ. მალაქიძე ტოროშელიძე, შესძლებს იმ ამოცანების განხორციელებას, რომელსაც მის წინაშე აყენებს ლენინისა და სტალინის პარტია.

